ქართული
ისტორიული საბუთების
კორპუსი

III

იბეჭდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანადგომით

IS PUBLISHED WITH THE SUPPORT OF MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

წინამდებარე ტომით სრულდება „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის" პირველი სერიის პუბლიკაცია, რომელიც I და II ტომებთან ერთად მთლიანობაში წარმოაჩენს საქართველოს ერთიანობის ხანიდან ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ დოკუმენტებს. მათ შორისაა შეწირულებისა და წყალობის სიგელები, ფიცის წიგნები, საეკლესიო გუჯრები, სასამართლო აქტები და სხვ. „კორპუსის" III ტომი მოიცავს XV საუკუნის მეორე ნახევარს. ტომში შესულ საბუთთა ნაწილი ცნობილია სხვა გამოცემებიდანაც, ნაწილი კი პირველად ქვეყნდება. რამდენადაც მოცემული პერიოდი ღარიბია ისტორიული ნარატივებით, ამდენადვე მაღალია ტომში შესული მასალის წყაროთმცოდნეობითი ღირებულება. წარმოდგენილი საბუთების კრიტიკულად დადგენილი ტექსტები სამეცნიერო ბიბლიოგრაფიით და დედნების ფოტოასლებით დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოს ისტორიისა და ქართული სამართლის ისტორიის მკვლევართ, ენათმეცნიერებს, შესაბამისი პროფილის სტუდენტებს და, ზოგადად, საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

ტომის რედაქტორი **მზია სურგულაძე**

ISBN 978-9941-9356-4-0
© ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2014.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

საქართველოს ეროვნული არქივი

ქართული ისტორიული საბუთები

XV საუკუნის მეორე ნახევარი

შეადგინეს **თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ**

გამოსაცემად მოამზადა **მზია სურგულაძემ**

თბილისი 2014

წინასიტყვაობა

წინამდებარე ტომით სრულდება „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის" პირველი სერიის სამტომეულის პუბლიკაცია, რომელიც ძირითადად ფარავს საქართველოს ფეოდალური მონარქიის არსებობის ხუთსაუკუნოვან ეპოქას. შემდგომ სერიებში საისტორიო საბუთთა პუბლიკაცია გაგრძელდება ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროების მიხედვით.

ტომში წარმოდგენილ საბუთთა უდიდესი ნაწილი მოიცავს ალექსანდრე დიდის (1412-1442) შემდგომ ქრონოლოგიურ მონაკვეთს ვიდრე XVI საუკუნის დამდეგამდე. ეს არის უკიდურესად დაძაბული პერიოდი საქართველოს ისტორიაში, როდესაც ძალაუფლებისათვის ბრძოლამ ბაგრატიონთა სამეფო შტოებს შორის პოლიტიკური რღვევის შეუქცევადი პროცესს მისცა დასაბამი. ამ მოვლენათა თანადროული ნარატიული ძეგლების არარსებობა განუზომლად ზრდის ამ დროიდან შემორჩენილი ყოველი ისტორიული საბუთის წყაროთმცოდნეობით ღირებულებას. ტომის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცეული საბუთებით მკითხველს საშუალება მიეცემა თანმიმდევრული წარმოდგენა იქონიოს იმდროინდელ პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებზე, რომლებმაც დიდად განსაზღვრეს ერთიანი ქართული მონარქიის დასასრული.

ამ პერიოდის საბუთებში, მართალია, არასრულყოფილად, მაგრამ მაინც უაღრესად ნიშანდობლივი მომენტებით არის აღბეჭდილი ეს პროცესი. აქ თავმოყრილი დოკუმენტური მასალა თვალნათლივ უჩვენებს ეპოქისათვის დამახასიათებელ ყველა ტენდენციას, გამოვლენილს, როგორც პოლიტიკური და საეკლესიო მმართველობის სფეროში, ასევე ფეოდალური კონტიგენტის მისწრაფებებში.

საბუთებში არეკლილია იმდროინდელი პოლიტიკური ცხოვრების საეტაპო მოვლენები – ტახტის მაძიებელთა და მსხვილი ფეოდალური საგვარეულოების ალიანსები, მცხეთის ტახტის ბრძოლა ეკლესიის მთლიანობის შენარჩუნებისათვის, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო მოვლენები – მისი გამოსვლა ქართლის ეკლესიის კანონიკური იურისდიქციიდან და სხვ. საბუთებში ჩანან ამ რთული პოლიტიკური პროცესის მთავარი აქტორები – სამეფო პერსონები და მათი მხარდამჭერი დიდგვაროვნები, მღვდელმთავრები. მკაფიოდ იკვეთება ფეოდალური სეპარატიზმის მასაზრდოებელი მოტივები და მათ აღსაკვეთად გამოყენებული არცთუ მრავალფეროვანი მექანიზმები.

საბუთებში ასახულია მოცემული ეპოქისათვის დამახასიათებელი სამოხელეო სისტემა, ადმინისტრაციული წყობა და საზოგადოების სამართლებრივი წარმოდგენები, შუასაუკუნოვანი იურიდიული პრაქტიკა, რომელსაც ფეოდალური წოდება მიმართავდა საჯარო თუ კერძო სამართლებრივი ურთიერთობების დასარეგულირებლად. მკითხველს წარმოდგენა შეექმნება საზოგადოების სოციალური თანამშრომლობის ფორმებზე, ოფიციალური და ადათობრივი სამართლებრივი ნორმების თანაარსებობაზე. საბუთთა გარკვეული კატეგორიები მკითხველს გააცნობს სხვადასხვა დონის ადმინისტარციულ ერთეულებს, მოქმედ საგადასახდო და ფისკალურ სისტემას.

„კორპუსში“ წარმოდგენილი საბუთების დიპლომატიკური სახეობები და მათი სტრუქტურა თითქმის სრულად შეესატყვისება შუა საუკუნეების საქართველოში ჩამოყალიბებული პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობების სამართლებრივ ასპექტებს. ესენია შეწირულების, წყალობის თუ იმუნიტეტური უფლებების განახლების სიგელები, ე.წ. ფიცის წიგნები, იადგარები, საგადასახადო დადგენილებები, ანდერძები, გაყრის, ნასყიდობისა და გაცვლილობის წიგნები. მოღწეულია სასამართლო პროცესუალური აქტები: საჩივრები, სასამართლო განჩინებები და სხვ. ამგვარი საბუთები, შექმნილნი სრულიად კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით, დოკუმენტური სიზუსტით ასახავს ფეოდალური საზოგადოების სოციალურ საქმიანობას, სამართალშეგნების ხარისხს და კულტურულ თვალსაწიერს.

მკითხველი გაეცნობა დიპლომატიკურ ტერმინებს, რომელთა მნიშვნელობა, წინა საუკუნეებთან შედარებით, უფრო გაფართოვებულია. ამ დროს ერთმანეთს თანდათანობით ფარავს ოფიციალური აქტების აღმნიშვნელი სიგელი (ბერძნ. σιγίλλιον) და კერძო აქტების სახელწოდება წიგნი (ბერძნ. σίγνον). მათ გვერდით სინონიმურად იხმარება დანერილი, ნიშანი, პიტაკი, გაჴსნითი და სხვ.

ტომში შეტანილია სასისხლო სიგელებიც, რომლებიც, „კორპუსის“ გამომცემელთა თავდაპირველი ჩანაფიქრით* ცალკე სერიად უნდა გამოსულიყო (სწორედ ამ გარემოების გამო არ მოხვდა კორპუსის II ტომში შესაბამისი პერიოდის სასისხლო სიგელები). სასისხლო სიგელებზე შემდგომმა დაკვირვებამ უჩვენა, რომ სხვა საბუთთაგან მათი თემატური გამიჯვნა, მაშინ, როდესაც „კორპუსის“ გამოცემის პრინციპად აღიარებულია ქრონოლოგიურ-რეგიონალური კრიტერიუმი, ნაკლებად გამართლებულია. სასისხლო სიგელთა ამოღება ისტორიულ საბუთთა ერთიანი ქრონოლოგიური მწკრივიდან სრულიად შლის სოციალური ისტორიის ერთ მნიშვნელოვან პლასტს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთ საქართველოში განვითარებულ პროცესებთან ჩანს დაკავშირებული. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ სიგელთა მიმართ გაბატონებული უნდობლობა ემყარებოდა სასისხლო სიგელებში ქართული დიპლომატიკისათვის შეუსაბამო პასაჟების არსებობას**, რაც არ არის საფუძველს მოკლებული, მაგრამ ეს გარემოება არ ამცირებს სასისხლო სიგელების წყაროთმცოდნეობით ღირებულებას. დღეისათვის სასისხლო სიგელებისადმი ამგვარი დამოკიდებულება დაძლეულია, რადგან, როგორც არა ერთმა კვლევამ უჩვენა, თვით ნაყალბევად მიჩნეული სასისხლო სიგელებიც კი, სხვადასხვა ასპექტით საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს მეცნიერებისათვის***. მით უმეტეს, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილის ნამდვილობა არა-

---

* ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, ტომის რედაქტორი ნ. შოშიაშვილი, თბ., 1984, გვ.13-14.

ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, თბ., 1996, გვ. 503-520.

ძირითადი ლიტერატურა: ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, ტფილისი, 1924, გვ. 1-107; ჯ. ოდიშელი, ქართული დიპლომატიკის ისტორიდან, „მაცნე“, 4, 1966, გვ. 207-223; მ. სურგულაძე, ქართული საისტორიო აქტები, თბ., 2006, გვ. 115-186; გ. არახამია, ქართული დიპლომატიკის შესწავლისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, XII, 2010, გვ. 41-44.

ვითარ ეჭვს არ იწვევს. სწორედ ამ გარემოებათა გამო არის წინამდებარე ტომში შეტანილი XV საუკუნის მეორე ნახევრის ფარგლებში გაცემული სასისხლო სიგელები. ყურადსაღები ფაქტია, რომ მათი გავრცელების არეალი არ შემოიფარგლება მხოლოდ დასავლეთ საქართველოთი და აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ზოლსაც მოიცავს.

ისტორიული საბუთების გაბმულ ქრონოლოგიურ მწკრივში წარმოდგენა, რაც არ უნდა მცირე იყოს მათი საერთო რაოდენობა, ცხადია, უკეთ აცნობს ისტორიული ცხოვრების მთლიან სურათს, აზუსტებს უკვე ცნობილ ქრონოლოგიას და გენეალოგიას, ავსებს ისტორიულ მოვლენათა უცნობ დეტალებს, რიგ შემთხვევებში – უცნობ ისტორიულ პერსონებს. დაინტერესებული მკითხველი კორპუსში აღმოაჩენს მრავალ საინტერესო ცნობას ისტორიული გეოგრაფიის თუ ისტორიული დემოგრაფიის საკითხების საკვლევად.

ცალკე ინტერესს წარმოადგენს ისტორიული საბუთების ენა, რომელიც ცოცხალ მეტყველებას ემყარება და ლექსიკური მასალით, ფრაზეოლოგიით, სინტაქსით თუ ონომასტიკონით მკაფიოდ ახასიათებს ქართული ენის განვითარების ისტორიულ ეტაპს.

ისტორიულ საბუთთა დედნებისათვის დამახასიათებელია ორთოგრაფიული არაერთგვაროვნება. სხვადასხვა საბუთში ერთი და იგივე სიტყვა შესაძლებელია შეგვხვდეს ვარიანტულად განსხვავებული ორთოგრაფიით (მაგ., შუილი და შვილი, ჩუენ და ჩვენ, მკუიდრი და მკვიდრი, საპატიო და საბატიო, საჴმარი და სახმარი და ა. შ.). შესაძლებელია ისიც, რომ ერთსა და იმავე საბუთში რომელიმე ფონეტიკური კომპლექსი (ვთქვათ, უი) ერთ შემთხვევაში გადმოიცემოდეს როგორც „ვი“ (მაგ., შვილი), სხვა სიტყვაში, როგორც „უი“ (მაგ., მკუიდრი, წისქუილი). გამოცემაში, ჩვეულებრივ, შენარჩუნებულია დედნის ორთოგრაფიული თავისებურებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მნიგნობარი აშკარად მექანიკურ შეცდომას უშვებს.

განსხვავებული ვითარებაა, როდესაც გამოცემის საფუძვლად აღებულია საბუთის პირი. რადგან პირების უმრავლესობა XIX საუკუნეშია გადაწერილი, გადამწერები, უმრავლეს შემთხვევაში, ტექსტს იწერენ თანადროული ორთოგრაფიით. ისეთ შემთხვევებში, როცა გადამწერი თანამიმდევრულად მისდევს თავის თანადროულ მართლწერას, გამოცემაშიც შენარჩუნებულია პირის ორთოგრაფია, მაგრამ, თუ გადამწერი უნებლიეთ ერთმანეთში ურევს დედნისეულ და თანადროულ ფორმებს, მაშინ გამოცემაში უპირატესობა ძველ ფორმებს ენიჭება. XIX საუკუნეში გადაწერილ საბუთთა პირებისათვის დამახასიათებელია Ჱ და ჯ გრაფემების გამოყენება, რაც უჩვეულოა მხედრულად ნაწერი საბუთების დედნებისათვის. გამოცემაში ეს გრაფემები ამოღებულია.

საბუთთა დიდი ნაწილი უთარიღოა. მათი დათარიღების დროს, რიგ შემთხვევებში, გაზიარებულია წინამორბედ გამომცემელთა დათარიღებები და მითითებულია მათ მიერ მოხმობილი არგუმენტები. სადავო შემთხვევებში გამოყენებულია დამატებითი მონაცემები – ერთმანეთთან შედარებულია თარიღიან და უთარიღო საბუთებში მოხსენიებული პერსონალია, გენეალოგიური და ქრონო-

ლოგიური ფაქტები, გათვალისწინებულია პოლიტიკური ფონი და ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობები. თუკი საბუთის შინაარსობრივი მონაცემები არ იძლევა თარიღის დავინწროვების საშუალებას, მაშინ დათარიღება ეყრდნობა ტექსტის პალეოგრაფიულ მახასიათებლებს. ასეთ მახასიათებლად მიჩნეულია მხედრული გრაფიკის თავისებური მოხაზულობები, რომლებიც რეგულარულად მეორდება XV საუკუნის საბუთთა ხელწერაში. ამგვარ მოხაზულობათა შორის იგულისხმება ზოგიერთი გრაფემის ნუსხურთან (მაგ., ჩ, ნ, ც) სიახლოვე, ასევე გარკვეულ გრაფემათა რკალების ზომა, პირგახსნილობა და მიმართულება (მაგ., პ, ჰ), გრაფემათა სიმაღლე და მდებარეობა ოთხაზოვან ბადეში, გადაბმის სპეციფიკური წესები და სხვ.

„კორპუსში“ წარმოდგენილი ისტორიულ საბუთთა ტექსტები ეყრდნობა უშუალოდ პირველწყაროებს – ისტორიული საბუთების დედნებს, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში – პირებს. იმ შემთხვევაში, როცა საბუთი საერთოდ დაკარგულია, მაგრამ ტექსტი გადარჩენილია ძველი პუბლიკაციით, მაშინ, „კორპუსში“ განმეორებულია ძველი პუბლიკაცია.

ტომში შესულ საბუთთა უდიდესი ნაწილი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და საქართველოს ეროვნული არქივის ისტორიულ საბუთთა კოლექციებში. შედარებით მცირე ნაწილი აქ გამოქვეყნებული საბუთებისა ინახება ქუთაისის ეროვნულ მუზეუმში, რომლის თანამშრომლებმა ჩვეული კოლეგიალობით უსასყიდლოდ გადმოსცეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს საბუთთა ციფრული ასლები. ოთხი, აქამდე გამოუქვეყნებელი საბუთის დედანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან აღმოჩნდა რუსეთის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანქტ-პეტერბურგის განყოფილებაში. ოთხივე საბუთი პეტერბურგული კოლექციის აღწერილობაში* XV საუკუნის მეორე ნახევრით არის დათარიღებული, მაგრამ საბუთების ფოტოპირების შესწავლის შემდეგ „კორპუსის“ ქრონოლოგიურ ჩარჩოს მათგან მხოლოდ სამი საბუთი მიესადაგა.

„კორპუსში“ ისტორიული საბუთები ქვეყნდება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ყოველგვარი შერჩევისა და შემოკლებების გარეშე, თანამედროვე პუნქტუაციით, სრული არქეოგრაფიული აღწერილობით და ბიბლიოგრაფიული ცნობარით.

საბუთების მნიშვნელოვანი ნაწილი პირველად ქვეყნდება, ნაწილი კი მეცნიერებისათვის ცნობილია უპირატესად თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილის, ს. კაკაბაძის, ნ. ბერძენიშვილის, ი. დოლიძის და სხვ. პუბლიკაციებით. ყოველი კონკრეტული საბუთის ტექსტთან სქოლიოში მკითხველი იხილავს წინამორბედ გამომცემელთა განსხვავებული ნაკითხვებს, ასევე, პუბლიკაციაში ჩასწორებულ ტექსტის ბუნდოვან ფორმებს, რაც, საერთო ჯამში, მკითხველს დაეხმარება საბუთის შინაარსის უკეთ აღქმაში.

* С. Какабадзе, Грузинские документы Института народов Азии, М.,1967; С. Какабадзе, Грузинские документы IX-XV вв. в собрании Ленинградского отделения Института Востоковедения АН СССР, М.,1982.

კორპუსის III ტომი გასული საუკუნის 80-ან წლებში გამოსაცემად მოამზადა და გამომცემლობა „მეცნიერებას" გადასცა ისტორიკომა თინათინ ენუქიძემ. მისი გარდაცვალების (1988 წ.) შემდეგ ტომის მასალა, სამწუხაროდ, გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა. ნაშრომის ნაწილი – 45 ერთეულის ხელსაბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი ე. წ. მესამე „შავი" ცალები (Ad: 10, 125, 601, 626, 1070, 1669; Hd: 1055, 1242, 1301, 1347, 1352, 1354, 1370, 1371, 1570, 1579, 1798, 1799, 1800, 1801, 2007, 14695, 14903, 14904a, 14904b, 15046; Qd: 27, 8514.9221, 9814, 10121, 10122; Sd: 463, 480.1242; 1448: 531, 5023, 5024, 5027), რომლებშიც წარმოდგენილი იყო მხოლოდ ტექსტები ავტორისეული არქეოგრაფიულ-ტექსტოლოგიური დაკვირვებებისა და საბუთთა ატრიბუტიკის გარეშე, თ. ენუქიძის ქალიშვილმა, ისტორიკოსმა ლელა მიქიაშვილმა, გადასცა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს (იმჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტს). 2008 წლიდან ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის დეპარტამენტში განახლდა ქართული ისტორიული საბუთების კორპუსულ გამოცემაზე მუშაობა. წინამდებარე ტომიც ამ სამუშაოს ფარგლებში მომზადდა საპუბლიკაციოდ. ტომზე მუშაობისას გათვალისწინებული იქნა თ. ენუქიძის მასალაც, რომელშიც აღმოჩნდა 1482 წლის ერთი ფრიად საგულიხმო საბუთი, რომლის იდენტიფიცირება, სამწუხაროდ, დღესდღეობით ცნობილ კოლექციებში ვერ მოხერხდა. ამ საბუთთან დაკავშირებულ საკითხებს მკითხველი გაეცნობა „კორპუსის" სათანადო ადგილას, 1482 წლის ქვეშ.

„კორპუსის" III ტომში შესულია 132 ისტორიული საბუთი. დასავლურქართული წარმომავლობის საბუთები (1448-5020, 1448-5151, 1449-1571, Hd-8731, Sd-521, ქიემ-591, ქიემ-608, ქიემ-647, ქიემ 875, ქიემ-1024, ქიემ-1026, ქიემ-1608) დაამუშავა დარეჯან კლდიაშვილმა, დანარჩენი საბუთები – მზია სურგულაძემ.

„კორპუსის" III ტომის სარედაქციო სამუშაოები შეასრულა მზია სურგულაძემ.

„ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის" III ტომის მომზადება შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს ეროვნული არქივის თანამშრომელთა კოლეგიალური დახმარების გარეშე, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

მზია სურგულაძე

საბუთების ტექსტებში გამოყენებული პირობითი ნიშნები

( )	ქარაგმის გახსნა.
[ ]	აღდგენილი ადგილები. დაზიანების გამო გამოტოვებული ადგილები.
{ }	დამწერის მიერ უნებლიედ გამოტოვებული და გამოცემაში აღდგენილი ადგილები.
< >	ზედმეტი ადგილები.
recto	საბუთის წინა მხარე.
verso	საბუთის ზურგი.
]	კავებს გარეთ ამა თუ იმ გამოცემაში დაბეჭდილი ვარიანტები.

1

[1435-1439]. შენირულების წიგნი თაყა ზევდგინიძისა სვეტიცხოვლისადმი

დედანი დაკარგულია. პირი, სეა, 1449-1664, გადაწერილი დედნიდან ს. კაკაბაძის მიერ XX საუკუნის დასაწყისში, 1 ფრ. დედნის აღწერილობა ს. კაკაბაძის მიხედვით: თავნაკლული დედანი, ზომა: 27×23,3/23,4. განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

თარიღი: თ. ჟორდანიას სინოდის კანტორის გუჯრებში უნახავს საბუთის დედანი ნომრით №103 და მისივე ნუსხა ლე. ამ ნუსხის ნომერი რიგითობით მიჰყვებოდა სხვა 1459 წლის თარიღიან საბუთს (№484, ნუსხა ლდ). შესაძლოა, ნუსხების მიყოლებულმა რიგითობამ (ლდ, ლე) უკარნახა თ. ჟორდანიას ეს საბუთიც 1459 წლის ახლო ხანებით დაეთარიღებინა. ეს დათარიღება არის გაზიარებული „ჰირთა ანტირებული ლექსიკონის“ II ტომში ([33], 231). ს. კაკაბაძე საბუთს ათარიღებს უფრო ფართოდ, დავით IV-ის კათალიკოსობის (1447-1459) წლებით. ამგვარი დათარიღება, როგორ ჩანს, გაუზიარებია ბ. ლომინაძეს, რის გამოც საბუთი არ შეუტანია „კორპუსის“ II ტომში.

წინამდებარე გამოცემაში არც ერთი ამ დათარიღებათაგანი გაზიარებული არ არის, რადგან ჩვენს ხელთ არსებული საკონტროლო მასალა თარიღის უფრო ზუსტად განსაზღვრის საშუალებას იძლევა. თაყა ზევდგინისძემ ქვეში სვეტიცხოველს შესწირა 1433 წელს კათალიკოს თეოდორეს დროს ([30], „კორპუსი“, 185). წინამდებარე საბუთის მიხედვით კი, იგივე თაყა ზევდგინისძე ქვეშის შეწირულებას უახლებს სვეტიცხოველს დავითის კათალიკოსობის დროს. თ. ჟორდანიასაც და ს. კაკაბაძესაც ეს დავითი მიუჩნევიათ დავით IV ჭავჭავაძედ, რომელიც საკათალიკოსო ტახტზე ავიდა შიო I-ის შემდეგ 1447 წელს. უფრო მეტი ალბათობით, წინამდებარე საბუთში უნდა იგულისხმებოდეს დავით III კათალიკოსი, რომელიც აღსაყრდა უშუალოდ თეოდორეს შემდგომ, 1335 წელს და საბუთებში მოიხსენიება 1440 წლამდე. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ თაყა ზევდგინისძე თავის საალაპე შეწირულებას განაახლებდა თეოდორეს მომდევნო დავით III კათალიკოსის (1434-1439) დროს და არა 26 წლის შემდგომ, როგორც ეს საბუთის ძველი დათარიღებების შემთხვევაშია სავარაუდებელი. ამ დათარიღების სასარგებლოდ ლაპარაკობს გიორგი VIII-ის 1447 წლის სიგელიც სვეტიცხოვლისადმი, რომელშიც ქვეში ძველ შეწირულებათა შორის მოიხსენიება (იხ. აქვე, გვ. 36-37, 1448-5016).

გამოცემა: [41], თ. ჟორდანია, 272 (ცნობა საბუთის შესახებ).

---

[1] ყვენით ნსხ. [2] წილხდომით ნსხ.

...პირველსავე ნეტარება ...ვე... და ესრეთ მოწყალება ყუენით, რომე ცხოველსმყოფელი კუართი საუფლო წილხვდომით დედაქალაქსა მცხეთას დაემკვიდრა და მირონისა უკუდავებისასა გამომცემელ გუექმნა, რომლისაგან ნათლისღებით განებრწყინდებით ყოველნი ქრისტიანენი.

მე, ყოვლითავე ცოდვითა შეფრინებულმან (sic) და ყოველთა ცოდვილთა უცოდვილესმან ზევდგენისძემან მოლარეთუხუცემან თაყა, ვიგულე და ვიგულსმოდგინე მცირე ესე შესაწირავი და მოვახსენე დედაქალაქსა საყდარსა მცხეთისასა, სუეტსა ღ(მრ)თივ-აღმართებულსა და მათსა მპყრობელსა კ(ათალი)კ(ო)ზსა დავითს ქუეში ეკლესიითა, გლეხებითა, ყანითა, ვენახითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა და ბარითა, საჴმრითა და უჴმრითა, მისითა სამართლიანითა ყუალათა, უნაკლულოდ. მოგუიჴსენებია და შემოგუიწირავს თქუენ, ღ(მრ)თივ-აღმართებულისა სუეტისა ცხოვლისათუის და თქუენისა საყდრისა დედაქალაქისა მცხეთისათუის და მპყრობელისა პატრონისა კ(ათალი)კ(ო)ზისა დავითისათუის ქუეში ეკლესი(ი)თა, გლეხებითა, ყანითა, ვენაჴითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მზღვრითა, საჴმრითა და უჴმრითა, მისითა სამართლიანითა, საძებრითა და უძებრითა, ყოვლადვე უნაკლულოდ.

ღ(მრ)თივ-გუირგუინოსანმან მეფეთა მეფემან ალექსანდრე ესე მოუდევარი და ყოვლისა დაბადებულისაგან მოუდევარი აბულახტარისეული მამული ქუეში სამკუიდროდ მე მიბოძა. და თქუენ, ღ(მრ)თივ-აღმართებულსა სუეტსა ცხოველსა და თქუენსა საყდარსა მცხეთისასა და მპყრობელსა პატრონსა კ(ათალი)კ(ო)ზსა დავითს, მოგაჴსენე ქუეში ეკლესიითა, გლეხებითა, ყანითა, ვენაჴითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა, მზღვრითა, საჴმრითა და უჴმრითა, მისითა სამართლიანითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა მიმდგამითა, ყოველითურთ უნაკლოდ.

ესრეთ მოგუიჴსენებია, რომელ ყოველთა წელიწადთა ლაზარეს აღდგინებისა დღესა თქუენ, პატრონი კ(ათალი)კ(ო)ზი დავით შეიმოსებოდეთ და, რანიცა მღრდელნი და მთავარდიაკონნი არიან, ჩემ, ცოდვილისა თაყასათუის, ჟამსა მიჴრევდეთ. და ვითარი ჯერ არს, ეგეთი აღაპი გარდაიჴდებოდეს, სადამდის ენებოს. და თქუენ, პატრონო კ(ათალი)კ(ო)ზო დავით, ამოდა იყუნეთ. თქუენ ნუ დამაკლებთ და შემდგომად თქუენსა, ვინცა კ(ათალი)კ(ო)ზი იყოს, იგი ნუ დამაკლებს. და ვინცა მომიშალოს და დამაკლოს, ჩემთამცა ბრალთა და ცოდვათათუის იგი გაიკითხვის წინაშე ღ(რ)თისა.

ს. კაკაბაძის ცნობით, დედანს ჰქონია თაყას ხელრთვა ხვეულად:

ქ. ფრიად ცოდვილსა თაყას შემომინირავს და მომიჴსენებია მამული...

[12] პატრონი, ნსხ.

2

1442. 3 თებერვალი. წყალობის წიგნი გრიგოლ მანგლელ-თბილელისა დანიელ ნექისძისადმი

საბუთი დაკარგულია. ცნობილია მხოლოდ მისი შინაარსი და თარიღი, შეტანილი 1818 წელს შედგენილ გუჯრების წიგნში: სჯა, 1451, 2, №104.

ნექისძის ქორეპისკოპოსის დანიილისა და შვილთა მისთა მირიანისა და საბასადმი წყალობის წერილი ბოძებული, რ(ომ)ლითაც უბოძებია და გაუახლებია სამზღვრებითურთ მთაწმიდის ხევი საზღვრე[ბით], და ეგრევე სავენახედა განუწესებია. ყოველს წელს ორს საპალნეს საზედაშედ ტკბილს სიონის სობოროს უნდა მსახურებდეს, რ(ომე)ლიც ხელმონერილი არის ყ(ოვლა)დ სამღუდელოს გრიგოლისგან. და მოწამეთაგან ხელმოწერილ არს და ჯერებდაუსხმელ: დიმი, იოსებ.

3

1442. სიგელი [ვახტანგ] მეფისა სვეტიცხოვლისადმი

დედანი დაკარგულია. თ. ჟორდანიას ცნობით, საბუთის თავ-ბოლონაკლული ქაღალდის დედანი (№338) და მისგან XVII საუკუნეში ხუცურად გადაწერილი სრული ნუსხა გ (№3). ინახებოდა სინოდის კანტორის მცხეთის საბუთებში.

პირები: 1. სეა, 1449-1522, გადაწერილი დედნიდან ს. კაკაბაძის მიერ XX საუკუნის დასაწყისში. დედნის აღწერილობა ს. კაკაბაძის მიხედვით: „სიგელი მცხეთისა №338, ბოძებული 130 ქორონიკონს, დაწერილი ქაღალდზე, ზომით: 43×28 სმ. თავნაკლული"; 2. სპბაი, H-6 (G-29b; H-46)-39. Лл.706-72a; 3.E 73 (E 102)-1. Лл. 3a-5a.

საბუთის დამწერი: მესტუმრე და კარის მწიგნობარი კლიმი კაკლაჩასძე.

თარიღი: საბუთს უზის თარიღი ქორონიკონი რლ (130) /1442/.

თ. ჟორდანიას ხელთ ჰქონდა ნაკლული დედანი და სრული პირი, რომლის მიხედვითაც მან აღადგინა საბუთის გამცემი მეფის, ალექსანდრეს სახელი. ს. კაკაბაძე კი, საბუთის გამცემად მიიჩნევდა ვახტანგ ალექსანდრეს ძეს, რადგან ნაკლული დედნის მეორე გვერდზე მას უნახავს XVIII საუკუნის მინაწერი: „დიდის ალექსანდრეს ძის, მეფის ვახტანგის შეწირულობა, ქკს რლ". ეს ცნობა ანგარიშგასაწევია, რადგან საბუთის შინაარსი – სვეტიცხოვლისათვის არმაზის ციხის ბაჟის ბოძება – გულისხმობს ალექსანდრე დიდის მიერ 1434 წელს მცხეთისათვის ბოძებული შეწირულების განახლებას (კორპუსი, II, გვ. 191-191). შეწირულების განახლება, ჩვეულებრივ, ხდებოდა ტახტზე ახალი მეფის ასვლისას, რაც, მოცემულ შემთხვევაში, საბუთის გამცემი მეფის იდენტიფიკაციის საკითხს ვახტანგ ალექსანდრეს ძის სასარგებლოდ წყვეტს. საბუთის თარიღი, 1442 წელი, ვახტანგ II-ის ტახტზე ასვლის წელს ემთხვევა.

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 253 (შემოკლებით); 2) [19], ს. კაკაბაძე, 24-26 (კ); 3) [50], С. Какабадзе, №17-18, с.67-68, (აღწერილობა).

საბუთი ქვეყნდება სეა, 1449-1522-ის მიხედვით.

...[მოვიდა წინაშე ჩუენსა დიდისა და ცათა მობაძავისა დედაქალაქისა მცხეთისა საყდრისა მპყრობელი კ(ათალი)კ(ო)ზი შიო და გუეაჯა, რათამცა მცხეთისა საყდრისა მკუი]დრი და ყოვლისა ადამისა ნათესავისა კაცისაგან უცილე[ბელი] ციხე არმაზისა მისითა ეკლესიითა, გლეხებითა, ყანითა, ვენაჯითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა და ბარითა, საჯმრითა და უჯმრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა სამართლიანითა, ყოვლადვე უნაკლულოდ და მისი ძუელითგან გაჩენილი ბაჟი – ორი თანგა – დიდსა საპალნესა ზედან [მათთუისვე მოგუეჴსენა].

[8] [მათთუისვე მოგუეჴსენა]]-კ.

გქონდეს თქუენ, დიდისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე საყდრისა მპყრობელსა და ჩუენისა სულისა შესავედრებელსა პატრონსა კ(ათალი)კ(ო)ზსა შიოს, არმაზის ციხე ეკლესიითა, გლეხებითა, ყანითა, ვენაჯითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა და ბარითა, საჴმრითა და უჴმრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა სამართლიანითა ერთობ ყუელათა, უკლებლად, და მისი ძუელად გაჩენილი ერთი თანგა საპალნესა ზედან. ესრეთ რომე, ქარავანი შეღმა მივიდოდეს და, თუ ჩამოღმა მოვიდოდეს, და სითცა მოვიდოდეს, ტუირთს ზედან ორსა თანგას აიღებდით.

და მოგუიჴსენებია და გქონდეს თქუენი და თქუენის საყდრის მკუიდრი და მოუდევარი და ყოელის დაბადებულის ადამის ნათესავისაგან უსარჩლავი თქუენ, დიდის და ცათა მობაძავისა კათოლიკე საყდრისა მპყრობელსა და ჩუენისა სულისა შესაევდრებელსა პატრონსა კ(ათალ)კ(ო)ზსა შიოს, ციხე არმაზისა ეკლესიითა, გლეხებითა, ყანითა, ვენაჯითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, საჴმრითა და უჴმრითა, მისითა სამართლიანითა საძებრითა და უძებრითა, ერთობ ყ(ოვლა)დვე უნაკლულოდ, მისითა ძუელითგან გაჩენილითა ბაჟითა. ესრეთ რომე, ქარავანი ზემოთ მოვიდეს და თუ ქუემოთ მოვიდეს, და სითგინდამე მოვიდეს, საპალნესა ზედან ორსა თანგასა აიღებდით.

და არასა ჟამისა შემოსრულობისათუის და გამოცვალებისათუის არ შეგეცვალოს თქუენ, დიდისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე საყდრისა მპყრობელსა და ჩუენისა სულისა შესაევდრებელსა პატრონსა კ(ათალი)კ(ო)ზსა შიოს, თქუენი მკუიდრი და აწ, ახლად ჩუენგან მოწსენებულ-დამკუიდრებული არმაზისა ციხე მისითა ეკლესი{ი}თა, გლეხებითა, ყანითა, ვენაჯითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, ტყითა, სანადიროთა, ზღვრითა, მთითა და ბარითა, საჴმრითა და უჴმრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა სამართლიანითა, ყ(ოვლა)დვე უნაკლულოდ და მისითა ბაჟითა. ესრეთ რომე, ქარავანი შეღმა მოვიდოდეს, და თუ ჩამოღმა მოვიდოდეს, და სითგინდამე მოვიდეს, საპალნესა ზედან ორსა თანგასა აიღებდით.

გქონდეს მკუიდრად და შე[ძ]უელებითა, და ეერავინ დაგეცილოს, ვითარი თქუენისა საყდრისა მკუიდრისა და აწ, ახლად ჩუენგან სამკუიდროდ მოწსენებულისა და დამტკიცებულისა მამულისა დაცილება არავის მართებს, აგრე. და, ვინცა დაგეცილოს, პირნი და პასუხისა გამცემნი ჩუენ ვართ. და თუ ვის რა ამისისა მიცემულობისა წიგნი და ნიშანი ჰქონდეს, იგი ყოველივე დანერილითა ამით გაგუიცუდებია და მტკიცე ესე ოდენ არს.

აწ, ვინცა ნახოთ ბ(ძანე)ბა ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა, ერისთავთა ერისთავთა და კარისა ჩუენისა ვაზირთა და მოურავთა, მეჯინიბეთა, მერემაეთა, ბაზიართა, მეულუფეთა, პურისა და საკლავისა მკრებელთა, მეულაყეთა და ყოველთავე კარით ჩუენით წარვლენილთა, დიდთა და მცირეთა, <და> ნუვინ უშალავთ მკუიდრად მოცემულ-მოწსენებულსა ამას ჩუენსა. და ნუცა ვინ რას დააკლებთ [ნუ დიდ]სა და ნუ მცირესა, თუნიერ თანადგომისა და შემატებისაგან კიდე.

დაიწერა ბ(ძანე)ბა და სიგელი ესე ჩუენი ქ(ორონი)კ(ო)ნსა რლ [ჴელითა მესტუმრისა და კარის] მწიგ[ნობრისა ჩუენისა კლიმი კაკლაჩასძისათა].*

---

[29] შე[ძ]უელებითა] შეშუელებითა კ. [34] არს] არის კ.

* ბოლო წინადადების აღდგენა ეკუთვნის კ-ს.

4

[1442-1446]. შეწირულების სიგელი ვახტანგ მეფისა გელათისადმი

დედანი; სეა, 1448-5023, კარგად დამუშავებული ღია ფერის ეტრატი, ზომა: 137,3×28, ორი, წითელი აბრეშუმის ძაფით გადაკერებული კეფი: I - 82×28; II - 55×28. დაზიანება: საბუთის ტექსტი ბოლონაკლულია, ეტრატის კიდეები შემოცეთილი, პირველი კეფი სიგრძეზეა გასერილი. ლამაზი, მკაფიო მხედრული, ბაცი ყავისფერი მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. პირველი კეფის verso-ზე, თაგში დასმულია XIX საუკუნეში მინიჭებული სარეგისტრაციო ნომრები: №899 (შავი მელნით) და №224 (ბაცი მოყავისფრო მელნით). ამავე გვერდზე ძალზე მკრთალად, ყავისფერი მელნით მოთავსებულია რუსული მმართველობის სარეგისტრაციო წარწერა და ნომერი: №87. აქვე უზის მრგვალი ბეჭედი რუსული ლეგენდით.

საბუთი უთარიღოა. თარიღდება ალექსანდრე I-ის ძის ვახტანგის ზეობის მიხედვით, რომელიც, „ახალი ქართლის ცხოვრების“ თანახმად, 1442 წელს ალექსანდრე მეფემ თავად დასვა ქართლისა და იმერეთის ტახტზე (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 475). ვახტანგი გარდაიცვალა 1446 წელს (სხვადასხვა წყაროს მიხედვით, ვახტანგის გარდაცვალების თარიღები მერყეობს 1445-1447 წლებს შორის. ყველაზე სარწმუნოდ მიჩნეულია 1446 წელი ([46], ივ. ჯავახიშვილი, 41). ამავე ვახტანგს მიიჩნევს სიგელის ავტორად ს. კაკაბაძე. მისი მოსაზრებით, მას უკვე 1430-იან წლებში უნდა დაეკავებინა სამეფო ტახტი დასავლეთ საქართველოში.

გამოცემა: [18], ს. კაკაბაძე, 3-5 (კ).

ქ. რომელი არა დააკლდი წიაღთა მამულთა და სამ|[2]ყაროთა და ეთერისგან ზეცით ქუეყანად გარდამოვედ, რო|[3]მელი ცეცხლისფერთა მადლთაგან მარადის წმიდა არსობი|[4]თ იდიდები, და საშოუხრწნელისა და მარადის ქალწულ[ი]სა |[5]მარიამისი დაიმკუიდრე და განჴორციელდი ჴსნისათუის ჩუენისა; |[6]ნებით ივნე ჯუარითა და ყოველნივე ენებანი უვნებელმან თა|[7]ვსიდევ. შენ, სიტყვაო მამისაო, ძეო და სულო |[8]წმიდაო, ხილულთა და უხილავთა ყოველთავე შემო|[9]ქმედო, რომელმან ადიდენ მადიდებელნი დიდებულისა და სა|[10]შინელისა ვნებისა შენის{ა}ნი და გამოირჩიე ქალწულთა შ|[11]ორის ნეტარი მარინა, რომელმან სურვილითა შენითა სიმრ|[12]ავლენი ღუანლთანი თავს-ისხნა და სისხლი იგი უბინო |[13]თქუენთუის დასთხიენა და თქუენ მიერ

[1] წიაღთა]ლაღთა კ. [2] ქვეყანად კ. [3] მადლთაგან] ძალთაგან კ. [4] საშოუხრწნელისა] რაბოუხრწნელისა კ. [5] დაიმკუდრე კ. ჩუენსა კ. [6] ვნებანი] ვნებად კ. [13] თქვენთუის კ. გუირგუინოსანი კ.

გუირგუინოსან იქმნა |[14]გუირგუინითა უხრწნელებისათა და მრავალფერთა მეოხებითა და სას|[15]წაულთა ღირს-იქმნა მოგებათ.

თქუენ, ქალწულო |[16]წმიდაო მონამეო, ნეტარო მარინა, მე, დავითიან-ბაგრა|[17]ტონიანმან, ღმრიე-გუირგუინოსამან ხუასრათანგონმ|[18]ან მეფეთ მეფემან ვახტანგ, გკადრე და შემოგწირე და მო|[19]ვაჴსენე ეგუტერსა სასუენებელსა წმიდისა ხატისა თქუენისასა გ|[20]ელათს, რომელი აგებულ არს სადიდებლად სახელსა თქუენისა წმიდისას|[21]ა; მათ, სულკურთხეულთა პაპ{ა}თა ჩუენთა მეფეთაგან – რაჭას ამაროლიძე მისითა გ<ა>ლეხითა, კუაშხიეთს˙ ჩ|[22]არუხიძე მისითა გ<ა>ლეხითა, ქოჩლასძე, ცეც{ა}სძე; რიო|[23]ნს – ტახასთავაძე, ხაბარიძე, თ{ა}ვშავაძე, კულუხაძისა პარტახ|[24]ტი; საწირეს – [ჯო]ესშვილები.

ესენი მათითა მამულითა, სამართლიანითა ყუე|[25]ლათა, უკლებლად სადიდებლ{ა}დ თქუენდა და სამწირველო|[26]დ სულისა ჩუენისათუის |შეგუწირავს, რათა უბიწოთა ოხითა თქუენი|[27]თა ამა სოფელსა ძლევაშემოსილ ვიქმნეთ მტერ|[28]თა ზედა ჩუენთა, ვითარცა{ა}-იგი ძუელ ოდესმე ისო |[29]ზირაქს და კუალად დავით გოლ{ი}ათსა ზედა, რათა ჩუენც |[30]აგრეთვე ძლევაშემოსით ვიქმნეთ ამა სოფელსა და საუ|[31]კუნოდ.

რაჟამს ჩუენთუის ნებით ვნებული უფალი და |[32]ღ(მერ)თი ჩუენი იესო ქრისტე ზეცით მეორედ გარდამოჴდეს გა|[33]ცითხვად ყოელისა ქუეყანისა და დაჯდეს საყდართა ზედა დი|[34]დებისა მისისათა, რაჟამს მდინარე ცეცხლისა დიოდეს წ(ინაშ)ე |[35]მისსა და ათასნი ათასთანი დგენ და ბევრნი ბევრთანი მსახურე||[36]ბდეს მას, მზე მოაკლდეს და მთოვარემან აღარა *II კეფი*
გამოსცეს ნ|[37]ათელი თუისი; და ყოველნივე აგებულება <და> დაზუენ ში|[38]შისაგან დიდებისა მის{ი}სა, რაჟამს განარჩივნეს მან მართ|[39]ალმან მსაჯულმან მართალნი და ცოდვილნი; და უბრძანოს ცო|[40]დვილთა მიერ იგი სასმელი, ვითარმ{ე}დ: „წარვედით ჩემგან წყე[ულნო]||[41]საუკუნოსა, ცეცხლსა მას საუკუნოსა",** ხოლო მართალთა მიუგოს სანატრელი |[42]იგი სასმენელი, ვითარმედ: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემი|[43]სანო, და დაიმკუიდრეთ სასუფეველი ცათა განმზადებული თქუენთუ|[44]ის და ანგელოზთათუის, გ[ანკითხვი]ს დღესა მას მიოხოთ წ(ინაშ)ე უფლ|[45]ისა და ღმრთისა და მისმინოთ მეცა ესევითარი სანატრელი ჴმა, ვითარმ|[46]ედ: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისაო, და დაიმკუიდრეთ სას|[47]უფელი ცათა".***

ამისთუის შემოგუიწირ{ა}ვს თქუენთუის, ქა|[48]ლწულო, წმიდაო სანატრელო მარინა, რაჭას**** ჩარუხიძე მისითა გ|[49]ლეხებითა: ქოჩლასძე,

---

[14] მრავალფერითა კ. [15] მოგებად კ. თქვენ კ. [19] თქვენისასა კ. [20] თქვენსა კ. [21] პაპთა კ. [21-22] ფრაზა "რაჭას ამაროლიძე მისითა გ<ა>ლეხითა, კუაშხიეთს" ჩამატებულია სტრიქონებს ზემოთ. [23] თიშავაძე ნსხ. კელუხაძისა კ. [24] [ჯო]ესშვილები] ალეს(?) შვილი კ. ყოველთაკ. [25] უკლებლად] უსარჩლებლად(?) კ. თქვენდა კ. [26] ჩუენისათვის კ. [შეგუიწირავს]]-კ. თქვენითა კ. [29] ზირაქს] იერქოს კ. კეალად კ. გოლათსა კ. [30] ძლევაშემოსილ კ. [33] ქვეყანისა კ. [34] მისისთა კ. რჟამს კ. [37-38] შიშსაგან] მამისგან კ. [38] მისსა კ. [39] მართალნი კ. [40] წყე[ულსა]] წყე... კ.

„რაჭას ამაროლიძე მისითა გლეხებითა, კუაშხიეთს" – ჩამატებულია.

მათე: 25,41, „ცეცხლსა მას საუკუნოსა" ჩამატებულია 40-41-ე სტრიქონებს შორის.

*** მათე: 25,34.

**** „რაჭას" სტრიქონს ზემოთ სწერია.

ცეც(ა)სძე, რიონს – ტახისთავაძე, ხაბარისძე |[50]და თავშავაძე, კულუხაძისა პარტახტი; |[51]საწირეს – ჯოესშვილი* მათითა მამულითა ყუე|[52]ლათა. მკუიდრად, შეუვალად, უცილებლად და უსარჩლა|[53]ვად ჩუენგან და ყოვლისა ადამის ტომისა კაცისაგან, რაგუარაც |[54]ჩუენისა სულისათუის შემოწირულსა მართებს.

რამანც გ|[55]უარმან კაცისამან ჩუენად შედეგად ესე ჩუენსა ეგუტერსა |[56]გამოაჴოს, ქრისტეს ღ(მერ)თისა უარისმყოველთა თანა |[57]დაისაჯების; და ჩუენ მწირველი მოგუიშალოს, ჩუენადმცა |[58]მუქბად განიკითხვის დღესა მას განკითხვისასა, კრულ წყე|[59][ულ]...

აქ ტექსტი წყდება.

ხვეული ხელრთვა:
|[60]ქ. მეფეთა მეფე ვახტანგ ვამტკიცებ.

მინაწერები პირველი კეფის verso-ზე XVIII საუკუნის ხელით:

1. გელათის, დავამტკიცე მეფემან, რაჭას ამბრალოურის.

2. ნუსხა-ხუცურით ძველი სათაური: ვახტანგ მეფისა სამწირველო კუაშხიეთისა, სიგელი არის ესე შეუცილებელი.

verso-ზე წერილი ლამაზი ხელით მოთავსებულია XVI საუკუნის სხვა სიგელი.

* „სანირეს ჯოესშვილი“ სტრიქონს ზემოთს წერია.

5

1443. 30 ნოემბერი. შეწირულების წიგნი ვარამ დიასამიძისა სვეტიცხოვლისადმი

საბუთი დაკარგულია. თ. ჟორდანიას ცნობით, საბუთის მხედრულად ნაწერი დედანი ინახებოდა სინოდის კანტორის საბუთებში (მცხეთის სიგელი №100, ნუსხა №ოე). საბუთი გატარებული ყოფილა გუჯრების წიგნში: სეა, ფ. 1451, დ. 1, №100.

საბუთის დამწერი: მცხეთის ქადაგი დიმიტრი გაგელისშვილი.

თარიღი: ქრონიკონი რლა (131)/ /1443/, ლ (30) ნოემბერი.

გამოცემა: [41], თ. ჟორდანია, 254-255.

საბუთი ქეყნდება თ. ჟორდანიას პუბლიკაციის მიხედვით.

ქ. ესე წიგნი გკადრე (მცხეთას) და ქ(ართლის) კ(ათალიკო)ზს შიოს ჩუენ, დიასამიძემან ვარამ და ჩემთა შვილთა, ავთანდილ და დიასამ მას ჟამსა, ოდეს ეშმაკისა ცთუნებითა ასეთი რამე სარჯულო საქმე ნამეკიდა, რომე თქუენ გამიწყერით... და საპატიჟოდ ყუბის[ს] ერთი გლეხი მოგაჴსენე მისითა მამულითა ქ(ართლის) კ(ათალიკო)ზსა. რლა, ნოემბერსა ლ, ჴელითა მცხეთის ქადაგის დიმიტრი გაგელისშვილისათა.

6

1443. შეწირულების წიგნი ყუარყუარესი სვეტიცხოველისადმი

საბუთი დაკარგულია. ქვეყნდება თ. ჟორდანიას პუბლიკაციის მიხედვით, რომელიც ემყარება სინოდის კანტორის მცხეთურ საბუთებში მიკვლეულ ქაღალდზე შესრულებულ სიგელს №144. იქვე მითითებულია მისი ორი ნუსხა: №№ტჟე (365) და პე (85).

თარიღი: საბუთს უზის საეჭვო თარიღი კლა (20+30+1), რომელსაც თ. ჟორდანია ცუდ ხელწერას მიაწერს და ასწორებს რლა-დ (131) /1443/. გამოცემში გაზიარებულია ჟორდანიას დათარიღება, რადგან იგი თანხმობაში მოდის საბუთში მოხსენიებული ისტორიული პირების: კათალიკოსი შიო (1440-1446), ივანე ათაბაგ-ამირსპასალარი (გარდ. 1444 წ.) და მისი ძე ყუარყუარე (გაათაბაგდა 1447 წ.) თანმხვედრ წლებთან.

საბუთის დამწერი: ოსნასძე იოვანე.

გამოცემა: [41], თ. ჟორდანია, 254 (შემოკლებით).

ქ. .... ესე მტკიცე სიგელი ... მოგაჴსენე, თქუენ მცხეთის საყდარსა და ქ(ართლის) კ(ათალიკო)ზსა პატრიარქსა შიოს, მე, ათაბაგ ამირსპასალარისა ივანეს შვილმან ყუარყუარე. შემოგწირე და მოგაჴსენე ქორდვას გლეხი* სამხარაძე მისითა მამულითა, რისაც დღეს მქონებელი არს არაოდეს მოგეშალოს

დაიწერა ქ(ორონი)კ(ონ)ს [რლა], დეკემბერსა დამდეგსა, ჴელითა ოსნასძისა იოვანესითა.

ვინცა მოგიშალოს, ღ(მერთმა)ნ ჰკითხოს.

* ჟორდანიას შენიშვნა: ნუსხაში „გლეხები“.

7

1445. 26 აგვისტო. სიგელი დიმიტრი მეფისა ზაქარია დარი[გება]შვილისადმი

დედანი დაკარგულია. არსებობს ორი პირი: 1. ხეც, Hd-10402, გადაწერილი დედნიდან XIX ს. დასაწყისში არქიმანდრიტ ელეფთერის მიერ; 2. სეა, 1449-1597, გადაწერილი ს. კაკაბაძის მიერ ტყავზე შესრულებული დედნიდან, ზომით 37×25. იქვე მითითებული აქვს დედნის ძველი სარეგისტრაციო ნომერი №292.

საბუთი გატარებულია გუჯრების წიგნში: სეა, ფ. 1451, დ. 2, №292.

საბუთს უზის თარიღი: ქრონიკონი რლგ (133) /1445/, აგვისტოს კვ (26).

გამოცემები: [41], თ. ჟორდანია, 257 (შემოკლებით); 2) [8], ი. დოლიძე, 818 (დ).

წინამდებარე გამოცემა ემყარება ხეც, Hd-10402-ს.

ქ. ჩუენ, მეფეთა მეფისა ალექსანდრეს ძემან მეფემან დიმიტრი, ესე ნასყიდობის სიგელი ამისად ნიშნად გიბოძეთ თქუენ, დარ[იგება]-შვილთა:* ზაქარიას და დავითს, შენსა შვილსა** ბასილს, მას ჟამსა, ოდეს მოხუედით წ(ინაშ)ე ჩუენსა და გუეაჯენით, რათამცა მეფისა ზურის თავსა მიწა თქუენთუის მოგუეყიდა.

ვისმინეთ აჯა და მოჴსენება თქუენი და მოგყიდეთ ქალაქს, მეფისა ზურისა თავს მიწა სავენაჴე, კლდე[ს] ქუეით, ქვემო სარიჯამდისი (sic) წყაროთურთ, ჴევს გაღმა და გამოღმა. და ავიღეთ თქუენგან ფასი სრული, რითაც შეგჯერდებოდი.

გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ თქუენ და თქუენთა შვილთა და შვილისშვილთა და მომავალთა, ყოველთავე სახლისა თქუენისათა, ყოვლისა ადამისა ნათესავისა კაცისაგან უცილებლად. არავის-რა საქმე უც თქუენს გუერდის. ვინცა და რაცა კაცი მოგესარჩლოს, პირისა და პასუხის გამცემნი ჩუენ ვართ.

დაიწერა სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს რლგ, თუესა აგუისტოსა კვ.

[2-2] დარ[იგება]შვილი] დარიბეგაშვილი ნსხ. დარჩიბეგაშვილი კ. [3] ბა[სი]ლსა] ბარლსა დ. [4] რითამაც დ. [5] თქუჱნთჳს ნსხ. თქუენთჳის დ. [6] მოხსენება დ. [7] სავენახე დ. კლდე დ. სარიჯამდისი] სრიმდის (sic) დ. [11] თქუჱნისათა ნსხ. [12] ვინაც დ. პირსა დ. გამცემი დ. ჩუენა დ. [14] თჳესა დ. აგვისტოსა დ.

იხ. აქვე გვ. 23. გვარსახელი დარიგებაშვილი აღდგენილია დიმიტრი მეფის სხვა საბუთის (1448-5234) მიხედვით, რომლის თანახმად, დიმიტრი მეფე ზაქარია დარიგებაშვილის ნაქონ მიწას მიჰყიდის მიტროპოლიტ ხრისანთეს.

** ს. კაკაბაძის შენიშვნა: დედანში ეს სიტყვა განახლებულია.

8

[1445-1452]. შეწირულების განახლების სიგელი დემეტრე მეფისა შიომღვიმის მონასტრისადმი

დედანი; ხეც, Ad-1გ. ეტრატის გრაგნილი, ზომა: 238×25,5/26,3; 6 კეფი. ტექსტი შესრულებულია შავი მელნით, არაკალიგრაფიული მხედრულით, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთს უზის ძველი სააღრიცხვო ნომერი №67.

Ad-1 აერთიანებს რამდენიმე საბუთს. ამათგან პირველი – გრიგოლ სურამელის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი – წარმოადგენს დედანს. მეორე და მესამე – ფავნელისა და მიქაელ მემღვიმის დაწერილები XIII ს. II ნახევარში გადანუსხული პირებია. ყველა ეს საბუთი გამოქვეყნებულია ისტორიული საბუთების კორპუსის პირველ ტომში (იხ. ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 16-19, 121-128). დემეტრე მეფის სიგელი მოთავსებულია VI კეფის verso-ზე, უკავია არე – 42,5×25,8. დემეტრეს სიგელი მიზნად ისახავდა ყველა ძველი საბუთის განახლებას, ამიტომ მიუწერიათ იგი ეტრატის ცარიელ არეზე.

საბუთი უთარიღოა. თარიღდება დემეტრე მეფის ზეობის (1445-1452) წლებით.

გამოცემა: [34], თ. ჟორდანია, 74.

ჩუენ, მეფეთ მეფის ალექსადრეს ძემან, მეფემან დემეტრე, |[2]დავითიან-ბაგრატონიან[მან], ნებითა ღ(მრ)თისათა ჩრდილოე-თ|[3]ისა, აფხაზ[თა], რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშე, შ|[4][ა]ნშე.

და, რათამცა სიგლ{ი}თა ამით შეგ{ი}წყალეთ, მოხუედით წ(ინა)შე ჩ|[5]უენდა მღუიმელნი კრებულნი და გუეაჯენით. ვისმინეთ აჯა|[6] და მოწსენება თქუენი და მოკითხულობა ვქენით და წმი|[7]დის შიოს ნასყიდი და მკუიდრი იყო, რაცა ამა სიგელს{ა} |[8]შიგან სწერია და სხუითა მებატონეთაგან შეშლოდა წმიდ(ა)სა შიო|[9]სა.

და აწ, ჩუენ დაგიმტკიცეთ, წმიდის შიოს ყოფილიყო. |[10]ადამიანის ნათესავისაგან უსარჩლელად და მოუდევრად, |[11]ამ{ა} პირსა ზედან, რომე ამბროსობას დღესა დაუკლე|[12]ბელად აღაპსა გარდაიჭდიდეთ ჩუენისა სულისათუის.

ხელრთვა:

|[13]მე დემეტრე ამის დამ{ა}მტკი|[14]ცებელი ვარ.

---

[2] ბაგრატონიანი ნსხ.[4] შანშე ნსხ. [9] წმიდას ნსხ.

9

[1445-1452]. ნასყიდობის წიგნი დიმიტრი მეფისა მიტროპოლიტ ხრისანთესადმი

დედანი, სეა, 1448-5234; ღია ყავისფერი შეფერილობის ვერჟერებიანი ქაღალდი, ზომა: 22×17,7. საბუთი კარგად არის შენახული, რამდენიმე ადგილას აქვს ძალზე პატარა წრიული ნახვრეტები, რომლებიც ამოვსებულია სარესტავრაციო ქაღალდით, ასეთივე ქაღალდითაა გამაგრებული კიდეები. ყავისფერი მელანი; ხელი – მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. verso-ზე ქვედა კიდეზე უზის რუსული მმართველობის სარეგისტრაციო ნომერი №293.

ტექსტის გაუწაფავი ენა და ორთოგრაფიული შეცდომები მიანიშნებს, რომ მისი შემდგენი არ იყო განსწავლული მწიგნობარი.

საბუთი გატარებულია გუჯრების წიგნში: სეა, ფ. 1451, დ. 2, №293.

საბუთი უთარიღოა. ტექსტში მოხსენიებული ფაქტი – ზაქარია დარიგებაშვილისათვის მამულის მიყიდვა დადასტურებულია 1445 წლის დიმიტრი მეფის მიერ გაცემული საბუთით (იხ. აქვე, გვ. 21, ხეც, Hd-10402). დიმიტრი მეფედ იხსენიება 1452 წლამდე, ამრიგად, საბუთი შეიძლება შედგენილიყო 1445-1452 წლების შუალედში.

საბუთი ქვეყნდება პირველად.

ქ. ჩუენ, მეფეთ მეფემ დიმიტრიმ, ეს[ე] ნასყიდობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ |[2]თქვენ, თბ{ი}ლიზის სიონში მყოფს ბერძენს მიტრაპოლიტს ხრისან|[3]თეს. ასე რომ, თქვენ საბერძნეთიდამ ჩვენს ქვეყან{ა}ში საღ{უა}ნლ{ა}თ |[4]მოსულიყავით. მა[ს] ჟამს{ა} კურთხეული მამა ჩვენი მეფეთ მეფე ალე|[5]ქსანდრე მეფობდა. თქვენ გაგწყ[რ]ობოდათ, საბერძნეთს აღარ გ{ა}ეშვი|[6]თ, თქვენის პატრია[რ]ქის შენდობის წიგნიც თქვენთვის მოეტნინებ|[7]ინა, რომ ამ ქვეყან{ი}ს მეფე[ე]ბს ხლებოდით. და კურთხეულს მამაჩ|[8]ვენს სიონი და მისი მამული თქვენთვის ებოძებინა. ჩვენი მლოც|[9]ვე[ლ]ნი სიონში მეფის სულის მომხსენებელი იყოფებოდი.

მა[ს] ჟ[ა]მ[ა]||[10]დ ჩვენი ყმა დარიგებაშვილი ზაქარია და მისი შვილი დავით და ბა|[11]რალა დიდის სატკივრისაგან უძეონი ამოსწყდენ. იმ[ა]თ ჩემ[გა]||[12]ნ მეფე[ე]ბის ზ[ვ]რის თავს, მაღ{ა}ლს კლდეებს ქვეით, ხევს გა|[13]ღმა და გამოღმა, რაც რომ მინა ან წყაროები არის, ს[ა]ხმარი თუ უხმარი, ქვემო სრისვემის წყალი რომ ჩამოიყლის, |[14]იქამდინ, გაღმა

[2] თიბელიზის ნსხ. [3] საუღლთ ნსხ.

verso ჩვენი ზ[ვ]რის თავ[ა]მდინ, გალმა და გამოღმა, ||[15]მაღლა, წვერ[ო]ბ[ა]მდინ, – ჩვენგან მისყიდული ქონდა. ის რომ ამოვ{ა}რდა, |[16]ჩვენი ნაბოძები წიგნი ჩვენვე მოგვართვა.

თქვენ, სიონთა მყოფი მ|[17]ობძანდი და დიდათ გაის[ა]რჯეთ და ჩვენი გული შეიჯერეთ. |[18]და თქვენს სიონთა და თქვენ, ხრის[ა]ნ|[19]თეს, გიბოძეთ, როგორც ძველს სიგელში და ამ წიგ[ნ]შ|[20]ი წერია.

ასე გვიბოძებია, არც ჩვენგან და არც სხვათ მეპ[ა]ტ|[21]რონეთაგან არ მოეშალოთ. თუ ამაში ვინებე, ქალაქის კაცთ, ან |[22]სხვ[ა]თ სიტყვა რამ გაგიბედოთ, პირის და პასუხის გამცემი |[23]ჩვენ და ჩვენი შედეგნი მეფენი იყვნენ. ღ(მერ)თმან სიონსა და შიგ |[24]მყოფთ ეპიზკოპოზთ მოგახმაროთ. დამამტკიცებელი ამის აკუ|[25]რთხოს ღ(მერ)თ(მა)ნ. ვინც ჴელყოს შლ[ა]თ, მასმც{ა} რისხავს სიო[ნ]|[26]თა მღ(რ)თისმშობელი და ძე მისი უფალი და ღ(მერ)თი იესო |[27]ქრისტე, ყოველთა განმ[ა]ცხოველებელი.

მინაწერი ტექსტისაგან განსხვავებული ხელით:
მა. ქ. გარეთუბნის ბაღის გუჯარი.

10

1446. 7 მარტი. შენირულობის სიგელი გიორგი მეფისა სვეტიცხოველისადმი

დედანი დაკარგულია. არსებობს საბუთის 4 პირი, გადაწერილი XIX საუკუნეში სინოდის კანტორის კუთვნილი დედნიდან (№269). პირები დაცულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილებაში. ამათგან ორი პირი: 1. სპბაი, H-6 (G-29 b; H-46)-1 Лл. 2a-4a; 2. სპბაი, E-95(E-156s)-1 Лл. 1a-3a, გადაწერილია დედნიდან 1846 წელს თბილისში მ. კოლოუბანსკის მიერ; 3. სპბაი, H-13 (G-29; H-61)-1 Лл. 1a-3a, გადაწერილია ძველი პირიდან 1840 წელს პ. იოსელიანის ზედამხედველობით; 4. სპბაი: E-73 (E-102)-57 Лл. 136a-139a, 1848 წელს პეტერბურგში გადაუწერია ს. ტაბიძეს.

საბუთი გატარებულია გუჯრების წიგნში №I, სეა, 1452, №I

თარიღი: საბუთს უზის თარიღი, ქორონიკონი რლდ (134) /1446/, მარტის ზ (7), გიორგი მეფის მეფობის იგ (13) ინდიქტიონი. აქ ინდიქტიონსა და ქორონიკონს შორის 13 წელია აცდენა, რაც შესაძლოა, ტექსტის მრავალგზისი გადაწერიდან მომდინარეობდეს. გიორგი VIII-ის გამეუება 1446 წელს სხვა არა ერთი დოკუმენტით არის დასაბუთებული, ამიტომ მოცემული საბუთის დათარიღებისათვის „კორპუსში“ სარწმუნოდ არის მიჩნეული ქორონიკონის (1446) ჩვენება.

საბუთის დამწერი: მცხეთის ქადაგი მაღალაძე დიმიტრი.

გამოცემები: 1) [50], С. Какабадзе, №20, 68-69 (აღწერილობა); 2) [51], С. Какабадзе, №37, 156-158 (რუსული თარგმანი საღვთისმეტყველო შესავლის გარეშე, კომენტარითა და ლექსიკონით).

საბუთის გამოცემას „კორპუსში“ საფუძვლად უდევს პეტერბურგული პირი – H-6 (G-29b; H 46)-1, Лл. 2a-4a.

ქ. პირველითაგან მყოფო ღ(მერ)თო და მარადის თანაარსო და არსებით [დაუსაბამოო] ძეო და სიტყუაო მამისაო, უწინარესო ჟამთაო, ღ(მერ)თო მამაო, ღ(მერ)თო ძეო და ღ(მერ)თო სულო წმიდაო; არა სამნო ღმერთნო, ა(რამე)დ პირებითა განყოფილნო, ბუნებით{ა} შეყოფილ[ნ]ო და მღუთაებ{რ} განუყოფელო. ერთო ღ(მერ)თო, რ(ომე)ლი აღსასრულსა ჟამთასა მოხუედ შემოსად თბისა ადამიანისა, განჰკაცენ და იშეე მღუთაება-უქცეველად ორითა ბუნებითა, და ივნე უვნებელმან ჴსინისათვის ნათესავისა კაცთასა. და აღადგინე პ(ირვე)ლი დაცემული მამა ჩუენი და თან-აღადგინე ბუნება ჩუენი მოკუდავი, რათამცა ურჩნიცა სამკუიდრებელი შენდა ვიყუნეთ და ურწმუნონი მორწმუნე გუყუენ.

ეჰა, სახიერებასა შენსა, რ(ომელ)მან უმჯობესი წინასწარ განიგულე ჩუენთჳს და მოგუეც [ჯუარი] შენი უძლეველი საძლეველი და ყ(ოვლა)დ ძლიერი და საყდარი დიდებისა შენისა.

ეჰა, საყდარო კათოლიკე ეკლესიაო, უდიდებულესო და უალმატებულესო ადამისითგან ვიდრე მოაქა{მომ}დე ყ(ოველ)თა, და ვიდრე აღსასრულამდე ყოფილთა და ყოფადთა საყდართა და ეკლესიათაო; დიდებაო, სიმტკიცეო, სიქადულო, საფარველო და გუირგუინო მორწმუნეთაო, რ(ომე)ლი იდიდები ანგელოსთაგან, შეიმკუები მოციქულთაგან, იაურთხევი მღუდელთმოძღუართაგან და თაყუანის იცემები მორწმუნეთაგან; და საშუალ გიპყრიეს და გარე შეგიცავს სასო[ი] და მარადის მადი[ნე]ბელი ცხორებისა.

ეჰა, სუეტო ღ(მრთ)ივ-დიდებულო და ღ(მრთ)ივ-ბრწყინვალეო, სიმტკიცეო და სიქადულო ქართუელთა ნათესავისაო, რ(ომე)ლი აღყუანებულ იქმენ ზეცად ანგელოსთა მ(იე)რ და კ(უალა)დ გამოგუიჩნდი მსხდომარეთა ბნელსა და დაეშყარე შორის ცასა და ქუეყანასა; და იწყე დენად მირონ[ი]სა მ[ი]ს ღ(მერ)თ-მყოფელ[ი]სა, რომლისა მიერ განქარდეს და დაეცნეს და შეიმუსრნეს, განიბნივნეს და განილივნეს ყოველნი საძაგელნი და ბილწნი კერპნი არმაზ-ზადენისნი, და მოოჴრდა ყოველი შენებულება მათი; დაიქცეს და იარვარ-იქმნ{ნ}ეს ყოველნი ბომონნი და [და ბაგინნი] საზორველნი და სამსახურებელნი მათნი. და აღაშენნეს მათ წილ სახლნი ღ(მრთ)ისანი, ტაძარნი დიდებისანი და საყდარნი სამეუფონი;

რომელსა შ(ინ)ა მკუიდრ არს კუართი საუფლო, ზეგარდამო ქსოვილი, შეღებული სისხლითა მით საუფლოჲთა;

რომლისა მ(იე)რ განმტკიცნა ს{ჯ}ული და განათლდეს ყოველნი ადამიანნი და მხიარულ არს ყოველი სოფელი; და განთავისუფლდეს და განიხსნნეს კრულნი. და ვინ მიუთხრას და ანუ სასმენელ ჰყუნეს ქებულებანი შენნი!

მე, მინდობილმან და მოქენემან შენ ეუენათა და ცუა–ფარვათა შენთამან, თქუენ ძლით მპყრობელმან, კახეთისა მეფემან გიორგი, ძემან დიდისა და მეფეთა შორის სანატრელისა და ღუთივ-გუირგუინოსნისა და ღ(მრთ)ივ-დიდებულისა, სულკურთხეულისა მეფეთა მეფისა და მონაზონისა ალექსანდრე დავითიან-ბაგრატონიანისამან, ჴელჳყავ და გულსმოდგინედ ვინყე ძიებად, რათამცა მცირედითა რათამე და უნივთოთა ნაღუაწითა მემსახურა ჩუენ[ი]სა საპატრიაქოსა საყდრისა, დედაქალაქისა მცხეთისა და მას შ(ინ)ა ღმრთივ-აღმართებულისა სუეტისა ცხოველის-მყოფელისათუის.

შევსწირეთ და მოვაჴსენეთ ურდოელაშვილი მისითა მამულითა ძაგნაკორნათა, ღაფირისძისეულითა და ბაღდაურითა; და შალვაშვილი მისის მამულითა და ქალაქს სასახლითა, გლეხებითა და ქულბაქებითა. და, რისაცა მქონებელი ყოფილა, მით ყუელათი უკლებლად შემოგუიწირავს და მოგუიწესენებია. სოფლები ბიწმენები მისითა მამულითა, სრულად და უკლებ{ე}ლად.

---

[1] სამკუდრებელი ნსხ. [9] გკრგჳნო ნსხ. [12] მადი[ნე]ბელი] მადიდებელი ნსხ. ცხოვრებისა ნსხ. [15] გამოგჳჩნდი ნსხ. [21] საზორველნი ნსხ. [23] მკუდრ ნსხ. [31] გკრგჳნოსნისა ნსხ. [36] მყოფელისათჳს ნსხ. [37] მოვახსენეთ ნსხ. [40-41] შემოგჳწირავს ნსხ. [41] მოგჳწესენებია ნსხ. [42] სრულიად ნსხ.

დაგიმტკიცეთ თქუენ, ნინათევ წინასწარმეტყუელთაგან მოსწავებულსა, ქრისტეანეთა განმანათლებელსა, ახალსა იერუსალიმსა, კათოლიკე საყდარსა, სუეტსა ღ(მრთ)იე-აღმართებულსა, კუართსა სამეუფოსა და მირონსა ღ(მერ)თ-მყოფელსა.

და თქუენ, წმიდაო მღუდელმთავარო და შესავედრებელო სულისა ჩუენისაო, ყ(ოვლა)დ პატიოსანო და თანა-მერაბამეო [წმიდათა] მღუდელთმოძღუართა ბასილი და გრიგოლისო, ქართლისა კათალიკოზ{ო} შიო, ნუმცა დაიწყებულ ვიქმნებით თქუენ მ(იე)რ მსხუერპლის შემწირველობათა შ(ინ)ა თქუენთა, რ(ათ)ა მექმნას მე წამალ და ემპლესტრო და სილოამებრ აღმეხილნენ თუალნი გონებისა ჩემისანი.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ურდოელასშვილი მისითა მამულითა, სრულად და უკლებ{ე}ლად, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, ველითა, ვენაჯითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთი, სარუითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, და მისითა სამართლიანითა მზღურითა, საჴმრითა და უჴმრითა – ყუ{ე}ლათი, მკუიდრად და შეძუელებით.

და ვითა ვერავინ მკადრე არს, აგრე უცილებელად ყ(ოვლ)ისა კაცისაგან და შეუცუალებელად, არას ჟამისა გამოცუალებისათუის არ შეიცუალოს არა ჩუენგან და არა შ(ემდგომა)დ ჩუენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთაგან, და არას ნათესავისა და არას სჯულისა კაცისაგან და არა დედაკაცისაგან.

და ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან, ანუ მძლავრმან მძლავრობით, ანუ უქუედაესმან რჩომისათუის შესცუალოს და ჴელჰყოს ამისა{დ} შლად და ქცევად და გამოჴუებად, ანუ ვინ იურვოს, ანუ ვინ მოურავად საჩუენოდ შექმნას, და ანუ [ვინ] რისაცა მიზეზისა შემოღებითა შესცუალოს და გამოაჴუას, შე-მცა-ცვალებულ არს სჯულისაგან ქრისტიანეთა, ჰრისხვსმცა დაუსაბამო ღ(მერ)თი, მამა, ძე და სული წმიდა.

უკ{უ}ეთუ მეფემან შესცუალოს, მეფეო მეფეთაო, შენ იგი შესცუალე დიდებისაგან შენისა; და უკ{უ}ეთუ დედოფალმან შეცუალოს, დედოფალო დედოფალთაო, შენ იგი შესცუალე დიდებისაგან შენისა და ძისა შენისა; და უკუეთუ უფლისწულმან შესცუალოს, უფალმან უფლებათამან განაგდოს ნათლისაგან წარუვალისა.

და ვინცა სხუამან კაცმან ანუ მოიგონოს, ანუ საქმით ისაქმოს, ანუ [თუით] თავისათუის ანუ სხუისათუის, აღიჴოცენ და მოისპენ ქუეყანით საჴსენებელი მისი. კრულმცა არს ცათა შ(ინ)ა და ქუეყანასა ზ(ედ)ა, შემცა-ედების ძრწოლა კაენისი, კეთრი გ{ე}ზისი, შიშთუილი იუდასი, დანთქმა დათან და აბირონისი, ნესტორის და ოროგინეს თანამცა არს სამკუიდრებელი მისი. მას ზედამცა დაესრულების ჴმა იგი ჯუარისმც[უ]მელთა, რ(ომე)ლთა თქუეს, ვითარმედ: „სისხლი მაგისი ჩუენ ზ(ედ)ა და

12-13 წისქვილითა ნსხ. 18 გამოცუალებისათჳს ნსხ. 22 რჩომისათჳს ნსხ. 23 გამოხუებად ნსხ. 24 შეექმნას ნსხ. 25 გამოახუას ნსხ. 27 შენ] თქუჱნ, ნსხ. 33 თჳთ ნსხ. თავისათჳს ნსხ. სხჳსათჳს ნსხ. ქუჱყანით ნსხ. 34 სახსენებელი ნსხ. ქუჱყანასა ნსხ. 35 შიშთჳლი ნსხ. 37 სამკჳიდრებელი ნსხ. 38 სთქუეს ნსხ. 39 შილთა ნსხ.

* მათე: 27,25.

შუილთა ჩუენთა ზ(ედ)ა“. და ასდამერვისა ფსალმუნისა წყევა მას ზ(ედ)ამცა და[ჰ]ჴდების და ჩემთუის{მ}ცა იგი განკითხვის დღესა მას დიდსა.

და ვინ დაამტკიცოს, ღ(მერ)თ(მა)ნ განგებული მისი ყ(ოველ)ივე მტკიცე ჰყოს.

დაიწერა სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა იგ, ქ(რონი) კ(ონ)სა რლდ, მარტის ზ, ჴელითა მაღალაძის გაგელისშვილისა და მცხეთის ქადაგისა დიმიტრისითა.

გადამწერის მინაწერი:

ზის ბეჭედი და არსცა ჴელმოწერილ, გარნა ძნელ წასაკითხია.

ცნობა საბუთის „ქართული ბეჭდით“ დაბეჭდვის შესახებ შეტანილია გუჯრების ნიგნშიც.

11

1446. სასისხლო სიგელი [გაგრატ] მეფისა ივანე თულასძისადმი

დედანი; Sd-796; ეტრატი, ზომა: 93×22; 2 კეფი: I – 35,2×22, II – 57,8×22. დაზიანება: ეტრატი ძალზე ჩამუქებულია ყავისფრად, თუმცა შენარჩუნებული აქვს დრეკადობა. თავი ირიბად აქვს წაჭრილი ტექსტის დასაწყისი 2/3 სტრიქონითურთ. კეფები სანახევროდ არის ერთმანეთზე გადაკერებული თეთრი ბამბის ძაფით. კეფების გადაუკერებელ კიდეებზე ჩარჩენილია ყვითელი აბრეშუმის ძაფის ნარჩენები, აშიები დამსკდარ-დასერილია, განსაკუთრებით ზედა და ქვედა აშიები. I კეფზე აქვს დიდი და მცირე ნახვრეტები, კეფების გადაკერების ადგილას ატყვია ობის ლაქები, რის გამოც აქ ტექსტი გადასულია. თითქმის სრულიად წაშლილია ტექსტის ბოლო სტრიქონები. მელანი ყავისფერი, ზოგან გაცხოველებულია შავი მელნით; ხელი მწიგნობრული მხედრული. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. სიგელი ე. თაყაიშვილისათვის გადაუცია ვახტანგ დიმიტრის ძე თულაშვილს. ტექსტი სინტაქსურად გაუმართავია. არასწორადაა შედგენილი დიპლომატიკური ფორმულები.

თარიღი: ე. თაყაიშვილს საბუთის თარიღი ვერ ამოუკითხავს, ამიტომ საბუთის გამცემად მიუჩნევია მეფე ბაგრატ V (1360-1393). მისივე ცნობით, სიგელის ფალბად გადაღებული პირი, რომელშიც ბაგრატი აშოტ კურაპალატის ძედ არის გამოცხადებული, მოიპოვება დ. ჩუბინაშვილის ნაქონ ხელნაწერში №3677. ამ პირის თარგმანი შეუტანია მ. ბროსეს თავის Introduction-ში, გვ. XC-XCIII. ს. კაკაბაძემ საბუთის გამკრთალებულ ბოლო სტრიქონებში ამოიკითხა თარიღი: ინდიქტიონი ბ და ქრონიკონი რლდ (134), რაც გვაძლევს 1446 წელს. ს. კაკაბაძის შეხედულებით, საბუთის გამცემი ბაგრატი უნდა იყოს დასავლეთ საქართველოში XV საუკუნის პირველ ნახევარში გამეფებული ვახტანგ მეფის ძე, რომელიც ამავე დროს გორგასლად მოიხსენიებს თავს (იხ. ს. კაკაბაძე, ვახტანგ, უცნობი მე-XV საუკ. აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი). „კორპუსში“ გაზიარებულია ს. კაკაბაძის დათარიღება

საბუთის დამწერი: ნიკოლოზი.

გამოცემა: 1) [54], M. Brosset, XC-XCIII. 2) [10], ე. თაყაიშვილი, 12-14 (თ); 3) [13], ს. კაკაბაძე, 3-6.

[ბაგრატისაგან]* ბაგრატოვანობით [აღმკულმან] |[2]ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა,|[3]კახთა და სომეხთა მეფისა, შავშინ და შარვაშინ და ყოლისა ჩრდ|[4]ილოეთისა აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის თვით-ხელმწი|[5]ფედ მქონებელ-მპყრობელმან, მეფეთ მეფემან ბაგრატ გო|[6]რგასალისაგან ბრძანებულ.

მოვიდეს წ{ი}ნაშე ჩუენსა ჩუენ{ი}, მათ|[7]ისა] და პატრონისა მეფობისა ტახტისა და გუირგუინ{ი}სა თაუდე[დები]||[8]თ ნამსახურ[ნი] და მომსახურენ{ი} და ნამსახური [მა]თის თულასძენ{ი} ივან|[9]ე და მიქაელ, შვილნი და მომავალნ{ი} სახლ{ი}სა მათისანი.

მას ჟამსა, ოდეს |[10]ჭლაგიანის აზნაურ{ი}შვილსა, თულაძე დემეტრეს, ნანიაი გერგეხელია სანადიროშიდა შეაკუდა, მას ჟამსა მოვიდეს წი|[11]ნაშე ჩუენსა, იაჯნეს და მოგვახსენეს, რათამცა ერთგულად |[12]ნამსახურითა მათითა სანაცვლოდ.

ექენით მოკითხულ{ი} და ვცა|[13]6{ი}თ მათი სახლ{ი}სა ვითარება და ერთობ საპატ{ი}ო კაცი ყოფილიყო |[14]და მისთანა სიგელ{ი} ქონებოდა. და იმავე სიგლითა ჩუენ ახლა|[15]დ დაუმტკიცეთ და გაუჩინეთ სრულ{ი} სისხლი.

და ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან, რასა გინდ ჟამ{ი}სა შემოსრულობისა და გამოცვალებისა, ანუ გამოუცვალებისათუის ამა ჩუენისა შემოწირულ{ი}სა მამულისა გამოჯუებითა, ესე ჩუენგან ჩუენითა წადილითა შემოწირული მამული თქუენ, დედაქალაქსა კათოლიკე მცხეთისა საყდარსა, გამოაჯუას და შეგიცუალოს, უკეთუ მეფემან შეცუალოს, მეუფეო მეუფეთაო, შენ იგი შეცუალე დიდებისაგან მისისა; ანუ თუ დედოფალმან შეცუალოს, დედოფალო დაბადებულთაო, შენ იგი შეცუალე დიდებისაგან შენისა და ძისა შენისა; ანუ თუ მძლავრმან მძლავრობით, ანუ უქუედაესმან რჩომისათუის, ანუ ვინ იურვოს, ან მოციქულად შეექმნას, შერისხდით თქუენ, ღ(მერ)თო დაუსაბამო, მამაო, ძეო და სულო წმიდაო. და შენ, ყ(ოველა)დ წმიდაო მშობელო მისო, ყოველთა დაბადებულთა დედოფალო, მისგან იძიე შური ჯუარისმცუმელთა ძისა შენისათა. შე-მცა-ედების ძრწოლა კაენისი, კეთრი გეეზისი, შიშთვილი იუდასი, მეხდატეხილობა დიოსკორესი, დანთქმა დათან და აბირონისი. ნესტორს და ორიგინეს თანამცა არს სამკუიდრებელი მისი. კრუმლცა არს ცათა შინა და ქუეყანათა ზედა მკუდარი და ცოცხალი მისი. შუიდთა კრებათა და ხუთთა პატრიარქთა მადლითა,

---

[10] პატრონნო] პატინი ნსხ. ჟ. მოიჯუებდით] მოიკლებდით ნსხ. კ.ჟ. [17-18] სასახლითა ნსხ. [25] გამოსცვალებისათვის კ. შემოწირულობის კ. [35] ჯვარისმცვმელთა ნსხ. [37] ოროგინეს ნსხ. ერგინეს კ.

და კათოლიკე დედაქალაქისა მცხეთისა, და მას შინა აღსრულებულთა მღდელ-მემსხურპლეობათა მადლითა. და ჩუენთამცა ბრალთა მზღველია წ(ინა)შე ღ(მრ)თისა.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქ(რონი)კ(ო)ნსა რლთ, მარტსა ⍥, ჴელითა ელიოზისძისა ელიოზითა. 5

გადამწერის შენიშვნა:
5 ჯვარია დასმული.

19

1451. 1 ივლისი. წყალობის წიგნი გიორგი მეფისა ვირშელ წულუკიძისადმი

დედანი დაკარგულია. იგი ეკუთვნოდა ხონის მკვიდრ ვინმე ა. წულუკიძეს, რომლისგანც, პირის გადაღების მიზნით, წამოუღია ა. ქუთათელაძეს და ე. თაყაიშვილთან მიუტანია. ე. თაყაიშვილმა საბუთი გადაწერა, თან დაურთო დედნის არქეოგრაფიული აღწერილობა და მისი მოპოვების ისტორია: „სიგელი 107×22 სანტიმეტრი, დაწერილია ტყავზედ მრგვალის და ლამაზის მხედრულის ხელით. თითოეულის სიტყვის შემდეგ ნამდვილში სამ-სამი წერტილია. სიგელი ეკუთვნის ა. წულუკიძეს და დროებით ხონიდან ჩამოიტანა ტფილისში ა. ქუთათელაძემ.“ ამჟამად მოგვეპოვება ე. თაყაიშვილის ხელით გადაწერილი პირი: ხეც, Qd-9601.

საბუთს უზის ორმაგი თარიღი: გიორგის მეფობის ე (მე-5) ინდიქტიონი და ქრონიკონი რლთ (139) ივლისის ა (1). ორივე თარიღი იძლევა 1451 წელს.

საბუთის დამწერი: წირქუალელისძე რატი.

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 262-263 (ჟ); 2) [9], ე. თაყაიშვილი, 14-15 (თ); 3) [12], ე. თაყაიშვილი, 14-15; 4) [6], ი. დოლიძე, 129-131 (დ).

ქ. სახელითა ღ(მრ)თისათა გი(ორ)გი მეფეთა მეფისაგან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატონიანისა; ნებითა ღ(მრ)თისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შანშა დაშარვანშა დაყოვლისა აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთისა ვიდრე დასავლეთამდის ფლობით მტკიცედ თუით-ჴელმწიფედ მფლობელ-მპყრობელთასა.

მოვიდეს წ(ინაშ)ე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერდგულნი და თავდადებით ნამსახურნი და ჩუენისა ტახტისა უზედაე ყოფისათუის დიდად ჭირნანახნი წულუკისძე ვირშელ და მისნი შვილნი: ვალადემურ, სალუყაზან, ბევროზ, ბეჟან და საიოშ. გუეაჯნეს და მოგუაჯსენეს, რათამცა მრავალთა ერდგულობა ნამსახურთა მათთასა შეგუეწყალნეს, სიგლითა ამით დაგუემტკიცა, და მათთვის მათისავე მკუიდრისა და ნასისხლისა და გუარეულად მათგანვე ნაქონებისა მამულისა წყალობა გუეყო.

დაგუაჯერა ღ(მერთმა)ნ და ვისმინეთ აჯა და მოჴსენება თქუენი და მოგიბოძეთ თქუენი მკუიდრი და ნასისხლი მამული და ყოვლისა ადამის

[8] ჩუენისა და ტახტისა ნსხ. ყოფისათჳს ჟთდ. [8] ვირშელი ნსხ. [10] ერთგულობა ჟ.თ.დ. [12] ნაქონებისათჳს ჟ.თ.დ.

ტომისა მონათესავისა კაცისაგან მოუდევარ-მოუსარჩლელი სოფელი იწა მისითა მიმდგომითა და გასათუალავითა მზღურითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, ველითა, ვენაჯითა, საყანითა, ტყითა, სანადიროთა, ჭალითა, სათიბითა, სასაძოვროთა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, საჴმრითა და უჴმრითა, მათითა ჭურ-მარნითა, სასახლოთა და მისითა სამართლიანითა, ერთობ სრულად და უკლებად.

გქონდეს, ვითა თქუენსა მკუიდრსა და ნასისხლსა მართებს, აგრე. ვერა ადამის ტომი კაცი, ვერ თავადნი და დიდებულნი, და ვერ აზნაურნი, და მათ უქუედაესნი, ვერას ჟამისა გამოცუალებისათუის ვერაოდეს ვინ მოგერჩოდეს, და ვერცა-ვინ გეცილებოდეს. და თუ ვინ მოგერჩოდეს, პირნი და პასუხისა გამცემნი ჩუენ ვართ. და თუ ვინმე ამა ადგილისა და სოფლისა გაცემულობისა წიგნი და ნიშანი ვინმე მოიღოს, ამა მტკიცითა სიგლითა გაგუიცუდებია და მტკიცე ესე ოდენ არის. ამად რომე მკუიდრი და ნასისხლი თქუენი და თქუენისა სახლისა ყოფილა და თქუენგან მეტსა სხუასა კაცსა არავის მართებს.

პაპანი და მამა თქუენნი ჩუენსა დიდსა სამსახურსა და ერდგულობასა შიგან დაჴოცილან და ჩუენთა გუართათუის მრავალი უმსახურებია. და თქუენ ობოლნი და წურილნი დარჩომილხართ. მას დროსა და ჟამსა შიგან მეჟმეობით თუ ვისმე ესე თქუენი მკუიდრი და ნასისხლი მამული სოფელი იწა გამოეურვოს და ეშოვნოს მეფეთაგან, მაშინცა დიდი ძალი და უსამართლო გჭირვებია. არა თუ ან, თქუენსა მკუიდრსა და ნასისხლსა ამა მამულსა სოფელსა იწასა მოგასარჩლოთ, და ძალად და უსამართლოდ ნაქონებისათუის ვისმე სხუასა კაცსა სიგელი აეღოს, ტყუვილია, ცუდი და უსამართლობა არის. და ამა ჩუენმან მტკიცემან სიგელმან გატეხოს იგი.

და არავინ გუიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ამის ბ(რძანე)ბულისა ჩუენისა, არცა ვინ მეუნებლე მავნებელ-დამაკლებელი, თუინიერ შეწევნისა და თანადგომის მეტი.

გქონდეს, თქუენ, ჩუენთა დიდად ერდგულთა და თავდადებით ნამსახურთა წულუკისძესა ეირშელსა და თქუენთა შვილთა: ვალადემურს, სალუყაზანს, ბევროზს, ბეჟანს და საიოშს და თქუენთა მომავალთა ყოველთავე, სოფელი იწა, თქუენი მკუიდრი და ნასისხლი მისითა მზღურითა, ველითა, ვენაჯითა, წყლითა, წისქუილითა, ტყითა, სანადიროთა, ჭალითა, სათიბითა, საყან{ი}თა, შესავლითა და გამოსავლითა, საჴმრითა და უჴმრითა, საძებრითა და უძებრითა, ყუელათა მისითა სამართლიანითა. ბრძანება ნიშნად გუიბოძებია.

აწ, ვინცა ნახოთ ბ(რძანე)ბა და სიგელი ესე შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა, ერისთავთ ერისთავთა, კარისა ჩუენისა ვაზირთა, მოურავთა, ჴელისუფალთა, დივანთა და მოსაქმეთა, მეკულუხეთა, პურისა და საკლავისა მკრეფელთა, ტყუისა და მპარავთ მეძებართა, ციხისთავთა და ციხოანთა, მეჯინებეთა, მერემაეთა, ახორსალართა, ბაზიართა, მესაბანჯრეთა

---

[2] წყლითა... სამართლიანითა]-ყ. [3] საყანოთა თ.დ. [4] სასაძოვრითა დ. [5] უხმრითა თ. სასახლითა დ. [7] მათითა+და დ. [6] ოკლებლად თ.დ. [9] გამოცუალებისათჳს ნსხ. [17] გუართათჳს ნსხ. [26] მეუბნებლე ყ.თ. თუნიერ დ. [28] ერთგულთა თ.დ.

და ყოველთავე კარით ჩუენით წარვლენილთა, დაუმტკიცეთ და ნუვინ უშალავთ მტკიცედ ბ(რძანე)ბულსა ამას ჩუენსა.

და თქუენ, წმიდანო მეუფენო, ქართლისა დაარაზეთისა კა(თალი)კოზნო, უჯუარობით დაუმტკიცეთ ბ(რძანე)ბული ესე ჩუენი.

დაიწერა ბ(რძანე)ბა და სიგელი ესე ინდიკდიონსა მეფობისა ჩუენისასა ე, ქო(რონი)კ(ო)ნსა რლთ, ივლისსა ა, ჴელითა წირქუალელისძისა რატისათა.

ხელრთვა:
ბრძანება ესე გიორგისი დაგუიმტკიცებია

20

1452. 12 ივნისი. წყალოგის სიგელი გიორგი მეფისა მაჭავარიან-სიქდურიშვილ გოგიასადმი.

დედანი დაკარგულია. გვაქვს პირის პირი; ხეც, Ad-1564, გადაწერილი XIX საუკუნეში ძველი პირიდან. საბუთის recto-ზე მიწერილია შენიშვნა: „ჩვენ ხელთა გვაქვს ძველის გუჯრიდან გადმოწერილი პირი სიგელისა“. ძველი პირი, „ცუდად გადაწერილი“, ჰქონია ხელთ თ. ჟორდანიასაც.

საბუთს უზის თარიღი: ქრონიკონი რმ (140) /1452/, ივნისის იბ (12). იგივე თარიღი (1452) მიწერილია საბუთის recto-ს ზედა აშიაზე.

საბუთის დამწერი: სახელი „მოემძი“ აშკარად დამახინჯებულია გადამწერთაგან.

გამოცემა: [41], თ. ჟორდანია, 264 (შემოკლებით).

ქ. ნებითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, ორისავე ტახტისა და სამეფოისა, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა თუითფლობით ჴელმწიფედ მტკიცედ მპყრობელმან, ღ(მრ)თივ-გუირგუინოსანმან მეფეთ მეფემან გიორგი, ესე შეწყალებისა სიგელი [დაგიწერეთ] და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა დიდად ერდგულთა და ნამსახურთა, მაჭავარიანსა სიქდურიშვილს გოგიას და გოგნიასა და მომავალთა თქუენთა ყოველთავე, მას ჟამსა, ოდეს [იაჯენით] თქუენსა მკუიდრსა და ნასისხლსა მამულსა ზედან, რომემცა ახლად ჩუენცა დაგუემტკიცა.

ვქენ{ი}თ მოკითხული და ჩუენ გუართა მეფეთაგან მკუიდრად და ნასისხლად გბოძებოდა. და აწ, ჩუენცა შეგიწყალეთ და დაგიმტკიცეთ თქუენი მკუიდრი და ნასისხლი სოფელი ზოვრეთი და წევა და ილემი, <ისე> მისითა სამ{ა}რთლიანითა ეკლესიითა, გლეხებითა, სასახლითა, ჭალითა, ვენაჯითა, საჴნავითა მიწებითა, წყლითა და წისქუილითა და სათიბითა, ტყითა და სანადიროთა, მთითა და ბარითა, საჴმრით{ა} და უჴმრითა, საძებრითა და უძებრითა, მზღვრითა, შესავლითა და გამოსავლითა და მისითა მიმდგომითა სამართლიანითა, ყოვლითურთ მტკიცედ და უნაკლულოდ.

გუიბოძებია და დაგუიმტკიცებია მკუიდრად, სამამულოდ, [...] შეძუელებით და მოუდევრად, უსარჩლელად ყოველთა [დაბადებულისაგან]. ჴელმოხსნით და გარდაწყუედით თქუენთუის დაგუიმტკიცებია. და, როგორაცა თქუენს მკუიდრსა და ნასისხლსა მართებს და აწ, ჩუენგან ნაბოძვარსა და დამტკიცებულს[ა]. აგრე [...] გაგითავდეს.

სიგელი ესე ნიშნად გუიბოძებია ქრისტეს აქათ რმ, ივნისს იბ, ჴელითა მოემძისათა (sic).

21

1452. 20 დეკემბერი. შეწირულების წიგნი ნანიტა ყიფიანისა ქვათახევის მონასტრისადმი

დედანი დაკარგულია. თ. ჟორდანიას სინოდის კანტორის ქვათახევის საბუთებში უნახავს ტყავის სიგელი (№8) და მისგან გადაწერილი ნუსხა (№49). გადარჩენილია ს. კაკაბაძის მიერ დედნიდან გადაწერილი პირი: სეა, 1449-1482. ტექსტს დართული აქვს დედნის არქეოგრაფიული მონაცემები: „ქვათახევის სიგელი №49, დაწერილი ტყავზე 63×22 სმ.“

ტექსტს ახასიათებს ა-მეტობა.

საბუთი გატარებულია 1818 წ. გუჯრების წიგნში: სეა, 1451, 3. №49.

თარიღი: ქორონიკონი რმ (140) /1452/, დეკემბრის 20.

საბუთის დამწერი: მორჩილისძე დავითაი.

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 263 (შემოკლებით); 2) [19], ს. კაკაბაძე, 10 (კ).

საბუთი ქვეყნდება სეა, 1449-1482-ის მიხედვით.

[ქ.] სახელითა ღ(მრ)თ(ი)სა[თა], მამისა, ძის{ა}თა და სულისა წმიდისათა; მეოხებითა ყო(ვ)ლ(ა)დ წმიდისა ღ(მრ)თისმშობელის{ა}, მარადის ქალწულისა მარი{ა}მისათა; ძლიერებითა პ{ა}ტიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარის{ა}თა, რომელს{ა} ზედა განიპყრნა ქრისტემან ღ(მერ)თ(მ)ან
5 [უხრწნელნი მკლავნი თუისნი] ჴსნისათუის ჩუენისა.

ოხითა და ვედრებ{ი}თა წმიდათა მთავარანგელოზთა მიქელ და გაბრიელისათა.

ოხითა და ვედრებითა წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისათა, იოვანე მახარებლისათა, ძედ ქუხილის{ა} [წოდებულისათა], რ(ო)მელი მიეყრდნა
10 მკერდსა საუფლოს{ა} და გამოიძინა საიდ{უ}მლონი ჟამსა ვნებისასა.

ოხითა და ვედრებითა წმიდათა ანგელოზთა, ცხრათავე დასთა მთავარანგელოზთა, სასოსა და მეოხსა და მფარველსა ჩუენ, ყო[ვე]ლთა ქრისტიან{ე}თასა.

ყო[ვე]ლთა მიუწდომელს{ა} ქუ{ა}თაჴევ{ი}სა ღმრთისმშობელს{ა}
15 წ[ინა]შევე ფ(რია)დ საწყალობელმ(ა)ნ ვიგულისმოდგინე, რომე სულ[ი]სა ჩემისათუის აქა, ქუ[ა]თაჴევს, აღაპი გამეჩინა.

[18-19] დაუტყუე[ვ]და ნსხ.

მას ჟამსა, როდ{ე}ს ქალაქი თათართა [ჰ]ქონდა, მოარდავე (sic) ესე კ ა ე თ ი ს ჴ ე ვ ი ნ ა რ ი ტ ყ ჳ ე ნ ე ს და ტ უ ა რ ს [ა] შ უ [ი] ლ {ი} ს ჯ ა ლ ა ბ ი დატყუე[ვ]და. მერმე მოვიდა, ამისი ზენა{ა}რი და აჴ{ა} ითხოვა, რომე: „მადლი არის, ურჯულ{ო}თა ჴელთა ამოვწყდითა, დავტყუვდ{ი}თა“. მერმე მან<ა> ვენაჴი მომყიდა, სამასი თანგა მიეცი. ასრე რომე, მონასტერს შეეკითხენით<ა>, ვითა: „თუ შემიწყალებთ<ა> და აქა, ქუათაჴევს, აღაპს შემიკუეთავთ, თანგას სამას[სა] ტუარსაშუილს მივსცემ და ვენაჴსს ჩემის სულისათუის ხატს{ა} და თქუენ მოგუაჴსენებთ<ა>“. მერმე ტუარს[ა] შუილმან ესე თქუა: „თუ მონასტერს ეპრიანებ{ი}ს და ვენაჴსა მე მიბოძე[ბე]ნ, აღაპს მე ვიქ და, თუ არა ეპრიანებ[ი]ს, ვენაჴი მონასტრისა არის, მე ვერ{ა} საქმე[სა] დავიგდ[ებ] და არც არაი საქმე მიც“.

აწ<ა>, შემოვ[ს]წ{ი}რე, მე, ფ(რია)დ ს[ა]ნყ{ა}ლობელმან, ყ ი ფ ი ა ნ მ ა ნ ნ ა ნ ი ტ ა მ ა და შუილთა ჩემთა: მ [ა] ხ ა რ ე ბ ე ლ მ ა ნ, ი ა გ უ ლ მ ა ნ ტ უ [ა რ ს ა] შ უ ი ლ თ ა გ ა ნ ნასყიდი ვენაჴი ქ ა რ ქ უ ტ ლ {ი} ს შ უ ი ლ ი ს ა ვენაჴს ზედა მოკ{ი}დებ{ი}თ, ქ უ რ ც ი კ ა ი ს <ი> და იას ჴელში [არის]. ასრე და ამა პირსა ზედა, როგო{რ}ცა ჩუენგანა ნასყიდსა მართებს, აგრე.

მონასტერს ჴელშეუე[ა]ლად [ჰ]ქონდეს ჩუენის სულისათუის<ა> სა[ა] ღაპო, რომე დეკემბერს ოცს აღაპსა ნურასა დაგუ{ა}კლებენ მონასტერი. თუ ტუარს{ა}შუილი აღაპს იქმოდეს, ჰქნას. თუ არა, უს[ა]მდურ[ა]ოდ ვენაჴი მონასტერს დაუდვას, აღაპს მონასტერი გარდაიჴდიდეს.

აწ, გქონდ{ე}ს სამკუ{ი}დროდ, უსარჩლელა{დ}, მოუდეერად ყოვლის კაცისაგან. რამანცა გუარმან კაცმან მოგიშალოს ესე ჩემი საუკ[უ]ნო აღაპი, ჩემთა ბრ{ა}ლთა და ცოდუათათუ{ი}ს იგი გაიკ[ით]ხოს დღესა მას საშ[ინ]ელსა, შეს[ა]ძრწუნებულს{ა} მეორედ მოსლვ{ი}სა[სა], ამინ.

დაიწერა სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს რმ დეკემბერს ოცს, ჴელითა ფ(რია) დ ცოდვ{ი}ლ{ი}ს მ ო რ ჩ {ი} ლ ი ს ძ ი ს ა დ ა ვ ი თ ა ი ს {ი} თ ა.

გადამწერის შენიშვნა:

დედანში სხვა მელნით ყოფილა მიწერილი: ნასყიდობის სიგელი ჰქონდა იას და ქურციკს. [მათი] კერძი ამ სიგლითა გაგუიცუდებია.

---

[10] ეპრიანებს ნსხ. ეპირიანებს კ. [11] ვერ კ. საქმე დავიგდ კ. [11] არც არი კ. [12] შემოვსწრე კ. სწყლობელმნა კ. [13] შვილთა ნსხ. მხარებელნან კ. იაგულმნა კ. ტურასშვილთაგან ნსხ. ტუარსშვილთაგან კ. [14] ქარქუტლ{ი}სშვილისა ნსხ. ქარქუტლს კ. მოკდებთა კ. [15] დაიას ჴელში კ. ზედ როგორცა [16] ჩუნგანა კ. [17] ჴელშეუჴლად კ. [18] ნურაისა დაგუკლებენ კ. [19] ტუარს{ა}შვილი ნსხ. ტუასშვილი კ. აქნოს კ. თურიუსმდრდ კ. [20] მოსტუამს კ. [21] გქონდს სამკუდროდ უსარჩლელა კ. [22] რამნცა კ. საუკნო აღპი კ. [23] ჩემთამცა კ. გაიკხოს კ. [23] საშელეს კ. [24] შესძრწუნებელს კ. მოსელსს კ.

22

[1452-1466]. შეწირულების სიგელი გიორგი მეფისა სამთავისისადმი

პირის პირი; სეა, 1449-1613; გადაწერილი ს. კაკაბაძის მიერ პირიდან, რომელიც ყოფილა შესრულებული თეთრ ქაღალდზე, ზომით: 23,1/2×10,1/2. აწერია ძველი საარქივო ნომერი №1.

საბუთი უთარიღოა. იგი გაცემულია გიორგი VIII-ის მიერ მანამ, სანამ კახეთში გადავიდოდა (1466). საბუთში ლაპარაკია დიმიტრის ნაქონ სოფელზე, რომელიც გიორგი მეფეს სამთავისის მონასტრისათვის შეუწირავს. აქ იგულისხმება მეფის ძმა დიმიტრი, რომელიც, ვახუშტის თანახმად, გარდაიცვალა 1452 წ. ამდენად, საბუთის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია დიმიტრის გარდაცვალების წელი (1452), ხოლო ზედა – 1466 წელი, რომლის შემდეგ გიორგი მეფეს ქართლის მამულებზე ხელი აღარ მიუწვდებოდა.

საბუთი ქვეყნდება პირველად.

ქ. ყ(ოვლა)დ საშინელო, არსებისა ხატო სამთავისისაო, მე, მარადის [მ]ვედრებელმან და მსასოებელმან ცვა-ფარვათა თქუენთამან, პატრონმან და მ(ღრ)თივ-გუირგუინოსანმა[ნ] მეფეთ მეფემან გიორგი, და ძემან ჩუენმან ალექსანდრე, გკადრეთ და მოგაჴსენეთ მცირე ესე შესანირავი – უსისტყეს სოფელი, დიმიტრის ნაქონი კაცნი და მამული მათითა მინდვრითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, მთითა, ბარითა, ტყითა, სანადიროთა და ეკლესიითა, ზვრითა და ხოდაბუნითა. და ამ სოფლის საზღვარი, ბარტყაძის ჴევის ბოლოს შარა რომ გაივლის, იმის ქვემოთ რომ ქვა გდია, იქამდინ: აქეთ, ყარაფლას წვერამდინ, დამწვარ ბერყენასთან რომ სამანი დაუცსთ, იქამდინ; ზემოთ მ[გ]ლისჯოგის კარის ბოლოს რომ ქვა გდია, იქამდინ; იქით, რუსხმულის გვერდზე რომ პატარა ჴევია, იქამდინ.

შეინირე, ეკლესიაო მღთაებისაო.

პირველი პირის გადამწერის მინაწერი:

ეს ამოწერილი ჩემგან არის ამოწერილი ჩემის ხელითა. უწყის უფალმან, ამილახორს ოთარს ჰქონდა ამისი ასლი, მდაბალი მთავარეპისკოპოსი პაისიოს.

პირველ პირს ჰქონია ოთხკუთხა ბეჭედი პაისიოს მთავარეპისკოპოსის ლეგენდით.

---

[3] გვირგვინოსანმან ნსხ. ჩვენმან ნსხ. [4] მოგახსენეთ ნსხ. [6] წისქვილითა ნსხ. [8] ხევის ნსხ. [11] ხევია ნსხ.

23

XV ს. შუა ხანები. მამულის გაყოფის წიგნი, მიცემული მღვთისავარა [დოლისძის] მიერ ვარდია დოლისძისათვის

დედანი; ხეც, Hd-1579ა, ეტრატის გრაგნილი, ზომა: 28×14,5; დაზიანება: ეტრატს აშიები ოთხივე მხრივ ჩამოჭრილი აქვს. ტექსტი თითქმის დაუზიანებელია, მოჭრილი აქვს დასაწისი სტრიქონი და recto-ზე ბოლო სიტყვა. მელანი შავი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საბუთი უთარიღოა: გრაფემათა პალეოგრაფიული მახასიათებლებით საბუთი XV საუკუნეს განეკუთვნება, ამასთანავე, საბუთში მოხსენიებული პირები თარიღის კიდევ უფრო დავიწროვების საშუალებას იძლევა: საბუთში ლაპარაკია დოლისძეთა სახლის გაყრაზე. ამ გაყრის შედეგად წარმოქმნილი ორი კომლიდან ერთ-ერთი – ძმები ვარდია და გოგია დოლისძეები იხსენიებიან კონსტანტინე მეფის 1564 წლის საბუთის ადრესატებად (სეა, 1448-5027). ამდენად, დოლისძეები გაყრილან 1464 წლამდე, დაახლოებით XV საუკუნის შუა ხანებში.

საბუთი პირველად ქვეყნდება.

ქ. სახე[ლითა ღ[(მრ)თისათა, მამისა, ძისა] და |[2]სულისა წმიდისათა; მეოხებითა ყო(ვ)ლა|[3]დ წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღ(მრ)თისმ|[4]შობელისა და მარადის ქალწულისა მარიამის|[5]ათა და ყო(ვ)ელთა წმიდათა ღ(მრ)თისათა.

ესე წი|[6]გნი მოგეც მე, ღ{ვ}თისავარამა და ყოველთა მო|[7]მავალთა ჩემთა შენ, დოლისძეთა ვარდი|[8]ასა და გოგიასა, შვილთა და მომავალთა თქუენთა, |[9]ყოველთავე. მოგეც მე, ღ{ვ}თისავარამა და ჟამი|[10]რმა, შვილთა და მომავალთა შენთა, ყოველთავე.

|[11]მოგეც მტკიცე ესე სიგელი მას ჟამსა, როდ|[12]ეს გავიყარენით და ჩუენი საქმე ბრჭობით |[13]გაგუიჩნდა. მოგხუდა ჩემგან ბრჭეთაგა|[14]ნ გაჩენილი ჭირნახული საწისქვილე, |[15]პირჩაღმა ერთი ნაფუძარი ანანას გორთან|[16]ა, პირჩაღმა ერთი მიწა, ერთი მიწა ნა|[17]კობლევთა* [... პი]|[18]რჩაღმა, საბათ გორს ქვემოთ, შარამდის, მი|[19]წა, რაც ჩემი იყო, ღუარის ნასდეგთა – ო|[20]რის დღის მიწა.

გქონდეს** მკუიდრ|[21]ად და შეუცვალებლად ყოვლისა კაცისაგან |[22]მოუდევრად და უსარჩელელად. ვინც და რამა|[23]ნც კაცმა, რასაც მიზეზ-

---

* ამ სიტყვის შემდეგ სტრიქონის ბოლომდე ტექსტი გადაშლილია.

** „გქონდეს“ ორჯერ მეორდება.

 ისათუის შეგი[ცვალოს, ||[24]შე-მცა-იცვალების რჯულისაგან ქრისტიანეთასა, რამანც] |[25]კაცმა შეგიცვალოს.

ამა დაწერილისა მო|[26]წამენი ვართ: წინამძღუარი ქვათაჴევისა |[27]გამზდელი და ერთსულებით ქვათაჴევ|[28]ელნი და სრულიად კავთისჴეველნი მამასახ|[29]ლისნი მონამენი არიან.

მე, ანდრიას დამიწე|[30]რია და მოწამეცა ვარ. მე ჟამიერისშვილი გო|[31]გ(ა)ტი და ჩემნი შვილნი ამისნი გამთავებელნი |[32]ვართ.

† †

24

1453. 6 აგვისტო. თარხნობის სიგელი გიორგი მეფისა ფილიპე ერემაძისადმი

დედანი; ხეც, Hd-1055; მუქი შეფერილობის ეტრატი, ზომა: 43,2×19,6. დაზიანება: ტექსტის დასაწყისი და ბოლო ნაწილები ჩაშავებულია, კიდეები ბეერგან დაფლეთილი, მთელი ეტრატი ალაგ-ალაგ დაფარულია ნესტის მოშავო ლაქებით. გადანაკეც ადგილებზე აქვს ნასკდომი ზოლები, გადაჭიმვის შედეგად – რამდენიმე პატარა ნახვრეტი. ტექსტი თითქმის არ ჩანს verso-ს დასაწყისში. შავი მელანი, რომელიც ზოგან გადასულია; მწიგნობრული მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

პირები: 1. ხეც, Hd-7339ა, გადაწერილი ე. თაყაიშვილის ხელით თაბახის ხაზიან ფურცელზე. იქვე მიწერილი აქვს ცნობა დედანზე: „ეტრატი და ნაწერი დაზიანებულია, რადგან სიგელი დიდხანს მიწაში ყოფილა შენახული“; 2. ხეც, Qd-9667, ე. თაყაიშვილის ხელით შესრულებული, დედნის განკვეთილობის ნიშნებით; 3. სეა, 1461, 14, №212 (შემოკლებით).

თარიღი: საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი რმა (141) /1453/, აგვისტოს ვ (6), გიორგი მეფის მეფობის მეექვსე ინდიკტიონი.

საბუთის დამწერი: გობირახის ძე გაბრიელი.

გამოცემები: 1) [10], ე. თაყაიშვილი, 16-17 (თ); 2) [1], ნ. ბერძენიშვილი, 2 (ბ); 3) [6], ი. დოლიძე, 131-132 (დ).

ქ. ჩუენ, ნებითა [ღ(მრ)თისა]თა ორისავე ტახ[ტ]|[2]ისა და სამეფოისა, ლიხთ-იმერისა და [ლი]ხთ|[3]-ამერისა, შანშე და შარვანშე და ყო|[4]ვლისა დას[ა]ვლეთისა და {ა}ღმოსავლეთის და [ჩრ]|[5]დილოეთისა თუით-ფლობით მტკიცედ მქ|[6]ონებელ-მპყრობელმან, პატრონმან მეფეთ |[7]მეფემან გი(ორ)გი და თანამეცხედრემან ჩუენმან, |[8]პატრონმან დედოფალთა დედოფალმან თამარ, |[9]ესე წყალობითა და შეწყალებისა, მტკიცე |[10]და შეუცვალებელი სიგელი გიბოძეთ თქუენ, |[11]ერამაძესა ფილიპე მღრდელსა, დავითს[...] |[12]და გიორგის და ელიაზარსა, შვ{ი}ლთა და |[13]მომავალთა სახლისა შენისა ყოველთავე.

---

[1] ჩუენ]-ბ. ღ[უ]თ[ისა]ითა ბ. ნებითა] წყალობითა თ. დ. [4] აღმოსავლეთისა დ. ბ. [5] თვითფლობით მტკიცეთ ბ. [6-7] მეფეთათ თ. [10] თქუენ] შენ ბ. [11] ერემაძესა თ.ბ.დ. ფილიპეს თ. დ. [12] ელიაზარსა]- თ. დ. და+[ყოველთა] თ.

შეგიწყა|[14]ლეთ და განგათავისუფლეთ ყოვლისა ფერ|[15]ისა და სათხო-
ვარისაგან ასრე და ამა პირთა ზედა, რო|[16]მე დღეს და {დ}ღესითგან წაღმა
არა გეთხოვებოდ|[17]ეს ერთისა ლაშქრობის მეტი, არ გეთხოვებოდეს. |[18]და
თორმეტთა საუფლოთა დღეთა ჩუენისა სულისათ|[19]უის და მეფობისა ჩუენისა
წარსამართებელ|[20]ად გუინირევდით. და ჩუენგან არა გეთხოვებოდეს არა
|[21]მალი, არა ღუინო, არა ზროხა-საკლავი, არა გოჭ-ქათამი, |[22]არა მუშაობა,
არა ულუფა, არა საჯინიბო, არა |[23]სახორსალალო, არა სა{ბ}ალახო და
სათესავი და სამკალი |[24]და სალეწა{ვ}ი და მამითნადი, არა საყველიარო,
ერთისა |[25]ლაშქრობისაგან მეტი არა გეთხოვებოდეს.

იყუენით |[26]საყდრისშვილნი და დეკანოზნი, საუფლოთა |[27]დღეთა
გუინირევდით. სხუა ამას გარეთ არა გეთხო|[28]ვებოდეს არა ჩუენგან და {ა}რა
verso შემდგომად [ჩუენ]|[29]სა უკ{ა}ნის მომავალთა მეფეთა და დედოფალ[თ]|[30]აგან,
და {ა}რცა შეგეცვალოს. არცა ვინ გუიბრ|[31]ძანებია მშლელ და მაქცევარ
ბრძანებულისა |[32]ამის ჩუენისა. და {ა}რც[ა უ]ლაყი გეთხოვებოდეს.

და|[33]იწერა წიგნი და ბ(რძანე)ბა ესე ქორონი)კ(ონ)ს რმა, აგუისტოსა
|[34]ვ, ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მე{ე}ქუსესა, |[35]წელითა კარის
ხუცისა ჩუენისა გ[ობირახ]ისძისა გა|[36]ბრიელისა[თა]. და მა{თ}თა
დღეთა საუფლო წირვასა |[37]თუ დაგუ(ა)კლებდეთ და {ა}რა გუიწირევდეთ,
ჩუენთუისმცა გ|[38]ანიკითხვით მას მეორედ მოს{ვ}ლისასა.

ხელრთვა:
გიორგი

საბუთის verso-ზე მიწერილია გიორგი მეფის მიერ იმავე ადრესატისადმი
მიცემული მამულის წყალობის სიგელი:

[ქ]. ჩუენ, მეფეთა მეფემან გიორგი, ესე |[39]წყალობისა და შეწყალებისა
წიგნი და სიგელ[ი]|[40] დაგიწერეთ და გიბოძეთ თქუენ, [ერემაძესა]
|[41][ფილიპე] მღდელსა, დავითს და გ(იორგ)ის [და თქუენთა] |[42]შვილთა
და მომავალთა ყოველთაევ.

შეგიწყალეთ |[43]და გიბოძეთ ცხოვრებაშვილის [მა|[44]მული] ჴევწუ-
რილისა უკანით, თბილელაურის ჴევსა წინათ რაცა იყოს, აღს|[45][.....].
გქონდეს სამკუიდროდ და სამამულოდ, როგორაც |[46]ჩუენგნით ნაბოძებსა
ჰმართებს.

---

[19] ჩუენის ბ. წარსამართებლად თ. [21] მალი] პური ბ. ღვინო ბ. [23] სახორსალალი ნსხ. საბალახე ბ. [24] მითანადი თ. სალენი ბ. [30] არცა ვინ] და არც ვინ ბ. [30-31] გუიბძანებია თ.დ.ბ. [31] მქცეარი თ.დ.ბ. [32] და არცა] დარცა თ. ულაყი] რაიმე თ.-ბ. გეთხოვებოდეს] გენიფებოდეს ბ. [33] ბრძანებაი დ. ბძანება ბ. [34] ინდიკდიონსა ბ. [35] კარისა ბ. [მოძღურ]ისა დ. [36] გაბრიელისა[თა]] – აღდგენილია პ. კარბელაშვილის პირის მიხედვით. იოსებისა ბურცულისთა თ., გაბრიელისა ბ. [36-37] მათთა დღეთა საუფლო წირვასა თუ დაგუ(ა)კლებდეთ] დამათა დღეთა თუ დააკლონ [ანუ] წირვასა თუ დაგუაკლებდეთ თ. [38] განგიკითხვიდენ თ. მოსულასა დ. მოსლასა ბ.

25

1453. 12 ნოემბერი. წყალობის სიგელი გიორგი მეფისა ზედგინ [ზევდგენისძისადმი]

დედანი დაკარგულია. გვაქვს დედნიდან გადარებული ორი პირი: 1. სეა, 1449-1242; იგი გადაღებულია დედნიდან, რომელიც 1869 წლის 28 თებერვალს წარუდგენიათ გორის მაზრაში ნამდვილობის დასადასტურებლად. იმავე წლის 11 მარტს რეგისტრაციაში გაუტარებიათ ნომრით: №955. საბუთის ნამდვილობას ადასტურებს „თბილისის ნოტარიუსი გრიგოლ რჩეულოვი"; 2. ხეც, Ad-1531, გადაწერილი თეთრ გერბიან ქაღალდზე პროპორშჩიკ სოლომონ ფურცელაძის მიერ, 1 ფრ.

თარიღი: საბუთს უზის თარიღი: ქრონიკონი რმა (144)/1453/, ნოემბრის იბ (12), გიორგი მეფის გამეფებიდან ი (მე-8) ინდიქტიონი.

საბუთის დამწერი: მუშრიბი წირქუალელისძე რატი.

გამოცემები: 1) [41], თ. ჯორდანია, 266-267; 2) [12], ე. თაყაიშვილი, 14-15 (თ); 3) [6], ი. დოლიძე, 132-133 (დ).

გამოცემა ემყარება ორივე პირს.

ქ. ჩუენ, ღ(მრ)თივ გუირგუინოსანმა[ნ] მეფეთა მეფემან გიორგი, ს[ო]ლომონიან-ბაგრატონიანმან, ნებითა ღ(მრ)თისათა აფხაზთა, [ქართველთა, რანთა], კახთა და სომეხთა მეფისა, შაჰანშაჰ და შარვანშაჰ, და ყოვლისა აღ[მოსავლეთისა და ჩრდილოეთისა ვიდრე დასავლე]თამდის თუით-ჴელმწიფედ მტკიცედ მფლობელ-მპყრობელთასა.

მოვიდნენ [ჩუენნი] დიდად ერდგულნი და თავდადებით ნამსახურნი, ჩუენისა მორჭუმისა და [ამოდ] ყოფისათუის დღე და ღამე მომჭირნენი, ჩუენი თავადი ყმა ზევდგინ, ეზოს ჩუხჩარეხი და გორის მოურავი ზევდგინ, იმა[რი]ნდო და ავთანდილ, გუეაჯნეს და მოგუახსენეს, რათამცა ერთგულობისა [მათისა სანაცვლოდ] სიგლითა ამით შეგუეწყ{ა}ლნეს და მათ[თ]უის წყალობა გუეყო.

---

[1] ჩვენ, გვირგვინოსნისა მეფეთა მეფისა გიორგისა ნსხ. ღთივთ ბაგრატიონმან თ. [2-3] [ქართველთა, რანთა]]–თ. [4] ჩრდილოეთისა –თ. შაჰანშაჰ] შანშე, შარვანშე ნსხ. შანშა და შარვანშა თ.დ. [5] ხელმწიფედ ნსხ. [6] ერთგულნი თ. მორჭმისათვის ნსხ. [8] ყმა ზედგინ] ყმა ზედგინ იყო თ. დ. გორისა თ.დ. [9] ამირინდო თ.დ. [9] გვეაჯნეს ნსხ., თ,დ. [10] შეგვეწყალნეს თ.დ. [11] გვეყო თ.დ.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი: ქარუმისძენი პატრონისა მეფისა ალექსანდრესგანცა თქუენთუის მკუიდრად საყმოდ [ნაბოძები იყო]. ნაბოძავმან კაცმან თქუენი თავი შემოგვაბეზღა და ცოტასა ოდენ ხანსა [გამოგართუით]. კიდე მოკითხული ვქენით და ყოველსა საქმესა ზედა მართალნი და უბრალონი [იყავით] და ჩუენა არაფერსა სამდურავს არას გემართლებოდით. და ქარუმიძე მკუიდრითა მამულითა თქუენვე გიბოძეთ მათითა მთითა, ბარითა, ველითა, ვენაჯითა, ტყითა, სანადიროთა, ჭალითა, სათიბითა, მზღურითა, სამართლიანითა ყუელათა – ერთობ სრულად და უკლებლად.

არავინ იყოს [მო]სარჩელე თქუენი – არცა მეუნებლე მავნებელ-დამაკლებელი, თუინიერ [თანა]მდგომისაგან კიდე. ბრძანება ნიშნად გუიბოძებია.

დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ინდიკტიონსა 8 მეფობისა ჩუენისა, ქრონიკოს რმა, ნოემბრის იბ; ჴელითა ნირქუალელისძისა მუშ[რიბის]ა რატისითა.

გადამწერის შენიშვნა:

ხელმოწერილ არის, რომელიც რომ არ წაიკითხება. ასლთან თანასწორე არის შემოწმებული, სოვეტნიკი ორბელიანი.

[1] ქარომისძენი თ.დ. [2] ალექსანდრესაგანცა თ.დ. [3] ჴანსა თ,დ. [3-4] [გამოგართვით] თ. [4] ზედან დ. [5] სამდურავსა თდ. [6] თქვენვე თ.დ. [7] ვენახითა ნსხ. დ. [8] ყველათი ნსხ. [10] თვინიერ ნსხ. ესე ბძანება და ნიშანი გვიბოძებია თ.დ. [11] ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა 8 თ. ჩვენისა ნსხ.

26

1453 წ. ახლო. პიროგის წიგნი საფარისა და ვარძიის მონასტრებისა [დავით კათალიკოსისადმი]

საბუთი დაკარგულია. მისი თავბოლონაკლული ქაღალდის დედანი ინახებოდა სინოდის კანტორის მცხეთის საბუთებში. თ. ჟორდანიას დაკვირვებით, საბუთი დაწერილი ყოფილა იმავე ხელით, რომლითაც არის შესრულებული გიორგი მეფის 1460 წლის სიგელი ქვათახევისადმი (ამჟამად Ad-601).

საბუთი უთარიღოა. თ. ჟორდანია ათარიღებს 1453 წლის ახლო ხანებით. გამოცემაში გაზიარებულია თ. ჟორდანიას დათარიღება.

გამოცემა: [41], თ. ჟორდანია, 268-269.

საბუთი ქვეყნდება თ. ჟორდანიას პუბლიკაციის მიხედვით.

... [ესე წიგნი გკადრეთ თქუენ, ქრისტეს ღ(მრ)თისა მ(იე)რ ქ(ართლი)სა კ(ათალიკო)ზსა], მეუფესა პატ[რონსა დავითს, დაგიდევით] აღთქმა [ჩუენ, საფარისა] და ვარძიისა ძმათა, მას ჟამსა, ოდეს მცბიერი ბერძენი მოვიდა, ცრუ წინასწარმეტყუელი, და მცირითა რათმე სიტყჳთა მიგვიზიდნა. აწ, თქუენ გაგუიწყერით და კიდეც უმართლე იყვენით, ამად, რომე დღეთა მისთა [ვითარცა ნესითა ყოფილ]ვართ, მითვე ნესითა ვიყვნეთ: არც მიტროპოლიტი (ბერძნისა) შემო{ვ}უშვათ, არც მისი წიგნი ვნახოთ, არცა მისი მცნება გავიგონოთ და არასთანა მისი არა ვირწმუნოთ; არცა უმცხეთოდ ჩუენი მღრდელი და დიაკონი იკურთხეოდეს; არცა რამ ჯავახეთს და ნალისყურს ვისაქმოთ სამწყსობისა პირზედა. და ვიყუნეთ თქუენისა ბრძანებისა მორჩილნი. ასრე, რაგუარა ესე...

27

[1453-1459]. ფიცის წიგნი ანჩელ ქერობინ აბელისძისა დავით კათალიკოსისადმი

დედანი; ხეც, Ad-512; ქაღალდი, ზომა: 30,6×13,7. საბუთის ზემოთა კიდე მოხეულია, დაზიანებულია მხოლოდ დასაწყისი სიტყვის ადგილი; შავი მელანი, ხელი – მხედრული; განკეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთი რესტავრირებულია. საბუთი ნომრით №296 და მისი პირი (№35) თ. ჟორდანიას უნახავს სინოდის კანტორის გუჯრებში.

საბუთი უთარიღოა. თ. ჟორდანია, რომელსაც დედანთან ერთად ხელთ ჰქონია ამავე საბუთის პირი, ფიცის წიგნის თარიღად უთითებს 1453 წელს. დედანში ეს თარიღი არ იკითხება, მაგრამ ჟორდანიას ეს ცნობა საგულისხმოა, რამდენადაც მის განკარგულებაში იყო სხვა საბუთებიც, რომლებიც ადასტურებდნენ დავით IV კათალიკოსის აქტიურ მოქმედებებს საათაბაგოს საეკლესიო სეპარატიზმის მხარდამჭერთა წინააღმდეგ ([41], თ. ჟორდანია, 268-269). ი. დოლიძე დასაბუთების გარეშე საბუთს ათარიღებს კათალიკოს დავით V-ის (1466-1479) წლებით. ეს დათარიღება ეჭვს იწვევს, რადგან 1466 წლიდან, როდესაც გიორგი VIII-სა და ყვარყვარე ათაბაგს შორის მშვიდობა დამყარდა, ყვარყვარე აღარც მცხეთის ტახტს ერჩოდა. ამდენად, საბუთი შედგენილი უნდა იყოს დავით IV კათალიკოსის ზეობის დროს, 1453 წლის შემდეგ (1453-1459).

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 267-268 (შემოკლებით) (დ); 2) [7], ი. დოლიძე, გვ. 218-220 (დ).

[ქ. სახელითა] ღ(მრთი)სა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისა; თავს|[2]მდებობითა, ოხითა და შუამდგომ[ე]ლობითა |[3]ყ(ოვლა)დ წმიდისა, უხრწნელისა და უმეტეს კურხე|[4]ულისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალ|[5]წულისა მარიამისათა.

თავსმდებობითა და შ|[6]უამდგომელობითა პატიოსნისა და ცხოველ|[7]სმყოველისა ჯუარისა ძელისა ცხორებისათა, რომელსა ზედა განკუართულ იქმნა ჴო|[8]რცითა ქ(რისტ)ე, ღ(მერ)თი ჩუენი, ჴნისათუის ჩუენისა.

თა|[9]ვსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წ(მიდა)თა |[10]ზეცისა ძალთა: მიქაელ და გაბრიელისათა, ცხრა|[11]არვეთა და ცხრათავე დასთა ანგელოზთა და მთავარა|[12]ნგელოზთა.

თავსმდებობითა და შუამდგომელობითა წმიდისა ი(ოან)ე ნინასწ(ა) რმეტყუელისა, წინ|[13]ამორბედისა და ნათლისმცემელისათა; და წმიდისა ი(ოან)ე მახარებელისა და ღ(მრ)თისმეტყუელისათა; |[14]თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელო|[15]ბითა წ(მიდა)თა თავთა მოციქულთა, პე-

ტრეს და პავლე|[16]სითა, ათორთა მოციქულთა და სამოცდაათეულთა მოწაფეთათა და წ(მიდა)თა მოწაფეთა: გ(იორ)გი, თ|[17]ეოდორა, დიმი-ტრი; და უფროსღა ყოველთა ჩრდილოეთისა კედართა შორის უაღრ{ე}ს-უზეშთაესი|[18]სა კ(ა)თ(ო)ლიკე დედაქალაქისა მცხეთისა საყდრის|[19]ა და მა[ს] შინა ღ(მრ)თივ-აღმართებულისა სუეტისა ცხო|[20]ველისა, კუართისა სამეუფოსა და მირონისა ღ(მერ)თ|[21]-მყოველისათა; და ყოვლად საშინელისა ანჩისა ხ|[22]ატისა თავსმდებობითა.

ამა ყოველთა ღ(მრ)თისა წ|[23](მიდა)თა, ზეცისა და ქვეყანისათა, თავსმდე-ბობითა და შუამ|[24]დგომლობითა, ესე წიგნი და პირი [გ]კადრეთ თქუენ, ქრისტეს ღ(მრ)თისა მიერ ქ(ართლი)სა კ(ათალი)კ(ო)ზსა დავითს, მე, აბ|[25]ელისძემან ანჩელ არქიმანდრიტმან ქერობინ, მ|[26]ის ჟ{ა}მისა შედეგად, ოდეს მანყუერელი და სამცხისა ე|[27]პისკოპოზნი თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი |[28]იყუნეს საფარის თაეზედა და თქუენ დიდითა |[29]ხუაშნითა მაკურთხეთ.

ან, დღესითგან წაღმა ჩემად დღედ სიკუდ|[30]ილამდი ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერდგუ|[31]ლი და მეფეთა მლოცველი, და ყოველთა წირვა|[32]თა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიჴსენებდეთ. ვი||[33]ნ[ცა] თქუენ-გან უჯუარო და შეუნდობელნი იყუენენ, ჩუენგა|[34]ნცა უჯუარო და შეუნ-დოებელი იყოს. თქუენგან შეუნდო|[35]ბელთა ებისკოპოზთა გუერდი[თ] ჟამი არ ვწიროთ, |[36]სადამდის თქუენგან აჴსნილობისა და შენდობისა˙ ნიშანი არა მოგუი|[37][ვი]დეს]. ვის სწყალობდეთ, ჩუენცა მისნი მლოცველნი ვიყუ|[38]ნეთ.

და თუ ყუარყუარე მანყუერლობა და ანუ სხუა რამე |[39]ჴელი გუა-ძლიოს და დაგუპატიჟოს კურთხევისა მი|[40]ზეზით, სადამდის თქუ{ე}ნსა საყ-დარსა არა დაემორჩილ|[41]ნენ და, რაზედაცა უწყრებით თქუენ[ი]სა საყდრისა წესითა, იგი ისრევე არა დაგეურვოს, როგორაცა თ|[42]ქუენ და თქუენსა საყ-დარსა გმართებს, მით წესი|[43]თა.

სხუა ჴელი არა გამოვართუა და არცა რა ვინდომო |[44]თქუენ{ა}დ და-უმოწმებლად და შეუნდობლად. თქუენისა ს|[45]აყდრისა მტერისა მტერნი ვიქმნეთ და ერდგულთა |[46]მოყუარენი მლოცველნი ვიყუნეთ, ვითა წესად ძ|[47]ეს, მეძლუნენი და მოსამსახურენი.

ესე ასრე გაგით|[48]აოთ ღ(მერთმა)ნ, მამამან და წმინდამან სულმან და |[49]იმა საშინელმან ხატმან ანჩისამან. და, რასაცა მიზეზის|[50]ათუის ესე აღთქუმა გიტყუეოთ და არა გაგითაოთ, |[51]თქუენისა კურთხევისა წილ წყევასა ქუეშე ვიყუნეთ ღ|[52](მრთ)ისა და მისთა წ(მიდა)თ(ა)სა. და კათოლიკე ეკლესიისაგან გ|[53]ანუისხნეთ, ვითარცა ურჩნი და ძკრის მოქმედნი. დ|[54]ა ვინ-ცა, ანუ სამწყსომან, ანუ სხუამა-ვინ კაცმა|[55]ნ შემიწყნაროს, იგიმცა კაცი კრულია ღ(მრ)თისა დ|[56]{ა}უსაბამოსა პირითა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.

---

[17] უაღრეს-უზეშთაესისა] უღირს-უზესთაესისა დ. [36-37] მოგუედვას, ნსხ. მოგუიდეს დ. [39-40] მიზეზითა დ. [45] ვიქმნეთ] ვიყუნეთ დ. [49] იმა] ამ დ.

„და შენდობისა" დაწერილია სტრიქონს ზემოთ.

სა|[57]დამდი[ს] თქუენვე არა შეიწყალოთ, მას გარეთ მაწყვერ|[58]ლობა და ანუ სხუა ჴელი რამე გუაძლიოს, არა გამოვა|[59]რთუათ ყუარყუარეს თქუენდა დაუმონმებლად. და ბატონი|[60]სა ჩემისა უზიანოთა საქმითა საყდრისა თქუენი[სა] ე|[61]რდგულნი ვიყუნეთ, ამა ზემო წერილთა მად|[62]ლმან და ძალმან.

განსხვავებული ხელით:
|[63]ესე ასრე გაგითაო[თ] მამამან და ძემან და სულმან წმიდამან.

მინაწერი XVII საუკუნის ხელით:
|[64]მ ე ს ხ თ [ა] ებისკოპ[ო]ზთა

[57] მას გარეთ] ამას გარეთ დ. [61] წერილთა]+წმიდათ დ.

28

[1453-1459]. ერთგულების წიგნი კუმურდოელ იოვანე ლასურისძისა დავით კათალიკოსისადმი

დედანი; ხეც, Hd-2082; ქაღალდი, ზომა: 30×25,7; დაზიანება: თავნაკლული, გადანაკეცი ადგილები გაცრეცილი, დალაქავებულია შუაში და გვერდებზე, კიდეები გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით; შავი მელანი; მწიგნობრული მხედრულით მწყობრად გამოყვანილი სტრიქონები; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთს უზის სინოდის კანტორის საარქივო ნომერი №311.

პირი: სპბაი, H-6 (G-29b; H-46)-40. Лл.72a-73a.

საბუთი უთარიღოა. მ. ბროსე საბუთს ათარიღებს 1447-1466 წლებით. დავით IV კათალიკოსის ზეობის წლებით (1447-1459) განსაზღვრავენ საბუთის შექმნის დროს ს. კაკაბაძე, ი. დოლიძე და სურ. კაკაბაძე. თ. ჟორდანია და ქ. შარაშიძე საბუთს ათავსებენ 1453-1459 წლებს შორის, ყვარყვარე ათაბაგისა და დავით IV კათალიკოსის თანმხვედრი წლების მიხედვით. იოანე კუმურდოელისა და მასთან ერთად ქერობინ ანჩელის (იხ. აქვე, გვ. 70, Ad-512) ერთგულების წიგნები ეხმიანება დავით IV კათალიკოსის მიერ საათაბაგოში („საფარისა თავზედა“) ჩატარებულ დიდ შეკრებას, რომელმაც სასტიკად დაგმო და შეაჩვენა მცხეთის ტახტის ორგული მღვდელთმთავრები. თ. ჟორდანიას მონაცემებით, ეს შეკრება ჩატარებულა 1453 წლის სიახლოვეს (ქრონიკები, II, გვ. 268-269). ამ ღონისძიების შემდეგ კათალიკოს დავითის სახელზე მრავლად იწერებოდა ე. წ. ფიცის წიგნები, რომელთა ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია. ამ მოვლენას ეხმიანება მოცემული საბუთიც. ამიტომ გასაზიარებელია თ. ჟორდანიას და ქ. შარაშიძის დათარიღება – საბუთი შიძლებოდა შექმნილიყო 1453-1459 წლებში.

გამოცემები: 1) [53], M. Brosset, 466-467 (შემოკლებული ფრანგული თარგმანი); 2) [41], თ. ჟორდანია, 268 (შემოკლებით) (ჟ); 3) [42], ქ. შარაშიძე, 25-27 (შ); 4) [7], ი. დოლიძე, 196-197 (დ); 5) [50], С. Какабадзе, 342-343 (აღწერილობა); 6) [51], С. Какабадзе, 184-185 (რუსული თარგმანი საღვთისმეტყველო შესავლის გარეშე, კომენტარებით, ლექსიკონით და ბიბლიოგრაფიით).

[ქ. სახელითა ღ(მრ)თისა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისა, თავსმდებობითა, ოხითა და შუამდგომელობითა ყ(ოვლა)დ წმიდისა, უხრწნელისა და უმეტეს კურთხეულისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა; თავსმდებობითა და შუამდგომელობითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა ძელისა ცხორებ]*|ისათა, რომელსა ზედა განკუარ-

* შესავალი ფორმულები აღდგენილია Ad-512-ის მიხედვით (იხ. აქვე, გვ. 70).

თულ იქმნა ჴორცითა ქ(რისტ)ე ღ(მერ)თი ჩუენი ჴსნისათუის ჩუენისა. |[2]თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წმიდათა ზეცისა ძალთა მიქაელ და |[3]გაბრიელისათა, ცხრა არეთა და ცხრათავე დასთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთათა.

|[4]თავსმდებობითა და შუამდგომელობითა წ(მიდი)სა ი(ოან)ე წინასწარმეტყუელისა, წინამორბედ|[5]ისა და ნათლისმცემელისათა და წმიდისა ი(ოან)ე მახარებელისა და ღ(მრ)თისმეტყუელისათა.

|[6]თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წმიდათა თავთა მოციქულთა პე|[7]ტრეს და პავლესითა, ათორთა მოციქულთა და სამეოცდაათეულთა მოწაფეთა |[8]და წ(მიდა)თა მოწამეთა: გ(იორგ)ი, თეოდორ[ე], დიმიტრი და უფროსღა ყოველთა ჩრდილოეთისა კედართა შორის |[9]უაღრეს-უზეშთაესისა კათოლიკე დედაქალაქისა მცხეთისა საყდრისა და მას შინ[ა] ღ(მრ)თივ-აღმართებული|[10]სა სუეტისა ცხოველისა, კუართისა სამეუფოსა და მირონისა ღ(მერ)თ-მყოფელისათა, და ყოველად საში|[11]ნელისა კუმურდოს ხატისა* ამა ყოველთა ღ(მრ)თისა წ(მიდა)თა, ზეცისა და ქუეყანისა|[12]თა. თავსმდებობითა და შუამდგომლობითა, ესე წიგნი და პირი გკადრეთ თქუენ, ქ(რისტე)ს |[13]ღ(მრ)თისა მიერ ქ(ართლი)სა კ(ათალი)კ(ო)ზსა დავითს, მე, ლასურისძემან კუმურდოელმან ი(ოვან)ე, მის ჲ(ა)მისა შედეგად, |[14]ოდეს მაწყუერელი და სამცხისა ებისკოპოზნი თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფა|[15]რისა თავზედადა თქუენ დიდითა ხუაშნითა მაკურთხეთ.

აწ, დღესითგან წაღმა ჩემად |[16]დღედ სიკუდილამდი ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერდგული, მეფეთა მლოცველი და |[17]ყოველთაწირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიჴსენებდეთ. ვინ თქუენგან უჯუარო და შეუნ|[18]დობელნი იყუნენ, ჩუენგანცა უჯუარო და შეუნდოებლი იყოს. თქუენგან შეუნდობელთა ებისკო|[19]პოზთა გუერდი[თ] ჟამი არა ვწიროთ და არცა მათსა სამწყსოსა უწიროთ, სადამდის თქუენგან |[20]აჴსნითობისა და შენდობისა ნიშანი არა მოგუიჴიდეს.

ვის სწყალობდეთ, ჩუენცა მისნი მლ|[21]ოცველნი ვიყუნეთ და, თუ ყუარყუარე მაწყუერლობა ანუ სხუა რამე ჴელი გუაძლიოს და დაგუპატი|[22]ჯოს კურთხევისა მიზეზითა, სადამდის თქუენსა საყდარსა არა დაემორჩილნენ და, რაზედაცა |[23]უწყრებით თქუენ[ი]სა საყდრისა წესითა, იგი ისრევე არა დაგეურჩოს, როგორაც თქუენ და თქუენ||[24]სა საყდარსა გმართებს, მით წესითა. *verso*

სხუა ჴელი არა გამოვართო და არცა-რა ვინდომო |[25]თქუენად დაუმოწმებლად და შეუნდობლად. თქუენისა საყდრისა მტერისა მტერნი ვიყუ|[26]ნეთ და ერთგულთა მოყუარენი და მლოცველნი ვიყუნეთ. ვითა წესად ძეს, მეძღუნენი |[27]და მოსამსახურენი.

---

[1] ჴსნისათჳს შ. [8] თეოდორა ნსხ. [9] მასშინ შ.დ. [11] კუმურდოსა შ.დ. [13] კუმურდოელმა ჟ. [14] ებისკოპოსნი ჟ. იყვნეს ჟ. [14-15] საფრისა ჟ. [16] ერთგული შ.დ. [18] იყვნენ შ. [19] გუერდი შ.დ. [23] რაგვარაც შ.დ.

* ამ სიტყვების შემდეგ უადგილოდ მეორდება „თავსმდებობითა".

ესე ასრე გაგითაოთ ღ(მერთმა)ნ, მამამან და ნმინდამან სულმან და |[28]იმა საშინელმან ხატმან კუმურდოსამან. და, რასაცა მიზეზისათუის ესე აღ|თ|ქმა გიტყუო|[29]თ და არა გაგითაოთ, თქუენისა კურთხევისა წილ ნყევასა ქუეშე ვიყუნეთ ღ(მრთ)ისა და მისთა |[30]ნ(მიდა)თასა. და კათოლიკე ეკლესიისაგან განვისხნეთ, ვითარცა ურჩნი და ძვირის მოქ|[31]მედნი. და ვინცა, ანუ სამწყსომან, ანუ სხუამა ვინ კაცმან შემინყნაროს, იგიმცა კაცი |[32]კრულია ღ(მრ)თისა დაუსაბამოსა პირითა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, სადამდის თქუენვე არა |[33]შეინწყალოთ.

ტექსტისაგან განსხვავებული ინდივიდუალური ხელწერით: |[34]ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კუმურდოელ|[35]|ი| მთავარებისკოპოზი ი(ოან)ე ამა დაწერილისა გამთავე|[36]ბელი ვარ. ამა ზემოწერილთა მადლმან.

[28] მიზეზისათვის შ. [29] გიტყუო დ. [30] ძუირის შ. [31] შეინწყაროს შ.

29

[1453-1463]. საჩივრის წიგნი [გამრეკელ ჯავახიშვილისა]

დედანი; ხეც, Hd-1801; ქაღალდი, 31,5×14,5; დაზიანება: საბუთს მოხეული აქვს თავი, მარჯვენა კუთხეში შერჩენილ ორ სტრიქონზე იკითხება სიტყვათა ფრაგმენტები. საბუთის მარცხენა ნახევარი სიგრძივ მთლიანად დაფარულია მუქი ყავისფერი ლაქით, რომელიც აბნელებს ტექსტის ამოკითხვას. საბუთის კიდეები გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ყავისფერი მელანი; ხელი მკაფიო, მწიგნობრული მხედრული. ხელისა და ქაღალდის მსგავსება Sd-1242-თან აშკარაა. განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთის verso-ზე მოთავსებული მინაწერის მიხედვით, საბუთი ჯავახიშვილთა საგვარეულო საკუთრება ყოფილა.

verso-ზე მოთავსებულია რვასტრიქონიანი სპარსული წარწერა. ნ. ბეძენიშვილის დაკვირვებით, იგი ქართულზე უწინდელია და არაფერი აქვს საერთო ქართულ ტექსტთან.

საბუთი უთარიღოა. შინაარსობრივადაც და სხვა არქეოგრაფიული ნიშნებით მასთან უშუალო კავშირშია გამრეკელ ჯავახიშვილის მეორე, ასევე უთარიღოდ მოღწეული საჩივარი (იხ. აქვე, გვ. 78, Hd-1570), რის გამოც ორთავე საბუთი საერთო საფუძველზე თარიღდება. გამრეკელი 1463 წლიდან ცოცხალი აღარ ჩანს, წინამდებარე გამოცემაში გაზიარებულია ნ. ბერძენიშვილის დათარიღება 1453-1463 წლები.

გამოცემა: [2], ნ. ბერძენიშვილი, 47 (ბ).

[... |[2]...[გა]უიჩინეთ დ[ა] |[3][...[გან]ამც დავი |[4][ჯერე. ასრე იყო ჩუე|[5]ნი და ჩუენისა] გულსურაბის საქმე: პირველსა ცოლთანა შუიდ|[6]ნი შვილნი მედგეს, ოთხნი ვაჟნი და სამნი ქალნი. |[7][დ]ა მათ სიკუდილობა გამოევლო და გულსურაბ უშ|[8]ვილო იყო და მისთვის შევირთე. ასრე ვთქუი, ვითა: „ჩემნი |[9]შვილნი ასრე უყუარდებიან, ვითამც მისნი შვილნი ა|[10]რიან და, თუ შვილთა მშობელსა დედაკაცსა შევირ|[11]თავ, ჩემნი პირველნი შვილნი და უკანანი ვეღარა შე|[12]{ე}წყობიან“. და მისთვის შევირთე გულსურაბ.

ოთხს წელიწა|[13]დსა დია კარგად მამეპყრა, როგორაც ცოლქმრო|[14]ბისა წესი არის. მას უკანით მომიძულდა მე და დედა-|[15][მა]მანი და ჩემნი შვილნი და აღარა მაამა-რა.

ციხეს |[16][ვ]მუშაობდი და ნამუშაევები სადგომს ჩამოვე. მარ|[17][ხუა] დღე იყო და ცოტაოდენი შემწუარი კალმახა მო|[18][მი]ვიდა. დავსხედით ჭამად და

[2] გაგუიჩინეთ] გუიჩინეთ ბ. [11-12] შეწყობიან ბ.

ორი კალმახა გულ|[19]სურაბს მიჳართჳი და ორი კალმახა ჩემთა შჳილთ. |[20]გულსურაბ ამაზედა ესე თქუა, ვითა: ესე ორი კალ|[21]მახა ვის ეკადრებისო? ადგა ჭამიდაღმა გამომწყრა[ლი] |[22]და დამაგდო. ტყეშიგან ქოხნი აიგნა და ოცსა დღ|[23]ესა მუნ იყო. მივიდა დედაჩემი და შეეხუეწა, ვითა:* |[24]„ნუც ჩემსა შჳილსა უზამ და ნუცა შენსა |[25]თავსა". არც მას დაუჯერა. მივე მე და ჩემნი შ[ვი]|[26]ლნი და კიდევე შევეხუენენით. და არც-რა ჩუენ |[27]დაგუიჯერა. მალე [მეოცესა ||[28]დღესა მივიყვანეთ. პირველი დაგდება ესე. თუმ|[29]ც ჩემი *verso*
თავი ნდომოდა, ასრე ცოტას მიზეზისა[თუი]|[30]ს ამას არ მიზამდა, მაგრა არა უნდოდი.

მინაწერი verso-ზე XIX საუკუნის ხელით:
მ. დ. ჯავახიშვილისა

* „ვითა" ორჯერ წერია.

30

[1453-1463]. საჩივრის წიგნი [გამრეკელ ჯავახიშვილისა]

დედანი; ხეც, Hd-1570; ქაღალდი, ზომა: 35,6×13,5; დაზიანება: თავნაკლული, მუქი ყავისფერი მელანი, ადგილ-ადგილ გადასული, პირველი რამდენიმე სტრიქონის არე ძალზე ჩამუქებული და დალაქავებულია, დანარჩენს შენარჩუნებული აქვს სიბაცე. კიდეები გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ხელი მკაფიო მხედრული, პალეოგრაფიული ნიშნებით მსგავსია სხვა საჩივრების ხელისა (Sd-1242, Hd-1801); განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთის verso-ზე მოთავსებულია 14 სტრიქონიანი სპარსული წარწერა, რომელიც, ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, ქართულ ტექსტზე ადრინდელია. verso-ს ქვემოთა კიდეზე მიწერილია XIX ს. ხელით: „ჩაიწერა გ. 62 კნიღაში“. საბუთი გატარებულია „Суд и Расправа“-ს ექსპედიციის რეგისტრაციაში 1827 წ. 21 იანვარს №34 ნომრით.

საბუთი უთარიღოა. ნ. ბერძენიშვილი მას ათარიღებს 1453-1463 წლებით. „კორპუსში“ ეს დათარიღება გაზიარებულია.

გამოცემა: [2], ნ. ბერძენიშვილი 48-49 (ბ).

[...]ც კიდევა გ[იორგი....] |[2]და[ა]ჯერა ამა ყუელასა სიკუდილსა ამირე-ჯიბი. |[3][რ]უამ გულსურაბის მეყვისი არის და გულსურაბ |[4]ესე წიგნი მიუწერა რუამს, ვითა: „ამირეჯიბის მაგი|[5]ერად ესე წიგნი დაწერე შენ, ვითა: „გამრეკელ, [...] |[6]ძუღან შენ ასრე დამპირდი, ვითა გო|[7]რის ციხესა მოგცემო. აწ, ჟამი და დრო ესეა. რა|[8]ჟამც კაცნი გამოვგზავნნე, ციხე ფიცხლა უმი|[9]ზეზოდ მათ დააბარე და, რასაც მე შენ დაგპირ|[10]ებივარ, ბაგრატს მეფესა შენთვის გავათაებინე|[11]ბ. შენ ამირეჯიბის შინაყმა |[12]ხარ და შენსა ჴელსა მეფე და ყუელა ვინმე იცნ|[13]ობს. დაწერე და ესე წიგნი მე გამომიგზავნე, |[14]რომე გამრეკელი და მისნი შვილნი ამა წიგნი|[15]თა მეფესა შევაბეზღნე და დავჴოცნეო“

ამისი მო|[16]წამე პატრონი ამირეჯიბი და მისი ყმა შა|[17]ლიკა და თურმანისძე საგია არიან. თუმც რ|[18]უამს გულსურაბისთვის დაეჯერა, არ უთუოდ |[19]მისისა ჴელისაგან დაჴოცილნი და მოწყუედილნი |[20]ვიყვენით? მაგრა ღ(მერ)თმ(ა)ნ შეზღოს რუამს, რომე |[21]ჩუენსა სიკუდილსა არად დამოწმდა. |[22]რუამს საგიასა პირითა ასრე შემოეთუალა |[23]ჩემთვის, ვითა: „გულსურაბ ასრე თქუენსა სამესისხლეოსა საქმესა მპატი-

[2] დაჯერა ბ.

ჟობდა და მე ვერა შევმართ|[24]ეო. როგორაც იგი ჩემი მოსამართლე არის, აგრე |[25]თქუენ ხართ ჩემნი მოსამართლენიო, უბრალო|[26]დ ოთხნი ჯავახ-
იშვილნი როგორა დავჴოცნეო".

|[27]ასრე უბრალოდ დაგუჴოცნა და მოინდომა ჩუ|[28]ენი სიკუდილი და გა-
ღარიბება, რომელსა ცოლსა ქ|[29]მრისთვის ესე უყოფია, რაც გულსურაბ
მე მიყო და |[30]დაგუჴოცნა მეც და ჩემნი შვილნიცა?

|[31]ან, პატრონნო, ღ(მრ)თისაგან პატივცემულნო, ||[32][ჭკ]უიანო და *verso*
ბრძენნო, როგორაც ამა ყუელასა |[33]მოუწყენლად ჩემსა და ჩემთა შვილთა
სიკუ|[34]დილსა გაიგონებთ და გააჩენთ, თქუენ იცით და |[35]თქუენმან ღ(მრ)თის
მოყუარეობამან.

რაც გულსურაბი|[36]საგან მე საქმე მჭირს, სხუასა ქმარსა ცოლი-
სა//*თვის ესე არა დაუთმია. ჩემგან მოსაკლავი იყო, მაგრამ პატრონისა თა-
ყას, ფავნელისა და ზაზას გუ[ლისათუი]ს და[უთმე]** და ცო[ლადა]|[37]ც
მინდოდა. და მან არაოდეს მინდომა არც მე და არც ჩემნი შვილნი. და ამასც
რო[გო]რაც [გან]ბრჭო[ბთ], |[38]პატრონნი ხართ.

მინანერი განსხვავებული ხელით recto-ს ქვედა აშიაზე:
იუსუფ მირზასი ჯავახისშვილისა.

* მიწერილია მარჯუენა კიდეზე.
აღდგენები ეკუთვნის ბ-ს.

31

1454. 10 იანვარი. კულუხის გამოსალეგების წიგნი დავით კათალიკოსისა ჯუარის მცხოვრებთადმი

დედანი დაკარგულია. ინახებოდა სინოდის კანტორის მცხეთის საბუთებში ნომრით №475. თ. ჟორდანიას ხელთ ჰქონია საბუთის ნუსხა №სნ (250), რომელიც ასევე არ შემონახულა. გვაქვს სამი პირი: 1. სეა, 1449-1525, გადაწერილი დედნიდან ს. კაკაბაძის მიერ, რომელსაც წამძღვარებული აქვს დედნის არქეოგრაფიული მონაცემები: „სიგელი მცხეთისა №475, დაწერილი ტყავზე ლამაზის ხელით, ზომით 84,3/4×24,3/4 სმ.“ განკვეთილობის ნიშნად დედანს ჰქონია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; 2. პირი, სპბაი, H-6 (G-29b;H-46)-54. Лл. 95a-96б, გადაწერილი დედნიდან 1848 წ. მ. კოლუბანსკის მიერ; 3. პირი, XIX საუკუნეში გადაწერილი სიგელ-გუჯრების კრებული, ხეც, H-2513, №25, 37r-18r.

საბუთი გატარებულია გუჯრების წიგნში: სეა, 1451, 1, №475.

თარიღი: ქორონიკონი რმბ (142) /1454/, იანვრის ი (10). თ. ჟორდანიას მის ხელთ არსებულ ნუსხაში (სნ) ამოუკითხავს ქორონიკონი რმა, ამიტომ საბუთს ათარიღებს 1453 წლით. იგივე ქორონიკონი იკითხება პეტერბურგულ პირშიც, რის გამოც ს. კაკაბაძეც საბუთს ათარიღებს 1453 წლით, თუმცა, მოჰყავს მ. ბროსეს ცნობა, რომლის მიხედვითაც მცხეთის საბუთთა პირების წიგნში (№507) საბუთი დათარიღებული ყოფილა 1454 წლით. 1454 წელს უთითებს საურ. კაკაბაძეც.

საბუთის დამწერი: ელიოზ ელიოზისძე.

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 269 (შემოკლებით); 2) [19], ს. კაკაბაძე, 32-34; 3) [50], С. Какабадзе, № 543, 331 (აღწერილობა); 4) [51], С. Какабадзе, №42. 171-172 (რუსული თარგმანი საღვთისმეტყველო შესაელის გარეშე, კომენტარებით, ბიბლიოგრაფიით და ლექსიკონით); 5) [7], ი. დოლიძე, 193-196 (დ).

ტექსტი ქვეყნდება სეა, 1449-1525-ის მიხედვით.

ქ. სახელითა ღმრთისათა, მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა. ოხითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ყ(ოვლა)დ წმიდისა, ყ(ოვლა)დ უხრწნელისა, ყ(ოვლა)დ ბიწ-შეუხებელისა დედოფლისა ჩუენისა ღ(მრ)თის-მშობელისა და მარადის ქალწულისა მ ა რ ი ა მ ი ს ი თ ა.

5 თანამოქმედება-მდგომარეობითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფ[ელისა] ჯუარი[სათა], ძელისა ცხორებისათა, რომელსა ზედა განკუართულ იქმნა ჴორცითა ქ(რისტ)ე ღმერთი ჩუენი ჴსნისათუის ჩუენისა.

ოხითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წმიდათა ზეცისა ძალთა:

მიქაელ და გაბრიელისითა, ცხრა არვეთა და ცხრათავე დასთა – ყოველთავე ზეცისა ძალთათა.

თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ყოველთა ნაშვთა დედათასა უზენაესისა, მუცლით გამო დედისათ მეუფედ მცნობელისა, წინასწარმეტყუელისა, წინამსრბოლისა და ნათლისმცემელისა ი(ოან)ესითა; სეხნის მობაძავისა და თანამეტომისა მისისა, ძედ ქუხილისა წოდებულისა ი(ოან)ე ღ(მრ)თისმეტყუელისა და ღ(მრ)თისა ძისა, მკერდსა მას სამეუფოსა მიყრდნობილისა და მიერ მცნობელისა საკუირველთა მათ საიდუმლოთა, ს{ა}ყუარელისა და ქალწულისა მოწაფისათა.

თანადგომითა, მინდობითა და შუამდგომელობითა პეტრე რიტორისა, სასუფეველისა კლიტეთმპყრობელისა, პაველ სამცამდე აღწევნულისა და არათქმულთა სიტყუათა მსმენელისა, მოძღურისა წარმართთასა; ათორთა მოციქულთა და სამეოცდაათეულთა მოწაფეთათა, რომელთა მოძღურებითა მოიბადურნეს კიდენი სოფლისანი.

და უფროსღა წმიდისა და ყოველთა საქართველოსა კედართა შორის უწარჩინებულესისა და ვიდრე კამარათამდე ცისათა აღწევნილისა დედაქალაქისა კათოლიკე საყდრისა მცხეთისა და მას შინა ღ(მრ)თივ-აღმართებულისა სუეტისა ცხოველისა, კუართისა სამეუფოსა და მირონ{ი}სა ღ(მერ)თმყოფელისათა.

ამათითა თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა, ესე უკუნისამდის გასათავებელი და, რასა გინდა ჟამთა შლილობა-ქცევა-გამოცვალებასა შიგანცა მტკიცე და შეუცვალებელი, სამკუიდრო და სამამულე წიგნი და სიგელი კულუხი{ს} დაკუეთილობისა დაგიწერეთ, გიბოძეთ და მოგეცით კითხვითა და დამონმებითა მცხეთისა შვილთათა, ჩუენ, ქ(რისტ)ეს ღ(მრ)თისა მ(იე)რ ქ(ართლ)ისა პატრიარქმან კ(ათალიკო)ზ(მა)ნ დ(ავი)თ, თქუენ, დიდთა და მცირეთა ჯუარის მსახლობელთა მეკულუხეთა.

გაგიკუეთეთ და ამა წეს{ი}თა მოგუცემდით და გამოიღებდით: ტერტერაშვილმან ხურმუზამან იმავე პირველ{ი}თა ცოტაჲთა კოკითა ტკბილი კოკა ორმოცი; თათარ{ა}სშვილმან – ორმოცი; საღირასშვილმან ორმოცი; ლუღლუღასშვილმან – ორმოცი. ამა ოთხთა ორმოცორმოცი კოკა გამოიღონ. ფაიქრისშვილმან გაბრიელმან – ოცდაათი; ძამიამან – ოცი; გონგლიასშვილმან – ოცი; ციხელმან – ჩუიდმეტი; იორდანამან – ჩუიდმეტი; ხოციკასშვილმან – თერთმეტი.

იმას ამავე პირველითა საწყეოთა გამოიღებდენ. და, რა გინდა მ[ო]უ[სა]ვლობა იყოს და ანუ დიდი მოგივიდეს, არას დაჭირებისა და მიზეზისათუის არა გიმატოთ კულუხი და არცა კოკა გამოგიცვალოთ და გაგიდიდოთ. ესე ასრე და ამა წესითა გაგითაოთ თქუენ და თქუენთა შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე.

და არა შეგეცვალოს და არა მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგო-

---

[3] ძალთა ნსხ. [7] სეხნიას კ.დ. [7-8] [წოდებულისა]-ნსხ. [8] ღმრთისმეტყუელისა] ღმრთის მეუფლისა ნსხ. კ.დ. [10] სიყუარულისა ნსხ. დ. სყუარულისა კ. [19] მირონსა ნსხ.კ. [23] შეუცვალელი კ. [24] კულუხი ნსხ.კ.დ. [27] მახლობელთა ჟ. [28] დაგიკუეთეთ ჟ. ამა წესსა მოგუცემდი ჟ. [29] ხურმუზმან ჟ. [35-36] მოუვალობა კ.

მად ჩუენსა მომავალთა კ(ათალიკო)ზთაგან, არას ჟამისა გამოცვალებისა და დამჭირებისათუის არა თქუენ და არა თქუენთა შვილთა, შვილისშვილთა და მომავალთა თქუენთა.

ტერტერასშვილნი იმავე პირველითა კოკითა ორმოცსა, აგრევე, თათარასშვილი,* ლუღლუღასშვილი და საღირაშვილი, – ესე ოთხნი ორმოც-ორმოცსა კოკასა ტკბილსა. ფაექრიშვილმან – ოცდაათი; ძამიამან – ოცი; იგივე გონგლიასშვილმან; ციხელმან – ჩუდმეტი; იგივე იორდანამან; ხოციკასშვილმან – თერთმეტი. ამას ასრე და ამა წესითა მოგუცემდით.

და არა შეგიცვალოთ და არცა კოკა და ლიტრა გაგიდიდოთ, არა ჩუენ და არა შემდგომად ჩუენსა მომავალთა კ(ათალიკო)ზთა. და ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან მოგიშალოს და შეგიცვალოს, შე-მცა-იცვალების სჯულისაგან ქრისტიანეთასა. რისხავსმცა დაუსაბამო ღ(მერ)თი, მამა, ძე და სული წმიდა. კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა მკუდარი და ცოცხალი მისი. შუიდთა კრებათა და ხუთთა პატრიაქთა მადლითა, კათოლიკე დედაქალაქისა მ ც ხ ე თ ი ს ა საყდრისა და მას შინ[ა] აღსრულებულთა მღრდელმემსხურპლეობათა მადლითა ნუმც არს ჯოჯოხეთით ჴსნა სულისა მისისა. და შენ, ყოველთა დაბადებულთა დედოფალო, მისგან იძიე შური ჯუარისმცუმელთა ძისა შენისათა; და უყავნ მას უფალმან, ვითარცა უყო სედეკიას და აქაბს.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქ(რონი)კ(ონ)სა რმბ იანვარსა ი, ჴელითა ელიოზისძისა ელიოზისითა.

ხელრთვა:

ქ. ჩუ(ე)ნ ქ(რისტე)სა ღ(მრთი)სა მიერ ქ(ართლი)სა კ(ათალიკო)ზი ჭავჭ[ა]ვ[ა]ძე დავით, ვამტკიცებთ.

---

[7] ფეიქრისშვილმა ჟ. [8] ძამიამა ჟ. ციხელამა ჟ. [21] სესდეკიას ნსხ. კ.დ. [26] დავით] და ვით ნსხ.

* თ. ჟორდანიასთან თათარაშვილისა და მის მომდევნო პირებისათვის სანყაოდ მითეთებულია ოც-ოცი კოკა.

32

1454. წყალობის სიგელი გიორგი მეფისა გამრეკელ ჯავახიშვილისადმი

დედანი; ხეც, Qd-9221; ქაღალდი, ზომა: 67×22,5; დაზიანება: თავი და ტექსტის მარცხენა მხარე უსწორმასწოროდაა მოხეული. შედარებით მსუბუქადაა დაზიანებული მარჯვენა კიდე. შუაში გასდევს დიდი წრიული ლაქები. მელანი შავი; მხედრული ხელი, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. 1827 წელს საბუთი ნომრით №132 გაუტარებიათ Суд и Расправа-ს რეგისტრაციაში. ხელს აწერს სოვეტნიკი თარხანოვი.

პირები: 1. ხეც, პირების კრებული H-2830-136; 2. სეა, 1449-731. გადაწერილი XIX საუკუნეში გერბიან ქარალდზე, ერთეის Суд и Расправа-ს სარეგისტრაციო ჩანაწერი რუსულ ენაზე, ბეჭედი და მდივნის ხელმოწერა. იქვე ქართულად: „ნამდვილი დოკუმენტი მივიღეთ: ზაქარია ჯავახოვი, ქაიხოსრო და მიხეილ ჯავახოვი“.

საბუთს უზის ორმაგი თარიღი: 1. ქორონიკონი რმბ (142) /1454/; 2. გიორგი მეფის მეფობის მე-8 ინდიქტიონი. ორივე თარიღი იძლევა 1454 წელს.

საბუთის დამწერი: კარის მდივანმწიგნობარი ზაქარია თუმანისშვილი.

გამოცემა: [10], ე. თაყაიშვილი, 37-38

....[თქუენი მკუიდრი მამული] იყო და სამართლად თქუენვე უკეთ გმართებდ[ათ] და, [რაგ][2]უარაცა ჩუენგან თქუენთუის სამკუიდროდ ბოძებულსა ჰმართებს, ა|[3]ს]რე. ვინმცა იკადრა ამისი შლა და მოსარჩლა, და თუ ვინ გამო|[4]ჩნდეს] და [გი]სარჩლოს, მისი პირისა და პასუხის გამცემნი ჩ|[5]უენ ვართ.

და გქონდეს თქუენ, ჩუენსა დიდად ერთგულსა და [თა]||[6]ვდადებით მრავალფერად ნამსახურსა, ჩუენისა მორჭუმისა და ამო|[7]დ] ყოფისათუის დღე და ღამე მეცადე-მომჭირნესა გორისა მოურავსა |[8][ჯავახი]ს[შუი]ლსა [გამ]რეკელსა და შუილთა თქუენთა: ზაქარიას, კახას და ზაზას, |[9]შვილისშვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე,

---

[1] იყო და სამართლად] და სამართალი თ. გმართებთ თ. [1-2] და რაგუარაცა] თუ არცა თ. [2] ჩუენგან თქუენთჳის სამკვიდროდ თ. მართებს თ. [3] ასე ვინმეც თ. [3-4] გამოჩნდეს] გამოდგა თ. [4-5] სარჩლოს თ. გამცემი ჩუენ თ. [5] და-თ. თქუენ თ. ჩუენსა]-თ. [6] ნამსახურსა] სამსახურისა თ. ჩუენისა თ. [6-7] ამა ყოფისათჳის თ. [7] დღეს თ. მეცადე] მეცილე თ. გორის თ. [8] [გამ]რეკელსა] გაბრიელს თ. თქუენთა თ. [9] შუილისშუილთა] შუილთა თ. მამავალთა თ. თქუენისათა თ.

ცხი|[10]რეთის გუერდი სრულად მისითა ციხითა და სიმაგრითა, ზემო ცხი-
რეთი, |[11]ქუემო ცხირეთი, ხანდაკი, ოძისი, ახალშენი და ზემო
და ქუემო |[12][არ]დ[ი]ს[ი] (?) მათითა ეკლესიითა, სასაფლაოთა, სასახლითა,
ჭურ-მარნითა, |[13][გლეხებითა], ველითა, ვენაჯი{თა}, წყლითა, წისქუილითა,
ჭალითა, სათიბითა, |[14][ტყითა, სანა]დიროთა, მთითა, ბარითა, შესავალ-გამო-
საველითა და |[15][მისითა სამართ]ლიანითა ყუელათა მკუიდრად, შეძუელებით
და საბო|[16][ლოოდ].

ჩუენი წყალობა ამა წესითა გაგითავდეს და |[17]არას ჟამისა შემოს{რ}უ-
ლილობისათუის არა წაგეღოს და არა მო|[18]გეშალოს. და, თუ ვის სხუასა ამა
მამულთა მოცემულობისა|[19]ნიშანი და ბ(რძანე)ბა აქუს, ყოველივე სიგლითა
ამით გაგუიცუდ|[20][ებია და] მტკიცე ესე ოდენი არის.

არავინ გუიბრძანებია ამისი |[21]მშლელი და მაცილობელი, არცა მეუნებე-
ელ-მავნებელ და |[22]დამაკლებელი, თუინიერ თანადგომისა და შემატებისაგან კიდე. |[23][როგორაც] ჩუენგან თქუენთუის სამკუიდროდ ბოძებ[ულსა]
|[24]ჰმართებს, აგრე ჴელგეწიფების ყოვლად ფერად, რათაცა საქმითა
გეპრიანებ|[25]ის და იჴმარებთ ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შიგან,
გიბედნიერო|[26]ს და გაჴმაროს ღ(მერ)თმან.

აწ, ვინცა ნახოთ მტკიცე პიტაკი ესე |[27]ჩუენი, შემდგომად ჩუენად
ჩუენთა მომავალთა მეფეთა და დედო|[28]ფალთა, ერისთავთ ერისთავთა და
კარისა ჩუენისა ვაზირთა და |[29]მოსაქმეთა ყოველთავე, ამა წესითა გაუთა-
ვეთ. და ვინ უშლით |[30]თუინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან მეტსა.

თქუენ, წმიდანო ქ|[31]ართლისა ქ(ათალიკო)ზნო, ეპისკოპოზნო და
მღრდელთმოძღუარნო, |[32][უჯარ]ობით დაუმტკიცეთ.

დაიწერა წყალობისა სიგელი |[33]ჩუენი ესე ინდიკდიონსა მეფობისა
ჩუენის{ა}სა მერვესა, ქ(რონი)კ(ონ)სა რმბ, |[34]ჴელითა კარისა ჩუენისა მდი-
ვანმწიგნობრისა და ყოველისა |[35]ადამის მო[ნათე]სა[ვე]თა კაცთაგან უნარ-
ჩევისა, თუმანისშვილისათა |[36]ზაქარიასითა.

დამტკიცება ხვეულად:
|[37]ქ. მეფეთ მეფე |[38]გიორგი ვამტკიცებ ნებითა |[39][ღმრთისათა].

---

[10] გვერდი თ. [11] ქვემო თ. [12] სასაფლავოთი თ. [13] ვენახითა თ. წისქვილითა თ. [14] სა-
ნადიროთა] სამკვიდროთა თ. გასავალითა თ. [15] ყველათით მკვიდრად შეძველებითა
თ. [15-16] საბოლ[აო] თ. [16] ჩვენი თ. [17] და არა] და არ თ. შემოსულობისათვის თ. [18] სხვასა
თ. მოცემულობასა თ. [19-20] ნიშანი და]-თ. აქუს თ. სიგელითა თ. ამითა გაგვიცუდებია
თ. [20] და]-თ. გვიბძანებია თ. [21] მაცილებელი თ. არც თ. მეუნებლე თ. [22] დამაკლე-
ბელი...თანადგომისა და]-თ. [23-24] როგორაც]-თ. ჩვენგან თქუენთვის თ. სამკვიდროს
თ. ბოძებულსა ჰმართებს]-თ. [24] რათაც თ. [24-25] გეპირიანების თ. [25] იხმარებთ ჩვენსა
თ. [26] გახმაროს თ. [27] ჩვენ თ. ჩვენად ჩვენთა თ. მამავალთა თ. და]-თ. [28] ჩვენისა
თ. ვეზირთ თ. და]+ნუ თ. [30] თვინიერ თ. თქვენ წმინდანო თ. [31] მღვდელთმოძღვარ-
ნო თ. [32] უჯუარობით] -თ. წყალობის თ. [33] ჩვენი თ. ინდიკტიონსა თ. ჩვენისასა თ.
რმბ] რმა თ. [34] ჩვენისა თ. [35] ადამისა თ. თუმანიშვილისა თ. [37-38] ქ.მეფესა გიორგის
დამიმტკიცებია]-თ.

33

1455. სასისხლო სიგელი გიორგი მეფისა ასათ ვაჩნაძისადმი

დედანი დაკარგულია. გვაქვს პირი: ხეც, Hd-7588, გადაწერილი XIX საუკუნეში თეთრი ფერის გერბიან ქაღალდზე, 2 ფრ. ტექსტს ბოლოში ერთვის რუსული სარეგისტრაციო მინაწერი (№181), რომლის თანახმად, მოცემული პირი გადაღებული ყოფილა დედნიდან, რომლის ნამდვილობა დაუდასტურებიათ 1820 წლის 1 მაისს. პირისათვის დამახასიათებელია À და ჯ გრაფემის ხმარება, რაც გამოცემაში გასწორებულია.

თარიღი: ქორონიკონი რმგ (143) /1455/, ოკტომბრის À (8).

საბუთის დამწერი: წირქვალელიძე რატი.

გამოცემა: [25], ს. კაკაბაძე, 40-43.

ლიტერატურა: 1) [31], ჯ. ოდიშელი, 215; 2) [38], მ. სურგულაძე, 163-164.

ქ. ჩუენ, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატოვანმან და ღ(მრთ)ვგუირგუინოსანმან მეფეთ მეფემან გიორგიმ და თანამეცხედრემან ჩუენმან პატრონმან დედოფალთ დედოფალმან ნესტარჯან. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, აფხაზთა, ქართუელთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შაჰან-შაჰ და შაჰრუან-შაჰ, და ყოველისა ჩრდილოეთისა, აღმოსავლით ვიდრე დასავლეთამდის თვით-ჴელმწიფედ მტკიცედ მფლობელ-მპყრობელთასა.

მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი და ჩუენისა მორჭმისა და ამოდ ყოფისათვის გაურჯელად ნამეტნავად ჭირნანხნი ვაჩნასძე მელვინეთუხუცესი ჩუენსა თანა აღზრდილ-შეზრდილი ასათ და შვილნი მათნი შალვა და ძმისწულნი მისნი: სულა, იოანე და სიაოშ და ბიძასშვილი მისი დავით.

გუეჯნეს და მოგაჯსენეს, რათამცა მრავალთა ერთგულობა-ნამსახურთა მათთასა ძუელნი სიგელნი და მათ სულკურთხეულთა მამათა და პაპათა ჩუენთაგან ნაბოძვარნი სოფელნი, სასახლე და მამულნი სიგლითა ამით ან ჩუენცა ახლათ გაგუეახლნეს და დაგუემტკიცნეს. და მერმე მათი და მათის სახლისკაცისა საბატიო სისხლი გაგუეჩინა.

დაგუაჯერა ღ(მერ)თ(მა)ნ და ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი და ადრიდგანნი ძუელნი და მათნი მკუიდრნი მამულნი და სოფლოანნი აწ ახლად მტკიცითა და უქცეველითა სიგლითა ჩუენცა გა[ვ]უახლეთ და და[ნ]უმტკიცეთ.

---

[1] ბაგრატოვანმან კ. [4] შაჰანშაჰა ნსხ. [5] შაჰრვანშაჰა ნსხ. შაჰრვანშაჰ კ. [9] ჰამოდ კ. [13] გვიაჯნეს და მოგვახსენეს ნსხ. [16] გაგვიახლნეს დაგვემტკიცნეს კ. [17] გაგვეჩინა კ. ნსხ. [18-19] ადრითგანნი ძველნი კ.

მი[ვ]უბოძეთ ვეჯინს და ვეჯინის პირთა სოფელი კარდანეხი [კ]არდანუცი, ბაკურციხე, ჩალმოტი, კოლაგი, ვეჭა, კალაურნი, ალექსისშვილი და ევთვიმესშვილი, ვანასშვილი და ხუციასშვილი მათითა სამძღურითა, მთითა და ბარითა, წყლითა და წისქუილითა, ველითა, ვენაჯითა, ტყითა და სანადიროთა, ჭალითა, სათიბითა, საყანითა, ჭურ-მარნითა, სასახლოთა და ეკლესიითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, საჭმარითა და უჭმარითა, და მისითა სმართლიანითა, ერთობ სრულად და უკლებ[ლ]ად, და ყოელის კაცის მოუდევრად და მოუსარჩლელად.

და არავინ იყოს მოცილე და მოსარჩლე თქუენი და არცავინ მეუნებლე-მავნებელი და დამაკლებელი, თუნიერ შეწევნისა და თანადგომისაგან კიდე.

და გაგიჩინეთ თქუენისა გუარისა კაცსა სისხლად რვაასი ათასი ძუელი კირმანეული თეთრი სანახშიროსა და საზაოსა გარეთ. და სანახშიროთ და საზაოთ გაგიჩინეთ ორასი ათასი კირმანაული თეთრი.

ვინც უბრალოდ მოგკლას ანუ გიღალატოს, ანუ დაგკოდოს, ანუ სასახლესა [დაგესხას], ანუ არგნითა და მჯიღითა გცეს, გინა ქალი დაგიგდოს. ანუ კბილი ჩაგაგდებინოს, გინა ცხვირ-პირი ჩაგ[ი]ლეწოს, ანუ ჯოგი და ცხვარი დაგიფორაქოს, გინა ისარი გესროლოს, ანუ მზირათ ჩაგიჯდეს, და რაგინდა რამე ვინ უკაცრავ-გიყოს, ანუ დიდმან და ანუ მცირემან, რარიგადაც დიდსა ბრჭობისა განაჩენსა შიგან სწერია, იმა წესითა ამა რვა ათასისა კირმანაულისა ანგარიშისა თეთრი დაგიურვოს.

ვინადგან მოკითხულიცა ვქენით და თქუენნი გვარნი ძუელთა მეფეთაგან დიდათ პატივცემულნი იყვენით და მეფეთგან პატივსა და დიდებულობისა ძუელნი სიგელნიცა გქონდეს, აწ, ჩუენცა სიგლით ამით შეგიწყალეთ და გაგიჩინეთ თქუენის გვარის სისხლი რვა{ა}სი ათასი კირმანაული, და საზაოდ და სანახშირედ ორასი ათასი კირმანაული.

ვინცა თქუენი გვარისა კაცი მოკლას, ესე რვაასი ათასი კირმანაული თეთრი დაგიურვოს. და ორასი ათასი კირმანაული საზაოდ და სანახშიროდ მოგცეს.

და ამა თეთრისა საქმე ასე უწყოდეთ: ბერძენთა მეფეს კირ მანოელ ერქვა და მისეულად კირმანუელისეული ჰქვიან. არის წონითა ერთი თეთრი, ერთი დრამის წონა წმინდა ხალასი ვერცხლი.

გქონდეს და გიბეჭდნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ მკუიდრად და სამამულოდ სიგრძესა შინა ჟამთასა მტკიცე ესე და შეუცვალებელი, უთუო და უთუმცაო სიგელი ესე თქუენ, ჩუენდა დიდათ ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა და ჩუენსა თანა აღზრდილ-შეზრდილსა და ჩუენისა მორჭმისა და ამოდ ყოფისათვის გვარეულად ჭირნანახთა ვაჩნაძესა, მეღვინეთუხუცესსა ასათასა, თქუენთა შვილთა შალვას, ძმისწულთა თქუენთა: სულასა, იოანეს და სიაოშს და ბიძასშვილსა თქუენსა დავითს, შვილსა და მომავალსა სახლისა თქუენისა[თა].

---

[1] ვარდანუცი ნსხ. [2] ჩალამოტი, კეჭა კ. [4] სამძღვრითა კ. ნისქვილითა კ. [5] ვენახითა ნსხ. კ. [7] სახმრითა და უხმრითა ნსხ. კ. [27] კირმანეული ნსხ.

და გაგუიახლებია სიგელი და გუიბოძებია და დაგუიმკვიდრებია თქუენი მამული მკუიდრი სოფლები და მამულები: ვეჯინს და ვეჯინის პირთა სოფელი კარდანეხი კარდანუცი, ბაკურციხე, ჩალმოტი, კოლაგი, ვეჭა, კალაურნი, ალექსისშვილი და ევთვიმისშვილი, ვანასშვილი და ხუცისშვილი, ამათითა სამძღურითა, მთითა და ბარითა, წყლითა და წისქუილითა, ველითა, ვენახითა, ტყითა, სანადიროა, ჭალითა, სათიბითა, სავენაჯოთა, ჭურ-მარნითა, სასახლოთა და ეკლესიითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, საჴმარითა და უჴმარითა და მისითა სმართლიანითა, ერთობ სრულად და უკლებად.

გქონდეს მკუიდრი თქუენი მამული და სოფლოანნი ყოვლისა დაბადებულისა კაცისაგან მოუდევრად და მოუსარჩელელად. და არავინ გუიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ამის ბრძანებულისა ჩუენი[სა], არცა-ვინ მეუნებლე მავნებელი-დამაკლებელი, თუინიერ შეწევნისა და თნადგომისაგან კიდე. ვინცა-ვინ მოგერჩოდეს, პირნი და პასუხის გამცემნი ჩუენ ვართ.

ან, ვინცა-ვინ ნახოთ ბრძანება და სიგელი ესე შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა, ერისთავთ ერისთავთა, კარისა ჩუენისა ვეზირთა [და] დივანთა, და მოსაქმეთა, პურისა და ხვარბლის მკრეფელთა, ტყისა და მპარავთ მეძებართა, მეკულუხეთა, მერემაეთა, ბაზიართა, მესაბანჯრეთა და ყოველთა კარით ჩუენით წარვლენილთა მოსაქმეთა, დიდთა და მცირეთა, ყოველთავე დაუმტკიცეთ. და ნუვინ უშალავთ მტკიცედ ბრძანებულსა ამას ჩუენსა.

და თქუენ, ქრისტეს მიერ ქართლისა და აფხაზ[ეთ]ისა კათლიკოსნო და ყოველნო ეფისკოპოსნო და მღვდელთმოძღუარნო, [უჯუ]არობით დაუმტკიცეთ ბრძანებული ესე ჩუენი.

დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ი, ქ(ორონი)კ(ონ)ს რმგ, ოკტონბერს À, ჴელითა ნ ი რ ქ ვ ა ლ ე ლ ი ს ა ძ ი ს ა რ ა ტ ი ს ა თ ა.

გადამწერის შენიშვნა:
აქ ჴელი ყოფილა ჩართული.

პირის გადამწერის ცნობით, დედნის ნამდვილობას ამტკიცებენ:

მუხრანის ბატონი კოსტანტინე, გორის უეზდის კეთილშობილი დეპუტატი თავადი მირმანოზ ერისთავი, ტფილისის კეთილშობილთ დეპუტატი თავადი ორბელიანოვი ზურაბ, თელავის უეზდის კეთილშობილი დეპუტატი მაიორი თავადი ქობულოვი, სიღნაღის უეზდის კეთილშობილი დეპუტატი თავადი ანდრონიკოვი იოვანე.

[1] გაგვიახლებია და გვიბოძებია და დაგვიმკვიდრებია ნსხ.კ. [3] ჩალამოტი ნსხ. [4] ქეჭა ნსხ. [17] ხორბლის ნსხ.

34

[1455-1459]. სასისხლო სიგელი ბაგრატ მეფისა თეიმნა ყიფიანისადმი

დედანი; ხეც, Sd-731; ეტრატი, ზომა: 76×16/17. დაზიანება: სქელი, გამკვრივებული, გადანაკეც ადგილებზე დამსკდარი, ყავისფრად ჩამუქებული ეტრატი, ზედა აშია წაჭრილი, კიდეები უსწორმასწოროდ მოხეული, ალაგ-ალაგ მოზრდილი შავი ლაქებით დაფარული. verso-ზე ეტყობა გადაშლილი მხედრული ტექსტის ნაკვალევი. მელანი ყავისფერი, ხელი არამწიგნობრული მხედრული. უსწორმასწორო კიდეები, სტრიქონები არათანაბარი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი.

ტექსტი გაუმართავია. დიპლომატიკური ფორმულები შეცდომებით და უწიგნურად არის შედგენილი.

საბუთი უთარიღოა. ე. თაყაიშვილი საბუთს აკუთვნებს ბაგრატ VI-ს და ათარიღებს 1462-1478 წლებით. „კორპუსში“ გაზიარებულია მოსაზრება, რომ სიგელის გამცემი ბაგრატ VI შეიძლება იყოს, მაგრამ თარიღი დაზუსტებულია ბაგრატის იმერეთში მეფობის პერიოდით.

საბუთის დამწერი: კახაბერიძე.

გამოცემა: [10], ე. თაყაიშვილი, 398-399.

ქ. ჩვენ, მეფეთ-მეფემან ბაგრატ, [შეგიწყალეთ] და |[2]გიბოძეთ ესე სიგელი, ჩვენ მეფეთ |[3]მეფემან ბაგრატ, თქუენ, ყიფიანსა გაგიჩი|[4]ნეთ ესე სიგელი, ამათ რომე თქუენი გუა|[5]რის კაცი თანა დატანებითა გედვა, და ერდ|[6]გული ყოფილხართ მეფეთ-მეფეთა ბაგრატო|[7]ვანთა ჩამომავალთა. ამათ გაგიჩინეთ |[8]ესე სიგელი თქუენ, ყიფიანსა საყდრი|[9]შვილ[ობითა] თემნასა [და ბუბასა] და შვილსა შენსა და სახლი|[10]შვილსა და მომავალთა სახლისა |[11]შენი[სა]თა, როგორაცა გმართებდა სა|[12]ყდრიშვილობა, აგრე.

გავაჩინეთ |[13]თქუენი სისხლი ჩუენსა კარზედან |[14]მდგომთა დარბაისელთა მოწმობ|[15]ითა, რა[ნთა], კახთა და სომ[ეხთ]ა, |[16]შანშეთა და შარვანშა მოწ|[17]მობითა, გაგიჩინეთ ესე|[18] სიგელი ჩუენ, მეფეთ მეფემან |[19]ბაგრატ, თქუენ, ყიფიანსა|[20]თემნასა, ბუბასა და შენთა შვილთა |[21]და შვილიშვილთა და სახლიშ|[22]ვილთა, მომავალსა სახლისა თქ|[23]უენისათა, ოთხმოცი ათასი გ(იორ)გაური |[24]თეთრი, ოცი ცხენი, სამი ქორი, მისით |[25]ბაზიერითა და მეძებრითა.

გავაჩინეთ |[26]ესე სიგელი ჩუენ, მეფეთ მეფემან ბაგ|[27]რატ. ვინცა შინა ჩამოგიხდებოდეს, |[28]ათასისა თეთრი[თა დაგე]უროს; ვინცა გერში |[29]გადინოს, სამასისა დაგეურ|[30]ოს; ვინცა ცოლი წაგართუას, |[31]ნახევარის სისხლი

დაგეუროს; ვინცა |[32]საჩენსა ადგილსა დაღი დაგასუას, |[33] ნახევარი სისხლი დაგეუროს.

ჩუენთა |[34]კარზედან მდგომთა მოსამსახურეთა |[35]ყოელთა მონმობითა, მეაბჯრეთა, მესა|[36]წოლ]ეთა, მე[ჯინი]ბეთა, ბაზიერთა, |[37]მეღუინეთა, მესტუმრეთა, მზარეულთა, |[38]იასაულთა, ახოსალართა; ჩუენთა |[39]კარზედან მდგომარეთა მოსამსახ|[40][ურეთა], ყოელთა მონმობითა |[41]დაგიმტკიცეთ ესე სიგელი |[42]თქუენ, ყიფიანსა თემნისა და ბუბასა, |[43]თქუენთა შვილთა და და სახლიშვილ|[44]თა, მომავალთა სახლისა თქუენისათა.

|[45]არის ამის მონმე ნენია ნერე|[46]თელი, ლორთქიფანიძე თუალია, |[47]ყაენაძე ყაენა.

მე, კახაბერიძესა |[48]დამიწერია და მოწამეცა ვარ.

1457. 3 მაისი. საბალახის ამოკვეთის სიგელი გიორგი მეფისა სვეტიცხოვლისადმი

დედანი; სეა, 1448-531; სიძველისაგან გაყვითლებული ქაღალდი, დაზიანება: თავში, მარცხენა კუთხეში, მოხეული აქვს პირველი და მეორე სტრიქონების დასაწისი ნაწილი. გადანაკეცი ადგილები მკვეთრ ზოლებად ეჩრნევა. ალაგ-ალაგ გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. შავი მელანი; მწიგნობრული მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთის თავში წითელი მელნით მიწერილია მცხეთის ძველი (XVII ს.) საარქივო ნომერი პგ (83). verso-ზე, მარჯვენა კუთხეში, მიწერილია სინოდის კანტორის სარეგისტრაციო ნომერი №322.

პირი: სპბაი, Е-240 (Н-59; Н-81)-32. Лл. 44.

თარიღი: ქრონიკონი რმე (145) [1457], მაისის გ (3).

საბუთის შინაარსი შეტანილია სინოდის კანტორის დავთარში: Книга гуджаров. სეა, 1451, 1, №322.

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 271 (ცნობა საბუთის შესახებ); 2) [51], С. Какабадзе, 154 (აღწერილობა).

[ქ. სახელითა ღმრთისათა, ჩუენ,] ღ(მრ)თივ გუირგუინოს|[2]ანმან მეფეთ მე]ფემან გ(იორგ)ი, ესე სიმტკიცისა და |[3]გათავებისა სიგელი და ნიშანი [გ]კადრეთ და მო|[4]გაჴსენეთ თქუენ, პატრონსა და სულისა ჩუენის|[5]ა შესავედრებელსა ქ(ართლის) კ(ათალიკო)ზსა დავითს.

მოკითხული ვქენით საბალახისა და არცა მამისა ჩუენისა |[6]ჟამშიგან და არცა ოდეს მას წინათ, მისთა დ|[7]ღეთა შიგან მცხეთის სახლისა და მამულისა |[8]საბალახე არასა ჟამსა არა ყოფილიყო. და |[9]აწ ჩუენ მისადვე შედეგად ესე სიგელი |[10]და ნიშანი თქუენ მოგაჴსენეთ ამა პირსა ზედა|[11]ნ, რომე მცხეთის სახლსა და მამულსა |[12]საბალახე არასა ჟამსა არა ეთხოებოდეს.

|[13]ქ(რონი)კ(ონ)ს რმე, თუესსა მაისსა ||[14]გ.

verso-ზე დამტკიცება ხეუსლად:

|[15]გ(იორგი) ვამტკიცებ.

36

1457. შეწირულების სიგელი გიორგი მეფისა სამთავისისადმი

დედანი დაკარგულია. XIX საუკუნეში იგი დაცული ყოფილა სინოდის კანტორის სამთავისის საბუთებში ნომრით №4. XX საუკუნის დასწყისში მისგან გადაულია პირი ს. კაკაბაძეს, რომელიც ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში – სეა. 1449-1483. პირს დართული აქვს დედნის არქეოგრაფიული აღწერილობა: „სამთავისის სიგელი №4, დაწერილი ტყავზე. 52×19/20 სმ."

თარიღი: ქორონიკონ რმე (145) /1457/. გიორგი მეფის მეფობის ია (11) ინდიქტიონი.

საბუთის დამწერი: ბარაქსაძე გიორგი

გამოცემა: [19], ს. კაკაბაძე. II-12 (კ).

საბუთი ქვეყნდება სეა. 1449-1483-ის მიხედვით.

ქ. რომელმან დაამყარა არს[ნი] ზედა კამარათა ცისათა, და ჰხედავს ვიდრე უფსკრულთამდე; რომელ არს და რომლისა მიერ ძალითა {ი}ქმნნეს ყოველნი აღნაგნი არსისა, არსთა უცვალებელისა, უსაზღ{ვ}როს{ა}, ძალგანუზომელისა, გარეშემოუწერელისა, ურაბამოსა, ურაულოსა; ყოველაგან მყო[ფისა] და ყოველგან მხედისა, დაუსაბამოსა, გარნა ყოვლისა [დასაბ]ამისა მბადისა და ნარმმართველისა, ხოლო მიუნდომელობითა ცნობილისა; რომელსა ძალნი უ[ჴორ]ცოთანი, თუინიერ გარეშე მისსა, სახიერებით ვერ მისწუთუებიან ცნობად და თუალთა შედგმად; რომელსა ცანი ვერ დაიტევენ და წესნი ანგელოზთანი უძრწიან.

ყოვლად წმიდაო და ყოვლად საშინელო ხატო სამთავისისაო! მეოხებითა და შუვამდგომლობითა თქუენითა, მავედრებელმან და მსასოვებელმან თქუენმან და მინდობილმან ცვა-ფარვათა თქუენთამან, პატრონმან და ღ(მრ)თივ-გუირგუინოსანმან და ღ(მრ)თივ-დამყარებულმან მეფეთ მეფემან გი(ორ)გი და ძემან ჩუენმან ალექსანდრე, გკადრეთ და მოგაჴსენეთ და შემოგწირეთ მცირე ესე ოდენი შესაწირავი მამული არწევანი სამეჴრეოსა და გუელფარეხას შუა მისითა მინდვრითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, მთითა, ბარითა, ტყითა, სანადიროთა, ეკლესიითა და ყოვლითა მისითა სამართლიანითა საქმითა კიდე.

ესე ასე გაგითავდეს, არა მოგეშალოს არა ჩუენგან და არცა სხუათა მეპატრონეთა კაცთაგან. ასრე და ამას პირსა ზედა, რომე ყოველთა წელი-

---

[5] მყო[ფო] ნსხ. [7] თვინიერ კ. [10] გველფარეხას ნსხ. კ. [19] ჩუენგან ნსხ.კ.

წადთა დაუ[ვ]სებელად კანდელი ენთებოდეს ჩუენისა სულისათუის და წარსამართებლად მეფობისა ჩუენისა.

პირველად მამისა ჩუენისაგანცა შემონირული იყო, და აწ, ჩუენცა ახლად წიგნითა ამით დაგიმტკიცეთ და შემოგწირეთ მამული არნევანი მისითა მიმდგომითა და სამართლიანითა საქმითა, უცილებლად და უკლებლად. ასრე და ამა პირსა ზედა, რომე არა შეგეცვალოს არას ჟამისა გამოცვალებისათუის არა ჩუენგან და არა შემდგომად ჩუენსა სხუათა მეფეთა და დედოფალთაგან, და არას ადამის ტომის კაცისაგან არა.

და თუ ვისმე ამა მამულისა წიგნი და ნიშანი ჰქონდეს, ყველა წიგნითა ამით გაგუიცუდებია და მტკიცე ესე ოდენ არს. და ვინცა და რამანცა კაცმან ესე ჩუენგან შემონირული წიგნი და მამული შეცვალოს, ჩუენთამცა ცოდვათა მზღვე[ვე]ლი არის წინაშე ღ(მრ)თისა. რისხვავსმცა ღ(მერ)თი და ყოველნი წმიდანი [ჴორციელნი და] უჴორცონი, და ამათ{თა} ზემოთა წერილითა წმიდათა მადლი. ნურა[თა]მცა სინანულითა იქმნების ჴსნა და ლხენა სულისა მისისა. და მამტკიცებელნი ამისნი ღ(მერ)თმან აკურთხნეს.

დაიწერა მტკიცე ესე სიგელი ქ(რონი)კ(ონ)სა რმე, ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა ია, ჴელითა ბარაქსაძისა გიორგისათა.

გადამწერის შენიშვნა (ფანქრით):
ხვეულად ხელის მოწერა.

[5] უკლებელად ნსხ. [7] სხუათა ნსხ.კ. [13] წმინდანი და ნსხ.

37

1458. 27 აგვისტო. წყალობის სიგელი გიორგი მეფისა შალვა გამყრელისძისადმი

დედანი დაკარგულია. გვაქვს პირი: ხეც, Hd-10149 ბ, რომელიც, ე. თაყაიშვილის ცნობით, XIX საუკუნეში ტყავის დედნიდან გადაულია ბერ ალექსი ბაქრაძეს.

სპეციალური ნიშნები: 1. გიორგი მეფის მეფობის იბ (12) ინდიქტიონი; 2. ქრონიკონი რმე (146) /1458/, აგვისტოს კზ (27).

სპეციალური დამწერი: წირქვალელისძე რატი.

გამოცემა: [10], ე. თაყაიშვილი, 17-18.

ქ. ჩუენ, ღვთივ-გვირგვინოსნის მეფეთ მეფის გიორგისგან. იესიან-დავითიან-სოლომონიანობით აღმკულმან ვ... დიდებულმან, ნებითა და შეწევნითა ღვთისათა და [წინამძღურობითა] პატიოსნისა ჯვარისა ძელისა ცხოვრებისათა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შაჰან-შაჰე და შარვან-შაჰე და ყოვლისა ჩრდილოეთისა, აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის თვით-ჴელმწიფედ ფლობით მპყრობელთასა.

მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერდგულნი და თავდადებით ნამსახურნი და ჩუენისა მორჭუმისა და ამოდ ყოფისათჳს დიდად მომჭირნენი, გამყრელისძე შალვა და შუილი მათი ინდუა და მამისა, გვიაჯნეს და მოგუახსენეს ჩუენ და თანამეცხედრესა ჩუენსა, პატრონსა დედოფალთ დედოფალსა ნესტანდარეჯანს და ძესა ჩუენსა ალექსანდრეს, რათამცა მრავალთა ერდგულობა-ნამსახურთა მათთასა სიგლითა ამით შეგუეწყალნეს და ამათთჳს სისხლი გაგუეჩინა. დაგუაჯერა [ღმერთმან] და ვისმინეთ ჰაჯა და მოხსენებანი მათი და გა[ვ]უჩინეთ სისხლად ორასოცი ათასი ძველი ცხუმური მისითა საგერშოთა და სანახშიროთა.

მოკითხული ვქენით და ძველადცა თქუენისა სახლისა ასრე გაჩენილი ყოფილიყო და ძველი სიგელი კიდე დაგწვოდა. და ან ჩუენცა შეგნწყალეთ და სისხლის სიგელი გაგიჩინეთ და გაგიახლეთ. და თქუენდა სისხლად გავაჩინეთ ორასოცი ათასი ძველი ცხუმური თეთრი მისითა საგერშოთა და სანახშიროთა.

---

[3] [წინამძღურობითა]] წინამძღვრისა და ნსხ. [8] ამაოდ ნსხ. [13] და გუიჯერი ნსხ. დაგუიჯერი თ. [ღმერთმან]] –თ. [14] გაგიჩნდებოდეს ნსხ.

ვინცა თქვენგანი და თქვენის სახლისა გვარისა უბრალოდ მოკლას და გიღალატოს, ესე ჩვენგან თქვენთვის სისხლად გაჩენილი ორას[ოც]ი ათასი ძველი ცხუმური თეთრი გაგიჩინეთ.

ვინცა-ვინ დარბას[ს] უსამართლოდ შეგასმინოს, ანუ დაკოდითა დაგახიჩოს, ანუ საჩენსა და ანუ უჩენსა ალაგსა დაგკოდოს, ანუ ცოლი ვინმე წაგგუაროს, ანუ საფლავი გაგიტეხოს, ანუ სასახლესა ზედა ვინმე დაგესხას, ანუ ცეცხლი შემოგაყაროს, ანუ მუქარა გთხოოს, ანუ ცოლობით გაგინონ, ანუ ჯოგი წაგისხას, ანუ მეკობრობით ვინმე რამე მოგპაროს და, რაცა კაცისაგან კაცსა სავნებელი და საუპატიო საქმე წაეკიდების, იგი წაგეკიდოს, ამა ორასოცი ათასისა ჩვენგან თქვენთვის გაჩენილისა სისხლისაგან მის ჟამისა ბრჭეთა, როგორიცა სამართლად მართებდეს, აგრე გაგიჩინონ. და არას ჟამშიგან ესე აროდეს დაგაკლდებოდეს.

ბ(რძანე)ბა ესე ნიშნად გვიბოძებია.

დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ო)ნსა რმვ, ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა იბ, აგვისტოს კზ, ჴელითა წირქვალელისძისა რატისათა.

38

1459. 28 ნოემბერი. შენირულობის წიგნი ფავნელ უჯარმელისა სვეტიცხოვლისადმი

დედანი დაკარგულია. იგი დაცული იყო სინოდის კანტორის მცხეთის საბუთებში (№484, ნუსხა №ლდ). თ. ჟორდანიას ცნობით, იგი ყოფილა შესრულებული ტყავზე, კარგი ხელით. დღეისათვის არსებობს საბუთის ორი პირი: 1. სპა, 1449-1484; გადაწერილი XX საუკუნის დასაწყისში ს. კაკაბაძის მიერ. მასვე დაურთავს დედნის არქეოგრაფიული მონაცემები: „სიგელი მცხეთისა №484, ბოძებული ფავნელი უჯარმელის მიერ ტყავზე 74×14,1/3. პალიმფსესტი, ლამაზი ხელით ნაწერი. ზოგან ჰქონია ა-შეტობა, რომელიც პირში არ არის ასახული"; 2. სპბაი, H-6 (G-29b: H-460-58), Лл.103б-105 ნ.

თარიღი: ქორონიკონი რმზ (146) /1459/. სექტემბრის კზ (28).

საბუთი გატარებულია გუჯრების წიგნში: სპა, 1451, 1, №481.

საბუთის დამწერი: ღუინიანისძე კუირილეს შვილი დიმიტრი.

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 272 (შემოკლებით) (ჟ); 2) [19], ს. კაკაბაძე, 12 (კ); 3) [51], С. Какабадзе, №386, 254 (აღწერილობა).

ქ. სახელითა ღ(მრ)თისა, სამ[გ]უამოვნად ცნობილისა, სამბრწყინვალისა, სამმნათობიერისა, ერთნებისა, ერთღმრთაებისა და ერთუფლებისა; ღ(მრ)თისა მამისა, ღ(მრ)თისა ძისა, ღ(მრ)თისა სულისა წმიდისათა.

მეოხებითა, შეწევნითა და თანამდგომარეობითა ყ(ოვლა)დ წმიდისა, ყ(ოვლა)დ უხრწნელისა, ყ(ოვლა)დ ბიწშეუხებელისა დედოფლისა ჩუენისა ღ(მრ)თისმშობელისა და მარადის ქალწულისა მ ა რ ი ა მ ი ს ი თ ა, რომლისა მიერ ჴორცვასხებულ იქმნა ქ რ ი ს ტ ე ღ(მერ)თი ჩუენი და ეზიარა კაცებასა ჩუენსა თბითა მით ადამიანითა, მრჩობლ-ბუნებითა, ვიტყუი, უკუე ღ(მერ)თკაცებასა.

ძლიერებითა და თანადგომითა ბეჭთა ქ(რისტ)ეს სამშჭუალისა, მორწმუნეთა საჭურველისა, მეფეთა ძლევით გუირგუინოსან-მყოველისა, ძელისა ცხორებისათა, რომელსა ზედა განკუართულ იქმნა ჴორცითა ქ(რისტ)ე, ღმერთი ჩუენი, ძლევით შემუსრვად ბჭეთა ჯოჯოხეთისათა.

ოხითა და შეწევნითა ურულოთა მცველ-მფარველთა ცხორებისა ჩუენისათა, წამისყოფითა აღმასრულებელთა ღ(მრ)თისა ბ(რძანე)ბათა, დიდთა მთავართა ზეცისა ბ(რძანე)ბათა და ცხრა არვეთა ზეცისა.

---

[1] სამგუამოვნისა და ნსხ. ნსხ. კ. [7] ჩუენისა კ. [8] მრჩობილ ნსხ. [9] ბეჭთა] ბჭეთა კ. საშჭვალისა კ. [10] ურულოთა ნსხ.კ. მფარველთა] მამართებელთა ნსხ. კ. [14] წამისყოფით კ. [15] ბრძანებათათა ნსხ. კ.

ყოველთავე ძალთა თანამოქმედება-მდგომარეობითა, ყოველთა დედათა ნაშვთა უზენაესისა, მუცლით გამო დედისათ ქ(რისტ)ეს თაყუანისცემით მეუფედ მცნობელისა, უდაბნოსა ქადაგის{ა}, სინანულისა ერთა ცულით{ა} მაჩუენებელისა, წინამსრბოლისა, წინასწარმტყუელისა და ნათლისმცემელისა
5 ი[ო]ანესითა; სეხნის მობაძავისა და თანამეტომისა მისისა, ძედ ქუხილისა წოდებულისა, ი(ოანე) ღ(მრ)თისმეთქუისა და ღ(მრ)თისა ძმისა მკერდსა მას სამეუფოსა მიყრდნობილის{ა}.

ოხითა, შეწევნითა [და] თანამდგომარეობითა პეტრე რიტორისა, სასუფეველისა კლიტეთ-მპყრობელისა, [ანდრია] პირველწოდებულისა და
10 პავლე სამცამდე აღწევნულისა, და არათქმულთა სიტყუათა მსმენელისა, მოძღურისა წარმართთასა.

და თანამოქმედება-მდგომარეობითა წმიდათა მოწ[ა]მეთა: გიორგი, დიმიტრი, თევდორე, მერკური, პროკოპი, პანტელეიმონ; და წმიდათა ქალწულ-მოწამეთა: ეკატირინა, ირინ[ე], ბარბარ[ე], მა-
15 რინა და თეკლასითა, და ყოველთა მობაძავთა მათთა, რომელნი დაიკლნეს ქ(რი)ს(ტეს)თუის და სისხლითა შეღებულ იქმნეს.

და უფროსღა წმიდისა და ყოველთა ჩრდილოეთისა კედართა შორის უაღრეს-უზეშთაესისა, ვიდრე ცისა კამარამდის აღწევნულისა, ქრისტიანეთა დიდება-პატივისა, დედაქალაქისა კათოლიკე მცხეთისა საყდრისა და მას
20 შინა ღ(მრ)თივ-აღმართებულისა სუეტისა ცხოველისა, კუართისა სამეუფოსა, რომელი იქსოვა ჴელთაგან ყ(ოვლა)დ უხრწნელისა ღ(მრ)თისა დედისათა, და მირონისა ღმერთ-მყოფელისათა.

ამა ყოველთა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა, ესე წიგნი და სიგელი სამკუიდრო, სამამულო,
25 მტკიცე და შეუცვალებელი, რასა გინდა ჟამთა შლილობა-ქცევა-გამოცვალებასა შიგანცა დაგიწერეთ და მოგ[ა]ჴსენეთ თქუენ, ვირშისა წმიდათა მთავარანგელოზთა მიქაელს და გაბრიელს, და ქ[ა]რთლისა პატრიაქსა დ(ავი)თს, და თქუენთა მკუიდრთა მეგანძურთა, სახლისა თქუენისა უხუცესთა, ჯინჯიხისძეთა: ბადას შვილთა გრიგოლს და შენთა შვილთა,
30 ბადასა და ბევროზს, და შენთა ძმისწულთა შალვასა და ივანეს, და თქუენთა მომავალთა ყოველთავე.

მე, უჯარმელმან ფავენელმ(ა)ნ და ჩემმან შვილმან შალვა, მას ჟამსა, ოდეს დაგიცვალეთ ოჯიკასძესა ოქროთა ნასყიდსა და მიქაურსა მამულსა ზედა და მოგ[ა]ჴსენეთ ქუბუშური მამული ჩარუხელისაშ-
35 ვილითა, გერასიმისძისეული მ[ა]მული <და> ტალაკაური, ამილბარასშვილი მამაგულა, სადენურნი ნასახლევნი მისითა ჭურითა, და ნავენაჴევი მურყნეველთა ზემოთ, ხუითსა ქუემოთ, ფოლოცასა აქათ, გვრგლივ თექუსმეტისა დღისა მიწა; ბროწლეს ქუბეშური მამული ველითა, ვენაჴითა, წყლითა, წისქუილითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა,

---

[1] ძალ¤თა ნსხ. [2] ნაშვითა ნსხ.კ. [3] ქადაგის კ. ცულით კ. [5] სახნიას კ. [11] წარმართათასა კ. [12] მონმეთა კ. [13] მერკური ნსხ. [14] ირინ, ბარბარ კ. [18] და ვიდრე ნსხ. [27] მიქიელ კ. მიქელ უ. პატრიარქსა უ. [32] ფავენელმან (ფავენელმა?) უ. [33] ჰჯიკასძეს (უჯიკასძეს) უ. [34] მოგუაჴსენეთ უ. ქუბეშური უ. ჩარეხელას უ. ჩარეხელსა კ. [37] მურკნეველთა კ. ხუითსა] ხუცესა კ. [38] მრგულივ კ. ქუბეშორი კ. ვენახითა ნსხ.

ბ[ა]რითა, საძებრითა და უძებრითა, საყდრისა წილითა, სასაფლაოთა, ყოვლითურთ უნაკლულოდ. აგრევე – გერასიმისძისეული მამული მისითა მიმდგომითა ველითა, ვენაჯითა, წყლითა, წისქუილითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა, ბ[ა]რითა, საჴმრითა და უჴმრითა, საძებრითა და უძებრითა, შესავლითა და გამოსავალითა, ყოვლითურთ უნაკლულოდ. აგრევე – სადუნურნი ნას[ა]ხლევნი მისითა [მზღურითა] და ნავენაჯევი; აგრევე ბროწლეს თექუსმეტის დღისა მიწა მოგვიჴსენებია, ჩუენ, უჯარმელსა ფავნელსა და ჩემსა შვილსა შალვ{ა}ს, თქუენ, ვირშის თავს წმიდათა მთავარანგელოზთათუის.

ესე მამული და გლეხნი მათითა მამულითა, წყლითა, სარწყავითა, წისქუილითა, ველითა, ვენაჯითა, ტყითა, სანადიროთა, საჴმრითა და უჴმრითა, საძებრითა და უძებრითა, არა მოგეშალოს და არცა შეგეცვალოს არა ჩუენგ{ა}ნ და არა ჩუენისა გუარისა კაცთაგან. ვინ იცის, ჭ[ა]მთა გამოცულილობის და ვითარებისაგ{ა}ნ ესე მამული მოგეშალოს და წაგელოს, ხუითს მთავარანგელოზთა მკუიდრი მამული მთავარანგელოზთავე დარჩეს უსარჩლელად ყოვლისა ადამის ტომისა კაცისაგ[ა]ნ.

ან, ვინცა და რამანცა კაცმ{ა}ნ ესე ჩუენგ{ა}ნ მოცემული მამული, სანაცვლოთა დადებული წაღებითა მოგიშალონ და შეგიცვალონ, შერისხდი თქუენ, ღ(მერ)თო დაუსაბამო[ო], მამაო, ძეო და სულო წმიდავო. და შენ, ყოველად წმიდაო მშობელო მისო, ყოველთა დაბადებულთა დედოფალო, მისგ[ა]ნ იძიე შური ჯუარისმცუმელთა ძისა შენისათა. შე-მცა-ედების ძრწოლა კაენისა, შიშთუილი იუდასი, მეხდატეხილობა დიოსკორესი, დანთქმა დათან და აბირონისი. კანონსამცა ქუეშე მოციქულთასა არს და ამა ზემო წერილთა წმიდათასა. დამამტკიცებელნი ღ(მერ)თმან აკურთხნეს.

დაიწერა ქ(რონი)კონსა რმზ, სეკდებერსა კზ, ჴელითა ღუინიანისძისა კუირილეს შვილისა დიმიტრისათა.

დამტკიცებები (გადამწერის შენიშვნით, „ცუდის ხელით"):
მე, ფავნელი, ამისი გამთავებელი ვარ
მე, შალვა, ამისი გამთავებელი ვარ.

[5] სდუნურნი ნასხლევარი ნსხ. კ. [6] [მზღ]ურითა] მძურითა კ. [7] მოგეჴსენებია კ. [12] ჩუენგნ კ. [13] უმითა კ. [17] რამნცა კაცმნ კ. ჩუენგნ კ. [25] ღუინიანასძისა კ.

39

1459-1673. სამთავისის გუჯარი

დედანი დაკარგულია. გვაქვს XVII საუკუნის ორი პირი: 1. ხეც, Ad-559. სიძველისაგან გაყვითლებული ქაღალდის გრაგნილი, ზომა: 150,5×13, რესტავრაციის შემდეგ: 150,5×19,5. დაზიანება: გაცრეცილი, კიდეები – შემოხეული. მთლიანად დაკრულია სქელ საფენ ქაღალდზე, რომელზედაც ოთხივ მხარეს ტექსტს ფანქრით შემოვლებული აქვს ჩარჩო. ტექსტი დაწერილია მხოლოდ recto-ზე. ხელი თანაბარი, მწყობრი ნუსხური; მელანი შავი. თ. ჟორდანიას სინოდის კანტორაში უნახავს საბუთი ნომრით №427, აგრეთვე ნუსხები: №412-3 და ტლზ (337). საბუთის recto-verso-ზე მიწერილია კიდევ სხვა სარეგისტრაციო-სააღრიცხვო ნომრები: №№2, 110, №918, 958. მათ შორის №2 ეკუთვნის საეკლესიო მუზეუმს; 2. ხეც, Ad-604; ქაღალდის გრაგნილი, ზომა: 135,7×12,5; საბუთი მსუბუქად არის დაზიანებული, რამდენიმე ადგილას მარჯვენა კიდე მოხეულია ტექსტის დაუზიანებლად. შუაში ტექსტი ოდნავ დალაქავებულია, verso-ზე ტექსტის ქვემოთ დარჩენილ ცარიელ არეზე დაკრულია საფენი ქაღალდი. მელანი შავი, ხელი ნუსხური, რომელიც იწყება თანაბრად დაშორებული მწყობრი სტრიქონებით და გრაგნილის შუა სტრიქონებიდან თანდათანობით მჭიდროვდება. ასეთივე მჭიდრო ნაწერი გრძელდება საბუთის verso-ზე.

სამთავისის გუჯრის შედგენილობა. ორივე პირში სამთავისის გუჯარი იწყება შაჰნავაზის 1673 წელს გამოცემული ბრძანებით, რომლის თანახმად, მეფეს უნახავს სამთავისის სამწყსოს „ძველითგან განაჩენი“ ფრიად დაძველებული გუჯარი და უბრძანებია მისი განახლება „ისევ იმ რიგათ და იმავე წესით“. საკუთრივ გუჯრის ტექსტი იწყება მეფის ბრძანების შემდეგ. სამთავისის გუჯრის ტექსტი შეიცავს: 1. სხვადასხვა დროს შედგენილ სამთავნელის სარგოს ორ ვრცელ ნუსხას სოფლების ჩამონათვალით; 2. სამთავნელის საკანონო განჩინებას. სწორედ ამ ძირითადი ტექსტების სხვადასხვა ნაწილშია ჩართული რამდენიმე სხვადასხვა დროს შედგენილი და სხვადასხვა დანიშნულების მცირე პასაჟები, რომელთა ლოგიკური შეუსაბამობა ძირითად ტექსტთან სრულიად აშკარაა. ამგვარ შეუსაბამობათა არსებობას, ძეგლის პირველი გამომცემელი, თ. ჟორდანია ხსნის ძველი პირის ნაკლოვანებებით ([41], თ. ჟორდანია, 272), საიდანაც, შაჰნავაზის ბრძანებით, გადაუწერია ტექსტი დანიელ მოძღვარს. თ. ჟორდანიას მსგავსად, ძველი ნუსხის ნაკლოვანებებს მიაწერს ტექსტში შეუსაბამო ადგილების არსებობას ი. დოლიძე. მისი დაკვირვებით, შაჰნავაზის დროს დედნის ფურცლები უკვე დაშლილ-დაზიანებული ყოფილა, რის გამოც გადამწერთ ისინი აღრევით გადაუბამთ ([7], ი. დოლიძე, 1151).

სამთავისის გუჯარში შეუსაბამო ჩანართების გაჩენა ს. კაკაბაძემ, სრულიად მართებულად, დაუკავშირა თავდაპირველი დედნის აშიებზე მინაწერების არსებობას ([24], ს. კაკაბაძე, გვ. 11, 12, 15), რომლებიც გადაწერისას გაბმულ ტექსტში მექანიკურად გადაუტანიათ. თავისთავად ცხადია, აშიებზე გაფანტული მინაწერების ძირითად ტექსტში

გადატანისას დაირღვეოდა ძირითადი ტექსტის შინაარსობრივი სტრუქტურა, მაგრამ ზუსტად ამავე მიზეზის გამო ადვილდება მათი გამოცალკევება გაბმული ტექსტიდან. აშკარაა, რომ გუჯარი პირველად შაჰნავაზის დროს არ გადაწერილა და ადრინდელ გადამწერებს თავად შეჰქონდათ ლოგიკურად გამართულ ტექსტში მოზრდილი „შეუსაბამო" პასაჟები. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ამას შეგნებულად ჩადიოდნენ, რათა არ დაერღვიათ პასაჟების რიგითობა. ამ თანამიმდევრობის დაცვით გადამწერები ერთგვარ ქრონოლოგიურ მოჯნებს დებდნენ, რითაც მომხმარებელს უადვილებდნენ ჩანართებში ასახული მოვლენების დროში დალაგებას. რასაკვირველია, გუჯარში ისეთი ჩანართებიც გვხვდება, რომელთა გაჩენა შეუძლებელია აიხსნას, თუ არა დედნის ფრაგმენტული დაზიანებები.

ს. კაკაბაძემ ეს, ე. წ. ჩანართი საბუთები, თავის პუბლიკაციაში უცვლელად დატოვა, მხოლოდ ძირითადი ტექსტისაგან კომენტარებით გამიჯნა. მისი პუბლიკაცია იწყება შაჰნავაზ მეფის ბრძანებით, ისევე, როგორც ეს არის ხელნაწერში. ჩანართები ასევე უცვლელად, მაგრამ კომენტარების გარეშეა დატოვებული ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლებში" ([46], ივ. ჯავახიშვილი, 8-14). სხვა გზა აირჩია ი. დოლიძემ. მან ტექსტზე საგანგებო მუშაობა ჩაატარა და შეეცადა გუჯრის შემადგენელი ნაწილები ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპით გადაეწყო. გუჯრის ორი ძირითადი საბუთი მან ორ დამოუკიდებელ ტექსტად მიიჩნია და ცალ-ცალკე გამოაქვეყნა: 1. „სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესაწირის წიგნი"; 2. „სამთავნელის საკანონო განჩინება" ([7], ი. დოლიძე, №№32, 33, გვ. 198-209). რაც შეეხება ჩანართ საბუთებს, მათგან ზოგიერთი ი. დოლიძემ თავის ადგილას დატოვა, ზოგი გადაადგილა და ზოგიც სქოლიოში ჩაიტანა. ადგილი შეუცვალა ი. დოლიძემ შაჰნავაზის ბრძანებასაც. მიუხედავად იმისა, რომ გუჯრის ორივე ნუსხა ამ საბუთით იწყება, იგი მან პირველ ტექსტს მოაცილა და მის მიერვე ხელოვნურად გამოყოფილი მეორე საბუთის — „სამთავნელის საკანონო განჩინების" — ბოლოში გადაიტანა ([7], ი. დოლიძე, 209).

სამთავისის გუჯრის მეორე, პირველისაგან დანიშნულებით სრულიად განსხვავებული ნაწილი — ესაა „სამთავნელის საკანონო განჩინება". ეს ორი ნაწილი Ad-559 ხელნაწერში ერთმანეთისაგან არის გამოყოფილი ჩანართით, რომელიც მოსდევს სოფელ ტბეთს და შეეხება სოფელ გოლგოთაში სამთავნელის საპატიო დახვედრის წესს. იგივე ჩანართი არ არის Ad-604-ში, რაც მოწმობს, რომ ეს ნუსხები ერთმანეთზე არ არის დამოკიდებული, ან Ad-604-ის გადამწერი ამ ე. წ. „შეუსაბამო" ადგილებს, რიგ შემთხვევაში, შეგნებულად ტოვებდა.

„საკანონო განჩინება" თარიღიანი (1459) ტექსტია. იგი შეუდგენიათ გრიგოლ სამთავნელის მღვდელმთავრობის დროს ერისთავ შალვას ბრძანებით. საგულისხმოა, რომ „განჩინების" ტექსტი შუაში მექანიკურად არის გაწყვეტილი სამთავნელის სარგოს მეორე ნუსხით, რომელიც სოფლების ჩამონათვალით და საგადასახადო ტერმინოლოგიით სრულიად განსხვავდება სამთავნელის სარგოს პირველი ნუსხისაგან. ცხადია, სარგოს ეს ნუსხა მას შემდეგ დაემატა გუჯარს, რაც „საკანონო განჩინება" უკვე არსებობდა და რომელიღაც შუალედური პირის გადამწერმა, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, სამთავნელის სარგოს ეს მეორე ნუსხა „განჩინების" შესაფალი ნაწილის შემდეგ მოათავსა. სამთავნელის სარგოს ეს მეორე ნუსხა რომ შედარებით გვიანდელია, ამას ადასტურებს გამოსაღების „დრამა" სპეციფიკური შინაარსი. აქ იგი, განსხვავებით პირველი ნუსხისაგან, არა ფულის ერთეულს, არამედ ნატურალურ გადასახადს აღნიშნავს. ეს ახალი ნუსხა სრულდება სოფელ „ჯეჯლიკურზე", რის შემდეგაც გრძელდება ისევ „საკანონო განჩინება". გუჯრის ეს მონაკვეთი ასეთივე თანმიმდევრობით არის გამოქვეყნებული

ივ. ჯავახიშვილისა და ს. კაკაბაძის პუბლიკაციებში. ი. დოლიძემ ეს ნაწილი თემატურად გამართა – „საკანონო განჩინებიდან“ სარგოს ახალი ნუსხა ამოიღო და სარგოს ძველ ნუსხას მიაბა ([7], ი. დოლიძე, 205). ამ მცირე გადაადგილებით „განჩინების“ გაწყვეტილი ნაწილები ერთმანეთს შეუერთდა ([7], ი. დოლიძე, 206-209).

ამ ახალ ნუსხაში ასახულია მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც განუცდია ქსნის ხეობის სოფლებს. აქ შეტანილი „ქსნის სოფლების“ სახელები აღარ ემთხვევა ძველი ნუსხის სოფლებს. განახლებულ ნუსხას უნდა აბოლოვებდეს ერთ-ერთი ჩანართი სასისხლო დადგენილება, რომელიც ი. დოლიძემ „საკანონო განჩინების“ ბოლოს გადაიტანა: „და. ამას გ(ა)რდა, რაოდენიცა სოფლ(ე)ბი სწერია ქსანზედა, ამ(ა)თ ს(ო)ფ(ე)ლთა შ(ინ)ა ვინცა აზნაურმან, ანუ გლეხმ(ა)ნ კაცი მოკლას, მესამედი სისხლი ღთ(ა)ებას მიართვას მოკლულის მიცვალებულის მოსახსენებლად“ ([7], ი. დოლიძე, 209). ეს დადგენილება რომ არ არის „განჩინების“ თანადროული, იმითაც ჩანს, რომ მკვლელობის საზღაური „განჩინებაში“ საკმაოდ გაუდიფერენცირებლად და სხვა საზღაო ერთეულით არის წარმოდგენილი; „უკეთუ კ(ა)ცი მოკლას ვინმე, მკულელმა ხუთი ჯარი მიართოს და მკედრის პატრონმა – ერთი“ (აქვე, 207). სამთავნელის სარგოს ახალი ნუსხის მონაცემები ადასტურებენ, რომ გუჯარში იგი მესამე საბუთად იყო შეტანილი „საკანონო განჩინების“ შემდეგ.

Ad- 559 ხელნაწერი სრულდება ვირშელ ერისთავის სახელზე შედგენილი სააღაპე ჩანაწერით. ი. დოლიძემ ეს ჩანაწერი, როგორც გუჯრის არაორგანული ნაწილი, ამოიღო ძირითადი ტექსტიდან და სქოლიოში ჩაიტანა ([7], ი. დოლიძე, 209, სქოლიო). სინამდვილეში ეს სააღაპე ჩანაწერი სამთავისის გუჯრის ორგანული ნაწილია, რომლის მსგავსები, ჩვეულებრივ, ეკლესიაში ხშირად გამოყენებად ხელნაწერთა აშიებზე იწერებოდა. გრიგოლ სამთაელის ჩანაწერს იურიდიული ძალა ჰქონდა და მისი შეტანა სამთავისის კრებსით დოკუმენტში სრულებით არ არის უჩვეულო. ამიტომ მისი დაცილება დანარჩენი ტექსტისაგან მიზანშეწონილი არ არის.

სამთავისის გუჯარი თავისი დანიშნულებით და მრავალთემიანობით მსგავსია „იადგარის“ სახელით ცნობილი კრებსითი დოკუმენტებისა, რომლებსაც საგანგებოდ ადგენდნენ მსხვილ ეპარქიებსა და მონასტრებში საეკლესიო ორგანიზაციის გასაძღოლად (გელათის იადგარი, ხობის იადგარი, ბიჭვინტის იადგარი). იადგარებში შეტანილ საბუთებში თავმოყრილი იყო ინფორმაცია ეპარქიის შემოსავლებზე, მის ადმინისტრაციულ საზღვრებზე, სამართლებრივ უფლებებზე, შემომწირველებზე და მათ მიმართ სააღაპე ვალდებულებებზე*. ანალოგიური შედგენილობის და, შესაბამისად, ანალოგიური დანიშნულების დოკუმენტი ჩანს სამთავისის გუჯარიც.

თარიღი: სამთავისის გუჯრის შედგენილობასთან უშუალოდაა დაკავშირებული მისი დათარიღების პრობლემაც. თავად გუჯარში თარიღიანია მხოლოდ ორი საბუთი: რიგით პირველი ტექსტი – შაჰნავაზის ბრძანება 1673 წლისა (მისი თარიღი გუჯარს ბოლოში ერთვის) და მესამე ტექსტი – 1459 წლის „სამთავისის სამწყსოს საკანონო წიგნი“. ეს თარიღები წარმოადგენენ იმ ქრონოლოგიურ ორიენტირებს, რომელთა დახმარებით შეიძლება განისაზღვროს მთლიანად გუჯრის ქრონოლოგიური ჩარჩო.

---

* იადგარების დიპლომატიკური სტრუქტურის შესახებ იხ. მ. სურგულაძე, ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან – „ბიჭვინტის იადგარი“, მრავალთავი, ფილოლოგიური და ისტორიული ძიებანი, XVIII, თბ., 1999, 376-383.

თ. ჟორდანია მთელ დოკუმენტს ერთიანად ათარიღებს 1459 წლით. ს. კაკაბაძე ფიქრობდა, რომ დოკუმენტის პირველი ნაწილი – „სამთავისის დრამისა და შესავლის ნუსხა“ – X საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო მის მომდევნო „განჩინება“ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე უნდა ყოფილიყო შედგენილი ([24], ს. კაკაბაძე, 8). ივ. ჯავახიშვილი მთლიანი დოკუმენტის თარიღს განსაზღვრავს XV საუკუნის შუა ხანებით. ი. დოლიძე „სამთავისის დრამისა და შესავლის ნუსხას“, ანუ გუჯრის იმ ნაწილს, რომელიც წინ უძღვის 1459 წლით დათარიღებულ სკანონო განჩინებას, XV საუკუნის პირველ ნახევარს აკუთვნებს, მაგრამ ამავე „ნუსხის“ მეორე ნაწილს XVII საუკუნით ათარიღებს, რადგან მასში გამოყენებული საგადასახადო და მეტროლოგიური ტემინოლოგია არ ეთანხმება ნუსხის პირველ ნაწილს ([7], ი. დოლიძე, 1151-1152). სამთავისის გუჯრის პირველი ნაწილის სიძველის სამტკიცებლად ს. კაკაბაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ტექსტში ქვენიფნევის მოუხსენებლობას, რაც, მისი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ ტექსტი უფრო ადრე შეიქმნა, ვიდრე ქვენიფნევი ქსნის ერისთავთა რეზიდენცია გახდებოდა. თუმცა, ქვენიფნევის მოუხსენებლობას სხვაგვარი ახსნაც შეიძლება მოეძებნოს – სწორედ იმიტომ, რომ თავდაპირველად იგი საერისთაოს რეზიდენციას წარმოადგენდა და არა სოფელს, არ შეუტანიათ საგადასახადო ნუსხაში. მართალია, „სამთავისის დრამისა და შესავლის ნუსხის“ შექმნა X საუკუნეში ნაკლებად სარწმუნოა, მაგრამ მისი სიძველე ეჭვს არ იწვევს. „ნუსხაში“ შეტანილია ქსნისა და ლეხურას ხეობაში მდებარე სოფლები, რომლებიც იმავდროულად ქსნის საერისთავოში შედიოდნენ. მოსალოდნელია, მოცემული „ნუსხის“ შედგენა მართლაც XIV საუკუნეში ქსნის საერისთავოს აღზევებასთან და რეგიონის საკულტო და სამეურნეო ცხოერების მოწესრიგებასთან ერთად დაწყებულიყო. გუჯრის ამ ნაწილის უადრესი ფენა რომ XIV საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს, ირიბად მიანიშნებს ეპარქიის კუთვნილი ერთ-ერთი სოფლის სახელწოდება „ჟოლგოთა“, რომელთანაც მოთავსებულია ჩანაწერი სამთავნელთან განსაკუთრებული რიტუალით შეგებების შესახებ (იხ. აქვე, გვ. 93). „ნუსხაში“ თავად ამ სახელწოდების სოფლის გაჩენა და მასთან რიტუალის მიბმა, დიდი ალბათობით, ეხმიანება „ძეგლი ერისთავთას“ ცნობას ვირშელ ერისთავის ძმისა და გიორგი ბრწყინვალის ელჩის, პიპას მისიის შესახებ ეგვიპტეში, სადაც მან „კლიტენი იერუსალიმისანი“ მოიპოვა ([6], ი. დოლიძე, 107). თუმცა, ამგვარი ვარაუდი სრულებით არ ნიშნავს, რომ ჩანაწერი მოვლენის თანადროულია.

დროდადრო გუჯარს ემატებოდა სხვა სამწყსო სოფლებში სამთავნელის დახვედრისათვის შემუშავებული წესი და რიგი, რომელთა შესახებ ჩანაწერები გუჯრის გადაწერისას სხვადასხვა ადგილას მოხვდა, მაგრამ მათ შორის თემატური კავშირი აშკარაა. 1459 წელს გუჯარი, როგორც ჩანს, განაახლეს და სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა მისი სტრუქტურული მოდელი. ამ წელსვე დაუმატეს მას საკანონო განჩინება და გრიგოლ სამთავნელის ჩანაწერი, რომელიც ვირშელ ერისთავის სახელზე დაწესებულ აღაპს შეეხება. შემდეგი დროის შენამატია გუჯარში სარგოს ახალი „ნუსხა“, რომელიც XVI საუკუნეში ჩანს შედგენილი და, რომელსაც ერთვის ერთი სასისხლო დადგენილება, მორგებული ახალ სოციალურ რეალობაზე. ამრიგად, სამთავისის გუჯარი სხვადასხვა დროს შედგენილი საბუთების ნაკრებია. მასში დანამდვილებით ჩანს XIV საუკუნის ისტორიული რეალიები, მაგრამ ამ პერიოდის ტექსტობრივი შრის დასაბუთებულად გამოყოფა მაინც ჭირს. ამიტომ „კორპუსში“ დოკუმენტის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად პირობითად აღებულია პირველი თარიღიანი საბუთის მონაცემი – 1459 წელი, ხოლო ზედა ზღვარი – 1673 წელი დანამდვილებითაა ცნობილი.

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 272-277 (ტექსტი მისდევს ხელნაწერს, სოფლებისა და გამოსაღებთა ჩამონათვალი გადაყვანილია ცხრილში) (ჟ); 2) [24], ს. კაკაბაძე. 5-15 (ტექსტი მისდევს ხელნაწერს) (კ); 3) [46], ივ. ჯავახიშვილი, 8-14 (ტექსტი მისდევს ხელნაწერს) (ჯ); 4) [7], ი. დოლიძე, 198-209 (ხელნაწერის სტრუქტურა შეცვლილია) (დ); 5) [51], С. Какабадзе, №43. с. 173-177 (სრული ტექსტის რუსული თარგმანი, დამყარებული ი. დოლიძის პუბლიკაციაზე, კომენტარებითა და ლექსიკონით).

წინამდებარე გამოცემაში სამთავისის გუჯარი ერთ მთლიან დოკუმენტად არის გააზრებული და შენარჩუნებულია მისი მთლიანობის დამადასტურებელი მახასიათებლები. მისი შემადგენელი ცალკეული ნაწილები ტექსტიდან გამოყოფილია სათაურებით. ძირითადი ტექსტი გამართულია Ad-559-ის მიხედვით, რამდენადაც იგი უფრო სრულია. იგი გამოცემაში აღნიშნულია A ლიტერით. მეორე პირის (Ad-604) განსხვავებული შედგენილობა თუ წაკითხვები აღნიშნება B ლიტერით.

გამოცემაში შაჰნავაზის ბრძანება, გარდა მისი დამაბოლოებელი ფორმულებისა, ისევე, როგორც ეს არის ხელნაწერში, შეტანილია დოკუმენტის თავში. ამგვარი სტრუქტურა არღვევს საბუთების ქრონოლოგიურ რიგს, მაგრამ ზუსტად შეესაბამება საქართველოში არსებულ დიპლომატიკურ ტრადიციას. ძველი საბუთის განახლების დროს საბუთის ტექსტი, ჩვეულებრივ, იწყებოდა განმაახლებელი მეფის წოდებულებით და მისი გადაწყვეტილების გამომხატველი ფორმულებით. ამავე წესის თანახმად, საბუთის დასასრულს უნდა განმეორებულიყო ახალი ბრძანების ძირითადი დებულებები და აღნიშნულიყო დოკუმენტის განახლების თარიღი და მეფის (ან სხვა უფლებამოსილი პირების) ხელრთვა. ასეა ამ შემთხვევაშიც. შაჰნავაზის ბრძანების ტექსტი, რომელიც სრულიად შეგნებულად გადაუნაწილებია გადამწერ მწიგნობარს გუჯრის თავსა და ბოლოში, ამთლიანებს და კრავს ამ მრავალთემიან დოკუმენტს. ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად შემადგენელ საბუთთა შინაარსობრივი სხვადასხვაობისა, სამთავისის გუჯარი ერთ მთლიან დოკუმენტად აღიქმებოდა ძველადვე.

[1673 წ. შაჰნავაზის ბრძანება]:

ქ. წყალობითა ღ(მრთის)აჲთა, ჩ(უე)ნ, ცვა-ფარვათა მისთა მინდობილმ(ა)ნ მეფეთ მეფ|[2]ემ(ა)ნ, ჴ(ე)ლმწიფემ(ა)ნ პატრონ(ა)ნ შაჰნავაზ და თ(ან)ამეცხედრემ(ა)ნ ჩ(უ)ენმან, ზღუ|[3]ათა მეფის ასულმ(ა)ნ დედოფალთ დედოფალმ(ა)ნ პატრონ(ა)ნ მარ(ია)მ, და ძე|[4]თა ჩ(უე)ნთა სასურველთა: ბატონისშვილმ(ა)ნ ბატონმ(ა)ნ გ(იორგ)ი, ბატონმ(ა)ნ |[5]ლევან, ლუარსაბ და სოლომონ.

ს(ა)მთ(ა)ვის[ის] ღმრთაების საყდარს ს(ა)მწყსოს |[6]დრამისა და შესავლის ძველითგ(ა)ნ გ(ა)ნაჩენი წიგნი და გუჯარი ჰქო|[7]ნდა. ვნახეთ და, დიაღ, დაძველებულ იყო. და ჩ(უე)ნ(ა)დ სადღეგრძელოდ და |[8]გასამარჯვებელ(ა)დ, როგორაც იმ ხატის სიგელში ეწერა, ისევ იმ რიგ(ა)თ და |[9][იმ]ავე წესით განუახლეთ და და[ჳ]უმტკიცეთ სიგელი ესე. უნდა* მიერთ|[10]მოდეს

[5] ღთეების AB ნსხ. [9] დაუმტკიცეთ AB ნსხ.

* ფრაზა: „უნდა მიერთმოდეს... პირველად" დ-სთან გადატანილია საბუთის დასაწყისში ([7], 198).

მის დროს გაურჯელად და ულაპარაკოდ სამთ(ა)ვის[ის] ღ(მრ)თეების ს|[11]აყდარს:

სამთავნელის სარგოს პირველი ნუსხა:

პირველად: ყ(ა)ნჩეთიდაღმე – პური დ, დრამა ი, სამი კაბიწი სამ(ა)რხო, |[12]ქალამანი ბ, საბელი ბ, რ(ა)ი ხუცეს[ს] – ტყ(ა)ვი, მჭარი და მიეცეს მირონი.

|[13]საძეგურს – პური ა, დრამა გ, ქალამანი ა, და საბელი.

|[14]ამზარგეულთა მუჯაეთს მოართვან: დრამა ორი, სა|[15]მი პური კვამლზედ.

იევფნელთა ქე[ათაჯ]ევს მოიღონ: დრამა გ, თივა ზუ|[16][რგ]ი გ, ქერი, პური და ღვინო ს(ა)ყოფნი, კაბიწი სამ(ა)რხო, ს(ა)ბელი, რ(ა)ი ხ(უ)ც(ე) ს(ს) – ტყ(ა)ვი, მჭარი და ყველი.

|[17]ცხავატს პური ბ, დრამა დ, რ(ა)ი ხუცეს[ს] ტყავი, მჭარი, ყვე|[18]ლი.

ლარგუ[ი]ს[ს] ჟ(ა)მისწირვისა ერთი დ(ია)კ(ო)ნი აკურთხოს და ძმათ |[19]სიყ(უა)რ(უ)ლი, სერობაჲ.

დგიმს, ლოგობეთს, შველეთს, მორღუანს, |[20]ლოგობეთს – სამი კარჩხალა ღუინო ხუთი ლიტრითა, სამი ზურ|[21]გი თივა ხუთი კეფითა, ქ(ა)ლამანი ა, ს(ა)ბ(ე)ლი ა, პური და ქერი კ|[22]უამლათ.

და ერუფაელმ(ა)ნ და საქორელმ(ა)ნ ნასოვს – პუ|[23]რი ა, დრამა ბ, ქალამ(ა)ნი ა, რ(ა)ი ხუცეს[ს] – ტყ(ა)ვი, მჭარი, ყველი და ა|[24]ბრასიკი.

დადანეთს – პური ა, დრამა ბ, ქალ(ა)მანი ა, საბ(ე)ლი ე|[25]რთი, რაჲ ხუცეს[ს] – ტყ(ა)ვი, მჭარი, ყველი და აბრასიკი.

ზოდეხს – პური |[26]ერთი, დრამა გ, კაბიწი სამ(ა)რხო, რაჲ ხუცეს[ს] – ტყ(ა)ვი, მჭარი, ყ|[27]ველი და აბრასიკი.

მთხოთას – პური ა, დრამა გ, ქალამანი ბ, |[28]საბ(ე)ლი ა, რ(ა)ი ხუცეს[ს] – ტყ(ა)ვი, მჭარი, ყველი და აბრასიკი.

მახიერეთს |[29]პური ა, დრამა გ, ორი კ(ა)ბიწი სამ(ა)რხო, ქ(ა)ლა(ა)მანი ბ, რ(ა)ი ხუცეს[ს] – ტყ(ა)ვი, |[30]მჭარი, ყველი და აბრასიკი.

დაბაკნეთს – პური ა, დრამა გ, ქ(ა)ლამ(ა)ნი |[31]ბ, რაჲ ხუცეს[ს] – ტყ(ა)ვი, მჭარი და აბრასიკი.

სოსმალეთს – პური ა, დრამა |[32]ბ, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, რაჲ ხუცეს[ს] – ტყ(ა)ვი, მჭარი, ყველი და აბრასიკი.

სოსხკტ|[33]ოს – პური ა, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, საბელი ა, რაჲ ხუცესსა – ტყ(ა)ვი, მჭარი, ყველი |[34]და აბრასიკი.

დასწყ(ა)როს – პური ა, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ბ, დრამა ბ, რაჲ ხუცესს – |[35]ტყავი, მჭარი, ყველი და აბრასიკი.

---

[11] ყანჩაეთიდაღამე ჯ. [14] ამზარგუეთა ჯ. [15] ქვ[ათაჯ]ევს მოიღონ]-ჯ. [15-16] ზუ|[რგ]ი გ] ზურგი რაჲ ჯ. [17] პური ბ] პური ორი ჯ. [19] შველიეთს ჯ. მორღანი ჟ. მორღანის ჯ. [20] ღვინო ჯ. ხუთი]-ჯ. [22] ერუფაელმა ჟ. [23-24] აბარსიკი ჯ. [24] დადი<ა>ნეთს ჯ. [25] ლაბრასიკი A ნსხ. [27] მათოხთა ჟ. მითოხოთას ჯ. თხოთას დ. [28] მახურეთს ჟ. [30] ბარსკი A ნსხ. [31] სოსმალეს ჟ. ბარსკი A ნსხ. [32] ბარასკი A ნსხ. [34] ბარსკი A ნსხ. [35] კლდეითს ჯ. ბარსკი A ნსხ.

კლდეთს – დრამა ბ, პური ა, ქ(ა)ლ(ა)მანი ა, |[36]რაჲ ხუცესსა- ტყ(ა)ვი მჴ(ა)რი, ყველი და აბრასიკი.

ბეღელეთს – პური ა, დრამა ბ, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი |[37]ა, რაჲ ხუცეს[ს] – ტყ(ა)ვი. მჴ(ა)რი, ყველი და აბრასიკი.

წინუბანს – |[38]პური ა, დრამა ბ, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, რა[ჲ] ხუცეს[ს] – ტყ(ა)ვი, მჴარი, ყველი და აბრა|[39]სიკი.

ყველდაბას – პური ა, დრამა ბ, ქალ(ა)მ(ა)ნი ა, რა[ჲ] ხუცესს – ტყ(ა)ვი, |[40]მჴ(ა)რი, ყველი და აბრასიკი.

ჴარებ(ე)ლს – პური ა, დრამა ა, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, |[41]რა[ჲ] ხუცესს – ტყ(ა)ვი, მჴარი, ყველი და აბრასიკი.

ჭორჭოხს პური ბ, დრა|[42]მა ე, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ბ, საბ(ე)ლი ა, ორი კაბინი სამ(ა)რხო.

ახალდაბას |[43]პური ა, დრამა ბ, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, რაჲ ხუცეს[ს]ა – ტყ(ა)ვი, მჴარი, ყვ(ე)ლი და აბრ|[44]ასიკი.

ანრაწმიდულს – პური ბ, დრამა გ, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, რაჲ ხუცეს[ს]ა- ტყა|[45]ვი, მჴარი, ყვ(ე)ლი და აბრასიკი.

ქარჩუხს – პური ოთხი, დრამა ვ, ქ(ა)ლ|[46](ა)მ(ა)ნი ბ. რა[ჲ] ხუცეს[ს]ა ტყ(ა)ვი, მჴარი, ყვ(ე)ლი და აბრასიკი.

ჟამურს – პური |[47]დ, დრამა ი, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, საბ(ე)ლი ვ, რაჲ ხუცს[ს]ა ტყ(ა)ვი, მჴარი და ყველი.

კვე|[48]რიეთს – პური ა, დრამა ბ, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, ორი კაბინი სამ(ა)რხო, რაჲ ხუცეს[ს]ა – |[49]ტყ(ა)ვი, მჴ(ა)რი, ყველი და აბრასიკი.

ძაგოეთს – პური ა, დრამა ბ, კაბი|[50]ნი სამარხო , ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, საბელი ა, რაჲ ხუცეს[ს]ა – ტყ(ა)ვი, მჴარი, ყველი და აბ|[51]რასიკი.

ჴოზოეთს – პური ა, დრამა გ, კაბინი სამარხო ბ, საბე|[52]ლი ბ, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, რაჲ ხუცე[ს]ს – ტყ(ა)ვი , მჴ(ა)რი, ყველი და აბრასიკი.

გოგოეთს – |[53]პური ა, დრამა ა, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, კაბინი სამ(ა)რხო, რაჲ ხუცეს[ს] – ტყ(ა)ვი, მჴ(ა)რი, ყველი |[54]და აბრასიკი.

გავაზს – პური ა, დრამა ა, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, რაჲ ხუცეს[ს]ა – ტყ(ა)ვი |[55]და მჴარი.

ყობელეთს – პური ა, დრამა ა, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, რა[ჲ] ხუცეს[ს]ა – ტყ(ა)ვი, |[56]მჴ(ა)რი, ყველი და აბრასიკი.

შთონოეთს – პური ა, დრამა ბ, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, კაბინი სამ|[57]არხო.

ჭურთას და ჭურთისჴევს პური ბ, დრამა ბ, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ბ, საბ(ე)ლი|[58]ა. რაჲ ხუცეს[ს]ა – ტყ(ა)ვი, მჴარი, ყველი და აბრასიკი.

საღორეთს – პური ბ, დრამა |[59]გ, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ბ, კაბინი სამარხო, საბ(ე)ლი ა, რაჲ ხუცეს[ს] – ტყ(ა)ვი, მჴარი, ყველი და აბ|[60]რასიკი.

წითროლეთს – პური ა, დრამა ბ, ქალამანი ა, საბელი ა, რაჲ ხუც|[61]ეს[ს]ა – ტყ(ა)ვი, მჴ(ა)რი, ყველი და აბრასიკი.

---

[36] ბარსიკი A ნსხ. [37] აბრაკი A ნსხ. [39] ყველდაბაის ჯ. [40] ჴარებელს] კარბალს ჟ. ჴარბ[ა]ლს ჯ. [42] ორი კაბინის ჯ. ახალდაბაას ჯ. [44] ანრიაწმიდურს ჟ. [45] პური დ B ნსხ. [49] ძაგოეთს] ძაბლეთს ჟ. ჯ. [51] ჴოზოთს ჟ. ჴოხოთს ჯ. [56] მთონეთს B ნსხ.

საბარკლეთს – პური დ, დრამა ვ, ორი |[62]კაბინი სამარხო, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ბ, საბელი, რაი ხუც|[63]ეს[ს] – ტყ(ა)ვი, მჴ(ა)რი, ყვ(ე)ლი და აბრასიკი.

|[64]კკცხოვეთს – პური ა, დრამა ბ, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, კაბინი სამ(ა)რხო. რ(ა)ი̃ცა ხუცესი |[65]იყოს – ტყ(ა)ვი, მჴ(ა)რი, ყველი და აბრასიკი.

დვალიეთს – პური ა, სამარხო კ(ა)ბინი |[66]ა, საბელი ა.

არდის[ს] – პური ა, დრამა ბ, სამი კაბინი სამარხო, ქ(ა)ლა(ა)მ(ა)ნი ა, |[67]რაი̃ ხუცეს[ს] – ტყ(ა)ვი, მჴ(ა)რი, ყველი და აბრასიკი.

წალდევს – პური და ს(ა)მარხო.

|[68]ისროლს – პური ა, დრამა ბ, სამი კაბინი სამ(ა)რხო, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ბ, საბელი ა, |[69]რაი̃ ხუცეს[ს] –ტყ(ა)ვი, მჴ(ა)რი, ყველი და აბრასიკი.

ჯავახთას – პური ა, დრამა |[70]გ, ქალამანი ა, ორი კაბინი სამ(ა)რხო, საბ(ე)ლი ა,| რაი̃ ხუცეს[ს] –ტყ(ა)ვი, მჴ(ა)რი, ყველი |[71]და აბრასიკი.

ჩანართი პირველი:

ეკლესიის* სოფელთა: მთაწმიდას მივიდეს, შობტროვანს ჩა|[72]მოდგეს, ქვითკირით მოვიდეს, მღდელთა და მ(ა)მ(ა)ს(ა)სხლისთა ბეგარი და მას|[73]პინძლობაი̃ არ დააკლონ და სასჯულო ფიცით დააჯერონ, უსაქმონ |[74]და მოაკლებინონ.

---

[65] დვალეთს ჟ.ჯ. [66] არდის ჯ.დ. [72-73] ბეგარი და მასპინძლობაი̃] ბეგარი და ამას A ნსხ. A ნუსხაში აქ ახრი წყდება და გრძელდება B ნუსხის მიხედვით. [74] ფრაზა: „ძველის გუჯრისაგან ესე ოდენ შევიძელით გარდმოწერა"] დ-სთან გადატანილია გოლგოთას შემდგომ ([17], 204). [73] თრუსუს ჟ. [76] პირველ |პური]|-ჯ. [77] ქოლოთს ჯ.

ტექსტის ეს თანმიმდევრობა უცელელადაა დაცული ჯავახიშვილის პუბლიკაციაში. პირველ ჩანართში სიტყვების: „ბეგარი და" შედეგ A ხელნაწერში ჩართულია სისხლის სამართლის დადგენილება: „და ამას გ(ა)რდა, რაოდენიცა სოფლ(ე)ბი სწერია ქსანზედა, ამ(ა)თ ს(ო)ფ(ე)ლთა შ(ი)ნა ვინცა აზნაურმ(ა)ნ, ანუ გლეხმ(ა)ნ ქ(ა)ცი მოკლას, მესამედი სისხლი ღთ(ა)ებას მიართვას მოკლულის მიცვალებულის სულის მოსახსენებლად". ეს დადგენილება არ არის B-ში. ს. კაკაბაძემ ეს ნაკეთი კომენტარით გამოაცალკევა ძირითადი ტექსტისაგან ([24], 11); ი. დოლიძემ იგი თემატურად მოათავსა „საკანონო განჩინებაში" ([7], 202, სქოლიო; იქვე, გვ. 209). „კორპუსში" ეს დადგენილება გადატანილია სამთავნელის სარგოს მეორე ნუსხის შემდეგ.

** A და B ნუსხებში თრუსოს საგადასახადო ვალდებულების ჩამონათვალს მოსდევს ფრაზა: „დახდენ სულ და გამოუსჯნონ". ასევეა ჯავახიშვილის პუბლიკაციაში. ს. კაკაბაძემ ფრაზა მოაშორა თრუსოს და სქოლიოში ჩაიტანა. იქვე აღნიშნა, რომ შინაარსის მიხედვით, ფრაზა პირველი ჩანართის ნაწილი უნდა იყოს ([24], 11); ი. დოლიძემ ეს ფრაზა, როგორც კონტექსტისათვის შეუსაბამო, საერთოდ ამოიღო ტექსტიდან. თემატურად ფრაზა შეესაბამება სამთავნელის მიმოსელასთან დაკავშირებულ ჩანართს (იხ. აქვე, გვ. 109). იგი გულისხმობს სამთავნელის საპატიო დახვედრას ხატების გამოსვენებით, როცა იგი რომელიღაც სოფელში ჩავიდოდა. მაგრამ თვით სოფლის სახელი აქ საეჭვოა, რომ თრუსო ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ ფრაზა აქ ნაკლულია.

ძველის გუჯრისაგან ესე ოდენ შევიძელით გარდმოწერა.

სამთავნელის სარგოს პირველი ნუსხა (გაგრძელება):

|[75]ბოსელთა – პური ბ, დრამა დ, საბელი ა, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ბ.

ღუდს – პური ბ, დრამა დ, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ბ, საბელი ბ.

თრუსოს – პური ვ, სოფლის თავს სა|[76]მ-სამი დრამაი და თვითო ზურგიელი, ქალ(ა)მ(ა)ნი ვ, საბელი დ.**

მთაწმიდის ბოსელთა – პირველ [პური] ა, დრამა ბ, ქალამანი ა, |[77]საბელი ა, კაბინი სამარხო.

ქოლოთს – პური ა, დრამა გ, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ბ, |[78]საბელი ბ, კაბინი სამარხო.

ვანს – პური ა, დრამა ა, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, საბე|[79]ლი ა, კ(ა)ბინი სამ(ა)რხო.

ქვიტკირთა – პური ა, დრამა ბ, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ბ, საბელ|[80]ი ბ, კ(ა)ბინი.

ჩრდილათთა– პური ა, დრამა ა, ს(ა)ბ(ე)ლი ბ, ქ(ა)ლ(ა)მანი ა.

|[81]ფითესა– პური ა, დრამა ა, ს(ა)ბ(ე)ლი ა. რაი ხუცეს[ს]ა ტყავი, მჭარი და |[82]აბრასიკი.

წოლდს – პური ბ, დრამა ვ, ქ(ა)ლ(ა)მანი ბ, საბელი ბ, სამარხო |[83]კაბინი ბ, რაი ხუცესსა – ტყ(ა)ვი და მჭარი და აბრასიკი და ყველი.

ლელ|[84]ოვანს – პური ა, დრამა ბ, საბელი ერთი, ქ(ა)ლ(ა)მანი ა, კაბინი სამარხო. |[85]რაი ხუცესსა – ტყ(ა)ვი, მჭარი, ყველი და აბრასიკი.

არმაზს – პური ა, დრ|[86]ამა გ, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა. საბელი ბ, სამარხო კაბინი ბ.

წინზახორს – პუ|[87]რი ა, დრამა ბ, საბელი ა, ქალ(ა)მანი ა, სამარხო კაბინი, |[88]რაი ხუცეს[ს]ა – ტყ(ა)ვი, მჭარი, ყველი და აბრასიკი.

უკანწირს – პუ|[89]რი ა, დრამა ბ, საბელი ა, კაბინი სამარხო. რაი ხუცეს[ს] ტყ(ა)ვი, მჭა|[90]რი, ყველი და აბრასიკი.

წირს – პური ა, დრამა გ, საბელი ა, |[91]ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა. კაბინი სამარხო, რაი ხუცეს[ს] – ტყ(ა)ვი, მჭ(ა)რი, ყველი და ა|[92]ბრასიკი.

ქვემო წირს – პური ა, დრამა ბ, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, საბელი ა, სამარხო კაბინი ა. რაი ხუცესს – ტყავი, მჭ(ა)რი, ყველი და |[93]აბრასიკი.

ქარტოს – პური ა, დრამა ბ, საბელი ა, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, სამარხო კაბინი, რაი ხუცესს – ტყ(ა)ვი, |[94]მჭარი, ყველი და აბრასიკი.

კორსალს – პური ა, დრამა |[95]გ, საბელი ა, ქ(ა)ლ(ა)მ(ა)ნი ა, სამარხო კაბინი, რაი ხუცესს – ტყ|[96]ავი, მჭ(ა)რი, ყველი და აბრასიკი.

ტბეთს – პური ა, დრამა |[97]ა, საბელი ა, ქალამ(ა)ნი ა, რაი ხუცეს[ს] –ტყ(ა)ვი, მჭარი, ყველი |[98]და აბრასიკი.

---

[81] ფითესია ჟ.ჯ. [93] ქარტოს] ქ...ს ჯ. [100] ჩვეულებისაებრ ჯ. [100] საყვარლად ჯ. [101] ანირვონ ჟ.ჯ. [100] ღვთისათა ჯ. სამთავნელი ჯ.

* ხელნაწერებში „საკანონო განჩინება“ ამ ადგილას წყდება და გრძელდება სამთავნელის სარგოს მეორე ნუსხით. ასევეა ივ. ჯავახიშვილის ([45], 11) და ს. კაკაბაძის ([24], 12) გამოცემებში. ი. დოლიძემ „საკანონო განჩინების“ გაყოფილი ნაწილები შეაერთა და დამოუკიდებელ საბუთად გამოაქვეყნა ([7], 206-209).

ჩანართი მეორე:

გოლგოთას მოვიდეს სამთავნელი, მოეგე|[99]ბნენ წინა ძმ(ა)ნი კრებულნი: წინამძღუარი, მონაზონნი, დედაბერ|[100]ნი, – ერთობით ჩუეულობისაებრ. დახუდენ საყუარლად, ჟამი |[101]ანირვ[ინ]ონ, გამოუსუენონ, დალოცნეს და წამოვიდეს.

1459 წ. სამთავნელის სამწყსოს საკანონო წიგნი*

|[102]სახელითა ღ(მრ)თისათა, შემოვიდა სამთ(ა)ვნელ-ეფ(ის)კ(ოპო)ზი გრიგოლი |[103]ქ(რონი)კ(ონ)სა რმზ, პატრონის ერისთჳს შალვას ბრძანებითა. მრავ|[104]ალი უწესო საქმე ქმნილიყო. შევიყარენით ჩუენ, ცხრაზმისჴევ|[105]ისა სამის(ა)ვე ჴევის კრებულნი და მ(ა)მასახლისნი და ესე პ(ი)რი მო|[106]ვაჴსენეთ სამთ(ა)ვნელსა და ჯ(უარს)ა და ომფორსა:

დღეს ამას უკან|[107]ით რამ(ა)ნცა ხუცესმ(ა)ნ, ანუ სკნდიკ(ი)ნოზმანთა, ანუ მეყვისთა, ან|[108]უ უწესოდ მოტაცებულთა, ანუ გკრგკნნი უკურთხნეს, ანუ ჯ(უარ)ი და|[109]სწერნეს, ანუ სარჯულო დაუმალოს, რაცა ეპრიანებოდეს, და|[110]აურვებინოს. და შუა ვერცა პატრონი შემოუვიდეს, ვერცა |[111]ქუეყანა. რასაც ემართლებოდეს, თუ არ მისგ(ა)ნ დანებებულ იყ|[112]ოს, მისგ(ა)ნ წიგნი არ მოუვიდეს, – უბრალომცა არს, რაცა უყოს. და ვინცაი-|[113]სჯ(უ)ლსა ამტკიცებდეს, კ(ურთხეულ) ი|[114]ყოს.*

ვინცა-ვინ ამის ს(ა)მწყსოშია აზნაურშკლი იყ(უ)ნ(ე)ნ, მ(ა)რთებ(უ)ლი ს(ა)წირავი მ{ი}ართავან – ცხენი, იარაღი, |[115]წ(ა)სახურავი და ნ(ი)შ(ა)ნი. და უკ(უე)თუ მს(ა)ხური იყოს, ამგვ(ა)რად: |[116]მართებ(უ)ლმა მს(ა)ხურმა ცხენი და იარაღი, დაბალმა – ერთი ჴ[117]არი მიართვას.

რ(ომელი)ც ხუცესი იყოს და ამისი ს(ა)მწყსო ეჭი|[118]როს და მოკ(უ)დეს, თუ შეეძლოს, მ(ა)რთებ(უ)ლის მს(ა)ხურის სანი|[119]რავი მაირთვას, უკ(უე)თუ არა, ერთი ჴარი.

უკ(უე)თუ კაცი მ|[120]ოკლას ვინმე, მკულელმა ხუთი ჴარი მაირთოს და მკ(ვ)დრის |[121]პ(ა)ტრონმა – ერთი.

უკ(უე)თუ ვინმე ცოლი გაუშვას, ხუთი ძროხა |[122]დაუურვოს. უკ(უე)თუ ვინმე კუდ(ია)ნობაი ანუ მკითხ(ა)ობაი ქნა|[123]ს, ცხჯრით გახეიბრიდეს. და თუ შეინანოს, ორი ზროხა და|[124]-უურვოს.

უკ(უე)თუ კუდიანობაზედ დადაღონ ვინმე, დამდა|[125]ღავმა ოთხი ძროხა მიართვას, და დადაღ(უ)ლმა ერთი. უკ(უე)თუ ისიძ{ვ}ოს ვინმე, ოთხი ძროხა მიართვას, და ბუშიც საყდ|[126]რისა არის.

---

[106] ჯვარსა ჯ. [108] ჯვარი ჯ. [111-112] იყონ ჯ. [113] იყონ ჟ. [114] მიართვას ჟ. [116] დაბალმა] და ბალამა?ჟ. დაბაალმა ჯ. [118] მოკვდეს ჯ. [122] დაუვურუოს ჟ. კუდიანობა ჟ. მკითხაობა ჟ. [122] ცხვირით ჯ. [124] კუდიანობ(ა)ზედ ჯ. [124-125] დამდაღავმაი ჯ. [125] დადაღილმა ჟ. მიართოს ჯ. [128] უნათლაიცი ჯ. [129] მკ(ვ)დარი ჯ.

A ნუსხაში აქ საკანონო განჩინების ტექსტი წყდება და გრძელდება სამთავნელის შესავლის წიგნის ახალი ნანილით (ი. დოლიძის დაკვირვებით, XVII საუკუნის საბუთით). ტექსტის ეს ნანილი იწყება სოფელ „ციხისძირით“ და სრულდება „ჯეჯლიკურით“. ჯავახიშვილის პუბლიკაციაში ხელნაწერის ტექსტი უცვლელადაა დატოვებული ([44], 12), ი. დოლიძესთან საკანონო განჩინება ცალკე საბუთად არის გატანილი ([7], 206-209).

უკ(უე)თუ უზ(ი)არ(ე)ბ(ე)ლი მოკლას, ხუცესმა ა ძროხა |[127]დაუურვოს; და თუ ხუცესმა ვერ შეიტყოს, მკ(უ)დრის პატრონმა ა |[128]ძროხა მიართოს.

უკ(უე)თუ მღ(უ)დ(ე)ლმ(ა)ნ უნათლ(ა)ვი მოკლას ვინმე, ა |[129]ძროხა მაირთონ.

უკ(უე)თუ უხუცოდ და უანდერძოდ მკ(უ)დ(ა)რი |[130]ვინმე დამ(ა)რხოს, ბ ძროხა მიართოს.

უკ(უე)თუ ვინმე სკნტიკი|[131]ნოზმ(ა)ნთა თანა დაეცეს, ანუ მეყსეთა თ(ან)ა, ჩაიქოლოს; და უკ|[132]ეთუ შეინ(ა)ნოს, დ ძროხა მ(ი)ართოს.

უკ(უე)თუ უქრმო დედ|[133]აკაცი მოიტ(ა)ცოს ვინმე ცოლად, ბ ძროხა მიართოს.

უკ(უე)თუ ქმრიანი |[134]დედ(ა)კაცი ვინმე მოიტ(ა)ცოს, დ ძროხა მიართვას.

უკ(უე)თუ მღ(უ)დ(ე)ლმ(ა)ნ ამგვ(ა)რ(ა)დ მოქმედს კ(ა)ცთა ჯ(უარ)ი დასწეროს, გ(ა)ნიკუეთ|[135]ოს, და უკ(ე)თუ შეინ(ა)ნოს, გ ძროხა მიართვას.

უკ(უე)თუ მღ(უდელ)ი ა|[136]ნუ მთ(ა)ვარ[დიაკ]ნი ღირს იქმნას მორედ ქორწინებასა, ბ ძრო|[137]ხა მღუდ(ე)ლმან და მთ(ა)ვ(ა)რ(დიაკონ)მ(ა)ნ მიართვას.

|[138]უკ(უე)თუ მღ(უდელმა)ნ ანუ ს(ა)მღ|[139]უდ(ე)ლ(ო)მ(ა)ნ იპაროს, ანუ მ(ა)ხკლი იჴ(ა)დოს, გ(ა)ნიკუეთოს; და უკ(უე)თუ |[140]შეინ(ა)ნოს, გ ძროხა მიართვას.

უკ(უე)თუ შეაჩუენოს ვინმე და |[141]მღ(უდელმა)ნ უხუცოს, განიკუეთოს; და თუ შეინ(ა)ნოს, გ ძროხა მიართვას.

|[142]უკ(უე)თუ მღ(უდელ)მან სომეხს უხუცოს, ანუ ს(ა)ხლი გაუნათლოს, ბ ძრო|[143]ხა მიართვას.

უკ(უე)თუ ქ(ა)რთველმ(ა)ნ სომეხს ქალი მისცეს ცოლად |[144]და ანუ მოიყ(ვა)ნოს, – მონათლოს, ანუ გააშვ(ე)ბინოს, ს(ა)კანონო გ ძრო|[145]ხა მიართვას.

უკ(უე)თუ მღ(უდელ)მან ორს(ულ)ს ჯ(უარ)ი დასწეროს, გ ძროხა მია[146]|რთვას, თუ იცოდეს. თუ არა იცოდეს – ა, და მექ(ო)რწინემ გ |[147]ძროხ მ(ი)რთვას.

უუკ(უე)თუ ჯ(უა)რდაუწერელად კ(ა)ცმან ცოლი დაარო|[148]სულოს, გ ძროხა მიართვას.

უკ(უე)თუ ვინმე მ(ა)რხვა ჭ(ა)მოს, ბ ძროხ|[149]ა მ(ი)ართვას.

უკ(უე)თუ ვინმე მ(ა)რხვაში ჴსნილურ(ა)დ ქორწილი ქ|[150]ნას, გ ძროხა მ(ი)ართვას.

უკ(უე)თუ მღ(უდელმა)ნ ავადმყოფს სხჳს ჴ(ე)ლი|[151]თ ს(ა)ზიარებ(ე)ლი გ(ა)უგზ(ა)ვნოს, გ(ა)ნიკუეთოს; და უკ(უე)თუ შე(ი)ნ(ა)ნოს, გ ძროხა |[152]მ(ი)ართვას.

[130-131] სკნტიკინოზმიანთა ჟ. [134] დასწეროს ჟ. მთავრდიაკონი] მთავარი ჟ. [137] მღ(ე)დელმან ჯ. მთ(ა)ვ(ა)რ(დიაკონ)მ(ა)ნ] მთავარმან ჯ. [138-139] სამღ(ვ)დელომან ჯ. [139] მ(ა)ხკლი]+სამღდლომან ჟ. განიკუეთოს ჯ. [140] უკეთუ ჯ. შეაჩუენოს ჯ. [141] მღდელმან ჟ. მღ(ვ)დელმან ჯ. [142] მღ(ვ)დელმან ჯ. [144] ჯ(ვ)არი ჯ. [151] განიკუეთოს ჯ. [145] მღდელმან ჟ. [147] ჯ[ეა]რდაუნერელად ჯ. [149] ხსნილურად ჯ. [150] ძროხაი ჯ. [151] განიკუეთოს ჟ. ჯ. [152] უ(ფლის)აი ჯ.

|[153]უკ(უეთუ მღ(უდელმა)ნ უს(ა)ყდროდ და უემბაზოდ ყრმასა ნ(ა)თელ-ს|[154]ცეს, გ(ა)ნიკუეთოს; და უკ(უე)თუ შე(ი)ნ(ა)ნოს, გ ძროხა მ(ი)ართვას.

უკ(უე)თუ მღ(უდელმა)ნ უცოდ(ი)ნარობით მ(ა)რხვა აჭამოს ვ(ი)სმე, დ ძროხა მ(ი)ა|[155]რთვას.

დედასცა ესრეთ ენერა. რ(ო)მ(ელ)სა პირითა მხიარული|[156]თა წ(ინაშ)ე უ(ფლის)ა წ(ა)რდგ(ო)მა გენებოს, ამა წესსა და რიგს ნუ მო|[157]შლით. ვინც მოშალო, პასუხი შ(ე)ნ მიეც, ღ(მრ)თეებაო.

XVI ს. სამთავნელის სარგოს მეორე ნუსხა:

ციხისძირს – პური ბ, კომლზე |[158]კოდი.
ქადაგიანში – პური ბ, კომლზე კოდი.
აღაიანსა |[159]პური ბ, კომლზე კოდი დეკანოზს უნდა მიებარებოდეს.
კვარხითს პური ბ, დრამა, კომლზე კოდი პური.
ჩანგილარს – |[160]პური ბ, დრამაჲ,კომლზე [კოდი] პური.
ბეგთათავს – პური ბ, |[161]დრამა, კომლზე კოდი პური.
ექეთს ოკამს – პური ბ, დრამა, |[162]კომლზე კოდი პური.
იქით ოკამს – პური ბ, დრამა, კომლზე კოდი პური.
|[163]თეზს – პური დ, დრამაჲ, კომლზე კოდი პური.
გარეყანთ უბა|[164]ნს – პური ბ, დრამა, კომლზე კოდი პური.
ლამისყანას – პური ბ, |[165]დრამა, კომლზე კოდი პური.
ხჳთსა და ნოტრეს – პური ბ, დრამა, |[166]კომლზე კოდი პური.
ბიენის – პური ბ, დრამაჲ, კომლზე კოდი პური.
|[167]იგოეთს – პური ბ, დრამა, კომლზე კოდი პური.
ფუნაგის – პური ბ, |[168]დრამა, კომლზე კოდი პური.
გერეთს – პური ა, |[169]დრამა, კომლზე [კოდი პური].
|[170]ჯეჯლიკურს – პური ორი, [დრამა] – კომლზე კოდი პური.
ამგვარად მია|[171]რთმევდენ.

ჩანართი მესამე:

და ამას |[172]გ(ა)რდა, რაოდენიცა სოფლ(ე)ბი სწერია ქსანზედა, ამ(ა)თ ს(ო)ფ(ე)ლთა შ(ი)ნა ვინცა აზნაურმ(ა)ნ, |[173]ანუ გლეხმ(ა)ნ კ(ა)ცი მოკლას, მესამედი სისხლი ღთ(ა)ებას მიართვას მოკლული|[174]ს მიცვალებულის სულის მოსახსენებლად.*

[1673] შაჰნავაზის ბრძანება (გაგრძელება)

ესე ძუელი|[175]თგან დამტკიცებული არის, და აწ, ჩ(უე)ნი ბძანებაჲ ასე უნდა გათავდეს:

[158-159] ქადაგიანში პური ბ, კომლზე კოდი. აღაიანსა პური ბ, კომლზე კოდი დეკანოზს უნდა მიებარებოდეს]-ჟ. [160] ექეთს ოკამს] ექეთს ჟ. [165] ნოსტეს ჟ. ნორტეს დ. [166] ბენის ჟ. [167] ფუნგის დ. [168] გერეთს]ეგრხის?ჟ. [170] ეჯიკურს A ნსხ. ჯეჯიკურს ჟ. [176] მღ[ვ]თეებ[ა]ო ჯ. ღმთაებასა დ.

* ეს სასისხლო დადგენილება ამოღებულია პირველი ჩანართის ტესტიდან სამთავნელის დახვედრის წესის შესახებ (იხ. აქვე, გვ. 105)

ს(ო)ფლებსა ამას ვინცა აზნაურმ(ა)ნ, ანუ გლეხმ(ა)ნ კ(ა)ცი მოკლას, მეს(ა)მედი სისხ|[176]ლი ღ(მრ)თაებას უნდა მიართვას მიცვალებულის მოს(ა)ჴს(ე)ნებლად.

|[177]სამთავნელს სამწყსოში შესვლა ვერავინ დაუშალოს. ამის |[178]ნამეტნავი ვერც სამთ(ა)ვნელმ(ა)ნ მ(ო)უმატოს. და, რაც ამაში გ(ა)ნ|[179]აჩენი და საყდრის წესი გამოსაღები იყოს, ნურვინ დააკლებ|[180]ს.

დაიწერა ბრძანებაჲ ესე ჩ(უე)ნი ქ(ორონი)კ(ონ)სა ტჲა, ინდიკტიონსა მეფობ|[181]ისა ჩ(უე)ნის(ა)სა იე, ჴელითა კარის წინამძღ(უ)რის[ა] დ ა ნ ი ე ლ ი ს ი თ ა.

ხვეული ხელრთვები:
|[182] შ ა ჰ ნ ა ვ ა ზ, გ ი ო რ გ ი.

[1470] გრიგოლ სამთავნელის სააღაპე წიგნი:

|[183]ს(ა)ხელითა ღ(მრთისა)ჲთა, მ(ა)მ(ი)სა, ძის(ა)თა და სულისა წ(მ)ი(დ)ისათა; მე(ო)ხე)ბითა ხ(ა)ტისა ღ(მრ)თეების(ა)თა, |[184]ესე წიგნი მოგ(ე)ცით ჩ(უე)ნ, ს(ა)მთავნელ ეფისკ(ო)პ(ო)ზმ(ა)ნ გ რ ი გ ო ლ, თქუენ, ბ(ა)ტ(ო)ნს მ(ა)მქ|[185]ან ს და თქ(უე)ნთა შვილთა: გ უ რ ზ ი ს და რ ა მ ა დ ა ნ ს. მ(ა)ს ჟ(ამს)ა შ(ინ)ა, ოდეს გ(ა)ნრის|[186]ხდა ღ(მე)რ(თ)ი და ბ(ა)ტონი ვ ი რ შ ე ლ მიიცვ(ა)ლა, მისთვის სააღაპოდ შჳდის სა|[187]პალნის ჩას(ა)ვ(ა)ლი შემოსწ(ი)რეთ ხ(ა)ტს მღ(რ)თეებას და ჩ(ა)ვდგით საყ|[188]დრის ძირს, ჩრდილოეთით. ასრე რომე, ყ(ოვე)ლთა წელთა აღივს|[189]ებოდეს და, რა პირველ მოეჴდებოდეს, დეკ(ა)ნოზი ჟ(ამს)ა სნირევდე|[190]ს მისის სულის(ა)თ(უი)ს და აღაპი გ(ა)რდიჴდებოდეს.

ვინც ეს ასე ა|[191]რ გაათაოს, ანუ ს ა მ თ (ა) ვ ნ (ე) ლ მ (ა) ნ, და ანუ სხუამ(ა)ნ კ(ა)ცმან, რისხ(ა)ვს|[192]მცა მ(ა)მა, ძე და ს(უ)ლი წ(მიდ)ა; კრულ, წყეულ და შეჩუენებულ იყოს |[193]ამ(იე)რ უკ(უნისამდ)ე ქ(რისტე)ს მადლითა, ა(მე)ნ.*

* ამ სიტყვის შემდეგ ჯავახიშვილის გამოცემაში ზის შაჰნავაზისა და გიორგის ხელრთვები ([45], 14).

40

1460. 30 იანვარი. წყალობის სიგელი გიორგი მეფისა ვირშელისადმი

დედანი დაკარგულია. გვაქვს საბუთის სამი პირი: 1. სეა, 1449-1171, გადაწერილი დედნიდან XIX საუკუნეში, ახლავს პარალელური რუსული თარგმანი. 1838 წელს დედანი, ნომრით №19, გუჯრების კომიტეტიდან წარუდგენიათ სინოდის კანტორაში. აქ საბუთი გაუტარებია რეგისტრაციაში ნომრით №74. პირის გადმღების ცნობით, საბუთის დედანი შესრულებული ყოფილა ორ კეპად გადაკერებულ ეტრატზე. თ. ჟორდანიას სინოდის კანტორაში უნახავს საბუთის დედანი სხვა ნომრით (№124) და მისი ნუსხა (სჭზ); 2. სეა, 1449-1526. გადაღებულია დედნიდან XX საუკუნის დასაწყისში ს. კაკაბაძის მიერ. მისი ცნობით, დედნის ზომა ყოფილა: 104,5×18 სმ; 3. სპბაი, H-6 (G-29b; H-46)-20, Л.л. 396-406.

საბუთი გატარებულია გუჯრების წიგნში: სეა, ფ. 1451 და 1. №124.

საბუთს უზის ორმაგი თარიღი: 1. რმს (148), /1460/, იანვრის ლ (30); 2. გიორგი მეფის მეფობის იგ (13) ინდიქტიონი /1460/.

საბუთის დამწერი: წირქუალელისძე რატი.

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 277-278 (შემოკლებით); 2) [19], ს. კაკაბაძე, 34-36; 3) [50], С. Какабадзе, 71 (აღწერილობა).

საბუთი ქვეყნდება სეა, 1449-1171-ის მიხედვით.

ქ. ჩუენ, ღ(მრ)თივ-გუირგუინოსნისა მეფეთა მეფისა გი(ორ)გისაგან და თანამეცხედრისა ჩუენისა, პატრონისა დედოფალთა დედოფლისა ნესტანდარეჯანისაგან, და ძისა ჩუენისა ალექსანდრესგან. იესიან-დავითიან-სოლომიანობით აღმკულმან, ნებითა ღ(მრ)თისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შაჰანშა და შარვანშაჰ, სრულ{ი}სა ჩრდილოეთისა აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის თუით-ჴელმწიფედ მტკიცედ მფლობელ-მპყობელთასა.

მოვიდეს ნ(ინა)შე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერთგულნი და ჩუენსა თანა აღზრდილ-შეზრდილნი ზუიადისშვილნი: მესტუმრე ვირშელ, ბეენა. გუეაჯნეს და მოგუაჴსენეს, რათამცა ერდგულობა-ნამსახურთა თქუენთასა სიგლითა ამით შეგუეწყალენით.

---

[1] გკრგკნოსანისა ჟ. [2-3] ნესტანიჯანისაგან ნსხ. [8] დიდათ ჟ. [9] ვირშელი ნსხ. ზუიადისშვილნი ჟ,კ. [10-11] ერთგულობა ჟ. სიგელითა ჟ.

და ძაგნაკორნათა ურდოელასშვილისა სუმბატასაგან ღაფირისძეული მამული და გლეხები ორჯელ მისგან ნასყიდი იყო. და მერმე მაზედა და თქუენ ნაშვილებნი იყვენით. და აგრევე ქალაქს, რაცა-რა ჰქონდა, სუმბატამან მაზედაცა გიშუილა. და ესე ჩუენცა დაგუემტკიცა და თქუენთუის და თქუენთა შვილთათუის არა მოგუუშალა.

დაგუაჯერა ღ(მერთმა)ნ და ვისმინეთ აჯა და მოჴსენება თქუენი და მოგიბოძეთ და დაგიმკუიდრეთ ძაგნაკორნათა, რაცა და რასთანაცა ურდოელისშვილსა სუმბატსა ჰქონდა და მისგან ნაშვილეობისა ნიშანიცა გქონდა: ღაფირისძეული სასახლე; მინასშვილისაგან მოსყიდული ვენაჴი; ერთი სხუავე ვენაჴი ბათანასეული; ერთი სხუავე ვენაჴი შვილიასაგან მოსყიდული; ერთი სხუავე ვენაჴი კოკორაული; მოსყიდული გლეხი მუნდასძე მისითა მამულითა; ლაფანასშვილი მისითა მამულითა; შიბასძე მისითა მამულითა; ბაყუირული მამული, მათიასშვილი მისითა მამულითა; კორცოფასძე მისითა მამულითა; თევდორასშვილი მისითა მამულითა; ჯაგრანისშვილი მისითა მამულითა და, რაცა ღაფირისძესა სახასოდ საჴნავი მინები ჰქონდა, იგი უკლებლად; და კომრავლა საჴნავითა, წისქუილითა და საწისქუილოთა; ქალაქს – ურდოელასაგან ნასყიდი სასახლე ჭურ-მარნითა და ქულბაქითა; და ვენაჴი მისგანვე ნასყიდი; გლეხი ინდუშასშვილი მისითა მამულითა; გამნია, გორგია და გოსალა.

და ანუ სხუა, რაცა ურდოელასა ქალაქს რაცა ჰქონებია, ყუელა უკლებლად თქუენთუის გუიბოძებია მათითა მამულითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, ველითა, ვენაჴითა, ტყითა, სანადიროთა, ჭალითა, სათიბითა, საყანითა, შესავლითა და გამოსავლითა, ყოველითურთ უკლებლად გუიბოძებია.

ურდოელასშვილისა ნაშვილებიცა იყვენით და ნაშვილეობისა ნიშანიცა გქონდა. და ჩუენცა გიბოძეთ და დაგიმკუიდრეთ. ცოტაოდენსა რასმე ხანსა წითელასშვილსა ივანეს ჰქონდა და ჩუენ სიგელი და ნიშანი [ვ]უბოძეთ. აწ იგი სიგელი გაგუიცუდებია და ამა მტკიცითა სიგლითა გაგუიტხია და მტკიცე ესე ოდენ არის. ამად, რომე სამართლითა თქუენ გმართებდა, ურდოელასშვილისაგან ნაშვილებობისა სიგელი და ნიშანი <და> თქუენ გქონდა.

აწ, ვერ წითელასშვილი და ვერა სხუა დაბადებული კაცი, ვერავინ მოგერჩოდეს. და ვინცა-ვინ მოგერჩოდეს, პირისა და პასუხისა გამცემი ჩუენ ვიყუნეთ. ბ(რძანე)ბა ნიშნად გუიბოძებია.

დაიწერა სიგელი ესე ინდიკდიონსა მეფობისა ჩუენისასა იგ, ქ(რონი)კ(ო)ნსა რმზ, იანვარსა ლ, ჴელითა წირქუალელისა რატისითა.

ესე თქუენთუის ასრე გუიბოძებია, რომე ესე მამული მცხეთისათუის არის შეწირული. თუითო კ(ათალიკო)ზსა იახლებოდით და მცხეთისა სამსახურსა ნუ მოშლით. და ჩუენთუის როგორაცა აღაპი არის გაჩენილი, იგი ისრე აღაპი გაგუითავდებოდეს და აროდეს მოგუეშლებოდეს.

---

[1] ურდოელაშვილისა ჟ. სუმბატისაგან ჟ. [2] ორჯელი ნსხ. კ. [3] იყვენი ჟ. [4] მაზედაც ჟ. [4-5] თქუენთჳს ჟ. შვილთათჳს ჟ. [6] ვისმინე ჟ. [7] დაგიმკჳდრეთ ჟ. [8] ურდოელიშვილისა სუმბატისა ჟ. [9] ღფირასძისეული ჟ. [18] ქულბაკითა ჟ. [26-27] ნიშანი, ნსხ. [37] წირქუალელიძისა კ. [40] ჩუენთჳს ჟ.

ხვეულად:

მეფეთ მეფე გიორგი დავამტკიცებ ნებითა ღმრთისათა.

დაგუიმტკიცებია ნებითა ღ(მრთი)სათა.

თქუენგან მოგუჴსენდა ამისად ქრთამად ქამხა სამი, იაზდური ხარა ერთი, ოქროს სალტე სამი, ოცდათორმეტი მიტყალი, ფეროზიანი ოქროს ბეჭედი ერთი, ვენეტიკური ფლური ოცდაათი, ვერცხლის თასი ერთი. ამას გარეთ, კ(ათალი)კ(ო)ზსა მიხუდა თანგა ხუთასი და კიდევე მოგუხუდა სომი ერთი, სკლატი ერთი, თასი ერთი, უნაგირი ერთი, ფლური ოთხი.

ხვეულად:

დ(ედო)ფ(ა)ლთ დ(ედო)ფ(ა)ლსა ნესტანდარეჯანს დამიმტკიცებია.

41

1460. 12 ივნისი. სიგელი გიორგი მეფისა გიორგი ჟურულისადმი

დედანი; ხეც, Qd-7118; ყვითელი შეფერილობის ეტრატი, ზომა: 118×18; 4 კეფი: I – 37×18, II – 19,5×18, III – 61,5×18. დაზიანება: საბუთი მსუბუქად არის დაზიანებული – გადანაკეც ადგილებში ეტრატი გაშავებულია და გამკრივებული. პირველი კეფის მარჯვენა აშია მოხეულია, verso-ს მხრიდან მუქ ყავისფრად ჩამუქებული. მელანი ძალზე გამკრთალებულია, ალაგ-ალაგ – გადასული. საბუთი მოხატულია: პირველი კეფის თავში გამოსახულია მაცხოვარი, რომელსაც მარცხენა ხელში გადაშლილი სახარება უპყრია. გადაშლილ ფურცელზე იკითხება ნუსხურით ნაწერი ტექსტი: „მოვედ(ი)თ ჩ(ე)მდა, ყ(ველ)ნი | ტკრთ|მძიმენი‖ და მე| გ(ა)ნგ|ისუეო| თ(ქუ)ენ“.* მაცხოვრის ქვემოთ, მომდევნო კეფზე, ხატია ტახტზე მჯდომი მეფე (გიორგი VIII), რომლის წინაშე მუხლი მოუყრია ადრესატს. მეფის გამოსახულების გასწვრივ, მარცხენა აშიაზე მოთავსებულია მხედრულად გამოყვანილი წარწერა: „მეფეთ მეფემან“. ტექსტის დასაწყისში გრძელბუნიანი ქანწილი შემკულია მცენარეული ორნამენტით, ორნამენტული ხვეულებითაა მორთული ტექსტის დასაწყისი ფორმულაც. ხელი – კალიგრაფიული მხედრული. სტრიქონები მწყობრად ჩამწკრივებული; მელანი მუქი ოქროსფერი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. verso-ზე მოთავსებულია ბაგრატ VI-ის მინაწერი საბუთი, კათალიკოს დავითის და მათე სამთავნელის მტკიცებულობები. საბუთს ერთვის XIX საუკუნეში მიწერილი რუსული მმართველობის სარეგისტრაციო ჩანაწერი.

პირები: 1. ხეც, Sd-2881, XIX საუკუნეში გადაწერილი პირების დავთარი, 85r-86v; 2.Qd-9567, გადაწერილი XIX საუკუნეში, ცისფერ ქაღალდზე, ფრაგმენტი.

საბუთს უზის ორმაგი თარიღი: გიორგის მეფობის მე-14 ინდიკტიონი (1460) და ქორონიკონი რმჱ (148) /1460/, აორმეტი (12) ივნისი.

საბუთის დამწერი: კარის მწიგნობარი და ჯვარისმტვირთველი ჯორაშვილი გაბრიელი.

მინაწერი საბუთის თარიღი: ბაგრატ მეფის მეფობის ზ (7) ინდიკტიონი, ქორონიკონი რჲ (160) /1472/.

მინაწერი საბუთის დამწერი: ქართლის მთავარეპისკოპოსი იოვანე.

გამოცემა: 1) [41], თ. ჟორდანია, 192 (შემოკლებით); 2) [29], დ. კლდიაშვილი, 66 (აღწერილობა).

ლიტერატურა: [31], ჯ. ოდიშელი, 216-220.

---

* მათე: 11,28.

ქ. სახელითა ღმრთისათა ჩუენ, ორსავე ტახტის [და] სამეფოსა, *III კეფი*
ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა, |[2]აფხაზთა, ქართველთა,
რანთა, კახთა და სომეხთა, შანშე და შარ|[3]ანშაე და სრული-
სა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუით-ფ|[4]ლობით ჴელმწიფედ
მტკიცედ მპყრობელმან, მეფეთ მეფემან გიორ|[5]გი, და თანამეცხედრემან
ჩუენმან დედოფალთა დედოფალმან |[6]ნესტანდარეჯან, და ძემან ჩუენმან
ალექსანდრე, ესე მტკიცე და |[7]უცვალებელი წყალობისა სიგელი ამისად ნიშ-
ნად გიბოძეთ, |[8]ერისთვისა შალვასა დალარგუელისა კითხვითა, მათსა
მკუიდრსა |[9]და თანა-აღზრდილ-შეზრდილსა და პატივცემულსა*, [თქუენ, ჟუ-
რულისა შვი||[10]ლსა მღდელსა გიორგის და თქუენსა ძმასა ავგაროზს და
რატის, |[11] და თქუენსა შვილსა დ(ემე)ტ(რ)ეს და ძმისწულსა შიოს, თქუენ-
თა შვილ|[12]თა და მომავალთა და** აბირონს, აბრამს და სიაოშს [და ყოველ-
თავე გუა|რისა თქვენისათა, მას ჟამსა ოდეს, მ|[13]ოხუედით წ(ინაშ)ე ჩუენსა და
გუიაჯეთ, რათამცა ჩუენცა სიგლითა ა|[14]მით ჩუენცა პატივ გუეცა და შეგუეწყ-
ალენით.

ვისმინეთ აჯა და |[15]მოჴსენება თქუენი, ვქენით მოკითხული და ძუელთა
მეფეთაგანცა შეწყალებ|[16]ული იყო ცხრაზმა, და თქუენი გუარისა კაცი მისი
მონაპირე ყოფილა და |[17]მონასტრისა და ციხისა შვილი და მქონებელი.

აწ, ჩუენცა შეგიწყალე|[18]თ და ძუელად გაჩენილი სისხლი გაგიახლეთ და
გაგიჩინეთ ას(სა)მოცი ათა|[19]სი კილმანაური თეთრი ამა პირთა ზედა: თუ
ვინმე კადროს და თქუენი|[20]სა გუარისა კაცი მოკლას, დიდითა შემოხუენითა
ასსამოცი ათასი კილმან|[21]აური დაგიურვოს. თუ ვინმე კადროს ანუ ზედა
დაესხას, ანუ ც||[22]ოლი*** [გაგიუპატიოს, ანუ ცოლსა უცემოს, ანუ მოუ..||[23]ნას, *II კეფი*
თქუენისა გუარისა კაცსა, ორმოცდახუთი ათასი კილმანაური |[24]დაგიურვოს
დიდითა შემოხუეწითა.

თუ ვინმე სასახლესა ზედა დაგ|[25]ესხას და ალაფი წაგიღოს, იგივე ორ-
მოცდახუთი ათასი დაგიურვოს, |[26]და ნაცუარცი უკლებად შემოგექცეს; თუ
ვინმე მახუილი შემოგდვას და |[27]დაგჭრას, ოცდაათი ათასი კილმანაური და-
გიურვოს. თუ ვინმე ისარი გ|[28]ესროლოს, ორმოცი ათასი დაგიურვოს;

თუ ვინმე ჯოგი და ანუ ნახი|[29]რი გაგიტეხოს, თორმეტი ათასი დაგი-
ურვოს.

თუ ვინმე თუალი წამოუგ|[30]დოს, სამოცი ათასი დაგიურვოს.

თუ ვინმე ანუ ჴელითა, ანუ ფერჴითა |[31]დააშაოს, ორმოცდაათი ათასი
კილმანაური დაგიურ{ვ}ოს.

თუ ვინმე საჯი|[32]ჩარი რამე დააჩინოს, ოცი ათასი დაგიურვოს.

თუ ვინმე ცეცხლი |[33]სასახლესა შემოგაყაროს, რაცა სული ჯალაბი
სახლსა შინა იყოს, მ|[34]ისი სისხლი სამართლითა გაიბრჭოს.

და, თუ ვინმე სასახლესა გარეთა |[35]ცეცხლი შეუდვას და დანუას, ანუ
საბძელი, ანუ ძნა, ანუ თიკა, ა|[36]ნუ წისქუილი, ანუ ვენაჯისა სახლი, ანუ ღო-
ბენი, ოცდაათი ათასი კილ|[37]მანაური დაგიურვოს;

---

* ამას შემდგომ სამი სიტყვა გულმოდგინედ არის ამოფხეკილი.
ამ სიტყვის მომდევნო სიტყვა წაშლილია და სტრიქონს ზემოთ იმავე ხელით და
მელნით ჩამატებულია: „აბირონს, ბარამს და სიაოშს“.

*** ამას შემდეგ ეტრატის გადანაკეც ზოლზე ერთი სტრიქონი მთლიანად გადასულია.

თუ ვინმე ჯოხი ანუ სხუა ჴმელად საცემ|[38]ელი რა გკრას, ათი ათასი კილმანაური დაგიურ{ვ}ოს.

თუ ვინმე |[39]ცოლსა უცეს, ოცდაათი ათასი დაგიურვოს; თუ ვინმე ცი|[40]ხე გაგიტეხოს, ორმოცი ათასი კილმანაური დაგიურვოს.

თუ |[41]ვინმე მტერთა ზედა სასიკუდილოდ გაგცეს, ორმოცდაათი ათას|[42]ი დაგიურვოს. თუ ვინმე ანუ ჯოგი, ანუ საქონელი გაგიცეს მტ|[43]ერთა ზედა, თხუთმეტი ათასი დაგიურვოს.

და თუ სხუა, ანუ უ|[44]პატიობა, ანი მუქარისა თხოვნა და ანუ სხუა რამე საქმე, ანუ შეყივილი, |[45]ანუ სხუა, რა გინდა-ვინ დაგიშაოს, მისნი ბრჭენი და გამჩენელ|[46]ნი იყუნენ, ანუ ებისკოპოსნი, ანუ დარბაზისა კარისა ვაზირნი |[47]და მოსამართლენი კაცნი, ანუ ქალაქისა ვაჭარნი და ყო{ვ}ელთა ქუე|[48]ყანათა მავალნი და მონახულენი კაცნი, ანუ ღ(მრ)თის მოშიშნი და სული|[49]ს კერძნი კაცნი, და ანუ ქუეყანისა მამასახლისნი და [ძუე]ლნი კაც|[50]ნი.

თქუენი საქმე, ესე ვითართა კაცთაგან გაიბრჭობოდეს, ჩუენგან ||[51]წყალობით ბოძებულსა ამა [თქუენთა ...] და სისხლისა განაჩენსა |[52]სიგელსა ზედა, და ნუმცა ვინ არის მშლელი და მქ[ცევე]ლი ჩუენ|[53]გან ბოძებულისა ამის სასისხლოსა სიგლისა.

და არა შეგეცვა|[54]ლოს ჩუენგან ბოძებული ესე სასისხლო სიგელი არას ჟამთა გა|[55]მოსულობისათუის, არა თქუენ, ჟურულისშვილსა მღდელსა გი|[56]ორგის და თქუენსა ძმასა ავგაროზსა და რატის, და თქუენსა შვილსა |[57]და ძმისწულსა [შიოს, თქუენთა შვილთა] და მომავალთა ყოელთა გუარი|[58]სა თქუენისათა.

გქონდეს ჩუენგან ბოძებული ესე ძუელი და |[59]ან, ჩუენგან მოკითხული და [გაახ]ლებული და წყალობით ბოძებული |[60]მტკიცე და უცვალებელი სასისხლო სიგელი და ბრძანება |[61]ესე ჩუენი, და [ვერ]ავინ იკადროს შლად და ქცევად ჩუენგან |[62]ბოძებულისა სასისხლოსა ამის განაჩენისა, ბრძანებისა და სი|[63]გლისა;

გ[ქონდეს ბრ]ძანება და სასისხლო განაჩენი სიგელი თქუ|[64]ენ, ჟურულისშვილსა მღდელსა გიორგის და თქუენსა ძმასა |[65]ავგაროზს და რატის, შვილთა, მომავალთა ყოელთა სახლისა და |[66]გუარისა თქუენისათა. და ვერავის ჴელყოს შეცვალებად ჩუენ|[67]გან ბოძებულისა ამის განაჩენისა სასისხლოსა სიგლისა. და თ|[68]ქუენ, ქრისტეს მიერ კურთხეულნო ქართლისა კათალიკოზო და ები|[69]სკოპოსნო, ქართლისა ერისთავნო და ერისთავთა ერისთავნო და ყო|[70]ელნო თავადნო ქართლისანო და ქალაქისა ამირანო და ამირა|[71]თა ამირანო, [დივანნო]˙ და მეტამღენო, და ყოელნო ჴელისუფა|[72]ლნო ქალაქისანო, და მთიულეთისა თავადნო და ჴევისბერნო და |[73]მამასახლისნო, და კარისა ჩუენისა ვაზირნო, და ყოელნო ჩუენ|[74]გან პატივცემულნო და ჴელისა მქონებელნო, ნუ ვინ უშლით |[75]ჩუენგან წყალობით ბოძებულსა სასისხლოსა განაჩენსა სიგე|[76]ლსა თუინიერ შეწევნისა და თანადგომისა.

დაიწერა ბრძა|[77]ნება ესე ჩუენი და სიგელი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენ|[78]ისასა მეათ(ო)თ(ხ)მეტესა, ქ(ორონი)კ(ონ)სა რმჱ, ჴელითა კარის მწიგნობრის|[79]ა ჩუენისა და ჯუარისმტუირთველისა ჯორაშვილისა გაბ|[80]რიელისითა, ივნისსა ათორმეტსა.

დამტკიცებები ხვეულად:

|[81]მეფეთ მეფე გიორგის ხელითა ჩემითა დამიმტკიცებია.

|[82]ქ. ჩუენ ქ(რისტე)ს ღ(მრ)თისა მიერ ქ(ართლის)ა კ(ათალი)კ(ო)ზი მარკოზ კანონითა ვამტკიცებთ.

verso-ზე სხვა ხელით და მელნით:

|[83]ქ. შემდგომად ამისა, ჩუენ, ღ(მრ)თივ-გუირგუინოსანმან მეფეთ მეფემან ბაგრ|[84]ატ, ნებითა ღ(მრ)თისათა დავიპყარით მეფობა ორისავე ტახტისა ლიხთ-იმერისა |[85]და ლიხთ-ამერისა, და ვნახეთ სიგელი ესე სასისხლო შეწყალებისა ბიძის |[86]ჩუენისა გ(იორ)გისაგან წყ(ა)ლობით ბოძებული, და ჩუენცა შეგიწყ(ა)ლეთ |[87]და დაგიმტკიცეთ თქუენ, წინამძღუარსა ჟურულსა გ(იორგი)ს და თქუენთა შუ|[88]ილთა და ძმათა, რაგუარაცა ამა სასისხლოსა სიგელსა და განაჩენსა |[89]ჰმართებს და ეფერების. ამა წესითა თქუენი საქმე და სისხლი გაჩე|[90]ნოდეს, ნიშანი ესე გუიბოძებია და დაგუიმტკიცებია ასსამოცი ათასი კი|[91]რმანაური თეთრი. და ვინცა კირმანაულისა თეთრისა ვითარობა არ ი|[92]ცოდეს, კირმანაური თანგისა ზომა არის.

დაიწერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი |[93]ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა ზ, ქ(ორონი)კ(ონ)სა რჲ. ჴელითა |[94]ყოლადვე ცოდვილისა ქართლისა მ(თავარეპის)კ(ოპო)ზისა ი(ოვან)ესითა.

დამტკიცება ხვეულად:

|[95]მე ბაგრატ ვამტკიცებ.

სხვა ხელით და მელნით:

|[96]ქ. ჩ(უე)ნ, ესე ვითა ღ(მრ)თივ-გვირგვინოსანსა მეფ|[97][ეთა მეფესა ბაგრატს] ბიძისა მათისა ნაბოძები |[98]სასისხლო სიგელი და წიგნი დაუმტკიცებია ჟურულისათ(უი)ს, მე, |[99]გლახაკი ქ(ართლი)ს კ(ათალიკო)ზი და(ვი)თი კანონითა ვამტკიც|[100]ებთ. დამამტკიცებელნი ღ(მერ)თმ(ა)ნ აკურთხნეს და ნ|[101]მიდამან დედაქალაქმან მცხეთისამან.

სხვა ხელით:

|[102]ქ. ჩუენ, სამთავ[ნელ] მთავარებისკოპოზი მათე, ვითა მეფეთა და ქართლისა |[103]ქათალიკოზთა [დაუ]მტკიცებიათ, [ეგ]რეთვე ჩუენცა კანონითა ვამტკი|[104]ცებთ.

1460. სასისხლო სიგელი [გიორგი მეფისა] წინამძღვარ გიორგისა და ერისთავ ქუენიფნეველ შალვასადმი

საბუთი დაკარგულია.

გამოცემები: 1) [56], M. Brosset, 84 (ინფორმაცია საბუთის შესახებ); 2) [41], თ. ჟორდანია, 280 (შემოკლებით).

ლიტერატურა: [31], ჯ. ოდიშელი, 216-220.

საბუთი ქვეყნდება თ. ჟორდანიას პუბლიკაციის მიხედვით.

ესე წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, წინამძღუარს გიორგის, ძმასა თქუენსა ქუენიფნეველს ერისთავს შალვას და ლარგველს და კუალად ძმასა თქუენსა ავგაროზს და რატს, შვილთა თქუენთა დემეტრეს, არსენის, აბრაამს, საიშს (სიაოშს?) და შირშას. ასე რომე, რომელმანცა კაცმან თქუენ სისხლითა შეგცოდონ, ას სამოცდაათი ათასი კირმანეული გარდაგიხადოს. კირმანეული ორი შაური არის, რომ იქს ჩვენებურს თეთრსა სულ ერთად წრ თუმანსა. ქ(ორონი)კ(ონ)ს რმჱ.

1460. 30 დეკემბერი. შენირულების სიგელი გიორგი მეფისა ქვათახევის მონასტრისადმი

დედანი; ხუც, Ad-601; მოყავისფრო ქაღალდი, ზომა: 32×23,8; დაზიანება: საბუთს მოხეული აქვს ტექსტის დაახლოებით ორი მესამედი აშიებიანად. გადარჩენილი ნაწილი დაფარულია მუქი ყვითელი ლაქებით. გამაგრებულია არესტავრაციო ქაღალდით. მელანი შავი; მკაფიო, ოდნავ აჩქარებული მწიგნობრული მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერილი ყოველი სიტყვის შემდეგ. თავში უზის სინოდის კანტორის არეგისტრაციო ნომერი №48. საბუთი 1818 წ. გაუტარებიათ გუჯრების წიგნში: სეა, ფ. 1451, დ. 3, №48.

თარიღი: ქრონიკონი რმმ (148) /1460/, დეკემბრის ლ (30). თარიღთან აღნიშნული ყოფილა ინდიქტიონითაც, მაგრამ ტექსტის დაზიანების გამო არ იკითხება.

საბუთის დამწერის სახელი არ იკითხება.

გამოცემა: 1) [41], თ. ჟორდანია. 280 (ცნობა საბუთის შესახებ).

|[2][ეთხო]ე[ბ]ოდეს და არას ჟამისა შემოსრულობისათუის არა ჩუე[ნგან] და არა [მო]მავალთა მეფეთა და დედოფალთაგან. და არავინ გუიბრძა[ნებია] |[3]მშლელი ბ[რძანე]ბულისა ჩუენისა.

და თქუენგან ყოველთა ნელიწ[ადთა] მღ|[4]დელთ-მოლოზანთა და მთავარდიაკონთაგან ყო[ველ] |[5]ამაღლებასა, მთავარანგელოზობასა და პეტრე-პაელობას ჟამის|[6][წირვას და აღაპს დაგვი]დებდეს. არა თქუენგან და არა შემდგომად მომავალთა თქუენთა[გან |[7]არ მო]გუაკლდებოდეს.

ან, ვინცა ნახოთ ბ(რძანე)ბა და სიგელი ესე ჩუენი |[8][შემდგომად ჩუენსა მომ]ავ{ა}ლთა და მეფეთაგან, კარისა ჩუენისა ეაზირთა, ერისთავთა ერისთავთ|[9]ა და მოსაქმეთა, და ჴელოსანთაგან მოასილთა, ასრე გაუთავეთ [ბ(რძანე)ბა ჩუენი |[10]და ნურვინ დააკლებთ ბრძანებულსა] ამას ჩუენსა, თუინიერ შენევნისა და შემატებისაგან კიდე.

რაცა მ[... |[11]....გამოართ]ვას მონასტერსა შიგან მყოფთა ერთსულობით ერთსა[...|[12]...]თა, ანუ თქუენ და ანუ მომავალთა მუნვე მყოფთა, რაზდომინ [...|[13]... ჩემთა ბრალთა სანაცულოდმცა, იგი გაიკითხვის ნ(ინა)შე ღ(მრ)თ(ი)სა [ჩუენისა იესუ ქრისტეისა|[14] მას] დღესა განკითხვისასა.

დაიწერა სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფობის[ა ჩუენისა |[15]მეათხუთმე]ტესა, რმᲐ, თუესა დეკენბერს ლ, ჴელითა კარის ჩუენისა მდივნისა ფარ|[16][...]

დამტკიცება ხვეულად:
ქ. ჩუენ გიორგისაგან მტკიცეა.

მინაწერები verso-ზე XVIII საუკუნის ხელით:
1. ქ. ქუთახევისა.
2. ...პური კ[ოდი...]
3. ქ. კიდევ იოსებს მივეც ჩყ.
4. ქ. ნალბანდს მივეც ფ.
5. ...ღვინო.

[1460-1465]. ფიცის წიგნი გიორგი მეფისა [ზევდგინიძე-ამილახორისადმი]

საბუთი დაკარგულია. მისი ძლიერ დაზიანებული დედანი ხელთ ჰქონია ე. თაყაიშვილს, რომელმაც მისი მოკლე არქეოგრაფიული აღწერილობა საბუთთან ერთად შეიტანა „საქართველოს სიძველენის“ III ტომის დამატებაში. საბუთი დაწერილი ყოფილა მოყვითალო ფერის ქაღალდზე, ზომით: 27×16,5; მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ჰქონია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ტექსტს კლებია თავი და ძლიერ დაზიანებული ჰქონია მარჯვენა მხარე.

ე. თაყაიშვილმა საბუთი გამოსცა ზევდგინისძეთა სხვა საბუთებთან ერთად. მის ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე ამ ნაკლული საბუთის ადრესატად ე. თაყაიშვილმა ზევდგენისძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი, კერძოდ, ზევდგინიძე-ამილახარი მიიჩნია. „კორპუსში“ გაზიარებულია ე. თაყაიშვილის სავარაუდო იდენტიფიკაცია.

საბუთი უთარიღოა. ე. თაყაიშვილი მას ათარიღებს 1460-1465 წლებით, როდესაც გიორგი VIII-ს დიდი ბრძოლა უხდებოდა ერთიანი საქართველს ტახტის შესანარჩუნებლად. „კორპუსში“ გაზიარებულია ე. თაყაიშვილის დათარიღება.

გამოცემა: [12], ე. თაყაიშვილი, 15-16.

წინამდებარე გამოცემა ეყრდნობა ე. თაყაიშვილის პუბლიკაციას, ნაკლული ადგილები შევსებულია ანალოგიური ფიცის წიგნებისათვის დამახასიათებელი დიპლომატიკური ფორმულებით.

[ქ. სახელითა ღ(მრ)თისათა, მამისა, ძისა და წ(მი)დისა სულისათა; მინ]დობითა და შუამდგომელობითა [ყოვლად წმიდ]ისა ღ(მრ)თისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისითა; თავსმდებო]ბითა და შუამდგომელობითა [ნ(მი)დათა თავთა მოციქულთა, პეტრე და პავლესითა, და ყ(ოვე)ლთა ღ(მრ)თისა წ(მიდა)თა.

ამათ ყოველთა] თავდებობითა [და შუა]მდგომლობითა ესე [უთუმცაო, მიზეზშემოუღებელი, ჩუენად დღედ სიკუდილამდის გასა]თავებელი ფიცი, პირი [და სიგელი გიბოძეთ ჩუენ, მეფეთ მეფემან] პატრონმან გიორგი, [თქუენ, ზევდგისძესა ამილახორსა...] და თქუენთა შვილთა.

ას[რე და ამა პირსა ზედა, რ]ომე ვიყუნეთ თქუენდა [უზიანონი და მოპატივენი.] არას კაცის ენითა გაუკითხავა[დ და უსარჩლავა]დ არა შეგიბეზღოთ. არას [ყამს] კაცსა საძალოდ, წასაწდენელად და დასარბ[ევად და უსარჩლავ]ად არა დაგანებოთ. რასაცა [თქუენ მქ]ონებელნი იყუნეთ, ანუ მამულ[ისა, ანუ სახელო]სა, თუ არა მოგიმატოთ, მისგან არა დაგამცი[რო]თ. რა ვიცით, და ან მამულისა [ან ყმის]ას ვისმე მიესარჩლებოდეთ, რაც შე-

ვატყოთ, მართალი სამართლითა გარდანყუეტასა და წყალობას ვეცადნეთ და უსამართლოთ არა რომელსა გარდავსწიოთ.

ამისად გათავებისად თავდებად თავად ღ(მერ)თი და ესე ზემოწერილნი წ(მიდა)ნი მოგუიცემიან.

5 ხვეული ხელრთვა:
გიორგი

1461. 17 იანვარი. წყალობის წიგნი ბარათა [ქაჩიბასძისა] თევდორე გუჟღულაშვილისადმი

დედანი; ხეც, Hd-14858; ბაცი ფერის ქაღალდი, ზომა: 32×14,6; დაზიანება: ზედა აშია მოჭრილია, გვერდითი აშიები კიდეებზე და გადანაკეცი ადგილები – გაცვეთილი, გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. მელანი ყავისფერი; ხელი მწიგნობრული მხედრული, მწყობრად ნაწერი სტრიქონები; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

პირი: ხეც, Hd-7587/გ. გადაწერილი 1893 წელს თავად ზ. ბარათაშვილის კუთვნილი დედნიდან ე. თაყაიშვილის ხელით რვეულის ფურცელზე.

საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი 149 /1461/ ათჩუიდმეტი (17) იანვარი.

გამოცემა: 1) [9], ე. თაყაიშვილიო, 62, (თ); 2) [8], ი. დოლიძე, 818-819.

ქ. სახელითა ღ(მრ)თისათა, მამისა, ძისა და სულისა |[2]წმიდისათა; მეოხებითა ყოვლად წმიდისა დედოფლი|[3]სა ჩუენისა ღ(მრ)თისმშობელისა მარადის ქალწულის |[4][მ]არიამისითა; ძლიერებითა ცხოველმყოფელისა პ|[5]ატიოსნისა ჯუარისათა; ოხითა და შეწევნითა ნ|[6]მიდათა თავთა მოციქულთა პეტრე და პ|[7]ავლესითა.

ამა ყოველთა წმიდათა თავსდებობით|[8]თა. შუამდგომელობითა, ესე წიგნი დაგინერე და გ|[9]იბოძეთ მე, ბატონმან ბარ{ა}თამან, მეუღლემან ჩუე|[10]ნმან თინათინ, შვილთა ჩუენთა დავით და გერ|[11]მანოზ, შენ, ჩუენსა ერდგულსა ყმასა ბუჟღულაშვი|[12]ლსა თევდორეს და ნავროზს, მამავალთა შენთა.

მოგ|[13]ეცით ნაქურდევი მისითა მზღვრითა, თეთრობითა აქათ|[14]ითა, და მისითა სა{ა}ხოვითა დიდსა წლეპსა ქუე{ი}თ, ურთხნ|[15]ალსა ქუეშეით, უძებრითა და საძებრითა, ყოვლითა |[16]მისითა მთითა და ბარითა, ყოველათა.

არა შეგეცილ|[17]ოს. ვინცა შეგიცვალოს, რისხავსმცა ღ(მერ)თი, მამა, ძე |[18]და სული წმიდა; ყოველნი წმიდანი ღმრთისანი – ზე|[19]ცისა და ქუეყანისანი. დამამტკიცებელნი ღ(მერ)თმ(ა)ნ აკუ|[20]რთხნეს, ამინ.

დაიწერა იანვარსა ათჩუიდმეტსა, ქრ|[21]ონიკონსა ასორმოცდაცხრასა, მეფობისა დიდის|[22]ა ალექსანდრესა.

† † † † †

გვიანდელი სათაურები verso-ზე XVIII საუკუნის ხელით:

1. ქ. ნაქურდევის ზაზუიანთ წიგნია.
2. ქ. ბუჟღულასშვილისათვის წყალობა უქნიათ.

46

[1461 წ. ახლო]. წყალობის წიგნი დავით ქაჩიბაძისა ქობულ აშოთაძისადმი

დედანი; ხეც, Ad-1070; ქაღალდი, ზომა: 39×15,8. დაზიანება: დედანი თავნაკლულია. ნაკლული სტრიქონის შესავსებად ძველადვე (შესაძლოა, XVII საუკუნეში) მიუწებებიათ სხვა ქაღალდი, რომელზედაც XVII საუკუნის ხელით დაწერილია ხუთსტრიქონიანი საღვთისმეტყველო შესავალი. დაზიანებულია საბუთის გადანაკეცი ადგილები – ერთ ადგილას ქაღალდი ტექსტიანდ არის ამოგლეჯილი. ქვედა კიდე წაჭრილია ისე, რომ აკლია დაახლოებით ორი სტრიქონი recto-ს ბოლოს და verso-ს დასაწყისში. ორივე გვერდითი აშიის გასწვრივ, მთელ სიგრძეზე, საბუთს ატყვია ნესტის ლაქების ფართო ზოლი. ამჟამად საბუთი გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ძირითადი ტექსტი ნაწერია ყავისფერი მელნით, წვრილი მწიგნობრული მხედრულით. საბუთის verso-ზე მიწერილია ძველი სარეგისტრაციო ნომერი – №2.

საბუთი უთარიღოა. საბუთის დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია ბარათა ქაჩიბასძის მიერ 1461 წელს გაცემული საბუთი (იხ. აქვე, გვ. 123-124; ხეც, Hd-14858), რომელშიც მოცემული საბუთის გამცემი, დავით ქაჩიბასძე ბარათა ქაჩიბასძის შვილებს შორის იხსენიება. სხვა საბუთით იგივე პირი სვეტიცხოველს უახლებს სოფელ ყორანთას შეწირულობას (იხ. აქვე, გვ. 161; სეა, 1449-1528). მართალია, ეს საბუთიც უთარიღოა, მაგრამ უჩვენებს, რომ დავითი განკარგავს ქაჩიბასძეთა სახლის საერთო ქონებას და სამეფო კარზე უკავია სალაროს მოლარის თანამდებობა. ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ 1461 წლის შემდგომ დავითის მამა ბარათა გარდაცვლილია და დავითი მოთავეობს ქაჩიბასძეთა სახლს. მაშასადამე, დავით ქაჩიბასძე XV საუკუნის 60-70-იანი წლების მოღვაწედ უნდა ვცნოთ. ამიტომ არის აღებული 1461 წელი მოცემული საბუთის ქრონოლოგიურ საყრდენად. საბუთის თანახმად, დავით ქაჩიბასძემ თავის მკვიდრ ყმას მამული უწყალობა, რაც მიანიშნებს, რომ ასეთი იურიდიული აქტი (წყალობა/წყალობის განახლება) უნდა შემდგარიყო ბარათას გარდაცვალების შემდეგ, როდესაც სათავადო სახლის უფროსობა მისმა მემკვიდრემ ჩაიბარა. ბუნებრივია, ამ მონაცემებით შეუძლებელია საბუთის ზედა ქრონოლოგიური ზღვრის ზუსტად ჩვენება, მაგრამ მიახლოებითი დათარიღებისათვის საკმრის საფუძველს იძლევა.

საბუთის დამწერი: ანონიმი მოძღვარი.

საბუთი ქვეყნდება პირველად.

ქ. სახელითა სახიერისა, არსება-დაუბადებელისა ღ|[2](მრ)თისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა; მეოხებით|[3]ა ყოვლად წმიდისა, უხრწნელისა და უფროსად კურთხეულ|[4]ლისა ღ(მრ)თისმშობელისათა; თანამწეობითა და ძლიერებითა ცხო|[5]ველსმყოფელისა ჯუარისათა, რ(ომე)ლსა ზედა ჯუარს ეცვა უფალი ჩუენისა* |[6]ჴსნისათჳს; მეოხებითა წმიდათა მთავარანგელოზთა, |[7]მიქაელ და გაბრიელისათა, და სხუათა ცხრა არეთა, ცხ|[8]რათავე დასთა:

მეოხებითა, შუამდგომლობითა და |[9]თავდებობითა წმიდათა წინასწარმეტყუელთა თავთა |[10]ელია და ელისესითა, და სხუათა ყო[ვ]ელთა წმიდათა; ნაშო|[11]ბთა უმეტესისა დიდებულისა, წინასწარმეტყუელისა, წინამო|[12][რ]ბედისა და ნათლისმცემლისა იოვანესითა და იოვანე ქალწულ-მახარებელისათა; წმიდათა] |[13]ქებულთა თავთა მოციქულთა, პეტრე და პავლეისითა.

მეოხებ|[14]ითა წმიდათა მახარებელთა: მათე, მარკოზ, ლუკა და იო|[15]ვანესითა, რომელნი მიეყრდნეს მკერდსა საუფლოსა.

მეო|[16]ხებითა წმიდათა მღრდელთმოძღუართა: ბასილი, გრიგო|[17]ლი, ოქროპირი და ნიკოლოზისათა; მეოხებითა წმიდათა |[18]მოწამეთა: გ(იორგ)ი, თევდორე, დიმიტრი, პროკოპი, პანტელ[ეი]მონ და ა|[19]რტემისათა.

ოხითა და შეწევნითა წმიდათა და ყოვლად ქებ|[20](უ)ლისა მოციქულთა, წინასწარმეტყუელთა მღრდელთმოძ|[21]ღუართა, მამათა, მამათმთავართა, მესუეტეთა, მეუდაბნო|[22]ეთა, მოწამეთა ქალწულთა, და ყოველთა წმიდათა ღ(მრ)თისათა, |[23]ზეცისა და ქუეყანისათა, რომელნი სათნო ეყუნეს უფალ|[24]სა ჩუენსა იესოს ქ(რის)ტესა და კ(უა)ლადცა სათნო-ყოფად არ|[25]იან.

ამათ ზემოწ[ე]რილთა ღ(მრ)თისათა მადლითა და მოწმო|[26]ბითა ესე წიგნი, მტკიცე და უქცეველი ყოვლისა ადამიანისა |[27]კაცისაგან, გიბოძეთ და შეგიწყალეთ ჩუენ, პატრონმ|[28]ან სალაროსა მოლარემან დავით, ძმამან ჩუენმან პატრონმან |[29]გერმანოზ, მეულღეთა ჩუენთა პატრონმან შუენიე|[30]რმან და ნათელ, შვილთა ჩუენთა პატრონმან ლაპამან, |[31]ბარათამან, სურამელმან და ქავთარ, თქუენ, ჩუენთა მ|[32]კუიდრთა ყმათა აშოთაძეთა: ქობულს, ბეჟანს და შვი|[33]ლთა თქუენთა ბაგრატასა.

მოგეცით და მოგახსენეთ ქუე|[34]ყანა დრანეთი, გერავისი, რასაცა გარმოიტანს ქუაბთაკარი |[35]ნობისაკენ, რასაცა ჩამოიტანს [...]** ჴევამდი. აქათი, რას|[36]აცა ბურვილთა ჴევი ჩამოიტანს ტორნისა შესართავამდის, მი|[37]სითა მთითა, ბარითა, წყლითა და საწისქუილოთა და სავენა|[38]ჴითა, შესავლითა და გამოსავლითა, ყოვლითა მისითა მზღ|[39]ურითა. აგრეცე ანდრიათა – ეჯიბაური მამული, ორივე ვენაჴი |[40]მისითა სახლ-კარითა, საბძელ-კალოთა, წყლითა და საჴნავითა, |[41]სარწყავითა და ურწყ(ა)ვითა, სასარითა, საგოდრითა და საღობ|[42]ავითა, მისითა სამართლიანითა მზღურითა.

გქონდეს მკუიდრად და |[43]სამამულოდ. არას ჟამისა გამოცვალებისათჳს, არცა მეუმეობისათ|[44]უის არავინ შეგიშალოს, არცა-ვინ დაგეცილოს.

---

[5] ჯვარისათა ნსხ. ჯვარს ნსხ. ჩვენისა ნსხ. [18] კროკოპი ნსხ. [24] კოლადცა ნსხ.

* აქ მთავრდება XVII საუკუნეში აღდგენილი პირველი 5 სტრიქონი.
აქ ორი სიტყვის ადგილი ამოგლეჯილია.

გქონდეს ამა |[45]პირსა ზედა, რომე არა გეთხოებოდეს არაფერი სათხოარი და გამოსაღ|[46]ები არა ჩუენგან და რა მომავალთა ჩუენთაგან.

ჩუენ, პატრონ|[47]ან სალაროსა მოლარემან ქაჩიბაძემან პატრონმან დავით, ძმა|[48]მან ჩუენმან პატრონმან გერმანოზ, მეუღლეთა ჩუენთა პატრო|[49]ნმან შუენიერმან და ნათელ, შვილთა ჩუენთა პატრონმან

verso ||[50]ლაპამან, ბარათამან, სურამელმან და ქავთარ, გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა მკუიდრთა ყმათა აშოთაძეთა. ქუეყანა დრანეთი, გერავისი] მისითა მთითა ბარითა, შესავალითა და გამოსავალითა, სავენაჯითა, |[51] მისითა ყოველითა სამართლიანითა მზღურითა.

და, ვინ იცის, და |[53]ქნას ღ(მერ)თ(მა)ნ და აღაშენოთ, არაფერი სათხოარი არა გეთხოებ|[54]ოდეს: არცა ულაყი, არცა ულამი, არცა საჴორცე, არცა საჯინიბო, |[55]არცა საყუელიარო, არცა საჴორციელო, არცა სააღდ|[56]გომო. არაფერი გამოსაღები არა გეთხოებოდეს. ყოვლისა გ|[57]ამოსაღებისაგან თავისუფალი იყუნენ.

გქონდეს თქუენ, აშო|[58]თაძეთა: ქუაბულს, ბეჟანს და ბაგრატს, შვილთა და მამავალთა |[59]თქუენთა ყოელთავე. გქონდეს მკუიდრად და მოუდევრად და |[60]ყოველისა ადამიანისა კაცისა მოუსარჩლელად. არას ჟამისა |[61]გამოცვალებისათუის, არცა მეჟმეობისათუის არავინ შეგიცვა|[62]ლოს და არცა-ვინ დაგეცილოს.

ვინც ესე ჩუენგან ნაბოძები ნიშ|[63]ანი შეშალოს, შე-მცა-იცვალების რჯულისაგან; რისხავსამცა მამა, ძე |[64]და სული წმიდა, ესე ზემოწერილნი ღ(მრ)თისანი; ოთხნი |[65]თავნი სახარებისანი. მისიმცა ნურა დაიჯერების დღესა მას განკითხვისასა. |[66]დამამტკიცებელნი ღ(მ)ე(რთ)(მა)ნ აკურთხნეს.

არიან ამისნი მოწა|[67]მენი ჩუენი აზნაურიშვილები: უნდილაძე შიხასან, ულუბეგი|[68]შვილი ყალანდარი, ჩაჩიკაშვილი ბუმბა, სამშუილდი|[69]სა მოურავი ნუგზარა, თადაულიშვილი გრიგოლ, ანდრიელი |[70]გამგებელი საგინა, იაგულაშვილი ჟამიერა, გოგასაშვილი |[71]იანვარა, თურქიაშვილი ივანა.

მე, ფრიად ცოდვილსა მოძ|[72]ღუარსა დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

verso-ზე, ტექსტის დასასრულს, დასმული აქვს სამი მრგვალი ბეჭედი, ძალზე გაფერმკრთალებული, სპარსული ლეგენდით.

verso-ს ქვედა კიდეზე გვიანდელი სათაური:

მიცემული XV საუკუნეში, თარიღი არ აქვს, სამამულო სიგელი, რომელსაც აძლევს მოლარე დავით თავის ყმებს.

[42] ესე| ამა ნუსხ.

47

1462. 20 მარტი. წყალობის წიგნი იოანე თბილელისა დანიელისადმი

დედანი; სეა, 1448-5240; ეტრატი, ზომა: 35×17 (36×17,8 რესტავრაციის შემდეგ). პალიმფსესტი, ქვედა ფენაზე ჩანს ნუსხური ტექსტი. დაზიანება: ტექსტი ნაკლულია, გადარჩენილია მისი ბოლო ნაწილი. ტექსტის დაახლოებით შუში მოთავსებულია ეტრატის გადაჭიმვისას წარმოქმნილი მოზრდილი ნახვრეტი; მარცხენა კიდეზე – ნახევები, ზედა მარცხენა და ქვედა მარჯვენა კუთხეები – მოხეული. მუქი შეფერილობა, ალაგ-ალაგ ნესტის მოშავო ლაქები. გვერდები გამაგრებული აქვს სარესტავრაციო ქაღალდით; მელანი შავი; ხელი მკაფიო მწიგნობრული მხედრული, სტრიქონები – არათანაბარი; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საბუთის შინაარსი შეტანილია სინოდის კანტორის დავთარში: Книга гуджаров, სეა, 1451, 2, №108.

საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი რკლ (150)/1462/, 20 მარტი.

საბუთის დამწერი: ჯუარისმტუირთველი აბაზაზძე ბართლომე.

საბუთი ქვეყნდება პირველად.

დანიელს და შენსა შვილსა საბას და მირიან|²ს. ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან|³ შეგიცვალოს, რისხავსმცა დაუსაბამო |⁴მამა, ძე და სული წმიდა და ამა წმიდათა |⁵ზემოწერილთა მადლი; კრულმცა არ|⁶ს იგი ცათა შინა და ქუეყანათა ზედა, მკუდა|⁷რი და ცოცხალი; მაზედამცა მოიწევის მანგალი |⁸იგი სასიკუდინო, ნურარათამცა სინანულითამ|⁹ცა იქნების ჴსნა სულისა მისისა; სიკუდილისა|¹⁰მცა ჳ[ა]მს ამისი მთქუმელია, თუ: |¹¹„არა არს ღ(მერ)თი, თუინიერ სამაელისაგან კიდე". და|¹²მამტკიცებელნი ღ(მერთმა)ნ აკურთხნეს.

დაიწერა |¹³ქ(ორონი)კ(ონ)სა რკლ, თუესა მარტსა ოცსა, ჴელითა |¹⁴აბაზაზძისა ჯუარისმტუირთველისა ბართ|¹⁵ლომესითა, და მონამეცა ვარ.

დამტკიცება კუთხოვანი ასომთავრულით:

ნ(?) მე, ქ(რისტ)ეს მიერ თბილელი ი(ოან)ე |¹⁶ვამტკ(ი)ცებ.

---

[11] სამაელისაგან ნსხ.

14[6]2. მიწის გაცვლილობის წიგნი გულშარ დედოფლისა ბოძეგული ივანე სააკაძისათვის

დედანი; ხეც, Hd-1355; ეტრატი, ზომა: 27×15,7. დაზიანება: აშიები წაჭრილი აქვს უსწორმასწოროდ, გადანაკეცი ადგილები ზოლებად ემჩნევა, ბევრგან ეტყობა ნესტის მოშავო ლაქები. ტექსტი ნაწერია მკაფიო შავი მელნით, რომელიც ზოგან გადასულია. ალაგ-ალაგ გაუცხოველებიათ, რის გამოც უკანა მხარეს მელანს გაუჟონავს. verso-ზე გაცხოველებულია მხოლოდ დასაწყისი 3 სტრიქონი, ხოლო მომდევნო 7 სტრიქონი გადასულია. ხელი მდივანმწიგნობრული მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. verso-ზე მოთავსებულია რუსული მმართველობის სარეგისტრაციო ჩანაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ საბუთს რეგისტარცია გაუვლია 1821 წ. 31 იანვარს.

პირი: სეა, პირების დავთარი, ფ. 1450, დ. 27, №216.

საბუთს უზის თარიღი „რ“ (100), რაც იძლევა 1412 წელს. ამ თარიღით გამოაქვეყნა საბუთი ს. კაკაბაძემ. მაგრამ დედანზე დაკვირვება უჩვენებს, რომ ასეულის აღმნიშვნელ გრაფემას მოსდევს ათეულის აღმნიშვნელი გრაფემაც, რომელიც სანახევროდ გადასულია. თავისუფლად იკითხება მხოლოდ ქრონიკონის დასაწყისი ასო-ნიშანი „რ“, ხოლო ათეულის ადგილას მკრთალად შეინიშნება ხაზს ზემოთ ასული ბუნის ნაკვალევი „მ“ ან „ნ“ გრაფემებისა. საბუთის გამცემი გულშარ დედოფალი, თანამეცხედრე დემეტრე (III) მეფისა და დედა კონსტანტინე (II) მეფისა, იხსენიება 1466-1488 წლების საბუთებში (იხ. აქვე, გვ. 151; ხეც, Hd-2007, სეა, 1449-1489). ამ საბუთთა ქრონოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, საბუთის ქრონიკონში ათეულის ასო-ნიშნად შესაძლებელია ნ-ს აღდგენა. ამრიგად აღდგენილი საბუთის ქრონიკონი რ[ნ] (140) გვაძლევს 1462 წელს.

გამოცემა: [18], ს. კაკაბაძე, 69-70.

საბუთს ახასიათებს ა-მეტობა.

[ქ]. სახელითა ღ(მრ)თისა(ი)თა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, |[2]მეოხებითა ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუე|[3]ნისა ღ(მრ)თისა მშობლისა, მარადის ქალწულისა |[4]მ ა რ ი ა მ ი ს ა თ ა; [თა]ვდებობითა, მინდობითა, შუამდ|[5]გომელობითა, ყოვ[ე]|[6]ლ[თა] წმიდათა მოწმობითა, ესე სი|გელი და ნიშანი გიბოძე ჩუენ, დედოფალმან<ა> |[7]გ უ ლ შ ა რ < ა > თქუენა, ს ა [ა] კ ა ძ ე თ ა:

[2] წმიდის კ. [2-3] ჩუენის კ. [3] ღთის კ. [4] დავდოებობითა ნსხ. კ. [6] ნიშანი] წიგნი კ. [7] საკაძეთა კ.

კავთისა ჴევისა მოურავსა |[8]ივანესა, თქუენსა ძმასა გ(იორ)გისა, შვილთ[ა] და მამ[ა]ვალთა ყ|[9]ოველთავე: სიაოშსა, როსტევანსა, შალვასა, ავთანდი|[10]ლსა.

გაგიცვ{ა}ლეთ ნოსტეს<ა> რომალ[ა]სშვილისა |[11]გულიასეული სასახლე მისითა მიდამოთა, რასა|[12]ცა ბერთა კალო გაიტან<ა>ს<ა>, ბენდიანურის სახლე|[13]ბა[მ]დისა კედელსა და კალოს აქათი, ზემო ზღუ|[14]რ{ა}მდის. სამზღვ{ა}რი ზის<ა> დიდი ლოდი, რასაც მზღ|[15]ურები და ჴევი [ჩ]ამოიტანს<ა>. ქუემო შარამდისა. |[16]არა გ<ა>ზა დაგეჭიროს ბენდიაურისა კ[ა]რშიგან |[17]საურმო, არა მ{ა}ნანასა კალ[ო]ზედა, არა ბარამისა |[18]კალოზედა.

ესე ასრე გაგიცვ{ა}ლე. ჩემსა მეზუ|[19]რესა კავთისჴევსა სა[ა]ცლო სახლ-კარი მოგეც. |[20]მისი სანაცლო მიწაც დაგაგდებინ[ე] ჭან<ა>ჭახ|[21]შიგანა, ერთისა დ<ა>ღისა ბეცელაური, ნაშენებ|[22]ისთუის. ქ<ა>რთმი მამცა, ანდერძიც იყო ||[23]იმა ვაჟისაგანა. შენ დამესახლ[ე], *verso*
ამასთანა |[24]არვისა არა საქ<ა>მე ედ<ა>ვ[ა]ს, არა მონასტერსა.

დაიწერა ქრონიკონს რ[ნ].

დამტკიცება verso-ზე, მსხვილი ასოებით, გადასული ტექსტის ზემოთ:
|[25]მე, პატრონ|[26]მა დ(ე)დ(ო)ფ(ა)ლმა გულშ[ან], |[27]დაგიმტკიცე.

გვიანდელი სათაური verso-ზე:
ქ. სიგელი სასახლის გაცვლილობისა

[8] მომ[ა]ვალთა. [10] რომალსშვილისა კ. [15] ქამოიტანასა ნსხ.

49

1463. 2 სექტემბერი. წყალობის სიგელი გიორგი მეფისა ზაქარია ჯავახიშვილისადმი

დედანი; ხეც. Hd-1347; ბაცი ფერის ეტრატი, ზომა: 40,5×26,2; ზემოთა ა̈შია თალღონად მორკალული. დაზიანება: გადანაკეცი ადგილებზე მკვეთრი ზოლები, გვერდითი აშიები ჩახეული და დალაქავებული, ზედა სტრიქონებთან მოხეულია კიდურა გრაფემები, ქვედა აშია ბოლო სტრიქონთანაა გადაჭრილი. გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. მელანი გახუნებული შავი; ხელი კალიგრაფიული მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთის verso-ზე, ქვემოთა კიდეზე მიწერილია XIX ს. ხელით: „ჩაიწერა გ. 62 კნიღაში“. საბუთი გატარებულია „Суд и расправа“-ს ექსპედიციის მიერ რეგისტრაციაში 1827 წ. 21 იანვარს ნომრით №34.

ზგვაქვს 4 პირი: 1-2. ხეც, Qd-991ა და ხეც, Qd-991ბ – ორივე თანადროულია, გადაწერილი 1827 წელს გერბიან ქაღალდზე, ორთავეს ერთვის რუსული სარეგისტრაციო ჩანაწერი და ურტყია ბეჭედი. ამათგან Qd-991 ბ გადაწერილია კალიგრაფიული ხელით სოვეტნიკ თარხანოვის მიერ; 3. ხეც, Qd-9633, გადაწერილი რვეულის ხაზებიან ფურცელზე XX საუკუნის დასაწყისში; 4. XIX საუკუნეში გადაწერილი სიგელ-გუჯრების კრებული, ხეც, H-2830 №38, 20rv.

საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი რნა (151) /1463/, სექდენბრის ბ(2).

საბუთის დამწერი: იათორიძე ვარსიმე.

გამოცემები: 1) [12], ე. თაყაიშვილი, 19 (თ); 2) [6], ი. დოლიძე, 133-134 (დ).

ქ. ნებითა ღ(მრთისა)თა, ჩუენ, მეფეთა მეფემან გ(იორგ)ი და ძემან ჩუენმან |[2]პირმშომან, მეფემან ალექსანდრე, აფხა{ზ}თა, ქართველთა, რან|[3]თა, კახთა და სომეხთა, შანშა და შარვანშა, და ყოვლისა აღმოსავლეთ|[4]ისა ვიდრე დასავლეთამდის თუითფლობით ჴელმწიფედ |[5][მ]ტკიცედ მპყრობელთასა.

მოვიდეს ნ(ინაშ)ე ჩუენსა ჩუენი დიდად |[6][ერდ]გულნი და ძალისა{ე}ბრ თავდადებით ნამსახურნი ჯავახისშვ|[7]ილნი ზაქარია, კახა და ზაზა. გუიაჯნეს, რათამცა ნამსახურთა მათ{თ}ა |[8]მუქაფა გუეყო.

ვისმინეთ აჯა და მოწსენება მათი და მიუბოძეთ |[9][მათ]ივე მკუიდრი სოფელი ავკეთი და იისციხე მათითა მზღ|[10]ურითა, მთითა, ბარითა,

[6] ძალისაბრ თ. [7] მათა თ.

წყლითა, წისქუილითა, ველითა, ვენაჯითა, |[11]საძებრითა და უძებრითა, მისითა სამართლიანით ყოვლითურთ |[12]უნაკლულოდ, სოფელი ავკეთი და იისციხე. მოკითხული |[13]ვქენით და ძუელითგანცა თქუენი მკუიდრი იყო და ახლად სიგ|[14]ლითა ამით ჩუენცა კიდევე დაგიმტკიცეთ სოფელი ავკეთი |[15]და იისციხე.

[გ]ქონდეს თქუენ, ჯავახისშვილთა ზაქარიას, კახასა და |[16]ზაზასა, შვილთა და მომავ{ა}ლთა სახლისა თქუენისათა ყოველთა|[17]ვე, და გიბედნიეროს ღ(მერთმა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურ|[18]სა შიგან. და არა მოგეშალოს არასა ჟ{ა}მისა გამოცვალები|[19]სათვის. და ასრე ჴელშეუვლად გუიბოძებია, რომე ჩუენგან არ|[20]ა ეთხოებოდეს საჯინიბო, არა ახორსალართა, არა ბაზიერთა, ||[21]არა საელჩ{ო}, არა ციხისა მუშაობა და ზუართა მუშაობა. არას|[22]თანა შემოსაწერი და სათხოვარი არა ეთხოებოდეს, არა გო|[23]რული და ატენური. ყოვლისა სათხოვრისაგან ჴელმოხსნი|[24]თ გუიბოძებია.

დაიწერა პიტაკი ესე ქრ(ონი)კ(ო)ნსა რნა, თუესა სეკდ|[25]ენბერსა ბ, ინდ(ი)კტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეაჩუ|[26]დმეტესა, ჴელითა კარისა ჩუენისა მწიგნობარისა იათო|[27]რიძისა ვარსიმესითა.

ხელრთვა:
|[28]ვამტკიცებ.

[15] ქონდეს თ. [21] საელნო თ.დ. ციხის თ. [23] ჴელმოწსნილი თ.დ.

50

1463. სასისხლო სიგელი გიორგი მეფისა მღვდელმოწაზონ იოვანე ორალესისძე-ქუიტასშვილისადმი

დედანი; ხეც, Qd-9021; თხელი, ბაცი შეფერილობის რბილი ეტრატი, ზომა: 173×20. სამი კეფი: I – 54,8×20, II – 59,2×20, III – 58×20; კეფები ერთმანეთზე გადაკერებულია ცისფერი აბრეშუმის ძაფით. დაზიანება: I კეფის დასაწყისში ყოფილა მოხატულობა, რომლისგან ამჟამად დარჩენილია დაზიანებული მუქი ფრაგმენტები. განირჩევა სამი ფიგურის კვალი: მარჯვნივ და ზემოთ ტახტზე მჯდომი მეფის, ხოლო ქვემოთ – ორი შუამდგომელი პირის. მარცხენა ფიგურასთან მოთავსებულია წარწერა: „დადიანი ლიპარიტ“, მარჯვენასთან – „გურიელი მამია“.

ეტრატის მარჯვენა კიდეს, ძირითადად გრაგნილის გადანაკეცი ზოლების გასწვრივ, ბევრი ნახევი აქვს. მოხეულ ნაწილებში მოყოლილია III კეფის დამაბოლოებელი სტრიქონების გრაფემებიც. ტექსტი რამდენიმე ადგილას დაფარულია მოზრდილი ყავისფერი ლაქებით. მელანი ყავისფერი, დასაწყისი სტრიქონი სინგურით, სინგურითვეა ერთმანეთისაგან გამოყოფილი სასისხლო განაჩენის ცალკეული მუხლების დასაწყისი სიტყვა: „და“. ტექსტი ნაწერია დაკანონებულ ეტრატზე, ხელი კალიგრაფიული მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ტექსტის დასასრულს, recto-ზე მოთავსებულია 1825 წლის რუსული სარეგისტრაციო ჩანაწერი, რომელსაც ხელმოწერით ამოწმებენ თავადი ჩხეიძე და თავადი წულუკიძე. ბოლოში უზის ბეჭედი რუსული გერბის (ორთავიანი არწივი) გამოსახულებით.

თარიღი: ქორონიკონი რნა (151) /1463/.

საბუთის დამწერი: მოძღვარი გიორგი ურულისშვილი.

გამოცემა: [29], დ. კლდიაშვილი, 67 (აღწერილობა).

ლიტერატურა: [31], ჯ. ოდიშელი, 221.

სახელითა და ნებითა ღ(მრ)თისა, და შეწევნითა და თანამოქმედები|²თა ძისათა და მადლითა სულისა წმიდისათა, და მეო|³ხებითა ყოელთა წმიდათა მისთათა და შუამდგომელობითა ყოვ|⁴ლად უბიწოისა მშობელისა მისისა.

ჩუენ, ორი|⁵სავე ტახტისა და სამეფოისა, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერი|⁶სა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, იეს|⁷იან-დავითიან-ნებროთ-სოლომონიანისა* მეფისა, თუით-ფლობით ჴე|⁸ლმწიფედ მტკიცედ მპყრობელმა, მეფეთა მეფემა|⁹ გიორგი

* მწიგნობარს ჯერ დაუწერია „სოლომონანსა“, შემდეგ სტრიქონს ზემოთ ჩაუმატებია „ნინი“.

და თნამეცხედრემან ჩუენმან დედ|[10]ოფალთა დედოფალმან ნესტანდარე-ჯან, და ძემან |[11]ჩუენმან პირმშომან ალექსანდრე, ესე წყალობ|[12]ისა და შეწყალებისა პიტაკი, სიგელი და მანაშური (sic) განაჩენ|[13]ი ამისად ნიშნად გიბოძეთ და შეგინყალეთ და გაგიახ|[14]ლეთ ძუელად განაჩენი სასისხლო სიგელი. [შემო]ვიდ|[15]ეს შუა დადიანი ლიპარიტ და ძ[ე] მისი გური-ელი მამია და |[16]სხუანი იმერელნი თავადნი და დარბაზის ერნი. ვქენით მოკი|[17]თხული და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და ძუელსა |[18]გა-ნაჩენსა ზედა გაგიჩინეთ ახალი, ესე ჩუენგან შეწყა|[19]ლებით მოცემული სასისხლო განაჩენი სიგელი და ძუ|[20]ელად ჩაქა[ად] წოდებული, თქუენ, ჩუენისა დიდად ერთგულა||[21]დ და თავდადებით ნამსახურთა, ჩუენსა თანა აღზრდილს-შეზრ|[22]დილსა, ორაელისძეთა-კუიტასშვილთა მღდელ-მონაზონსა იოვანეს |[23]და თქუენთა ძმათა: თაყას, გიორგის, ასათს, სულა|[24]სა და საგინას.

და გაგიჩინეთ სრული სისხლი ოთხასი ათასი |[25]ძუელი ცხუმური სანახ-შირესა, საზაოსა და წინაგასაძღომისა გარეთ. |[26]და სრულისა სისხლისა წინ-გასაძღომი – ორი ათასი ცხუმური ძუე|[27]ლსა განაჩენსაცა აგრე ეწერა და ჩუენცა მითვე წესითა გაგი|[28]ჩინეთ.

ღ(მერთმა)ნ ნურაოდეს მოავლინოს, რათა კაცისა ჴელითა უბრალო|[29]ისა კაცისა სისხლი დაითხიოს. და თუ მოჰჴდეს და შენი გუარი კა|[30]ცი მოიკლას კაცისა ჴელითა, დიდითა შემოხუენითა და წინსაძღო|[31]მითა ოცდაათი ათა-სითა ოთხასი ათასი ძუელი ცხუმური დაგეურვოს.

|[32]და ამავე განაჩენისა მოკითხვითა, თუ ცოლი წა[გუა]როს თქუენისა გუარი|[33]სა კაცსა, ორასი ათასი ცხუმური დაგიურვოს.

და თუ ვინმე იკადრო|[34]ს და ზედა დაგესხას და დაგარბიოს, თუ სა-სახლესა ზედა დაგესხას, რა|[35]ც ალაფი წაეღოს, უკლებად შემოგექცეს და სრული სისხლი |[36]დაგიურვოს.

და თუ ცოლი მოუ..ნას, ნახევარი [სისხლი] და|[37]გეურვოს.

და თუ ანუ თუალისა წამოგდებ[ითა] და ანუ |[38]სხუად საჴიჩარისა დადებ-ითა, – სისხლისა მეოთხედი დაეურვოს.

და |[39]თუ გუამად ეკლესია გაგიტეხოს, რაცა ებისკოპოსთა და |[40]რჯულ-მან უყოს, იგი გარდაჰჴდეს.

და თუ ვინმე ჯოგი გაგიტეხო|[41]ს, სისხლისა მეოთხედი დაგიურვოს.

თუ აგინოს, პირდაპირ |[42]ლაშქართა ზედა უსამართლოდ, ოთხი ათასი ცხუმური და[გიურვო]ს.

და |[43]თუ უღირსმან კაცმან გაგინოს, სამოცი ათასი დაგიურვოს.

თუ |[44]უსამართლოდ მეფეთა წ(ინაშ)ე შეგასმინონ, სისხლისა მეოთხედი დაგი|[45]ურვოს.

თუ დაღი იყოს უჩინარსა ადგილსა, მისითა წ|[46]ესითა უზღოს, რაც სრუ-ლისა განაჩენისა გახუდებოდეს.

თუ წუერი |[47]დაგლიჯოს ანუ მოჰკუეთოს, ორი გერში დაგიურვოს.

თუ |[48]უმეფომან კაცმან ანუ ჴელითა შეგიპყრას, ანუ საომარი წაგი|[49]ღოს, ანუ ცხენისაგან ჩამოგაგდოს, სისხლისა ნახევარი დაგიურ|[50]ვოს.

---

[48] უმეფეომან ნსხ.

თუ თქუენი ქალისა შვილი ვინმე მოკლას, თქუენი ნახევარი |[51]სისხლი დაეურვოს დედულობით, მისითა საზაოთა და სანა|[52]ჯშირითა.

თუ ვინ მოახლე ნაგიღოს, ასოცი ათასი დაგიურვ|[53]ოს.

თუ უსამართლოდ მუქარა გთხოოს, ათი ათასი დაგიუ|[54]რვოს. თუ ზედ-დასხმასა შიგან დედაკაცსა შვილი მოსწყ[დ]|[55]ეს, სრული სისხლი დაგიურვოს.

თუ სოფელი დაგირბიოს ||[56]ვინმე, ალაფი უკლებად შემოგექცეს და ათი ათასი ცხუმური დ[აგი]|[57]ურვოს. თუ ვინმე წისქუილი გაგიტეხოს, ოცი ათასი დაგიურვოს, |[58]მით რომე ყოელნი ადამის შვილნი მისგან იზარდებიან.

თუ |[59]თქუენისა გუარისა კაცი ერისა ხუცესი გამოვიდეს და მას ანუ ცოლი |[60]ნაეღოს, ანუ მოე..ნას, გინა უზედაესისაგან, გინა უქუედაესისაგან, |[61]მისსა სისხლსა სამოცი ათასი სხუა ემატოს.*

რაცა თქუენის |[62]გუარისა კაცსა კაცისაგან ანუ დიდი და ანუ მცირე, ანუ ტ[ანი]|[63]თა, ანუ თავითა, ანუ შვილითა და მსახურითა, ანუ ქალითა და მ[ოახ]|[64]ლითა, და ანუ სხუითა რათამე უპატიობითა ვინცა ბრჭენი და [მოსამარ]|[65]ლენი მოურავნი დასხდებოდენ, ამა ზემოწერილითა გან|[66]აჩენითა გაჩნდებოდეს.

გქონდეს ბრძანება და სიგელი ესე ჩუ|[67]ენგან წყალობით გაჩენილი თქუენ, ჩუენისა დიდად და ერთგ|[68]ულად თავდადებით ნამსახურსა და თანა-აღზრდილ-შეზრ[დილსა] |[69]ოლარელისძესა მღდელსა მონაზონსა იოვანეს და თქუენ[თა შვილ]|[70]თა, უკუნისამის წყალობით გასათავებელი სრული სისხ[ლი]|[71]სა განაჩენი, ჩაქი და სიგელი.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ[(მერთმა)ნ ჩუ]|[72]ენსა ერთგულად სამსახურსა შიგან. და არავინ იყოს მშლელი და |[73]მქცეველი ამა ჩუენგან შეწყალებით მტკიცედ ბ(ოძე)ბულისა სასი[ს]|[74]ხლისა სიგლისა, თუინიერ შეწევნისა და თანადგომისა. და ა|[75]წ, თქუენცა, ქრისტეს მიერ კურთხეულნო ქართლისა დ[იხთ]|[76]-იმერისა ებისკოპოსნო, უჯუარობით დაუმტკიცეთ. დ[აიწერა ესე] |[77]ბ(რძანე)ბა და სიგელი ესე ქუთათის[ს], ინდიკტიონსა მეფობისა** [ჩუე]|[78]ნისასა ათხუთმეტსა, კ(ორო)ნი(კონ)სა რნა, ჴელითა ფრიად ცოდვილ[ისა მოძღურისა გი]|[79]ორგი ჟურულისშვილისათა.

დამტკიცება ხვეულად:

|[80]ძემან მეფეთა მეფისა გიორგი[სამან] |[81]ალექსანდრე შეგიწყალეთ და გიბოძეთ.

---

* ამ სიტყვის შემდეგ ზის გრაფემა „წ".

** „მეფობისა" მეორდება.

51

1464. 19 იანვარი. შეწირულების წიგნი გიორგი მეფისა გელათისადმი

დედანი; სეა, 1448-5025; ეტრატი, ზომა: 45×23,58. დაზიანება: ნესტის ლაქებით დაფარული, კიდეები ჩამუქებული და გაცვეთილი, 25-26-ე სტრიქონთა გასწვრივ – მოხეული; მელანი მუქი ყავისფერი, verso-ს დასაწყის სტრიქონებზე თითქმის გადასული. ხელი მწიგნობრული მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთის თავში და verso-ს ქვედა კიდეზე მიწერილია ძველი სააღრიცხვო ნომრები: №№48, 179, 236. საბუთი რუსეთის ადგილობრივ მმართველობას რეგისტრაციაში გაუტარებია 1823 წელს ნომრით №8983.

პირები: 1. ხეც, Sd-2888, გადაწერილი XIX საუკუნეში, მრავალი შცდომით; 2. სპბაი, H-8 (G-27; H-63)-7. Лл.25-26, გადაწერილი 1840 წლის ახლოს, რუსული თარგმანითურთ.

საბუთს უზის ორმაგი თარიღი: 1. ქორონიკონი რნბ (152) /1464/, ივნისის ით (19); 2. გიორგი მეფის მეფობის მე-19 ინდიქტიონი (1464).

გამოცემები: 1) [54], M. Brosset, CCVI (ანოტაცია); 2) [41], თ. ჟორდანია, 282-283 (შემოკლებით), (ჟ); 3) [18], ს. კაკაბაძე, 17-18 (კ); 4) [50], С. Какабадзе, 71-72 (აღწერილობა); 5) [51], С. Какабадзе, 186-187 (რუსული თარგმანი საღვთისმეტყველო შესავლის გარეშე, კომენტარით, ბიბლიოგრაფიით და ლექსიკონით).

ქ. შენ, ღრუბელსა მაგას ნათლისასა ქუენათა ზენად |[2]მაერთსა, ტომებით ასულსა ადამისსა და დედისა ღმრ|[3]თისასა, ძუელ ოდესმე მოსესგან მაყულად მოტყ(ი)ნა|[4]რედ ხილულისა და შეუნველად დაცულ{ი}სა აჰრონის |[5]კუერთხსა აყოვებულსა, რომელმან გამოიღო ნაყო|[6]ფად უნაყოფოთა ნაყოფიარ-მყოფელი და ყოვ|[7]ლისა სოფლისა განმანათლებელი, და [ა] დამის, ძუელისა კ|[8]აცისა განმა[ა]ხლებელი, და ევას წყევისა და კრულებისა |[9]დამწსნელი და კურთხევად შემცვალებელი.

გედოვნის|[10]სა წუიმისაო ნოტიომყოფელო, შენ, სადგურო და განს|[11]ა-სუენებელო და პალატო კიდობან-საღმრთოსა სჯულ|[12]ისაო, რომელმან დაიტიე ფიცარი იგი, საუფლოთა |[13]მით თითითა დაწერილი ტაკუკი, მანანათა აღსავს|[14]ე, და კუერთხი იგი სასწაულთა მოქმედი; მამის|[15]ა შენისა და

[1-20] ღრუბელსა მაგას... დიდებულებათა მეტყუელებად]-ჟ. [2] და დედისა] დადებისა კ. [3-4] მოტყინარედ კ. [4] აჰრონის] ჰრონის კ. [7] და{ა}მის] დადმის კ. [9-10] გედოვნისა წუიმისაო] გედოვნის სანყმისსა კ. [11-12] სჯულისაო] სრულისაო კ. [14] კკერთხი კ.

ნინასწარმეტყუელისა, დაგით, მეფეთა |[16]შორის წარჩინებულისა ასულად მოსწავებულო, ვ|[17][ით]არცა გიგალობდა ჴმითა მით სანატრელითა პი|[18]რად-პირადად ფეს[უ]ადითა ოქროვანითა შამკობილად. |[19]და ვინ მისწუდების შენთა დიდებულებათა მეტყუ|[20]ელებად, ყოვლად წმიდაო გელათისა ღმრთისმშო|[21]ბელო!

ჩუენ, მსასოვებელმა და მინდობილმან ცვ|[22]ა-ფარვათა თქუენთამან, მეფეთა მეფემან გი(ორ)გი, ვიგულე |[23]და ვიგულსმოდგინე მცირე ესე სამსახური და შემო|[24]საწირავი და შემოგწირე მღუიმისა ეკლესია და იქი მსხდ|[25]ომნი გლეხნი ფანჩულისძენი* მამულითა, მთითა, ბარითა, |[26]წყლითა, წისქუილითა, ველითა, ვენაჯითა, სათიბითა, ჭალითა, ეკლესიითა, სასაფლაოთა, მათითა ერთობილითა შესა|[27]ვლითა და გამოსავლითა, მოგუიჴსენებია და შემ|[28]ოგუიწირავს.

უწინაცა თქუენი მკუიდრი და ძუელიდგან შე|[29]მონირულიყო და იადგარ-შიგან გენერნეს ესე |[30]გლეხნი, რომე ესრეთ ზემო სწერიან. და აწ, კიდეე მო|[31]გაჴსენეთ და შემოგწირეთ ამა წესითა, რომე ჩ[უ]ენ|[32]ისა სულისათუის ყოვ[ე]ლთა ნელიწადთა ფანჩულისძე, |[33]ვინცა-ვინ მღრდელი იყოს, ჯამსა გუიწირევდეს |[34]და [ა]ღაპსა გარდაიჴდიდეს. და მათი ბეგარა, რაცა იყოს,
verso თქუენ წი||[35]ნა მოვიდოდეს დ{ა} არა დაგაკლდებ{ო}დეს. და ჩუენ ჩუენი წირვა, კურთხევა, ლოცვა, წირვა არა მოგუეშალო|[36]ს.

და ვინც-ვინ ჩხარისა პატრონი იყოს, რასაცა ყანა|[37]სა მოჴნევდეს, მას ვერას სთხოვდეს და ვერც-რა საქმე და|[38]იგდოს. როგორცა თქუენსა მკუიდრსა და უცილებელ|[39]სა მამულსა მართებს, აგრე გაგითავდეს და ვერაკინ შე|[40]გიცვალოს. და ვინცა შეგიცვალოს და მოგიშალოს, რისხავსამცა მამა, ძე და სული წმიდა, და თქუენ, გე |[41]ლათისა ღ(მრ)თისმშობელი. და მის მეორედ მოსვლ|[42]ვასა ჩუენთუისმცა განიკითხვის წინაშე ძისა თქუ{ე}ნი|[43]სა და ღმრთისა ჩუენისა. და დამამტკიცებელნი ღ(მერ)თმ|[44]ან აკურთხნეს.

და{ი}წერა წიგნი და სიგელი ესე ჩუ{ე}ნი ქრ(ონი)კ(ონ)სა რნბ, ინდიკტიონსა მეფობისა ჩუ{ე}ნისასა ით, იანვარსა ით.

ხელრთვა:

ქ. მეფეთ მეფე გიორგის დამიმტკიცებია |[45]ნებითა ღ(მრ)თისათა, ამინ.

გვიანდელი სათაური XVIII საუკუნის ხელით:

სიგელი ფანჩულიძისა.

---

[17] პირათ კ. ფერადითა კ. [20-21] ღვთისმშობელო უ. [21] მსასოებელმან უ. [22] თქუენთამან ჳ., კ. ვიგულეთ ჳ. [23] ვიგულსმოდგინეთ ჳ. [24] ეკლესიისა ჳ. [24*25] მსახდომნი ჳ. [25] ფანჩუ-ლიზენი ჟ. მთითა] მათითა ჟ. [26] წისქვილითა ჳ. წისქუილითთა კ. ეკლესითა კ. ერთო-ბით ჳ. [27] და გამოსაელითა]+და გამოსავლითა ჳ. მოგვიჴსენებია ჳ,კ. [27-28] შემოგვიწი-რავს უწინახ ჳ. თქუენი მკუდრი კ. მკუდრი ჳ. ძველიდგან კ. ძუელიდგან] მეფეთაგან ჳ. [28-29] შენირული იყო ჳ. გენერნეს] შენირულსა ჳ. [30] კიდევ ჳ. [31] წესითა] პირსა ზედა ჳ. [31*32] ჩვენისა სულისათჳს ყოვლთა კ. [32] სულისათჳს ჳ. ფანჩულიძე ჳ., კ. [33] გვიწირავდეს ჳ. გვინირევდეს კ. [34] და აღაპსა] დაღაპს კ. გარდაიჴდიდენ ჳ. ბეგარი ჳ. [34-35] წინამოვი-დოდეს] წინამძღუარს მოგიდიოდეს ჳ. არა] არ ჳ., კ. ჩუენ ჩუენი წირვა] ჩუენს წ[ინა]შე ჩუენი წირვა კ. მოგვეშალოს კ. [38] მკუდრსა კ. [40-44] და ვინცა შეგიცვალოს... აკურთხნეს]-ჳ. [41] მას კ. [42-43] თქუენისა კ. [44] ინდიკტიონსა ჳ.

* ამ სიტყვის მომდევნო სიტყვები და მომდევნო სტრიქონი სიტყვამდე „მამულითა", გადაშლილია.

52

1464. 5 აპრილი. წყალობის სიგელი კონსტანტინე მეფისა ვარდია დოლისძისადმი

დედანი; სპა, 1448-5027; ბაცი ფერის ეტრატი, ზედა აშია თაღოვნად მორკალული. ზომა: 46×17. დაზიანება: კიდეები უსწორმასწოროდ შეჭოჭრილი ტექსტის დაუზიანებლად, recto-ს ბოლო სტრიქონები გამკრთალებულია, verso-ზე ამჩნევია ნესტის მოშავო ლაქები. შავი მელანი; ხელი კალიგრაფიული მხედრული, ტექსტის თავში ხვეულებით შემკული ქანწილი, სტრიქონები მწყობრად გამოყვანილი. განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

verso-ზე მოთავსებული რუსული არეგისტრაციო ჩანაწერის მიხედვით, 1811 წ. 24 ოქტომბერს გორის სამაზრო სასამართლოს საბუთი უცნია ნამდვილად. ხელს აწერს მსაჯული ზაქარია მხარგძელი.

თარიღი: ქრონიკონი რნბ (152) /1464/. აპრილს ე (5).

დამწერი: კარის მწიგნობარი (სახელის მითითების გარეშე).

საბუთი ქვეყნდება პირველად.

ქ. ჩუენ, მეფისა კოსტანტინესაგან; ღმრ(თ)ივ-გუი|[2]რგუინოსანმან, ღმრთივ-აღმართებულმან, |[3]ღმრთივ-დამყარებულმან, იესიან-დავითიან-ბაგრა|[4]ტიონისაგან, და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალ|[5]მან თამარ, ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ლიხთ-იმერ{ი}სა და ლი|[6]ხთ-ამერისა, აფ{ხ}აზთა, ქართუელთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფე|[7]მან, შანშე და შარვანშე და ყოვლისა აღმოსავლეთით ვიდრე |[8]დასავლეთამდის თუით მტკიცედ ფლობით მპყრობელმან.

ესე შე|[9]წყალებისა ნიშანი და სიგელი გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა მკუიდ|[10]რთა ყმათა დოლისძეთა: ვარდიასა, გოგიასა, მამესწარსა, მიქიასა; |[11]შვილთა თქუენთა: მამისასა, მახარებელსა, შვილთა და მომაე{ა}ლთა ყოველთავე, მას ჟამსა, როდეს მოზდეგით კარს ჩუენსა ზედა |[12]და სამკუიდროდ მამულსა გუიაჯებოდით.

ვისმინეთ აჯა და მოჴსენ|[13]ება თქუენი, ჩუენცა მოკითხული ექნით და გიბოძეთ ჩუენი |[14]მკუიდრი სახასო ზუარი, ახალშენს ქუემოთ ნაკედლარი მზღურად |[15]გაიტანს, მისი ნახევარი უკლებლად და უცილებლად. და |[16]ასისა დღისა მიწა ჩუენი სახასო ხოდაბუნი ვანძათ ბოლოსა, მისი ნახე|[17]ვარი. კიდეეე – ხრამთა პირსა გაღმა-გამოღმა, მისი ნახევარი ხუდაბუნი;

[6-7] მეფეთა ნსხ.

|[19]საბათგორის ძირსა ხოდაბუნი, მისი ნახევარი; ღუარას წყაროთ
ბო|[19]ლოს ხუდაბუნი, მისივე ნახეუარი; ზუარის კარსა ნაფუძარი, მისივე
ნახეუარი.

|[20]ასრე რომე, ასისა დღისა მიწა გაგითავდეს ასრე და ამა პირსა ზედა,
რომე |[21]ჩუენად სახასოდ გლეხად დაგსუით და დაგასახლეთ. გამოიღებდით
წელიწად|[22][ში]* ერთსა ულაყსა. არ გეთხოვებოდეს სხუა მას გარეთ. რაცა
სხუანი |[23]კავთისხველნი გლეხნი იქმოდენ, ყუელას უკლებლად და
უც|[24]ილობლად და უსაუბროდ [იქმოდეთ].

ან, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერ|[25]თმან თქუენ, ჩუენსა ერდგულ-
სა ყმასა დოლისძესა ვარდი{ა}სა |[26]და შენს ძმასა გოგიასა, მამ-
ესწარასა, მიქიასა და შენსა შვილსა მამის|[27]ასა და მახარებელსა,
შვილს{ა} და მამავ{ა}ლთა თქუენთა ყოველთავე.

|[28]თუ ვის ანუ ძუელი სიგელი გქონდეს და ანუ ნიშანი, |[29]ჩუენ სიგლითა
verso ამით ყუელა გაგუიცუდებია, ||[30]თუინიერ მტკიცედ ესე ოდენ არის.

დაიწერა ბრძანება და |[31]ნიშანი ქ(რონი)კ(ონ)სა რნბ, თუესა აპრილსა ე.
მე, ფრიად |[32]ცოდვილსა პატრონ{ი}სა კონსტანტინეს კარისა მდი-
ვან-მწიგნობ|[33]არსა დამიწერია და, ვინცა ნაიკითხოთ, ერთპირი შენდობა
|[34]ბრძანეთ, თქუენსა მიცუალებულთაცა შეუნდნეს ღმერთმან, |[35]ამინ, ამინ.

ხელრთვა ხვეულად:
|[36]ვამტკიცებ, კოსტანტინე.

სხვა ხელით:
ჩუენ, პატრონმან დავით, შეგიწყალეთ, ულაყი ამოგიკუეთეთ |[37]და
ვენაკის ნახევარს დაგპირდით.

ხელრთვა:
|[38]დავით.

[22] ერთსა ულაყსა] ერთი ულაყი ნსხ.
* ამ სიტყვის შემდეგ ერთი სტრიქონი წაშლილია.

1464. 17 მაისი. წიგნი ალექსანდრე მეფისა ვარსიმე იათორისშვილ-შოთასძისადმი

დედანი დაკარგულია. თ. ჟორდანიას იგი უნახავს სინოდის კანტორის მცხეთის საბუთებში, ნომრით სლ (230).

თარიღი: ქორონიკონი რნბ (152) /1464/, იზ (17) მაისი.

საბუთის დამწერი: ლაჟვარდისძე დანიელი.

გამოცემები: [41], თ. ჟორდანია, 283 (შემოკლებით).

საბუთი ქვეყნდება თ. ჟორდანიას პუბლიკაციის მიხედვით.

ჩუჱნ, მეფეთ მეფის გ(იორგ)ის ძემან, მეფემან ალექსანდრე და ძემან ჩუჱნმან პატრონმან გიორგი... მოვიდეს წინაშე ჩუენსა იათორისშვილნი შოთასძენი... გარეჯის წინამძღვარი და კარისა ჩუენისა მდივანი ვარსიმე* და მისნი ძმანი: სულა, დემეტრე და ნარიმან; შვილნი მათნი: შოთა და ყურუმში... და ძუელითგან მათი მკვიდრი სოფელი ვეძისჴევი მათითა სასაფლაოთა, მონასტრითა, ბარცავისა** ეკლესიითა... მზღურითა, საჩალისპირსა მათითავე ძუელითა სასახლითა...

რაგუარაც თქუენთა გუართა გარესჯისა უდაბნოთათვის თავი და მამული შეუწირავს, აგრეთვე იმავ მამულითა ჩუჱნ შეგვიწირავხართ. ასე რომე, უდაბნოსა მისი მისახდომი არა-რა დააკლდეს და მიხუდებოდეს...

დაიწერა ქ(ორონიკ(ონ)სა რნბ, თუესა თ(ან)ა მაისსა იზ, ჴელითა ლაჟვარდისძისა დანიელისითა.

---

* გამოცემაში წერია „ვარსიძე", რომელიც, სხვა საბუთების (Ad-6. Hd-1347) მიხედვით გასწორდა „ვარსიმედ".

** ტოპონიმი „ბარცავი" გამომცემელს აეჭვებს, ამიტომ მის გვერდით ფრჩხილებში მიწერილი აქვს (ვარცისა?).

54

1464. 13 დეკემბერი. წყალობის წიგნი მარკოზ კათალიკოსისა მამისასადმი

დედანი; სეა, 1448-5024. ღია შეფერილობის ეტრატის გრაგნილი, ზომა: 54×20,7. დაზიანება: ეტრატს კიდეებზე ემჩნევა მცირე ზომის მოშავო ლაქები, აქვს გადაჭიმვის ნახვრეტები, კიდეების ნახევები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. მელანი შავი; ხელი მკაფიო, კალიგრაფიული მხედრული, სტრიქონთა სიმჭიდროვე არ არის თანაბარი; მე-12 სტრიქონში ერთი სიტყვა გადაშლილია, ქანწილი და დასაწყისი სტრიქონი შემკულია დეკორატიული ხვეულებით. განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთის recto-სა და verso-ზე მთავრული ასოებით უზის ძველი (XVII ს.) საარიცხვო ნომერი „რნ“ (150); ხოლო თავში მითითებულია სინოდის კანტორის მცხეთის საბუთების ნომერი №236. დედანთან ერთად თ. ჟორდანიას უნახავს საბუთის ნუსხები (სოზ, სოA და რნ).

პირები: 1. სეა, 1449-1485, გადაწერილი დედნიდან (№236) ს. კაკაბაძის მიერ; 2. სპბაი: H-6(G-29b; H-46)-29. Лл.50аб; 3. სპბაი: E-73 (E-102)-60. Лл. 144б-146а.

საბუთის შინაარსი შეტანილია სინოდის კანტორის დავთარში: Книга гуджаров, სეა, 1451, 1, №236

თარიღი: ქორონიკონი რნბ (152) /1464/, დეკემბრის იგ (13).

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 282 (შემოკლებით) (ჟ); 2) [19], ს. კაკაბაძე, 14-15 (კ); 3) [7], ი. დოლიძე, 210-211 (დ); 4) [50], С. Какабадзе, 312 (აღწერილობა); 5) [51], С. Какабадзе, 188-189 (რუსული თარგმანი საღვთისმეტყველო შესავლის გარეშე, კომენტარით, ბიბლიოგრაფიით, ლექსიკონით).

ქ. სახელითა ღ(მრ)თისათა, მამისათა, |[2]ძისათა და სულისა წმიდისათა; მეოხებითა ყ(ოვლა)დ წ(მიდ)ი|[3]სა დედუფლისა ჩუენისა ღ(მრ)თისმშობელისა |[4]და მარადის ქალწულისა მ ა რ ი ა მ ი ს ი თ ა; ძლიერებითა პა|[5]ტიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა ძელისა |[6]ცხოვრებისათა, რომელსა ზედა ჯუარს ეც{უ}ა ჴორცითა ქ(რისტ)ე |[7]ღ(მერ)თი ჩუენი ჴსნისათუის ჩუენისა; ოხითა და შეწევნითა წ(მიდა)თა |[8]ზეცისა ძალთა მ ი ქ ა ე ლ და გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ი თ ა; შეწევნითა სუეტისა |[9]ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და მირონისა ღ(მერ)თ-მყოფელი|[10]სათა.

[6] ეცა კ. ეც[ვ]ა დ.

ჩუენ, ქ(რისტე)ს ღ(მრ)თისა მ(იე)რ ქ(ართლი)სა კ(ათალიკო) ზმან მარკოზ, ესე უკუნისამდე გა|[11]სათავებელი წიგნი მოგეცით თქუენ, ბერინასშვილსა მეჯინიბეთ|[12]უხუცესსა მამისასა და ედილას|[13]შვილსა მისრის და შენსა შვი|[14]ლსა ზაქარიას, შვილთა და შვილისშვილთა, მომავალთა გუარისა შენისათა, |[15]ყოველთავე. ვინათგან შენი სიმამრი მახარებელი სოფლისა ვითა|[16]რებისაგან უმკუიდრო და უნათესაო იქმნა და მისავე სიცოცხლეშიგა |[17]გიშვილნა მისა მამულზედა, რაგუარაცა მეფეთა და კ(ათალიკო)ზთაგან მისთუის |[18]დამტკიცებული იყო, აგრე თქუენ დაგიგდო. და ჩუენცა შეგიწყალ|[19]ეთ და ამა სიგლითა კიდევე დაგიმტკიცეთ ფოსუი და ოროტა მი|[20]სითა შესავლითა, და კუტალას აბნაშვილნი, ორნივე განაყოფნი, |[21]და ჯუარის ბოლოსა – ვენაჴი.

და გიბედნიეროს ღ(მერთმა)ნ შენ, მისრის |[22]და შენსა შვილსა ზაქარიას და თქუენთა მომავალთა ყოველთავე, ფო|[23]სუი და ოროტა მისითა შესავლითა, და კუტალას აბნაშვილნი, ორნ|[24]ივე განაყოფნი მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, საბამბითა, ს|[25]ათიბითა, საჴნავითა და ყოველითავე მისითა მიმდგომითა |[26]საყდრისა და ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შინა.

ესე ასრე |[27]გაგითავდეს და არა შეგეცვალოს არა ჩუენგან და არა შ(ემდგომა)დ ჩუენსა სხუა|[28]თა კ(ათალიკო)ზთაგან. და ვინცა შეგიცვალოს, რისხავ{ს}მცა მამა, ძე და სული წ|[29]მიდა და ყოველნ{ი} ღ(მრ)თისათუის წამებულნი, რომელნი სუინაკსარსა ში|[30]ნა აღწერილ არიან. დამამტკიცებელი და გამთავებელნი ღ(მერთამ)ნ აკურთხნ|[31]ეს.

ამისნი მოწამენი არიან სრულნი მცხეთისშვილნი.

დაიწერა |[32]სიგელი და ბ(რძანე)ბა ესე ქ(რონი)კონსა რნბ, დეკემბერსა იგ.

ხელრთვები:

|[33]ქ. ჩუენ, ქ(რისტე)სა ღ(მრ)თისა მიერ ქართლისა კ(ათალიკო)ზი მარკოზ, |[34]კანონითა ვამტკიცებთ.

||[35]ქ. ამა პატრონთა ბ(რძანე)ბისა მე, ჯუარისმტვირთველი ელიოზ|[36]ისძე ელიოზ, მონამე ვარ. *verso*

გვიანდელი სათაური XVIII საუკუნის ხელით:
სიგელი ფოსვისა და ოროტისა.

[14] გვარისა კ. [16] მისივე კ. მის[ს]ა დ. [34] კანუნითა ჟ., კ., დ. [35] ამა| ემა კ., დ. [36] სიგელი....ოროტისი -კ., დ.

55

[1464-1476]. შენირულების სიგელი გიორგი და ალექსანდრე მეფეებისა სვეტიცხოვლისადმი

დედანი დაკარგულია. დედანი (№33) და მისი ნუსხა (ტზ) XIX საუკუნეში ინახებოდა სინოდის კანტორის მცხეთის საბუთებში. საბუთის პირი: სეა, 1449-1529, XX საუკუნის დასწყისში დედნიდან გადაულია ს. კაკაბაძეს და დაურთავს მისთვის დედნის არქეოგრაფიული აღწერილობა: „სიგელი მცხეთისა №33, დაწერილი ქაღალდზე, ზომით 73,3/4×14 სმ.“ დედნის განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საბუთი უთარიღოა. ს. კაკაბაძე საბუთის დასათარიღებლად ყურადღებას აქცევს გიორგი VIII-ის თანამეფედ ალექსანდრეს მოხსენიების ფაქტს, რასაც ამაგრებს ალექსანდრე მეფის სახელით გაცემული 1464 წლის სიგელი ვარსიმე იათორისშვილ-შოთასძისადმი (იხ. აქვე, გვ. 139). ამიტომ მოცემული სიგლის ქრონოლოგიურ ჩარჩოდ ს. კაკაბაძე იღებს მამა-შვილის თანამეფობის (1464-1476) წლებს. „კორპუსში“ გაზიარებულია ს. კაკაბაძის დათარიღება.

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 283-284 (შემოკლებით) (ჟ); 2) [20], ს. კაკაბაძე, 39-40 (კ).

საბუთი ქვეყნდება სეა 1449-1529-ის მიხედვით.

ქ. თქუენ, დიდო და ცათა მობაძაო დედაქალაქო, საყდარო მ ც ხ ე თ ი ს ა ო, რომელი ჯერ-იჩინა კუართმან საუფლომან და მირონმან წმიდამან, წმიდად მყოფელმან სახლსა მაგას საუფლოსა; სუეტსა ცხოველსა შინა წყარო[დ] უკუდავებისა [აღმოსცენდი] მკურნალად ყოველთა ქ(რის)ტიანეთასა, რომელი მოვალ მე მკუიდრსა მაგას განსასუენებელსა ჩემსა. ჰოი, სადგურო წმიდაო, ყოველთა დ ა ვ ი თ ი ა ნ - ბ ა გ რ ა ტ ო ნ ი ა ნ თ ა მეფეთა და დედოფალთა დაძინებულთა განმანათლებელო!

მე, თქუენ მიერითა დაცულ-დაფარულმან, მეფეთა მეფემან გ ი(ორ)გ ი და საყუარელმან ძემან ჩუენმან მეფემან ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე, შემოგწირეთ და მოგაჴსენეთ კახეთს ახალშენთა ხ ე რ ხ ა უ ლ ი ს ძ ე თ ა – ჯ ა ვ შ ა ნ ი ი და გოგას – სახლი და მამული. და ესე ორნი კუამლნი ძმანი აზნაურნი, ჯ ა ე შ ა ნ ა და მისი ძმა ა ღ ნ ი ა და გ ო გ ა, შემოგუიწირავს და მოგუიჴსენებია.

---

[4] [აღმოსცენდი]] ამოსცენდი ნსხ. [2] რომელმან ნსხ. კ. [3] სახლისა კ. [5] მოვალ მე] მოვალმე კ. [8] დაცულ ნსხ. კ. [15] სასახლოთა კ.

თქუენ, ტაძარო და სუეტო ღ(მრ)თივ-აღმართებულო, დედაქალაქო საყდარო მცხეთისაო, და ესე ჯავშანა და მისი ძმა აღნია და გოგა გქონდეს ამათითა მამულითა, მთითა და ბარითა, ამათითა გლეხებითა, სასახლითა, წყლითა, წისქუილითა, ველითა, ვენაჯითა, ტყითა, სანადიროთა, ჭალითა, სათიბითა, შესავლითა და გამოსავლითა, საჴმრითა და უჴმრითა, საძებრითა და უძებრითა და მისითა სამართლიანითა, ერთობ სრულად და უკლებლად.

და ვითა არავინ ღირსა, ეგრეთ ვერავინ მკადრე იყოს შემოცილებად ამათსა თავსა და მამულსა.

ესე ჩუენგან დამტკიცებული და შეუშლელი, ნებითა ღ(მრ)თისათა.
და ბაგავანი ამათია და მისი ნიშანი სხუაცა აქუს.

დედანს ჰქონია გიორგი მეფის მტკიცებულება ხვეულად:
გიორგი მეფე დავამტკიცებ ნებითა ღ(მრ)თისათა.

[15] სასახლოთა კ.

1465. 23 აპრილი. შეწირულების წიგნი ვამიყ შაბურისძისა სვეტიცხოვლისადმი

დედანი დაკარგულია. საბუთის დედანი (№75) და მისი ნუსხა (სჟვ) ინახებოდა სინოდის კანტორის მცხეთის საბუთებში. გვაქვს სამი პირი. ამათგან ორი დაცულია პეტერბურგში, ხოლო ერთი, რომელიც გადაიღო ს. კაკაბაძემ, ეროვნულ არქივში: სეა, 1449-1486. 1. ს. კაკაბაძის გადაღებულ პირს ერთვის დედნის არქეოგრაფიული აღწერილობა: „1465 წ. სიგელი მცხეთისა №75, დაწერილია ლამაზის ხელით ტყავზე, ზომით: 99,3/4×23-24, 3/4 სმ.“ დედნის განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; 2. სპბაი, H-6 (G-29b; H-46)-15. Лл. 28a-31a; 3. სპბაი, E-73 (E-102)-61. Лл. 146a-151a.

საბუთი გატარებულია გუჯრების წიგნში: სეა, 1451, 1, №75.

თარიღი: ქორონიკონი რნგ (153) /1465/, აპრილის ოცდასამი (23).

საბუთის დამწერი: ოქროპირისშვილი მახარებელი.

გამოცემები: [41], თ. ჟორდანია, 285-286 (შემოკლებით) (ჟ); [19], ს. კაკაბაძე, 15-18 (კ) 15-18; 3) [50], С. Какабадзе, №№388, 389, 255-256 (აღწერილობა).

საბუთი ქვეყნდება სეა, 1449-1486-ის მიხედვით.

ქ. სახელითა ღ(მრ)თისათა, სამგუამოვნად ცნობილისა, სამბრწყინვალისა, სამმნათობიერისა, ერთნებისა, ერთღ(მრ)თეებისა და ერთუფლებისა, ღ(მრ)თისა მამისა, ღ(მრ)თისა ძისა და ღ(მრ)თისა სულისა წმიდისა.

მეოხებითა, შეწევნითა და თანამდგომარეობითა ყ(ოვლა)დ წმიდისა,
5 ყ(ოვლ)ად უხრწნელისა, ყ(ოვლა)დ ბინშეუხებელისა დედოფლისა ჩუენისა ღ(მრ)თისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, რომლისა მიერ ჴორცვასხებულ იქმნა ქრისტე ღ(მერ)თი ჩუენი [და] ეზიარა კაცებასა ჩუენსა თბითა მით ადამიანითა, მრჩობლ ბუნებაობითა, ვიტყუი, უკუე ღ(მერ)თკაცებასა.

10 ძლიერებითა, შეწევნითა და თანადგომითა ბეჭთა ქ(რისტე)ს სა[მ]ს[ჭ]უალისა, მორწმუნეთა საჭურველისა, მეფეთა ძლევით გუირგუინოსან-მყოფელისა ძელისა ცხორებისათა, რომელსა ზედა განკუართულ იქმნა ჴორცითა ქ(რისტ)ე ღ(მერ)თი ჩუენი ძლევით შემუსრვად ბჭეთა ჯოჯოხეთისათა.

---

[4] წმიდისათა კ. [6] ღთისმშობლისა კ. [7] ჴორცვასხებულმან ნსხ. [და] ეზიარა]-და ნსხ. [9-10] სა[მ]ს[ჭ]უალისა] საშუალისა კ.

ოხითა და შენევნითა ურულოთა, მცველ-მმართებელთა ცხორებისა ჩუენისათა; წამისყოფით აღმასრულებელთა ღ(მრ)თისა ბ(რძანე)ბათა, დიდთა მთავართა ზეცისა და [ქუეყანისათა] ცხრა არვეთა, ყოველთავე ზეცისა ძალთათა.

[თანა]მოქმედება-მდგომარეობითა ყ(ოველ)თა დედათა ნაშვთა უზენაესისა, მუცლით გამო დედისათ ქ(რისტე)ს თაყუანისცემით მეუფედ მცნობელისა, უდაბნოს ქადაგისა, სინანულისა ერთა ცულითა მაჩუენებელისა, წინამსრბოლისა და წინასწარმეტყუელისა და ნათლისმცემელისა ი(ოანე)სითა, და სეხნის მობაძავისა და თანამეტობისა მისისა, ძედ ქუხილისა ნოდებულისა ი(ოან)ე ღ(მრ)თისმეთქუისა და ღ(მრ)თისა ძმისა, მკერდსა მას სამეუფოსა მიყრდნობილისა, და მიერ მცნობელ{ი}სა საკუირველთა მათ საიდუმლოთასა, და საყუარელისა მოწაფისა და ქალწულისათა.

ოხითა, შენევნითა და თანამოქმედებითა პეტრე რიტორისა, სასუფეველისა კლიტეთმპყრობელისა, პირველწოდებულისა, და პაულე სამცამდე აღნევნულისა, და არათქუმულთა სიტყუათა მსმენელისა, მოძღურისა წარმართთასა; და ათორთა ქ(რისტე)ს მონაფეთა და სამეოცდაათეულთა მოციქულთა, რომელთა სიბრძნითა და მოძღუარებითა მოიბადურნეს ყ(ოველ)ნი კიდენი სოფლისანი.

თანამოქმედებითა და შენევნითა წ(მიდა)თა მონამეთა: გ(იორგ)ი, დიმიტრი, თ(ევდორ)ე, მერკუირი, პროკოპი და პანტელეიმონ, და წ(მიდა)თა მოყუას-მერაბამეთა და მობაძავთა ქრი(ისტე)ს ვნებათა; და წ(მიდა)თა ქალწულ-მონამეთა: ეკატერინა, ირინა, ბარბარა, მარინა, თეკლა და ყ(ოვე)ლთა მობაძავთა მათთა, რომელნი დაიკლნეს ქ(რისტე)სთუის და სისხლთა დათხევითა გუიგუინოსან იქმნნეს; წ(მიდა)თა მამათა, განშორებულთა მეუდაბნოეთა, მესუეტეთა, მარტოდ მყოფთა ფიჩოსანთა, ქ(რისტე)ს ნებისმყოფელთა და, რომელთა ღ(მერ)თი დააჯურნეს სათნოთა ცხორებითა.

ამათ ყ(ოველ)თა წ(მიდა)თა მეოხებითა, რომელნი საუკუნითგან სათნოეყუნეს უფალსა ჩუენსა იესოს ქ(რისტე)სა და წმიდასა სუინაქსარსა შინა სახელმოჴსენებულ იქმნნეს, და კუალად სხუანიცა სათნოყოფად არიან.

ამათ ყ(ოველ)თა წ(მიდა)თა – ზეცისა და ქუეყანისათა – თავსმდებობითა და შუამდგომელობითა, ესე წიგნი და სიგელი სამკუიდრო, სამამულო და ამიერ უკუნისამდე გათავებულ-გასათავებელი და, რასა გინდა-რა ჟამთა შლილობა-ქცევა-გამოცვალებასა შიგანცა მტკიცე და შეუცვალებელი, უთუო, უთუმცაო, დროდაუდებელი, მიზეზშემოუღებელი, ჟამუძებნელი, ყოვლისა ილათისა და თათბირისაგან უმიზეზოდ გამოსრული და გამოღებული, გკადრეთ და მოგაჴსენეთ თქუენ, ყ(ოველ)თა ჩრდილოეთისა კედართა შორის უაღრეს-უზეშთაესსა, და ვიდრე ცისა კამარათამდის აღნევნულსა, ქრისტიანეთა დიდება-პატივსა, დედაქალაქსა კათოლიკე მცხეთისა საყდრსა, და მას შინა ღ(მრ)თივ-აღმართებულსა სუეტსა ცხოველსა, კუართსა

---

[2] ბ(რძანება)თა] ბბთათა ნსხ. კ. [3] [ქუეყანისათა]]-ნსხ. [16-17] მოციქულთათა კ. [18] წ(მი) და ორჯერ მეორდება ნსხ. [26] ნებისმყოფელთათა კ. [30] გინდა რა] გინდა კ. [30-31] მის ჟამისა კ. [37] მოგახსენეთ ნსხ.

სამეუფოსა, რომელი იქსოვა ჴელთაგან ყ(ოვლა)დ უბიწოსა ღ(მრ)თისა დედისათა, და მიჰრონისა ღ(მერ)თ-მყოფელისა, და თქუენ, მათსა მპყრობელსა, ყ(ოველ)თა ცოდვილთა მეოხსა და შესავედრებელსა, ქ(რისტე)ს ღ(მრ)თისა მ(იე)რ ქართლისა მლრდელთმოძღუართ მთავარსა, პატრიარქსა, პატრონსა კ(ათალიკო)ზსა მარკოზს, ჩუენ, შაბურისძეთა, ერისთავმან ვამიყ და სარო, და ძეთა ჩუენთა: გ(იორგ)ი, ომარ, მიქამან, ვარამ და ნუგზარ, ძმათა, შუილთა და მომავალთა სახლისა ჩუენისათა, ყოველთავე.

მას ჟ(ა)მისა შედეგად, ოდეს ჩუენად უღირსად დიდად და საპატიოდ შეგუინყალეს პატრონმან მეფეთა მეფემან გ(იორგ)ი და მათი ასული ჩუენისა შვილისათუის გუიბოძეს და მოგუცეს, დიდი გამოსანახავი სასჯულო და საკანონო საქმე იყო. და დიდად შემოვეხუენენით თქუენსა საყდარსა და თქუენ, მათსა მპყრობელსა, და დიდისა დასაურვებელისაგან მცირესა ამას შეგუჯერდით.

შემოვსწირეთ და მოგაჴსენეთ კითხვითა, ბ(რძ)ანებითა და ნებადართვითა ღ(მრ)თივ-გუირგუინოსნისა მეფეთა მეფისა გ(იორგ)ისითა ჩუენი მკუიდრი და ყოვლისა ადამის ნათესავისა კაცისაგან უსარჩლავი და მოუდევარი მამული – ნოჯიკეთა ნოჯისთავი, ეკლესია მისითა მიმდგომითა სამართლიანითა ყუალათა; სიასშვილისეული მამული მისითა მამულითა, სახლ-კარითა, ველითა და ვენაჯითა; საიქოსძე, ჩაბასშვილი, მაკარისშვილი და თევდოასშვილი მათითა მიმდგომითა და ხუადაბუნებითა. და, რაცა ნოჯიკეთა ჩუენი სახასო არის, ყ(ოვ)ლითურთ უკლებლად მათითა მზღვრითა, სასახლითა, საჯდომითა, ველითა, ვენაჯითა, ჭურითა, მარნითა, წყლითა, წისქუილითა, ტყითა, ნაფუძრითა, მინდორითა, ნიგუზნარითა, ჭალითა, სათიბითა, მთითა და ბარითა, საძებრითა და უძებრითა, საჴმრითა და უჴმრითა და მისითა მიმდგომითა სამართლიანითა, ერთობ ყუალათა, უკლებლად. ამა წესითა: რაგუარაცა სხუანი მცხეთისა მამულნი თარხანნი და ჴელშეუვალნი არიან, მითვე წესითა. არავისი ჴელი შევიდეს და სხუა საწერი და სათხოვარი.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერთმა)ნ ესე ჩუენგან ჩუენითა ნებითა და წადილითა შემოწირული და მოჴსენებული მამული – ნოჯიკეთა ნოჯისთავი, ეკლესია მისითა მიმდგომითა სამართლიანითა ყუალათა; სიასშვილისეული მამული მისითა მიმდგომთა, სახლ-კარითა, ველითა და ვენაჯებითა, საიქოსძე, ჩაბასშვილი, მაკარისშვილი და თევდოასშვილი მათითა მიმდგომითა სამართლიანითა და ხუადაბუნებითა; და, რაცა ნოჯიკეთა ჩუენი სახასო იყო, მათითა საჴმრითა და უჴმრითა, ყოვლითურთ უკლებლად.

არავინ იყოს მოცილე და მოსარჩლე, არა ჩუენ და არა მომავალთა ჩუენთაგანი ვინმე, არა სხუისა გუარისა კაცი და დედაკაცი, არ{ა} თავადი, არ{ა} დიდებული და არ{ა} აზნაური, არ{ა} დიდი და არა მცირე. და, თუ ვინმე გამოჩნდეს და მოგიშალოს, პირისა და პასუხისა გამცემნი ჩუენ ვიყუნეთ. და თქუენგან და თქუენისა საყდრისაგან ისრევე უჯუარო და შეუნდობელნი ვიყუნეთ.

ასრე, ჩუენი მკუიდრი და მოუდეჳარი ნოჯიკური მამული გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერთმა)ნ ვიდრე გებადმდე ჟამთა და მიუკუნისამდი. ვიდრემ-

---

[7] შვილთა კ. [8-9] შეგჳწყალეს ჟ. [10] შვილისათჳს ჟ. გკბოძეს ჟ. [13] მოვახსენეთ კ. [41] ნოჯიკეური კ.

დის ტაძარი სიწმიდისა თქუენისა ეგოს, ვერავინ იკადროს ამისად შლად და ქცევად.

რასაცა ჟამისა გამოცვალებისათუის იმა მამულისა გამოჴუებად, შლად და ცვალებად ჴელყოს ანუ ჩუენ, და ანუ შემდგომად ჩუენსა ჩუენისა გუარისა მომავალთაგან ვინმე, ანუ სხუისა გუარისა კაცმან და დიაცმან შეგიცვალონ, შეჰრისსხდი თქუენ, ღმერთო დაუსაბამოო, მამაო, ძეო და სულო წმიდაო, და შენ, ყ(ოველა)დ წმიდაო მშობელო მისო. ყ(ოველ)თა დაბადებულთა დედოფალო, მისგან იძიე შური ჯუარისმცუმელთა ძისა შენისათა. შე-მცა-ედების ძრწოლა კაენისი, შიშთვილი იუდასი, მეხდატეხილობ{ა} დიოსკორესი, დანთქმა დათან და აბირონისი. ნესტორს და ოროგინეს თანამცა არს ნანილი და სამკუიდრებელი მისი. და ნურათამცა სინანულითა იქმნების ჯოჯოხეთით ჴსნა სულისა მისისა. კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა მკუდარი და ცოცხალი მისი, შუიდთა კრებათა და ხუთთა პატრიარქთა მადლითა, და წ(მიდ)ისა და კათოლიკე დედაქალაქისა მცხეთისა საყდრისა, და მას შინა აღსრულებულთა მღდელ-მემსხურპლეობათა მადლითა. და მას ზედამცა დაესრულების ჴმა იგი საშინელი: „მოისპენ უღმრთო, რათა არა იხილოს მან დიდება უფლისა, და სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა",* რომელთა მოსელად ილოცეს. და ასდამერვისა ფსალმუნისა წყევასა მას ზედამცა სრულჰყოფს ღმერთი, და კანონსამცა ქუეშე არს წ(მიდა)თა მოციქულთასა და ამა ზემოწერილთა წ(მიდა)თასა. და მათ მიერმცა მიეჴადების პატიჟი იგი ანნა და საპფირასი. და ჩუენთამცა ბრალთა და ცოდვათა მზღველი არის წინაშე ღმრთისა. და ვინ დაამტკიცოს, ღ(მერთმა)ნ ყ(ოვე)ლი გაგებული მისი სრულ და მტკიცე-ყოს.

დაიწერა სასჯ[უ]ლოდ ნოჯიკეჯთა შემონირულობისა წიგნი და სიგელი ესე მოქცევ[ა]სა მეათოთხმეტესა, ქ(რონი)კ(ონ)სა რნგ, აპრილსა ოცდასამსა, ჴელითა ოქროპირისშვილისა მახარებელისათა.

ხელრთვა:
მე ერისთავი ამისი გამთავებელი ვარ.

გუჯრების წიგნის ცნობით, დედანს დასმული ჰქონია ჯვარი.

[8] იძიე] იძი კ.

* შდრ. მათე: 27,25.

1465. ოქტომბერი. შეწირულობის წიგნი შალვა ერისთავისა ალევის სამებისადმი

დედანი დაკარგულია. გადაქვს XIX საუკუნეში ლურჯ ქაღალდზე გადაწერილი პირი; ხელ, Hd-2403ბ.

თარიღი: ქრონიკონი რნგ, (150) /1465/, ოქტომბერი.

საბუთის დამწერი: ზურიელიშვილი გიორგი.

საბუთი ქვეყნდება პირველად.

ქ. შენ, შემწესა და შესავედრებელსა ყოველთა დაბადებულთა შენთა-
სა, მე, მინდობილმან ცვა-ფარვათა თქუენთამან, ერისთავმან შალვამ,
ჩუენმან ძმამან რამაზ, და ძემან ჩუენმან ქუენიფნეველმან, [გ]კადრეთ
და მოგაჴსენეთ კნინი ესე შესაწირავი წმიდის სამების ალევისათუის, მა-
5 მასა, ძესა და წმიდასა სულსა.

თქუენთა და თქუენსა ტაძარსა მოსამსახურეთა ალეველთა ჩუენგან, ვისაცა ოძის[ს] ვენახი აქუს ოძის[ს] უკანით, ულაყი არა ეთხოებოდეს, და პირველსა საწნახელსა ზედა შენთუის საზედაშეთა აიღებოდეს, სხვაი – სამართლიანის დალევის მეტი ჩუენგან არა გეთხოებოდეს-რა. რაცა ერდგუ-
10 ლად კარკაცობის მეტი არა გეთხოებოდეს-რა.

თქუენისა ხატის დღეობასა და თქუენსა დღეობასა ზედა ერსა ზედა ჩუენი გამარჯჳება ითქმოდეს და ჩუენისა ძმისა ლარგუელისათუის ერთი ხუცესი იწირებოდეს. ამის გათავებასა შიგან ჩუენგან ასე გაუთავდეს.

ამისი მოწამენი არიან ჩუენი[სა] კარის[ა] აზნაურისშვილნი ფ{ა}ლენდ-
15 ისშვილი გიორგი, ხმალაძე ლომი, მეჯინიბეთუხუცესი გოსთმა, მოურავი გუნდდიერი (sic) მამისა.

მე, ზურიელიშვილს გიორგის დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა ქ(რონი)კ(ონ)ს რნგ, ოკდომბერს, წელსა 1465.

ხელრთვები:

20 შალვა

რამაზ.

---

[2] თქვენთამან ნსხ. [3] ჩვენმან ნსხ. [3-4] კადრეთ და მოგახსენეთ ნსხ. [4] წმინდის ნსხ. ალევისათვის ნსხ. [5] წმინდასა ნსხ. [6] თქვენთა ნსხ. [9] ჩვენგან ნსხ. [11] თქვენსა ნსხ. [12] ჩვენი ნსხ. ლარგველისათვის ნსხ. [13] ჩვენგან ნსხ. [14] ჩუენი ნსხ. კარის ნსხ. [14-15] ფლენდიშვილი ნსხ.

58

1465. თარხნობის წიგნი საგია თურმანისძისა ვიგრიაშვილებისადმი

დედანი; ხეც, Hd-1301; მუქი ყვითელი ეტრატი 35×12,8; დაზიანება: ზედა მარჯვენა კუთხე დასერილია ნახვრეტით, საბუთის თავი და გვერდითი არეები დაფარულია მონაცრისფრო ნადებით. შავი მელანი; მხედრული, ოდნავ აჩქარებული მწიგნობრული ხელი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ტექსტს ახასიათებს ა-მეტობა

თარიღი: ქორონიკონი რნგ (153) /1465/.

გამოცემა: [1], ნ. ბერძენიშვილი, 3 (ტექსტი დაბეჭდილია საღვთისმეტყველო შესავლისა და ა-მეტობის გარეშე).

ქ. სახელ<ა>ითა ღმ(რ)თის(ა)თა, მამ<ა>ისათა, ძი|[2]სათა და სულ<ა>ისა წმიდ<ა>ის(ა)თა, ესე შენ|[3]ყალ<ა>ებ<ა>ისა წიგ<ა>ნი და ნიშანი მოგ<ა>|[4]ეც<ა>ით<ა> ჩუენ<ა>, პატ<ა>რონ>მან<ა> და ატე-ნ|[5]<ა>ისა მოურავ<ა>მან<ა> თურ<ა>მანის<ა>ძემან<ა> |[6]საგ<ა>იამან<ა>, და ჩემ<ა>თა შ<ა>ვ<ა>ილ<ა>თა: ზაქარია, ს<ა>ი|[7]აოშ<ა> და შალ<ა>ვა, თქუენ<ა>, ჩემ<ა>თა ერ|[8]<ა>დ<ა>-გულ<ა>თა ყ<ა>მათა, ატენის<ა> ნაცვ|[9]ალ<ა>თა ვ<ა>იგ<ა>რ[ი] აშ<ა>ვ<ა>ილ<ა>თა ძაგან<ა>სა, |[10]ვ<ა>იგ<ა>რიასა, შიოსა და ან<ა>დრიასა, შ<ა>ვ<ა>ი|[11]ლ<ა>თა და მამავალ<ა>თა სახ<ა>-ლ<ა>ისა თქუე|[12]ნ<ა>ისათა, ყოველ<ა>თავე.

მას<ა> ჟამ<ა>სა, |[13]ოდეს<ა> შეგ<ა>იწყალ<ა>ეთ<ა> და გათარ|[14]<ა>ხნეთ<ა> ყოვ<ა>ლ<ა>ისა სათხოვარისაგა|[15]<ა> და გამოსაღ<ა>ებ<ა>ისა [და] სამ<ა>უშაოსა |[16]გან<ა>. მოკ<ა>ითხული ვ<ა>ქ<ა>. ენით<ა> და ძუელ|[17]<ა>იდ<ა> გან<ა>ცა თარხანი და შეუვალ<ა>ნი ყ|[18]ოფ<ა>ილ<ა>იყვენ<ა>ით<ა>. აწ, ჩუენ<ა>ცა ნ|[19]იგ<ა>ნითა ამ<ა>-ითა გათარ<ა>ხ<ა>ნეთ<ა> ას<ა>რე |[20]და ამა პ<ა>ირსა ზედა, რომე ერ<ა>თ<ა>ისა |[21]სამსახურისა მეტი თქუენ<ა>სა კარ<ა>სა ზე|[22]და არა მოდ<ა>გ<ა>ებოდეს<ა> რა. არა ჩუენ<ა>|[23]გან<ა> და არა შ<ა>-ვ<ა>ილ<ა>თა და მამავა|[24]ლთა ჩუენ<ა>თაგან<ა>.

ქონ<ა>დეს<ა> და გ<ა>|[25]იბ<ა>ედ<ა>ნ<ა>იაროს<ა> ღმ(ერთ)მან, ჩუენ<ა>სა ერ|[26]<ა>დ<ა>გულად<ა> სამ<ა>სახურსა შიგა გავ|[27]მაროს. ასე არაოდეს მოგ<ა>ეშალოს<ა> |[28]არა ჩუენ<ა>გან<ა> და არა

---

[1] ღმთისა ბ. [1-2] მამისათა ძისათა...წმიდისათა]-ბ.

შ<ა>ვ<ა>ილ<ა>თა და |[29]მამავალ<ა>თა ჩუენ<ა>თაგან<ა>. ერ<ა>-თ<ა>ისა |[30]სამ<ა>სახურის<ა> მეტი თქუენ<ა>ს<ა> კარ|[31]<ა>სა ზედა არა მოდ<ა>გებოდეს<ა> რა არაფერი სათხოვარი და გამოსაღ<ა>ებ|[32]ი და სამ<ა>უშაო. არას<ა> ჟამ<ა>სა შიგა |[33]ესე არ<ა> შეგ<ა>იცვალოთ<ა>.

მე, ავ|[34]თან<ა>დილ<ა>იშ<ა>ვ<ა>ილს ჟამიარასა |[35]დამინერია, მონამეცა ვარ<ა>.

დაიწერა |[36]ქ(რ)ნ(ი)კ(ო)ნსა რნგ.

† † † †

verso-ს ქვედა კიდეზე XVII საუკუნის ხელით სათაური:
სითარხნის წიგნი არის...

59

1466. წყალობის სიგელი კოსტანტინე მეფისა ზაქარია ჯავახიშვილისადმი

დედანი; ხეც, Hd-2007; სიძველისაგან გაყვითლებული ქაღალდი; ზომა: 34,3×14; დაზიანება: ტექსტი თავნაკლულია, კიდეებზე ღრმა ნახვრეტები. შუაში მთელ სიგრძეზე ზოლად გაუყვება მუქი ყავისფერი ლაქები. გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. მელანი შავი, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სტრიქონის შემდეგ. 1827 წელს საბუთს გაუვლია რუსული მმართველობის რეგისტრაცია. სარეგისტრაციო წარწერა დატანილია საბუთის recto-ზე, ქართული ტექსტის სტრიქონებს შორის.

პირები: 1. ხეც, Qd-1010; 2. ხეც, Qd-9636; 3. ხეც, H-2830, №91; 4. სეა, 1461, 14, №208; 5. სპბაი, H-78 (G-49a; H-46)-5. Лл. 197 6-198a.

თარიღი: ქრონიკონი რნდ (154) /1466/. თაყაიშვილის გამოცემაში შეცდომით მითითებულია 1463 წ.

საბუთის დამწერი: მდივანმწიგნობარი თუმანიშვილი ზაქარია.

გამოცემები: [10], ე. თაყაიშვილი, 20-21 (თ); [6], ი. დოლიძე, 134-135; 3) [50], С. Какабадзе, 154-155 (აღწერილობა).

[...მეფემან კოსტანტინემან და დედამან ჩუენმან დედოფა]ლმან გულ-შარ ესე წყალობის და საბოლაოდ გასათავებელ[ი |[2]სიგელი] დაგიწერეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ე|[3](რ)დგულთა და ჩუენსა ზედა მრავალფე[რად ჭი]||[4]რნახულთა ჯავახიშვილთა: ზაქარიას, კახას და |[5]ზაზას, და შვილთა თქუენთა: ჯავახს, სოღას, ივა[ნეს |[6]და ხე]ლას.

მას ჟამსა, ოდეს ღ(მრ)თისა გარეგანმან |[7]უფარყუარე პატრონსა ბიძასა ჩუენსა მეფესა გ(იორ)|[8]გისა უღალატა და ჩუენსაცა ღალატსა და ავსა |[9]პირებდა, ღ(მერ)თმან მოგუარჩინა. წამოვედით და |[10]თქუენ დიდი ვალი და ნამსახური დაგუდევით, გორის |[11]ციხეს შემოგუყევით და დაგუამაგრეთ. და ისრე |[12]დაჭირებულსა ქუთათის[ს] ციხეს შეგუიდეგით და იქ|[13]იცა დიდი გუმსახურეთ.

ჩუენ შეგიწყალეთ |[14]და თქუენისა დიდისა ვალდებულობისა მუქ|[15]ფად გიბოძეთ ცხირეთის გუერდი სრულად და |[16]გაერთებით, ხანდაკი და,

[1] მეფემან კოსტანტინემან] მეფემან კონსტანტინემან ხელმან ჩვენმან გულშარ თ. კარბ. [4] კახასა თ.დ. [5] სოღას] ხოლოსა თ.დ. თქუენსა შვილსა თ.დ. [6] ჟამს თ.დ. [7-8] გიორგის თ.დ. [9] წამოუველთ თ.დ. [12] დაჭირებულს თ.დ.

რაცა ცხირეთის შესავალი |[17]არის, სრულად და უკლებად. და ამას გარეთ, ქალ|[18]აქის პირთა სოფელი თხილოვნა მისითა შესავლი|[19]თ.

ესე მამულნი გაბაშვილთა მკუიდრი იყო |[20]და თქუენ გაბაშვილთაგან ნაშვილებნი იყუენით, |[21]სამართლადცა თქუენ გხუდებოდა. და ჩუენცა ჩუ|[22]ენითა ნება-წადილითა გულგანწმენდით და ალ[ალად] |[23]თქუენთუის გუიბოძებია და დაგუიმტკიცებია |[24]ცხირეთის გუერდი და ხანდაკი მისითა შესავლითა, |[25]გაერთებით და სრულად, და თხილოვნა მისითა |[26]მონასტრითა, ეკლესიითა, ციხითა, სასახლითა, |[27]ჭურ-მარნითა, გლეხებითა, ველითა, ვენაჯითა, ||[28]წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სათიბით, ტყითა, |[29]სანადიროთა, შესავალ-გამოსავლითა, სამზღურითა |[30]და მისითა სამართლიანითა, ყუელათა უკლებად, |[31]თარხნად და ჴელშეუვლად.

როგუარაცა სხ|[32]უათა თქუენთა მკუიდრთა მამულთა მეფის ჴელი |[33]და შესანერი არ შევა, აგრე ცხირეთისა გუერდ|[34]სა, ხანდაკთა და თხილუანას ჩუენი შესაწერი და |[35]სათხოვარი არა შევიდეს. და არა ეთხოვოს არა დიდი |[36]ულუფა,არა რიგის პური და კალოს კაბინი, არა |[37]საჯინიბო და საახორსლარო, არა ზროხა-საკლავი და |[38]გოჭ-ქათამი, არა საბაზიერო და სამებანჯრეო, |[39]არა ულაყი და საელჩო, არა ციხისა და სხუა |[40]სამუშაო. რასაცა სათხოვარი და გამოსაღებ|[41]ი ჰქუიან, მისგან ყოველისაგანვე გუიაზატებია და გ|[42]უითარხნებია.

გქონდეს და არას ჭამის გამო|[43]ცულილობისათუის არ მოგეშალოს. ამისისა |[44]გათავების თაუსდებად ღ(მერ)თი და მისნი წმიდანი |[45]მოგუიცემია. და ჩუენსა ერთგულობასა შიგა |[46]გაჴმაროს ღ(მერ)თმან.

დაინერა მტკიცე პიტაკი ესე ქ(რო)|[47]ნ(იკონ)ს| რნდ, ჴელითა მდივანმწიგნობრისა თუმანის|[48]შვილისა ზაქარიასითა.

ხელრთვა ხვეულად:
|[49]მე, მეფე კოსტანტინე ვამტკიცებ.

სხვა ხელით:
|[50]ზ]ურაბას და ქუციას გარეთი გზისთუ[.... |[51] ...]თხნბას მა [.....] მაგ[... |[52]...] გზასა ამათით მამულით გარეთი...

---

[21] ხუდებოდა ნსხ. თდ. [21-22] ჩუენცა ჩუენითა] თქუენცა თქუენითა თ.დ. [22] ალ[ალად] ალნად ნსხ. [24] ხანდიკი თ.დ. [34] თხილოვანს თ.დ. [37] სახორსალარო თ. [39] საელნო თ.დ. [40] რასაც თ.დ. [41] ყოველისგანვე თ.დ. [44] თავსდებათ თ. [47-48] თუმანისშვილის თ.დ. [50] ზურაბასა დ.

60

1466 წ. სიგელი ბაგრატ მეფისა სვეტიცხოვლისადმი

დედანი დაკარგულია თ. ჟორდანიას ცნობით, საბუთის დედანი (№35) და მისი ნუსხა (რკე) ინახებოდა სინოდის კანტორის მცხეთის საბუთებში. საბუთის ერთი პირი დაცულია პეტერბურგულ კოლექციაში, საიდანაც გადაუწერია ს. კაკაბაძეს.

პირი: სპპაი, H-73(E-102)-28. Лл. 62a-66б.

საბუთი გატარებულია გუჯრების წიგნში სეა, 1451, I/35.

საბუთს უზის ორმაგი თარიღი: ბაგრატის მეფობის იბ (12) ინდიქტიონი და ქრონიკონი რნდ (154) /1466/. როგორც ჩანს, ინდიქტიონი ათვლილია ბაგრატის იმერეთში გამეფებიდან, ანუ 1454/1455 წლიდან.

საბუთის დამწერი: მახარობელი.

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 287 (შემოკლებით); 2) [15], ს. კაკაბაძე, გვ. 3-4 (შემოკლებით); 3) [50], С. Какабадзе, 72 (აღწერილობა).

საბუთის პუბლიკაცია ემყარება ს. კაკაბაძის გამოცემას.

მე მპყრობელმან ორისავე ტახტისა, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისამან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატონიანმან მეფეთ მეფემან ბაგრატ, ჴელვყავ და გულსმოდგინედ ვიწყე ძიებად, რათამცა მცირედითა რაიმე და უნივთოთა ნაღუაწითა[4] მემსახურა ჩუენისა საპატრიაქოსა საყდრისა დედაქალაქისა მცხეთისა და მას შინა ღუთივ- 5
აღმართებულისა სუეტისა ცხოველისათუის,[5] და შევსწირეთ და მოვაჴსენეთ ძუელითგან მკუიდრნი დიღუამს გლეხნი ესაბერი მზეოსძე და გაგელისშვილი, რასაცა მქონებელნი ყოფილან, მით ყუელათა.

უკლებლად შემოგუინირავს და მოგუიჴსენებია თქუენ წინათვე წინას- 10
წარმეტყუელთაგან მოსწავებულსა, ქრისტეანეთა განმანათლებელსა, ახალსა იერუსალიმსა კათოლიკე საყდარსა, სუეტსა ღუთით-აღმართებულს[ა], კუართსა სამეუფოსა და მირონსა ღმერთ-მყოფელსა, და თქუენ, წმიდაო მღუდელთმთავარო და შესავედრებელო სულისა ჩუენისაო, ყოვლად პატიოსანო და თანამერაბამეო წმიდათა მღდელთმოძღუართა: ბასილი, გრიგოლი და იოანე ოქროპირისაო, ქართლისა კათალიკოზო დავით! ნუმ- 15
ცა დავიწყებულ ვიქმნებით თქუენ მიერ მსხუერპლის შემწირველობათა შინა თქუენთა...

---

[4] ნაღუაწითა კ. [5] ცხოველისათჳს კ. [14] თანამესაბამეო კ.

რაგუარაცა სხუანი მცხეთისა მამულნი თარხანნი და ჴელშეუვალნი არიან, აგრეევე თარხნად და ჴელშეუვალად შემოგუინირავს და მოგუიჴსენებია. რა გინდა ფერი სხუა დიღმელთა სათხოვარი ეწერებოდეს და გამოსაღები, მათსა კარსა ზედა არავინ მიდგეს და არც ეთხოვებოდეს, ჴელმოხსნით შემო-
5 გუინირავს სააღაპედ და სამლოცველოდ პატრონისა მამისა ჩუენისა გიორგისა სულისათუის და წარსამართებლად მეფობისა ჩუენისა...

დაიწერა სიგელი ესე ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა იბ, ქორონიკონსა რნდ, ჴელითა ფრიად ცოდვილისა მახარობელისათა.

ესე გლეხნი და მამული ამა პირსა ზედა შემოგუიწირავს, რომე ერთი
10 კანდელი ნლითი-ნლამდე დაუვსებელად ენთებოდეს სუტსა ცხოველსა წინაშე და ამას აქათ ორი აღაპი კარგაღებული გარდაიჴდებოდეს აღდგომისა ორშაბათს დღესა მამისა ჩუენისა გიორგისათუის და სამშაბათსა ჩუენთუის...

---

[9] სულისათჳს კ. [9] შემოგვიწირავს კ. [12] გიორგისათჳს ნსხ. [12-13] ჩუენთჳს ნსხ.

61

[1466-1478]. შეწირულებისა და სასისხლო სიგელი გაგრატ მეფისა მთის წმიდა გიორგისადმი

დედანი დაკარგულია. დედნის აღწერილობა შემონახულია საქართველოს ეროვნული არქივის 1451 ფონდის №16 საქმეში. აღწერილობის მიხედვით, დედანი დაწერილი ყოფილა ეტრატის 3 კეფზე 133 სტრიქონად. თაში საბუთი შემკული ყოფილა მეფე-დედოფლის მინიატურული პორტრეტებით.

გვაქვს რამდენიმე პირი, რომელთაგან უძველესია XV საუკუნის მიწურულს გადაღებული ქიმ, 608ა. იგი ეტრატის გრაგნილია, ზომა: 152×16,5/18; შვიდი ერთმანეთზე გადაწებებული კეფი; გამონაკლისია მე-2 და მე-3 კეფები, რომლებიც ერთმანეთთან შავი ძაფით ზიგზაგისებურად არის გადაკერებული. I – 22,5×16,5; II – 23×17,5; III – 23×18; IV – 22,5×17; V – 22,5×17; VI – 22×17,5; VII – 17×18. მელანი გახუნებული შავი; ხელი: კალიგრაფიული მწყობრი მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საბუთის verso-ზე განსხვავებული მელნით და ხელით მიწერილია მეფე ალექსანდრე II-ისა და კონსტანტინე II-ის საბუთები, რომლითაც აღნიშნული მეფეები უახლებენ მთის წმ. გიორგის ბაგრტის შეწირულებას (ეს საბუთები „კორპუსში“ აღნიშნულნი არიან ქიმ, 608ბ, და ქიმ, 608გ შიფრებით).

სხვა პირები: 1 და 2 პირი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – ხეც, Sd-2898 და ხეც, Sd-2899. ეს პირები შეტანილია XIX საუკუნის მეორე ნახევარში დ. ბაქრაძის მიერ შედგენილ ისტორიული დოკუმენტების დავთარში. პირები გადაწერილია მრავალი შეცდომით, როგორც ჩანს, ნაკლული დედნიდან;

3. 1806 წელს გელათის არქიმანდრიტ ზაქარიას სოლომონ II-ის დავალებით გადაუწერია პირი, რომელსაც ს. კაკაბაძემ მიაკვლია ნიკორწმინდის საბუთებში. დოკუმენტი იწყებოდა წმ. ნიკოლოზის გამოსახულებით, შემდეგ მოსდევდა ორი საბუთის ტექსტი. პირველი ყოფილა ბაგრატ ქართლ-იმერეთის მეფის უთარიღო სიგელი მთის წმ. გიორგისადმი, მეორე – იმერთა მეფის ბაგრატ III-ის 1544 წლის სიგელი ნიკორწმინდისადმი. ეს პირი დაიკარგა 1922 წელს ქ. გეორგიევსკში სხვა ქართულ საბუთებთან ერთად, მაგრამ ტექსტი გადარჩა ს. კაკაბაძის მიერ 1913 წელს შესრულებული პუბლიკაციით. ს. კაკაბაძის ცნობით, ზაქარია არქიმანდრიტის მიერ გადაწერილი პირველი სიგელი (რომლის ავტორი მას თავდაპირველად XIV საუკუნის რაჭა-არგვეთის მეფედ მიაჩნდა), უფრო სრულყოფილი იყო, ვიდრე ამავე სიგელის პეტერბურგული და თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული ნუსხები;

4. სპბი, H-16 (G-28; H-39)-2. Лл. 13-16, მრავალი შეცდომით, გადაწერილი 1840 წელს;

5. სეა, 1451, №16 – XIX საუკუნეში შედგენილი იმერეთის ეპარქიის ეკლესია-მონასტრების კუთვნილი ქონების აღწერა. ნუსხაში ნომრით №547 შეტანილია ბაგრატ მეფის სიგელის ფიზიკური აღწერილობა და ტექსტის მოკლე შინაარსი.

თარიღი: საბუთი სამი მეფის შეწირულებას აერთიანებს, რომელთაგან თარიღი უზის მხოლოდ ერთს – კონსტანტინე მეფის მიერ მთის წმ. გიორგისათვის განახლებულ შეწირულებას – 1491 წ. 20 აგვისტო. ამ თარიღს უთითებს თ. ჟორდანია „ქრონიკებში", თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ პირველი საბუთის ავტორი უნდა იყოს ბაგრატ ქართლ-იმერეთის მეფე (1455-1478). ს. კაკაბაძემ თავდაპირველად საბუთი XIV საუკუნით დათარიღა და იგი რაჭა-არგვეთის უცნობ მფლობელ ბაგრატს მიაკუთვნა ([13], ს. კაკაბაძე, 1913); 1924 წელს, საბუთის ხელახალი პუბლიკაციისას, რომელიც ქუთაისურ პირს ემყარება, მან დოკუმენტის გაცემის თარიღი ძირითადად ბაგრატის იმერეთში მეფობის წლებით (1455-1467) წლებით შემოფარგლა ([14], ს. კაკაბაძე, 252). ბაგრატ მეფე საბუთში თავს „ორთავე საკელმწიფოთა, ლიკთ იმერისა და ლიხთ ამერის" მეფეს უწოდებს, ამიტომ „კორპუსში" საბუთის დათარიღების საფუძველად აღებულია ბაგრატის ქართლ-იმერეთში ზეობის წლები – 1466-1478.

გამოცემები: 1) [54], M. Brosset, CCI-CCIII (ანოტაცია); 2) [41], თ. ჟორდანია, 307-309 (შემოკლებით). პუბლიკაცია ემყარება იმერეთიდან ჩამოტანილი საბუთის ორ პირს, რომლებიც ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება (Sd-2898, Sd-2899); 3) [13], ს. კაკაბაძე, 4-7 (ძირითადი ტექსტის პუბლიკაცია გელათის არქიმანდრიტ ზაქარიას მიერ 1806 წელს გადაწერილი პირის მიხედვით, ხოლო შემდეგდროინდელი დამტკიცებები პეტერბურგული პირის მიხედვით); 4) ს. კაკაბაძე, [14], 247-254; 5) [50], С. Какабадзе №307, 209-210 (აღწერილობა); 6) [35], ნ. ჟღენტი, 99-102 (ეროვნული არქივის 1451 ფონდი, საბუთის აღწერილობა და მოკლე შინაარსი).

ლიტერატურა: [13], ს. კაკაბაძე, 7-8; [14] ს. კაკაბაძე, 247-254; [35], ნ. ჟღენტი, 95-122.

„კორპუსში" საბუთის ტექსტი ძირითადად ეყრდნობა ქუთაისურ ნუსხას – ქიმ, 608ა-ს, მაგრამ მისი ზოგიერთი პასაჟი შევსებულია ს. კაკაბაძის 1924 წლის პუბლიკაციის მიხედვით, რადგან იგი ემყრება ზაქარია არქიმანდრიტის უფრო სრულყოფილ ნუსხას.

თქუენ, წმიდაო გ(იორ)გი მთისა მთავარმოწა|[2]მეო, რაგუარაც დავით აღმაშენებელისა |[3]და ძისა მისისა დიმიტრისგან შემოწირული |[4]ყოფილიყო და იყო, ჩუენ, მეფეთ-მეფემა|[5]ნ, ორთავე საკელმწიფოთა, ლიხთ-იმერისა და |[6]ლიხთ-ამერისა თუით-ფლობით მპყრ|[7]ობელმან, პირმშომან ბაგრატ, და თანა|[8]მეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა |[9]დედოფალმან ელენე, და ძეთა ჩუენთა, |[10]გ(იორგ)ი და ალექსანდრე, ვიგულვეთ თქუენი|[11]სა ძალმწეობისა მომართ, და ვიგუ|[12]ლისმოდგინეთ და ჴელვყავით ახლად |[13]აღშენებად და შემკობად ტაძარსა შენსა.

|[14]და გარდავჭედეთ ზეით ტყუივითა და |[15]სპილენძითა, და მოვჭედნეთ ხატნი წმიდის გ(იორ)გისანი და წმიდისა მარინასნი, და სხუა|[16]ნი

[6] ლიჴთ- იმერისა ნსხ.კ.[16] ბნელნი] სა[ა]ნელნი კ.

ძველნი ბნელნი ხატნი გავაახლენით ||[17]და შევჰკაზმენით; კარნი ავაბენ და მოუჭედ|[18]ენ და კლიტენი მოუწყუენ და დავა|[19]მაგრენ. და ახლად დაუმტკიცენ და შემო|[20]ვსწირენ მამულნი და გლეხნი: სახადს, |[21]აგარა მათითა სახლ-კარითა, სასაფლა|[22]ოთა, წყლითა, წისქუილითა, ჭალი|[23]თა, სათიბითა, საყანითა, ტყითა, ველითა, |[24]მზღურითა სამართლიანითა, უცილებლად, უცვალებელად, შეუც|[25]ვალებლად.

შ ა ვ ო რ ი, ვითა ძველთაგან |[26]შავორის მთავარმოწამე იქი სვენებუ|[27]ლიყო, დიდი სოფელი ყოფილიყო შაო|[28]რი, და აოხრებულიყო ჟამის გამოსრ|[29]ულობისათუის. და აწი, ახლად ჴელვყავი|[30]თ აღშენებად და კაცის დასახლებად, და სო|[31]ფელი შევქენი, აწ, ახლად შემოგწირეთ.

|[32][და] დაგიმკუიდრეთ დ<ა>ვალთ სამარხსა და შერაუ|[33]ლ{ს} შუა, წყალსა გამოლმა და გალმა, და სა||[34]წალიკეს აქათი. ასრე რომე, თუ არა მეფემან |[35]და მებართლომემან, ვერავინ იკადროს ნად|[36]ირობად ჭალათა და ვერცა სათიბთა თიბუ|[37]ა, და ვერცა წყლისა და თევზთა ნადირობა. ას|[38]რე მკუიდრად და უსარჩლავად დაგუიმტკი|[39]ცებია. აზნაურიშვილნი კაცნი სამნი: ს|[40]ულაძე, გუენცაძე და ფაქიოტიძენი, ყუ|[41]ელანი მ(ა)თითა მზღურითა სამართლიანითა, |[42]საჴლ-კარითა, ეკლესიითა, სასაფლაოთა, [წყლითა], წისქვი|[43]ლითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, ველითა, |[44]მზღურით სამართლიანითა ყოველთა. ასე და |[45]ამა პირსა ზედან, რომე გარაყანიძისა გუა|[46]რსა კაცსა არავის-რა ჴელი შეუვიდოდ|[47]ეს, არცა-რა საქმე დაიდვას.

თ ხ მ ო რ ი, ვითა ძვე|[48]ლთაგანც ყოფილა, მისითა მიმდგომითა მ|[49]ზღვრითა სამართლიანითა; ძ მ უ ი ს ი ც ხ რ ა თ ა ვ ი[თა] |[50]ძველთაგან ყოფილიყო, მისითა მიმდგომითა ||[51]მზღურითა სამართლიანითა; კ ა ც ი ე თ ს მსხდომნი |[52]ბ უ ლ უ შ ა ძ ე ნ ი და ზ ა ქ ა რ ი ა ძ ე ნ ი მათითა მიმდგო|[53]მითა მზღურითა სამართლიანითა.

და შემოგწ|[54]ირეთ კაც{ი}ეთის ადგილი სრულიად სამყეთის |[55]ჭალას აქათ და ზემო კერძო საზღვარს ||[56]ქვა, ყუნტა-წოდებული, ადგილი ზენა |[57]შუა ვ ე ლ ი ე თ ი ს მინდორს აქათ და [სა]მყე|[58]თის ჭალას აქათ.

ამ საზღურებს შუა შემო|[59]მიწირავს ყოვლის კაცის უცილებლად |[60]წ ყ ო ნ ა რ ს მ ი თ ა თ ა შ ვ ი ლ ე ბ ი და ჭ ლ ი კ ა ძ ე ნ ი |[61]და ა გ ა რ ა, რომე სასახლედ ქონებია, მებარ|[62]თლომესი. მას აქათი მიმო და სოფელნი [და] |[63]გლეხნი ჭ ა შ ლ ა თ ს: ჭ უ ნ ჭ უ ლ ა ძ ე ნ ი, ქ ო თ ბ ო ძ ე ი ძ |[64]მათი მიმდგომითა სამართლიანითა. ასე და [ამა] |[65]პირსა ზედან, რომე ი ნ ა ს ა რ ი ძ ე მან გვარმან [ამა]|[66]ს ზედან არა საქმე დაიდვას; ბ ო ბ ო თ ს |[67]ე რ ა ძ ე ნ ი სრულიად მათითა წისქვილითა, |[68]წყლითა, ვენახითა, ტყითა და ველითა, მზღური|[69]თა და, რო{გო}რათაც პირველად ასე და ამას პირსა |[70]ზედან, [რომე] ღ ა ღ ა ნ ი ძ ე მან და ძ ა გ ა ნ ი ს შ ვ ი ლ თ ა მომა|[71]ვალთა საქმე ვერა და{ი}დვას; ფ ო ნ ა ს [ნ ო ზ ბ ე გ ა ნ ი ძ ე]* |[72]მათით მზღვრითა სამართლიანითა. ამა პირსა |[73]ზედან ს უ რ ა მ ი, ვისი გინდა იყოს, მებართლ|[74]ომეს მეტსა კაცსა ჴელი არავის შეუვი||[75]დოდეს, არავის არა.

[18-19] დავამაგრენი. ნსხ. [22-23] მჭალითა კ. [28] ჟამისა კ. [31] შემოგწირედ ნსხ. [34] აქითი ნსხ. [42] [წყლითა] აღდგენილია კ-ს მიხედვით. [52] ზაქარაძენი კ. [54] სომყეთის კ. [57-58] სომყეთის კ. [60] წყნორსკ. [65] [ამა]ს ამას ნსხ. [70] მაგანიშვილთა ნსხ.

* აქ ნუსხაში ცარიელი ადგილია დატოვებული. აღდგენილია ს. კაკაძის მიხედვით.

ესე, წმიდაო გ(იორ)გი მ|[76]თისა მთავარმოწამეო, ჩვენ, მეფეთა-მეფემან ბაგრატ, ვითარ პირველითგა|[77]ნ პაპათა ჩუენთაგან შემოწირული და |[78]გაჩენილი იყო, ან ჩუენ ახლად დაგიმ|[79]ტკიცეთ და შემოგწირეთ ჩუენად სადიდე|[80]ბლად და ჩუენის მეფობის წარსამართებე|[81]ლად.

აწ, ვითა არა კადრებულ არს, ეგრე|[82]ვე ნუმცა ვის მოუგონია და უკადრებია. |[83]და თუ ვინმე ავაზაკმა(ნ) კაცმან გვამად მთი|[84]სა მთავარმონამე ხატი ჴელყოს გატეხა|[85]დ, მისი სახსარი სხვა არა იქნების, ძელს აც|[86]ვან.

მის აქეთ, ვინც შეცოდებით შეს[ცო]|[87]დოს ან ჯოგი წაუსხას და ან მოპაროს, [მი]|[88]სი* შემოექცეს და საუპატიო კაცი გა|[89]ემარტოს და გაუუპატიოს. საუპატიო|[90]თ მისდა შეცოდებისა წმიდისა გ(იორ)გის შეცო|[91]დება იქნება – ასი ათასი ძველი თეთრი დაეურვო|[92]ს.

ვისაც წმიდის გ(იორ)გის მამულის შვილი შე|[93]აუდეს, გინა უზედაესსა და გინდა უქვედაესსა, ესე |[94]ჩვენთაგან გაჩენილი აბჯრიან გაზრდი|[95]ლიანსა ასსამოცი ათასი თეთრი დაეურვოს; |[96]სანახშირო ორი ათასი თეთრი დაეურვო|[97]ს და მას ქვეშემან ასი ათასი თეთრი სის|[98]ხლი დაეურვოს; და სანახშიროთ ათასი თეთრ|[99]ი გერში დაღი.

ცოლისა წახთენა და წაღება |[100]და ქალის დაგდება ვინც ყოს, ამან სიგელმა|[101]ნ და მონასტერმან სამართლიანითა ასი ათა|[102]სი თეთრი დაეურვოს.

ანე ჩუენ, მეფეთ მე|[103]ფის ბაგრატის დამტკიცებული ესე შეწი|[104]რულობის წიგნი ესე, ვინც ნახოთ შე|[105]მდგომად ჩუენსა მომავალთა მეფემან ან დე|[106]დოფალმან, კარისა [ჩ]უენისა ვაზირთა, მეჭურ|[107]ჭლეთა, დიდებულთა ერისთაუთა, ციხე-ქუეყა|[108]ნათა ხელსა ქუეშე მპყრობელთა მოურაუთა |[109]და ყოველთაევე, და დიდთა და მცირეთა, თქ||[110]ენც ასე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლით და |[111][ნურცა-რას დააკლებთ ნუ დიდთა]** და ნუ |[112]მცირეთა, თუნიერ თანადგომისა და შეწევნი|[113]სა.

აწ, ვინც ხელყოს ამ(ი)სდა შლად და |[114]ქცევად, კრულიცა არის პირველად დაუსა|[115]ბამოსა ღ(მერ)თის პირითა და უფროსად კურთხე|[116]ულისა დედოფლისა ჩუენისა ღუთისმშობე|[117]ლისა, მარადის ქალწულისა მარიამისა მად|[118]ლითა, და პატიოსნისა ჯუარის მადლითა, და |[119]წმიდათა მოციქულთა და ათორმეტთა სამო|[120]ციქულოთა საყდართა და მოსაყდრეთა მად|[121]ლითა;*** და შვიდთა კრებათა მადლითა; ექმნების მას კეთრი გეზისი, ძრწოლა კაენისა, მოშთობა გმირთა, დანვა და რისხვა სოდომელთა, დანთქმა დათან და აბირონისი, გეემა მეგვიპტელთა, შიშთუილი იუდასი, მეხისტეხა დიოსკორესი, სირცხვილი კრისკენტი და საბიანესი. და ყოველთა მგმობართა თანამცა არს ნაწილი და სამკუდრებელი მისი. და ვინც-ვინ მტკიცედ იპყრას, ღ(მერთმა)ნ აკურთხენ და წ(მინდა)მან კათოლიკე და სამოციქულომან საყდარმან და წმიდამან მღვდელმოძღვარმან ნიკოლაოს, ამინ.

---

[108] ხელსა| ველსა კ.

* აქ სიტყვა „მისი“ მეორდება.

** აღდგენილი ფრაზა ნუსხაში არ არის. ტექსტში აღდგენილია აზრის გასამართავად ს. კაკაბაძის გამოცემის მიხედვით.

*** ამ სიტყვის შემდგომი პასაჟი ტექსტის დამაბოლოებელ ფრაზამდე: „და წმიდამან ღვდემოძღვარმან ნიკოლაოს, ამინ“, ნუსხაში არ არის. აღდგენილია ს. კაკაბაძის პუბლიკაციის მიხედვით.

62

[1466-1478]. სასისხლო სიგელი ბაგრატ მეფისა აბესალომ გელუანისადმი

საბუთის დედანიც და პირიც დაკარგულია. ძველი პირი ეკუთვნოდა ვინმე გელოვანს, რომელმაც იგი დროებით გადასცა ე. თაყაიშვილს. ე. თაყაიშვილმა საბუთი გამოსცა და თან დაურთო მისი არქეოგრაფიული აღწერილობა. ე. თაყაიშვილის თანახმად, პირი გადაღებული ყოფილა ეტრატზე, რომელიც ორი კეჟისაგან შედგებოდა. განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ტექსტისათვის დამახასიათებელი ყოფილა ა-მეტობა. პირის სიძველის ნიშნად ე. თაყაიშვილი უთითებს მხედრულად ნაწერ ტექსტში შერეული ნუსხური „ჩ", „ო", „უ" გრაფემების არსებობას. პირი გადაწერილი უნდა ყოფილიყო არა უგვიანეს XVI საუკუნის პირველი ნახევრისა.

საბუთი უთარიღოა. ე. თაყაიშვილი მას აკუთვნებს ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI-ს და ათარიღებს 1462-1478 წლებით. სიგელი მოგვიანებით დაუმტკიცებია ბაგრატის მემკვიდრეს ალექსანდეს II-ს (1484-1510). საბუთის გამცემი მეფის იდენტიფიკაცია ბაგრატ VI-თან „კორპუსში" გაზიარებულია, მხოლოდ საბუთის გაცემის ქვედა ქრონოლოგიური ზღვრად მიჩნეულია 1466 წელი, რამდენადაც საბუთში ბაგრატი მოიხსენიება „ორისავე ტახტისა" მფლობელად. ამდენად, საბუთი შეიძლებოდა გაცემულიყო 1466-1478 წლებს შორის.

გამოცემა: [10], ე. თაყაიშვილი, 513-515.

„კორპუსში" საბუთი ქვეყნდება ე. თაყაიშვილის გამოცემის მიხედვით. ტექსტში ჩასწორებულია აშკარა სინტაქსური შეცდომები მეფის წოდებულების ფორმულაში. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე სიტყვა ტექსტში განსხვავებული ორთოგრაფიითაა გადმოცემული, ყველა ასეთი სიტყვისათვის აღდგენილია XV საუკუნის ორთოგრაფიული ნორმა.

[ქ. ჩუენ], ორისავე ტახტისა მპყრობელისა, ღ(მრ)თივ-გვირგვინოსნისა მეფეთა მეფისა ბაგრატუნიანთაგან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატუანისა, და თანამეცხედრისა ჩუენისა პატრონისა დედოფალთა დედოფლისა ელენესაგან, და ძისა ჩუენისა პირმშოსა ვახტანგისაგან. ნებითა და შეწევნითა ღმ(რ)თისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფისა, შარვაშე, შანაშე და ყოვლისა აღმოსავლეთისა ვიდრე დასავლეთამდის თვით ჴელმწიფედ მპყრობელისა. 5

[9] ღმთისათა თ.

მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენი დიდად ერთგულნი, პაპათა და ჩამომავალთა ჩუენთა ნამსახური და გუეაჯნეს და მოგვაჯსენეს აჯა და მოჯსენება მათი. ვისმინეთ აჯა და მოჯსენება მათი. ვისმინეთ აჯა და მოჯსენება გელუანისა აბესალომისი, სვანისა ერისთავისა, მი[ვ]უბოძეთ სასისხლო სიგელი ესე – ორი ათი ათასი კირმანეული თეთრი დაეურ[ვ]ოს და გაუჩინეთ.

ვქენით მოკითხული და ძველათაც აგრე ქონებოდა, და ჩუენცა აგრე გაუჩინეთ: სანახშირე – ორმოცი ათასი, საპირო და საზაო – თორმეტი ათასი, ცოლისა წაღება და მოტ...ნა ნახევარი სისხლი დაუურ[ვ]ოს.

ვინაც დააკოჭლოს, მესამედი სისხლი დაუუროს. საჩინოსა ალაგსა დაღი ოცი ათასი დაუუროს. უჩინოსა ალაგსა დაღი თორმეტი ათასი დაუურ[ვ]ოს.

ვინაც გრძნეულობა გითხრას და მართალი გამოვიდეს, ნახევარი სისხლი დაუურ[ვ]ოს.

ვინაც კბილი ჩააგდებ[ინ]ოს, მესამედი სისხლი დაუურ[ვ]ოს. წუერი მოგლიჯოს და არგანი კრას, მეოთხედი სისხლი დაუურვოს.

ვინაც უღალატოს, ციხესა და ეკლესიასა და სასახლე გაუტეხოს, ნახევარი სისხლი დაუურ[ვ]ოს.

ვინაც ბეღელი და წისქვილი გაუტეხოს, მეკობრე მისითა ალაფითა მისცეს დაუმდურველად.

ვინაც ჯოგი გაუტეხოს მეკობრობითა უპიროთა, მეკობრე მისითა ალაფითა მისცენ უმდურველად.

ალექსანდრე მეფის დამტკიცება:

დაუმტკიცეთ და უბოძეთ ჩუენ, მეფეთ მეფემან ალექსანდრე და ძემან ჩუენმან ბაგრატ, და თანამეცხედრემან ჩუენმან თამარ, ღმრთისა შეწევნითა და თავსმდებობითა, ესე სასისხლო სიგელი მივეცით და მი[ვ]უბოძეთ გელოანსა აბესალომსა, სვანისა ერისთავსა სისხლი ორი ათი ათასი.

ვინაც გამოჩნდეს ღმრთისა უარისმყოფელი კაცი და მოკლას გელოანი, ესე ჩუენგან გაჩენილი სისხლი და სიგელი უკლებათ გარდაუჯადოს.

ვის გულისთვისა გელოანი დაიკოდოს, თუ გამოენახოს, ოცი ათასი გარდაუჯადოს.

ვინაც ესე სიგელი და ბრძანება ნახოთ შემდგომად ჩუენთა მეფეთა, დედოფალთა, ერისთავთა, მანდატურთუხუცესთა, დადიან-გურიელმან, სპასალარ-ათაბაგმან და ყოველთა ჩუენისა ჴელისა მქონებელთა, თქუენც აგრე დაუმტკიცეთ დარბა[ზ]სა ჩუენსა. ნუ ვინ ჴელყოფთ შლად ბოძებულსა ამას ჩუენსა.

დაიწერა სიგელი ესე ჴელითა ჩუენისა მდივნისა

პირის გადამწერთა შენიშვნა:

მე, გურგენასა, მამისასა, ბევროზასა, მამუასა, ჩუენ, ძმათა, გარ[დ]მოვიწერეთ სვანეთიდამან დიდითა მოჭირვებითა და ქრთამითა ბატონმან თანა არა გარდმომყუა, მიუბრუნდი და გარ[დ]მოვიწერეთ დიდითა ქრთამითა.

---

[1] ჩვენსა თ. [2] მოგვახსენს თ. მიუბოძეთ თ. [24] თაესდადებითა თ. [27] გარდაუხადოს თ. [30] ჩვენისა თ. [22] თქვენც თ. [34] ჩვენსა თ.

63

[1466-1479]. შეწირულების წიგნი დავით ქაჩიბასძისა სვეტიცხოვლისადმი

დედანი დაკარგულია. ინახებოდა სინოდის კანტორის მცხეთის საბუთებში (№167), იქვე ნუსხა №რაA (188).

გადარჩენილია ორი პირი: 1. სპა, 1449-1528, გადაწერილი თავნაკლული დედნიდან ს. კაკაბაძის მიერ. ტექსტს ახლავს დედნის არქეოგრაფიული მონაცემები: „სიგელი მცხეთისა №167, დაწერილია ქაღალდზე, ზომით 46,5×14, 2/3 სმ"; 2. სპბა, H-13 (G-29 H-61)-7, л. 18аб.

საბუთი უთარიღოა. თ. ჟორდანია მას ათარიღებს 1457-1460 წლებით დავით IV (თ. ჟორდანიას ნუმერაციით, III) კათალიკოსის (1447-1460) მიხედვით. თ. ჟორდანიას ეს დათარიღება არ გაიზიარა ს. კაკაბაძემ და საბუთი მოძღვრო, დავით V კათალიკოსის (ს. კაკაბაძის ნუმერაციით დავით IV) წლებით (1466-1472) განსაზღვრა. „კორპუსში" გაზიარებულია ს. კაკაბაძის დათარიღება, მხოლოდ მითებულია დავით V კათალიკოსის ზეობის (1466-1479) დღეისათვის უფრო დაზუსტებული წლები. ამრიგად, საბუთი თარიღდება 1466-1479 წლებით.

საბუთის დამწერი: სახლთუხუცესი ნიკოლოზი.

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 271 (შემოკლებით); 2) [20], ს. კაკაბაძე, 38-39; 3) [50], С. Какабадзе, №387, 255 (აღწერილობა).

...[ამათ ყ(ოველ)თა ნ(მიდა)თა მეოხებითა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყუნეს უფალსა ჩუენსა იესოს ქ(რისტე)სა] და კუალადც[ა] სათნო ყოფად ა[რ]იან.

ესე წიგნი და პირი, უ[თ]უო და უთ[უ]მცაო, დროდაუდებელი და მიზეზშემოუღებელი, და ყოველისა ხუანჯისა, თათბირისა და ილათისაგან გამოღებული, გკადრეთ და მოგაჯსენეთ თქუენ, ცათა მობაძავსა დედაქალაქსა მცხეთისა საყდარსა, და მას შინა ღ(მრ)თივ-აღმართებულსა სუეტსა ცხოველსა, კუართსა სამეუფოსა, და მირონსა ღ(მერ)თ-მყოფელსა, და თქუენსა საჭეთმპყრობელსა ქართლისა კ(ათალიკო)ზსა დავითს, ჩუენ, ქაჩიბასძეთა: სალაროსა მოლარემან დავით და ძმამან ჩუენმან გერმანოზ, და შვილთა ჩუენთა: ლაპა, ბარათა, სურამელმან და ქავთარ, მომავალთა ჩუენთა ყოველთაჳე.

მას ჟამსა, ოდეს სულკურთხეულისა მამისა ჩუენისა ბარათასაგან და დედისა თ[ინა]თინისაგან მათი ნაღუაწი – სომხითს სოფელი

---

[6] მოგახსენეთ ნსხ. [12] ბრათასაგან ჟ. ბართსაგან ნსხ.კ. ჩუნმან ჟ.

ყუარანთა – მათისა სულისა საჴსრად და სააღაპედ თქუენთუის შემოენირა და ორი დღე კარგაღებული აღაპი გაეჩინა, ვ(ითარც)ა ძუელი სიგელი გააჩენს მათგან დადებული, და ჩუენ, ჩ[უე]ნისა სივაჟისა მიუმხდრობითა და ავთა მზაკვართა კაცთა ენითა და შემობეზღებითა ცოტასა რასამე ხანსა ჩუენვე უკუგიჭირეთ სოფელი ყუარანთა. დავხედენით და გავსინჯეთ ესე, რომე არცა-რას მამასა ჩუენსა ვემართლებოდით და არცა-რას თქუენა. და კიდევე მოგაჴსენეთ და მოგანებეთ მისითა მზღურითა, როგორაცა ძუელსა სიგელსა შიგა სწერია სრულად, უკლებლად, თავისუფლად, თარხნად და შეუვალად ყოელისა სათხოვრისა და გამოსაღებისაგან ჩუენგან და მომავალთა ნათესავთა ჩუენთაგან.

და უკუეთუ შემცირება მოჴდეს, ოდეს ესე ჩუენ ამა მიუნდოსა საწუთროსაგან და სხუა ვინმე ებატონოს სამშუილდესა, ვერცა მათგან მოგეშალოს არარაისა მიზეზისა შემოღებითა არა, აწ, და უკანის. ან თუ ანუ ჩუენმან ნათესავმან, ანუ სხუამან მებატონემან მოგიშალოს ესე მამისა და დედისა ჩუენისა გაჩენილი, მცხეთის აღაპი მოშალოს ყუარანთისა უკუტაცებითა, რასა გინდა რისა მიზეზისათუის, შე-მცა-იცვალების სჴულისაგან ქრისტიანეთასა, რის[ხავს]მცა მამა უშობელი, ძე მხოლოდშობილი, სული წ(მიდ)ა, მამისაგან გამომავალი. მას ზედამცა შეიძრვის ცა ჭეხითა და ქუეყანა ქოთებითა, მას ზედამცა დაესრულების წყევა იგი ბალამისი, იგიმცა იქმნების მღალადებელი: „სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა“,* – მას უკეთურსა დედაკაცსა, რომელმან წ(მიდ)ა თავი ნათლისმცემელისა მოაკუეთინა, და ნურათამცა სინანულითა იქმნების ჴსნა სულისა მისისა. და დამამტკიცებელნი ღ(მერ)თმან აკურთხნეს.

დაიწერა წიგნი ესე ფ(რია)დ ცოდვილისა სახლისუხუცესისა ნ(ი)კ(ოლო)ზისითა.

მე, სალაროსა მოლარესა დავითს, ჯ(უარი)თა დამინიშნავს. ამისი შემცვალებელნი კრულ, წყეულ და შეჩუენებულ.

ხელრთეები ჯვრის გამოსახულებებთან ერთად:
† გერმანოზ † ლაპა † ბარათა † სურამელ † ქავთარ.

გადამწერის შენიშვნა:
ხელის მომწერთა სახელები სულ ტექსტის ხელითაა, ეტყობა, ამ პირთ წერა არ ცოდნიათ.

---

[1] ყუარნთა ნსხ.კ. საღაპედ ნსხ.კ. [4] შემოზღებითა ნსხ. კ. ცოტსა რსამე ნსხ.კ. [5] ყურანთა ნსხ. კ. [6] მამსა ნსხ.კ. [8-9] შეუვლად ნსხ. [11] შემცრება ნსხ.კ. [12] გებატონოს ნსხ.კ. [13] არიასა ნსხ. ანნუ ნსხ.კ. ჩუენმა ნსხ. კ. [14] ნათესავმა ნსხ. კ. სხუამა მებატონემა ნსხ. [16] მცხეთს ნსხ.

* მათე: 27,25.

64

[1466-1479]. წიგნი გაბრიელ ალავერდელისა დავით კათალიკოსისადმი

დედანი; ხეც, Ad-125; სიძველისაგან გაყვითლებული ქაღალდი, ზომა: 22×13; დაზიანება: თავში აკლია ტექსტის მოზრდილი ნაწილი, მარჯვენა კუთხე ტექსტიანად ჩამოხეულია, დაზიანებული აშიები წაჭრილია და გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. შავი მელანი, ხელი აჩქარებული მწიგნობრული მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საბუთი უთარიღოა. თ. ჟორდანია საბუთს ათარიღებს 1453-1459 წლებით დასაბუთების გარეშე, ი. დოლიძე – 1562-1588 წლებით. საბუთი ასახავს მცხეთის ტახტის პოზიციას ამბა ალავერდელის მიმართ, რომელსაც, როგორც ჩანს, კანონიკური დაუმორჩილებლობის მცდელობა ჰქონია. პირობები ალავერდელთა ამგვარი მოქმედებისათვის საქართველოში შეიქმნა 1466 წლის შემდგომ, როდესაც კახეთი დამოუკიდებელი სამეფო გახდა. ამ გარემოების გათვალისწინებით, საბუთის ადრესატი კათალიკოსი დავითი შეიძლება იყოს დავით V (1466-1479). გვაქვს კიდევ ერთი უთარიღო საბუთი (ხეც, Ad-1717), რომლის მიხედვით, მოცემული საბუთის გამცემი გაბრიელ ალავერდელი მოგვიანებით ასეთივე ფიცის წიგნს აძლევს ნიკოლაოს კათალიკოსს (1478-1482). ამ სახელთა მატარებელი კათალიკოსები, დავით V და ნიკოლოზ V, ერთმანეთის მიყოლებით საკათალიკოსოს ტახტს ფლობდნენ მხოლოდ XV საუკუნის II ნახევარში. ამრიგად, მოცემული საბუთის თარიღი განისაზღვრება დავით V კათალიკოსის ზეობის წლებით (1466-1479).

საბუთი ქვეყნდება პირველად.

...[თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა პეტრე] |[2]რიტორისა, კლიტეთ-მპყრობელი[სა სასუფევე]|[3]ლისა და პაელე სამცამდე აღნევნუ]ლისა, სა[მეოცდაათთა მონაფეთა და ათორთა |მოციქ]|[4]ულთა.

თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომ|[5]ლობითა წმიდათა მონამეთა: გ(იორგ)ი, თევდორე, დი|[6]მიტრი, პროკოპი,* მერკურირი და პა|[7]ნტელეიმონისითა.

თავდებობითა, მინდობითა და შუა|[8]მდგომლობითა სვეტისა ცხოველისა, კუართისა სამე|[9]უფოსა და მირონისა ღ(მერ)თ-მყოფელისათა, და ყოველ|[10]თა ჩრდილოეთისა** კედართა შორ|[11]ის დედაქალაქისა, ქრისტიანეთა თავისა, ჩუენისა ე|[12]{მ}ბაზისა მცხეთისა საყდრისათა.

---

* ამ სიტყვის შემდეგ დაუწყიათ „პანტელი...“, შემდეგ გადაუხაზავთ.

** ამ სიტყვის შემდეგ გადახაზულია „დედაქალაქისა“.

ამათ ყოველთა|[13] ზემო წერილთა ღ(მრ)თისა წმიდათა თავსმდებობი|[14]თა, ესე წ{ი}გნი და პირი მოგახსენეთ თქუენ, ქ(რისტე)ს ღმრთი|[15]სა მიერ ქ(ართლ)ისა კ(ათალიკო)ზსა დავითს, ჩუენ, ამბა ალავერდე|[16]ლმან გაბრიელ. ვიყენეთ და დღეს და დღესითგ|[17]ანა წალმა თქუენი და თქუენისა საყდრისა ერდგული.

|[18]და ვინცა თქუენა და თქუენმან საყდარმან უჯჳარო და |[19]შეუნდობელნი ქმნათ, ჩუენცა შეუნდობელ|[20]ი და უჯჳარო ვქმნათ. და, რაცა წესი ყოფილა
verso ალავერდლისაგან საწელიწდისა, იგი არაოდეს ||[21]დაგაკლოთ.

ამისა გათავებისა თავდებად |[22]ღ(მერ)თი და ესე ზემო წერილნი ღ(მრ)თისანი მოგვი|[23]ჴსენებია. და გიტყუოთ, ღ(მერ)თმან ჩუენ გვიტყუოს ამა |[24]სოფელსა და მას საუკუნოს. თქუენისა ომფო|[25]რისა კანონსა ქვეშემცა ვართ.

65

1467. 21 იანვარი. მამულის წყალობის სიგელი ბაგრატ მეფისა ჯვარისმტვირთველ დანიელ ელიოზისძისადმი

დედანი; ხეც, Qd-27; ეტრატი, ზომა: 97,1X16; სამი კეფი: I – 36×16, II – 27,6×16, III – 33×16; დაზიანება: ეტრატი დაფარულია მონაცრისფრო-მოშავო ლაქებით. ზედა აშია და ტექსტის შუა ნაწილი პირველი ხუთი სტრიქონის სიღრმემდე მოხეულია. I და II კეფის გადაბმის ადგილას მეორე სიტყვა გადაშლილია. მელანი მკაფიო შავი; ხელი კალიგრაფიული მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი, ზოგან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. I კეფის verso-ზე მოთავსებულია რუსული სრეგისტრაციო წარწერა.

პირები: 1. ხეც, Qd-9568ა, ხეც, Qd-9568ბ, გადაწერილი ორ ცალად ე. თაყაიშვილის მიერ; 2. სპბაი, E-245 (E-148, E-232); 3. სეა, 1449-1467, გადაწერილი XIX საუკუნეში რეეულის I ფურცელზე (შემოკლებით). 1920 წელს ამ პირის verso-ზე ასეთი შინაარსის მინაწერი მოუთავსებია გ. ლეონიძეს: „ეს გუჯარი ნუსხიდამ გადმოწერილი მოჰყავს თ. ჟორდანიას, „ქრონიკები", II, გვ. 248 (სინამდვილეშია 288). დედანი არ ვიცი. ასლი კი მე მაქვს რუსულად დეპუტატთა საკრებულოდან, №229, გადმოწერილი 1844 წელს, თბილისს. ეკუთვნის ჩემის სიძის რეეაზ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილის ოჯახს. იელისი, 27, 1920. თბილისი. გ. ლეონიძე".

თარიღი: ქრონიკონი რმიე (155), იანვრის 21.

საბუთის დამწერი: კარის მწიგნობარი დავითი.

გამოცემები: 1) [54], M. Brosset, XCIX-C (შემოკლებული ფრანგული თარგმანი), 2) [41], თ. ჟორდანია, 288 (შემოკლებით) (ქ), 3) [50], С. Какабадзе, 73 (აღწერილობა).

ქ. ჩუენ, ღ(მრ)თ-გუირგუინოსანმან, სოლომო|[2]ნიან-ბაგრატოან მეფეთ მეფემან, ჩ|[3]რდილოეთის ვიდრე დასავლეთამდის და |[4]აღმოსავლეთ[ის] ჴელმწიფედ მპყ|[5]რობელმან˙ და მქ[ონ]ებელმა, მეფეთ |[6]მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩ|[7]უენმან<ა>, პატრონმან დედოფალ<ა>თა დ|[8]ედოფალმან, და ძემან ჩუენმან<ა> ალექსან|[9]დრე, ესე შეწყ{ა}ლების სიგელი და ბრძ{ა}ნე|[10]ბა და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ |[11]თქუენ<ა>, ჩუენთ ერთგულსა და დიდათ თა|[12]ვდადებით ნამსახურსა

ტექსტის დაზიანებული [1-4] სტრიქონები აღდგენილია პირის, Qd-9568-ის, მიხედვით.

ელიოზისძეთა ჯ|[13]ვარისმტუირთველთა დანიელს, |[14]შვილთა და მომავალთა სახლისა თქუ|[15]ენისათა ყოველთავე, მას ჟამსა შინა, |[16]ოდეს მოხვედით კარსა ჩუენსა.

|[17]ვისმინეთ აჯა და მოწსენება თქუენი – თ|[18]ავდადებით ნამსახურნი
II კეფი იყუენით თავითა ||[19]და შვილითა. ესე შეწყალების სიგე|[20]ლი და ბრძანება და ნიშანი გიბოძეთ: |[21]ჩუენად სასულიეროდ ნასყიდი სოფე|[22]ლი სასხორი მისითა ველითა, ვენაჯითა, |[23]თითა, ბარითა, წყლითა, წისქუილი|[24]თა, წყლითა დარბაზტანასითა და წყ|[25]ლითა ხეკორძულასთა. ესე ასრე გ|[26]ვიყიდია: გზად გავიარეთ და უწყლობა |[27]იჩივლეთ. და სხუა ფასი რაც არ და|[28]გუესწრა, ოქროს გრგოლები გამო|[29]ვიყარეთ იკისა (sic) და ის მივეცით. ეს რუ|[30]ასრე გვიყიდია, რომე წუერიანმა კაცმა |[31]წყალი დალიოს, წუერი შიგავ ჩაიბერ|[32]ტყოს.

III კეფი ყოველის ადამის ნათესავისა კა|[33]ცისაგან მოუდევრად მოუსარჩლე||[34]ლი [.....]სძისაგან გვიყიდია ყო|[35]ვლითურთ უნაკლულოდ ჩვენა|[36]დ მოსაჴსენებლად და სასულიეროდ. |[37]ელიოზისძის დანიელისათვის |[38]მიგვიცემია და გვიბოძებია, ას|[39]რე, რომე ნიკოლოზობას დღე|[40]ს ჩუენს საფლავზედ აღაპს გარდი|[41]ჴდიდენ და, რაც მცხეთას მღ|[42]დელი და დაიკონი იყოს, ჟამს |[43]აწირვინებდენ.

აწე, ვინცა და |[44]რამანცა კაცმან ესე ჩუენგან |[45]ნასყიდი სოფელი და ელიოზისძი|[46]სათვის სამკუიდრო(დ) მიცემული შ|[47]ლად და ქცევად ჴელყოს, მეფემან |[48]ანუ დედოფალმან, დიდმან ანუ მ|[49]ცირემან, გინა მღდელთმოძღვა|[50]რმან და, ვინგინდავინ ამ ქუეყანის მეპა|[51]ტრონემან,
verso ||[52]რისხავსმცა მამაი, ძე და სული წმი|[53]და და ყოველნი წმიდანი ღ(მრ)თისა|[54]ნი ზეცისანი და ქუეყანისანი, ჴო|[55]რციელნი და უჴორცონი. ჩვე|[56][თამ]ცა ცოდვათათვის იგი განი|[57]კითხვის დღესა მას დიდსა განკითხვისა|[58]სა, და ნურათამცა სინანულითა |[59]ნუ იქმნების ჴსნა სულისა მისი|[60]სა. ხოლო დამამტკიცებელნი ამ|[61]ისნი ღმერთმან აკურთხოს.

დაიწე|[62]რა სიგელი და ბ(რძა)ნება ესე ქ(რონი)კ(ონ)ს |[63]რმიე, ჴელითა ჩუენისა მწიგნო|[64]ბრისა დავითისითა, თვესა იანვა|[65]რსა ოცდაერთსა.

ხვეულად:
|[66]ბაგრატ
|[67]ქ. ჩუენ, [ღმრთივ]-გუირგუი[ნოსანმან] |[68]მეფეთ-მეფემან დავამტკიცეთ.

ხვეულად:
|[69]ალექსანდრე

[12] ელიოზიშვილებს ჟ. [12-13] ჯუარისმტვირთველს ჟ.

66

1467. წყალობის სიგელი კონსტანტინე მეფისა ზაზა ფანასკერტელისადმი

დედანი; სეა, 1448-64; ქაღალდი, ზომა: 71,2×17. საბუთი მოღწეულია თითქმის დაუზიანებლად. 22-ე სტრიქონთან საშუალო ზომის ნახვრეტში მოყოლილია ტექსტიც. კიდეები გამაგრებულია სარესტაურაციო ქაღალდით. შავი მელანი; ხელი მდივანმწიგნობრული წვრილი მხედრული, თანაბრად დაცილებული სტრიქონები; ქანწილი შემკულია ორნამენტული ხვეულებით; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. აქვს ჭვირნიშანი „თევზი“.

პირი: ხეც. Hd-11587, გადაწერილი XIX საუკუნეში წვრილი ხელით რვეულის ერთ ფურცელზე.

თარიღი: ქორონიკონი რნე (155) /1467/.

საბუთის დამწერი: მდივანმწიგნობარი თუმანიშვილი ზაქარია.

გამოცემები: 1) [25], ს. კაკაბაძე, 30-31; 2) [5], ღ. გერტიშვილი, 121-122.

ქ. ჩუენ, ღმრთისაგან შენყალებულმან და პატივცემულმა|[2]ნ, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატონიანმან პატ|[3]რონმან კოსტანტინე, ესე სიმტკიცე და სიგელი დაგიწ|[4]ერეთ, მოგეცით და მოგაკსენეთ თქუენ, ჩუენისა ამოდ |[5]ყოფისა მეცადე-მომჭირნესა და სახლისა ჩუენისა თავად|[6]სა ფანასკერტელსა ზაზას და თქუენთა შვილთა: ქაიხოსრო|[7]ს, გ(იორგ)ის, სიაოშს, მერაბს და |[8]ზაქარიას.

მას ჟამსა, ოდეს ჩუენისა |[9]სიყუარულისათუის შავშეთს თქუენი მკუიდრი მამული დასთ|[10]მეთ და ჩუენად საერთგულოდ მოხუედით, და ჩუენ მო|[11]გაკსენეთ ჴუედურეთს ორბოძლელისეული მამული, რო|[12]მელი ხოსაშვილსა ბაღათარს ჰქონდა: სასახლე, ჭურ-მარანი და ზ|[13]უარი მეზურითა; გლეხნი: ბარამაშვილი, ჯაბიაშვილი, შუღლას|[14]ძე, შატრისძე ესტატა, კოხარტული, ვათაზური, ჭილა ახ|[15]უსებასძე, ლაფაური მამული, ვირშელაური, მახარაული და ტე|[16]ტაური; ბოგანო ხაბელაშვილი და ამბოკონაშვილი; კეხ|[17]ისჯუარს: მეთევზიშვილი, მათეშვილი ბოლღია, სარგისაშვილი|[18]და ხაბიაშვილი მათითა მამულითა და გამოსაელითა. |[19]ორბოძლელისეული მამული მაშინაცა თქუენ გმართებდ{ა} |[20]ამად, რომე ორბოძლესა პა-

[8] ოდის ნსხ. [11]ჴეედურეთს გ. [12] ბაღათარას გ. ქონდა გ. [13-14] შუღლასძე]მუღლასძეგ. [14] შატრისძე გ. [16] აგბოკლანაშვილი გ. [17] ბოლღია] ბოლიკა გ. [19] თქვენ გ.

პისა თქუენისათუის ელალატა |[21]და მისი მამული ნასისხლად მოეცა და, განაღამცა თქუენ |[22]გქონდა სამკუიდროდ.

ამას გარეთ, მოგაჴსენეთ და დაგიმ|[23]ტკიცეთ სრუ[ლად და უკლებლად] მამული ქვაჴურელი, უფ|[24]ლისციხე და კარალეთი მისითა ეკლესიითა, სასახლითა, ჭ|[25]ურ-მარნითა, გლეხებითა, ველითა, ვენაჴითა, წყლითა, წის|[26]ქუილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, |[27]მთითა, ბარითა, შესაჴალ-გამოსაჴლითა და მისითა მიმ|[28]დგომითა და სამართლიანითა საძებრითა და უძებრითა, ყუე|[29]ლათა, მკუიდრად და სამამულოდ, საბოლოოდ და უ|[30]ცილებელ-უსარჩელად ყოვლისა ადამის ნათესავთა|[31]გან, ვითა თქუენისა მკუიდრისა მამულისა სანაცულო|[32]სა და ჩუენგან თქუენთუის სამკუიდროდ ბოძებულსა |[33]მამულსა მართებს, აგრე. ვერავინ დაგეცილოს და, თ|[34]უ ვინ დაგეცილოს, მისი პირი და პასუხის გამცემ|[35]ნი ჩუენ ვართ.

და გქონდეს თქუენ, ჩუენთა ერთგუ|[36]ლსა თავადსა ფანასკერტელსა ზაზას და თქუენთა |[37]შვილთა: ქაიხოსროს, გ(იორგ)ის, სიაოშს, მერაბს და ზაქარიას, შვილის|[38]შვილთა და მამაჴალთა სახლისა თქუენისათა, ყოველთა: |[39]ჴუედურეთს ორბოძლელისეული თქუენი ნასისხლი |[40]მამული, რაცა ხოსაშვილსა ბაღათარს ანუ ჴუედურეთს |[41]ჰქონია და ანუ კეხისჯუარს, და ამა სიგელშიგა გიწე|[42]რია, სრულად და უკლებად. ამას გარეთ* მამუ|[43]ლი ქვაჴურელი, უფლისციხე და კარალეთი სრულად |[44]და უკლებად, რაგუარაცა თქუენსა მკუიდრსა მამულსა |[45]მართებს, აგრე. ჴელგენიფების გასყიდვად, გაზითვებ|[46]ად, შეწირვად, თანა-შეტანად და, რაცა ფერად გინდა.

არავინ გუიბრძანებია ამისი მცილე და მოსარჩლე, |[47]არცა მეუნებელ-მავნებელ{ი} და დამაკლებელი. კიდ|[48]ეცა გუითარხნებია ყოვლისა სათხოვრისა და გამო|[49]საღებისაგან ასრე, რომე საჩუენო სათხოვარი და გამო|[50]საღები არა ეთხოვოდეს, არა დიდი და არა ცო|[51]ტა. და ჩუენი მოასილი ამა თქუენთა მამულთა შიგა |[52]ვერსად შევიდეს, და ვერცა-ვინ რა საქმე დაიგდოს. ესე ყო|[53]ველივე ჩუენგან ასრე გაგითავდეს და არას ჟამისა |[54]გამოცულილობისათუის არ მოგეშალოს.

გქონდეს |[55]და გიბედნიეროს ღ(მერთ)მან.

დაიწერა მტკიცე ნიშანი |[56]ესე ჩუენი ქ(რონიკო)ნსა რნე, ჴელითა მდივან-მწიგნობრისა |[57]თუმანისშვილისა, უღირსისა საბრალოს ||[58]ზაქარიასითა.

დიდი ულუფა სრულად და საბო|[59]ლოოდ ამოგუიკუეთია ასრე, რომე არაოდის |[60] და არას ჟამშიგა დიდი ულუფა არ გეთხოვოს.

ხელრთვა:

|[61]მე, მეფე კოსტანტინე, ვამტკიცებ.

verso-ზე მინაწერი XVIII ს. ხელით:

|[62]ქ. მეფის კოსტატილ{ე}ს წყალობის სიგელ{ი} სოფლ{ე}ბის.

|[63]ქ. მე, მეფე კოსტანტინეს საფიცარი.

---

[22] სამკვიდროდ გ. [25] ველითა] კელითა გ. [31] თქვენისა მკვიდრისა გ. [41] ჰქონდარა გ. [45] გასაყიდად ნსხ. [46] გვიბრძანებია გ. [48] გვითრხნებია გ. [49] სათხოვარისა გ.

* დედანში აქ ერთი სიტყვა ამოფხეკილია.

67

1468. 22 მარტი. სიგელი გიორგი მეფისა სვეტიცხოვლისადმი

დედანი; ხეც, Hd-1370; თეთრი ფერის ქაღალდი, ზომა: 85,5×14,57; დაზიანება: მოხეულია საბუთის ზედა აშია, მარჯვენა მხარეს დაზიანებულია ტექსტის ორი სტრიქონი, პირველი სტრიქონების პარალელურად ქაღალდი გადასერილია რამდენიმე ნახევით. საბუთის ეს ნაწილი გამაგრებულია verso-ს მხრიდან მიწებებული სქელი თეთრი ქაღალდით. მელანი შავი; ხელი მწყობრი კალიგრაფიული მხედრული, ტექსტის დასაწისი ქანწილი შემკულია ორნამენტული ხვეულებით; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთის თავში, ტექსტის ზემოთა აშიაზე, მთავრული ასოებით წითლად მიწერილია XVII საუკუნეში დასმული საარიცხვო ნომერი სი (№210). ზედა აშიაზე (გადაწებებულ ქაღალდზე) უზის XIX საუკუნეში დასმული ნომერი №133.

პირი: სპბაი, H-6 (G-29b; H-46)-77. Л.24а6, დედნიდან გადაწერილი XIX საუკუნეში.

საბუთი გატარებული იყო გუჯრების წიგნში. სეა, 1451, I, №133.

საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი რნე(156) /1468/, მარტის კბ (22).

საბუთის დამწერი: წირქუალელი გლონისთაისძე რატი.

გამოცემები: ა) [48], Акты, 6-7 (ქართულ და რუსულ ენებზე) (A.); 2) [41], თ. ჟორდანია, 289 (შემოკლებით); 3) [6], ი. ლოლიძე, 136 (დ); 4) [1], ნ. ბერძენიშვილი, 1 (ბ); 5) [50], С. Какабадзе, 155 (აღწერილობა); 6) [51], С. Какабадзе, 189-191 (ტექსტის შემოკლებული რუსულენოვანი თარგმანი კომენტარებით და ბიბლიოგრაფიით).

ქ. ჩუენ, ღ(მრ)თივ-[გუირგუინოსნისა] |[2]მეფეთა მეფისა გ[იორ]გის-გან და საყუარელისა ძისა ჩუენი|[3]სა ალექსანდრესგან, იესიან-დავითიან-სო|[4]ლომონიანობით აღმკულმან, ნებითა და შე|[5]წევნითა ღ(მრ)თისათა აფხაზთა, ქართველთა, |[6]რანთა, კახთა და სომეხთა მე|[7]ფისა, შაჰ{ა}ნშა და შარვანშაჰ და ყოვლისა |[8]ჩრდილოეთისა, აღმოსავლეთით |[9]ვიდრე დასავლეთამდის თუით-ჴელმწი|[10]ფედ მტკიცედ მფლობელ-მპყრობ|[11]ელმან ესე სიმტკიცისა ნიგნი და |[12]სიგელი ამისად ნიშნად გიბოძეთ |[13]და მოგეციით თქუენ, ერთობილთა დიდი|[14]სა და ცათა მობაძავისა მცხეთისა |[15]სოფელთა, გლეხთა და ყოველთ|[16]ავე, რომელნი თქუენითა მამულითურ|[17]თ მუნ შენირულ ხართ. ვიგულვე |[18]და ვგულისმოდგინე, რათამცა ჩუ|[19]ენისა საყუარლისა

---

[1] ღმრთივ-[გუირგუინოსნისა] ღ(ვ)თივ...დ. [2-3] ჩუენისა A. [5] ღუთისითა A. ღვთისათა ბ. [6] სომეხთა+და A. [7] შაჰნშა A. შარვანშა დ. [9] თუთ A. თვით ბ. [13] თქუენ A. [16] თქუენითა A. [18] ვიგულსმოდგინე ბ. [18-19] ჩუენისა A. [19] საყვარლისა ალექსანდრესთჳს A.

ძისა ალექსანდრ|[20]ესთუის სადღეგრძელოდ და ყოველთა |[21]ჭირთა განრინებისათუის თქუენთუის მა|[22]ლი ამოგუეკუეთა და გაგუეშვა.

აწ, გულისჴმა-ეყავთ, რამეთუ უმჯო|[23]ბეს იყო ჩემდა, საყდარსა შინა მცხე|[24]თისასა თქუენ, ყოველნივე სუეტისა ც|[25]ხოველისა გლეხნი და ერნი ავედრებდე|[26]თ დღეთა განგრძობისათუის საყუარელ|[27]სა ძესა ჩუენსა ალექსანდრეს, |[28]ვიდრეცა სათათროსა მალისა აღებად. |[29]აწ, ნებითა ღ(მრ)თისათა, ამოგიკუეთეთ ს|[30]რულად სათათრო მალი, ასრე და ა|[31]მა პირსა ზედა, რომე არ ჩუენგა|[32]ნ და არ ძისა ჩუენისა ალექსანდრესგა|[33]ნ არაოდეს და არას ჟამისა გამოც|[34]ვალებისათუის აღარაოდეს გეთხოებო|[35]დეს სათათრო მალი. და შემდგო|[36]მად ჩუენსა ვერცა სხუათა მომავალ|[37]თა მეფეთა და დედოფალთა გთხოონ.

|[38]და ესე ბ(რძანე)ბა და სიგელი ასრე |[39]გაგითავდეს და ვეღარავინ შე-გიცვალონ |[40]და აღარაოდეს გეთხოებოდეს სათათრო |[41]მალი. ბ(რძანე)ბა ნიშნად გუიბოძებია.

დაიწერა |[42]მტკიცე სიგელი ესე ქ(რონი)კ(ო)ნსა რნე, მარტ|[43]სა კბ, ჴელითა წირქუალელ გლონისთავაძისა |[44]რატისითა.

აწ, ვინცა ესე შეგიცვალოს, |[45]ჰრისხავსმცა მამა, ძე და სული წმიდა და ნ|[46]ურათამცა სინანულითა იჴსნების სულ|[47]ი მისი ჯოჯოხეთისგან. დამამ-
verso ტკიც||[48]ებელნი ღ(მერთმა)ნ აკურთხნეს.

ხელრთვები ხვეულად:

მე, მეფეთა მეფე[სა] |[49]გიორგის დამიმტკიცებია, |[50]ნებითა ღმრთ(ი)-ს(ა)თა.

|[51]ვამტკიცებ გიორგი.

მინაწერები verso-ზე XVIII საუკუნის ხელით:

|[52]ქ. სამცხეთოს მალი{ს} ამოკუეთისა

XIX საუკუნის ხელით:

|[53]ქ. სამცხეთოს მალის ამოკვეთისა №133 |[54]მცხეთისა.

---

[21] განრინებისათჳს A. თქვენთჳს A. [22] ამოგუტეკეთა A. [22] გაგუტშუა A. [24] თქუტნ A. [25] გლეხნო და ერნო ბ. [26] განგრძეობისათჳს A. საყვარელსა A. [27] ჩუტნსა A. [29] ღუთისათა A. ღვთისათა ბ. ამოკიკვეთეთ A. [31] ჩუტნგან A. [32] ჩუტნისა A. [33-34] გამოცვალებისათჳს A. [36] ჩუტნსა A.სხვათა A. [38] ბძანება ბ. A. [41] ბძანება ბ. [43] წირქვალელ A. გლონისთავა[ს]ძისა დ. [46] იხსნების A. [50] ვამტკიცებ გ(იორ)გი]-დ.

68

1468. 20 ნოემბერი. წყალობის სიგელი გაგრატ და კონსტანტინე მეფეებისა ზაქარია ჯავახიშვილისადმი

დედანი დაკარგულია. ე. თაყაიშვილმა საბუთი გამოაქვეყნა მის ხელთ არსებული პირის მიხედვით, რომელიც, ასევე, დაკარგულია.

თარიღი: ბაგრატ მეფის მეფობის მე-3 ინდიკტიონი, ქრონიკონი რნც (156) /1468/, ნოემბრის კ(20).

საბუთის დამწერი: თუმანიშვილი მურად.

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 39-40; 2) [10], ე. თაყაიშვილი, 40; 3) [8], ი. დოლიძე, 137.

საბუთი ქვეყნდება ე. თაყაიშვილის პუბლიკაციის მიხედვით.

ჩვენ, ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა ღ(მრ)თივ-გუირგუინოსანმან მეფეთ მეფემან ბაგრატ, და ძმამან ჩვენმან პატრონმან კოსტანტინე.

ნებითა მღ(რ)თისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფის[ა], შანშა და შარვანშა და ყოვლისა აღმოსავ- 5
ლეთისა დასავლეთამდის თვით-ფლობით ჴელმწიფეთ მპყრობელისა.

მოვიდეს წინაშე ჩვენსა ჩვენნი დიდათ ერთგულნი და ჩვენისა მო[რ]ჭუმისა და გადიდებისათვის დღე და ღამე მომჭირნე-მოცადენი ჯავახიშვილი ზაქარია, კახა და ზაზა და გვიაჯნეს და მოგვახსენეს, რათამცა ერთგულობისა მათისა სამუქფოდ სიგელითა ამითა შევიწყალე. 10

და ძუელნი სიგელნიცა უნახენით თამარ მეფისაგან და სხვათა ჩვენთა გვართა და ჩამამავალთაგან სამკვიდროდ მათთვის ბოძებული. და ახლადვე დიდი ფასი და საქონელი გამოიღეს და მათივე მკვიდრი მამული მათივე ალალითა საქონლითა მათვე მივჰყიდეთ.

და დაუმტკიცეთ სომხითს ქვეშე ციხითა, ბაჟითა და მისითა მი[მ]- 15
დგომითა, და სოფელი რატევანი მისითა სამართლიანითა და შესავალ-გასავლითა, ყოვლითურთ უნაკლულოდ: წყლითა, წისქვილითა, სანადიროთა, ველითა, ვენახითა, სათიბითა და მისითა მიმდგომითა და სამართლიანითა; სომხითს ქვეშე მისითა ციხითა, ბაჟითა; და სოფელი რატევანი სრულად და უნაკლულოდ, როგორცა თქენ[ი]სა მკვიდრისა და ახლადვე თქვენ- 20
განვე ნასყიდისა დაცილება არავის მართებს, აგრე.

---

[5] მეფის თ.დ. შირვანშა თ. [6] თვით მფლობით თ. [15-16] მიდგომითა თ.დ. [19] სრულიად თ.დ.

ვერას ჟამისა გამოცვლილობისათვის, ვერ ადამიანისა გვარისა კაცი ვერავინ დაგეცილოს.

გქონდეს მოუდეე[რად და] უსარჩლელად თქვენ, ჯავახიშვილთა ზაქარიას, კახას და ზაზასა და თქვენთა შვილთა, შვილისშვილთა, და მამაჟალთა ყოველთავე სახლისა თქვენისათა. და თუ ვისიმე ამა მამულისა გაცემულობისა ნიშანი და სიგელი ჰქონდეს, ყოველივე სიგლითა ამითა გაგვიცუდებია, და მტკიცე ესე ოდენ არის. პირისა და პასუხისა გამცემნი ჩვენ ვართ, ნებითა და შეწევნითა მღთისათა.

დაიწერა სიგელი და პიტაკი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა მესამესა, ქ(ორონი)კ(ონ)ს რნე, ნოემბერსა კ, ჴელითა კარისა ჩვენისა მდივნისა თუმანიშვილისა მურადისათა.

[24] მოუდეე[რად და]] მოუდურაკი (sic) თ.

69

[1468-1478]. საჩივრის წიგნი გამრეკელ ჯავახიშვილის შვილებისა ციციშვილებთან სადავო საქმეზე

დედანი; ხეც, Sd-1242; სიძველისაგან გაყვითლებული ქაღალდი, ზომა: 42,4×14,5; დაზიანება: თავბოლონაკლული; მარჯვენა კუთხე მოგლეჯილი, რამდენიმე ადგილას ტექსტი დაფარულია დიდი შავი ლაქებით. გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. მელანი ყავისფერი; მხედრული ხელი; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთის recto-ზე, ზედა აშიაზე ფანქრით მიწერილია ძველი საარიცხვო ნომერი №80.

საბუთი უთარიღოა. ნ. ბერძენიშვილი საბუთის თარიღს არ აზუსტებს. მოუთითებს, რომ საჩივარი დაწერილია მასში მოთხრობილ ამბებზე გაცილებით გვიან, როცა ბაგრატი ერთადერთი მეფე იყო ან შეიძლება გარდაცვლილიც ყოფილიყო ([1], ნ. ბერძენიშვილი, 20). შ. ბურჯანაძე საბუთს ათარიღებს 1443-1466 წლებით, რაც ნაკლებ სარწმუნოა – ეს წლები საბუთში მოთხრობილ ამბებს შეესაბამება, მაგრამ არა საჩივრის დაწერის დროს. ცნობილია, რომ ბაგრატ VI-ძ გამრეკელის შვილებს წყალობა განუახლა 1468 წელს, ე. ი. ამ წლიდან მაინც ისინი სამეფო კარზე შეწყალებულები არიან. ტექსტზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ საჩივრის შედგენის დროს ბაგრატ მეფე გარდაცვლილი (1478) არ არის, თუმცა, შესაძლოა, იგი ქართლში აღარც იყოს. რადგან თარიღის უფრო მეტად დავიწროვების საშუალებას მოკლებულნი ვართ, ამდენად მოცემული საჩივრის შედგენის ქრონოლოგიურ ჩარჩოდ ვიღებთ 1468-1478 წლებს.

გამოცემები: 1) [1], ნ. ბერძენიშვილი, 50-52; 2) [3], შ. ბურჯანაძე, 15-16.

... ვიკ{ა}დრებთ, პატრონსა თაყას და მისსა შვილსა ზაზ[ას...] |[2]ჩუენგან ვალი სძეს. პირველ და თაობით[გან, ოდეს]˙ |[3]ვახტანგ მეფობა დაიჭირა, წყალს იქითი მისსა ძმასა პატ[რო]|[4]ნსა დემეტრეს მიანება თაყას გარეთ. და თაყა ამისთვის ა[რ]|[5]ა მიანება, რომე მისი მამული და ციხე ჩუავასძისათჳს უ[ნ]|[6]დოდა. და ამაზედა თაყა დიდად შეწყინდა და ესე მოაჴსენა |[7]პატრონსა დემეტრეს, ვითა: „ნასაჴდენლად უნდივარ და ჩემი |[8]თავი და მამული მისთვინ არა მოგანებაო".

ამაზედან გამრე|[9]კელმან აზდომიართი საქმე მოაჴდუნვა, რომე მისი თავი და მ[ა]|[10]მული ვახტანგისად შექმნა და თაყა პატრონისა დემეტრეს|[11]ად დაარჩუნვა და მოარჩინა წაჴდენასა. თუმცა გამრე{კ}|[12]ელი არა, ციხესა და მამულსა ყუელასა გაუცემდეს და თა|[13]ყას წააჴდენდეს. და მისისა გულისათვის მისი თავი და მა|[14]მული დადვა და გაამაგრა მისითა

[3] იქით ბ. [4] ამისთუის ბ. [10] პატრონსა ბ. [16] სამწევრის ბ.

აღდგენა ეკუთვნის ნ. ბერძენიშვილს.

საქმითა. ამისნი მოწამენი |[15]მინობელი და თურმანისძე საგია და წყლის იქითელნი და|[16]რბაზისერნი არიან.

ამაზედა ჩიჟავასძე სამწევრის[ს] დაესხა,|[17] პატრონი დემეტრე ატენის წყალზედა იდგა. თაყაცა |[18]გუერცა იახლა. გამრეკელი და ჩუენცა გუერცა ვიახ|[19]ლენით. მთვრალთა ესე ამბავი მოგუივიდა, ვითა: „ჩიჟავასძემა|[20]ნ სამწევრისი დაარბიაო. თაყას ეთრო და ვერა შეი|[21]ტყო. ადგა გამრეკელი, სამნივე შვილნი თანა წარგვიტანნა |[22]და რომე მივედით, გაგუსწრებოდა და ვეღარა მივესწრენი|[23]თ. და, თუმცა მივსწრებოდით, ანუ შევეჯაცებოდით |[24]და ანუ დავჯოცდით. თაყასა და მისისა შვილისა გულის|[25]ათვის დავიჯოცებოდით, და, თუ არა, ჩუენ და ჩიჟავასძესა |[26]ერთმანერთისათვის მოყურობის მეტი არა გუეწყინა-რა.

|[27]მესამე ვალი ესე: პატრონი ბაგრატ მეფე ქართლს ჩა|[28]მოვიდა და ციციშვილსა ლაშქარი გაუძახა. გიორგი მეფესა |[29]დავეთხოვენით და არა გაგუიშუნა. და მისად უნდომად |[30]მამა ჩუენი* და სამნივე ძმანი ნავედით და ჩუენითა ლაშქრითა [ვ]უშველ|[31]ეთ. ერთსა დღესა შუიდჯერ შევიბენით და დავაყრევი|[32]ნეთ მისისა მამულისა ალაფი და კენეღარა (sic) ჩუენითა |[33]ლაშქრითა. გამრეკელი და სამნივე ძმანი შევეჯაცენით თაყას გული|[34]სათვის და, თუ არა, ჩემსა მამულსა შორს იახლნეს.

|[35]მეოთხე ვალი ესე: მესხთა დაარბიეს ციციშვი|[36]ლისა მამული და ნაიღეს. ამაზედ ზაზა შეიყარა და ს||[37]ამძივის ჴევს მიუხდა. ჩუენი ძმა ზაქარია ჩუენითა ლაშ|[38]ქრითა თანა წაჰყვა და, როგორი ვალი დასდვა და მო|[39]ეჴმარა, მანვე იცის და მისთა ყმათა. მათისა გულისათვი|[40]ს დავიჯოცებოდით, თუ არა, მესხთა ჩუენთვის არა |[41]ეწყინა-რა.

მეხუთე ვალი ესე: გ(იორ)გი მეფემან ატენისა |[42]მოურაობა მისცა გამრეკელსა და თაყამან ატენი |[43]სთხოვა მეფესა. და მეფემან გამრეკელისა საკითხავ(ა)დ |[44]დაუდვა.

ჰკითხა გამრეკელსა, ვითა: „თაყა ატენსა მთხო|[45]ვს, მოურავი შენ ხარ და რას მივაზირებ, მივსცე, |[46]და თუ არაო, სიმაგრე სხუაცა აქუს და ამასცა |[47]კიდევე ითხოვსო". გამრეკელმან ფიცხლა მიცემა გაუ|[48]პირა და ესე მოაწსენა, ვითა: „ატენსა მის უკეთესსა რას |[49]აქნევ, რომე მისთანა კაცი მოიმადლო". თაყას გუ|[50]ლისათვის მოურაობაცა დასთმო და მიცემასაცა გა|[51]უპირდა. თუმცა გამრეკელი არა, მეფე ატენსა თაყას |[52]არა მისცემდა, მაგრამ მან აქნევინა და მეფე, დია, დალო|[53]ნდა ატენისა მიცემასა.

მეექუსე ვალი ესე: ვახტანგ მეფე თ|[54]აყას ჴელთა შეპყრობასა აპირობდა. ბადაბეთს იდგეს. თა|[55]ყა და ჩუენ მუდამად ერთმესადგომენი ვიყვენით. თუით მეფ|[56]ესა ვახტანგს აბჯარი შეეცო და ზედ დასხმასა და ჴელთ-შეპყ|[57]რობასა აპირობდა. შემოესწრა ზედა წითელაშვილი ივანე, შემოესხ|[58]რა და ასრე მოაწსენა, ვითა: „არა საქნელია, რასაც აპირე|[59]ბთ, ჯავახიშვილი და იგი ერთად დგანან და, თუ არ მათცა |[60]კიდე დაჰჴოც, თაყას ჴელთ შესაპყრობლად არ დაგა|[61]ნებებსო". გამრეკელისა ბედითა დაშალეს და ვერა გაბე|[62]დეს ჴელთა შეპყრობა და, თუ არა, შეიპყრობდეს ჴელთა |[63]და, რაცა უარესი იყო, მას უზემდეს. წითელაშვილმა ივანემ |[64]გუიამბო და დიდად ვალადცა გუდებდა: „მე დაეშალე და თ|[65]უ არა, თქუენცა დაჴოცილნი იყვენით".

* „მამა ჩუენი" სტრიქონს ზემოთ წერია.

70

1470. ანგარიშგებისა და სასისხლო განჩინების წიგნი შალვა ქვენიფნეველ ერისთავისა ლარგვისის მონასტრისადმი

დედანი; ხეც, Qd-9020ა, ბაცი, მოყვითალო შეფერილობის ეტრატის გრაგნილი, ზომა: 168,5×16,5/17,3. ოთხი კეფი: I – 21,5×6,5, II – 51×17,3, III – 51×17, IV – 45×17. კეფები ერთმანეთზე გადაკერებულია თეთრი ან წითელი აბრეშუმის ძაფით. დაზიანება: ზედა ამია მოჭრილია სწორ ხაზზე. მის თავისუფალ არეზე გაჩენილია დიდი ნახვრეტი. საბუთის ტექსტი რამდენიმე ადგილას დაფარულია მონაცრისფრო ლაქებით. საბუთი მოხატულია. პირველ კეფზე ოთკუთხა ჩარჩოში გამოსახულია მამაკაცის წელზედა ფიგურა წიგნით ხელში. ტექსტი იწყება გეომეტრიული ორნამენტებით შემკული „ე“ გრაფემით; მელანი ყავისფერი; ხელი კალიგრაფიული ნუსხური, ეტრატი დაკანონებულია, რის გამოც სტრიქონები თანაბრად მიჰყვება ერთმანეთს, საზედაო ასოები რამდენიმე ადგილას გამოყვანილია სინგურით.

III კეფის verso-ზე საბუთის ტექსტს მოსდევს წვრილი ნუსხურით შესრულებული სხვა, XVI საუკუნის საბუთი, იესე ქვენიფნეველის ძის შეწირულების წიგნი ლარგვისის ეკლესიისადმი, რომელიც დამტკიცებულია ჯვრის გამოსახულებით და სპარსული ბეჭდით.

პირი: სპბაი: H-78 (C-49a; H-46)-1, Лл. 190a-193б.

გამოცემები: 1) [10], ე. თაყაიშვილი, 555-561 (თ); 2) [6], ი. დოლიძე, 138-143 (დ); 3) [50], С. Какабадзе, 155 (აღწერილობა); 4) [51], С. Какабадзе, 191-196 (ტექსტის რუსული თარგმანი საღვთისმეტყველო შესავლის გარეშე, კომენტარებით, ბიბლიოგრაფიით და ლექსიკონით); 5) [29], დ. კლდიაშვილი, 67-68 (აღწერილობა).

II კეფი

ეჰა, არსებით დაუბადებელისა და ხატოვნებით განუზომელისა, გონებამიუწდომელისა, ძალუხუავისა, |[2]უხილავისა, სიტყუამიუგებელისა, უტყუელისა, უსაზღვროისა, ყ(ოველ)თა არსთა მბადისა, ნიშებ-შემოსი|[3]ლისა, ყ(ოველ)თა მისთა დ[ა]ბ[ა]დებულთა წყალობისა თ(უა)ლითა მხე|[4]დველისა, მისთა მცნობელთა აღმამ(ა)ღლებელისა და ვე|[5]რამცნობელთა მიწყივ ჯ(ო)ჯ(ო)ხეთად შთამთხეველისა და კ(უალა)დ |[6]ჩ(უე)ნისა ცხორებისათ(კ)ს ზ(ე)ცით ქ(უე)ყანად გარდამოსრულისა, ჯ(უა)რ|[7]ცმულისა, დაფლულისა და მესამესა დღესა აღდგომილისა, |[8]ჯ(ო)ჯ(ო)ხ(ე)თისა დამარღუეველისა და შემმუსრველისა, ქუ(ე)ყ(ა)ნი|[9]თ ზეცად აღმ(ა)ღლებულისა და მარჯ(უე)ნით ღ(მრ)თისა მ(ა)მისა მჯდო|[10]მარისა.

---

[2] სიტყვამიუგებელისა თ. დ [3] თვალთა დ [10] მქადაგებელისა თ. დ

დაუსაბამოისა ღ(მრ)თისა სიტყ(ჳ)სა მქადაგებელსა, |[11]დასაბამსა სოფლისა სიხარულისსა, მთიებსა მ(ა)ს მაუწყებ|[12]ელსა მზისა სიმართლის(ა)სა, ნაყოფსა მადლისასა, წყარ|[13]ოსა უკუდავების(ა)სა, უფსკრულსა მ(ა)ს პირველ წინამომდინა|[14]რესა.

შენ, ქ(უე)ყანისა ანგ(ე)ლ(ო)ზსა და ზეცისა კაცსა, სრ(უ)ლსა ს(უ)ლით|[15]ა და ძალითა ელიაჲსითა ქ(რისტე)ს მოსლვისა ქადაგსა, |[16]მ(ე)ფეთა მამხილებელსა, უდაბნოსა მოყუარესა, წინა|[17]მორბედსა, სიბერისა სჯ(უ)ლთა დამჴსნელსა, მთ(ი)ებსა პი|[18]რმეტყუელსა, მ(ა)მისა უტყუჱბ(ა)სა, ს(ა)კჳრველად აღმატყუჱ|[19]ბელსა, მონამესა სარწმუნოსა სამებისა წ(მიდ)ისსა, ქადა|[20]გსა მ(ეუ)ფისსა, წ(ინასწ)არმეტყ(უე)ლთა ბეჭედსა, ხარებით მუცლადღ|[21]ებულსა, ს(ა)ნთელსა ნ(ა)თლისა მის დაუვალისა წინა|[22]აღნთებულსა, მიწისაგან ბუნებისა უსხეულოჲთა წე|[23]სით* გამოჩენილსა, სიხარულსა ცხოველთ|[24]ასა, ქ(უე)სკნ(ე)ლად შთასრულთა ს(უ)ლთა ნ(ა)თლისა უსხე|[25]ულოჲსა მახარებელსა, ყ(ოველ)თა დედათა ნაშობთა უ|[26]აღრეს ნარჩინებით წოდებულსა, ს(უ)ლისა წ(მიდ)ისა მხილვ|[27]ლსა და თჳთ ერთისა სამებისაგანისა ჭ(ეშმარი)ტისა ქ(რისტე)ს, |[28]ღ(მრ)თისა მჴსნელისა ჩ(უე)ნისა და მ(ა)ცხ(ოვ)რისა, ნ(ა)თლის მიუაჩ|[29]რდილებელისა მომფენელისა, წარმართთა მოსალო|[30]დებელისა, წინასწარმეტყუელთა მ(იე)რ მოსწავებულისა, უ(ფლი)სა დ|[31]ა ღ(მრ)თისა ჩ(უე)ნისა ძრწოლით შეხებით თავსა ჴელ|[32]ისა დამდებელისა და ნ(ა)თლისმცემლისა, ურწმუნ|[33]ოებით დადუმებულისა ზაქარიაჲს აღმატყუებელ|[34]სა ძისა შობ[ი]სა და აღვსებულმ(ა)ნ სულითა წ(მიდ)ითა და დ|[35]ედის(ა)გ(ა)ნ მოხუცებულისა შობილსა, მთავარანგელო|[36]ზისა გ(ა)ბრიელისგ(ა)ნ ხარებულსა, ხოლო ზაქარიას არა ჰრ|[37]წმენა შობისათ(ჳ)ს წინამორბედისა, ა(რამე)დ უტყუ იქმნა, ვ(იდრ)ე |[38]შობადმდე და ჟ(ამს)ა შობის(ა)სა აღწერა, ვ(ითარმე)დ, ეწოდენ მაგა|[39]ს იოანე, ვი(თარც)ა მაუწყა მე ანგელოზ|[40]მ(ა)ნ უ(ფლ)ისამ(ა)ნ.

შ(ე)ნ, ნ(ა)თლ|[41]ისმცემელსა ქ(რისტე)სსა, რ(ომლ)ისა მ(იე)რ იძლია ბრძენთმეტ|[42]ყუელებ(ა)ჲ და მოუძლურდა სიბრძნე კ(ა)ცთაჲ და |[43]რიტორობაჲ ღრ[ა]მატიკოსთაჲ**, და ყ(ოვე)ლთა განუცხადა |[44]სიტყ(უა)ჲ მადლის(ა)ჲ და განუხუნა სოფელსა ბჭენი სი|[45]ნანულისნი და აღმოუბრწყინდა სოფ(ე)ლსა ნ(ა)თ(ე)ლი |[46]დაუშრეტელი და ყუავილი დაუჭნობელი, წყარ|[47]ოჲ უკუდავებისაჲ აღმოცენებული.

წ(ინას)წ(არმეტ)ყ(უ)ელთა ყ(ოვე)ლ|[48]თა უაღრეს წოდებულსა მოწამესა, სარწმუნო|[49]სა ჭ(ეშმარი)ტისა ქ(რისტე)ს ღ(მრ)თისა ჩ(უე)ნისასა, ბერწისა საშოჲს(ა)გან |[50]შობილსა, პ(ირვე)ლ მზისა ცისკარსა მოვლინებულსა, ს(ა)იდ|[51]უმლოჲსა დაფარულისა გამომეტყუჱლსა და ბუ|[52]ნებისა მკურნალსა, წ(ინას)წ(არმეტ)ყ(უე)ლებისა დამბეჭდ|[53]ველსა და მტერთა სირცხჳლისა შემმოსელსა და |[54]მორწმუნეთა ნ(ა)თლისა მიმფენელსა, დ(იდე)ბულსა ჭ(ეშმარი)ტისა |[55]ღ(მრ)თისა ჩ(უე)ნისა ქ(რისტე)ს ნ(ა)თლისმცემელსა, გურიტსა უდა|[56]ბნოჲსსა და იადონსა ჴმა-ტკბილად მჴმობარ|[57]ესა ი(ოან)ეს.

---

[18] უტყუებსა თ. დ [18-19] აღმატყუებელსა დ. [28] ჩვენისა დ. [31] თავისა თ.დ. [36] მხოლოდ თ. დ. [40] ანგელოზმა თ. დ. [41] ქრისტესა თ. დ. [47] აღმოცინებული ნსხ. [51] გამომეტყუელსა დ. [56] ხმა-ტკბილად თ. დ.

* დედანში ეს სიტყვა გამეორებულია.

** დედანშია: „ღრმამატიკოსთაჲ“.

და შ(ე)ნ, დიდსა ღ(უა)ნლისა მძლესა და ს(ა)ღ(მრთო)ა|[58]სა სრბისა მჴნედ აღმასრულებელსა, ძლევისა |[59]გკრგკნისა დამდგმელსა, სარწმუნოებისა ჭურ-
სა, ||[60]მახკლსა მადლის(ა)სა, ჯ(უარ)ისა ძლიერებ[ი]სა შემმოს|[61]ელსა, წინააღ- III კეფი
მდგომთა ძალთა დამცემელსა, ანგელო|[62]ზთა თანა მოხარულსა, ეშმ(ა)კთა გუნდისა დამცემელსა, სი|[63]კუდილისა ნეფსით თავს-მდებელსა, უკეთურისა და |[64]ს(უ)ლმყრალისა ვეშაპისა შემმუსრველსა, ძოწეულისა |[65]ბრწყინვალისა შემმოსელსა სისხლითა ღ(უა)ნლთაჲთა, მ|[66]ენავეთა თ(ა)ნამოგზაურსა, მძი-ნარეთა მღკძარებ{ა}სა, |[67]ღელვა-გუემულთა ნავთსადგურსა, ჭირვეულთა |[68]შემწესა, დიდისა მ(ე)ფისა მჴნესა მჴედარსა, სათნო-მყო|[69]ფელსა მ(ა) ღლის(ა)სა კერპთა მსახურებისა აღმომფხურ(ე)ლსა |[70]და საცდურისა საეშმაკოჲსა დამჴსნელსა, საკერპოთა |[71]ბომონთა შემმუსრველსა, ღ(უა) ნლითა ნამების(ა)ჲთა ცად ა|[72]ღნევნულსა, ანგ(ე)ლ(ო)ზთა მხიარულებ{ა}სა, ეშმა[ა]კთა მწუხა|[73]რებ[ა]სა, გლახაკთა ზ(ედ)ა სიმდიდრისა განმაბნეველსა და |[74]დ(იდე)ბისა ს(აუ)კ(უ)ნოჲსა ს(ა)ს(ო)ებით ღ(უა)ნლითა ნამების(ა)ჲთა შემბ-მელსა, |[75]ქ(რისტე)ს ვნებ[ა]თა მობაძავსა და თ(ან)ამკვდრსა მ(ე)ფისასა, ს(ა)თნო|[76]ებ(ა)თა ნაყოფისა განმამრავლებელსა და შ(ემდგომა)დ ნამებისა |[77]ბილწად ნაზორევითა შეგონებისაგ(ა)ნ ჩუჱნებით გამო|[78]მჴსნელსა, ნარ-ჩინებულსა მოწამესა თე(ოდორე)ს!

მე, მინდობილმან ცვა-ფარვათა თქ(უე)ნთამ(ა)ნ და გ|[79]ულსმოდგინედ მსასოებელმ(ა)ნ, ქ(უე)ნ(ი)ფ(ნე)ველმ(ა)ნ ე|[80]რისთავმ(ა)ნ შაღვა, ვიგუ-ლისმოდგინე შ(ემდგომა)დ ჩ(ემთ)ა ჩამ|[81]ომავალთა ერისთავთა, და ჴელეყ-ავ მ(ა)თგ(ა)ნ სას|[82]ოებით აღშენებულსა, ს(აუ)კ(უ)ნოსა სამკვდრებელსა, სა|[83]ძუალესა ჩ(უე)ნსა, მონასტერსა ლარგკსსა, რ(ომელ)ი ს(უ)ლკ(ურთ)-ხეულ)|[84*]თა პაპ[ა]თა, მ(ა)მ(ა)თა და ჩამომ(ა)ვ(ა)ლთა ჩ(უე)ნთა, აღეშენა |[85]და ყ(ოვლი)თურთ უნაკლულოდ შეემკო ხატითა, წიგნითა, |[86]ხატვითა და ყ(ოვლ)ითა მოწყობილობითა.

და შ(ემდგომა)დ მ(ა)თ(ი)სა |[87]მეუწყა ს(ა)ღ(მრ)თოჲთა გ(ა)ნგებულე-ბითა და ვიწყე შე|[88]ნებად. პ(ირვე)ლ(ა)დ დავახატვინე კამარათა უკანითი |[89]წ(მიდ)ისა თ(ეოდორ)ესი თ(ა)ვი ეკლესიაჲ და აღვმართე ჯ(უარ)ი ს(ა)-კ|[90](ურთ)ხ(ე)ველისა კ(ა)რთა, სავსე ნაწილიანითა ხატებითა; |[91]დავაწერინე ახალი საულ-დ(ავი)თი და ს(ა)წ(ინას)წ(არმეტ)ყ(უელ)ოჲ ერ|[92]თ წიგნად, ერთი დიდი თეფში ვერცხლისაჲ, და ე|[93]აკაზმინე წიგნები მეტაფრასი, დავდევ შესა|[94]მოსელი მოწყობილი, აღვაშენე ეკლესიაჲ ნა|[95]თლისმცემელისაჲ, დავახატვინე და შევამკე ხა|[96]ტითა და შესამოსლითა ს(რულია)დ უკლებად, შე|[97]მოვავლენ ზღუდენი და აღვაშენენ ტრაპეზნი, |[98]და მოვაწყენ ზ(ედ)ა ჩარდახნი და შევხურენ სიპი|[99]თა, აღვაშენენ მარანნი, ჩარდახთა წინ(ა)ჲთა და მო|[100][ვ]აწყენ ჭურებითა, მოვჭედენ კარნი კოშკის(ა)ნი და |[101]ზღუდის(ა)-ნი, აღვაშენე ზღუდისა კართა ზ(ედ)ა სა|[102]მრეკლოჲ, დავხურე სიპითა და

---

[58] სრბისა] სარგისა თ. დ. [67]ღელვა-გუემულთა ნსხ.თ. [69] მ(ა)ღლის(ა)სა] ღმრთისასა დ. [72] მხიერულებასა ნსხ. მხერულებ(ა)სა თ. [76] შემდგომათ თ. დ. [77] ნაზორევთა თ. დ. ჩუენებით დ. [87-88] შენობად თ. დ. [92] ვერცხლისა დ. [93] ნატაფრასი თ. [98] მოვაწყუენ თ. დ. [102] დავახურე დ.

* ამ სტრიქონის გასწვრივ მარცხენა კიდეზე მიწერილია: „ეჰ დბლი“.

დავასუენე ზ(ედ)ა |[103]ჯ(უარ)ი სპილენძის(ა)ჲ, დავდგენ ბეღელნი და ჩავდგი |[104]მ(ა)თ ქუეშე ჭური, ბიყრით მივიტანე.

|[105]და სხ(უ)აჲ, რ(ა)ჲცა ეკლესიისა შემკობილობ(ა)ჲ უნდოდა, შევამკ|[106]კვე მონასტერი ესე ჩ(უე)ნი საძუალე და ს(აუ)კ(უ)ნოჲ სამკკდრებ|[107]ელი, ს(უ)ლისა ჩ(უე)ნისა მეოხი და ნუგეშინისმცემელი, პ(ირვე)ლითგ|[108]ან ს(უ)ლკ(ურთ)ხ(ეუ)-ლისა ისტკნიანეს(ა)გ(ა)ნ ბერძენთა მეფისა და თკ|[109]თმპყრობელისა აღ-შენებული და ჩ(უე)ნთა ჩამომა|[110]ვ[ა]ლთა ერისთ[ა]ვთა და ნ(ა)თესავთათ(კ)ს საძუა|[111]ლედ ბოძებული, და წინ(ა)ჲს ჩ(უე)ნსა ყ(ოველ)თა ჩ(უე)ნთა ჩა|[112]მო-მავალთ(ა)გ(ა)ნ სურვილით პატივცემული |[113]და შემკობილი.

ან კ(უალა)დ მაღირსა ღ(მერთმა)ნ და ყ(ოვლ)ითუ|[114]რთ უნაკლულოდ აღვაშენე და შევამკევ |[115]ქრ(ო)ნიკ(ო)ნსა მეათოთხმეტედ მოქცეულსა რნჱ, |[116]სრულვყავთ მეფობ(ა)სა ღ(მრ)თივ-გკრგკნოს|[117]ნისა მეფეთ მეფი-სა ბაგრატისსა, სამლოცველ|[118]ოდ ს(უ)ლისა ჩ(უე)ნისა, წარსამართებლად
IV კეფი ერი||[119]სთვობისა ჩ(უე)ნისა და ძისა ჩ(უე)ნისა.

|[120]აღვაშენენ სოფელნი მეჯუდისჴევს: სოფელი ახალუ|[121]ბანი ასეთსა ადგილსა, რომე ადამისითგ(ა)ნ იქი |[122]კაცი არ სახლებულიყო. შე-მო[ვ]უკრიბენ მამ|[123]ულნი და [ვ]უჩინე მზღუარი ყ(ოვლ)ისა კაცისა გ(ა)ნ|[124]უ-სარჩლელი, აღვაშენე ზუარი და გა[ვ]უჩი|[125]ნენ სავენაჴენი; აღვაშენე სოფელი ივრ|[126]ეთი, რ(ომე)ლ მურვანის ჟ(ამს)ა უკანით კაცი არ |[127]სახლებუ-ლიყო; აგრეთვე ქსანზედა სოფ|[128]ლი ჰერედაჲ ოჴერი აღვაშენე და ზუ|[129]არი; ქურთაჲ და სხ(უა)ჲ. ვინცა ლარგჯსა მ|[130]ონასტრისათ(კ)ს შეწირული იყო ჩ(უე)ნთა პაპ[ა]თ|[131]ა და ჩამომ[ა]ვ[ა]ლთ(ა)გ(ა)ნ, ეგრეთვე უცვალ|[132]ებელად იყოს. და ამას გარეთ, ესე ჩ(ე)მგ(ა)ნ მონაღუანებნი და უკა-ცურნი სოფ|[133]ელნი, სამნი აგარაკნი აღმიშენებიან მეფეთა, ერისთავთა, ქა-რთლისა ერისთა|[134]ვთა და ყ(ოველ)თა ბატრონთა და ჴლისუფ|[135]ალთ(ა)-გ(ა)ნ შეუვ(ა)ლი და თ(ა)ვისუფ(ა)ლი და |[136]მოუსარჩლელ-მოუდევარი.

და შემოგ|[137]ნირენ ამას საქმითა და წესითა, რომე მე|[138]ორედ ქ(რის|-ტე)ს მოსლვადმდე და ვ(იდრ)ე გებადმ|[139]დე ჟ(ა)მთა; ვერავინ ჴლეყოს შლად და |[140]ქცევა[დ] ჩ(უე)ნგ(ა)ნ ს(ა)სოე)ბით და სურვილით გ(ულ)|[141]მოდგინებით, ჩ(უე)ნისა ს(უ)ლისა სამლოცველო|[142]დ, სააღაპედ და საჴსენებლად ს(უ)ლისა |[143]ჩ(უენი)სა შემოწირულთა ამ(ა)თ სოფელთა. და |[144]არცა რ(ა)ჲ{ს}ვის საქმე უც ამ(ა)თ|თ(ა)ნა, არცა |[145]ს(უ)ლ(იე)რსა კაცსა არა.

და თუ ვინმე ჴელყ|[146]ოს შეცვალებად, შლად და ქცევად თკ|[147]ნიერ შეწევნისა და თ(ან)ადგომისა, ანუ მ|[148]ძლავრობით, ანუ პ(ა)ტრონობით, ანუ მ|[149]იტაცებითა რ(ა)ითამე, ღ(მერ)თ(მა)ნ ჩ(ე)მთა ცოდ|[150]ვათათ(კ)ს იგი გაი-კითხოს. ამისთ(კ)ს ა|[151]ღვაშენე და განვადიდედ მონასტერი ე|[152]სე ჩ(უე)ნი ს(აუ)კ(უ)ნოჲ სამკკდრებელი და საძუალ|[153]ე ჩ(უე)ნი და საჴსენებელი ს(უ)ლისა ჩ(უე)ნისაჲ, რ(აჲთ)ა |[154]სხუათა მ(იე)რთა იდიდებოდეს და პატივ-|[155]იცემებოდეს, შეემატებოდეს და არ(ა)ჲ დაა|[156]კლდებოდეს. ვისცა აქა ს(ა)ფლ(ა)ვი უნდა და |[157]ანუ სალოც(ა)ვი, რაჲცა ოდენ ძ(ა)ლ(ი) ჰქო|[158]ნდეს, ძალმიცემით შეუმატებდეს და არა|[159]ს აკლებდეს.

---

[106] საუკუნო დ. [106-107] სამკვიდრებელი თ. დ. [110-111] საძვალედ თ. დ. [114] შევამკევ დ. [116] სრულვყავით თ. დ. [123] მზღვარი თ. დ. [123-124] უსარჩლელი თ. დ. [134] პატრონთა დ. [134-135] ხელისუფალთაგან დ. [138] მოსვლამდე დ. [157] რაიც თ. დ. [159] ვინც თ. დ.

და ვინცა ამ(ა)ს ჩუენსა მონას|[160]ტერსა შემოს(ა)ვ(ა)ლსა მამულსა აკ-
ლებდეს |[161]და არა უმატებდეს, ღ(მერთმა)ნ და ნ(ა)თლისმცემ|[162]ელმ(ა)ნ
ქ(რი)ს*(ტეს)მ(ა)ნ და ნ(მიდამა)ნ ქ(რისტე)ს მოწამემ(ა)ნ თ(ეოდორ)ე
მ(ა)ს |[163]დააკლოს და ამ(ა)თ ყ(ოველ)თა წ(მიდა)თა ნაწილთა |[164]მადლმ(ა)ნ და ხატთამ(ა)ნ,
რ(ომელ)ნი მონასტერსა ა|[165]მ(ა)ს შ(ინ)ა მკჳდრ არიან.

და ვინცა შ(ემდგომა)დ ჩ(უე)ნსა ე|[166]რისთ(ა)ვნი იყვნეთ, მუქაფა თქ(უე)ნ
უყავ|[167]თ და შჯდ ნაწილად თქ(უე)ნ გარდააჴდ|[168]ევინეთ, და პატივ ეცით
სავედრებე|[169]ლსა ამ(ა)ს ჩ(უენ)სა და საძუ(ა)ლესა ს(აუ)კ(უ)ნოჲსა |[170]აღდ-
გომისა მოსალოდებელსა...

და განუჩინეთ ესე, რომე: ნუმცა ვინ იკ|[171]ადრებს შუღლსა, ანუ სიძვასა,
ანუ |[172]პარვასა, ანუ ღალატისა მოგონება|[173]სა, ანუ მღდელთა, მონაზონთა,
დედაბ|[174]ერთა და ენკრატისთა უპატიობ[ა]სა.

|[175]და თუ შუღლი ვინმე იკადროს და მახჳილი ||[176]იჴადოს მონას- *verso*
ტერსა შ(ინ)ა, ანუ კაცი და|[177]ჭრას, ანუ თუ კიდე სისხლი ადინოს, მისი *I კეფი*
ა|[178]ბჯარი ეკლესიასა შეიღებოდეს და თჳთ |[179]იგი კაცი ცემით და ჯლეჳთ
განიძებ|[180]დეს, და რ(ა)ჲ-გინდა უმართლე იყოს, მისი სა|[181]მართ[ა]ლი წაჴდეს.

აგრეთვე თუ მესისხლ|[182]ე მესისხლესა შეეყაროს, შორს უსაუბ|[183]როდ
აჰხდებოდეს, და თუ არა და საკლ|[184]ავად გამოჲმატოს და ვეღარ მოკლას,
სისხლისა ნახევარი |[185]გაუცუდდეს და ჴარითა და ერთითა საპალნითა პუ|[186]რ-
ღვინითა ეკლესიასა შემოჰხუეწებო|[187]დეს და მაშინღა გაიბრჭობოდენ.

და ეკლ|[188]ესიისა უპატიობისა საქმე ბჭობითცა ით|[189]ქუმოდეს ამ(ა)დ,
რომე აქა ჴრმლისა ამ|[190]ოღებ(ა)ჲ არ იკადრებოდა.

და თუ მოკლ|[191]ას, მისი სისხლი გაცუდდეს და მოკლულ|[192]სა სრული
სისხლი დაუურვოს. |[193]ესე მანდამდის არის, სადამდისცა სარეკლ|[194]ისა და
ზარისა ჴ(მა)ჲ ისმოდეს.

და თუ ვინ|[195]მე მონასტერსა შ(ინა) სიძვ(ა)ჲ ქნას, თრევით |[196]და უპა-
ტიობით გაიძებოდეს და მისი კა|[197]ნონი მოძღურისგ(ა)ნ დაედებოდეს. |[198]და
თუ იპაროს, შჯდ ნაწილად ეზღვ|[199]იოს და მონასტრის(ა)ჲ უპატიობ(ა)ჲ
დაებრჭ|[200]ობოდეს.

და თუ ვინმე მღდელი უსამა|[201]რთლოდ უპატიოდ გაჴადოს, ანუ
საცე|[202]მელი შესდვას, მისსა სამართ[ა]ლსა |[203]დიდითა შეხუჲნითა ნახევარი
სხ(უა)ჲ ემა|[204]ტოს.

დედაბერთა და მონაზონთა უპ|[205]ატიობ(ა)ჲ და ენკრატისთ(ა)ჲ, პატრონი-
სა ბ|[206]რძანებითა წინამძღურის(ა)გ(ა)ნ და ძმათაგან* მოჲკით|[207]ხოდეს და
გაევლინებოდეს, ავისა მქ|[208]ნელსა პატიჟსა უყოფდენ და კარგისა |[209]მქნელ-
სა პატივსა.

ესე ასრე გავა|[210]ჩინეთ, შევსწირეთ და დავამტკიცეთ |[211]კითხუ-
ლობითა და ბრძანებითა ღ(მრ)თ|[212]ჲ-გკრგჳნოსნისა მეფეთა მეფისა
ბაგ|[213]რატ ი ს ი თ ა, სამლოცველოდ, საალაპოდ |[214]და საჴსენებლად ს(ულ)
ისა ჩ(ემ)ისა.

---

[162] წმინდამან თ. დ. თეოდორემ თ. დ. [169] პატიჟი დ. [170] ამათ თ. დ. [184] აღხდებოდეს თ. დ. [194] სადამდისაცა დ. [209] შეხუეწითა დ. [207-208] მქმნელსა დ.

* სიტყვები: „და ძმათაგან“ ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ.

და რ(აჲთ)ა |[215]ვიჴსნე ს(აუ)კ(უ)ნეთა სატანჯველთ(ა)გ(ა)ნ და ღი|[216]რსმყოს ნაწილსა მ(ა)რთ(ა)ლთასა და ხილვ|[217]ად ნ(ა)თლ(ი)სა პირისა მისის(ა)სა, ღ(მერთმა)ნ უტყუტ|[218]ლმ(ა)ნ, რ(ომე)ლსა ყ(ოველ)თა კაცთაჲ ჰნებავს ცხო|[220]რ(ე)ბაჲ და მეცნიერებ(ა)სა ჭ(ეშმარი)ტ(ე)ბისასა მოსლვ(ა)ჲ.

|[221]და რ(აჲთ)ა გუჱსმეს ს(ა)ნ(ა)ტრელი იგი ჴ(მა)ჲ, მიმნ|[222]ოდებელი ნ(ა)თ(ე)ლსა მ(ა)ს დაუღამებელსა, |[223]დაუსრულებელისა ს(აუ)კ(უ)ნოჲს(ა)სა, ტკბილსა |[224]მ(ა)ს წარუვ[ა]ლსა და გჳსნეს ბნელ|[225]ისა მისგ(ა)ნ გ[ა]რესკნელისა, ცეცხლისა უ|[226]შრეტელისა და ბნელისა წყუდიადისა, |[227]ღრჭენის(ა)გ(ა)ნ კბილთაჲსა და მატლისა უ|[228]ძღისა, რ(ომლ)ის(ა)გ(ა)ნ გჳსნეს ჩ(უე)ნ, უ(ფალო)!

და (შემდგომა)დ ჩ(უე)ნ|[229]სა, რომელნიცა იყვნეთ ერისთ(ა)ვნი, ერისთ[ა]ვთ|[230]ა ერისთ[ა]ვნი და ყ(ოველ)ნივე სახლისა ჩ(უე)ნისა ძ|[231]მ(ა)ნი და მოურავნი ყ(ოველ)თ(ა)ვე, დაუმტკიცეთ მ|[232]ონასტერსა ამ(ა)ს ჩუენსა, ს(აუ)კ(უ)ნესა სამკჳდრებ|[233]ლსა, საძუალესა ჩ(უე)ნსა.

ესეთნი სოფელ|[234]ნი მომიჴსენებიან და მიმინიჭებიან მონას|[235]ტრისა
verso ჩ(უე)ნისათ(ჳ)ს და მიჩენია წინამძღუარი ||[236][ურულ]ისშვილი გ(იორგ)ი
II კეფი და შვ[ი]ლნი მისნი |[237]და გამირიგებია და ჩ(უენ)ისა მამულისათ(ჳ)ს ე|[238]რთი გლეხი არ დამიკლია, ყ(უე)ლაჲ კაცები |[239]სხუაგნით მომისხამს და ოჴერნი სოფელნი |[240]ამით აღმიშენებიან.

და ამით ჩ(ემ)ი და ჩ(ე)მთა |[241]გუ[ა]რთა ს(ა)ფლ(ა)ვი, ღ(მრ)თივგკრგჳნოსნისა |[242]ბერძენთა მეფისა ისტჳნიანეს(ა)გ(ა)ნ ს(ა)ღ(მრ)თო|[243]ჲთა გამოცხადებითა აღშენებული ეკ|[244]ლესიაჲ და ჩ(უე)ნთა პაპ[ა]თათჳს საძუალე|[245]დ ბოძებული აღმიშენებია, შემიმკჳია დ|[246]ა გამიდიდებია.

და ამ(ა)ს გარეთ აღმიშენ|[247]ებია და შემიმატებია უკაცური სოფ(ე)ლი |[248]ჩ(ემ)ისა მამულისათ(ჳ)ს, და აღშენებულა ჩ(ემს)ა |[249]მამულსა შ(ინ)ა, ჩ(ემ)ითა ძალმიცემითა, |[250]და პ(ირვე)ლ, ნებითა ღ(მრთისა)ჲთა, და შეწევნითა ზოგი ჩ(ე)მგ(ა)ნ |[251]და ზოგი ჩ(ე)მთა ყმ(ა)თ(ა)გ(ა)ნ, ჩ(ემს)ა ერისთვობას|[252]ა შ(ინ)ა ეკლესიაჲ.

და აწ, ვინცა და რა|[253]მანცა კაცმ(ა)ნ ამას ჩ(ე)მგ(ა)ნ სასოებით და |[254]სურვილით აღშენებულსა შე|[255]მკობილსა და გადიდებულსა ეკლესიასა |[256]მცრობ(ა)ჲ და კლებ(ა)ჲ დაუწყოს, თჳნიერ შემა|[257]ტებისა და გადიდებისა, ღ(მერ)თმ(ა)ნ და ამ(ა)თ ყ(ოველ)თა წმიდათა მადლმ(ა)ნ, ჩემნი ცოდვ(ა)ნი და ბრ(ა)ლნი უსა|[258]ჴსროდ მ[ა]ს ჰკითხნეს.

ყ(ოველ)თ(ა)ვე დაიხედ|[259]ენით, რ(ამეთუ) მიწად მიქცევაჲ წინაგჳც ცოდ|[260][ვილ]თა და მ(ა)რთ(ა)ლთა. ესე საწუთოჲ უხ|[261]ანოჲ და წარმ(ა)ვ(ა)ლი არს და აღდგომ(ა)ჲ |[262]მკუდართაჲ და განახლებ(ა)ჲ ს(აუ)კ(უ)ნოჲსა ცხო|[263]რების(ა)ჲ დაუსრულებელი და წარუვ(ა)ლ |[264]არს. ამისთ(ჳ)ს გჳღირს, რ(აჲთ)ა ყ(ოველ)ნი ს(აუ)კ(უ)ნოჲსა ცხო|[265]რებისათ(ჳ)ს ვზრუნვიდეთ.

---

[221] გუესმეს დ. [227-228] უძღლისა ნსხ. [229-230] ერისთავთ-ერისთავნი თ. დ. [234] მინიჭებიან თ. დ. [255] სურვილითა დ. [261-262] უხანო დ. [263] მკუდართა დ. [264-265] ცხორებისა დ. [267] ვიზრუნვიდეთ თ. დ.

71

1470. წყალობის წიგნი დავით კათალიკოსისა მახარებელ მაღალაძისადმი

დედანი; ხეც, Hd-1352; ღია ფერის ეტრატი, ზომა: 155×21; სამი, თეთრი ძაფით გადაკერებული კეფი: I – 39×21, II – 66×21, III – 10×21. დაზიანება: მეორე კეფი დაფარულია მუქი ყვითელი და მონაცრისფრო ლაქებით, მარცხენა ამიაზე აქვს ორი ნასერი ტექსტის დაუზიანებლად. მკაფიო, ოდნავ აჩქარებული, წერილი მწიგნობრული მხედრული, მწყობრი სტრიქონები. ქანწილი და პირველი საღვთისმეტყველო ფორმულა შემკულია ორნამენტული ხვეულებით; შავი მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

პირი: ხეც, Qd-9645, გადაწერილი ე. თაყაიშვილის მიერ თაბახის 2 ფურცელზე.

საბუთს უზის ორმაგი თარიღი: ქრონიკონი რნᲐ (158) /1470/ და ბაგრატ მეფის მეფობის მეხუთე ინდიკტიონი /1470/.

გამოცემა: [7], ი. დოლიძე, 213-216 (დ).

წყლისპირსა, ჭალადიდს, რიონს ზედან ნახევარი ბაჟი ხოფისა ღთისმშობლისა არის და ნახევარი – კათალიკოზ{ი}ს; ქარიანტას და კემხელს მესამედი წყლის ბაჟი ყოვლად წმიდისა არის.

ნოხუდენს ოთხი კომლი კაცი: ყურუ[ა] და სხუიტავა, ანდალისშვილი, შონია მათითა მამულითა, ტყითა, წყლითა და ეკლესიის კარითა.

აგრევე დადიანი[ს] სახლის თავი ნიშანი კათალიკოზისა არის; აგრევე სხუათა აზნაურისშვილთა ნიშანი; აგრევე სხუათა ებისკოპო[ზ]თა საფერხავი მართებს და ამას არა ეთხოვებოდეს.

აგრევე ცუს გამოლმა და ჭუირას წყალს შუა, ვინცა [ნა]დირი მოკლას, სეფეს ყოვლადწმიდის წინ მოიღებდეს, ნურავინ დააკლებს.

ქ. აგრევე ჩუენ, ბატონმა დადიან-გურიელმან შამანდავლა, მოვიკითხეთ იადგარი. ძუელთაცა [ა]გრე ეწერა: „ვინცა ხოფის საყდარს გარეშემო უპატიობა იკადროს, ანუ გლეხი [და ან]უ ჯოგი ნაუსხას, ანუ ქურდობა ქნას, ანუ სასახლეს [მი]უხდეს და გატეხოს, ათი გლეხი დაეურვოს საყდარსა. [ვინცა სახოფოსა] ზედან მოუხდეს, დაარბიოს, დაწუას... მეხადილე კუამლი გლეხი დაუ[ურვოს საყდარსა. ვინცა უბრა]ლოდ, ანუ ღალატითა კაცი მოკლას, ორი ზომა [სის]ხლი დაუურვოს; ვინცა ძმათაგანსა უპატიობა ჰკადროს, ანუ აგინოს, ათასი ბოტ[ინატი დაუ]ურვოს".

აგრევე ჭუირას და ცუს შუა ტყე და წყალი ყოვლადწმიდისა არის და ნურავინ დააკლებთ.

და ვინ დააკლოს, რ[ისხ]ავსმცა მამა, ძე და სული წმიდა და ყოვლად წმიდა ღმრთისმშობელი ხოფისა და ყოველნი წმიდანი ღ(მრ)თისანი ზეცისანი და ქუეყანისანი, ჴორციელნი და უჴორცონი. და ვინცა ამისად შლად და ქცევად ჴელყოს, რისხავსმცა ქრისტეს საფლავის მადლი, იერუსალემს შესვლა, ჯუარცმა, აღდგომა, ნათლისღება, ამაღლება, მეორედ მოსვლა, მთაწმიდა, სინაწმიდანი, მოციქულნი, წინასწარმეტყუელნი, მღდელთმოძღუარნი, მოწამენი, წმიდანი მამანი, მეუდაბნოენი და ქალწულნი. შე-მცა-ედების შიშთუილება იუდაისი, კეთრი [გეზისი, მეხის დატეხა] დიოსკორესი, განდგომილება ივლიანესი, ღრჭენა კბილთა და სატანჯველი მდიდარისა მის უწყალოსა. და ნურათამცა სინა[ნუ]ლითა ნუ იქნების ჴსნა სულისა მისისა ჴელთაგან ჯოჯოხეთისათა, უკუეთუ სისხლიცა თუისინი ქრისტესთუის დასთხივნის, ა(მე)ნ. დამამტკიცებელნი ამათნი აკურთხნეს ღმერთმან, ა(მე)ნ.

გადამწერის შენიშვნა:
ხელრთვა ხეულად: შამადავლა არს

---

[6] ღთისმშობელისა კ. კათალიკოზს კ. [8] ყურუ კ. [9] შონია] ბონია ნსხ. კ. დ. [10] აგრევე] მეორდება ნსხ. [1] ეპისკოპოსთა კ. [13] ჭუირიას კ. [19] [ვინცა სახოფოსა]-კ. [20] და[უურვოს საყდარსა. ვინცა უბრა]-კ. [23] ჭუირიას კ. [27] ხორციელნი და უხორცონი ნსხ. კ,დ. ამისდა ნსხ. კ,დ. [28-29] იერუსალიმს კ. [35] თვისნი ნსხ. კ,დ. [32] იუდასი კ. [გეზისი მეხის ტეხა]-კ. [33-34] სატანჯველი. [34] მდედარისა კ. სინანულით კ. [35] უკუთუ კ. ქრისტესთუის ნსხ.კ. დ.

74

1471. სასისხლო სიგელი ბაგრატ მეფისა მამისთუალ ზ[...]თაელისძისადმი

დედანი; ხეც. Hd-1537; რბილი ეტრატი, ზომა: 152,2×21. სამი კეფი: I – 54×19/21, II – 9,5×21, III – 58,7×21. კეფები ერთმანეთთან გადაკერებულია თეთრი აბრეშუმის ძაფით. დაზიანება: თავნაკლული, ზედა 5 სტრიქონის გასწვრივ მარჯვენა კიდე ნახევებით დასერილია, მეორე კეფის მარცხენა ამია უსწორმასწოროდაა მოხეული, თუმცა ტექსტის დაუზიანებლად, ხოლო მარჯვენა კიდე ტექსტიანად მოხეულია. პირველ და მესამე კეფებზე, რამდენიმე ადგილას, პატარა და მოზრდილი ნახვრეტებია. ერთ-ერთი ნახვრეტით დაზიანებულია ადრესატის გვარი. მელანი ყავისფერი, ხელი კალიგრაფიული მხედრული, თანაბრად დაცილებული მწყობრი სტრიქონები; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

სიგელი 1926 წ. საქართველოს მუზეუმს შესწირა კერძო პირმა – მარო კობახიძემ.

თარიღი: ქრონიკონი რნთ (159) /1471/.

საბუთის დამწერი: მღვდელი მახარებელი.

საბუთი ქვეყნდება პირველად.

...მათთუის წყალობა გუეყო და სიგლითა [ამით შე]|[2]გუენწყალნეს.

ვისმინეთ აჯა და მოჴსენება მათი. |[3]ვინათგან და მოკითხულიცა ქქენით და ძუელითგ[ან] |[4]ჩუენთა გუართა და პაპთაგან პატივცემულნი იყუნ|[5]ეს და ძუელნი სასისხლონი სიგელნი ჰქონებოდ|[6]ეს, ან კუალად შევინყალეთ, განუახლეთ და მიუბოძენი|[7]თ სიგელნი ესე ძალად და პატივად და სიმაგრედ თავი|[8]სად და სახლისა მათისა. ერთბამად კითხულობითა |[9]ეფისკოპოზთა, თავადთა, დარბაზისერთა და ვაზირთა ჩუ|[10]ენთათა სამართლად და ჯერჩინებითა საქმისათა, ვი|[11]თარცა შეჰგვანდა.

და გაუჩინეთ სამართალი სისხლისა: უ|[12]კუეთუ ვინმე იკადროს, მძლავრებითა ეშმაკისათა ჴელყ|[13]ოს და მოკლას, სამასი ათასი ძუელი ცხუმური და|[14]ეურვოს.

თუ მონაზონი იყოს ამა გუარისა, ანუ ხუცეს|[15]ი, გინა დიდებულმან ანუ აზნაურმან ანუ სხუამან კაცმან |[16][მძ]ლავრებით და უსამართლოდ ჴელთა შეიპყრას, სრული |[17]სისხლი ეზღოს. თუ ერისგანი შეიპყრას, ნახევარი სი|[18]სხლი დაეურვოს.

თუ ხუცესსა ცოლი მოუ...ნას, ს|[19]რულსა სისხლსა ორმოციათასი სხუა ემატოს. თუ ერ|[20]ისაგანსა მოუტ...ნას, ნახევარი სისხლია.

უკუეთუ სასაფლა|[21]ოსა ზედა დაესხას და გუამად ეკლესია გაუტეხოს, სრული |[22]სისხლი დაეურვოს.

თუ ღალატითა მოკლას, ორმ|[23]ოცი ათასი სისხლსა ემატოს.

თუ ცოლი ნაუღოს, ნ|[24]ახევარი სისხლი ეზღოს.

უკუეთუ ნაბრჭობი დაუჭიროს, |[25]ოცი ათასი სხუა ეზღოს და ნაბრჭობიცა შეექცეს.

თუ აგინო|[26]ს ვინმე პირდაპირ, ოცი ათასი თეთრი დაეურვოს. თუ |[27]დედაკაცი აგინოს, ორმოცი ათასი დაეურვოს საუპატიოდ.

|[28]უკუეთუ უსამართლო და მუქარა სთხოოს, თორმეტი ათასი |[29]თეთრი დაუ(უ)რვოს.

ნაკრავითა თუალისა წაყრა, ჴელ-ფერჴისა |[30]დაშავება, პირსა დაღი, წინასა კბილისა ჩაგდებინება, ნახევარი სი|[31]სხლისა არის.

თუ უჩინარსა ადგილსა დაღი დასუას, ორ|[32]ი გერში დაეურვოს. თუ გერში გამოართუას, ||[33]ოთხი ათასი დაეურვოს.

უკუეთუ ცხენი მოსტაცოს, ხუთი ათ|[34]ასი საუპატიოდ დაეურვოს.

დაღათუ ჯოგი ვინმე მოსტაცოს, |[35]რაზომისაცა სულისა იყოს, თუისთუისად გაძრცუილა და ორ|[36]კეცი საუპატიო დედათა დაეურვოს. და ერთი მამაცსა და ცხენე|[37]ბიცა უკლებად შეექცეს.

უკუეთუ სასახლესა ზედა დაესხას, დაიფო|[38]რაქოს და საქონელი წაუღოს, სრული სისხლი ეზღოს. და დე|[39]დათა და მამათა მათითა საუპატიო დაეურვოს. და ალა|[40]ფიცა უკლებლად შეექცეს.

თუ ცეცხლი ვინმე შეუდვას ანუ საბ|[41]ძელსა და ანუ ეზოსა და ახლოს რამე დაუწუას, სისხლისა მეს|[42]ამედი უზღოს.

უკუეთუ ვინმე საღალატოდ წავიდეს, თავადვე და[უ]|[43]შალოს, ანუ სხუათა დააშლევინონ, არა ზედ აც. თუ გა(ა)მართ[ლო]|[44]ს და სიკუდილსა ეცადოს და ესევითარი კაცი ღ(მერთმა)ნ მოარჩი|[45]ნოს, მისგან მკუდარი იქნების და ნახევარი სისხლი დაეურვ[ვოს] |[46]სიკუდილისა ცდისათუის.

თუ პატრონსა წინა უსამარ[თლოდ] |[47]შეასმინოს, ოცი ათასი თეთრი დაეურვოს.

თუ გას[ცეს] |[48]ვინმე, ნახევარი გამცემმან და ნახევარი წამღებმან გარდ[აიჴადო]||[49]ს, რაცა შეჰჴდეს. სასიკუდილოდ გამცემმან ნახევარი სისხლი უ|[50]ზღოს და სამეკობროდ გამცემმან ხუთი ათასი თეთრი უზ|[51]ღოს. ამად რომე, რაცა უარესი მოჰჴდების, გამცემისაგან იქნების.

|[52]ბოსტანსა შიგა თუ ჩაუჴდეს, მოპაროს და აუოჴროს, დედათა ს|[53]აუპატიო დაეურვოს.

თუ გრძნეულობა ანუ მწამლველობა |[54]დასწამოს და ვერ გატეხოს, სისხლისა ნახევარი ეზღოს. უკუეთ|[55]უ მეკობრე ზედდამსხმელი და გამწე მოკლას, მისი სისხლი ა|[56]რა ეთხოვოს.

ამას გარეთ სხუანი საუპატიონი და სადაღონი |[57]საქმენი, რანიც არიან: დაღათუ ვინმე მძლავრობით და ||[58]უსამართლოდ აწყინოს, დასხდენ მის ჟამისა მოურავნი |[59]და, ვით ამას განაჩენსა ხუდებოდეს, მით წესითა გაუჩი|[60]ნონ მტკიცე და უცვალებელი ბ(რძანე)ბა ესე და სიგელი.

გიბედნიეროს ღ(მერთმა)ნ თქუენ, ზ[...]თაელისძეთა მამის|[61]თუ-
ალსა და თქუენთა შვილთა: გ(იორ)გის, აღბუღას, და|[62]ვითს,
ნანიტასა და სულთმამას, ძმათა, შვილთა და მო|[63]მავალთა სახლისა
თქუენისათა ყოველთავე, ესე ჩ|[64]უენგან თქუენთუის სამკუიდროდ ბოძებუ-
ლი სისხლი|[65]ისა განაჩენი ამით წესით, რაგუარაცა გაჩენით დაგუიწ|[66]ერია.

აწ, ვინცა ნახოთ სიგელი და ბ(რძანე)ბა ესე ჩუენი შემდგ|[67]ომად ჩუენსა
მომავალთა მეფეთა და დედოფალთა, ერ|[68]ისთავთ ერისთავთა და კარისა
ჩუენისა ვაზირთა, დივანთა, მ|[69]წიგნობართა, მეჯინიბეთა, მერემაეთა, პურისა
და საკლავის|[70]ა მკრებელთა და ყოველთავე კარით ჩუენით წარვლენი|[71]ლთა
მოსაქმეთა და საქმის მოქმედთა, დიდთა და მცირეთა, |[72]დაუმტკიცეთ და
ნუვინ უშლავთ თუინიერ სიმტკიცისა და |[73]თანადგომისაგან კიდე. და თქუენ,
ქრისტეს მიერ ქართ|[74]ლისა და აფხაზეთისა კ(ათალი)კოზნო და
ყოველნო ეფისკოპოზნო, |[75]უჯუარობითა დაუმტკიცეთ.

დაიწერა წიგნი და სიგელ|[76]ი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა
მერვესა, |[77]ქ(ორონი)კ(ონ)სა რნთ, ჴელითა ფრიად ცოდვილისა, მღრდელ|[78]ისა
მახარებელისათა.

ძალზე რთულად გასარჩევი ხვეული ხელრთვა:
|[79]ბაგრატ (?)

75

1472. 2 იანვარი. წყალობის წიგნი კოსტანტინე მეფისა იოთამ მაღლანიძისადმი

დედანი; ხეც, Ad-1669; ყვითელი ფერის ეტრატი, ზომა: 39,7×18,6. დაზიანება: საბუთი მსუბუქად არის დაზიანებული, ეტრატის აშიები ოდნავ ჩამუქებულია, მარცხენა ამია მოხეულია ორ ადგილას და შევსებულია ქაღალდით. მელანი გახუნებული შავი; მწიგნობრული მხედრული, მწყობრად ჩასმული სტრიქონები, ტექსტის დასაწყისში ზის ხეულებით შემკული ქანწილი. ტექსტის პირველი სტრიქონი წარმოადგენს ზიგზაგოვანი ხეულებით შემკულ ხელოვნურად წაგრძელებულ ბუნებს, რომელთა წვერებზე დასმული გრაფემები შეადგენს ტექსტის დასაწყის ფორმულას. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საბუთს უზის ორმაგი თარიღი: 1. ქორონიკონი რნი (160) /1472/, იანვრის ბ (2); 2. კონსტანტინე მეფის მეფობის პირველი ინდიქტიონი.

საბუთის დამწერი: ნურბული ანდრონიკე.

შენიშვნა: საბუთის ადრესატის გვარი „მაღლანიძე" შესაძლებელია, გადაკეთებული იყოს. ეჭვს იწვევს, უპირველეს ყოვლისა, „მაღლანიძის" მოთავსება გადანაფხეკ ადგილას. ამ ეჭვს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ XVI საუკუნეში მოცემულ საბუთს უახლებენ მაღალაძე გედევანს. გარდა ამისა, სოფელ ზერტს, რომლის წყალობაზედაც ლაპარაკია საბუთში, 1470 წელს, დავით კათალიკოსი უწყალობებს მცხეთიშვილ ოქროპირ მაღალაშვილს (იხ. აქვე, გვ. 7, Ad-1498გ).

გამოცემა: [27], ს. კაკაბაძე, 115.

ქ. ჩუენ, ღმრთივ-გუირგუინოსან|[2]მან მეფეთა მეფემან კოსტანტინე, ნებითა და შეწევნითა ღ|[3](მრ)თისათა აფხაზთა, ქართუელთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, |[4]შარვანშაჰ, შანშე და აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდინ |[5]ჴელმწიფემან, ესე შეწყალებისა წიგნი და სიგელი ამისად ნიშნ|[6]ად გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ნამ|[7]სახურსა, ჩუენ თანა შეზრდილ-გაზრდილსა, დღე და ღამე ჩუენ|[8]ისა მორჭმისა და უზეშთაე ამოდ ყოფისა მომჭირნე და |[9]მეცადურ[სა] მ[ა]ღლანიძე* იოთ{ა}მსა.

გიბოძეთ ზერტი |[10]სოფელი, მოკითხული ვქენით და უწინცა თქუ|[11]ენი ყოფილიყო. ან, ახლად ჩუენ დაგიმტკიცეთ. |[12]გიბედნიეროს ღ(მერ)თმან და

* „მაღლანიძის" დასანყისი გრაფემების ადგილას ადრე სხა გრაფებები ეწერა, რომლებიც გადაფხეკილია და ზემოდან ანერია „მღ".

ჩუენსა ერდგულად სა|[13]მსახურშიგან მოგახმაროს ზერტი სოფელი |[14]მისითა ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქუილითა, |[15]ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, სასარ|[16]ითა და სახნავითა, სახმრითა და უხმრითა, მისითა|[17] ერთობილიანითა სამძღურითა.

გიბოძეთ თქუენ, |[18]ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურ|[19]სა, ჩუენ თანა შეზრდილ-გაზრდილსა მ{ა}ღლან{ი}ძესა |[20]იოთამს, და მამავალთა სახლისა თქუენისათა.

და არა|[21]ვინ დაგეციელოს არა ჟამისა გამოცუალებისათ|[22]უის და არა ორიანობისათუის, და არა ჩუნსა მო|[23]რჭმასა და უზეშთაე ამოდ ყოფაშიგან არავინ დაგეც|[24]ილოს. თუ ვინ დაგეცილოს, პირისა და პასუხი|[25]სა გამცემნი ჩუენ ვიყუნეთ.

დაიწერა ესე სიგ|[26]ელი ინდიკდიონსა მეფობისა ჩუენისა მეერთესათა, ქრ(ონი)კ(ონ)სა ||[27]რნი, თუესა იანვარსა ბ, ხელითა კარისა ჩუენისა |[28]მწიგნობრისა ნურბულისა ანდრონიკესათა.

დამტკიცება:

|[29]მე, პატრონსა კოსტანტინესა დამ|[30]იმტკიცებია.

მინაწერები XVI ს. ხელით:

მაღალაძეთ ჩვენც ასრე დაუმტკიცეთ გედოვა|[31]ნს თეძამზე ღორიჭედაშვილიც თავის |[32]მამულით.

ქ. ზერტის სიგელი მეფის კოსტანტინესაგან.

მრგვალი ბეჭედი სპარსული ლეგენდით.

[24] თუ ვინ] თუ ვინიერ ნსხ.

14[7]2. წყალობის წიგნი დავით კათალიკოსისა ოქროპირ მაღალაშვილისადმი

დედანი დაკარგულია. გვაქვს ერთი პირი: ხეც, Ad-1498გ, შეტანილი XIX საუკუნის პირების დავთარში.

საბუთს უზის მცდარი თარიღი – ქორონიკონი რ (100), რაც იძლევა 1412 წელს. ტექსტში მოხსენიებულ ისტორიულ პირთაგან არც ერთის ცხოვრების წლები არ უდგება 1412 წელს. საბუთის გამცემია დავით კათალიკოსი, მაშინ, როდესაც 1412 წელს საკათალიკოსო ტახტზე ზის ელიოზი. თ. ჟორდანიას ხელთ ჰქონია ამ საბუთის ი. ლიაძის მიერ გადაწერილი სხვა ნუსხა, რომელშიც მითითებული ყოფილა ქორონიკონი რკ (160), ანუ 1472 წელი. ეს თარიღი ეთანხმება საბუთში მოხსენიებული პირების ქრონოლოგიას – იგი გაუცია დავით V კათალიკოსს (1466-1479) ბაგრატ მეფის (1466-1478) ნებართვით. 1472 წლით ათარიღებს საბუთს ი. დოლიძეც.

საბუთის დამწერი: მთავარეპისკოპოსი იოანე.

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 290-291; 2) [7], ი. დოლიძე, 216-218.

ქ. თავდებობითა და შუამდგომელობითა [ღმრთისათა], ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ ქართლისა კათალიკოზმან დავით, ესე უკუნისამდე გასათავებელი და, რასა გინდავე ჟამთა ქცევა-გამოცვალებათა შ[ინა] მტკიცე და უცვალებელი წიგნი და სიგელი მოგიბოძეთ ნებითა ღმრთივ-გურგუინოსნისა მეფეთ მეფისა ბაგრატისათა, და კითხვითა და ნებადართვითა ყოველთა მცხეთიშვილთათა, თქუენ, მცხეთისავე ყმათა, მაღალაშვილსა ოქროპირსა და თქუენთა შვილთა: მღდელსა მახარებელსა, ზოსიმესა, ალექსისა, გერმანოზს, დავითს, გრიგოლს და ეგნატის, და ძმათა, შვილთა და მომავალთა სახლის{ა} თქუენისათა ყოველთავე.

შეგიწყალეთ და მოგეცით შეძუ{ე}ლებით მცხეთისა მკუიდრი და მოუდევარი: კავთისჴევს ივანი[ა]სძისეული მამული და სამცხეთიშვილო ნილი, რაც ერთს ძმათაგანსა მიხუდებოდეს სამამამთავრო, მითვე წესითა, როგორც ძველითგან ივანიასძეთა და ქადაგსა დიმიტრის ქონებია; ჩოჩეთს, რაც ივანი[ა]სძისაგან ნასყიდი მამული და მიწანი ზერტი, და, [რაც] ქადაგს დიმიტრის მომზღრობით [ქონებია].

---

[1] ჩვენ დ.[6] ქვენ დ. [7] თქვენთა დ. ალექსისა] ალექსანდრე ჟ. [10-11] მიუდევარი ჟ. [13] ძველთაგან ჟ. [14] ივანისძისაგან ნსხ. [15] მიმზრობით ჟ.

[გ]ქონდეს მისითა სასახლითა, ეკლესიითა, ჭურ-მარნითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, ველითა, ვენაჯითა, მინდვრითა, ტყითა, სანადიროთა, ჭალითა, სათიბითა, საჴმარითა, უჴმარითა, საძებრითა და უძებრითა და მისითა მიმდგომითა სამართლიანითა ერთობ ყუელათა. და გორსა – ფუშრუკაული, დიაკვნისძე ბეთლემის მი[მ]დგომითა, სამართლიანითა და უკლებრად.

ან, დღესითგან წაღმა გქონდეს [და გიბედნიეროს] ღ(მერ)თ(მა)ნ საყდრისა და ჩუენის{ა} ერთგულად სამსახურსა შინა თქუენ, მაღალაშვილს ოქროპირს და თქუენთა შვილთა მახარებელსა, და თქ(უე)ნთა შვილსა ზოსიმესა, ალექსისა, გერმანოზ[ს], მარკოზ[ს], დავით[ს] და გრიგოლს, ძმათა და შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე: კავთისჴევს ივანიასძისეული მამული ორი კვამლი კაცი; წინარეხს პირდაპირ, რაც ძველთაგანივანი[ა]სძეს ქადაგს დიმიტრის ქონებია; ჩოჩეთს, რაც ივანიასძისეულნი მიწანი არიან და ქადაგსა დიმიტრის მომზღვრებითა ქონოდეს, მისითა სასახლითა, ეკლესიითა, ჭურ-მარნითა, მთითა, ბარითა, წყლით{ა}, ნისქუილითა, ველითა, ვენაჯითა, სახნავითა, მინდვრითა, სანადიროთა, ჭალითა, სათიბითა, საჴმრითა და უჴმარითა, საძებრით{ა} და უძებრითა და, რაც კავთისჴევს მთასა და ანუ ბარს მამულნი ქონებიათ, მისითა მი{მ}დგომითა სამართლიანითა, სრულები[თ]ა და უკლებრად.

და თ[უ] ვინმეს ამ[ა] მამულის ნიშანი ქონდეს, მტკიცითა ამით სიგლით გაგვიმტყუნებია. რამეთუ სამუქფოთცა გაჯერებულნი არიან, ვინადგან სამკუიდროდ ქადაგს დიმიტრის ქონდა [და] იგი სრულიად უმკუიდრო იქმნა, ესრეთ რომელ, არც არა მისი ნათესავი დარჩა. და ვერავინ მოგუსარჩლოს, ვერა ადამის ტომი{ს} კაცი. როგორც საყდრისაგან და ჩუენგან მტკიცედ და სამკუიდროდ ბოძებული არის, არა შეგეცვალოს, არა მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომთა ჩუენთა მომავალთა კ(ათალიკო)ზთაგან, და არცა სხუათა მეპატრონეთაგან.

და, თუ ვინმე ამისად შლად ჴელყოს, შერისხდი შენ, დაუსაბამოო მამაო და ძეო და სულო წმიდაო. დამამტკიცებელნი ღ(მერ)თ(მა)ნ აკურთხნეს და წმიდამან [ამან] დედაქალაქმამან.

დაიწერა წიგნი ესე და სიგელი ესე ქორონიკონს რ[ი], ხელითა ფრიად ცოდვილის[ა] მთავარეპისკოპოზისა ი[ოან]ესითა.

ხელრთვა:
კათალიკოზი

---

[2] სანადიროთი ჟ. [4] ყოველთა ჟ.დ. [7] [და გიბედნიეროს]]-დ. [8] ჩუენის ჟდ. [9] ოქროპირს ჟ. [12] თქვენისათა ჟ. [16] სახლითა დ. [21] ვისმე ჟ. [26] სამკვდროდ ნსხ. [30] წმიდავ დ.

77

[1472]. პირობის წიგნი კალაურელებისა დავით კათალიკოსისადმი

დედანი; ხეც, Ad-626; მოყვითალო ქაღალდი, ზომა: 19,14×14,3. დაზიანება: საბუთი თავ-პოლო ნაკლულია, ტექსტის დასაწყისი ნაწილი მარჯვენა მხარეს, მარცხენასთან შედარებით, 2 სტრიქონით უფრო ღრმად არის მოხეული. ქვედა ორი სტრიქონი გადანაკეც ადგილზე მოხეული ყოფილა და გადუწებებიათ საფენ ქაღალდზე. საბუთის ზურგი და კიდეები გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. კონსერვაციის დროს საფენი ქაღალდის ზურგზე მიუწებებიათ საბუთის გადარჩენილი ნაგლეჯი, რომელზედაც მოთავსებული ყოფილა XVII საუკუნის მინაწერი: „რჲ (ასომთაერულით) — ეს თარიღი". მელანი შავი; აჩქარებული ულამაზო მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთის recto-ზე, II და III სტრიქონებს შორის, სინგურით ჩაწერილია მცხეთის საბუთებისათვის XVII საუკუნეში მინიჭებული სააღრიცხვო ნომერი ტმა (341). ამავე გვერდზე ფანქრით მიწერილია სინოდის კანტორის ნომერი №344.

პირი: სეა, 1449-1587. გადაწერილი თავნაკლული დედნიდან ს. კაკაბაძის მიერ. მისივე ცნობით, საბუთს თაში მიწერილი ჰქონია ორი ნომერი: №344 და საეკლესიო მუზეუმის — №626.

საბუთი უთარიღოა. თ. ჟორდანია მას ათარიღებს დავით IV კათალიკოსის (1447-1459) წლებით. ს. კაკაბაძე სარწმუნოდ მიიჩნევს საბუთის verso-ზე მოთავსებული მინაწერის ცნობას, რომლის თანახმად, საბუთი შედგენილი ჩანს დავით V კათალიკოსის (1466-1479) დროს, რჲ (160) ქორონიკონს, რაც გვაძლევს 1472 წელს. „კორპუსში" საბუთი დათარიღებულია მინაწერის ცნობის საფუძველზე.

გამოცემა: [41], თ. ჟორდანია, 270 (შემოკლებით).

მირონისა ღ(მერ)თ-მყო[ფელისა და წმიდისა მამისა დავით] |[2]გარეჯელისათა და დ[ოდო და ლუკიანესითა, ე]|[3]სე გასათავებელი პირი [გ]კ{ა}დრეთ და მოგახს|[4]ენეთ თქუენ, ქ(რისტე)ს ღ(მრ)თისა მ{ი}ერ ქ(ართლი)სა კ(ათალიკო)ზსა და(ვი)თს, |[5]ჩ{უ}ენ, დიდ<ა>მ(ა)ნ და მცირემან, ერთობლითა კალა|[6]ურელთა, მას ჟამსა, ოდეს ჩ{უ}ენსა და გორგიას|[7]შვილსა შუ{ა} ცოტა რამე სამ<ა>დურავი |[8]გამოვიდა.

აწ, ესე წიგნი მოგახსენეთ: |[9]თუ ამის უკანის თუ რამე ჩ{უ}ენგან ერთმანე|[10]თზედა ავკაცობა გამოვიდეს, თქუენი და თქუენი|[11]სა საყდარ{ი}სა

[1] ...მირონისა ღ(მერ)თ-მყოფელისა] ლოცვითა და მადლითა ჟ. [2-3] ესე]+ჟამთა ჟ. [3] გაადრეთ ჟ. მოგაჴსენეთ ჟ. [6-7] გორგიაშვილსა ჟ. [8] მოგაჴსენეთ ჟ. [10-11] თქუენის ჟ. [11] საყდრის ჟ.

შემცოდენი ვიყვნეთ, და კვა|[12]მლის თავსა ათას-ათასი თანგა მოგახს|[13]ენოთ შუა შემოუსველელადა ყოველისა კაცისაგან.

თუ ესე არა გავათავოთ, |[14]გვრისხავსმცა მამა, ძე და სული წმიდა და |[15]ესე ზემოწერილნი ღ(მრ)თისანი, რომელმ{ა}ნცა გავტეხოთ ესე დაპირება და ნიშანი

||[16] ҂҂҂҂҂҂
|[17] ҂҂҂҂
|[18] ҂҂

მინაწერი XVIII საუკუნის ხელით:
ქ. კალაურისა კახეთსა.

ვიყუნეთ ჟ. [12] მოგაჴსენეთ ჟ. [13] შემოუსლველად ჟ. [13] თუ ესე არა... ნიშანი]-ჟ.

1473. ნასყიდობის წიგნი მამესწარა მკერვალიშვილისა გიორგი ჭარმაულისადმი

დედანი; სეა, 1448-9221; მოყვითალო ფერის ეტრატი, ზომა: 47×27,5. დაზიანება: ეტრატი მსუბუქად არის დაზიანებული, ზედა ფართო აშიის გაცვეთილი კიდეები წაჭრილია სამკუთხა ფორმით; მარჯვენა აშია მრავალ ადგილას დასერილ-ჩახეულია. ნახვრეტები გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. შავი მელანი; წვრილი მწიგნობრული მხედრული, თანაბრად გამოყვანილი სტრიქონები; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

თარიღი: ქორონიკონირნი რნია (161) /1473/.

საბუთის დამწერი: ოქროპირი.

საბუთი ქვეყნდება პირველად.

ქ. ღ(მრ)თისა მამისა, ძისა და სულისა წ(მიდ)ისათა; თავდებობით{ა}, |[2]მინდობითა და შუამდგომლო{ბი}თა ყ(ოვლა)დ წ(მიდ)ისა ღ(მრ)თისმშობლი|[3]სათა; თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა პატიოსნ|[4]ისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა; თავდებობითა, მინდობითა |[5]და შუამდგომლობითა ყოველთა წმიდათა ზე|[6]ცისა და ქუეყანისათა.

ამა ყოველთა წმიდათა ღ(მრ)თისათა თავდებო|[7]ბითა, ესე უკუნისამდე გასათავებელი წიგნი მოგეცით და მოგახსენეთ ჩუ|[8]ენ, მკერვლისშვილთა მამესნარამან და ჩემთა შვილთა, ოქროპირამან და მირიან|[9]ამან, თქუენ, ჭარმაულსა გ(იორ)გის, თქუენთა შვილთა და მომავალთა ყო|[10]ველთავე.

მოგყიდე ჩუენ[ი} მკუიდრი მამული სავენაჯე ხერთვის[ი] მისითა |[11]მზღურითა, ჯუარისა ვენაჯსა ზედა მოკიდებით. და ავიღეთ თქუნგან ფასი |[12]სრული, რომლითა ჩუენი გული შესჯერდებოდა.

გიბედნიეროს ღ(მერ)თმან |[13]სიგრძესა შინა ჟამთასა. არავინ გამოჩნდეს მისი მოსარჩლე. და, თუ ვინ გამოჩნდ|[14]ეს, ჩუენ ვართ პასუხისა გამცემნი.

ამისნი მოწამენი არიან: ჟინვანისა ც|[15]იხისთავი ჯორჯოლასძე დავით, ჴორჭელასშვილი ნაცვალა, ბრინჯოსშვილი თევდ|[16]ორე, საღირასშვილი ბევროზა, სანჯ{ა}სძე დარჩია, კურდღელაძე ნადირა, ყურა|[17]სშვილი მამისა, ვირშელასშვილი გოგია, თევდორაშვილი ბაღნია.

verso ||[18]დაინერა ქ(რონი)კ(ონ)სა რნია, ჴელითა ფრიად ცოდვილისა ოქროპირისათა და მო|[19]წამეცა ვარ.

† † † †

მინაწერები XVII ს. ხელით:

1. გვიანდელი სათაური: სიგელი ხერთვის სავენაჯისა.
2. ქ. ესე წიგნი მე, აბიათრ, ვიპოვე და მივეც ჭარმაულსა.

79

1475. 10 თებერვალი. შეწირულების წიგნი მამია ზევდგინისძისა შიომღვიმის მონასტრისადმი

დედანი დაკარგულია. იგი ინახებოდა სინოდის კანტორის შიომღვიმის საბუთთა შორის ნომრით №14. გვაქვს პირი: სეა, 1449-1530, გადაღებული დედნიდან ს. კაკაბაძის მიერ. ტექსტს ახლავს დედნის არქეოგრაფიული აღწერილობა: „შიომღვიმის სიგელი №14, დაწერილი ტყავზე, ზომით 63,3/4×17,1/4 სმ. ნუსხახუცურით".

თარიღი: ქორონიკონი რჟგ (163) /1475/, თებერვლის ი (10).

საბუთის დამწერი: ბერი მარკოზი.

გამოცემები: 1) [34], თ. ჟორდანია, 75-76 (შემოკლებით); 2) [41], თ. ჟორდანია, 297 (შემოკლებით) (უ); 3) [20], ს. კაკაბაძე, 40-41 (კ).

ქ. სახ(ე)ლ(ი)თა ღ(მრ)თისათა, მამისა, ძისა და სულისა წ(მ)იდის(ა)თა; მეოხებ(ი)თა ყ(ოვ)ლ(ა)დ წ(მი)დისა დედოფლის ჩუენისა ღ(მრ)თისმშობლის{ა}თა, მარადის ქ(ა)ლწ(უ)ლისა მარიამის(ი)თა; ძლ(იე)რებითა ცხ(ო)ველსმყ(ო)ფელ(ი)სა და პატიოსნისა ჯ(უარ)ის(ა)თა და წ(მიდა)თა მ(ა)მათა ჩ(უე)ნთა: ი(ოა)ნე, შიო, დ(ავი)თ და ევაგრისითა, და ყ(ოვე)ლთა ღ(მრ)თისა წ(მი)დათა, ზეცისა და ქ(უე)ყნის{ა}თა. 5

ამათითა თავსმდებ[ო]ბითა და შუამდგომელ(ო)ბ(ი)თა, მე, ზევდგინისძემან მამიამან და მეუღლემან ჩემმან გ(უ)ლქ(ა)ნ, შ(ე)ვსწირეთ უდაბნოსა მღუმესა, აღშენებ{უ}ლსა სახელს[ა] ზ(ედა) წ(მიდ)ის[ა] მამის[ა] შიოჲსსა, მცირეოდენ[ი] შესანირავი ს(უ)ლისა ჩ(უე)ნისა საწსენებლ(ა)დ: ახ[ა]ტანს ვ(ე)ნაჴი ბატაური, ოთხი რუ˙ პრლჲბთა (sic) ზეით, შარაშისძისა ვ(ე)ნ(ა)ჴსა აქ[ე]თ, ბეშქენ[ი]სშვილის ვ(ე)ნ(ა)ჴსა იქით მისითა მზღურ[ი]თა, საწნეხლითა, წალმულითა და მისითა სამ[ა]რთლიანითა გზითა. 10

შევსწირეთ სააღაპოდ შიოსუბანს სამი კაბიწ[ი] პური დიდითა კაბიწით, სახასოსაგან.** და გავიჩინეთ აღაპ[ი] – დიდთა მარხვათა შ(ინ)ა მეორეთა შაბათ-კჳრია[კე]თ[ა] მამიასათჳს გარდაიჴდებოდეს, და მესამეთა შ{ა}ბათკჳრია[კე]თა გ[უ]ლქანისთჳს გარდაიჴდებოდეს აღაპ[ი], კარგაღებული და ყ(ოვ)ლით(უ)რთ უნაკლულო. 15

---

[9] მღუმისსა ჟ. მამისა]შამნისა ნსხ.კ. შიოსსა ნსხ. კ. [10] მცირეოდენ [12] [11] აქ[ე]თ] აქთ კ. [12] ბეშქენს შვილის კ. [14] კაბიწ კ. [15] სახასოსგნ კ. აღაპ კ. [17] გარდა იჴდიდეს ჟ.კ.

* ეს სიტყვა ჩამატებულია, – პირის გადამწერის შენიშვნა.
აღდგენა ეკუთვნის ს. კაკაბაძეს.

ვენაჯი ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ბატუნხელასშვილი მუშაობდეს და მამისა და წ(ინამძღურისაგან)[3] მეტი მას არა მიხუდებოდეს ამისთუის, რომე მისისა მუქ[ა]ფა[ა]თ სხუა აქუს და, რაცა იმა ვენაჯსა ტკბილი გამოვიდეს ორი ჭური, მე, მამიამან ჩავდგა. ესე ასრე გავიჩინე ჩემთა ძმისნულთა და შვ[ი]ლთა კითხვითა და ნებადართვითა.

წმიდაო შ¤ო, შეინირე მცირე ესე შესანირავი ჩ(უე)ნი, ვ(ითარც)ა ორნი მწულ(ი)ლნი ქურივისანი ქ(რისტემა)ნ ღ(მერთა)ნ და, რაცა ოდენ მღვიმეს ხუცესი იყოს, აღაპსა შიგა წირვასა ნუ დამაკლებენ.

ამისნი გამთავებელნი ღ(მერთმა)ნ აკ(ურთ)ხნეს და, ვ[ი]ნცა და რამანცა გუარმან კაცმან ჴელყოს ცვალებად და ანუ შლად, შე-მცა-იცვალების სჯ[უ]ლისაგან ქ(რისტე)ანეთას{ა}, ჰრისხავსმცა მამა, ძე და ს(უ)ლი წ(მიდ)ა და ჩ[უე]ნთამცა ცოდვათა და ბრალთათჳს განიკითხ[ი]ს წ(ინაშ)ე ღ(მრ)თისა.

დაიწერა სიგ[ე]ლი ესე თ(უე)სა ფებ(ე)რვ(ა)ლსა ი, ქორონიკონს{ა} რიგ, ჴელითა ბერის მარკოზისითა.

ხელრთვები:
მამია, გულქან

გადამწერის შენიშვნა:
დედანში ხელრთვები შესრულებული ყოფილა განსხვავებული მელნით.
იმავე მელნით დასმული ყოფილა ოთხი ჯვარი.
ტექსტის მელნით დასმული ყოფილა ცხრა ჯვარი.

[3] მუქფთ სხოა ნსხ. კ. როცა ნსხ.კ. [9] ვნცა კ.

* აღდგენა ეკუთვნის ს. კაკაბაძეს.

80

[1476 წ. ახლო]. წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა ამილბარ მაღალაძისადმი

დედანი დაკარგულია. გვაქვს ერთი პირი: სია, 1449-777, გადაწერილი 1820 წელს რუსულ გერბიან ქაღალდზე. ორი ფურცელი. გადანაკეც ადგილებში ტექსტი გაცრეცილია.

საბუთს უზის მცდარი თარიღი: ქორონიკონი ოთ (79), რც იძლევა 1391 წელს. ამ წელს ალექსანდრე მეფე ტახტზე არ იჯდა. საბუთის გამცემი შეუძლებელია ყოფილიყო ალექსანდრე დიდი (1412-1442), ვინაიდან საბუთის დამწერი არის წირქუალელისძე რატი, რომელიც გიორგი VIII-ის კარის მწიგნობრად ჩანს 1451 წლიდან (იხ. აქვე, გვ. 56, Qd-9601). ამდენად, საბუთის ავტორი ალექსანდრე მეფე შეიძლება იყოს მხოლოდ ალექსანდრე I კახთა მეფე (1476-1511), გიორგი VIII-ის ძე. რატი წირქუალელისძე გიორგი მეფეს თან გაჰყოლია კახეთში (სწორედ ისაა გიორგი VIII-ის 1468 წლის სიგელის დამწერი სვეტიცხოველისადმი. იხ. აქვე, გვ. 168, Hd-1370). ალექსანდრეს მიჩნევას საბუთის ავტორად ხელს არ უშლის ის გარემოება, რომ მოცემული საბუთით მაღალაძეებისათვის ბოძებული სამცხეთო მამულები, უკლებლივ ყველა, მდებარეობს ქართლში. მაღალაძეები ქართლში ჩამოუყვანია და სამცხეთო მამულებზე დაუსაჭმს გიორგი VIII-ს, რაზედაც რამდენიმე საბუთში (Hd-1352, Ad-1498-გ, Qd-6995), მათ შორის მოცემულ საბუთშიც არის მითხრობილი. ამრიგად, ალექსანდრე კახთა მეფე მაღალაძეებს ქართლის სამცხეთო მამულების მფლობელობას უახლებს თავისი მამის, გიორგი მეფის, მემკვიდრეობის უფლებით. საზოგადოდ, კახეთის მეფეები შემდგომ საუკუნეშიც ახლებენ ქართლის კათალიკოსებს ისეთ სიგელებს, რომლებშიც, გარდა კახური მამულებისა, ქართლისა და საათაბაგოს მამულებიც შეიძლება ყოფილიყო აღნუსხული. მოცემული საბუთით ალექსანდრე მეფე მაღალაძეებს უმტკიცებს სამცხეთიშეილო წილს, რაც, ჩვეულებრივ, მეფის პრეროგატივა იყო.

სავარაუდოდ, საბუთი გაცემულია ალექსანდრე მეფის ტახტზე ასვლიდან მოკლე ხანში, 1476 წლის ახლო, როცა მას უნდა განეახლებინა ძველი წყალობები. ამ გარემოებათა გათვალისწინებით არის 1476 წლის ახლო ხანები „კორპუსში“ საბუთის სავარაუდო თარიღად გატანილი.

საბუთის დამწერი: მუშრიბი წირქუალელისძე რატი.

საბუთი ქვეყნდება პირველად.

ჩუენ, მეფეთ მეფემან პატრონმან ალექსანდრე, ესე ამიერ უკუნ[ისა] დმდე უამთა გასათავებელი წყალობის ნიგნი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, მაღალაძე ამილბარს, დიმიტრის და გიორგის.

---

[1] ჩვენ ნსხ.

მას ჟამსა, ოდეს [სოფლისა ვითარებისაგან] პატიოსანი ივანი[ას]ძე გაბრიელ უმკუდრო იქმნა და მი[სი] სახლი და მამულნი ოჴერი დაშთა, ანუ, ბატონს მამა ჩუენს მოეყვანა დადეშით მამა თქუენი და მცხეთას სასწავლოდ აღეზარდა. და ის სოფლით გასულიყო და თქუენ დაშთომილიყვენით. შეგიწყალეთ და შეგიყუანეთ და დაგსუით პატიოსნის ივანი[ას]ძის მამულსა, სახლსა და ნატამალსა ზედა. და გიბოძეთ თქუენ, მაღალაძეს, მეორესა ივანი[ას]ძესა, ამილბარს და დიმიტრის და გიორგის, ქვათაჴევს [სასაფლაო], კარისბჭე, სენაკი და ბაღი და ბოსტანი; იქავ, კავთისჴევს – მონასტერი ყ(ოვლა)დ წმიდისა ბეთლემისა მისის მამულითა, ბაღითა და ბოსტნითა, და სენაკითა და ნატამალითა. იქავ – გლეხი კომლი ხუთი, [ოჩლაურში] სამი კომლი ს(ანიანები] და გიგაურის მამული, [მცხეთას – სენაკი და ჭ]ალა საკოკია.

კავთისჴევს ზვარი და ხოდაბუნი; ეზატს საკომლო ერთი, ვენაჴითა და მიწითა; გუდალეთს აქათ, დევისჴევს სამძღვარს აქათ, თქუენი რაც არის: მაღლა სოფელი ვარდიანი, მთა და ბარი, რომელიცა მათ ჰქონებოდეს საჴმარი, შესავალი და გასავალი, მიწა და წყალი, სანადირო [სახ]ლი და სამყოფი. დაბლა სოფელი ნიაბი, კომლი ოთხმოცი, მისის სამართლიანის მზღურითა, მთითა და ბარით{ა}, საჴმარითა და უჴმარითა, საძებრითა და უძებრითა და წყალზედ სათევზითა, სრულად, სამართლიანის მზღვრითა.

ქვემო ხანდაკს კომლი კაცი ორი – ვარდანა და გიორგი; მცხეთას სასახლე; და მარანს საკონე და საოჩხე; დიღვამს – სამი კომლი მზევაძე, იქავ ზვარი და სახნავი; მეტეხს – ნისქუილი და ორი ხოდაბუნი; მუხრანს – სოფელი კუნელა მთითა და ბარითა და საწყლისპიროთა.

ტფილისის ქალაქს მაზიტას სახლი, მამული და ბაღი, ბოსტანი, [წის]ქუილი; თუალზედ, ალევის ქედს, ერთი კომლი სვიანაძე და თეძამზედ, ქვენადრის[ს], პავლეს სახლი და მამული ეკლესიითა, მთითა და ბარითა, წყლითა, წისქუილითა და წყალითა, შესავლით{ა} და გამოსავლითა.

თრიალეთს ეძანისა და თავფარავ[ნ]ის მოურაობა, ქადაგობა. სამცხეთოსა მეათორმეტედის წილისაგან ერთი შენა.

მამათმთავრობა დიღმის წყალს ზემოთ, გორისჯვარს ზემოთ, სკრამდი.

ეს[ე], რომელ{ნ}იც მამულნი და [აგა]რაკნი და სახელონი ქონებოდეს გორს ფუშრუკაული დიაკონისძის{ა}, ისე ყუელა უნაკლულებლად გიბოძეთ ყოვლის კაცისა მოუდევრად და უსარჩელად.

---

[4] [სოფლისა ვითარებისაგან]] დი და+ ნსხ. [5] მამულნი]+ მისნი ნსხ. [15] კავთისხევს ნსხ. [24] წისქვილი ნსხ. [26-27] წისქვილი ნსხ. [26] ფეზიტას ნსხ. [27] თვალზედ ნსხ. [28] ეკლესიითა]+და ნსხ.[29] წისქვილითა ნსხ. [34] ყველა ნსხ. ფუშრუკაულის ნსხ. [37] გვიბრძანებია ნსხ.

გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ სუეტის ცხო[ვლისა] და ჩუენსა სამსახურსა და ერდგულობასა შინა. არავინ გუიბძანებია მშლელი და მქცეველი ამისი. დამამტკიცებელნი ამისნი ღ(მერ)თ(მა)ნ აკურთხოს.

დაიწერა ქ(ორონი)კ(ონ)ს ოთ, ჴელითა წირქუალელის მუშრიბის რატისათა.

გადამწერის შენიშვნა:

ზის ბეჭედი მეფის ალექსანდრესი, აზის ბეჭედი კათალიკოზისა და სხუათა.

მეორე გვერდის ბოლოს სარეგისტრაციო მინაწერი:

ღუბერნსკის მარშალი მუხრანისბატონი კოსტანტინე, გორის უეზდის კეთილშობილი დეპუტანტი თ(ავად)ი მირმანოზ ერისთოვი. თფილისის კეთილშობილი დეპუტანტი თ(ავად)ი ზურაბ ორბელიანი, თელავის უეზდის დეპუტანტი მაიორი ევგენ ქობულოვი, სიღნაღის უეზდის დეპუტანტი თ(ავად)ი ივანე ენდრონიკაშვილი.

რუსულად:

Секретарь Григорий Семеков

[1476-1511]. შეწირულების განახლების სიგელი [ალექსანდრე] მეფისა სვეტიცხოვლისადმი

პირი; სეა, 1449-1604, გადაღებული დედნიდან ს. კაკაბაძის მიერ. პირს დართული აქვს დედნის არქეოგრაფიული მახასიათებლები: ზომა 14,1/4×14,1/4; ძველი საარიცხვო ნომერი №488. საბუთი ფრაგმენტულია, აკლია ტექსტის დასაწყისი და შუა ნაწილი. საბუთის გამცემი მეფის იდენტიფიკაცია ემყარება მინაწერის ცნობას: საბუთს ჰქონია მინაწერი: „კახეთის მეფის ალექსანდრე გ(იორგი)ს ძისა“.

საბუთი უთარიღოა. მინაწერის გათვალისწინებით, იგი დათარიღებულია კახეთის მეფის, ალექსანდრე I-ის ზეობის (1476-1511) წლებით.

საბუთი ქვეყნდება პირველად.

ბიწმენ[ი], ჯუარი, ახალშენნი მათითა შესავლითა, რაცა აზნაურისშვილები არის არაგუს აქათ, მათითა მამულითა. მით წესითა, რაგუარაცა პატრონთა მეფეთა – პაპისა და მამისა ჩუენისა ჟამშინა ყოფილა და [გ]ქონებია სახასო მამული და აზნაურისშვილები. ამას გარეთ, რაცა აქათ მამული გაკლია, ისიცა მოგაჴსენოთ. ასრე რომე, რაცა არაგუს გალმა მცხეთის მამულნი და სოფელნი არიან, პატრონთა ჩუენთა ძმათა მოგანებონ და არა დაგაკლონ რა.

შენიშვნა:

პირის გადამწერს გადმოულია ხელრთვის ფაქსიმილეები.

82

1477. 4 ივლისი. ნასყიდობის წიგნი პალატისშვილებისა არდაშერასშვილებისადმი

დედანი; ხეც, Qd-9814ა; ეტრატი, ზომით: 74×26; დაზიანება: მარჯვენა ბაზა და სტრიქონთა კიდეები დაფარულია ნესტის ლაქებით, ასეთ ადგილებში მელანი გადასულია, მარჯვენა კიდე უსწორმასწოროდაა მოხეული. მელანი გახუნებული შავი; წერილი, ოდნავ აჩქარებული მწიგნობრული მხედრული, რომელიც იწყება თანაბარი სტრიქონებით, მაგრამ კეფის დასასრულს ძალზე შემჭიდროვებულია, verso-ზე მარჯვნივ გადაბრილი. განკეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთის verso-ზე მიკრულია ქაღალდის პატარა ნაგლეჯი ძველი არეგისტრაციო ნომრით №24.

თარიღი: ქრონიკონი რნიე (165) /1477/, ივლისის დ (4).

გამოცემა: [1], ნ. ბერძენიშვილი, II, 3.

ქ. სახელითა ღ(მრთისა)თა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისა|[2]თა; მეუხებითა ყოვლა{დ} დიდებულისა და ყოვლა{დ} წმიდ|[3]ისა დედოფლისა ჩუენისა ღ(მრ)თისმშობელისა და მარ|[4]ადის ქალწულისა მარიამისათა; და წმ[იდის]ა ზეცისა ძალ|[5]თა, მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა; და წმ|[6]დისა იოვანე ნათლისმცემელისა; და წმიდათა ყოვლად |[7]ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრე და პავლესითა; |[8]და წმიდათა წინასწარმეტყუელთა: დავით, მოსე, ელია და |[9]ელისესითა; და წმიდათა მღდელთმოძღუართა: |[10]ბასილი, გრიგოლ, ოქროპირი და ნიკოლოზისათა; |[11]და წმიდისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა პატ|[12]იოსნისათა და წმიდათა მახარებელთა: მათე, მარკოზ, |[13]ლუკა და იოვანესითა; და წმიდათა მოწამეთა: გ(იორგ)ი, თევ|[14]დორე, დიმიტრისითა; და წმიდათა ცხრათა დასთა ანგელოზთა |[15]და სამეოცდაათთა მოწაფეთა; და წმიდათა შიშველ |[16]მართალთა, განშორებულთა მესუეტეთა და მეუდაბნოეთა.

|[17]თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა |[18]ყოველთა წმიდათა ღმრთისათა, ზეცისა და ქუეყანისათა, რომე|[19]ლნი საუკუნითგან სათნო [ე]ყუნეს უფალსა ჩუენსა იესოს |[20]ქრისტესა და კუა{ლ}ადცა სათნო-ყოფად არიან.

[18] წმიდათა]+და ნსხ. [19] იყუნეს ნსხ.

ამათ ზემოთ |[21]წერილთა წმიდათა მოწმობითა და შუამდგომლობითა |[22]ესე მტკიცე ნასყიდობისა სიგელი დაგიწერეთ და მოგე|[23]ცით ჩუენ, პალატისშვილთა: ნიკოლოზ, ზა{ა}ლ, ავთა|[24]ნდილ, ბეშქენ, დემეტრე, და შვილთა ჩუენთა: რამინ, |[25]ერანგი და ჯანგაშერ და ზავრან და შვილისშვილთა |[26]და მომავალთა გუარისა ჩუენისათა, ყოველთავე, თქუენ, |[27]არდაშერასშვილსა გოგიტ{ა}ს და შენთა შვილთა: ლაგა|[28]ურს და პაპიასა, და შენთა შვილისშვილთა: მამულასა, |[29]შალვას და მამაგულასა.

|[30]და მოგყიდეთ ჩუენი მკუიდრი მამული |[31]კრწანისი[ს] ვენაჯი, შენგანვე აშენებული, ყოვლისა კაცისაგან |[32]მოუდევარი და მოუსარჩლელი მისითა წყლითა, რაგუარა|[33]ცა ამას წინათ ჰქონებია, მისითა გზითა და მისითა სამზღ|[34]ურითა; გოსალასშვილისა და გრიგოლასა და ლიტრასა ვენაჯსა |[35]შუა, გზასა ქუეით. და ავიღეთ ფასი სრული და უკლები, რითაცა |[36]გული ჩუენი შესჯერდებოდა. და მისი ფასი საყდარსა მოვახმარეთ.

|[37]გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან, როგორაცა თქუენგან მკუიდრსა |[38]ნასყიდსა მამულსა მართებს, აგრე. ვერავინ დაგეცილოს, და თუ ვინ|[39]მე მცილე და მოსარჩლე გამოჩნდეს, პირისა და პასუხისა გამცემნი |[40]ჩუენ, ერთობით პალატისშვილნი, ვიყუნეთ.

ვინცა და რამანცა გუ|[41]არისა კაცმან, ანუ ჩუენისა გუარისა კაცმან, ანუ სხუისა გუარისა კაცმან |[42]შეგიცვალოს, რისხავსმცა დაუსაბამო ღ(მერ)თი, მამა, ძე და სული წმიდ{ა}. და ესე ამას |[43]ზემოთ წერილნი წმიდანი ღ(მრ)თისანი. და შე-მცა-ედების ძრწოლა კაენისი, და |[44]შიშთუილება იუდასი, და
verso კეთრი გეეზისი, და მეხისტეხა ||[45]ლამექისი, თანა-დანთქმა აბირონისი, გოდლისა დაცემა სელოვამისი. |[46]მას ზედამცა დაესრულების წყევა იგი, რამეთუ სწყივა ქრისტე|[47]მან ლელუსა და მეს{ა}მე დღესა მეღუსეულად ძირითურთ აღმოიფ|[48]ხრა. დამატკიცებელნი და გამთავებელნი ღ(მერ)თმან აკურთხნეს, ამინ.

|[49]დაიწერა ჟამსა მეფეთ მეფისა ბაგრატისა და ქრ(ო)ნ(ი)კ(ონ)სა რნიე, თვესა |[50]იულის[ს]ა დ, ჴელითა მიწა იოვანე ხუცისათა †

|[51]მე, ნიკოლოვაზ, ამისა გ{ა}მთ{ა}ვებელი ვარ.

|[52]† † † ჩუენ, ავთანდილ, ბეშქენ, |[53]დემეტრე, ამისნი გამთავებელნი ვართ.

|[54]ესე ჯუარი ზა{ა}ლისი და გამთავ|ებელი ვარ.

|[55]მე, ფილიპე ხუცესი მოწამე ვარ †

|[56]მე, ამბრისშვილი იოვანე ამისი მოწამე ვარ †

|[57]ჩუენ, დარჩიბეგისშვილი დავით და |[58]მათესშვილი მახარებელი და თევდორესშვილი ბასილი ამა მამული{ს} |[59]დამფასებელნი ვიყუენით და მოწამ|[60]ენიცა ვართ † † †

|[61]ჩუენ, ზა{ა}ლის ყმანი: ჯანიბ|[62]ეგა, სუჯა და ნუქრადინ, ივანე |[63]მოწამენი ვართ † † †

|[64]ჩუენ, გოსალასშვილი ნიკოლოზა და |[65]ბადრიასშვილი გრიგოლა და ლიტრა{ს} |[66]სიძე გიორგი, მოწამენი ვართ.

---

[35] ფასით ნსხ. რათაცა ნსხ.

|[56]ჩუენ, გოგიტას მეზობელნი: ულუ|[57]ბეგა, ანტონე, ჯანბახშა, გრიგ{ო}ლ, |[58]ღარიბშა, მახარებელი, მოწამენი ვართ.

|[59]ქ. მე, მეუნაგრე ხატისა და გუპენასშვილი მჭედელ{ი} ||[70]მურადა ამისი მოწამენი ვართ. |[71]მე, თუმანბეგასშვილი სადათიერ |[72]ამის მოწამე ვარ. |[73]და არცა კულუხი გეთხოვებოდეს.

შენიშვნა:

ბოლოში უზის ოთკუთხა ბეჭედი სპარსული ლეგენდით.

83

1477. ანდერძი მამისა მეჯინიბეთუხუცესისა თავის ძმისწულ ზაქარიასადმი

ედანი; ხეც, Hd-1354; ეტრატის გრაგნილი, ზომა: 63,5×18,5. წითელი აბრეშუმის ძაფით გადაკერებული ორი კეფი: I – 30×18,5, II – 33×18,5. დაზიანება: ეტრატს მოხეული აქვს ზედა მარჯვენა ალია, რამდენიმე ადგილას დაფარულია შავი და მონაცრისფრო ლაქებით, აქვს ნახვრეტები; კალიგრაფიული მხედრული, თანაბრად დაცილებული სტრიქონები; ბაცი ყავისფერი მელანი, ალაგ-ალაგ გადასული. განკუთვილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

თარიღი: ქრონიკონი რ სამოცდახუთი (165) /1477/.

საბუთის დამწერი: მახარებელი.

გამოცემები: 1) [10], ე. თაყაიშვილი, 16-18; 2) [8], ი. დოლიძე, 819-822.

ქ. სახელითა ღ(მრ)თისათა სამ(გუ)ამოვნად ცნობილისა, ერთარსებისა, |[2]ერთუფლებისა და ერთ{ღმრ}თ{ა}ებისა; ღ(მრ)თისა მამისა, ღ(მრ)თისა ძისა და |[3]ღ(მრ)თისა სულისა წმიდისათა.

თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგო|[4]მელობითა ყ(ოვლა)დ წ(მიდ)ისა, უხრწნელისა, უმეტეს კურთხეულისა, დედოფლისა ჩუე[ნ|[5]ი]სა ღ(მრ)თისმშობელისა და მარადის ქალწულისა მ ა რ ი ა მ ი ს ი თ ა.

ძლიერები|[6]თა ცხოველსმყოფელისა და პატიოს[ნის]ა ჯუარისა, ძელისა ცხორებისათა. ოხი|[7]თა და შუამდგომელობითა წმიდათა და ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მ|[8]თავარანგელოზთა მ ი ქ ა ე ლ და გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ი თ ა.

თანამოქმედება მდგომარეობი|[9]თა წ(მიდ)ისა და ყოველთა დედათა ნაშვთა უზენაესისა წინასწარმეტყუელისა და წინამო|[10]რბედისა და ნათლისმცემელისა ი(ოან)ე ს ი თ ა, და წ(მიდ)ისა ი(ოან)ე მახარებელისა და ღ(მრ)თისმე|[11]ტყუელისათა.

თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წ(მიდა)თა |[12]და თავთა მოციქულთა პ ე ტ რ ე ს და პ ა ე ლ ე ს ი თ ა, ათორთა მოციქულთა და სამ|[13]ეოცდაათეულთა ქ(რისტე)ს მოწაფეთათა.

თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომე|[14]ლობითა წ(მიდა)თა მოწამეთა: გ(იორ)გი, თ(ევდორ)ე, დიმიტრი, პროკოპი და პ ა ნ ტ ე ლ ე-

---

[1] ღმრთისა დ. [2] ერთღთაებისა თ. [3] თავსმდებობით თ. [3-4] შუამდგომლობითა დ. [6] ცხოველსმყოფელისა და]-და თ. [8] გაბრიელისათა თ. დ. [9] უზესთაესისა თ. [12] წმიდათა და]-და დ. [13-14] შუამდგომლობითა თ. დ.

იმონისი|[15]თა, და ნ(მიდა)თა ქალწულ-მოწამეთა: თეკლა, ეკატირინა, ირინა, მარინა და ბარბარ|[16]ესითა, და ყოველთა ქრისტესთუის წამებულთა, რომელთა დასთხივნეს სისხლნი |[17]მათნი და სისხლთა დათხევითა გუირგუინ[ოსა]ნ იქმნნეს.

ოხითა და შუამდგო|[18]მელობითა წმიდათა წინასწარმეტყუელთა მღრდელთმოძღუართა მოწამ|[19]ეთა და ნეტართა მამათა, და ყოველთა ღმრთისა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა, |[20]რომელნი საუკუნითგან სათნო ეყუნეს უფალსა ჩუენსა იესოს ქრისტესა ||[21]და კუალადცა სათნო ყოფად არი- *II კეფი*
ან, და ყოველთა ჩრდილოეთისა* |[22]კედართა შორის უაღრეს-უზენაესისა კათოლიკე დედაქალა|[23]ქისა მცხეთისა საყდრისა, და მუნ შინა ღ(მრთ)ივ-აღმართებულისა სუეტი|[24]სა ცხოველისა, კუართისა სამეუფოსა და მირონისა ღ(მერ)თ-მყოფელისათა.

ამათ |[25]ყოველთა ღ(მრთ)ისა ნ(მიდა)თა თავსმდებობითა და შუამდგომელობითა, მე, ყოველთა კა|[26]ცთა უნარჩევესმან, მეჯინიბეთა უხუცე(ს)მან მამისამან, ესე უკუნისამდე ჟამთა |[27]გასათავებელი ანდერძისა წიგნი მოგეც შენ, ჩემსა ძმისწულსა ზაქარიას კითხვითა |[28]და დამონმებითა წმიდისა მეუფისა კ(ათალიკო)ზისა დავითისითა და ყოველთა ჩემთა უფროს|[29]თა მცხეთისშვილთათა, მას ჟამსა, ოდეს ცოდვათა ჩემთა სიმრავლისაგან უმ|[30]ცილოდ დავრჩი და ჩემი კერძი შვილიერობა დასრულდა.

ამას წინათცა ერ|[31]თსახლნი და გაუყოფელნი ვიყვენით და, აწცა, ისრევე დავაგდე ჩემი სახლი და მამ|[32]ული, ასრე რომე, რაცა საყდრისა და კათალიკოზთაგან წყალობა გუჭირდა და |[33]მამული მქონდა, ყუალა ჩუენთუის სამკუიდროდ ბოძებული იყო და მამულიცა ერთი |[34]და გაუყოფელი იყო. აწ იმავე წესითა, გაუყოფლად მე დავაგდე და მოგეც შენი |[35]და ჩემი კერძი – ორივე ასრე და ამა წესითა: რაცა სამცხეთისშვილი წილი და საძმო |[36]ჩუენსა სახლსა მოხდომია, იმავე წესითა მოგხუდებოდეს. მცხეთას რაცა სახლი |[37]და მამული არის, იგი უკლებად გქონდეს. კარსანს გლეხნი სამნი: ღუინიასშვილი, სოლ|[38]ომონასშვილნი და მიხითარასშვილი მათითა მამულითა; ჯუარს – ესემბუღასშვილი|[39] მისითა მამულითა; და ძაგნაკორნათა შალვიასშვილი, ხუტლიასშვილი და სარუე; ახატა|[40]ნს – ვენაჯი სულიაური და სოფელი ხატისწობენი მისითა შესაველითა და |[41]გამოსაველითა. მით წესითა, რაგუარაცა საყდრისა კ(ათალიკო)ზთა და მეფე|[42]თაგან სამკუიდროდ ბოძებული არის.

ესე ასრე გაგითავდეს და არა|[43]ვინ დაგეცილოს, რაგუარაცა არავინ გემართლების და, რაგუარაცა სხუა|[44]სა არავის მართებს ესე ჩუენი მამული და მონაგები. აგრეთვე არავინ მო|[45]გიშალოს შენ, ჩემსა ძმასა ზაქარიას და შენთა შვილთა და მომავალთა |[46]ყოველთათვე. და ვინცა ესე ჩემი ნაღუანი და ანდერძი მოგიშალო|[47]ს და შეგიცვალოს, შე-მცა-იცვალების სჯულისაგან ქრისტიანე|[48]თასა. რისხავსმცა დაუსაბამო ღ(მერ)თი, მამა, ძე და სული წმიდა; ყოველ|[49]ნი წმიდანი ღ(მრ)თისანი ზეცისა და ქუეყანისანი; კრულმცა არს ცათა |[50]შინა და ქუეყანასა ზედა. ნურათამცა სინანულითა

---

[17] სისხლითა დ. [19] მამათათა (!) თ. [21] კუალადცა დ. [26] მამისმან დ. [28] დავითისათა დ. [43] დაგაცილოს დ. [44] აგრეევე ეერავინ თ. [46] ესე] ეს დ. [47] და]-თ. [50] ნურათამცა]

* ეს სიტყვა დედანში მეორდება.

იქმნების ჴსნა სული|[51]სა მისისა და ჩემთამცა ცოდვათა და ბრალთა მზღველი არს |[52]წინაშე ღ(მრ)თისა. და ვინ და(ა)მტკიცოთ, ღ(მერთმა)ნ [ყ]ოველი
/// კეფი გაგებული მის[ი] ||[53]მტკიცე ყოს. ამისნი მოწამენი არ[იან] [.....] ჯუ|[54][ა]რისმტვირთველი თ(ევდორ)ე, გობირახუასძე ვირშელი და სულთამამა |[55]ანთაჴუისძე ნუგზარ, ცოცხასძე კახა, მთავარასძე იმარინდო, კუირილესშ|[56]ვილი დიმიტრი, დეკანოზი იორდ{ა}ნე, გაბრიელისშვილი ბადრ|[57]ი და ერთსულობით მცხეთისშვილნი.

დაიწერა ქ(ორონი)კ(ო)ნსა რ სამოცდახუთს|[58]ა, ჴელითა ფრიად ცოდვილისა მახარებელისათა, და მოწამეცა ა|[59]რს.

[53-54] მტუირთველი თ. [54] თ(ევდორ)ე] იე იოანე? თ. გიბირახუასძე თ.დ. ვირშელი] ვირშელი(?)+გი(?) დ. და]-თ. [55] მთვარასძე ამირინდო თ. დ.

84

1477. შენირულობის წიგნი დედაბერ ნინოსი ქვათახევის მონასტრისადმი

დედანი დაკარგულია. გვაქვს პირი: სეა, 1449-1488, გადაწერილი დედნიდან ს. კაკაბაძის მიერ. ტექსტს ახლავს დედნის არქეოგრაფიული მონაცემები: „1477 წ. სიგელი ქვათახევისა №5, დაწერილი ლამაზის ხელით 165 ქორონიკონს, ტყავზე ზომით: 74,1/2×19,1/2 სმ“. დედნის განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საბუთი გატარებულია 1818 წ. გუჯრების წიგნში: სეა, 1451, 3. №5.

თარიღი: ქორონიკონი რ სამოცდახუთი (165) /1477/

საბუთის დამწერი: ქდაგი მახარებელი.

გამოცემა: [19], ს. კაკაბაძე, 20-21.

ქ. ტომებით ასულო ადამისო, და მადლით დედაო ღ(მრ)თისაო, რომელი ჴსნისათუის ჩუენისა ნყალობით აღიძარ და სათნო-ყოფითა მამისათა და წინამძღურობითა სულისა ნმიდისათა მაღალი იგი, ძე ღმრთისა, ძედ შენდა იწოდა; და ღ(მრ)თეებით უქცეველმან შეიმოსა ბუნება ადამისი და დაჰჴსნა მწუხარება ევასი და ნაშობთა მისთა.

ჭეშმარიტო სალხინებელო კაცთა ბუნებისაო, წინასწარმეტყუელთა ჭეშმარიტო მო[ს]წავებაო, დაეით, პირველისა მამისა შენისა დაუჭნობელო ვარდო, სოლომონის ქებაო ქება[თა]ო, რომელსა გარემოგადგენ სამეოცნი ძლიერნი, რომელ არიან სიტყუანი საღმრთოთა წერილთანი; პატიოსან[ო] ძღუენ[ო] კაცთა ნათესავისაო, სახელდიდო და ქალწულდედობით ახალო, მზესა ქუეშე ანგელოზთა ცხორებისა მასწავლელო კაცთა, რომლისა მიერ დაიჴსნა შუა კედელი მტერობისა და განქარწყლდა პირველი, რომლისა მიერ მოვიღეთ კურთხევა საუკუნო და ღირს ვიქმნენით პირველსავე პატივსა სამოთხისასა, რომლისა მიერ ვიცანთ შემოქმედი უმეცართა და ვიჴსნენით ტყუეობისაგან მწარისა ყოველსავე სჯულისა. ქებათასა აღმატებულო, ყოველად წ(მიდა)ო ვლაქერნისა და ქვათაჴევისა ღ(მრ)თისმშობელო!

მე, მსასოებელმან ძისა შენისამან და მინდობილმან ცვა-ფარვათა თქუენთამან, ყოველთა ადამის ნათესავთა უნარჩევესმა[ნ] და უცოდვილესმან,

---

[8] ქებაო ქებაო კ. გარემოგადგან ნსხ. [9-10] პატიოსან ძღუენ კ. [12] განქარწყევა ნსხ. კ. [14] უმეცარითა ნსხ.

ქაჩიბასძეთა სახლშიგა დაბერებულმან დედაბერმან ნინო, ვიგულვე და ვიგულსმოდგინე, ვითარ შეინირნა ძემან შენმან მწულილნი იგი ქურივისანი.

და მეცა არა სასოწარკუეთილ-ვიქმენ და შევსწირე და მოვაჴსენე ტაძარსა თქუენსა ქვათაჴევისა მონასტერსა, და მუნ შინა დამკუიდრებულთა მღრდელთა და მონაზონთა მცირე ვენაჴი, რომელი მოვიყიდე ჩემითა ალ[ა]ლითა ფასითა ქურციკაულისა ღ(ვ)თისავარასაგან და მისისა შვილისა ზა[ქა]რიასაგან და მისთა მომავალთაგან, კითხვითა და ბ(რძანე)ბითა დიმიტრის ძისა მეფისა კოსტანტინესითა, ვენაჴი ჴალისა ტყლაპაურა მისითა სასარითა და ჴალისა საღობავითა, სადამდის ქურციკაულმან სამანნი ჩაგუისხნა და აიღო ფასი სრული, რომლითა მისი გული შესჯერდებოდა. და მომყიდა უსარჩლელ-უცილობლად ყოვლისა ადამის ნათესავისა კაცისაგან და მე თქუენ, მონასტერსა და კრებულთა, მოგაჴსენე.

და თქუენ ინებეთ და გამიჩინეთ დეკემბერსა ათცამეტსა აღაპი კარგაღებული. გარდაიჴდებოდეს მღრდელთაგან წირვითა, და ამა აღაპისა ნირვასა შინა სახარებასა ზედა მეფე კოსტანტინე შენდობით მოიჴსენებოდეს. და მონაზონთა და დედაბერთაგან შენდობით ცოდვილი სული ჩემი მოიჴსენებოდეს. და ერთი ხუცესი ჩემისა შვილისა ნატიკისათუის შეიმოსებოდეს.

შეინირე, ჰოი, ყოვლად წმიდაო ღ(მრ)თისმშობელო, მცირე ესე შესანირავი და მიოხე წინაშე ძისა შენისა დღესა მას დიდსა განკითხვისასა.

ან, ვინცა ესე ჩემგან ნაღუანი და დიდა[დ] ჭირნახული ქვათაჴევისა მონასტერსა გამოაჴუას და შეცვალოს, შე-მცა-იცუალების სჯულისაგან ქრისტეანეთასა, რისხავსმცა დაუსაბამო ღმერთი, მამა, ძე და სული წმიდა; კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა შუიდთა კრებათა და ხუთთა პატრიარქთა მადლითა და ჯუარითა; შე-მცა-ედების კეთრი გეზისი, შიშ[თ]ვილი იუდასი, დანთქმა დათან და აბირონისი, მეხდატეხილობა დიოსკორესი; ნესტორს და ორიგინეს და პეტროზ მკანრვალისა თანამცა არს ნაწილი და სამკუიდრებელი მისი.

და შენ, ყოვლად წმიდაო ღ(მრ)თისმშობელო, მისგან იძიე შური ჯუარისმცუმელთა ძისა შენისათა. და ვინ დაამტკიცოს, ღ(მერთმა)ნ აკურთხოს.

ამისნი მოწმენი არიან და შუა დამხდომნი ერთსულობით ქვათაჴევისა კრებულნი: ბასილისძე მახატელი, დედანასშვილი მახარებელი, მონესელისძე მიქა.

მე, ქადაგსა მახარებელსა დამიწერია და მონამეცა ვარ. დაიწერა ქ(ორონი)კ(ონ)ს რ, სამოცდახუთსა.

დამტკიცება:

ქ. ჩ(ვე)ნ, ერთსულობით ძმანი და კრებ(უ)ლნი ამისნი მ(ო)წმენი და გამთავებელნი ვართ.

† †

მინაწერები დედანზე:

1. მხედრულად, მახარებლის ხელით: ჯუარი და ნიშანი ქურციკაულისა ღთისავარასი.

---

[9] ქურციკულმან კ. [10-11] შესჯერდა კ. [17] ნატიფისათუის კ. [26] ორიგინს ნსხ.კ.

2. გვიანდელი სათაური XVII საუკუნის ხელით:
გულიტასი არის, ანდრიაშვილისა.

3. მინაწერი საბუთი სხვა ხელით:

სახელითა ღ(მრ)თისათა, მამისა, ძისათა და სულისა წმიდისათა; მეოხებითა ყო(ვ)ლად წმიდისა ელაქერნად წოდებულისა ქვათაჴევისა ღ(მრ)თისმშობელისათა, მარადის ქალწულ-მახარებლისათა.

ამათითა თავდებობითა და შუამდგომელობითა, ესე უკუნისამდის ჟამთა გასათავებელი წიგნი და სიგელი მოგეც მე, ანდრიასშვილმა გულიტამა და ა[ვ]გაროზამა, იმედამა, შალვა, მახარებელმა, შენ, დედაბერსა მაროს. და ავიღეთ შენგან სა[ა]ღაპე და დავიდევით ერთის კოდისა სამოცი პური და ერთი კოკა ღვინო ოცლიტრიანითა. ამას მოვიტანდეთ ქვათაჴევს გიორგობისა თვის რვასა, მთავარანგელოზობასა. ყოველთა წელინადთა მოვიტანდეთ და დეკანოზ-კანდელაკთა და ბერ-მოლოზანთა მიერთმეოდეს. ვინცა და რამანცა გვარისა კაცმა [მ]ოგიშალოს, რისხავსმაცა ღმერთი და ამა ზემო წერილნი ღ(მრ)თისანი. არიან მოწამენი: დეკანოზი მორჩილ[ი]სძე, კანდელაკი ჟაჟილასშვილი.

† † † † †

4. სხვა ხელით:

ქ. არის ამ აღაპისა ფასი ოცი მარჩილი. ვინ იცის, აღაპისა ქნა აღარ შეგვეძლოს, ამ ფასის მამული საყდარს დაუდვათ და მის წინამძღუარსა და დეკანოზსა და კანდელაკსა მიაბაროთ.

---

[5] წოდებულისა ნსხ.კ. [11] მივიტანდეთ კ. ქვათახევს ნსხ. [14] ოგიშალოს კ. [20] წინამძღვარსა ნსხ.

85

[1478/1479]. სასამართლო განჩინება ამილახუარისა და კათალიკოსის სამამულო დავაზე

დედანი დაკარგულია. ინახებოდა სინოდის კანტორის საბუთებში, სადაც უნახავს თ. ჟორდანიას ნომრით №476. მისი ცნობით, ტექსტი ნაწერი ყოფილა ქაღალდზე, მხედრული ხელით. გვაქვს ნაკლული პირი: სია, 1449-1628, გადაწერილი ს. კაკაბაძის მიერ დედნიდან.

საბუთი უთარიღოა. თ. ჟორდანიას საბუთი გიორგი VII-ისა და კონსტანტინე I-ის მეფობის თანმხვედრი წლებით (1401-1413) დაუთარიღებია, მაგრამ არაფერს ამბობს, რის საფუძველზე. როგორც ჩანს, საბუთში მოხსენიებული ბაგრატ მეფე მას ბაგრატ V-დ, ხოლო იმარინდო ამილახუარი, მის თანამედროვედ მიუწნევია.

საბუთში მოხსენიებული ბაგრატი შეიძლება იყოს მხოლოდ ბაგრატ VI, რომელიც 1455 წელს (ზოგიერთი მონაცემით ოდნავ უფრო ადრე) გამეფდა იმერეთში, ხოლო 1466 წლიდან ქართლ-იმერეთის მეფე ხდება. ამას ადასტურებს საბუთის შემდეგი ცნობები: 1. დაეა შეეხება წიწამურის მამულს, რომელიც სადავო გამხდარა მცხეთასა და ზევდგინისძე-ამილახორებს შორის. ზევდგინისძეთა მიერ წიწამურის დაბრუნებაზე ლაპარაკია აგრეთვე ზევდგინისძეთა საჩივრის წიგნში (Hd-14903), რომელიც შედგენილია არაუგვიანეს XV საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისა. 2. ბაგრატ VI-ის სასარგებლოდ მიუთითებს საბუთში მეფის მოხელეებად ღუღასბერისძისა და ინასარისძის მოხსენიებაც, რომლებიც მოხელეთა რანგში, ბაგრატ VI-თან ერთად დასავლეთ საქართველოდან ქართლში გადამოსულნი ჩანან. საბუთიდან ჩანს, რომ იმარინდო ცოცხალი აღარაა, ასევე გარდაცვლილად იგულისხმება ბაგრატი (1478). ამდენად, საბუთი შეიძლებოდა შედგენათ 1478 წლის შემდგომ, მაგრამ არაუგვიანეს 1479 წლისა. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოებაც, რომ ერთ-ერთი მოდავე მხარე, ქართლის კათალიკოსი, ჰყვება დავის ისტორიას, რომლის მოწმე და მონაწილეც თავად ყოფილა. აშკარაა, რომ ძველი დავის მონაწილე და მოცემული გარიგების მხარე კათალიკოსი ერთი და იგივე პირია. ეს პირი კი შეიძლება იყოს დავით V კათალიკოსი, რადგან მხოლოდ იგი მოესწრო ბაგრატის ქართლში მეფობას და მის გარდაცვალებასაც. თავად დავით კათალიკოსი გარდაიცვალა 1479 წელს. ამ მონაცემთა გათვალისწინებით მოცემული საბუთი თარიღდება 1478/1479 წლით, ანუ ბაგრატ VI-ის გარდაცვალებიდან კათალიკოს დავით V-ის გარდაცვალებამდე.

გამოცემა: [41], თ. ჟორდანია, 205 (შემოკლებით).

...ებულიყუნენ. ვითა სარჩლა პატრონმან კ(ა)თ(ალიკო)ზმან და [სრ]ულიად მცხეთოანთა: ჩუენი საქმე [საფი]ცარი არა არის, მძღუარი პირველად პატრონმან ამილახუარმან გუიჩუენა და მას უკანის პატრონმა კ(ა)თ(ალიკო)ზმან და სრულად მცხეთელთა.

კიდევე სარჩლა პატრონმან კ(ა)თ(ალიკო)ზმან, ვითა პატრონისა იმა- 5
რინდო ამილახუ[ა]რისა ჟამშიგან პატრონმან მეფემან ბაგრატ შუა დამხუდომად ღუღასბერისძე და ინასარისძე გუიბოძნა, ვითა: „რაზედაცა ირჩიან, მიდით და გარდაწყუიდეთ“. მაზედა ჩუენ ჯუარი პატიოსანი ჩამოვასუენეთ და დავიფიცეთო.

და პატრონმან ამილახუ[ა]რმან და გუარამ – არა დაფიცულაო და 10
სიგელიცა მოიტანეს. და სიგელი მცხეთიონთა ჰქონდა, მძღუარი გაჩენით არცა ერთშიგა ენერა.

მისი ასრე გავაჩინეთ: პატრონმან ამილახუარმან და პატრონმან გუარამ შეუსახელონ მცხეთიონთა, რომე სამითა აზნაურისშვილითა და ერთითა თათართათა და კუამლად ჯუარელთა შეჰფიცონ პატრონსა 15
ამილახუ[ა]რსა და პატრონ[ა] გუარამს, რომელიცა გუარამ შეუსახელოს. და დაიფიცონ მცხეთიონთა ასრე, რომე: ზევდგინისძეთა ნინამური იყიდეს მეფეთაგან, რასაცა პატრონი ამილახუ[ა]რი და გუარამ მძღუარსა სარჩლობდეს, რომე იმა მძღუარითა არა ეყიდოს ზევდგინისძეთა წინამური. ანუ აასუენონ ჯუარი პატიოსანი მცხეთიონთა და დაიფი- 20
ცონ, რომე ესე წინამური არისო, და ესრე საჯუარო არისო – მთა და ბარი. და დაიჯეროს გუარამ. და თუ ვერა დაიფიცონ მცხეთიონთა, რაცა გუარამ ისარჩლა, მასვე ჰქონდეს იმავე მზღურითა.

მ(თავარეპისკოპო)ზი ალავერდელი.

5-6 ამირინდო ჟ. 6 ჟამსა შიგან ჟ. 7 დამხდომად ნსხ. ღულასბერიძე და ინასარიძე ჟ. 9 ჩამოუსუენეთ ჟ. 10 პატრონმა ჟ.

86

[1478 წ. ახლო]. საჩივრის წიგნი [ზევდგინისძისა]

დედანი; ხეც, Hd-1798; ქაღალდი, ზომა: 42,7×11; დაზიანება: აკლია თავი და ბოლო. უსწორმასწორო ნახევები აქვს მარცხენა მხარეს, ტექსტი ძლიერ არის დაზიანებული. გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ყავისფერი მელანი; ხელი კალიგრაფიული მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

პირი: სეა, პ. კარბელაშვილის ფონდი 1461, 14, №3.

საბუთი უთარიღოა. საბუთი ერთ-ერთია იმ რამდენიმე საჩივრის წიგნთა შორის, რომლებიც შეეხება ზევდგინისძეების საგვარეულო დავებს (Hd-1798, Hd-1799, Hd-1800, Hd-14903 Hd-14631, Hd-14904ა, Hd-14904ბ, Hd-14632, Hd-15046). ყოველი მათგანი ძლიერაა დაზიანებული და ფრაგმენტულად გადმოგვცემს დავის გარემოებებს, მაგრამ ერთობლიობაში ისინი ერთმანეთს ავსებენ და მეტ-ნაკლები სიმწყობრით, მაგრამ უაღრესად საინტერესო ცნობებს გადმოგვცემენ ზევდგინისძეთა სახლის წარსულიდან, რომლის ქრონოლოგია თითქმის საუკუნოვან პერიოდში თავსდება. მომჩივანი ზევდგინისძის სახელი, ავთანდილი, ჩანს მხოლოდ ერთ საბუთში (იხ. აქვე, გვ. 237; Hd-15046), რის საფუძველზეც ეს სახელი დანარჩენი საჩივრების სათაურებშიც იქნა აღდგენილი.

საჩივრები შედგენილია ბაგრატ VI-ის გარდაცვალების შემდეგ (1478), კონსტანტინე მეფის დროს, მეტი ალბათობით, მისი მეფობის დასაწყისში, რადგან მომჩივანი, რომელიც საკმაოდ შორეულ ამბებს იხსენებს, არც თვითონ ჩანს ახალგაზრდა და არც ის პირები, რომელთაც თავისი სიმართლის დასამტკიცებლად მოწმეებად ასახელებს ნ. ბერძენიშვილი საჩივრების შედგენის დროდ XIV საუკუნის 80-იან წლებს მიიჩნევს. არსებითად ასევეა დათარიღებული ეს საბუთები „კორპუსში“, მხოლოდ უფრო მეტი სიზუსტისათვის მითითებულია 1478 წლის ახლო ხანები.

გამოცემა: [2], ნ. ბერძენიშვილი, 39-40.

ტექსტის დაზიანებული ადგილების აღდგენისას, ხშირ შემთხვევაში, გაზიარებულია ნ. ბერძენიშვილის აღდგენები.

[ბატონო დარბაისერნო!] გაიგონეთ ჩუენი საქ[მე, |[2]ოდეს მეფე [გიორ]გი ოვსეთით მოვიდა, სხ|[3][უილოსი ამო]წყუედილნი დახუდეს. ორნი ქა|[4]ლნი დახუ]დეს სხუილოსელთა, ერთი კოჭლი |[5]იყო. გიორგი მეფე]მან ასრე უბრძან[ა]: [„კოჭლსა ქალსა ვინ]ცა შეირთავთ, ამა სხუილოსუ|[6]რსა

მამულსა მო]გცემ". ის კოჭლი შეირთო |[7]...ზევდგინისძემ]ა და უბოძა სხუილოსური მამული. |[8]გამოჴდა დიდ]ი ხანი და გაილაშქრა გიორგი მე|[9]ფემან თათარ]თა. იქ ჩემი გუარის კაცი ოცდაცხრა|[10]ნი დაჴოცნეს] და ერთი ჴელთა დაირჩუნეს. დ|[11]ა ათაბაგსა ა]ღბუღას თათარნი მიუჴდეს. ერთ[ი]|[12] [...] თავადი თათარი დარჩა ჴელთა და ის |[13]ჩემის გუარის კაცი] იმითა დაიხსნა დიდმა აღ|[14]ბუღა. გაუშ]უა და იმავე მკუიდრსა მამულზედა |[15]მოვიდა.

და ქართ]ველნი ერთობ დაღონებულნი |[16]იყუნეს. წამოვიდა გიორგი] მეფე და აღბუღას შეეხუეწა |[17][...] გამოარჩიევს ერთი უშვილო კა|[18]ცი. უთხრეს: „მე]ფე ჴელთა შევიპყრათ და ქართლი |[19]ჩუენ დაგურჩ]ებისო". ჭუკას გუარის კაცმან ჩემსა |[20]გუარის კაცსა გა]ანდო. იმან მეფესა არა დაუმალა. |[21]უთხრა მეფეს]ა: „დასტურად გუიღალატებენო". |[22]ღამეს, რო] მელსა უღალატებდეს, მეფის საგებ|[23]ელში ის ჩუე]ნი გუარის კაცი დანვა და მეფე ნ|[24]ავიდა. მივიდეს და ჩემი |[25]გუ]არის კაცი დაირჩუნეს და მწოვედ დაკო|[26]დეს და სიკუდილ]სა ულამოდეს და, როგორაცა ეს |[27]ცნეს, რომე ზ[ევდგინისძე არისო, აღარ მოკლეს. |[28]მას უკანის] მოვიდა ამავე ჩუენსა დიდსა მამ|[29]ულზედა და უბო]ძ ა მეფემა ნასისხლად მღუიმე მი|[30]სითა შესავლი]თა სასაფლაოდ, ახალციხე – სამოცი კ|[31]უამლი კაცი] ესახლა – და ხუთი დახატული ჩარდა|[32]ხი ...]ი მოწყობილი უბოძა სისხლად. |[33]მას უკა]ნის მამისა და თაყა, მამისას შვილი, თა|[34][...თა]ყას შვილნი ავთანდილ და ჯანიბ[ეგ]...*

[9] იქ] აქ B. [16] [წამოვიდა]] წარვიდა B. [26-27] როგორაცა ეს [ცნეს]] როგორაც ეს [იცნეს] B. [28] [მას უკანის] – B. [33] [მას უკა]ნის] ნის B.

* ბოლო სტრიქონი საბუთში აღარ იკითხება.

[1478 წ. ახლო] საჩივრის წიგნი [ზევდგინისძისა]

დედანი; ხეც, Hd-1799; სიძველისაგან გაყვითლებული ქაღალდი, ზომა: 42,5×15,5; დაზიანება: აკლია თაეი და ბოლო, მარცხენა კიდეზე სხვადასხვა ზომით ტექსტი მრავალგზისაა ამოგლეჯილი. დაკრულია საფენ ქაღალდზე. ჭვირნიშანი: ხარის თაეი შვიდფურცელა ყვავილით; ყაეისფერი მელანი; ხელი კალიგრაფიული მხედრული; განკეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საბუთი უთარიღოა. დათარიღებულია კონსტანტინე II-ის გამეფების საწყისი პერიოდით (დასაბუთება იხ. აქვე, გვ. 228, Hd-1798).

გამოცემა: [2], ნ. ბერძენიშვილი, 40-41.

...სა მამულზედა წავიდა და ავთან|[2][დილ სხუილოსურსა] მამულზედა დადგა. ავთანდილს [...] |[3][...ცხ]ენი წაექცა და დედაკაცსა ეეღარა და|[4][...]. მოიყვანა მისი ტანი ძმისწული |[5][მამა] ჩემი, და [იმა] მკუიდრსა მამულზედა დასუა. და ბ|[6][იძასა] ჩემსა თაყას ბარათა ზრდიდა. გაუწყრა მე|[7][ფე კოს]ტ[ან]ტი[ნე] შვილსა – მეფესა ალექსანდრეს, [და] |[8][ალე]ქსანდრე მეფე ათაბაგსა ივანესთანა წავიდა, |[9][და მამა]ჩემი თან წაჰყვა ღარიბობას. ხუთსა ნე|[10][ლი]წადსა ღარიბობას იახლა.

კოსტანტინე მეფ|[11][ემან] ჩალაღანს გაილაშქრა და იქი მოკლეს. მო|[12]ვიდა მეფე ალექსანდრე და მის ტახტზედა დაჯდა. |[13][მო]ვიდა მამა ჩემი იმავე მკუიდრსა მამულზედა, სხუ|[14]ილოზედა, დაჯდა. მაშინდელი აღარავინ ცოცხალა |[15][ზაქ]არიას მეტი და ზაქარიას ჰკითხეთ, როგორა ჰ|[16][ყვ]ა მეფესა ალექსანდრეს მამა ჩემი. მერმე თაყ|[17][ა]ცა მოიწიფა და ორნივე კამყოლად ჰყვეს |[18]და მსახურებდეს ამავე ჩუენითა მკუიდრითა მამ|[19]ულითა.

მერმე დაჯდა ვახტანგ ბატონად და ბი|[20]ძა ჩემი ამილახორი მისი ქუისლი იყო. და ჴელ|[21]თა შეიპყრა ვახტანგ მეფემან და არცა ერთი გ|[22]ლეხი შეუცვალა მამაჩემსა. ასრე უბრძანა: „შენ|[23] არა შეგიცოდებია-რა, არას წაგართომ“. და ისრე|[24]ვე აქონა მისი მკუიდრი მამული. ბიძაჩემი ლეხ|[25]თ-იმერით ტყუედ ჰყუანდა და მამაჩემი გორს ციხ|[26]ეს უდგა. და არა დააკლო-რა მისის მკუიდრის |[27]მამულისაგან, ასრე მკუიდრი არის. არც ერთი კუა|[28]მლი კაცი არა შეუცვალა მეფემ ვახტანგ მამა ჩ|[29]ემსა.

ბატონო დარბაისერნო! ასრე ძუელ|[30]ითგან ნამსახურნი ვართ მეფეთანი. რის თავზე|[31]და ნავჴდით, თქუენვე გაიგონეთ.

---

[7] მე[ფე კოსტა]ნტინი ბ. [9] ღარიბობასა ბ. [16-17] თაყ|[ა]ც ბ. [21] არც ბ.

[1478 წ. ახლო]. საჩივრის წიგნი [ავთანდილ ზედგინისძისა]

დედანი; ხეც, Hd-1800: ქალალდი, ზომა: 37×15; დაზიანება: აკლია თავი და ბოლო, მარცხენა მხარე ტექსტიანად უსწორმასწოროდ დიდზეა მოხეული; ჭვირნიშანი: ხარის თავი შვიდფურცელა ყვავილით. გამაგრებულია სარესტავრაციო ქალალდით. ყავისფერი მელანი; ხელი მწიგნობრული, მწყობრი მხედრული; განკუთვილობის ნიშანი: ორწერტილი ჯოველი სიტყვის შემდეგ. verso-ზე უზის ძველი სარეგისტრაციო ნომერი №2.

საბუთი უთარიღოა. დათარიღდება კონსტანტინე II-ის გამეფების საწყისი პერიოდით (დასაბუთება იხ. აქვე, გვ. 228, Hd-1798).

გამოცემა: [2], ნ. ბერძენიშვილი, 41-42.

...[გიორ]გი [მ]ე|[2][ფე... ქუთათ]ისი წაართო. ჩემი |[3][ძმა...გა] მოიყვანეს ციხიდაღ[მა. |[4]... და არცა] ერთი კუამ[ლი] |[5]კაცი [არა დამაკლო-რა, იმა] ჩემთუის მოცემულზედა იყო. |[6][...] ბა[გრა]ტ ქუ[თათი]სს გაილ[აშ]|[7]ქრა [... გიორგი] მეფე. შევიბენით, მოგ|[8][ვერივნენ] ჩემი ძმა ჴელთა დარჩ[ა]. |[9][გიორგი მეფესთანა ქუთა-თ]ის ვიყავ და ღ(მერ)თმან იპრიანა, გიო|[10][რგი მეფ]ე მე წამოვიყვანე. და ოცდაოთხი |[11][შუბი] და ისარი და ჴრმალი მესო, ისეთმან წამო|[12][ვიყ]-ვანე. ერთობილნი მონამენი არიან დარბაი|[13]სერნი. ასრე ნამსახურსა და მას ქუეშე მკუდარსა |[14]მას წამსვე ციხე დამიქცივეს. რის თავზედა |[15]მიყო, ყველა იცით, ბატონო დარბაზისერნო! |[16]მოვიდა ჩემი ძმაცა და დაგუიპყრნა გიორგი |[17][მე]ფემან კიდევე ჴელთა და ასრე გუიბძანა: „რაცა |[18][აზნაუ-რიშვილ]ები დარჩა ჴელთა, გამოაშუები|[19][ნეთ], კარგია, თუარემ არცა ერთსა არ გაგი|[20]შუებ“.

დაჰპირდა ჩემი ძმა გამოშუებასა და ზა|[21]ალ ტყუედ დაიჭირეს აქა. და ასრე უბრძანა მეფე|[22]მან: „თუ აზნაურიშვილებსა არ მამისხამ, ზაალს |[23]ყურუმშის მივსცემო“. ამისნი მონამენი მ|[24]რავალნი არიან. ის კიდევე დააღარიბნა და მე |[25]დამიჭირა, და ისივ მამული კიდევე მაქონა.

ჭო|[26]პარტს ზაქარია ებოძა მეფესა ჩემთუის: „ალონს |[27]წამამყევ და, რაცა შენი მკუიდრი არი|[28]ს, არას დაგაკლებ, ისრევ მოგცემო“. ამისი მო|[29]წამე ზაქარია არის. აწ, ამაშიგა ზაალ თათარჩიგა |[30]მიპყვანდა. ასრე ვთქუი: „ჩემი გუარის კაცი მის დ|[31]ღეჩიგა თათარჩიგა არ დატყუე-ბულა, ამას ||[32]რასათუის ვიქ, რომე ისი ტყუედ წაიყვანონ“? |[33]თუმც იმ დღესა ზაალის გულისათუის არ მე|[34]ქნა, არცა ერთსა კუამლსა კაცსა არ დამაკ|[35]ლებდა გიორგი მეფე. ესეცა თქუენვე |[36]გაიგონეთ, ბატონო დარ-ბაზისერნო!

89

[1478 წ. ახლო]. საჩივრის წიგნი [ავთანდილ ზეკდგინისძისა]

დედანი; ხეც, Hd-14903ბ; სიძველისაგან გაყვითლებული ქაღალდი, ზომა: 37×15,5. დაზიანება: აკლია თავი, კიდეები მოხეული აქვს, განსაკუთრებით დასაწყისში, ტექსტი დაზიანებულია, ალაგ-ალაგ მუქი ყვითელი ლაქები. დაკრულია საფენ ქაღალდზე. ჭვირნიშანი: ხარის თავი შვიდფურცლა ყვავილით. მელანი მუქი ყავისფერი; ხელი: მწიგნობრული მწყობრი მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საბუთი უთარიღოა. თარიღდება 1478 წლის ახლო ხანებით ამავე ჯგუფის სხვა საჩივრებთან ერთად (დასაბუთებისათვის იხ. აქვე, გვ. 228, Hd-1798.

გამოცემა: [2], ნ. ბერძენიშვილი, 43-44 (გამოცემაში მცდარადაა მითებული საბუთის შიფრი – №14631).

[... მათისა გულისა]თუის და მათი[სა გაუყ]რელობისათუის თა-
თა]|[2]რჩიგა წავე. სამსა წელი[წადსა ...] |[3][...] მათის გულისათუის ცხენს ვ[იჯექ...]. [შეიპ|[4]ყ]რა ათაბაგმან გიორგი მეფ[ე და გარდმოვიდა მე|[5]ფე] ბაგრატ. მე ბატონსა დავითს ასრე [მოვა|[6]ჴ]სენე: „თუ შენ ბაგრატ მეფისა ყმა არ შეიქნ|[7]ები, მე ჩემსა მამულსა არავინ მამცემს". წაუვიდა [მი]|[8]ს ძმასა ჩემის მამულის გულისათუის და ბაგრატ მე[ფი|[9]ს]ა ყმა შეიქნა: თუმცა ყმა არ შექნილიყო. ჩე|[10]მსა მამულსა არავინ მოგუცემდა. ამისი მოწამე ბა|[11]ტონი დავით არის.

ახალციხე მამისა ბიძაჩემსა ჰქო|[12][ნ]და. წინამური მცხეთისათუის შეწირული იყო, |[13]ღურო ჯანდიერიშვილსა ჰქონდა. ასრე წამირ|[14]თმევია, არას ბატონისათუის ჩოქი არ მიქნია. |[15]თუ ამას იტყუიან, თუ ბაგრატ მეფემან მოგუც[ა] |[16]მამულიო, სადამდისი იმავე ჩემგან ნაშოების |[17]მამულიდაღმა – წინამურიდაღმა – ასი კოკა ღუი|[18]ნო არ მივეცით, მანამდის გორის მოურაო|[19]ბა არ გუიბოძა. ასრე არა გუაქუსრა ბაგრატ მეფის|[20]გან.

აწ, ამაშიგა მოვიდეს თათარნი. და მეფესა |[21]ბაგრატს ასრე ებძანა ჩემისა ძმისა ამილახორისათუის: |[22]„გორს შემიდეგო". გორს ისი აღარ შევაყენეთ |[23]და ჩემი ძმა სულმამა შევაყენეთ. თუ ჩუენი [არ] |[24]იყო მამული, მაშინ რასათუის არ გუიბრძანა ამილ|[25]ახორმან, თუ: „თქუენი არ არის მამული, რასათუის |[26]მოჰკუდებიო"? მე ჩემის მამულის გულისათუის

[3] ცხენს [ვიჯექ]-ბ.

მო|[27]ვკუე.* თუ ამას იტყუიან, თუ: „სულმამა ჩუენ |[28]დავიჴსენითო", მათ, დია, ცოტა გამოიღეს. ჩემის|[29] ჴრმლით ნაშოებითა დამიჴსნია. თუით სულმამა |[30]არის მოწა[მე], მერმე თუით ეს ბატონი ჴელმწიფე |[31]მეფე არის მოწამე.

დიდი მალი შემოგუაგდო ბა|[32]გრატ მეფემან. ბაგრატ მეფე მოკუდა და უზუნ ასან ||[33]ამა ბატონსა მეფესა დაუწყო თხოვნა. მიმი|[34]ცემია *verso* ჩემის მამულის გულისათუის. ჩემი მამული |[35]ამოწყუედილი იყო, ის ვერსა გამოიღებდეს და ჩე|[36]მითა ჴრმლითა ნაშოვნი მე გამოვიღე – ხუთას|[37]ი თანგა ერთხელ, რვაასი ერთხელ და ცხრაასი ე|[38]რთხელ. ამისი მოწამე თუით ბატონი მეფე ა|[39]რის. თუ ჩემი მკუიდრი მამული არ იყო, ჩემ[მ]ა ძმამ |[40]ეს რასათუის არ მითხრა: „შენი მამული არ არის, შე|[41]ნ რასათუის გამოიღებ საქონელსა"? ესე ყუელა ჩემ|[42]ის რძლის შერთვაზედა წაგუეკიდა.

* ამ სიტყვის შემედეგ გადაშლილია „მერმე".

[1478 წ. ახლო]. საჩივრის წიგნი [ავთანდილ ზევდგინიძისა]

დედანი; ხეც, Hd-14904a; სიძველისაგან გაყვითლებილი ქაღალდი, ზომა: 27×15,5. დაზიანება: საბუთს აკლია თავი, მარცხენა გვერდი დაფლეთილია, მარჯვენა – დალაქავებული, ტექსტი ძნელად გაირჩევა. დაკრულია საფენ ქაღალდზე. ჭვირნიშანი: ხარის თავი შეიდფურცელა ყვავილით; გამკრთალებული ყავისფერი მელანი; აჩქარებული მწიგნობრული მხედრული; ამავე ხელითაა დაწერილი Hd-14904ბ; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

პირი: სეა, პ. კარბელაშვილის ფონდი, 1461, 14, №4.

საბუთი უთარიღოა. თარიღდება კონსტანტინე II-ის მეფობის საწყისი პერიოდით ამავე ჯგუფის სხვა საბუთებთან ერთად (დასაბუთებისათვის იხ. აქვე, გვ. 228, Hd-1798).

გამოცემა: [1], ნ. ბერძენიშვილი, 45-46 (გამოცემაში საბუთის შიფრი მითითებულია მცდარად – №14632).

ანუ თუმანისი უნდოდა, ანუ მუ[რვანისი, ანუ] |[2]ზაქარიასი, ანუ ჯანისი და რატისი, მ[ურვანისა შ]|[3]ვილსა. თუ თაყამან ჩემი ძმა იშვილა, |[4][თავადთა] მოწმობითა უნდოდა, თუ არა, გაბე|[5][ლისძის] დივნის დაწერილითა და გაბელის[ძის |[6]ჴე]ლჩართულითა. ჯაკულობითა შვილობა იქ[ნა] |[7]და გაბელისძის ნიშნითა მეუბნების, მამუ|[9][ლი] ჩუენი მკუიდრი იყო და ჩუენ, ძმანი, ერთ |[9][სახლნი] ვართ. ჩუენსა მამულსა ვინ წაგუიღებდა, მაგ|[10][რამა] ყუელა გაბელისძემან თავის გამოღმა |[11][ქნა]. თუ არა, მეფეთა ჴელჩართული და მ|[12]ისთა მდივანთა ჴელწერილი თავადთა მო|[13][წმო]ბითა უნდოდა, თუ არა, გაბელისძი|[14][ს მოწ]მობითა.

რომე გ(იორ)გი მეფის ნახდენა უნ|[15][დოდა და] ჩუენს მამულზედა შვილობა უნდო|[16][და], ვინ იყო ჩუენი მცილე, ესე თქუენ გასინ|[17][ჯეთ], პატრონ[ნ]ო. თუ თაყამან ჩემი ძმა იშუი|[18][ლა]... დია ადვილი იყო, რომე მეფეთა |[19]ერთი ნიშანიცა აელო და მოეცა. ანუ მე|[20][ფე ალე]ქსანდრეს ჴელი ყოფილიყო და ანუ გ(იორგი)ს |[21][მეფის] ჴელი. მაგრამ აგრე ტყული არის, რომე |[22][მეფეთა] ჴელჩართუის მაგიერი გაბელისძის |[23][ჴე]ლჩართული და ნიშანი აქუს. ესეც თქუენ |[24][გას]ინჯეთ, პატრონ[ნ]ო, გაბელისძის მდივნის დან|[25][ერილია].

91

[1478 წ. ახლო]. საჩივრის წიგნი [ავთანდილ ზევდგინისძისა]

დედანი; ხეც, Hd-14904b; სიძველისაგან გაყვითლებული ქაღალდი, 27×15,5. დაზიანება: საბუთს აკლია თავი, გვერდები დაფლეთილია და დალაქავებული, ტექსტი ძნელად გაირჩევა. დაკრულია საფენ ქაღალდზე. ჭვირნიშანი-ხარის თავი შვიდფურცელა ყვავილით; გამკრთალებული ყავისფერი მელანი; აჩქარებული მწიგნობრული მხედრული, ამავე ხელითაა დაწერილი Hd-14904a. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

პირი: სეა, პ. კარბელაშვილის ფონდი, 1461, 14, №5.

საბუთი უთარიღოა. თარიღდება კონსტანტინე II-ის მეფობის საწყისი პერიოდით ამავე ჯგუფის სხვა საჩივრებთან ერთად (დასაბუთებისათვის იხ. აქვე, გვ. 228, Hd-1798).

გამოცემა: [1], ნ. ბერძენიშვილი, 46 (გამოცემაში საბუთის შიფრად შეცდომით მითითებულია Hd-14632).

[...] |[2]ღ(მერ)თი არის თქუენი მოწამე. თუ [...] |[3][მო]წამე ჩაჩაშვილი არის და ისი გაიკი[თხეთ და [...] |[4][პას]უხსა იგი მოგაჴსენებს. ასრე ამა ყუ[ელასა |[5]ვალ]დებულისა სანაცულოდ იპრიანა ღმერთმან და] |[6]მოკუდა ჩემი ძმა. ესე ყუელა ვალი დამედვა. |[7][აგრე ვთქუი], ვითა: „შვილად გამიზრდია ზალ“ და |[8][ბა]ტ[ონო]ბაც მას დავუბარე. ასეთს კაცს უბ[რა]||[9]ლოდ მიღალატა ჩემის ნასისხლის მამულისათუის. |[10]და ჩემს ნასისხლს მამულშიგა მოვიდა, დ[ა აღჭურვი|[11]ლ]-იყო ზა{ა}ლ და ჩემად სასიკუდილოდ წამოს|[12][უ]ლიყო. შეეტყო ჩემსა რძალსა და [ჩემი |[13]სიძე]* დეკანოსიძ{ე} გამოეგზავნა და ასრე ებრ|[14]ძანა, ვითა: „[გაე]ცალე, შენდა ღ(მერ)თსა, თუ [არა, უსისხლ]ო|[15]ნი ვერ მორჩებით“. ასრე უბრალოდ მკუ|[16]დარი ვართ მისგან. თუმცა მისულვიყავ, თავით |[17][და] ცოლ-შვილითა დახოცილი ვიქნებოდი მისგანვე. |[18]ჩემსა მკვიდრსა და ნასისხლს მამულზედან რაის|[19][თვის] მამკლევდა, ესე თქუენ გაიკითხეთ, პატრონ[ნ]ო!

|[20]სოლაღას პირითა ასრე შემოეთუალა, ვითა: ჩუენ[ი] |[21]აზნაურისშვილებიც ამას მეუბნებიან: „ჩუენ მამული |[22]მოგვეცო და მოგვიმატეო, და მას უკ|[23]ანის] ჩუენი და ავთანდილისი ადვილი არისო“.

---

[4] ამა ყუელასა]]-ბ. [5] ღმერთმან და]-ბ. [7] [აგრე ვთქუი]] ვთქუი ბ. [13] დეკანოსიძი ბ. [17] მისგანვე]მისგან ბ.

*აღდგენა ეკუთვნის ბ-ს. დღეს ეს ადგილი აღარ იკითხება.

აწ |[24]ამას მემართლების? თუ მისგან არ არის, ვინცა|[25]ღა მოაჴსენა,
ιεπσ ისი მომაგოს და მომცეს ჴე||[26]ლთა, თუ მართალია. თუ არა, ჩემი სიკუდილი მა[ს] სდებია გულშიგა. თუ არა, თქუენვე გასინჯეთა,|[27] პატრონ[ნ]ო, ამა ყუელა ვალდებულობისათუი|[28]ს რად მამკლევდა, თქუენვე გაიკითხეთ, ჩემის |[29]მკუიდრის და ნაშოვნის მამულისათუისა.

92

[1478 წ. ახლო]. საჩივრის წიგნი [ავთანდილ ზევდგინისძისა]

დედანი; ხეც, Hd-15046; სიძველისაგან გაყვითლებული ქაღალდი, ზომა: 38,5×10,5; დაზიანება: აკლია თავი და ბოლო, მარცხენა კიდე მთლიანად არის ჩამოჭრილი, მარჯვენა – უსწორმასწოროდ ჩამოხეული ტექსტიანად. verso-ზე ტექსტის ნაწილი დაფარულია საფენი ქაღალდით. მელანი მუქი ყავისფერი; მწიგნობრული მწყობრი მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

პირი: სეა, პ. კარბელაშვილის ფონდი, 1461, 14, №1, იწყება სიტყვებით: „შევეხუეწენით და იქ ვიყუენით...“.

საბუთი უთარიღოა. თარიღდება კონსტანტინე II-ის მეფობის საწყისი პერიოდით ამავე ჯგუფის სხვა საჩივრებთან ერთად (დასაბუთებისათვის იხ. აქვე, გვ. 228, Hd-1798).

საბუთი პირველად ქვეყნდება.

[...]მე მას უკანის მ[ივედ სახლში, ჩე]|[2]მი რძალი და ჩემნი ძმისწულნი |[3]დამხუდენ, მითხრეს: „უფრო]|[4]სობა შენ დაიჭირეო“. მე ისრ|[5]ით დაკოდი]|[6]ლი ვიყავ ჩემს ძმაზედა, [...] |[7]ასრე ვთქუი: „თუ უფროსის [...] |[8]ან და მათვე ჰქონდეს უფ[როსობა“. და თუ ჩე]|[9]მი არ იყო მამული, რასათუის [მომცეს] |[10]უფროსობა?

გამოჴდა ხანი [... მე]|[11]ფესა მე ასრე მოვაჴსენე: „ნუ [გავიყრებით, თ]|[12]უ გავიყრებით, ფიცი და პირი [მივცეთ ერთმ]|[13]ანერთსა და ნუ წავაჴდენთ“ |[14][...].

მივეცით ფიცი და პირი ერთმან [ერთსა. მე] |[15]ვალდებული ვიყავ ზა{ა}ლზედა, [მივენდევ ფ]|[16]იცით. გამიტეხა ფიცი და პირი [... ას]|[17]რე უთხრა მეკრესა. იმავ წამსა [ციხ]|[18]ეშიგან შეგიშუნა, და რომ [...] |[19]ეს, ნუც სალოც{ა}ვად შეუშუებ [... ჩე]|[20]მს რძალსა, სულ{მ}ამას ცოლსა. [... გა]|[21]უტეხა ფიცი და პირი. აღარავი{ნ} და მ[...] |[22]მკუიდრსა ციხეშიგან გამოგუაღარიბ[ა. ...] |[23]არს შევეხუეწენით და იქ ვიყუე[ნით ...] |[24]თუითან ზა{ა}ლ იყო, დამიძახნა [მ]|[25]ესხნი და ასე უთხრა: „ავთანდილის [ციხე] |[26]დაიჭირენითო“. თავად ღ(მერ)თმან და მ[...]|[27]რისა მთავარმოწამემან იპრი[ა]|[28]ნა – [წყალი] დიდი იყო, ფონად ვერ გამო[ვი]|[29]დ[ა], მის[გ]ან მუუდარი და შერცხუენილი |[30][...] ვარ.

აღარცა იმას დამაჯერა [თ]აყამან. |[31]ნადირობას ჩუენსა შუა საამ ი|[32][ყო]. შევპირდით ერთმანერთსა ყუე|[33][ლა ყოვ]ელთავე. წამოვედით ნადირობიდ[ამ, წიწა]|[34]მურს მოვედით და იქ ქარუმიძე |[35]მოგზავნა

ვეფხი და ასრე ებძანა: „ს||[36]თუელი დამანებე კასპურიო“. მე [მოვაჴ||[37]სენე, განაღამცა აგრე გიყავო. [ამას არა]||[38]ს დასჯერდა. შეიყარა და გამოილაშქ|[39][რა სასიკუ]დილოდ. მე ღ(მერ)თმან შემიწყალა |[40][და შინა] არა დავხუდი. თუმცა დავხდომოდ[ი, მამკლა]||[41]ვდეს ჩემისა მკუიდრისა ნასისხლისა |[42][მამულისა]თუის.

არცა ამილახო{რ}ს ედგა [შინა?]. ს|[ა]||[43]მნი ძმანი ვიყვენით და ჩუენ დაგ|[44][ურჩა] მამული, ნასისხლიცა და მკუიდრიცა. |[45][ყუე]ლასა ვალდებულობასა [რას მე]||[46]მართლებოდა ზა{ა}ლ სიკუდ [ილსა?]

|[47]ბატონო დარბაზისერნო! როგ[ორც თქუენ გაგუი]||[48]ჩენთ, ბატონი ხართ. ჩემისა მამ|[49][ულისა მკუიდრისა და ნა]სისხლისა გულისათუის რასათუის [მომკლევდა?]||[50] ამილახორობისა ეს ვიკად[რო. ოდეს ხიმ]|[51]შიაშვილი მოკლეს თათართა, [მას] |[52][ჟა]მსა უბოძა˙ ამილახორობა [...]. |[53]უბოძა მამული მკუიდრი და [ნასისხლ]||[54]ი გიორგი მეფემან, ამილახორსა |[55]უბოძა. [... რა]||[56]სათუის არ უბოძა [...], |[57]თუ მამული გაჩენილი [... ზაა]|[58]ლისა იყო და ცარიელი ჴელი...

˙ ამ სიტყვის შემდეგ გადაშლილია „მეფესა“?

93

[1478-1505]. თარხნობის სიგელი კონსტანტინე მეფისა ფეროზ ვალადემურიშვილისადმი

დედანი; ხუც. Sd-480; ეტრატი, 50,5×20.5. დაზიანება: ეტრატის მარცხენა ალია რამდენიმე ადგილას უსწორმასწოროდაა მოხეული სტრიქონის დასაწყისი გრაფემებისაგან, მარჯვენა გვერდი თითქმის მთელ სიგრძეზე დაფარულია მოშავო-მოყვითალო ლაქებით. მკაფიო სიშავის მელანი, ოდნავ აჩქარებული, მწიგნობრული მხედრული; განკეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; recto-ს ზედა ალიაზე ერთმანეთის გასწვრივ, დასმულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მრგვალი ბეჭდები.

საბუთი უთარიღოა. „კორპუსში" მოცემული დათარიღება განსაზღვრულია კონსტანტინე II-ის ზეობის (1478-1505) წლებით.

საბუთი ქვეყნდება პირველად.

ქ. ჩუენ, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატონიანისა მეფე|[2]თ მეფისა კოსტანტინესგან და თანამეცხედრისა ჩუენისა, დედო|[3]ფალთა დედოფლისა თამარისგან, და ძისა ჩუენისა პირმშოსა დავით|[4]ისგან და გ(იორგ)ისგან.

ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა აფხაზთა, ქა|[5][რ]თველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შანშე, შარვანშე, ყოვლისა |[6]აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთისა ვიდრე დასავლეთამდის |[7]თუითფლობით ჴელმწიფედ მტკიცედ მპყრობელისა.

მოვიდეს ჩუენსა წი(ნა)შე ჩუენი დიდად ერთგული და მრავალ|[8]ფერად ნამსახური, მორჭმისა და მეფობისა ჩუენისა დიდად მო|[9]მჭირნე-მეცადენი ვალადემურიშვილი ფეროზ, შვილი მათი ვალადემურ, |[10]ჯუანშერ. და გუეაჯნეს და მოგუახსენეს, რათამცა მათისა ერთგულობისა |[11]სანაცულოდ მათი მამული გუეთარხნა.

ვისმინეთ აჯა და |[12]მოწსენება მათი და [ვ]უთარხნეთ მისი მამული ასრე და ამა პირ|[13]სა ზედან, რომე სამუდმოდ გორის ციხეს გუიდგეს მისით |[14]საგძლითა, და თუ აგეთი რამე მოჰქდეს, რომე ციხეს დგ|[15]ომა აღარ დაუპატიჟოთ და არ შევაყენოთ, მისი სამუქ|[16]ფო მსგ[ავ]ზური სამსახური, რაცა გუიყონ, მასცა |[17]შევსჯერდეთ.

[16] მსგზურიერი ნსხ.

ამა დაპირებაზედან შეგიწყალეთ და გ|[18]ითარხნეთ თქუენ, ფეროზსა და შვილთა შენთა, ვალადემურს და ჯუანშერს |[19]თქუენი სრული მამული ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ჩუენი |[20]სათხოარი და შესანერი არა ეთხოებოდეს-რა: არა დიდი ულ|[21]უფა, არა გუთნისთავი, არა ძროხა-საკლავი, არა გოჭ-ქათამი, არა |[22]ერბო, კუერცხი, არა საყუელიერო, არა საელჩო, არა საჯინიბო, |[23]არა სახორსალარო, არა საბაზიერო, არა სამეძაღლე|[24]ო და არა სხუა სამუშაო. ერთის ციხისთაობის მეტ|[25]ი თქუენსა მამულსა არა ეთხოებოდეს-რა. ასრე, რომე ანუ|[26] სამუდმოდ ციხეს გუიდგეთ და ანუ მისი მუქაფა სხუა|[27]თ სამსახურით გუ{ი}მსახუროთ.

ესე ჩუენი წყალო|[28]ბა და სიგელი დღეს საბოლ{ო}ვოდ ასრე გაგითა|[29]ოთ და არაოდის შეგიცვალოთ. უზედაესთა მო|[30]გაჯსენებთ და უქუედაესთა გიბრძანებთ, ბრძანების |[31] ჩუენისა მორჩილნო ციხისთავნო, მუასილნო |[32]და ყოელნივე მოსაქმენო, ესე ჩუენი წყალობა |[33]თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნუვინ შეუშლით და ნ|[34]უცა-ვინ რას სთხოვთ.

ბ(რძანე)ბა ამისად ნიშნად გუიბოძებია.

დამტკიცება ხვეულად:
|[35] მე პატრონი ვამტკიცებ
||[36] ქ. დავით ვამტკიცებ (?)

94

1479. 23 იანვარი. სიგელი ალექსანდრე მეფისა სვეტიცხოველისადმი

დედანი: ხეც, Ad-6; თხელი, ბაცი შეფერილობის ეტრატის გრაგნილი, ზომა: 106×36; სამი კეფი: I – 55×33,2, II – 59,5×36, III – 12,5×33,4. I და II კეფები გადაკერებულია თეთრი აბრეშუმის ძაფით, II და III – შავით. დაზიანება: I კეფის ორივე კიდე დახეულია და ნესტის ლაქებით დაფარული, დაზიანებულია ტექსტიც. მეორე კეფის ზედა მარჯვენა კიდე ასევე დალაქავებულია, აშიები მთელ სიგრძეზე ჩამოჭრილია სტრიქონთა კიდეებამდე. რუხი-მოყავისფრო მელანი; კალიგრაფიული მხედრული სტრიქონთა არათანაბარი წყობით; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ქანწილი და ტექსტის დასაწყისი სიტყვები შესრულებულია ხვეული ორნამენტებით შემკული გრაფემებით. ზედა აშიაზე recto-ს მხარეს მიწერილია ძველი საარქივო ნომერი №2. verso-ს ზედა კიდეზე წითელი მელნით ქართულად და რუსულად მიწერილია: საეკლესიო მუზეუმი“ №6.

პირი: სეა, 1449-555, გადაწერილი პ. კარბელაშვილის მიერ XIX საუკუნეში თაბახის თეთრ ფურცელზე. პ. კარბელაშვილს საბუთი ალექსანდრე I-ის გაცემულად მიაჩნდა, ამიტომ ტექსტის ბოლოში დაურთავს შემდეგი ქრონოლოგიური ცნობა: ალექსანდრე დაიბადა 1389 წ., ტახტზე ავიდა 1413 წ. ამის (საბუთის გაცემის დროს) კათალიკოზი იყო ბასილი.

თარიღი: ქორონიკონი რნიზ (167) /1979/, ალექსანდრე მეფის მეფობის გ (3) ინდიკტიონი, იანვრის კგ (23).

საბუთის დამწერი: კარის მწიგნობარი იათორისძე ვარსიმე.

გამოცემა: 1) [41], თ. ჟორდანია, 299-301 (შემოკლებით); 2) [4], გარეჯის დოკუმენტები, 19-22.

ქ. რომელი არს და რომელისა მიერ ექმნეს ყოველნი [აღნაგნი |[2]არ]სისა არსთა უცვალებელისა, უსაზღვროსა, ძალგანუზომელისა, [გარე|[3]შემოუ] ნერელისა, ხოლო მიუწდომელობით ცნობილისა; რომელსა [ძალნი უჴო]|[4]რცოთ{ა}ნი, თუინიერ გარეშე მისსა, სახიერებით ვერ მისწუთებიან ცნობად და [თუ|[5]ალნი] შედგომად; რომელსა ცანი ვერ დაიტევენ და წესნი ანგელოსთანი უძრწიან; რომ|[6]ელსა ქ]უეყანა, ვითარცა გუგა, ეგრეთ შემოუნერია; უსაზღვრო და განუცდელი და |[7]გარეშემოუნერელი და ურაბამო,

ურაულო, ყოველგან მყოფი და ყოველგან |[8]მხედი, მბადი და წარმომაარსებელი ყოველთა ყოფილთა და ყოფადთა.

ეჰა, ვითარ ჴსნის|[9]ათუის ჩუენ ცოდვილთასა საშოსა შენსა უთესლოდ, უხრწნელად, შეურევნელად, |[10]შეუგინებლად დაიტია დაუტევნელი ცათა და ქ(უ)ე(ყ)ნისა, თბითა კაცობრივითა შემოსი[ლ] |[11]იქმნა; რომელმან წამისყოფითა დაჰბადნა ყოველნი აღნაგნი, ვითარ მონათა თანაშერ[ა]|[12]ცხილად ჰშევ, ვიტყუი ღ(მრ)თეებასა და კაცებასა, ორითა ბუნებითა სრულითა; რომლი[სა შ]|[13]ობასა ანგელოზნი, ვითარცა ღმერთსა, მოგუნი, ვითარცა მეუფესა, ვარსკულავნი, ვითარცა |[14]დამბ{ა}დებელსა, ერნი, ვ{ი}თარცა მაცხოვარსა, მწყემსნი, ვითარცა მონასა მსახურებდეს. ევნე|[15]ბოდა, ვითარცა კაცსა და თაეს იდვა ჩუენ, ცთომილთათუის, შიმშილი, წყურილი და ნაღულისა |[16][სუ]მა, ყურიმლისა ცემა და სამსჭუალთა მიერ გუერდსა მონყლვა.

ეჰა, რომლისა მიერ [აღ|[17]იჴოც]ა ყოველიეე მომყირტოვნება და უსჯულობა; ცხედარო სოლომონისო, ასულო [და]|[18]ვითისაო, რომელი შეყუარებულ იქმენ ძისაგან შენისა, რომელი ეგე ადამს ემამე და დედა ექმე[ნ]|[19]ევას; დედაო და ქალწულად მშობელო ემანოელისა, რომელი ეგე სამ-
II კეფი წლისა მიყვანებ|[20][ულ] იქმენ ტაძრად; ტაძარო სულისა წმიდისაო, მახარებელო ევას ნაშობთა ბრალეულთაო, |[21]ბნელისაგან ნათლად მომყვანებელო, არა მუცლით ქალწულო, გარნა სულისა მიერ წმიდისა |[22]ნათლად მოცემისა და ჩუენად ზღუდედ გამორჩეულო, წარმმართებელო მეფობისა ჩუენისა, დ|[23]იდებაო და სიმტკიცეო სკიპტრა-პორფირისა ჩუენისა და გუირგუინისა, მეტეხთა და ხახულისა ღ(მრ)თის|[24]მშობელო!

მეუხებითა და შუამდგომლობითა თქუენითა, მ{ა}ვედრებელმან ძისა თქუენისამან, |[25]მონდობილმან ცვა-ფარვათა თქუენთამან და [განმაერთებელმან] ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა, ორისა[ვე] |[26]ტახტისა მტკიცედ მპყრობელისა, მეფეთა მეფისა სულკურთხეულისა გ(იორ)გის ძემან მეფემან ალექსანდრე, |[27]ბატრონმან დედუ(ფა)ლთა დედუ(ფა)ლმან, დედამან ჩუენმან ნესტანდარეჯან და თანამეცხედრემან ჩ|[28]{უ}ენმან დედუფალმან ანა, რაოდენი ქება, მადლობა შევსწიროთ თქუენდა მომართ და ვითარი ქვეყ|[29]ის საქმე ვქმნეთ წინაშე ძისა თქუენისა?

ჩუენ მომართ წყალობ[ითა] და წინამძღურობითა ძელისა ცხორე|[30]ბისათა, აგარის ნათესავნი და მტერნი წინააღმდგომნი სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულ არიან |[31]დღენდელად დღემდე. ხოლო ვინათგან არა დაუტეობს უფალი კუერთხსა ცოდვილთასა ნაწილსა ზედა მა|[32]რთალთასა, კუალად მშუიდობა ყო ჩუენ ზედა და გუეგულვა და გუეგულსმოდგინა და, რადმცა უკუილ|[33]აგმა გონება ჩუენი სამსახურებელად სუეტისა ღ(მრ)თივ-აღმართებულისა, კუართისა სამეუფოსა და მი|[34]რონისა ღ(მერ)თ-მყოფელისა.

ვითა სამართლად გუმართება, ეგრეთ ჯერ ვიჩინეთ და ვიძიეთ გულსმო|[35][დგინე]ბით, გუჯრითა ამით ჩუენცა დავამტკიცეთ, ვათარხნეთ და

---

[18] იქმნა ნსხ. [24] მეუედრებელმან ნსხ. [25] განმანათლებელმან] ნსხ. [განმაერთებელმან]. [29] ჩუენდა მომართ წყალობა ჟ. [31] დღეინდელად დღედმდე ჟ· ვინადგან ჟ. [34] დავითი საფლავისა ჟ.

ვათავისუფლეთ ორნივე უდაბნო[ნი] გარ|[36]ეჯისანი დაეითის საფლავისა მრავალთისა და დოდორქისანი.

თქუენ, წმიდასა საყდარსა დედაქალაქსა მცხეთასა |[37]და მუნ შინა ღ(მრ)თივ-დამყარებულსა სუეტსა ცხოველსა და მირონსა ღ(მერ)თ-მყოფელსა და |[38]კუართსა საუფლოსა, გარეჯისა სახლი მისითა შესაველითა მამულებითა, სოფლებითა, შენითა და უშე|[39]ნითა, მთითა, ბარითა, რანიცა გარეჯისა უდაბნოთა სიგელნი და გუჯარნი ჰქუანან, მათითა მზღვ|[40]რითა, შემოგუინირავს და დაგუიმტკიცებია და გუითარხნებია ყოვლისა სათხოვრისაგან.

ცოტასა ხანსა და ჟამთა |[41]ვითარებისაგან ჩუენისა დაჭირებისათუის გაცემულად შეიქნა და, ვითა არა ვარგიყო და არცარა ჩ|[42]უენგან საქნელი იყო, ეგრე ვერავინ იკადროს ამისად შლად, ქცეევად და გამოჴუებად ვერა |[43]ჩუენ და ჩუენისა გუარისა კაცმან, და ვერა სხუამან კაცმან, ვერა დიდმან და ვერა მცირემან; ვერამან [ა]დამის |[44]ნათესავმან ვერა მოგიშალოს და გქონდეს უცილებლად და შეუცვალებლად.

აწ, ვინცა რამანცა |[45]გუარმან კაცმან, რასაცა მიზეზის შემოღებითა ჴელყოს შლად, ქცევად ამისად, ანუ დიდმან მემძ|[46]ლავრემან კაცმან, ანუ აზნაურმან და გლეხმან, და ანუ მოსაქმემან ენითა ისაქმოს და მოციქულად |[47]შეიქნას, ანუ გულსა შემოუვიდეს ამისი მოშლა და მოსაქმეობა, რისხავსმცა დაუსაბამო |[48]ღ(მერ)თი, მამა, ძე და სული წ(მი)და. უკუეთუ მეფემან შესცვალოს, მეუფეო მეუფეთაო, შენ იგი შესცვალე |[49]დიდებისაგან შენისა, უკუეთუ დედუფალმან შესცვალოს, დედუფალო დედუფალთაო, შენ იგი შესცვალე |[50]დიდებისაგან შენისა და ძისა შენისა. რა გინდა გუარი კაცი იყოს, ყოველივე აღიჴოცნედ ქუეყანით, მო|[51]ისპედ საჴსენებელი. კრულმცა არს ცათა შინა და ქუე(ყა)ნათა ზედა, შე-მცა-ედების ძრწოლა კაენისი, კეთ|[52]რი გეზისი, შიშთვილთ იუდასი, დანთქმა დათან და აბირონისი, ნესტორ და ოროგინეს თან{ა}მცა არი|[53]ს ნაწილი და სამკუიდრებელი სულისა მისისა. და მაზედამცა დაესრულების ჴმა იგი ჯუარცმისა, რო|[54]მელი თქუეს: „სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა“;* ას და მერვის ფსალმუნისა წყევა მაზე|[55]დამცა დაჰხდების. და ვინ დაამტკიცოს, ღ(მერთმა)ნ ყოველი მისი გაგებული დაამტკიცოს.

დაიწერა ||[56]გუჯარი ესე ჩუენი ქ(რონი)კ(ო)ნსა რნიზ, ინდიგტიონსა მე- *II კეფი*
ფობისა ჩუენისასა გ, თუესა |[57]იენვარსა კგ, ჴელითა იათორიძისა ვარსიმესითა, კარისა ჩუენისა მწიგნო|[58]ბრისათა.

დამტკიცებები ხვეულად:
|[59]ალექსანდრეს სიგლითა დამიმტკიცებია ნებითა |[60]ღმრთისათა.

verso-ს ქვედა კიდეზე ოთხკუთხა ბეჭედი ლეგენდით:
მ(ო)ნ(ა) ღ(მრ)თისა ალექსანდრე

[37-38]-ე სტრიქონები სიტყვამდე „საუფლოსა“-ჟ. [40] სათხოვარისაგან ჟ. დაჭირვებისათუის ჟ. ვარგიყო] კარგი იყო ჟ. [57] ვარსიძესთა ჟ.
* მათე, 27:25.

verso-ზე გვიანდელი სათური:

|[62]სიგელი დოდორქისა და დავითის საფლავისა |[63]და მრავალმ-თისა უდაბნოებისა.

XVIII საუკუნის ნუსხურით:

ქ. დიდის უდაბნოს დავითგარეჯის ძღვენი უნდა მიერთმოდეს ქარ|[64]თველთ მეფეს და კახთ მეფეს. ქ. ექვსი ქვევრი თაფლი |[65]ქ. სამი ქვევრი კაპრის მწნილი |[66]ქ. სამი ცოცხი, ის ცოცხი ფარეშთხუცეს უნდა ებაროს, ნიადა[გ] დილაზედ დო|[67]რსა და სუზანზედ სამჯერ უნდა გადმოუს-ვამდეს. ორი მღდელმონაზო|[68]ნი უნდა გამოარჩიოს მამამა, კარგნი მონესენი და კარგნი მწიგნობარნი და კარგნი |[69]მოჟამენი. ამათის ჴელით უნდა მიარ-თონ ძღვენი. ყველიერის კვირას და მარხვაში |[70]მონაზონები მეფის კარზედ უნდა იყვნენ, იმათ უნდა ინესონ და მარხვის დღესასწ|[71]აული იმათ აღას-რულონ, აღდგომის დღეს ჟამი უნდა წირონ და უთხოვლათ |[72]წამოეიდენ, დიდს მამას იახლნენ; ახალს კვირიაკეს მართლმადიდებელთ მეფე[თ] უნდ|[73]ა აღტვირთონ ჯორები და კარაულები მრავლის სანოვაგით და შესაწირავით და მო|[74]უძღვანონ დიდსა მამასა და წმიდათ კრებულთ.

95

1479. 24 იანვარი. შეწირულების სიგელი ალექსანდრე მეფისა სვეტიცხოვლისადმი

დედანი; ხეც, Ad-1838; რბილი, ღია ფერის ეტრატის გრაგნილი 96×27; ორი კეფი: I – 31×27, II – 67×27. კეფები ერთმანეთზე გადაკერებულია ყავისფერი აბრეშუმის ძაფით. საბუთის ზედა აშია მოჭრილია თალოვანი ფორმით. ყავისფერი მელანი ზოგან გამკრთალებულია. საბუთის გამცემის, გიორგი მეფის, სახელი გაცხოველებულია შავი მელნით; მკაფიო, კალიგრაფიული მხედრული, სტრიქონთა სიმჭიდროვე არათანაბარი; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ტექსტის დასაწყისში, სინგურით, ზის ძველი სააღრიცხვო ნომერი ტვ (306) თ. ჟორდანიას ხელთ პქონია საბუთის ხუცური ნუსხა ამავე ნომრით.

პირი: სეა, 1450, 27/263.

თარიღი: ქრონიკონი რნიზ (167) იანვრის კდ (24), ალექსანდრე მეფის მეფობის მესამე ინდიკტიონი.

საბუთის დამწერი: კარის მწიგნობარი იათორიძე ეარსიმე.

გამოცემა: [41], თ. ჟორდანია, 301 (შემოკლებით).

ქ. სახელითა ღ(მრთისა)თა, არსება-აუგებელისა, ძალგ(ა)ნუზომე|[2]ლისა, გ{ა}რეშემო{უ}წერელისა, რომელსა ძალნი უჴორცოთა|[3]ნი თუინიერ სახიერებით ვერ მისწუთებიან ცნობად და |[4]თუალშედგმად, რომელსა ძალნი ცათანი ვერ დაიტევენ და |[5]წესნი ანგელოზთანი უძრწიან; უსაზღურო, განუცდელი და |[6]ურაბამო; ყოველგან მყოფი და ყოველთა მხედი, მბადი და წარ|[7]მომაარსებელი ყოველთა ყოფილთა და ყოფადთა.

[რომელმან] შეუგინებელად |[8]დაიტია დაუტევნელი ცათა და ქუეყანისათა თბითა კაცობრივითა; |[9]დაბადნა ყოველნი აღნაგნი, რომელმან ენებად თავს იდვა ჩუენ ცო|[10]დვილთათუის შიმშილი, წყურილი, ყურიმილის ცემა და ნაღულისა |[11]სუმა, ჯუარცმა და ლახურითა გუე{რ}დსა მოწყლვა, რომლისა [მიერ] აღგუე|[12]ვცა ყოველი ცთომა და ცოდვა ძისაგან შენისა; რომელი ეგე ||[13]ადამს ემამე და დედა ექმენ ევას. *II კეფი*

[8] დაიტიე ნსხ.

დედაო, ქალწულად მშობელო |[14]ევმანოელისა, ბნელისაგან წყუდიადისა ნათლად მომყუანებელო, არა |[15]მუცლით ქალწულო, გარნა სულისა მიერ წმიდისა მოცემისა და ჩუ|[16]ენ ზედა ზღუდედ გამორჩეულო და წარმართებელო [მეფობისა] ჩუენისაო, |[17]დიდებაო და სიმტკიცეო სკიპტრა-პორფირისა და გუირგუინისა ჩუე|[18]ნისაო, მეტეხთა და ხახულისა ღ(მრ)თისა მშობელო!

|[19]მეოხებით{ა}, |[20]შუამდგომლობითა თქუენითა მევედრებელმან ძისა თქუენისამან |[21]და მინდობილმან ცვა-ფარვათა თქუენთამან, ორისავე ტახტ|[22]ისა ჩუენისამან; ნებითა და შენევნითა თქუენითა, მტკიცედ ფლ|[23]ობით-მპყრობელისა მეფეთა-მეფისა გ(იორ)ისა ძემან მე|[24]ფემან ალექსანდრე და პატრონმან დედუფალთა-დედუფალ|[25]მან დედამან ჩუენმან ნესტანდარეჯან, და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედუფა|[26]ლმან ანა ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ, რათამცა თქ|[27]უენ, განმანათლებელსა ქრისტიანეთასა, დედაქალაქსა მცხეთასა |[28]საყდარსა, მუნ შინა ღ(მრ)თივაღმართებულსა სუეტსა ცხოველსა |[29]და კუართსა საუფლოსა და მირონსა ღ(მერ)თ-მყოფელსა ყოველ|[30]თა ქრისტიანეთასა, [გ]კადრეთ და მოგაგსე{ნ}ეთ კათოლიკე საყდარსა |[31]კახეთს, ეჟინისა პირთა, სოფელი ახალშენი და თორღიანი მისითა |[32]მზღვრითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, ველითა, ვენა|[33]ჯითა, სათიბითა, საჴნავითა, სანად{ი}როთა, ჭალითა და სათევზითა და მი|[34]სითა შესავლითა და გამოსავლითა სამართლიანითა. რათაცა ჩ|[35]უენთუის უმსახურებია, აგრეგე თქუენთუის მომიჴსენებია, და |[36]გუმკუიდრებია და დაგუომტკიცებია კახეთს, ეჟინისა პირთა, ს|[37]ოფელი ახალშენი მისითა მზღურითა და სამართლიანითა, |[38]მთითა, ბარითა, ტყითა, სანადიროთა, ველითა, ვენაჯითა, წყლითა, |[39]წისქუილითა, ჭალითა, სათიბითა და საჴნავითა, მისითა შესავლითა |[40]და გამოსავლითა ერთობ ყუელათა.

[გ]ქონდეს და გიბედნიეროს |[41]ყოველთა არსთა მბადმან დაუსრ{ულ}ებელმან. დაგუიცვენ ორკერძოვ|[42]ე მტერისა საბრჴეთა და ყოველთაცე ს{ა}ვნე|[43]ბელთაგან.

და აჰა, თქუენ, წ(მი)დაო მღრდელთა მთავართ-მთავა|[44]რო, პატიოსანო და მიმსგავსებულო და თანამორაბამეო წმიდათა |[45]მღდელთა ბასილი და გრიგოლისი, ქ(ართლ)ისა ქ(ათალი)კ(ო)ზო დავით, რაგუარ|[46]აცა ჩუენგან ასრე დამტკიცებულსა და განთავისუფლებულსა მართებ|[47]ს, აგრე დამტკიცებულიქმნედ ღ(მრ)თისა მიერ მოსატე(ეე)ბელად ცო|[48]დვათა ჩუენთა. [ნუმცა] დაგუაკლდების და დავიწყებულ ვიქმნებით ლოცვა|[49]თა და ვედრებათა შინა თქუენთა.

აწ, ვინცა და რამანცა გუარმან |[50]კაცმან, ანუ დიაცმან, ანუ მძლ{ა}ვრობით მძლავ{რ}მან, ანუ უქუედაეს|[51]მან რჩომისათუის შესცვალოს და ჴელყოს ამის{ა}დ შლად და |[52]ქცევად, ანუ მოციქულად შეიქნას, ანუ რათა{მ}ცა მიზეზითა მოშ{ა}|[53]ლოს, შე-მცა-იცვალების რჯულისაგან ქრისტიანეთასა, რისხავს|[54]მცა დაუსაბამო ღ(მერ)თი, მამა, ძე და სული ცხოელი.

// კეფი უკუეთ||[55]უ მეფემან შესცვალოს, მეუფეო ზეცათაო, შენ იგი |[56]შესცვალე დიდებისაგან შენისა, ანუ დედოფალმან შესცვალ{ო}|[57]ს, მეუფეო დაბადებულთაო, შენ იგი შესცვალე დიდებისაგან |[58]შენისა და ძისა შენისა.

და ვინცა, რამანცა გუარმან კაცმან და |[59]ანუ დიაცმან მოიგონოს ამისად შლად და ქცევად და ცვალებად, |[60]ანუ სიტყ[უ]ითა, ანუ საქმითა ისაქმოს, ანუ მოციქულად შუა |[61]შემოვიდეს, აღიწოცნედ და მოისპედ ქუეყანათა საწსენებელი |[62]მისი.

კრულმცა არის ცათა შინა და ქუეყანათა ზედა, შე-მცა-ედების |[63]კეთრი გეზისი, ძრწოლა კაენისი, შიშთვილი იუდასი, დანთქმა |[*]დათან და აბირონის. ნესტორ და ოროგინეს თანა არის |[65]სამკუიდრებელი სულისა მისისა; და მაზედამცა დაესრ{უ}ლების |[66]ჯმა იგი ჯუარცმისა, რომელი თქუეს: „სისხლი მაგისი ჩუენ ზედა |[67]და შვილთა ჩუენთა ზედა“.* და ასდ[ამე]რვისა ფსალმუნისა წყევა მაზე|[68]დამცა დაჯდების. და ვინ დაამტკიცოს, ღ(მერთმა)ნ ყო{ვ}ელი მისი გაგებ|[69]ული დაამტკიცოს.

დაიწერა მტკიცე ესე უქცეველი გუჯარი ინდ|[70]იგტიონსა მეფობისა ჩუენისასა გ, ქ(ორონი)კ(ონ)სა რნიზ, თუესა იანვარსა კდ, ჴელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა იათორიძისა ვარსი|[71]მესითა.

ესე ჩუენგან მტკიცედ და სამკუიდროდ მოჴსენებ|[72]ული სოფელი ახალშენი არცა ვიზედა გაცემული ყოფილა მისთა დ|[73]ღეთა შიგან, რაგუარაცა ჩუენი კახეთისა უკუნისამდის ჩუენი სიმაგრ|[74]ე პანკისისა ციხე არა გაგუიცემია, აგრე ჩუენი საპანკისო სახასო |[75]ახალშენი თქუენთუის გუიკადრებია და მოგუიჴსენებია ჩემთუ|[76]ის სათავისოდ ნაბოძვარი და საავჟანდედ მოცემული |[77]მოგუიჴსენებია.

verso-ზე ხელრთვა ხვეულად:
ალექსანდრეს დამიმტ|[78]კიცებია ნებითა ღმრ(თისა)თა.

მეორე კეფის verso-ზე, საბუთის ტექსტის შემდგომ, გვიან მიუნერიათ შვიდსტრიქონიანი ტექსტი, რომელიც გულმოდგინედ არის გადახაზული შავი მელნით. მის ზემოთ, XVII საუკუნის ხელით მოთავსებულია ასეთი შენიშვნა:

|[79]ქ. ესე ქვემო ნერილი შეცთენით დაენერათ და ჩვენ, კა(თალიკ)ოზმან პატრონმან იოვანემ ისე მოვშალეთ. ცი|[80]ლს ნურავინ დასწამებთ.

საშუალო ზომის ოთხკუთხა ბეჭედი მხედრული ლეგენდით:
კათალიკოსი

[67] ჩუნი ნსხ. [76] მომიხსენებია ნსხ.
* მათე, 27:25.

[1479-1482]. ერთგულების წიგნი გაბრიელ ალავერდელისა ნიკოლაოს კათალიკოსისადმი

დედანი; ხეც. Ad-1717; ქაღალდი, ზომა: 26×14; დაზიანება: დალაქავებულია ზედა მარჯვენა მხარე, კიდები გაცვეთილი. გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. მელანი შავი, ხელი მკაფიო მწიგნობრული მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საბუთი უთარიღოა. თ. ჟორდანია დასაბუთების გარეშე საბუთს ათარიღებს 1452 წლის ახლო ხანებით, ი. დოლიძე, ასევე დასაბუთების გარეშე, უთითებს 1562-1588 წლებს. „კორპუსში" საბუთი დათარიღებულია 1479-1482 წლების შუალედით. ამ წლებში საკათალიკოსო ტახტზე ზის დავით V-ის მომდევნო ნიკოლაოს კათალიკოსი. რაც შეეხება გაბრიელ ალავერდელს, იგი უნდა იყოს იგივე პირი, რომელიც ასეთივე ერთგულების წიგნს აძლევს დავით V კათალიკოსს (იხ. აქვე, გვ. 162, Ad-125).

გამოცემა: 1) [41], თ. ჟორდანია, 264-265; 2) [7], ი. დოლიძე, 351-352.

ქ. ჩუენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმა ამბა |[2]ალავერდელ-მან, პატრონმან გაბრიელ, ესე |[3]წიგნი მოგახსენეთ თქუენ, ჩუენსა მაკურ|[4]თხეველსა ქართლისა კ(ათალიკო)ზ-პატრიაქსა პატრ|[5]ონსა ნიკოლაოს{ს}ა მას ჟამსა, ოდეს ც|[6]ოტა საქმეზედ გაგუინყერ და შეუნდობლად გაგუჴადე.

ამაზედა ჩუენ შემოგეხვეწე|[7]ნით და შენდობა გუიბოძე. აწე, დღეს |[8]და დღეის უკანით ვიყუნეთ თქუენი და თქ|[9]უენისა საყდრისა ერდგულნი. და არცა-რა |[10]თქუენი წინააღდგომობა ვქნათ და თქ|[11]უენისა სიტყუის მორჩილნი ვიყოთ. ჩ|[12]უენ და ჩუენი საყდარი თქუენს ჴელთ ქ|[13]უეშ იყოს. ამის გათავების თავსმდებ|[14]ად ღმერთი და სუეტი ცხოველი მო|[15]გუიხსენებია.

ხელრთვა ხვეულად:
ალავერდელი

verso-ზე სათაური XVII საუკუნის ხელით:
საფიცარი გაბრიელ ალავერდელისა

მინაწერი:
ქ. ტოხაძე და ხიმშიაშვილისა.

1480. 6 თებერვალი. მამულის წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა დევაძეებისადმი

დედანი დაკარგულია. გვაქვს პირი: სეა, 1449-1603, გადაწერილი 1785 წელს. გადამწერის ცნობით, დედანი, საალრიცხვო ნომრით №38, შესრულებული ყოფილა ეტრატზე.

თარიღი: ქრონიკონი რნიც (168) /1480/, თებერვალის ვ (6).

საბუთი ქვეყნდება პირველად.

ქ. ჩუენ, ღ(მრ)თიე-გუირგუინოსნისა მეფედ მეფისა გი(ორ)გის ძე[მან, მეფემან] ალექსანდრე, ესე ბრძანება ამის ნიშნად გიბოძეთ თქუენ, დევაძეთა: ნაცუალასა, დემეტრასა, ივანასა, ბიბილასა, პეტრიასა, პავლიასა, ანდრიასა, გულისასა, სულმამასა, ფარ[ნავაზსა], ანდრიასა, მამიასა, ნარინდოს, [ირემა]სა, მამულასა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოკითხული ექენით და მკუიდრი თქუენი ყოფილიყო, ახლად ჩუენცა [შეგიწ]ყალეთ და გიბოძეთ ზანგი[ას]ეული მამული სალისჴევსა და ბილ[ან]დის (sic) გუირაბზედა, ქუემო გულბეთისა გზამდინ, მისითა შესავლითა, [გამოსავლითა], ვენახითა, სასახლითა, წყლითა სათიბითა, მთითა, ბარითა, ტყითა, სანადიროთა და ყოველთა მისითა სამართლიანითა.

აწ გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერთმა)ნ ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინაგან.

დაიწერა ბრძანება ესე ქ(რონი)კ(ონ)სა რნიÀ, თებერვალსა ვ.

ხვეულად:
ალექსანდრე.

1481. მამულის წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა იოანე ჭარმაულისადმი

დედანი; ხეც, Qd-10122; ეტრატის გრაგნილი, ზომა: 93,5×20,5. თეთრი აბრეშუმის ძაფით გადაკერებული ორი კეფი: I – 26,8×20,5, II – 66,7×20,5). დაზიანება: საბუთი თავნაკლულია, ზედა მარცხენა მხარე მოხეული აქვს, ბეერგან დაფარულია ლაქებით; შავი მელანი; ხელი მწიგნობრული მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. II კეფის verso-ზე მოთავსებულია რუსული სარეგისტრაციო წარწერა, რომლის თანახმად, საბუთი მისი ნამდვილობის დასადასტურებლად წარუდგენიათ „Суд и Расправа"-ს კანცელარიაში 1821 წ. 12 აპრილს, ხოლო რეგისტრაციაში გაუტარებიათ 1821 წ. 2 დეკემბერს.

თარიღი: ქრონიკონი რნით (169) /1481/, [ალექსანდრე] მეფის მეოთხე ინდიქტიონი (მეფის სახელი აღდგენილია თარიღისა და ხელრთვის საფუძველზე).

საბუთის დამწერი: მცხეთის ქადაგი მახარებელ მაღალაძე.

საბუთი ქვეყნდება პირველად.

[... ნამსახურთა მათთა [სანაცულოდ... |[2]წყ]ალობა გუეყო და სიგლითა ამით შე|[3][ვიწყალეთ. და] ვისმინეთ აჯა და მოვსენება მათი და მიუბოძე|[4]თ [მცხეთ]ას შინა ამბროსისძისა მამული, რომელი ბერი|[5][ნას]შვილსა ჰქონებოდა, კითხვითა და დამოწმებითა წ(მიდ(ისა მეუფისა |[6]კ(ათალიკო)-ზისა შიოსითა, მით წესითა, რაგუარაცა ამბროსისძეთა |[7]და ბერი-ნასშვილსა ჰქონებია, მისითა სასახლოთა, ჭურ-მა|[8]რნითა, სასაფლაოთა, საველოთა, სამცხეთისშვილოთა წილითა |[9]და საძმოთა. კარსანს და სხუაგან მცხეთის მამულშიგა რაცა |[10]ბერინასშვილსა ამბროსისძისა მამულზედა მეფეთა და კ(ათალიკო)ზთაგ(ა)||[11]ნ სამკუიდროდ და სამამულოდ ჰქონებია და ანუ მქონებე|[12]ლი არის, მისითა შესავლითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალ|[13]ითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, სახნავითა მინდორი|[14]თა, მთითა და ბარითა, საჴმრითა და უჴმრითა, საძებრი|[15]თა და უძებრითა და მისითა მზღვრითა და მიმდგომით|[16]ა სამართლიანითა, სრულად და უკლებლად. ვინათგან მოკითხულ|[17]იცა ვქენით და მასვე ბერინასშვილსა ნაშვილებობისა ნ|[18]იგნი მოეცა და კ(ათალიკო)ზსა და მცხეთისშვილთა ამა მამ-
II კეფი ულზედა ||[19]მემკუიდრედ და საყდრისა მოსამსახურედ ეჩინე.

გიბედნიერ|[20]ოს ღ(მერთმა)ნ, თქუენ, ჭარმაულთა მღრდელსა ი(ოა-ნე)ს, ავთანდი|[21]ლს და ღომსა, ძმათა, შვილთა და მომავალთა სახ-

ლისა|[22] თქუენისათა ყოველთავე, მცხეთას შინა ამბროსისძისა|[23] მამული, რომელი ბერინასშვილსა ჰქონებია და მასვე ბე|[24]რინასშვილსა მისითა ნებითა და წადილითა უშვილებიხართ. |[25]და იმაზედა მოგიბოძეთ კარსანს ბუირთუელაური მამული და ა|[26]ღაიანთა ხიზანაშვილი მისითა მამულითა და შაივანაური მამული |[27]მისითა ველითა, ვენაჯითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, |[28]სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, საჯნავითა, მინდორითა, |[29]მთითა და ბარითა, საჯმრითა და უჯმრითა, საძებრითა |[30]და უძებრითა; და, რასაცა და რასთანასაცა ბერინასშვილი |[31]მქონებელი ყოფილა, – მისითა შესავლითა და მზღვრითა |[32]და მიმდგომითა სამართლიანითა ყოვლითურთ, სრუ|[33]ლად და უნაკლულოდ.

არა შეგეცვალოს და არა მოგეშა|[34]ლოს არა ჩუენგან და არა შემდგომად ჩუენსა მომავალ|[35]თა მეფეთა და დედოფალთაგან და არა სხუათა მეპატრო|[36]ნეთაგან, არას ჟამისა ცვლისა და შემოსრულობისათუის. და |[37]არავინ გუიბრძანებია მშლელი და მქცეველი მტკიცედ |[38]ბრძანებულისა ამის ჩუენისა, არცა მეუნებლე მავნებე|[39]ლი და დამაკლებელი, თუინიერ სიმტკიცისა და თანა|[40]დგომისაგან კიდე.

აწ, ვინცა ნახოთ სიგელი და ბ(რძანე)ბა |[41]ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა |[42]და დედოფალთა, ერისთავთ ერისთავთა და კარისა ჩ|[43]უენისა ვაზირთა, დივანთა, მწიგნობართა, მეჯინიბეთა, |[44]მერემაეთა, მეთაღრისთაეთა, მესაბანჯრეთა, პურისა |[45]და საკლავისა მკრებელთა, მპარავთ მოძებართა და ყოვე|[46]ლთავე კარით ჩუენით წარვლენილთა მოსაქმეთა |[47]და საქმის მოქმედთა, დიდთა და მცირეთა, ერთობით |[48]დაუმტკიცეთ. და ნუვინ უშალავთ მტკიცედ ბ(რძანე)ბულსა ამას |[49]ჩუენსა, თუინიერ სიმტკიცისა და თანადგომისაგან კიდე.

|[50]და თქუენ, ქ(რისტე)ს ღ(მრ)თისა მიერ ქართლისა და აფხაზეთისა |[51]კ(ათალიკო)ზნო და ყოველნო ეფისკოპოზნო, უჯუარობითა დაამტ|[52]კიცეთ.

და ვისაც ამა მამულისა გაცემულობისა ნიშანი ჰქ|[53]ონდეს, სიგლითა ამით გაგუიცუდებია და მტკიცე ესე |[54]ოდენ არს, ნებითა ღ(მრ)თისათა.

დაიწერა ბ(რძანე)ბა ესე ჩუენი ი|[55]ნდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეოთხესა, ქ(რონი)კ(ო)ნს რ|[56]ნით, ჴელითა მაღ(ა)ლისძისა მცხეთის ქადაგისა მახა|[57]რებელისათა.

ხვეული ხელრთვა:
|[58]ალექსანდრე.

[24-28] სტრიქონებზე მოთავსებული ტექსტი: „მისითა ნებითა... სათიბითა“ სიტყვები გაცხოველებულია. [46] მოსექმეთა ნსხ.

[1481/1482]. შეწირულების წიგნი ალექსანდრე მეფისა სვეტიცხოვლისდამი

დედანი დაკარგულია. ნომრით №64 იგი ინახებოდა სინოდის კანტორის მცხეთის საბუთებში, იქვე ყოფილა დაცული XVII საუკუნის პირი სკე (226), შეტანილი მცხეთის საბუთების პირების წიგნში (№507). ამჟამად გვაქვს საბუთის პირი: სეა, 1449-553, გადაწერილი XVII ს. პირიდან.

საბუთი უთარიღოა. თ. ჟორდანია მას ათარიღებს 1438 წლით, რადგან მას ქორონიკონად მიუჩნევია საბუთის ბოლოს, ლეონის ხელრთვის შემდეგ მიწერილი გრაფემები: რკვ. თუმცა თ. ჟორდანიას თავად ეეჭვებოდა ამ თარიღის სისწორე შიო კათალიკოსის გამო, რომელიც მისთვის ცნობილ დოკუმენტებში, პირველად 1440 წლიდან ჩანდა. ამავე დროს მის გაკვირვებას იწვევდა ის ფაქტიც, რომ ალექსანდრე I-ის მიერ გაცემულ საბუთს ხელს ურთავს ლეონ მეფე.

ბ. ლომინაძემ ერცელი მსჯელობა მიუძღვნა საბუთის დათარიღების საკითხს და სიგელის გაცემის დროდ მან ალექსანდრე დიდისა და შიო კათალიკოსის თანმხვედრი წლები (1438-1440-ანი წწ.) მიიჩნია. ამავე დროს მკვლევარი მიუთითებს იმ შეუსაბამობაზე, რომელსაც იწვევს, ერთი მხრივ, სვეტიცხოვლის მამულებს შორის ბიწმენისა და ხატისწობენის დასახელება, რომლებიც მცხეთამ მიიღო ალექსანდრე დიდის შემდგომ გორგი VIII-ის 1446 წლის სიგელით და, მეორე მხრივ, ლეონის ხელრთვა. ამ წინააღმდეგობას ბ. ლომინაძე ხსნის იმ ვარაუდის დაშვებით, რომ, შესაძლოა, ლეონ მეფის დროს სიგელი განეახლებინოთ და ეს ორი სოფელი მაშინ დაემატებინოთ ტექსტში. ასეთი ტიპის „შესწორებები" ძალზე საეჭვოა, რადგან იგი უჩვეულოა ქართული დიპლომატიკისათვის. მართალია, სვეტიცხოვლის კრებსით საბუთებში ძველი და ახალი შეწირულობები ერთადაა ხოლმე თავმოყრილი, მაგრამ ყოველთვისაა დაცული შემომწირველთა რიგითობა, მათი სახელები და შეწირულების განახლების თანადროული კათალიკოსის სახელი.

მოცემულ შემთხვევაში საბუთის გამცემი და ადრესატი მეფე ალექსანდრე და კათალიკოსი შიო არიან. ასეთი შეწყვილება მეფე-კათალიკოსის სახელებისა საბუთებში, როგორც თ. ჟორდანიასათვის, ასევე ბ. ლომინაძისათვის ცნობილი იყო ალექსანდრე დიდისა და შიო I კათალიკოსის თანმხვედრ წლებში (1440-1442). შიოს სახელის მქონე კიდევ ერთი კათალიკოსი, რომელიც ამ დრომდე გამოუცემელ საბუთებში მოიხსენიება, სამწუხაროდ, მკვლევართა თვალსაწიერის მიღმა დარჩა. ჩვენს ხელთაა რამდენიმე თარიღიანი საბუთი, რომლებიც სრული უეჭველობით ამტკიცებენ 1481-1482 წლებში შიო II კათალიკოსის არსებობას. მათგან უმთვრესია სამი, რომლებშიც კათალიკოსი შიო საბუთების შედგენის თანამონაწილედ იხსენიება.

პირველია 1481 წლის ალექსანდრე მეფის სიგელი იოანე ჭარმაულისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ მეფე ალექსანდრე მცხეთიშვილ ბერინასშვილს წყალობას

აძლევს „კითხვითა და დამოწმებითა წმიდისა მეუფისა კათალიკოზისა შიოსითა“ (იხ. აქვე, გვ. 250, Qd-10122). მეორეა 1482 წლის ანდერძი მისრი ედილაშვილისა იოანე ჭარმაულისადმი. აქ ლაპარაკია მცხეთიშვილთა შორის ქონების გადაცემაზე, რასაც კათალიკოსის ნებართვა ესაჭიროებოდა: „კითხვითა და ბრძანებითა ქართლისა კათალიკოზისა შიოსითა და ყოველთა მცხეთიშვილთა დამოწმებითა...“ და მესამე – 1505 წელს გაცემული წყალობის წიგნი ალექსანდრე კახთა მეფის ძის პატრონ გიორგის მიერ ამავე იოვანე ჭარმაულისადმი. ამ საბუთში უკვე დამოწმებულია 1482 წლის ზემოხსენებული ანდერძი, რომლითაც იოვანე ჭარმაულს სამცხეთო მამული მიუღია: „მას ჟამსა, ოდეს პატრონსა მეფესა კოსტანტინეს და პატრონსა მამა ჩუენსა და კ(ათალიკო)ზსა შიოშს მცხეთას ამბროსისძისეული მამული, რომელი ბერინასშვილსა ჰქონებოდა, იგი ყოველივე სამკუიდროდ თქუენთუის ებოძა და სოფელი ხატისწობენი მეჟმეობით სხუათა დაეჭირა...“ (ხეც, Hd-14681).

სრულიად აშკარაა, რომ კათალიკოსი შიო II რეალური პიროვნებაა და მას კონსტანტინე II-ის დროს მცირე ხნით ეპყრა საკათალიკოსო ტახტი (დამატებითი არგუმენტებისათვის კათალიკოს შიო II-ის არსებობის შესახებ იხ.: [38], მ. სურგულაძე, 126-129). სწორედ ამიტომ, ბუნებრივია, მოცემული საბუთის თარიღი შესწორებას არ საჭიროებს და საბუთის გამცემად უნდა მივიჩნიოთ არა ალექსანდრე დიდი, არამედ კახეთის მეფე ალექსანდრე I (1476-1511). ასეთ შემთხვევაში მოიხსნება ის ანაქრონიზმი, რასაც იწვევს საბუთში ზემოხსენებული კახური სოფლების ჩართვა და ლეონის ხელრთვა. ამ დასკვნას ამაგრებს ალექსანდრეს 1479 წლის 23 მარტს გაცემული საბუთიც (იხ. აქვე, გვ. 241, Ad-6), რომლის თანახმად, კახეთში გამეფებული ალექსანდრე დიდ ყურადღებას აქცევს მცხეთისადმი. მან მცხეთას დაუბრუნა გარეჯის შესავალი სოფლების ნახევარი, რომლებიც „ცოტასა ხანსა და ჟამთა ვითარებისაგან... დაჭირებისათუის გაცემულად შეიქნა...“ ზემოთ მოხსმობილი საბუთების მიხედვით შიო II კათალკოსი საკათალიკოსო ტახტზე იჯდა 1481-1482 წლებში. ამავე წლებით თარიღდება წარმოდგენილი საბუთი.

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 244 (შემოკლებით); 2) [30], ბ. ლომინაძე, 203-208.

სახელითა ღუთისათა, ჩვენ, პატრონმან მეფემ ალექსანდრე ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წიგნი და ნიშანი გკადრეთ და მოგახსენეთ თქვენ, წმიდასა და ცათა მობაძავსა, ახალსა იერუსალიმსა, კათოლიკე დედაქალაქსა მცხეთისა საყდარსა და წმიდასა მე{უ}ფესა სასოსა და შესავედრებელსა სულისა ჩვენისასა ქართლისა პატრიარქსა კ(ათალი)კ(ოზ)სა შიოშს, მას ჟამსა, ოდეს ჟამთა ვითარებისა და შლილობისაგან მცხეთისა და გარესჯისა უდაბნოსა მამულ[თა] მათნი მემზღურენი შემოეცილნეს და, რაცა არაგვსა აქათ მცხეთისა მამულნი იყვნეს, მეჟმეობით რომელთამე მიიტაცნეს.

ვქენით მოკითხული და რაგუარაცა გუმართებდა, ძუელნი გუჯარნი და სიგელნი მოვახუმევინენით და, ვითა არავის მართებდა, აგრე ჩამოვხსენით და არავის-რა საქმე დავადებინეთ, არა დიდთა და არა მცირეთა, რაგუარაცა არავინ ღირს ყოფილა. ჭავჭავასძესა ფაროდის ზეკნელისძისა

პროკოპისთვის ნატყვევარი სიგელი დაეწერინა ვანთისა, ვარცისა და დუმას უბნისა, და, რაგუარაცა ტყუვილი იყო, აგრე გავაცუდეთ. და ფიცითა გარდასწყდა და უდაბნოსავე დარჩა. ამას გარეთ, რაცა გარესჯისა უდაბნოსა მამულნი არიან და გუჯრები ძეს მთას იქითისა და მთას აქათისა, რაგუარათაც ამას წინათ ჩუენთა გუართაგან ჴელშეუვალნი ყოფილან, მით წესითა დაგიმტკიცეთ და მოგახსენეთ.

და არავინ არ საქმე დაიდვას გარესჯ[ი]სა მამულთა და მზღუარსა გუერდი[ს]. ამას გარეთ, ერწოს ორი სოფელი, ნოდოკრა და გორანა მათითა მზღურითა, ერთობით ყუელათა, რაგუარაცა ძუელთა გუჯართა შიგა სწერია: ბიწმენდი მისითა მზღვარ[ითა], ხატისწობენა, ძაგნაკორნათა, რაცა მცხეთისა არის: ჯუარი, ჯაჭუი, ფოსუი, კუტალას ორნი კუამლნი კაცნი. ამას გარეთ, ნინოწმიდისძისეულისა მამულისა და ოქროპირისშვილისა მამული გარდაუწყვეტელი დარჩა. და სააჯოს კარი არა დაგეჭიროს და, ვისაცა მცხეთისა და გარესჯისა მამულთანა საქმე ედვას, იგი სამართლითა გარდასწყდეს.

1482. ანდერძის წიგნი მისრი ედილაშვილისა მღვდელ იოანე ჭარმაულისადმი

საბუთი დაკარგულია. მისი დედანი უნახავს თ. ჟორდანიას ელისაბედ ზაალის ასულ თუმანიშვილის (თუმანოვი – თ. ჟორდანია) კერძო კოლექციაში. მისი ხელნაბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი აღმოჩნდა „კოპუსის“ III ტომის ე. წ. „შავ“ მასალებში, რომელიც ეკუთვნოდა ისტორიკოს თინათინ ენუქიძეს. ნაბეჭდი ტექსტი სტრიქონებადაა დაყოფილი, რაც მიუთითებს, რომ ტექსტი გადაწერილია დედნიდან, მაგრამ დედნის ადგილსამყოფელი ჩვენთვის უცნობია. ნაბეჭდ ტექსტს არ უზის არც ერთი საცავის საიდენტიფიკაციო კოდი. საბუთი არ დაიძებნა არც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, არც საქართველოს ეროვნული არქივის, არც სანქტ-პეტერბურგის ქართულ ისტორიულ საბუთთა კოლექციებში. შესაძლებელია, იგი დღემდე რომელიმე კერძო პირის კოლექციაში ინახება. ამდენად, საბუთის წყაროდ გვრჩება თ. ენუქიძის მიერ გადაწერილი პირი, რომელიც სრული ვარიანტია თ. ჟორდანიას მიერ შემოკლებით გამოქვეყნებული დედნისა.

თარიღი: ქრონიკონი რო (170) /1482/. ეს თარიღი საეჭვოდ მიუჩნევია თ. ჟორდანიას და საბუთი გადაუთარიღებია 1442 წლით, რადგან, მის ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, საბუთში მოხსენიებული შიო კათალიკოსი 1440-1446 წლებში იჯდა საკათალიკოსო ტახტზე. სწორედ ამიტომ თ. ჟორდანიამ საბუთში მითითებული ქრონიკონი მცდარად მიიჩნია. ათეულის აღმნიშვნელი „ო“ გრაფემა „ლ“-დ აღადგინა და საბუთი 1442 წლის ახლო ხანებით დაათარიღა.

სინამდვილეში „ანდერძში“ მოხსენიებული შიო კათალიკოსი არის შიო II, რომელიც XV საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში მოღვაწეობდა. მისი მოწმობით ალექსანდრე მეფე 1481 წელს სამცხეთიშვილო წილს უმტკიცებს იოანე ჭარმაულს (იხ. აქვე, გვ. 249, ხეც, Qd-10122), რომელიც მოცემული „ანდერძის“ ადრესატიცაა. ამავე მამულის დამტკიცებას შეეხება ალექსანდრე I კახთა მეფის 1505 წლის საბუთიც (ხეც, Hd-14681), რომელშიც კვლავ მოიხსენიება კათალიკოსი შიო კონსტანტინე II მეფესთან ერთად. „ანდერძის“ ავტორი, მისრი ედილაშვილი, და მასთან დაკავშირებული პირთა წრე ცნობილია სხვა საბუთებიდანაც, რომლებიც 1464 და 1477 წლებით არიან დათარიღებულნი (იხ. აქვე: გვ. 139, სეა, 1448-5024; გვ. 219, ხეც, Hd-1354). ეს მონაცემები თვალნათლივ უჩვენებენ, რომ საბუთში მოცემული „ანდერძის“ თარიღი – 1482 წელი – სრულიად სანდოა და არავითარ გადაკეთებას არ საჭიროებს. „ანდერძის“ თარიღისა და მასში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები საგანგებოდაა განხილული ნაშრომში: [38], მ. სურგულაძე, 126-129

საბუთის დამწერი: მცხეთის ქადაგი მახარებელი.

გამოცემა: [41], თ. ჟორდანია, 252-253 (შემოკლებით).

ქ. სახელითა ღ(მრ)თისა სამ|[2]გ[უ]ამოვნად ცნობილისა, ერთარსებისა, ერთუფლებისა და ერთღ(მრ)თეებისა, ღ(მრ)თისა მამისა, ღ(მრ)თისა ძისა |[3]და ღ(მრ)თისა სულისა წმიდისათა.

თავსმდებობითა, მინდობითა |[4]და შუამდგომელობითა ყ(ოვლა)დ წ(მიდ)ისა უხრწნელისა, უმეტეს კურ|[5]თხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღ(მრ)თისმშობელისა და მარადის ქალ|[6]წულისა მარიამისითა;

ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა და პატიოს|[7]ნისა ჯუარისა, ძელისა ცხორებისათა; ოხითა და შუამდგომელობითა |[8]წმიდათა ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და მთავარანგელოზთა, მიქაელ და გაბრ|[9]იელისითა.

თანამოქმედება-მდგომარეობითა წ(მიდ)ისა წინასწარმეტყუელ|[10]ისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა ი(ოან)ესითა და წ(მი)დისა ი(ოან)ე მ|[11]ახარებელისა და ღ(მრ)თისმეტყუელისათა.

თავსმდებობითა, მინ|[12]დობითა და შუამდგომელობითა წ(მიდა)თა ყ(ოვლ)-ად ქებულთა თავთა |[13]მოციქულთა პეტრეს და პავლესითა, ათორთა მოციქულთა და სამეო|[14]ცდაათეულთა ქ(რისტე)ს მოწაფეთათა, რომელთა სიტყუითა მოიბადურნეს ყოვე|[15]ლნი კიდენი სოფლისანი.

თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდ|[16]გომელობითა წ(მიდა)თა წინასწარმეტყუელთა, მღრდელთმოძღუართა, მო|[17]წამეთა და ნეტართა მამათათა, და ყოველთა ღ(მრთ)თისა წ(მიდა)თა ზეცისა და ქუეყან|[18]ისათა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყუნეს უფალსა ჩუენსა იესოს |[19]ქრისტესა და კუალადცა სათნო-ყოფად არიან.

და ყოველთა ჩრდილ|[20]ოეთისა კედართა შორის უაღრეს-უზენაესისა კათოლიკე დედაქალაქი|[21]სა მცხეთისა საყდრისა, სუეტისა ცხოველისა, კუართისა სამეუფ[ო]სა |[22][დ]ა მირონისა ღ(მერ)თ-მყოფელისათა.

ამათ ყოველთა ღ(მრ)თისა წ(მიდა)თა თავსმდ|[23]ებობითა და შუამდგომელობითა, ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელ|[24]ი ანდერძისა წიგნი მოგეც მე, ედიდაშვილმან მისრი, შენ, ჭარმაულსა მ|[25]ღრდელსა ი(ოან)ეს და შენთა მომავალთა ყოველთავე, კითხვითა და ბრძანებითა |[26]ქართლისა კ(ათალიკო)ზისა შიოსითა და ყოველთა მცხეთისშვილთა დამოწმებითა.

მას |[27]ჟამსა, ოდეს სოფლისა ვითარებისა და ცოდვათა ჩუე|[28]ნთა და მეჯინიბეთა უხუცესისა მამისას საქმე უნათესაოდ შეიქნა, ჩუენი სა|[29]ხლი და მამული ერთი და გაუყოფელი იყო. ერთისა ქალის მეტი ჩუენ|[30][ი] ნათესავი აღარა დარჩა და იგი შენ მოგეცით და ჩუენად შვილად და მემამუ|[31]ლედ შემოგიყვანეთ.

და დაგიწერეთ ჩუენი მკუიდრი და მოუდევარი მამ|[32]ული: მცხეთას შინა სასახლე, რაცა ჩუენსა სახლსა ჰქონებია, მისითა საჴ||[33]ლოთა და სამცხეთისშვილოთა; ოროტა მისითა მზღვრითა;* კარსანს, |[34]ჯუარს, ფოსუს და კუტალას და ძაგუნაკორნათა, რაცა საყდრისაგან |[35]ჩუენ გუქონებია; ხატისწობენა მისითა |[36]შესავლითა, მით წესითა, რაგუარაცა მეფეთა და კ(ათალიკო)ზთაგან სამკუიდროდ გუქო|[37]ნებია.

ესე მამული და სოფელი, რაგუარაცა სამკუიდრო და ჩუენთუის ბოძებ|[38]ული იყო, აგრეთვე თქუენთუის მოგუიცემია და გუიანდერძებია.

* ეს სამი სიტყვა ზემოდანაა იმავე ხელით (თ. ენუქიძის შენიშვნა).

ვერავინ |[39]დაგეცილოს და ვერცავინ მოგიშალოს, რაგუარაცა ჩუენსა ნაღუაწსა და ან|[40]დერძსა არავინ გემართლების.

და ვინცა ესე ჩუენი ანდერძი მოგიშა|[41]ლოს, რისხავსმცა დაუსაბამო ღ(მერ)თი, მამა, ძე და სული წმიდა, და ყოველნი ღ(მრ)თისა წმიდანი ზეცისა და ქუეყანისანი. და ჩუენთამცა ცოდვათა |[42]და ბრალთათუის იგი განიკითხვის.

და ვინ დაამტკიცოს, ღ(მერთმა)ნ მისი კეთილი |[43]გაგებული მტკიცე იყოს.

ამისნი მოწამენი და შუადამხდ[ო]მნი არიან: |[44]მცხეთის ამილახორი გაბელისძე ამირან, ჯუარისმტუირთველი გ(იორ)გი, |[45]მოლარეთაუხუცესი ვირშელი და სულთამამა კუირილესშვილი დიმი|[46]ტრი, ელიოზისძე მამაგული, ცოცხასძე მესტუმრე კახა, მთავარასძე იმ|[47]არინდო და სრულ[ია]დ მცხეთისშვილნი.

დაიწერა ქ(რონი)კ(ო)ნსა რო, ჴელითა მაღ|[48]ალისძისა მცხეთის ქადაგისა მახარებელისათა, მოწამეცა არს.

† † † †

გვიანდელი სათაური XVIII საუკუნის ხელით:

ჭარმეულის ანდერძის წიგნი

მაღალისძისა

1482. გაცვლილობის წიგნი ძიშვარ და სულხან თუმანიშვილეგისა მიცემული ხუცეს ტერ-ასატურა პარვართაშვილისათვის

დედანი დაკარგულია, გვაქვს პირი: ხეც, Hd-8711, გადაწერილი XIX საუკუნეში ლურჯ ქაღალდზე.

თარიღი: ქორონიკონი რო (170) /1482/.

საბუთის დამწერი: მაჩაბელი ჟეშთელ.

საბუთი ქვეყნდება პირველად.

ქ. სახელითა ღ(მრ)თისათა, მამისა, ძისათა და სულისა წმიდისათა; ოხითა, მეოხებითა და თავ{მ}დებობითა და შუამდგომლობითა მარადის ქალწულისა მარიამისათა; ძლიერებითა ცხოველ[მ]ყოფელისა პატიოსნისა ჯვარისათა, მიქელ-გაბრიელისათა, მთ{ა}ვართა და მთავარანგელოზთა წმიდათა, თავთა მოციქულთა – პეტრესი და პავლესითა.

თავ[მ]დებობითა და შუამდგომლობითა წმიდის გიორგის გორისჯურისა, წმიდისა ესტატეს ოქროს გუირგუინოსანისა, წმიდის ოქონის ხატისა, წმიდის გორისა ღ(მრ)თის{მ}შობლისა.

ამა ყოველთა წმიდათა თავ{მ}მდებობითა და შუამდგომლობითა, ასრე რომე გაგიცუალეთ ჩვენ, თუმანისშვილმა[ნ] ქიშვარ და ბირთველიშვილმა[ნ] ჩვენმა[ნ] სულხან, თქვენ, პარვართაშუილს ხუცეს[ს] ტერ-ასატურას, ძმასა შენსა ხეჩატურას და შუილთა თქუენთა პარვართასა, ყანდუზარასა.

ასრე რომე, ეკლესი{ი}ს გარ{ე}შემო ადგილი [გუ]ქონდა მისის ქულბაქითა, და გა[გი]ც[უ]ალეთ ჩვენ[ი] თოროსაული სახლ-კარი მისის ქულბაქითა ჟამატუნის გ{უ}ერდითა, მისის ჭურ-მარნითა და საჯინიბოთი და სათორნითა, მისის მიდგმითა. დაგანებეთ ყოვლისაფერითა და თქვენეული საყდრის ჟამატუნათ [ვ]უყავით.

შევსწირეთ და დაგანებეთ სასახლე ყოვლის ჩხუბისა და ილათისაგან გამოსული, მიზეზშემოუღებელი. თუ ვინმე გამოგიჩნდეს მოდევარი, პირისა და პასუხის გამცემნი ჩუენ ვიყუნეთ. შევიჯერეთ ერთმანერთი, რითაც ფერით იყო.

---

[3] ცხოველყოფლისა ნსხ. [5] წმინდათა ნსხ. თავადთ მოციქულთა ნსხ. [6] წმინდის ნსხ. გორისჯვრისა ნსხ. [7] წმინდისა ნსხ. [9] წმინდათა ნსხ.

არის ამისი მოწამე და დამხდომი: ხოჯა არაქელასშუილი კარ{ა}პეტა, ანპეტასშუილი დონდო{რ}ა, ანდრონიკაშუილი გაბრიელ, ყალამაშუილი გრიგოლ.

მაჩაბელ ჟეშტელს დამინერია და მონამეცა ვარ.

დაინერა სიგელი ქ(რ)ონიკო(ნ)ს რო. 5

† † †

იქვე, 1482 წლით (რო) დათარიღებული მინანერი საბუთი:

ქ. ჩვენ, თუმანისშვილებმა[ნ] ქიშვარ, ბირთველ და სულხანმა[ნ], ეს[ე] ნიგნი მოგეცით თქუენ, პარვართასშვილს ხუცეს[ს] ტერასატურას, ძმასა შენსა ხეჩატურასა და შვილსა თქუენსა პარვართასა, ყანდურაზასა. 10

[ასრე] რომ[ე], თქუენი მონაცუალი ალაგი საყდარს შევ[ს]წირეთ და ჟამატუნათ გაუკ[უ]ეთეთ ჩვენი სულისათუინა საბოლაოთ, მამულათ.

საყდართან ჩვენ საქმე არა გუქონდეს, არცა ჩუენ და არცა ჩვენ[ი]ს გუარის კაცსა. არის ამისი მოწამე ენდრონიკა შუილი გაბრიელ, ყა-[ლამა]სშუილი გაბრიელა. 15

და მე, თუმანისშუილს სულხანს დამინერია.

დაიწერა ქრონიკონსა რო.

† † †

[14] გექონდეს ნსხ.

[1484-1491]. შეწირულების განახლების სიგელი ალექსანდრე მეფისა მთის წმიდა გიორგისადმი

ძველი პირი; ქიმ, 608ბ; მოთავსებულია ეტრატის მე-3-4 კეფების verso-ზე. მელანი ყავისფერი; ხელი მხედრული, მსხვილად გამოყვანილი გრაფემები; განკვეთილობის ნიშანი: ორი წერტილი, იშვიათად) თითო წერტილი.

საბუთი უთარიღოა. ს. კაკაბაძე მას ათარიღებს 1497-1502 წლებით. მისი მოსაზრება ემყარება ალექსანდრე II იმერთა მეფისა და საბუთში მოხსენიებული მეფის შვილების დაბადების წლებს ([14], ს. კაკაბაძე, განჩინება მთის წმ. გიორგის ყმათა სისხლის შესახებ, გვ. 252). ამ დათარიღების გაზიარება შეუძლებელია, რადგან: 1. ალექსანდრე მეფის შვილების დაბადების თარიღები პირობითია, მათი გამოყენება ქრონოლოგიურ საყრდენად არ არის საიმედო; 2. ს. კაკაბაძის დათარიღებას საეჭვოს ხდის მინაწერ საბუთთა თანამიმდევრობა ბაგრატის საბუთის verso-ზე: ჯერ მიწერილია ალექსანდრე მეფის საბუთი, შემდეგ – კონსტანტინე მეფის საბუთი, რომელსაც უზის ზუსტი თარიღი – 1491 წლის 20 აგვისტო. მაშასადამე, ალექსანდრე მეფის საბუთი არ შეიძლება შედგენილიყო და, მით უფრო, მიწერილიყო ბაგრატის შეწირულების პირზე 1491 წლის შემდგომ. საბუთი გაცემულია 1484-1491 წლების შუალედში, როცა ალექსანდრე მეფე კონსტანტინეს ცვალებადი წარმატებით ებრძოდა იმერეთის ტახტის დასაკავებლად. ასევე ათარიღებს ალექსანდრესაბუთს საურმ. კაკაბაძე (С. Какабадзе, 210).

საბუთის პირების, გამოცემებისა და ლიტერატურის შესახებ იხ. აქვე, გვ. 155, ქიმ, 608ა.

საბუთის ტექსტი ქვეყნდება ქიმ, 608-ის მიხედვით.

ქ. ჩუენ, მეფეთ მეფემან ალექ|[2]სანდრე და თანამეცხედრემან ||[3]ჩუენმან დედოფალთა დედოფალმა|[4]ნ თამარ, და ძემან ჩუენმან |[5]ბაგრატ და ვახტანგ, ესე წი|[6]გნი მოგახსენეთ თქუენ, მთის |[7]მთავარმოწამეს წმინდას გ(იორ)გის |[8]ასრე და ამა პირსა ზედა: რაც ა|[9]მას ზემო სიმაგრე სწერია, ჩუ|[10]ენც ამის გამათავებელი ვართ |[11]ნებითა ღ(მრ)თისათა. და ანუ ვინც ჯო|[12]გი გატეხოს, წმიდის გ(იორ)გის |[13]შეცოდებით გარდახდეს.

[1484-1510]. 17 მაისი. სასისხლო სიგელი ალექსანდრე მეფისა თოფურიძეებისადმი

დედანი; ქიმ, 1608; ეტრატის გრაგნილი,ზომა: 151,5×23,5; ორი, თეთრი აბრეშუმის ძაფით გადაკერებული კეფი: I – 76,5×23,5; II – 74,5×23,5. დაზიანება: I კეფის ზედა მარცხენა კიდე მოხეულია, საბუთის პირველ ცხრა სტრიქონზე მელანი მთლიანად გადასულია, ისე რომ ტექსტი, რომელიც ფრაგმენტულად ამოუკითხავთ თ. ჟორდანიას და ე. თაყაიშვილს, დღეს აღარ იკითხება. საბუთის მარცხენა კიდე შემოფლეთილი. ხელი მწიგნობრული მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორი ან სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთის ბოლოს მოთავსებულია რუსული სარეგისტრაციო ჩანაწერი ნომრით №807, იქვე უზის რუსული ბეჭედი ორთავიანი არწივის გამოსახულებით.

თარიღი: საბუთში მითითებულია ალექსანდრე მეფის მეფობის „ჟამი“ და უწვეულო ქრონიკონი – ცხრაას სამოცდარვა, რაც იძლევა 2280 წელს. თვისა და დღის აღსანიშნად მითითებულია 17 მაისი. საბუთი პალეოგრაფიული ნიშნებით აშკარად ძველია – მისი გრაფიკული თავისებურებები თავსდება XV-XVI საუკუნის პირველი ნახევარში, მაგრამ უცნობია, ამ პერიოდიდან რომელ ალექსანდრეს მიეწერება საბუთის გაცემა. მწიგნობრის მიერ ქრონიკონის მითითებისას დაშვებულმა უხეშმა შეცდომამ გამოიწვია საბუთში მოხსენიებული ალექსანდრე მეფის სხვადასხვაგვარი იდენტიფიკაცია. თ. ჟორდანია სიგელს 1426-1430 წლების ქვეშ ათავსებს, თუმცა თვითვე გამოთქვამს ეჭვს დათარიღების სისწორეში და აღნიშნავს, რომ სიგელი, შესაძლებელია, იმერთა მეფე ალექსანდრე II-ს ეკუთვნოდეს ([41], თ. ჟორდანია, 233). ე. თაყაიშვილმაც სიგელი ალექსანდრე I-ს მიაკუთვნა და იგი 1413-1444 წლებით დაათარიღა ([10]. ე. თაყაიშვილი, 35). ს. კაკაბაძემ საბუთი ალექსანდრე II იმერთა მეფეს მიაკუთვნა და იგი 1490 წლით დაათარიღა.

საბუთის დამწერი, გარდა ქრონიკონში დაშვებული შეცდომისა, უხეშად არღვევს დიპლომატიკური ფორმულების შედგენის წესებს, რაც დამახასიათებელია სასისხლო სიგელებისათვის. საბუთის sanctio-ში, სადაც, ჩვეულებრივ, სამეფო კარის მოხელეთა ჩამონათვალი უნდა იყოს, არის ვრცელი ნუსხა დამწერისათვის ცნობილი დიდგვაროვნებისა და საეკლესიო იერარქებისა, რომელთა შორის ერთად არიან მოხსენებულნი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლები. ამიტომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ საბუთი შედგენილია საქართველოს ერთიანობის ხანაში (ასეც ფიქრობდნენ თ. ჟორდანია და ე. თაყაიშვილი, როდესაც საბუთს ალექსანდრე I-ის დროს აკუთვნებდნენ), მაგრამ ამგვარ დასკვნას წინ ელობება ქართლის თავადების გვარსახელთა ფორმები – „ციციშვილი“ და „ბარათაშვილი“, რომლებიც უცნობია ალექსანდრე I-ის დროისათვის. ეს გვარსახელები დამოუკიდებლად, მათივე წინამორბედი გვარსახელების (ფანასკერტელი, ქაჩიბასძე) გარეშე, XV საუკუნის მიწურულს ჩნდება. „ციციშვილის“ შეუთავსებლობას ალექსანდრე

დიდის ეპოქასთან ჟურადღება მიაქცია ს. კაკაბაძემ. საბუთის დასათარიღებლად მანვე მიუთითა ალექსანდრე II-ის თანამედროვე ისტორიულ პირებზე, სვიმონ მაწყვერელსა და ივანე ათაბაგზე, რომლებიც საბუთის sanctio-ში არიან მოხსენიებული. ს. კაკაბაძის მოსაზრებით, საბუთის sanctio XV საუკუნის მიწურულის ვითარებას უფრო ასახავს, ვიდრე XVI საუკუნის დასაწყისისას, როცა სამცხის ათაბაგი მზეჭაბუკი ხდება ([21], ს. კაკაბაძე, 75). „პირთა ანოტირებულ ლექსიკონში“ საბუთი ალექსანდრე II იმერთა მეფის ზეობის წლებით (1484-1510) დათარიღდა ([32], 219). რასაკვირველია, საბუთის დასათარიღებლად მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ საბუთის შემდგენისათვის დასაშვებია იმერეთის სამეფო კარზე ერთდროულად ქართლისა და იმერეთის თავადთა მოხელეობა. ასეთი შერეული შემადგენლობა იმერეთის სამეფო კარის დარბაზისა მოსალოდნელია XV საუკუნის 80-იან და XVI საუკუნის პირველი ათეულ წლებში, როცა ალექსანდრე II-სა და კონსტანტინე II-ს შორის ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა ბრძოლა ამ ორი სამეფოს ერთიანობის შესანარჩუნებლად. ამდენად, საბუთის გამცემი ალექსანდრე მეფე შეიძლება იყოს მხოლოდ იმერთა მეფე ალექსანდრე II, რომლის ზეობის (1484-1510) წლები „კორპუსში“ მიჩნეულია მოცემული საბუთის სავარუდო თარიღად.

საბუთის დამწერი: მდივანი იოაკიმი

გამოცემა: 1) [41], თ. ჟორდნია, 233-235 (შემოკლებით); 2) [10], ე. თაყაიშვილი, 35-37 (თ); 3) [25], ს. კაკაბაძე, 73-75.

ლიტერატურა: [25], ს. კაკაბაძე, 75-78.

|... ძისა და სოლომონიან-დავითიან-ბაგრატოვან მეფისა ალექსანდრეს ... შარვანშა ... მრავალთა ... ლიხთ-ამერთა და ლიხთ-იმერთა]* მტკიცეთ [ორთა]ვენ ოქ[რო[ს] ტახტზედ |[2]მჯდომარისა და ღმრთივ-გვირგვინოსნისა და ყოვლი|[3]სა ხმელეთისა მპყრობლობითა მქონებელისა, მეფისა |[4]ალექსანდრეს წინაშე მოვიდეს ჩუენთა დროულთა კა|[5]რთა ზედა ერთგულნი და დიდად ერთგულად ნამსახუ|[6]რნი თოფურიძენი: კაციბერ, შერგელი, გიორგი, იოვა-|[7]ნე.

მ(ა)ს უ(ა)მსა, ოდეს ერთი ჯორის ცალი[სა] აღნე (sic) |[8]ზანდუკი ოქრო და ვეცხლი ცხენისწყალმა წამართ|[9]ვა და კაციბერ მომირჩინა, და ჩუენ არა ვიცოდით, და |[10]კაციბერმა მომართვი, იმა ერდგულობისათვის გვია|[11]ჯნეს [და ვისმ]ინეთ. გამოიღეს სიგელი და ძველათაც წ|[12]მიდა აზნაურისშუილნი ყოფილიყნენ. ვქენით მოკით|[13]ხული და ტახტისა აზნაურისა შვილნი გამოვიდენ.

ვი|[14]სმინეთ აჯა თქვენი, მოვიკითხეთ ძველი და ახალი თქვენისა |[15]გვარისა ვითარაობა და ერთობ წმიდა აზნაურის კაცნ[ი] გამოვიდნენ სამონასტრო საყდრითა და მისი შემავალითა |[16]გლეხებითა, სამოსასახლოითა, საჯვარითა გარეთ და შინითა, |[17]ბევრის ყმითა, სათიბითა, ტყითა, ველითა,

---

[9] კაციბერი მომირჩინა თ. [11] [დავად]გინეთ] კ. [ვიგულსმოდ]გინეთ თ. ძველთც კ. [15] გამოვიდა თ. [16] საყდრითა] საურითა თ.კ. სამოსალითა კ. [17] ბევრის] - ჟ.თ.

* აღდგენილია თ. ჟორდანიას და ე. თაყაიშვილის პუბლიკაციების მიხედვით.

სათევზოთა ყო|[19]ელისფერითა. წმინდა აზნაური კაცი გამოვი[დნ]ენ.

მართლით|[20]ა განაბჭობი სისხლი გაუჩინეთ თოფურიძეთა დი-დ<ი>|[21]სა და მცირესა სამას სამოცდახუთი ათასი ძველი ძველ{ი} კირ-მან|[22]ეული დაგიურვებოდეს სისხლი. არავინ კადრებულა. თუ ვინ|[23]მე ეშმაკისა მანქანებითა თოფურიძისა გუარისა კაცი მ|[24]ოკლას, ექუსასი ასი ათასი ძველი კირმანეული დაგიუროს, |[25]სანახშირო და ცხრაასი ათასი. და მას გარეთ ათი|[26] მეხადილე გლეხი, თეთრი ჯორი ვერცხლის იარაღითა, |[27]მეჯინიბითა, თეთრი ქორი, თეთრი მეძებარი მისითა ბა|[28]ზიარითა დაგეუროს.

ვინცა სახლად დაგესხას, დაგწვას, ა|[29]ლაფი ნაიღოს, ნახევარი სისხლი დაგიუროს.

ვინცა |[30]ცოლი გაგიუპატიოს, ნახევარი სისხლი დაგეუროს.

ვი|[31]ნცა გვარისა ქალი დაგიგდოს, ანუ სახლიშვილი მო|[32]გიკლას, ნახევარი სისხლი დაგიუროს;

ვინცა გრძნეულო|[33]ბა გითხრას, მართალი გამოხვიდე, ნახევარი სისხლი და|[34]გეუროს.

ვინცა ექსთა ასოთაგან ერთი დაგიშაოს, ექსი ათ|[35]ასი კირმანეული დაგეუროს, ოცი ათასი თეთრი უზღოს.

|[36]ვინცა კბილი ამოგიგდოს, ნახევარი სისხლი დაგეუროს.

|[37]ვინცა მეხადილესა გიცეს, ანუ მწყემსსა, ნახევარი სის|[38]ხლი დაგიუროს.

ვინცა ბაზიარსა ან მეთევზურსა||[39] გიცეს, ვითარცა შეგვანდეს, აგრე სამასი ათასი კირმა|[40]ნეული დაიუროს.

სხვა ნაძარცვი, ნაკოდი, გზასა ნაძარ|[41]ცვი, ამა სიგელსა და იადგარსა დახედოს, მის-მისითა წე|[42]სითა დაგეუროს.

ვინცა ყანასა დაგესხას და გიომოს, თუ |[43]დაიკოდოს, ნახევარი სისხლი დაგეუროს, თუ მოკდეს, სრ|[44]ული სისხლი დაგეუროს.

ამისნი მოწამენი არიან: თავად|[45] ღმერთი და კაცთაგან: ასპალარი ივანე ათაბაგი, ერისთავთა ერის|[46]თავი მანდატურთაუხუცესი დადიანი, სვან|[47]თა ერისთავი გურიელი, ფარიჯანიანი ელაშერ, ელაშერი |[48]ჭილაძე, ამერიჯიბი ავჯაშერ, ციციშვილი |[49]დავით. სხვანი ჩუენი კარის ვაზირნი: შიოშ ფალავა|[50]ნდისშვილი, ფარნაოზ ფალავანდისშვილი, ბაგრატ ბ|[51]არათაშვილი, თაიმურაზ ლაშ{ხ}ისშვილი, მამისმამა |[52]კუჭეიძე, ყელგრძელი ჩხეტიძე, გიორგი ერისთავი, კახა|[53]ბერი ლომინაძე, როსტომ ჩივჟავაძე, ხაფილანდრო |[54]ღოღაბე[რიძე], ლომინი მიქელაძე, ფანუელ ლაფიცხუძე, |[55]საყან მაჭუტაძე, დემეტრე ბერიძე, ლომინი მახაძე, ჯ|[56]ოღერდი ჩლაჩაძე, მოსაით ჯარადაი ქორთოძე, შამადაელა |[57]ლიპარტიანი, ელბადურ გოშოძე, ულაშარ ამუნა|[58]სკირი, არღუნაი შარვაშიძე, ალთუმიშარ ამჩაბაძე, |[59]თუმელდი ყუდუსაძე.

[22-23] თუ ვინმე] ვისმენ ნსხ. თ. [24] ექსასი კ. კირმანაული] [თეთრი] თ. [25] ათასი] + თეთრი თ. [37] მეხადილესა] მესადილესა თ. [51] ლაშისშვილი თ. [54] ღოღაბე თ. [55-56] ჯოღერედი თ.

ანე, სხვანო კარისა ჩუენისა ვაზი|[60]რნო და ხელისა მქონებელნო: მესტვირეთა, მენალარეთა უხ|[61]უცესნო, მოლარეთა და ბაზიართა უხუცესნო, თქუენცა |[62]დაუმტკიცეთ ბრძანება და სიგელი ესე. აწე, ქრისთეს მ|[63]იერ კურთხევით კურთხეულნო ქართლისა ქათა|[64]ლიკოზნო და ებისკოპოზნო, თქვენითა ჯვარითა, |[65]თქვენითა ომფორითა თქვენცა ასრე დაუმტკი|[66]ცეთ. ლიხტ-იმერი|[67]სა ქათალიკოზნო და ებისკოპოზნო, თქვენცა ასრე დაუმტკი|[68]ცეთ ბრძანება და სიგელი. სვიმონ მაწყვერელო, მანუელ |[69]ქუთათელო, დავით ცხეთელო, ელია ჭყოინდელო, ბარ|[70]თლომე ცაიშელ[ო], რომანოზ მოქველო, გრიგოლ ბე|[71]დიელო, საბა ხობელო, ევდემოს ცხეთელო, თევდო|[72]რე დრანდელო, თქვენითა ჯვარითა თქვენცა ასრე |[73]დაუმტკიცეთ ბრძანება და სიგელი ესე.

დაიწერა ბ|[74]რძანება და სიგელი ესე ჟამსა ალექსანდრე მეფო|[75]ბისასა, ქორანიკონსა ცხრაას სამოცდარვასა, თვეს|[76]ა მაისსა აჩვიდმეტსა, ჴელითა მდივნისა იოვაკიმისათა, ამინ.

პატარა ოვალური ბეჭედი, ლეგენდა გადასულია.

[1484-1510]. სასისხლო სიგელი ალექსანდრე მეფისა შერზადიშვილებისადმი

ძველი პირი; ქიემ, 647; მუქი მოყვითალო ფერის სქელი ეტრატი, ზომა: 84×21,2. დაზიანება: ეტრატი მეტისმეტად გამომშრალია და ამიტომ მსხვრევადი, აშიები დასერილია და ზედა მარცხენა და მარჯვენა კიდეები მოხეულია ტექსტიანად. მუქი ყავისფერი მელანი, მარჯვნივ გადაბრილი მხედრული ხელი; ორ ადგილას, საბუთის თავსა და ბოლო მონაკვეთში, მეფის სახელი „ალექსანდრე“ ჩაწერილია გადანაშლილ ადგილას შავი მელნით და ტექსტის მსგავსი ხელით. განკუთვნილობის ნიშანი: ერთი, ორი ან სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ტექსტს ახასიათებს ა-მეტობა. ს. კაკაბაძე უთითებს საბუთის ნომერს №484.

საბუთი უთარიღოა. ს. კაკაბაძის ვარაუდით, საბუთის თავდაპირველი გამცემი შეიძლებოდა ყოფილიყო მეფე ბაგრატ VI (1455-1478), რომლის სახელი შემდგომ „ალექსანდრეთი“ ჩაუსწორებიათ. მისი შეხედულებით, ალექსანდრეს მეფობის დროს (1484-1510) უნდა გადაეწერათ პირი ([25], ს. კაკაბაძე, 43-44), მაგრამ ასეთი განმარტება ვერ ხსნის მეფის სახელის გადასწორების ფაქტს.

საბუთში ერთადაა წარმოდგენილი სასისხლო განჩინება, შედგენილი კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით და სისხლის ნორმატიული აქტი. ამ ორი ტიპის საბუთის ერთ ტექსტში გაერთიანება, როგორც ჩანს, დაზარალებული მხარის სასარგებლოდ მიღებულ საგანგებო ზომებს ასახავს, რომელიც უნდა მიეღო გარდაცვლილის პატრონს ერისთავ მირიან ჭარელისძეს. უეჭველია, მირიან ჭარელისძე ალექსანდრე მეფის თანამედროვეა, რასაც მოწმობს სიგელის გამცემი მეფის სახელის გადასწორება „ალექსანდრედ“. ამიტომ „კორპუსში“ საბუთის გაცემის თარიღად მიჩნეულია ალექსანდრე იმერთა მეფის ზეობის (1484-1510) წლები.

საბუთის დამწერი: ვახტაგ თურმანიშვილი.

გამოცემა: [25], ს. კაკაბაძე, 44-45.

[ქ. ნები]თა ღმრთისათა, ესე დანერილი და სიგელი დაგიწერეთ[და გიბო]
ძეთ<ა> |[2]მეფეთა მეფემა ალექსანდრე[1] და ჩემთა დარბაისე[ლთა] |[3]ყოვ-
ელთავე. ქართველთა, კახთა და მესხთა და |[4][...]ოთა და მეგრელთა
და სრულა მრაჭველთა შუ|[5][ამდგო]მლობითა და მოწმობითა, შენ<ა>,
შერზადიშვილ[სა] |[6]შალვასა და გიორგისა და ქ<ა>ველ<ა>სა და
ქავთარს, |[7][მას] ჟამსა, ოდეს შემამაკვდა მე, ლეჟერასა ჩიკვილა|[8][ძე]
სა და ჩემ<ა>სა შვილსა მარუშიანსა შემამაკვდა შერზა|[9]დიშვილი.

---

[1] აქ „ბაგრატ“ გადაშლილია და სხვა ფერის მელნით ჩაწერილია „ალექსანდრე“.

ს<ა>ტუმარსა თავზედა კაჭაძესა ცხენი წავა|[10]რთვი და მაზედა შემამაკუდა შერზადიშვილი ივანე |[11]მე, ლეჟერასა ჩიკვილაძესა. მაზედა დიდი მტერობა |[12]მოგ<ა>ვიყ<ა>ვა, მაზედა ჭარელიძეც გამიწყრა: თუ ჩემი |[13]აზნაურიშვილი შენგან მ<ა>კვდარ{ი} არიო, მაზედა [მო]|[14]მიჴდი, დამ<ა>წვი და დამკაფე და არა შემარჩინე კაცისა ნა|[15][მ]რავალი.

მაზედა შუა შემოვიდ<ა>ნესა დარბაისელნი: |[16]იაშვილი ვარდან და გარაყანიძე გიორგი და ფურ|[17]თუხიძე როსტევან და მანოელ კანაჩაძე და ნავ|[18]როზა თულაშ<ა>ვილი.

ქქენით მოკითხული |[19]ძ<ა>ველსა სიგ<ა>ლისა. ძველსაცა აგრე ეწერა: |[20]ექვსა ოცჯერა ოცი ათასი და ათი ათასი ძ<ა>ვ|[21]ელი თეთრი კირ<ა>მანიული ეწერა სიგელ<ა>სა შერზადი|[22]შ<ა>ვილსა მისითა სანახშირითა.

მოგეც მე, ლეჟერამა |[23]ჩიკ<ა>ვილაძემა, შენა, შერზადიშ-ვილსა შალვას და |[24]გიორგისა და ქ<ა>ველსა და ქა{ვ}თარსა სისხ<ა>ლათა |[25]ველეფასა საყდარი მისითა შესავალითა და მისითა |[26]სა-საფლაოთა და მისითა ხატითა.

მოგეც შენ, შერზადი|[27]შვილსა, მე, ლეჟერამა ჩიკ<ა>ვილაძემა. მოგეც კეკ<ა>ნაძე, |[28]გურ<ა>კი<ა>ნაშ<ა>ვილი და გამ<ა>რე-კელაშვილი და მახარებ<ა>ლი|[29]შვილი და ზაქარიაშვილი და კუტუშიძე და ივანაძე; |[30]და გაღმა წინამ<ა>ჴარსა ოქ<ა>როძე; დაფ<ა>ქ<ა>ულთასა – თა|[31]ჴ<ა>ვაძე.

მოგეც შენა, შერზადიშვილო, მე, ლეჟერმა ჩიკვი|[32]ლაძემა ცხრა გ<ა>ლეხი მისითა მამულითა; მოგეც ათი ტანი |[33]აბჯარი მისი-თა იარაღითა; მოგეც თექ<ა>ვსმეტი ცხენი |[34]და ჯორი და სამი ათასი და რვისა კაცისა საზიდა|[35]ვი ქვაბი, და ჴარი და ზროხა მრავალი. |[36]რაც შენ<ა>მა ავ<ა>-ნაქმარმა არა გაკ<ა>ლო, შერზადიშ|[37]ვილო, მე არა დამიკ<ა>ლია. მოსამართლემაც შემა|[38]ძ<ა>ლებია, ყ<ა>მანიც დავაღარიბე შენისა სიკვდილისა|[39]თ<ა>ვინა, შერზადიშვილო.

მე, ლეჟერასა ჩიკვი|[40]ლაძესა აღარა შემრჩა ერ<ა>თისა ცხენისა მეტი და |[41]ერ<ა>თისა იარაღისა მეტი. წელთა ჩალა შემოვი|[42]რტყი. შენ<ა>მა სიკ<ა>ვდილმა ა|[43]გ<ა>რე გამხადა, შერ|[44]ზადიშვილო, ვინ<ა>ცა დაგაშაოს<ა>, ანუ შინა ჩა|[45]მოგიხდეს<ა>, ანუ დაღი დაგასვ<ა>სა, ანუ დაგატ<ა>ყვე|[46]ოს, ანუ ცოლი მოგი..ნასა, ანუ ბატონთა|[47]ნა დაგასმინოს, ნახევარი სისხლი მან<ა> დაგიურო|[48]სა.

ვინცა უდაღოდ<ა> გერში გადინოს, ანუ მწ|[49]ყ<ა>მსი გაგიც{ა}რცო{ს}, ათასი მან<ა> დაგიუროს<ა>.

|[50]პირ{ი}სა დასაუბ<ა>ნება{დ} მამიცემია ვან<ა>სა ერთი საგლეხო |[51]და კორ<ა>ტან<ა>სა ჩიკვილაური |[52]ყანა.

დაუმ<ა>ტკიცესა და უბოძეთა სიგე{ლი} შერა|[53]ზადიშ<ა>ვილსა მეფეთა მეფემან ალექსანდრე* და |[54]ჩემ<ა>თა დარბაისელ<ა>თა ყოვ-ელთა.

მე დამი|[55]წერა ვაჯბია (sic) ჭარელიძესა მირიანსა, ერი<ა>სთავსა. |[56]ამისი მ<ა>წერალი არის<ა> ვახტაგ თურამანიშ|[57]ვილი.

ხვეული ხელრთვა:
|[58]მეფეთა მეფე ალექსანდრე

* შესწორებულია, უნდა ყოფილიყო „ბაგრატ“ კ.

[1484-1510]. წყალობის წიგნი ერისთავ მირიან ჭარელისძისა გიორგი და ახსართან შერაზანისშვილებისადმი

დედანი; ქიმ, 1024; სქელი მკვრივი ეტრატი; ზომა: 26,5×18,5; დაზიანება: ეტრატი სიძველისაგან ჩაჟანგებულ-ჩამუქებულია და დალაქავებული, ტექსტი ძნელად გაირჩევა. მელანი შავი; ხელი წვრილი, აჩქარებული, ოდნავ მარჯვნივ გადახრილი მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორი ან სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. პალიმფსესტი: საბუთის verso-ზე მკრთალად ჩანს ნუსხური ტექსტის კვალი.

საბუთი უთარიღოა. პალეოგრაფიული ნიშნებით საბუთი განეკუთვნება XV საუკუნეს. საბუთში მოხსენიებულია მირიან ჭარელისძე იხსენიება ალექსანდრე იმერთა მეფის (1484-1510) თანამედროვედ ალექსანდრე მეფის სასისხლო სიგელში შერაზადიშვილებისადმი (იხ. აქვე, გვ. 265, ქიმ, 647). ამდენად საბუთი თარიღდება ალექსანდრე მეფის ზეობის წლებით.

საბუთის დამწერი: ბორბენაშვილი ზაქარია.

საბუთი ქცეულია პირველად.

ქ. სახელითა ღ(მრ)თისათა, ესე წიგნი და ნიშანი დაგიწერეთ და გიბოძეთ |[2]მტკიცე და შეუცვალებელი, მე, ბატონმან ერისთავმან ჭარელისძემან |[3]შენ, ჩემსა აზნაურისშვილსა შერაზანისშვილსა გიორგის და [ახსარ]|[4]თანს.

მას ჟამსა, როდეს შაორს უნაჭე (sic) მარიამობასა დღესა |[5]და მიღალატა კახაბერიძემან გიორგი, პერანგის [მთ]ასა [...] |[6]და ორი ისარი დამაცილა, გიორგი და ახსართან შერაზანასშვი|[7]ლი მიეგებეს და დაუშინეს იმა კახაბერიძესა გიორგის. და მო|[8][კლეს] თულაშვილი ივანე და წულუკიძე ნასყიდა, მერმე გა|[9]მომექცა ისი კახაბერიძე და ნიკოლწმიდას საყდარშიგან შემეჭრა. |[10]და საყდრით გამოვიყვანე, წავიყვანე და ჩემს ცოლთანა ტ[ყვედ] |[11]მოვიყვანე, მივიყვანე და მაშინ ჯილდოდ მივე შერაზანისშვილსა გიორგის |[12]და ახსართანს: ჭუვესთავს ჩაბრაძე და წალკოტელიძე და |[13][ჭ]იანს შალულაძე, ქვედას არაბიძე და ონჭეეს ჯალაგაძე და ჭარ|[14]ჭალიძე და სა[ლაბ]ი (sic); და კორტანს გეთიშვილი და პიპილეთს მო[სი]|[15]ძე გოგატა[შვილი].

ესე ათი გლეხი მე, ჭარელიძემ ერისთავ|[16]მან მირიან უბოძე და მივე წყალობად ჩ[ემსა] აზნაურისშვილთა |[17][შე]რაზანისშვილსა გიორგის და ახსართანს მისითა მამულითა, წყ|[18]ლითა, წისქვილით{ა}, ველითა,

ვენახითა, ტყითა, სანადიროთა, |[19]სათიბითა, სახნავითა, ეკლესიითა, სასაფლაოთა სათევზაოთა, |[20]მთითა ბარითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და|[21]უძებრითა.

არის ამისი შუამყოფი ვარდანიაშვილი. ვინ[ც] |[22]ჩემი წყალობა შეგიცვალოს, რჯულისაგანმცა შეიცულების.

|[23]მე, ბორბნეშვილსა ზაქარიას დამიწერია იანვარსა ერთსა.

ხელრთვა:

|[24]ქ. მირიან ჭარელისძე

[1486-1488]. 5 დეკემბერი. სასისხლო სიგელი კონსტანტინე მეფისა თოდაძეებისადმი

დედანი; ქიემ, 591. ეტრატის გრაგნილი, ზომა: 152×16,5; სამი, ერთმანეთზე წითელი აბრეშუმის ძაფით გადაკერებული კანი: I – 50,5×16,2; II – 45,5×16,5; III – 56×16,5. დაზიანება: კიდეები გაცრეცილი ზედა, მარჯვენა კიდე მე-3 სტრიქონის გასწვრივ ამოგლეჯილია; მელანი შავი, მე-7-8 სტრიქონებზე მელანი გაჟონილია; ხელი მწიგნობრული მხედრული, ტექსტი იწყება დიდი ზომის, ორნამენტული ხვეულებით შემკული ქანწილით. განკვეთილობის ნიშანი: ორი ან სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

ს. კაკაბაძის შენიშვნით, საბუთი რუსული სარეგისტრაციო მინაწერით წარდგენილი ყოფილა სამეგრელოს მართებლობის საბჭოში (სამეგრელოს მართებლობის საბჭოს არქივი დაიღუპა 1919 წელს, როცა ის ქუთაისის საგუბერნიო კომისრის დავალებით გაიყიდა ქუთაისის მთელ საგუბერნიო არქივთან ერთად). ამავე მინაწერიდან ირკვევა, რომ თოდაძეთა გვარი სამეგრელოში ცხოვრობდა, რასაც ასევე ადასტურებს თავად სიგელში თოდაძის გვარის მოხსენიება „თოდოას“ ფორმით. საბუთის verso-ზე მოთავსებულია რუსული სარეგისტრაციო ჩანაწერი: „Сей документъ в Советъ Управления Мингрелиею крестьянином Тодуевымъ явленъ и въ книгу подлинникомъ подъ № 829; записанъ въ чем подписомъ присутствующихъ и приложениемъ казенной печати свидетельствуется. Старший членъ Совета (подпись), Членъ отъ дворянства К. Габунияю. Секретарь совета (подпись)“.

თარიღი: საბუთს ახლავს მხოლოდ თვე და რიცხვი – 5 დეკემბერი. ს. კაკაბაძე მას ათარიღებს კონსტანტინე დიმიტრის ძის მიერ იმერეთის შემოერთების წლებით – 1486-1488 წწ. ამ დათარიღებას განამტკიცებს სიგელის ცნობა „თარეხთან“ (იაყუბ ყაენთან) კონსტანტინეს ბრძოლის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიუღია თოდოძის გვარის კაცს.

დამწერი: კარის მწიგნობარი ფილიპე.

გამოცემა: [25], ს. კაკაბაძე, 45-48.

ქ. სახიერისა ღ(მრ)თისა, არსისა მბადი|[2]სა და გარემოუწერელისა, მამისა, |[3]ძისა და სულისა წმიდისათა, ჩუენ, |[4]მეფეთ-მეფემან იესიან-მან, დავითიან|[5]მან, სოლომონიანმა, ზეგარდმო ცხე|[6]ბულმან ღმრთიულმან (sic) გვირგვინო|[7]სანმან და სრულიად ჩუენთა ლაშქარ|[8]თა, რანთა, კახთა, აფხაზთა, ქართველ|[9]თა, ჯიქთა, სვანთა, მესხთა, შანშე და შა|[10]რვაშთა, ლიხთ იმერთა და ლიხთ

ამერ|[11]თა, აღმოსავლეთისა და დასაელეთისა, ჩრ|[12]დილოეთისა და ყოულისა საქრისტიანოსა |[13]პირველ დასაბამითგან და ვიდრე უკუნისამდისა ნებითა ღ(მრ)თისათა ხელმწიფედ |[14]ფლობით მპყრობელმ(ა)ნ და შორს ნარჩი|[15]ნებულმან, ღმრთიულ-გვირგვინოსა|[16]ნმან და ორთავე ტახტთა ფლობელ-მპყ|[17]რობელმან დიდმან კონსტანტინე.

II კეფი დაგვეაჯ||[18]ნეს ჩუ(ე)ნი დიდად და თავდადებით ნამ|[19]სახური, მარად მთავარანგელო|[20]ზის ეკლესიის კარს ერდგული|[21]სა ყმისა თოდოძესა ვარდან და გიორგი თოდოძენი, დაგუვეაჯნ|[22]ეს.

ვისმინეთ აჯა და მოხ|[23]სენება* თოდოძენისა, ვქენით მოკითხული |[24]მათი გუვარისა ძველისა და ახლისა და ესე შე|[25]ვიგენით: ერთობ წმინდა ქებული მსახუ|[26]რი კაცი ყოფილან ხატითა, აბჯრითა, |[27]შინა და გარე ყმითა, ყოულითა იარა|[28]ღითა თოდოძენი ვარდან და გი(ორ)გი.

მერ|[29]მე დავსხედით თავად პატონი მეფეთ|[30]-მეფე კოსტანტინე და ჩუ(ე)ნი დარბაისელნი და |[31]გაუჩინეთ სრული და უკლები სისხლი თო|[32]დოძეთა – ორას სამოცი ათასი თეთრი |[33]სისხლად დაგეურებოდეს დიდთაგან და მცი[რე]|[34]თაგან, უზედაესთა და უქუეედაესთაგან.

|[35]ესე ჩუ(ე)ნგან ნდომით<ი> გაჩენილი სისხ|[36]ლი ორას სამოც ათასი თეთრი გაგვი|[37]ჩენია. სისხლად დაგეუროს საზაოსა და სანა|[38]ხშიროსა გარეთ. და ცამეტი ათასი თეთრი სა|[39]ნახშიროდ გარდაგიხადოს. ნუმცა ოდეს |[40]მთავარა{ნ}გელოზი ჭაჩხურის კარითა ამისდა, |[41]რომე ღ(მრ)თისა სამართლისა ზედა შეუშვით.

ლა|[42]შქარსა ვიყავით, სამი თათარი გამოირჩია |[43]ყაინმან, ვითა სამი ქრისტიანე შეაბითო |[44]სამართალსა ზედა. მერმე ერთი ესე თოდოა |[45]ვარდან შევაბით და ორი სხვა. იპრიანა |[46]ღმერთმან და სამიეე დაჭრეს და მოკლეს. |[47]ამისდა საჯილდოდ გაუჩინეთ სრული |[48]და უკლები სისხლი – ორას სამოც|[49]ი ათასისა გაგვიჩენია. და გქონდეს ძე|[50]გლი ესე აწა და უკუნისამდის.

აწა, |[51]ვინცა ცოლი წაგიღოს და ანუ |[52]ასული დაგიგდოს, ნახევარი *III კეფი* სისხ||[53]ლი დაეუროს.

ვინცა დიდსა პატო|[54]ნსა ჩაგასმინოს, მართალი ანუ ღ|[55]ალატი ეცადოს, ნახევარი სისხლი დაეუროს.

ვინცა შიგნით დაგესხას |[56]და ანუ დაგწვას, იგივე ნახევარი |[57]სისხლია.

ვინცა ჯოგი გაგიტეხოს |[58]პირუტყუსა და ანუ ცხენისა, თუთხმეტი |[59]ათასი თეთრი გარდაგიხადოს და ნა|[60]ძარცვი შემოგაქციოს.

ვინცა მკუდა|[61]რი გაგიძარცოს და ანუ სასაფლაო |[62]გაგიტეხოს, თორმეტი ათასი თე|[63]თრი გარდაგიხადოს.

---

[17] კონსტანტინეს კ. [19-20] ფრაზა: „მარად მთავარანგელოზის ეკლესიის კარს“ ჩაწერილია გადანაშლელ ადგილას, განსხვავებული ხელით. ს. კაკაბაძის შენიშვნით, XVI ს-ის ხელით. მანვე სცადა წაშლილი სტრიქონის აღდგენა: „[სარგის და გ(იორ)გი დაგუეაჯნნეს ვითა მათისა]“. [39-40] სტრიქონებზე ტექსტი გაუმართავია. ფრაზა: „ოდეს მთავარანგელოზი კაჭხურის კარითა“, წერია გადანაშალ ადგილას. კ. ამ ადგილას აღადგენს: „ოდეს კადრებულ არს შლად და ქცევად“. [41] სამართალისა კ. ზედა| შიდაკ. [57] სისხლი კ. [61] სასაფლაო] სასახლე კ.

* ამ სიტყვის შემდეგ ფრაზა „და მოხსენება“ მეორდება.

ვინცა უსა|[64]მართლო ჭორი დაგიგდოს უმე|[65]ცროდ, თუ მართალი დარჩე, ნახევა|[66]რსა სისხლსა ემატოს.

ვინცა ბაზიარი |[67]ანუ მეჯოგე გიცეს, ხუთი ათასი|[68]სა თეთრისა გარდაგიხადოს. ვინცა უომარი ვაჟი ან ქალი სცეს და |[69]ანუ გაძარცოს, მეოთხედი სისხლი |[70]გარდაგიხადოს.

ვინცა ცოლი გაგი|[71]უპატიო{ს} ძალითა, იგივე მეოთხედი სისხლი დაგეუროს. სხვა – |[72]ნაკოდი, ნაძარცვი, ნაუპატიო სასიგლო საქმე ზემო სასისხლოსა|[73]გან იანგარიშეთ და მათითა ნ|[74]ესითა დაეუროს.

აწა, ვინცა |[75]ნახოთ ბრძანება ესე ჩვენი მე|[76]ფეთა, დიდებულთა, თავადთა, |[77]ეფისკოპოზთა, ერისთავთა, ეჯი|[78]ბთა, მსახურთუხუცესთა, ო|[79]თხმიზორთა, მოლარეთაუხუ|[80]ცესთა, მესტუმრეთა, მეჯინიბეთ|[81]უხუცესთა და ყოველთა კარისა |[82]ჩუენისა ვაზირთა და მოურაუ|[83]თა, ხელისა მქონებელთა, ერთ|[84]ბამად დაუმტკიცეთ.

აწა, ქრ|[85]ისტეს მიერ კურთხეულნო ||[86]ებისკოპოზნო, ქათალიკოზნო, *verso*
|[87]ესე ჩუენი გაჩენილნი სიგელი, |[88]თქუ(ე)ნითა ჯუვარითა და კურ|[89]თხევითა, თქუენცა აგრე დაუმტ|[90]კიცეთ. {ა}მისნი დამხდომ{ნ}ი |[91][და მო]ნამენი არიან: მერე |[92]შავასძე ჯაენი, ცოტნე ფარ|[93]ჯანიანი ერისთავი, მონელასძე |[94]გიორგი, გელაზ [...]არია|[95]ნი.

დაიწერა სიგელი სასიხლო |[96]ესე თვესა დეკენ<ე>ბერსა ხუთსა და |[97]დღესა პარასკეუსა ჯუარისასა პა|[98]ტიოსნისასა, ჟამსა მეექუსესა, ხელითა |[99]კარისა მწიგნობრისა ფილიპე|[100]სითა.

ამა სიგელსა შიგან ესეცა და|[101]გვიწერია და გაგვიჩენია: მეპატრონე|[102]სა კაცსა აბჟანდსა ჩამოეზიდოს, |[103]წყალობა უყოს და უბოძოს |[104]სამართალი გ(იორ)გის და ვარდანს. მომავალს|[105]ა მათსა გუვარსა ფანჯიკი ა|[106]რა გეთხოებოდეს.

აწა, ვინცა ესე |[107]სიგელი დაწერილი უარყოს, კ|[108]{რულ}, წყეულ, შეჩუენებულიმც ა|[109]რის ქრისტეს მადლითა. და ნაწილი |[110]მისი ურწმუნოსა თანა დაიდების; [შე-|[111]მცა-ედების დანთქმა დათან და ა]ბირონს თანა დი|[112]დსა დღესა მას განკითხვისასა, აქა |[113]და საუკუნოსა.

ხელრთვა ხვეულად:
ქ. მტკიცე არს ნებითა |[114]ღმრთისა, ამენ |[115]და უკუნისამდენ.

---

[72] სასისხლო საქმე] სასიგლო საქმე ნსხ. [105] ფანჯიექი კ. [111] [შე-მცა-ედების დანთქმა დათან და აბირონს] დიდების ებლითას ლოაბი ნსხ. კ.

1487. მამულის წყალობის სიგელი კონსტანტინე მეფისა საღვინის მოლარე ქავთარისძისადმი

საბუთის ორი სხვადასხვა ნაწილი მოღწეულია ძველი პირების სახით: ხეც, Hd-1349 და Hd-14695. ტექსტი იწყება Hd-1349-ით, გრძელდება Hd-14695-ით.

I. პირი: ხეც Hd-1349; ეტრატი, ზომა: 40,4×21,5; დაზიანება: საბუთის ზედა აშია ორივე მხრივ მოხეულია ტექსტის პირველი 5-6 სტრიქონების კიდეების ჩათვლით. ტექსტი წყდება მეთხუთმეტე სტრიქონზე, სადაც ეტრატი გადაჭრილია ჰორიზონტალურად. verso-ზე ეტყობა მხედრულად ნაწერი ტექსტის კვალი. ეტრატის დახეული კიდეები გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. მელანი შავი; ხელი აჩქარებული მწიგნობრული მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ;

2. პირი: Hd-14695; ეტრატი, ზომა: 48,5×18; დარჩენილია მხოლოდ ერთმანეთისაგან მოცილებული მეორე და მესამე კეფები: II – 21,5×18, III – 27×16,8. დაზიანება: ეტრატის ზედაპირი დაფარულია მონაცრისფრო ნადებით, ზედა კიდე მოხეულია, მესამე კეფის კიდეები უსწორმასწოროდ, ტექსტიანადაა მოფლეთილი, შუაში ალაგ-ალაგ აქვს გადაჭიმვის ნახვრეტებიც და ხელოვნურიც. მელანი შავი; მკაფიო, კალიგრაფიული მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. მესამე კეფის ბოლო ნაწილი ალაგ-ალაგ დახვრეტილია და ძლიერ შეკუმშული, აქ ტექსტი არ ჩანს, ამიტომ ტექსტის ეს მონაკვეთი შევსებულია თ. ჟორდანიას გამოცემის მიხედვით;

3. პირი: Qd-9600ა, Qd-9600ბ, გადაწერილი ორ ცალად თაბახის ფურცლებზე ე. თაყაიშვილის მიერ, იმეორებს ხეც, Hd-1349-ს.

თარიღი: ქრონიკონი როე (175) /1487/, კონსტანტინეს მეფობის მეათე ინდიქტიონი /1478/

საბუთის დამწერი: თუმანიშვილი ზაქარია.

გამოცემა: [41], თ. ჟორდანია, 305 (შემოკლებით).

„კორპუსში“ საბუთის ტექსტი ქვეყნდება Hd-1349-ისა და Hd-14695-ის მიხედვით, დაზიანებული ბოლო მონაკვეთი შევსებულია თ. ჟორდანიას პუბლიკაციის გამოყენებით.

[ქ] ნებითა და შეწევნითა [ღმრთისა]|[2]თა, ჩუენ, იესიან-დავითიან-სოლომონიან-[ბაგრაატოვნ]|[3]მან, ღ(მრ)თივ-გუირგუინოსანმან და ღ(მრ)თისაგან შეწყალებ[ულმან და] |[4]პატივცემულმან, მეფეთა მეფემან

[1] წყალობითა ღთისათა ჳ.

კოსტანტინე და თან[ამეცხ]|[5]ედრემან ჩუენმან დედოფალთა დედოფალმან თამარ, და ძეთა [ჩუენთა:] |[6]პირმშომან დავით, გ(იორგ)ი და ბაგრატ, ესე წყალობისა მტკიცე |[7]და შეუცვალებელი სამკუიდრო და საბოლაო პ(ი)ტაკი და ჩაქი |[8]დაგინერეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა დიდად ერთგულსა და |[9]თავდადებით მრავალფერად ნამსახურსა, ჩუენსა თანაშეზრდილ-|[10]გაზრდილსა და ჩუენისა მორჭუმისა და ამოდ-ყოფისათუის |[11]მრავალფერად მეცადე-მომჭირნესა ქავთარისძესა, საღუინის |[12]მოლარესა ახალციხელსა და თქუენთა ძმათა: თორელსა, ეშიმასა, |[13]შვილთა თქუენთა: ლიპარიტს, მირიანს, დავითს, სურხანს, ტარიელს. |[14]გაჴმაროს ღ(მერთმ)ა[ნ] ჩუენის[ა] ერთგულობ[ა]სა, |[15]შვილისშვილთა და მამა|[16]ვალთა სახლისა თქუენ˙ისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მირიანი|[17]სძე დაბოლოვდა და უმკუიდრო იქმნა, და თქუენ დიდი |[18]სამსახური და ერთგულობა გამოიჩინეთ ჩუენ ზედა და ჩუენ|[19]სა შვილსა ურდოს იახლენით და მისად შედეგად ესე წყალო|[20]ბა გიყავით: დაგსუით მი[რ]|[21]იანისძის მამულზედა და დაგიმკუიდ|[22]რეთ და გიბ[ო]ძეთ** ||[23]ქუენაფლასი მისითა მზღურითა და ბოლო[თა], |[24][რ]იეთი მისითა შესავლითა, მთითა და ბარითა, ქაშ[უ]|[25]ე]თი მისითა საყდრითა, მისითა სამძღურითა, [წითე|[26]ლი]სა კლდესა მოტანებით ღალათამდისინ; საყდარი |[27][...]გალისა, ღომარეთი, საყდარი და ნასოფლარი ხუთ[უ]|[28]საბი, ბოროს ციხე და კრცხილვანა სუიავარას კო|[29]შკს უკანამდისინ; ნაციხვარა ეკლესიითა და ერ|[30]თითა გლეხითა და საყანურითა; და ერთი ვენახ|[31]ი სკრას ქონებია, მითა, თეთრაული რომე |[32]ჰქუ[ი]ან; ოლოზი მისითა საყდრითა და ექუსითა სა|[33]გლეხოთა; კიოთას ერთი საგლეხო მისითა ეკლესიი|[34]თა.

ესე მამული ყუელა მირიანისძესა ჰქონდა |[35]და, რაცა მას ჰქონია, იგი უკლებლად თქუ||[36]ენთუის გუიბოძებია მისითა ეკლესიითა, სასა|[37]ფლაოთა, სასახლითა, ჭურ-მარნითა, ველითა, ვენაჯი|[38]თა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, |[39]სანადიროთა, მთითა, ბარითა, შესავალ-გამოსავ|[40]ლითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა სამარ|[41]თლიანითა – ერთობ ყუელათა.

გქონდეს თქუენ, ჩუ|[42]ნსა დიდად ერთგულსა და თავდადებით მრავალ|[43]ფერად ნამსახურსა, ჩუენსა თანა შეზრდილ-გა|[44]ზრდილსა და ჩუენისა მორჭუმისა და ამოდ ყოფისა|[45]თუის მრავალფერად მეცადე-მომჭირნესა, ქავთარას|[46]ძესა საღუინისა მოლარესა ახალციხელსა, შვილთა თქ|[47]უენთა ლიპარიტს, მირიანს, დავითს, სურხანს და

---

[1] წყალობითა ღთისათა ჟ. [6] წყალობის ჟ. [7] საბოლოო ჟ. პიტაკი და ჩაქი] [წიგნი და სიგელი] ჟ. [11] მეცადე-მოჭირნესა ქავთარისძეს ჟ. [15-16] მომავალთა ჟ. [23-24] ბოლოთა რიეთი] ბოლოთაროეთი ჟ. [28] ბოროს ციხე] შორის ციხე ჟ.

ტექსტის დასაწყისი ნაწილი თავიდან მონიშნულ ადგილამდე მიპყვება Hd-1349-ს. მომდევნო ნაწილი გრძელდება Hd-14695-ის მიხედვით.

** თ. ჟორდანია ამ სიტყვის შემდეგ გვთავაზობს განსხვავებულ წაკითხვას: „შორის ციხე, ღომარეთის საყდარი წითელდემდი“.

|[48]ტარიელს, შვილისშვილთა და მამავალთა სახლი[სა] |[49]თქუენისათა ყოველთავე.

გახმაროს ღმ(ერ)თმან ჩუენსა ე|[50]რთგულად სამსახურსა შიგან მირიანისაძისა მა|[51]მული სრულად და უკლებლად: ქუენაფლასი მის|[52][ი]თა მზღურითა და ბო[ლოთა] რი[ეთ]ი მისითა შესავლ|[53]ითა, მთითა და ბარითა, სუიავარას კოშკს [უკანამ|[54]დისი]; ნაციხვარა ეკლესი[ი]თა, ერთითა გლეხითა და ს|[55][აყა]ნურითა; და ერთი ვენახი სკრას ქონებითა |[56][მისი]თურთ; თეთრაული რომე ქუიან; [ოლოზ|[57]ი] მისითა საყდრითა და ექუსი საგლეხო, კი|[58][ოთას] ერთი საგლეხო მისითა ეკლესიითა; სხუ|[59][ა რა]ცა და რასთანაცა მირიანისაძისაეუ|[60][ლი...]

* ჴელგეწიფების გასყიდად, გაზითვებად, თანა-შეტანად, შეწირვად და, რითაც ფერად გინდა. კიდეც გუითარხნებია, რომე არა სამუშაო და არა სათხოვარი არაფერი არა ეთხოებოდეს.

გქონდეს ჩუენს ერგულად სამსახურსა შიგა...

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა მეათესა, ქ(რონი)კ(ონ)ს როე, ჴელითა მდივნისა ჩუენისა თუმანიშვილის ზაქარიასითა.

[53] სუიავარას] სვიავრას ჟ. ნაციხვარი ჟ. [53-54] საყანურითა] სკანურითა ჟ.

ამ სიტყვის შემდეგი ტექსტი შევსებულია „ქრონიკების" მიხედვით.

1488. 1 ივლისი. სასისხლო განჩინება ალექსანდრე მეფისა ფალავანდიშვილებისადმი

დედანი დაკარგულია. გვაქვს პირი: ხეც. Hd-8731, გადაწერილი XIX საუკუნეში რუხი ფერის რუსულ გერბიან ქაღალდზე. გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1820 წლის დეკემბერს.

საბუთს უზის ორმაგი თარიღი: 1. ალექსანდრე II იმერთა მეფის მეფობის მე-3 ინდიქტიონი; 2. ქორონიკონი ას სამოცდათექვსმეტი (176) /1488/, 1 ივლისი, „დღესა ორშაბათსა“ (ს. კაკაბაძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ 1488 წლის 1 ივლისს იყო სამშაბათი და არა ორშაბათი, რაც შემთხვევითობით ახსნა).

გამოცემა: [25], ს. კაკაბაძე, 23-25. საბუთის პუბლიკაციას ერთვის გამოკვლევა ფალავანდიშვილების საგვარეულოზე (იქვე, გვ. 25-33, 65).

გუირგუინოსანის მეფეთ-მეფის ალექსანდრესაგან, {ი}ესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატონიანთა; ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა და წარმომართებელო (sic) მეფობისა ჩუენისაო, წმიდაო სკიპტრა პორფირო და გუირგუინო, მეტეხთა და ხახულისა ღ(მრ)თისმშობელო!

მეოხებითა თქუენითა აფხაზთა, ქართველთა, ჯიქთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფისათა, შანშე, შარვაშთა და ყოველთა აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის და ჩრდილოეთისა, და ორისავე ტახტის[ა] ქართლისა და ლიხთ-ამერისა თვით მტკიცედ ფლობით მპყრობელმან, ღ(მრ)თივ-გუირგუინოსანმან, მეფეთა შორის უმეტეს წარჩინებულმან, მეფეთა მეფემან ალექსანდრე, და პატრონმან დედამა[ნ] ჩუენმან, დედოფალთა დედოფალმან ელენე, და თანამეცხედრემან ჩუენმან, პატრონმან დედოფალმან თამარ.

მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენი ერთგულ[ნ]ი, სანიადაგოდ თავდებით ნამსახურნი და ჩუენისა მორჭმისათუის მომჭირნე{ნ}ი ჩუენი თავადნი: ფალავანდიშვილნი სიაოშ, ბევროზ, ზვიადი, ბეჟან, ფალავანდი, რუსი, მზეჭაბუკ, დავით და ივანე, რათა გვეაჯნეს.

და ვი{ა}ჯენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი, რათამცა შეგვეწყალნეს სიგლითა ამით და მიგვებოძა მტკიცე და უქცეველი სიგელი ესე. და შეგიწყალეთ და გიბოძეთ უკუნისამდის გასათავებელი და შეუცვალებელი მას ჟამსა, ოდეს მამა თქუენი გაბელიძესა ამირანის ძმას მოეკლა. ამა

[17-18] შეგვიწყალეთ ნსხ. უჯვარობით კ. ნსხ.

ზ(ედ)ან ჩამოვედით შუა თავად მე, პატრონი მეფეთ მეფე ალექსანდრე და პატრონი დადიან-გურიელი გიორგი და ჩუენნი დარბაისელნი, ამერელნი და ქართველნი და გურიულნი.

დიდი საქმე იყო ფალავანდისშვილისა და გაბელისძესა შუა. დაგიდვა და მოგცა ჩუენით საშუალობითა და მისითა ნდომითა-გუნებითა მარტომან ამირან ასე და ამა პირსა ზედან, რომე არა რომელი მისი გვარის კაცი იმა მოსაცემშიგან არ შეიყვანა ამირან. ესე ჩუენ{ი} მოზავებულ{ობ}ითა და საშუალობითა დაგიდვა და მოგცა მკვიდრად და მოუსარჩელად მარტომან ამირან: ოქონა მონასტერი და სოფელი სხვითა ეკლესიებითა, გლეხებისითა, საფუძვლითა და სასახლითა, ველითა, ვენახითა, მთითა, სანადიროთა, ბარითა, სახნავითა, მინდორით, სათიბითა, ჭა{ლა}-სასარითა, წყლითა, საწისქვილოთა და გამოსავლითა, მისითა სამძღვრითა და ყოვლითურთ ერთობილითა.

და გვიბოძებია და შეგიწყალეთ მტკიცე და მოუშლელ-შეუცვალებე[ლი] ჩვენ, პატრონმან მეფეთ მეფემან ღ(მრ)თივ-გუირგუინოსანმან ალექსანდრე და პატრონმან დედოფალთა დედოფალმან, დედამან ჩუენმან ელენე, და თანამეცხედრემან ჩუენმან, პატრონმან დედოფალმან თამარ, თქუენ, ჩუენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა და ჩუენისა მორჭმისა მომჭირნეთა, ჩუენსა თავადთა ფალავანდისშვილთა: სიაოშს, ბევროზს, ზვიადსა, ბეჟანს, ჩიჟანსა, ფალავანდსა, რუსის, მზეჭაბუკს, დავითს და ივანეს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა.

მას ჟამსა, როდეს გაბელიძესა ამირანის ძმასა მამა თქუენი მოეკლა და სხვა ავიცა საქმე დიადი მოეხდინა თქუენზედან, ჩამოვედით საშუალათ მე, პატრონი მეფე ალექსანდრე და პატრონი დადიან-გურიელი გიორგი და ჩუენნი დარბაისელნი, იმერელნი და ქართველნი. და დაგიდვა მარტომან ამირან. არა რომელი მისი გვარის კაცი არა მ[ო]იყენა მისისა გვარისა კაცთა[გან], სასამართლოდ დადვა. რაცა მართალმან სამართალმან გაგიჩინოს ფალავანდისშვილსა, ისრე დაგიურონ სისხლი.

„მე, მა{რ}ტოსა ამირანს ჩემად კერძად მამიცემია მკვიდრად და მოუსარჩელად ყოვლისა კაცისაგან ოქონა“.

კულავე მე, მეფეთ მეფესა ალექსანდრეს მიბოძებია ოქონა, ნასისხლად მოცემული მარტო ამირანისაგან: მონასტერი და სოფელი სხვითა ეკკლესიებითა, გლეხნი მისითა საფუძვლითა და სასახლითა; მთა მისითა სანადიროთა; ბარი მისითა სახნავითა; მინდორი მისითა სათიბითა; ჭალა მისითა სასარითა და საჭილვითა; წყალი მისითა საწისქვილოთა და სანადიროთა, შესავლითა და გამოსავლითა, მისითა ერთობილითა სამძღვრითა, ყოვლითურთ უკლებად და უცილებელ და მოუ[სა]რჩელად ყოვლისა ადამიანისა კაცისაგან, ვითა ზემოთ დაგვიწერია, {ო}ქონა მის(ი)თა ერთობილითა, ჰქონდეს ფალავანდისშვილთა ნასისხლად.

არავინ გუიბრძანებია ამა ჩუენგან დაწერილსა შლა{დ} და ქცევა{დ} არასა ჟამსა ცვლისა და შემოსულობისათუის, არა ჩუენგან და არა შემდგომად ჩუენსა სხუათა მომავალთა მეფეთა და დედოფალთაგან.

და თქუენ, წმიდანო და მღვდელთმთავარნო, ქრისტეს მიერ კურთხეულნო აფხაზეთისა და ქართლისა კათალიკოსნო, უჯუარობით დაგვიმტკიცეთ. სხუანო კარისა ჩუენისა წარჩინებულნო, ციხისთავნო, მოლარეთხუცესნო და მოლარენო, მეაბჯრეთუხუცესნო და მეაბჯრენო, მეჯინიბეთუხუცესო და მეჯინიბენო, მოურავნო და ჴელისუფალნო, ტკბილისა და ხარჯის მკრეფელნო, მზარეულნო, ძროხა-საკლავისა მკრეფელნო და სხუანო ყოველნო კარისა ჩუენისა მოხელენო და წარჩინებულნო, ნუ ვინ იკადრეფთ ბრძანებულსა ამას ჩუენსა შლასა და ქცევასა, თქუენცა ნება დაურთეთ ჩუენგან დამტკიცებულსა ამას სიგელსა.

ამისნი მოწამენი არიან და შუადამხდურნი არიან: პატრონი დადიან-გურიელი გიორგი, ქუთათელ მთავარებისკობოსი ბართლომე, ჭილაძე ლიპარი, რაჭისა ერისთავი ჩხეტიძე ივანე და მისი ძმა კახ(ა)ბერი და ესტატე და აბესალომ, ჩიჟავაძე საზუერელი და ვამიყ ციხისთავი, ღოღაბერიძე ესტატე, ჩხეტიძე ამილახორი სანასარ, მოლარეთხუცესი მხეციძე სარგის, სახლისუხუცესი აფხაჭელიძე ივანე, ინასარიძე აბესალომ, გურიულნი: ბერიძე, მაჭუტაძე, მახაძე, ლაშრ(ი)შვილი ზაზაი, კუჭეჭიძე სიაოშ, ჯაფარიძე შანშე და ქველი, საწოლის მწიგნობარი არიშიძე სიაოშ, გარაყანიძე ხელა, ჩხეტიძენი: ვახტანგ და აბესალამ, ა[ბა]შიძე თაყა და აბაში, წერეთელი განონაი, ქავთარაძე როსტევან, მიქელაძე ყერგძელი, დიდებული ზვიადი, იაშვილი ბეჟან და სრულად ჩუენნი დარბაისელნი იმერელნი, დიდნი და ცოტანი, ამისნი მონამენი, თავდებნი და შუადამხდომნი არიან.

დაიწერა სიგელი ბრძანება ესე ჩუენი ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა სამსა, ქორონიკონსა ას სამოცდა თექვსმეტსა, თვესა ივლისსა ერთსა, ქუთათის, დღესა ორშაფათსა.

ხელრთვა ხეუულად:
დედოფალთ დედოფალი ელენე

[17] ლაშხიშვილიკ.

1488. შეუვალობის განახლების სიგელი კონსტანტინე მეფისა სვეტიცხოველისადმი

დედანი დაკარგულია. იგი ინახებოდა გუჯრების კომიტეტში სააღრიცხვო ნომრით №19. გუჯრების კომიტეტს 1838 წელს იგი გადაუცია სინოდის კანტორისათვის, სადაც საბუთი გაუტარებიათ რეგისტრაციაში ნომრით №80. დედნიდან გადაწერილი პირი, პარალელური რუსული თარგმანით, ამჟამად დაცულია ეროვნულ არქივში — სეა, 1449-1175. პირის გადამღებს გამოუტოვებია საღვთისმეტყველო შესავალი, რის შესახებაც თვითონ იუწყება: „ღუთისადმი და სეტისა ცხოველისა შემდგომად ქებითისა სიტყვისა სწერია“. საბუთის დედანი ხელთ ჰქონია ს. კაკაბაძეს, რომელმაც გამოაქვეყნა სრული ტექსტი დედნის არქეოგრაფიული აღწერილობითურთ: „სიგელი მცხეთისა 130 დაწერილია კარგად შენახულ ტყავზედ ზომით 177,1/2×21,1/2 სმ“.

არსებობს საბუთის კიდევ ერთი პირი: სპბაი, H6 (G 29b; H 46)-21, Лл. 41a-43a.

საბუთი გატარებულია გუჯრების წიგნში: სეა ფ. 1451, და 1. №130.

თარიღი: კონსტანტინე მეფის ზეობის მეათე ინდიქტიონი, ქორონიკონი რპვ (176) /1488/.

საბუთის დამწერი: კარის მდივან-მწიგნობარი ფახრიშვილი ანდრონიკე.

გამოცემა: 1) [41], თ. ჟორდანია, 306 (შემოკლებით); 2) [26], ს. კაკაბაძე; 3) [50], С. Какабадзе, 156 (აღწერილობა).

საბუთი ქვეყნდება სეა, 1449-1175-ის მიხედვით. ნაკლული ადგილები შევსებულია ს. კაკაბაძის პუბლიკაციის მიხედვით.

ქ. რომელი არს და რომლისა მიერ ძლით იქმნეს ყოველნი აღნაგნი არსისა, არსთა უცვ{ა}ლებელისა, უსაზღურუსა, ძალგანუზომელისა, გარეშემოუწერელისა, ხოლო მიუწდომელობით ცნობილისა, რომელსა ძალნი უხორცოთანი თუინიერ გარეშე მისსა სახიერებითა ვერ მისწუდებიან ცნობად და თუალთა შედგმად; რომელსა ცანი ვერ დაიტევენ და წესნი ანგელოზთანი უძრწიან; რომელსა ქუეყანა, ვითარცა გუგა, [გარე]შემოუწერია. უსაზღ{უ}რო, განუცდელი და გარეშემოუწერელი, ურაბამო, ურაულო, ყოველგან მყოფი

[1] რომელისა კ. [2] უცვლებელისა კ. [3] რომლნ ნსხ. [4] თუვინიერ ნსხ. [5] რომელისა კ. [6] უაძრწიან კ. [6] ეგრეც კ. [6] [ეგრე] შემოუწერია] გარე შემოუწერია კ. [6-7] უსაზღროდ კ. [7] უარაულო კ.

და ყოველთა მხედი, მბადი და წარმომაარსებელი ყოველთა ყოფილთა და ყოფადთა.

ეჰა, ვითარ ჴსნისათუის ჩუენ, ცოდვილთასა, საშოსა შენსა უთესლოდ და უხრწნელად, შეურევნელად და შეუგინებელად დაიტია დაუტევნელი ცათა და ქუეყანისა, და თბითა კაცობრივითა შემოსილ-იქმნა; რომელმან წამისყოფით დაბადნა ყოველნი აღნაგნი.

ვითარ მონათა თანა შერაცხილად ჰშევ, ვიტყუი ღმ(რ)თეებასა და კაცებასა – ორითა ბუნებითა სრულითა, რომელსა შობასა ანგელოზნი, ვითარცა ღ(მერ)თსა, მოგუნი, ვითარცა მეუფესა, ვარსკულავნი, ვითარცა დამბადებელსა, ერნი, ვითარცა მაცხოვარსა და მწყემსნი, ვითარცა მონასა მსახურებდეს; რომელსა ევნებოდა, ვითარცა კაცსა და თავს იდვა ჩუენ, ცთომილთა-თუის, შიმშილი, წყურვილი, ნაღულისა სმა, ყურიმლის ცემა და სამსჭუალთა მიერ გუერდსა მონყლვა.

ეჰა, რომლისა მიერ აღიჴოცა ყოველივე მომყირტოვნება და უსჯულოება! ცხედარო სოლომონისაო, ასულო დავითისო, რომელი შეყუარებულ იქმენ ძისაგან შენისა, რომელი-ეგე ადამს ემამე და დედა ექმნე ევასა; დედაო და ქალწულად მშობელო ემანოელისო, რომელი-ეგე სამწლის მიყუანებულ იქმენ ტაძრად; ტაძარო სულისა წმიდისაო, მახარობელო ევას ნაშობთა ბრალეულთაო, ბნელისაგან წყუდიადისა ნათლად მომყუანებელო, არა მუცლით ქალწულო, გარნა მიერ სულისა წმიდისა ნათლად მოცემისა და ჩუენდა ზღუდედ გამორჩეულო, წარმამართებელო მეფობისა ჩუენისაო, დიდებაო და სიმტკიცეო სკიპტრა-პორფირისა და გუირგუინისა ჩუენისაო, მეტეხთა და ხახულისა ღ(მრ)თისმშობელო!

მეოხებითა და შუამდგომელობითა თქუენითა მვედრებელმან ძისა თქუენისამან და მონდობილმან ცვა-ფარვათა თქუენთამან და განმაერთიანებელმან ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისამან – ორისავე სამეფოსა მტკიცედ და შეურყეველად მპყრობელმან, აფხაზთა და ქართუელთა მეფეთა მეფემან კოსტანტინე, და პირმშომან ძემან ჩუენმან პატრონმან მეფემან დავით, გიორგი და ბაგრატ, რაოდენი ქება და მადლობა შეეწირო თქუენდა მომართ, ვითარი ქუელის საქმე ვქმნე წინაშე ძისა თქუენისა ჩუენდა მომართ ესრეთ წყალობა-აურაცხელისა, ვითარცა ესე-რა, ბრწყინვენ ოთხნივე კედარნი მეფობისა ჩუენისანი.

და შეწევნითა და წინამძღურობითა ძელისა ცხორებისათა, აგარის ნათესავნი, მტერნი და წინააღმდგომნი ჩუენი სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულ არიან, და, რადცა უკუილაგმა გონება ჩუენი სამსახურებელად სუეტისა ღუთივ-აღმართებულისა, კუართისა სამეუფოსა და მირონისა ღ(მერ)თ-მყოფელისა.

---

[1] წარმომარსებელი კ. [3] ხსნისათჳს კ. ქვეყანისა კ. [7] შევ კ. ვიტყჳი კ. ღმთებასა კ. [7-8] კაცებას კ. [8] სრულითა] სარულითა კ. [11-12] ცთომილთათჳს კ. [12] სამსჭუალთა] სამშულთა კ. [14] რომელსა კ. აღიხოცა ნსხ. კ. [16] იქმნა ნსხ. [18] წმინდისაო კ. [19] წყუდიადიაისა კ. მამყუანებელი კ. [20] წმინდისა კ. [24] მეუხებითა კ. [26] ლიხტიმერისა კ. სამეფოსამან კ. [28] კონსტანტინე ნსხ. [30] თქუენდა ნსხ. ვითარ იქუელი კ. [33] წინამღრობითა ნსხ. აგარის ნსხ. [34] წინაღმდგომნი კ. ჩუენი ნსხ. [35] რადმაც ნსხ.

და ვითა სამართლად გუმართებდა პატრონთა პაპათა და მამათა ჩუენთაგან გაჩენილისა დამტკიცება, ეგრეთ ჯერ-ვიჩინეთ და გულსმოდგინებით ახლად გუჯრითა ამით ჩუენცა დავამტკიცეთ, ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ, რაცა და რასთანაცა ტაძრისა თქუენისა საყდრისა დედაქალაქისა მცხეთისა შესავალნი მამულნი არიან.

აწ, მოვედით მოწინებით და მუჴლთაყრ|[160]ით, და შემოგებუაწნენით და შემოგვედრ(ე)ნით ს(უ)ლითა |[161]და ჴორცითა შ(ე)ნ, საშინელსა ხატსა მ(ა)ცხ(ოვ)რის(ა)სა, გ(ა)ნმ(ა)ნ|[162](ა)თლ(ე)ბ(ე)ლსა სამყ(ა)როსსა, შემ(ა)მკობ(ე)ლსა ცისა და ქ(უე)ყნის(ა)სა, |[163]წ(ა)რმომტყუაწნ(ე)ლ(ი)სა ჯ(ო)ჯ(ო)ხ(ე)თის(ა)სა, იავ(ა)რმყ[ოფ(ე)ლსა ბნელი|[164]ს(ა)სა და მაოტ(ე)ბელსა ეშმაკთასა და მჴსნ(ე)ლსა ქ(რისტ)ე(ა)ნ(ე)თასა, |[165]სახესა ხ(ა)ტსა ღ(მრ)თ(ა)ების(ა)სა, მჴსნ(ე)ლს ა დ ა მ ი ს ნ(ა)თეს(ა)ვთასა |[166]და შ(ე)ნ, დედასა ნ(ა)თლისა მის მიუჩ-რ(დი)ლ(ე)ბ(ე)ლის(ა)სა თ ე თ რ ო ს ა ნ ს ა ხა|[167]ტსა, სახესა წ(მიდ)ისა ღ(მრთ)ის-მშ(ო)ბლის(ა)სა, ს(ა)სოსა და შეს(ა)ვედ(ე)ბე|[168]ლსა ქ(რისტ)ე(ა)ნ(ე)თასა. და შ(ემდგომა)დ ღ(მრთ)ისა ნ(ინაშ)ე მდგომ(ა)რეთა ზ(ე)ცისა ერის|[169]თ(ა)ვთა მ ი ქ (ე) ლ ს და გ (ა) ბ რ (ი ე) ლ ს, შემოგწირეთ ჩ(უე)ნი მკჳდრი |[170]მ(ა)მული ს(ო)ფ(ე)ლი ხ ა ნ დ ა კ ი მისითა მზლურითა. ჴევსა |[171]უკნითი, ვ(იდრ)ე მეფისა მზლუართამდის მისითა ყ(ოვ)ლ(ი)თა |[172]გამოს(ა)ელითა, ვ(ე)ლითა, ვენაჴითა, სათიბითა და |[173]საჴნ(ა)ვითა, სანისქვილოთა, საბოსტნისა, რუ(ი)თა |[174]და სარწყ(ა)ვითა ყ(ოვ)ლითავე; მისითა შეს(ა)ვლითა, საჴმრითა |[175]და უჴმრითა. ვერავინ საქმე დაიგდოს, |[176]თჳნიერ ხატისა მ(ა)ცხო(ვ)რის მეტმ(ა)ნ, ვერ მეფეთა, ვერ |[177]დედ(ო)ფ(ა)ლთა, ვერ ერისთ(ა)ვთა, ვ(ე)რცა მოურ(ა)ვთა და ჴ|[178]ელისუფ(ა)ლთა.

არა გეთხოვებოდეს და თქ(უე)ნსა კა|[179]რსა არა მოდგებოდეს. ჩ(უე)ნნო მკჳდრნო ყმანო ხ ა ნ დ ა კ ე ლ ნ ო ! |[180]არა ლ(ა)შქრობ(ა)ი, არა მალი, ულუფა, არა მუდამი |[181]მუშაობაი, არა საჯინიბოი, არა საბაზიეროი, არა |[182]საწელინდისათაო, არა სააღებოი, არა საყველ|[183]იერო, არცა გ ო რ ი ს ა და ქ(ა)ლ(ა)ქისა და ჟ ი ნ ვ ა ნ ი ს ა |[184]მუშაობ(ა)ი, არაფერი საქმე თქ(უე)ნსა კ(ა)რსა არა მოდგე|[185]ბოდეს, თჳნიერ ერთისა ხატისა ს(ა)მს(ა)ხურის მეტი.

|[186]ესრე ასრე გაგით(ა)ვდეს და ვერავინ შეგიცვ(ა)ლოს ვე|[187]რცა მეფეთა, ვერცა დედ(ო)ფ(ა)ლთა, ვერცა ჩ(უე)ნისა სახლი|[188]სა და გუარისა კ(ა)ცმ(ა)ნ, ვერცა სხუამან მებატო|[189]ნემ(ა)ნ და ჴელისუფ(ა)ლმ(ა)ნ კაცმ(ა)ნ ვერ(ა)ს ჟ(ა)მისა და ბატ|[190]ონობისა გამოცვ(ა)ლ(ე)ბისათ(ჳ)ს, ვერავინ შეგიცვ(ა)ლოს. |[191]და თუ ვინმე შეგიცვალოს, თქ(უე)ნ, ხატსა მ(ა)ცხ(ოვ)რის(ა)სა და |[192]თ ე თ რ ო ს (ა) ნ ს ა ხატსა, სახესა წ(მიდ)ისა ღ(მრთ)ისმშ(ო)ბლის(ა)სა და |[193]წ(ინაშ)ე ღ(მრთ)ისა მდგომ(ა)რეთა მ ი ქ ე ლ ს და გ ა ბ რ ი ე ლ ს.

აწ, |[194]თქ(უე)ნ ხ(ა)რთ გამკითხე(ე)ნლი, პ(ირვე)ლ, თქ(უე)ნმცა რისხვიხ-ართ ა|[195]მა ს(ო)ფ(ე)ლსა შ(ინ)ა ადრე სიკუდილითა და მ(ა)ს ს(აუ)კ(უ)ნოსა ნა|[196]ყმედითა და ეს(ე)მცა ზემონერილნი წ(მი)დანი რისხვენ. |[197]ნ ე ს ტ ო რ ს და ო რ ი გ ი ნ ე ს თ (ა) ნ ა მ ც ა არს ნაწილი ს(უ)ლისა |[198]მისისა და ნუმცა რათ სინ(ა)ნ(უ)ლითა იქმნების ჴსნაი ს(უ)|[199]ლისა მის(ი)სა ჯ(ო)ჯ(ო)ხ(ე)თით. რამ(ა)ნცა გ(უა)რმ(ა)ნ კ(ა)ცმ(ა)ნ გამოიგამჴოს და შე|[200]გიცვ(ა)ლოს, შე-მცა-

---

[150] მიუჩრდილებელისასა ჟ. [151] თეთროსნისა -ჟ.[151] ღმთისმშობელისა ჟ. [154] ერისთავმან|-ჟ. [157] დღენნი ჟ [157-158] არანმინდებით ჟ. [158-159] სიმრავლისაგან ჟ. [170-171] ჴევსა უკნითი|ჴევსურნი ჟ. [172] გამოსავალითა ჟ. [176] ვერა მეფემან ჟ. [177] დედოფალმან ჟ. ვერცა ერისთავთა ჟ. ვერც მოურავთა ჟ. [178] გეთხოვებოდეს ჟ. [179] მოდგებოდეს| მოგადგებოდეს ჟ. [180] ულუფაი ჟ. [181] მუშაობა ჟ. საჯინიბო ჟ. [181] საბაზიერო ჟ. [183] არცა ქალაქისა|-არცა ჟ. [184] მუშაობა ჟ. [184-185] მოდგებოდეს| მოადგებოდეს ჟ.

I კეფის recto

იცვალების სჯ(უ)ლის(ა)გ(ა)ნ ნ(ა)თელღებ(უ)ლისა |[201]ქ(რისტე)(ა)ნ(ე)თასა. ესე ჩ(ემ)ი მკჳდრი მ(ა)მული შემომინირავს ჩ(ე)მისა ||[202]ს(უ)ლისა საჴსრად.

ვერავინ საქმე დაიგდოს |[203]და, თუ ვინმე შეგიცვალოს: ანუ მეფეთა, ანუ |[204]დედოფალთა, ანუ ერისთავთა, ანუ ეპისკოპო|[205]სთა და მონოზონთა, ანუ მღდელთა, ანუ დიაკონთა, |[206]ანუ ერისკ(ა)ცთა, ანუ ჴელისუფ(ა)ლთა და მოსაქ|[207]მეთა კ(ა)ცთა, საქმითა და ვაზირობითა შეეცვალ|[208]ოს ხატსა მ(ა)ცხოვრის(ა)სა და თეთროს(ა)ნსა ხატსა, სახესა |[209]ნ(მიდ)ისა ღ(მრთ)ისმშობლის(ა)სა. და თქ(უე)ნ, ზეცისა ერისთ(ა)ვთა წ(ინაშ)ე ღ(მრთ)ისა |[210]მდგომ(ა)რეთა მიქელს, გ(ა)ბრიელს, ვინცა-ვინც შეგი|[211]ცვალოს მცირე ესე ჩ(უე)ნგან შეწირული შესაწირ(ა)ვი, |[212]შე-მცაიცვალების სჯ(უ)ლის(ა)გან ქ(რის)ს(ტეა)ნ(ე)თასა. რისხ(ა)ვმსმცა მ(ა)მაჲ, ძე და ს(უ)ლი წ(მიდა)ჲ, ნ ე ს ტ ო რ ს და ო რ ი გ ი ნ ე ს თ(ა ნ) ა მ ც ა არს|[213] ნაწილი ს(უ)ლისა მის(ი)სა, ა(მე)ნ.

ამისნი გამთავ(ე)ბელნი |[214]და დამ(ა)მტკიც(ე)ბელნი ღ(მერთმა)ნ აკ(ურთ)ხნ(ე)ს და დაამტკიცნეს ზეც(ა)|[215]თა ს(ა)ს(უ)ფ(ე)ვ(ე)ლსა, სადა იგი არს მკჳდრობ(ა)ჲ ყ(ოვე)ლთა, ს(აუ)კ(უ)ნოდ|[216] მოხარულთა ქ(რისტე)ს ი(ეს)უს მ(იე)რ უ(ფლ)ისა [ჩ(უენი)სა], რ(ომლ)ისა არს დ(იდე)ბ(ა)ჲ უკ(უნით)ი უკ(უნისამდ)ე, ა(მე)ნ.

||[217]დაინერა ქრონიკონსა რპბ, თუესა ივნისსა კდ, ჴელ|[218]ითა ფ(რია)დ ცოდვილისა და გლ(ა)ხაკისა, კარისა მწიგნობარი|[219]სა კ ე დ ე ლ(ა) ს შ ვ ი ლ ი ს ა ს ა ბ ა ს ი თ ა.

დამტკიცებები მხედრული ხელით:

|[220]მე, ფრიად ცოდვილსა ერისთავსა ვ ა მ ი ყ ს ა დამიმ|[221]ტკიცებია.

მე, ცოდვილსა გ ი ო რ გ ი ს დამიმტკიცებ[ია].

|[222]მე, ფრიად ცოდვილსა თ ა მ(ა)რ ს დამიმტკიც|[223]ებია და მოწამეც ვარ ნებითა ღ(მრ)თისათა.

მინაწერი ნუსხურით II კეფის recto-ს მარცხენა კიდეზე:

|[224] ჩვენ, ძე საქართველოს მეფედ |[225]ცხებულის თ ე ი მ ურ ა ზ ი ს ა, მეფე ს(რულიად) ქართველთა და კახთა, ყ ა ზ ა ხ ი ს ა, შ ა მ შ ა დ ი ლ ი ს ა |[226]და ბორჩალისა პყრობით მქონებელი მეორე ირაკლი, ვამტკიცებთ გუჯარსა ამას წელსა ჩღოდ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უიბ, თი|[227]ბათვის იგ.

რვაკუთხა ბეჭედი წარწერით:

მე ფეხგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე.

120

1495. შეწირულების სიგელი ალექსანდრე მეფისა გელათისადმი

დედანი დაკარგულია. ეტრატზე ნაწერი დედანი (№52) და მისი ნუსხა (№9865) უნახავს თ. ჟორდანიას. რუსეთის ადგილობრივ მმართველობას დედანი გაუტარებია რეგისტრაციაში 1839 წ. 28 ოქტომბერს ნომრით №1042.

გვაქვს ორი პირი: I. ხეც, Sd-2892, გადმოწერილია დედნიდან, რომელიც რუსეთის ადგილობრივი მმართველობის მიერ გატარებულია რეგისტრაციაში 1839 წლის 28 ოქტომბერს ნომრით №1042; 2. სპბაი, H-8 (G-27; H-63)-I. ЛЛ. 1-4.

თარიღი: ალექსანდრეს მეფობის მეთორმეტე ინდიქტიონი, ქორონიკონი – ასოთხმოცდასამი.

დამწერი: ფალავანდიშვილი ფალავანდ.

გამოცემები: I) [55], M. Brosset, CCIII (ფრანგ. თარგმანი შემოკლებით); 2) [41], თ. ჟორდანია, 310-311 (შემოკლებით).

გამოცემა ემყარება ხეც, Sd-2892-ს.

ეჰა, ადამ დაცემულისა აღმართებაო და ევას მწუხარებისა და[მხსნელო], სრულიად კურთხევად შემცვალებელო, აბელ მართლისაებრ პატიოსნათ ძღუნად ბუნებისა ჩუენისგან ღ(მრ)თისა მიმართ შენირულო, ენუქისაებრ უკუდავ-ქმნილ[ო], გარნა არა სამოთხეს ოდენ, არამედ ზეცათა სასუფეველსა საყდართა ღმრთაებისათა ყოელისა სოფლისათვის მეოხად მკვიდრო, კიდობანო სინმიდისაო, ღ(მრ)თივ-აღშენებულო, ნოესებრ წყლით რღვნისგან ცოდვათასა განმარინებელო, აბრამის კარვისაებრ სახედ ღ(მრ)თისა დამტევნელო, იაკობის მიერ ქუეყანით ცად აღნევნულად-აღმართებულად კიბედ ჩვენებაო, მოსესებრ სახლისა განჰკირთებ[აო], და საწუთროსაგან მეგვიპტელისა განმარინებელო, არონის კვერთხო, უკუდავმყოფლისა ნაყოფისა გამომღებ[ო] იესეს... კურთხევისა მომნიჭებელად აღმოცენებულო, დავით, პირველისა მამისა შენისა მიერ კიდობნად სინმიდისად მოწოდებულო, სოლომონისა ქებათა შინა ქებათასა მრავალსახედ სახე[ლ]დებულო; ეზიკიელის მიერ ბჭედ აღმოსავლისად დიდებად

---

[3] ჩუენისგან [4] უკვდავ-ქმნილით ნსხ. [5] სოფლისათჳს ნსხ. [7] ცოდუათასა, [9] განჰკირთების ნსხ. [11] გამომღებს ნსხ. [13] ჭურჭელო] ჭიღიუღო ნსხ. სახედდებულო ნსხ. [15] თებანად ნსხ. მომყვანებელად + და ნსხ.

ღ[მრ]თისათა აღსავსედ ჭ[ურჭელ]ო; ამბაკომის მიერ მთად ღმრთისად და თემანად ჩრდილოვანად ღ[მრ]თისა მომყვანებელად წარმოჩინებულო; დანიელის ძნიად სათარგმნელთა ჩვენებაო გამოცხადებაო; გედეონისა საწმისისებრ ცვარსა მას ზეცისასა სოფლად მომყვანებელად წარმოჩინებულო; სამოელისა ნელსაცხებლისაებრ პატიოსანთა მღდელთა და მეფეთა დიდებითა გვირგვინოსან-მყოფე[ლ]ო; ჴმა მაღლისა ესაიას მიერ [ღრუბელად] სრულ მცირედ მკლავთა [ზ]ედა ღ(მრ)თისა ემანოელისა მტვირთველად, მეგვიპტესა შემავალად და კერძოთა მისთა საწუთროთურთ განმქარვებელო; იონა, სახედ ცოდვისა ვეშაპისა მუცლი[თ] ბუნებისა კაცთასა სიღრმესა ჯოჯოხეთისათა გამომყანებელო!

აწ, უკუდაე[ო], რაოდენთამე ქებათა და მადლობათა აღვავლენდეთ მრავალმწყალებათა მიმართ ღ(მრ)თისათა, ანუ უძლურითა ამო[დ]ენითა შეუძლოს ღირსებით დიდებად შენდა; უალმატებულეს იქმენ ყოველთა დაბადებულთა თვინიერ ღ(მრ)თისა შემოქმედისა, რამეთუ შენ მიერ იქმნა ქუეყანაი ზეცისა ზიარ, შენ მიერ ვიცნოთ ღმერთ[ი] შემოქმედი; შენ მიერ მივიღეთ ნეტარება იგი პირველ ჩუენის ურჩებით წარწყმედული და შენ მიერ მოველით წარმართებასა – ორთავე სოფლის ცხოვრებასა და აღსრულებასა ყოვლისა კეთილისასა.

ამისთვისცა მე, მსასოებელმან ძისა შენისამან და მინდობილმან ცვაფარვათა თქუენთამან, ჩუენ, ორისავე ტახტისა და სამეფოსა ძლით ფლობით მპყრობელმან მეფეთ-მეფემან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩუენმან, პატრონმან დედოფალთა დედოფალმან თამარ, ვიგულ{ვ}ეთ და ვიგულსმოდგინეთ მცირე ესე შესაწირავი და მოსაჴსენებელი.

შევსწირეთ და მოვაჴსენეთ ჩუენსა სულისა და ხორცისა შესავედრებელსა, დიდსა ცათა მობაძავსა, მეორესა იერუსალიმსა, მონასტერსა გელათსა, ტაძარსა ყ(ოვლა)დ წმიდისა ღ(მრთ)ისმშობლისასა ჳორჳოლაძისა დავითის ნაქონები მამული. გლეხები: შვენიერისძე, ორნი კომლნი, მათითა მამულითა და სრულიად მათითა ბეგარითა; ვაჩაბერაძე, ერთი კომლი, მისითა ბეგარითა; გორგასძე, მისითა ბეგარითა; ჩიტაძენი ორი კომლი, მისითა ბეგარითა.

[მო]ვაჴსენეთ ესე გლეხნი გელათსა, ტაძარსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა და გავაჩინეთ ჩუენისა სულისა ამაღლებასა დღეს აღაპი კარგაღებული ერთითა ჴარითა და ერთითა ცხვარითა. ერთობით კრებულნი ძმანი სრულად ჳამსა გვიწირავდენ ჩუენისა სულისათუის. და რაცა ღომი, ღუინო, სანთელი და საკმეველი მოუნდებოდეს, მით აღაპს გვიზამდენ, წინამძღუარის ჴელით გარდაიჴდებოდეს. ამა ექუსისა კაცისა ბეგარა უკლებლად წინამძღუარსა მიბარებოდეს და იმა ბეგარისგან ამა ჩუენისა გაჩენილსა აღაპსა იქმოდენ. ძმანიცა სრულიად შეიყრებოდენ და ექუსი მღდელი და მოძღუართ-მოძღუარი ჳამსა გვიწირვიდენ.

---

[3] საწმისისებრ] სანიმისებრ ნსხ. [6] მყოფეო ნსხ. [ღრუბლად]] ხედა ღირებულად მსხ. [14] თჳნიერ ნსხ. ქუეყანაი ნსხ. მივიღოთ ნსხ. [16] ჩუჱნის ნსხ. [19] ამისთჳსცა ნსხ. [24] ჩუჱნსა ნსხ.

აგრევე ამას გარეთ ერთი კომლი კაცი გოლაძე ხუცესი, აქავე, ჭულეს ჟორჟოლაძის დავითის ნაქონები კიდევ შამოგვინირავს, რომე ყოველთა დიდმარხვათა ჩუენისა სულისათვის ჟამსა გვინირვიდეს გოლაძე. სადამდის მისი ნათესი ხუცესი იყოს, ამას ასე გა[ა]თავებდეს. და თუ ხუცესი აღარ იყოს, იმა სახლიკაცი ოცს თეთრსა, ერთსა ცხვარსა, მისსა პურსა, ღუინოს, ორსა ნაოთხალსა ღომსა, ორსა დორასა ღვინოსა ამას გელათს მიიღებდეს ღ(მრ)თისმშობლობასა დღესა ჩუჱნისა სულისათვის. სა[სა]მსახურო პურის ჭმევა და ძღუენი წინამძღურისათვის მიგვიბარებია. ესე ასრე შემოგვინირავს. ამიერ უკუნისამდის გაგვითავდეს და არაოდეს მოგვეშალოს. ესე ჩუენგან გაჩენილი ჩუენისა სულისა აღაპი ამაღლებასა დღესა, იყოს მტკიცედ და უქცეველი ყოვლისა სულისაგან ქრისტიანისგან. არა მეფე და დედოფალთაგან, არა ჩუენთა მომავალთა გვართა ბაგრატოვანთაგან და არა სხვათა მეპატრონეთაგან [არა შეიცვალოს], თვინიერ თანადგომისა და შემწისა მეტი. ვითა არავინ ღირსა გელათისა მამულისა გამო[ჴუე]ბასა და გამო[ღ]ებასა. და ვინცა და რომელმანცა კაცმან ჴელყოს ამისა[დ] შლად, ქცევად და გამოწირვად, კრულმცა არს [ცათა] შიგან და ქუეყანასა [ზედა]. შე-მცა-იცვალების რჯულისაგან ქრისტიანობისა, პრისხავსამცა მას მამა, ძე და სული წმიდა, მუნ საქმეთა ნუ იქმნების მათისა სულისა ხსნა. კრულ, წყეულ და შეჩუენებულ ორთავე ცხორებათა შინა. დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს და წმინდამან ღ[მრ]თისმშობელმან გელათისამან.

ასრე არა ვის რა საქმე უც ამისა[დ] შლად და ქცევად. მეფესა კოსტანტინეს უძ[...] ამა მონასტრისათვის გამოეწირა და მისთვის სანაცვლოდ და ესე ჟორჟოლაძისა მამული შე{ე}წირა.

აწ შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღ(მრ)თისმშობლისათა... რაცა უშოვეთ, მოვახსენეთ მონასტერსა და ესე ჟორჟოლაძისეული გლეხი ჩუენისა სულისათჳს სააღაპოთ შეგუიწირავს ნებითა ღმრთისათა.

დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე ჩუჱნი ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეათორმეტესა, ქ(ორონი)კონსა ას ოთ ხმოცდა სამსა, ჴელითა ფრიად ცოდვილისა ფალავანდიშვილისა ფალავანდისათა.

ყოვლად წმიდაო,

წყალობა შენი ჩუჱნ ზედა, ამინ.

1496. 12 ივნისი. ალექსანდრე მეფის სასისხლო სიგელი მაჭავარიანებისადმი

დედანი; ქაღ. 875; კარგი ხარისხის, ღია ფერის ეტრატის გრაგნილი, ზომა: 220×22. 5 ერთმანეთზე გადაკერებული კუფი: I – 27×22; II – 51×22; II – 60×22; IV – 42×22; V – 40×22; I და II კუფები გადაკერებულია თეთრი ძაფით და ნაწილობრივ გახსნილია, დანარჩენი კუფები – წითელი ძაფით. დაზიანება: საბუთის თავი დაფლეთილია, მოხეულია ტექსტის შესავალი ფორმულები, ასევე ტექსტისანად არის დაზიანებული I და II კუფების მარცხენა კიდე. მელანი შავი; ხელი – აჩქარებული, მარჯვნივ გადახრილი მხედრული.

თარიღი: ქრონიკონი ას ოთხმოცდაოთხი /1496/, 12 ივნისი, „მთუარეს ათი“.

ლიტერატურა: [31], ჯ. ოდიშელი, 221.

საბუთი ქვეყნდება პირველად.

ხელმწი[ფე] ღ(მრ)თივ [გვირგვინოსანი] ორისა[ვე] ტახტის |[2][ლ]იხთ-იმერის დ[ა] ლიხთ-ამერისა |[3][მპრობელმან] მეფეთ-მეფემან] ალექსანდრე. ნებითა ღ(მრ)თისა|[4]თა [აფხაზთა, რან]თა, კახთა, სომეხთა და ქა|[5][რთვ]ელთა, ჯიქთა და ალანთა მეფისა, შა[ნ]შე და შარვანშე.

მოვიდეს ჩუენს |[6][წინაშე] ჩუენნი ერთგულნი და თავდადებით ნამსა|[7]ხურნი მაჭავარიანი ავთანდილ, ვარძია|[8]ლ და ივანე და თქუენი შვილი სიაოშ, მას |[9]ჟამსა, როდეს მოგვიდეგით კარზედა და
II კუფი ||[10][ვი]სმინეთ აჯა და მოჴსენება თქ|[11][უენი] და სასიხლო სიგელი გუთხოვეთ.

ვიკითხეთ თქუენი გუარი დ[ა] სახლი და სა|[12][ბა]ტიონი კაცნი ყოფილიყუენით და ძველად|[13][ა]ც საბატიო სიგელი [გ]ქონებოდა, მაგრა |[14][ჟა] მისა აშლილობას დ{ა} ლაშქრობას ნ|[15]აგხდომოდა. ან ჩუენც, რაგუარც შენს |[16][სამსა]ხურს და ერთგულობას მართებდა, აგ|[17][რე] ახალი სიგელი გიბოძეთ ასრე |[18][და] ამა პირს ზედა:

ნუმც იკადრე|[19]ბის მართალისა კაცისა სიკუდილი. თუ |[20]ეშმაკისა მანქანობითა, ვინც შენი გუა|[21]რის კაცი მოკლას, სრული |[22]სისხლი, რაც ძველა[ა]დ გწერებოდა, და ჩუენ|[23][ცა] ახლად დაგიმტკიცეთ ოთხას |[24]ორმოცდაათი ათასი თეთრი დაგე|[25]ურვებოდეს. ამას გარეთ თექუსმეტი |[26]ათასი სანახშირე დაგეურვოს.

---

[20] ვისც ნსხ.

ვინც |[27]ცოლი ნაგიღოს, ნახევარი სისხლი |[28]დაგეურვოს;

ვინც ცოლი მოგი|[29]..ნას, ნახევარი სისხლი დაგეურ|[30]ვოს;

ვინც მართალს გრძნეულობა |[31]გითხრას, ნახევარი სისხლი დაგეურვო|[32]ს;

ვინც ექუსთა ასოთაგან დაგიშაოს, |[33]მეექუსედი სისხლი დაგეურვოს;

||[34]ვინც დაღი დაგასვას, ოცი ათასი |[35]თეთრი დაგეურვოს; *III კეფი*

ვინც უომარი შვილი |[36]გიცეს, მესამედი სისხლი დაგეურვოს;

ვინც მა|[37]რთალი პატრონს შეგაბეზღოს, მესამედი |[38][სი]სხლი დაგეურვოს; ვინც სასაფლაო [გაგი]|[39]ტეხოს, სამოცი ათასი თეთრი დაგეუ|[40]რვოს;

ვინც სახლად დაგესხას, მე|[41]ოთხედი სისხლი დაგეურვოს;

ვინც შენ|[42]ი სახლ{ი}სა ქალი დაგ{იგ}დოს უმიზეზოდ, ნახე|[43]ვარი სისხლი დაგეურვოს;

ვინც ყმა |[44]და ანუ სეფექალი გიცეს, თორმეტი |[45]ათასი თეთრი დაგეურვოს; ვინც ჯ|[46]ოგი გაგიტეხოს, ათი ათასი თეთ|[47]რი დაგეურვოს;

ვინც გერში |[48]გადინოს, ცამეტი ათასი თეთრი და|[49]გეურვოს;

ვინც ანუ მეჯინიბე და ანუ |[50] მწყემს{ი} გიცეს, ოთხი ათასი თეთრი |[51]დაგეურვოს;

ვინც ცეცხლი შემო|[52]გიდვას, მესამედი სისხლი დაგეურვოს;

ვინ|[53]ც უპატ{რ}ონოთ მამული დაგიჭიროს, მე|[54]სამედი სისხლი დაგეურვოს;

ვინ გინდა ვინ უ|[55]კადრისი გითხრას და ანუ უპატიობა |[56]დაგემართოს, ესე ჩუენი გაჩენილი სიგ|[57]ელი დაიდევით წინა და ამა სიგელზედ და|[58]გიურვიდეს.

ესე ჩუენთა ჩამომავალთა |[59]მეფეთგანც დაგემტკიცოს. აფხაზეთისა ქ|[60]ათალიკოზო, ქართლის ქათალიკოზო, |[61]ქუთათ{ი}სის ქუთათელო, ჭყონდიდელო, ნინამ|[62]ძღუარო, მოძღუართ-მოძღუარო და ცაგე|[63]რელო, სხუანო მღრდელმოძღუარნო, ||[64]ხუცესნო და დიაკონნო, თქუენც ასრე და- *IV კეფი*
უ|[65]მტკიცეთ.

ერისთავთა ერისთავო და სუანთა ერ|[66]ისთაო და მანდატურთა უხუცესო დადიანო, |[67]გურიელო, თქუენც ასრე დაუმტკიცეთ. ამის|[68]პასალარო-ათაბაგო, თქუენც ასრე დაუმტკი|[69]ცეთ.

სხუანო კარის ჩუენის თავადნო: მსახუ|[70]რთაუხუცესო და ამილახორო, ერისთავო, ციხისთ|[71]ავო, სახლ{ი}სუხუცესო, და ამირათ-ამირაო, ამირე-ჯი|[72]ბო, თქუენც ასრე დაუმტკიცეთ.

სხუანო |[73]კარის ჩუენის მოსაქმენო: მოლარეთუხუცესო, |[74]მოლარენო, მეჯინიბეთუხუცესო, მეჯინიბენო, |[75]მეაბჯრეთუხუცესო, მეაბჯრენო, ბო-ქაუ|[76]ლთუხუცესო, ბოქაულნო, მელუინეთუხუცესო, |[77]მელუინენო, ბაზი-ართუხუცესო, ბაზიარნო, მუქ|[78]{ი}ფო და ხაბაზნო, თქუენც ასრე და-უმტკი|[79]ცეთ.

სხუანო კარისა ჩუენის მუდმისა (sic) |[80]მოსამსახურენო: ზროხა-საკლავის მკრებელნო, |[81]მალის და ყალნის და ხარაჯის მკრებელნო, |[82]პურის დ{ა} ღუ{ი}ნის მკრებელნო, თქუენცა ასრე|[83] დაუმტკიცეთ.

V კეფი სხუანო კარის ჩუენის მე|[84]მუდმენო: მესტვირეო {და} მენაღარენო, მეჩ|[85]ანგეო და მეჩიხრიხენო, მედამბურენო, მედა|[86]მბურენო, მომღერალნო და მეშუ|[87]შპრენო და მოშაითნო, თქუენც ასრე |[88]დაუმტკიცეთ. გოჭ-ქათმის მკრებელნო, |[90]სხუანო ხელოსან[ნ]ო, მამასახლის-ხელისუფა|[91]ლო, ნაცვალო, გზირო, თქუ{ე}ნც |[92]ასრე დაუმტკიცეთ.

დაინერა ინდიკ|[93]ონის მეფობის ჩუენ{ი}ს ქრონიკონს |[94]ას ოთმოცდაოთხს და თუეს იუნის|[95][ს] ათორმეტს და მთუარეს ათს, ნებით ღ(მრთ)ის(ა)თა.

ხელრთვები:
|[96]ალე[ქს]ა[ნდრე]
|[97]დედოფალთ დედოფალი ელენე

[85-86] „მედამბურენო“ მეორდება ნსხ. [92-93]ინდნიკონის ნსხ.

1496. ნასყიდობის წიგნი მიცემული თევდორე თათარაშვილისა მიერ პაატა მაღალაშვილისათვის

დედანი; ხეც, Ad-1653; თეთრი თხელი ქაღალდი, ზომა: 21,5×17; დაზიანება: კიდეები გაცრეცილი, მარჯვენა ამია მთლიანად მოხეულია სტრიქონთა დაბოლოებამდე, გადანაკეცი ადგილები ზოლებად ატყდია. ყავისფერი მელანი; ხელი მწიგნობრული, ოდნავ აჩქარებული ნუსხური.

თარიღი: ქორონიკონი რპდ (184) /1496/.

საბუთის დამწერი: შემაზაშვილი დავით.

საბუთი ქეყნდება პირველად.

წ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრთი)ს(ა)თა, ესე უ|[2]კუნის(ა)მდე უ(ა)მთა გას(ა)თ(ა)ვებ(ე)ლი ნასყიდობის წ|[3]იგნი მოგ(ა)რთვ(ი)თ ჩ(უე)ნ, თათარაშვილმ(ა)ნ გიორგ|[4]იმ და თევდორემ, თქ(უე)ნ, მინაშვილს პა|[5]ტას და დემეტრეს.

ასე რომე, ქედზედ რომ შტო გ|[6]არდმოგორდების ახალქალაქურს ქვემოთ, მ|[7]იწობლიძის მიწის ბოლოს რომ ძელქვა დგას, |[8]მის ქუშმოთ, საბაჟოს ნყ(ა)რომდი, მოგადეთ. ა|[9]ვიღეთ ფასი სრული და უკლები, რით(ა)ც ჩ(უე)ნი გ(უ)[ლ]|[10]ი შეშჯერდებოდა.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერთმა)ნ |[11]ყოველის კ(ა)ცის უცილ(ო)ბლ(ა)დ საწყლისპიროთ[ა], |[12]მიწითა და ყოველის მისის ალაგით. არა ოდეს ა|[13]რ მოგეშალოს ჩ(უე)ნგ(ა)ნ და არა ადამის მონათ|[14]ესავეს კ(ა)ცთგ(ა) ნ. ვინც მოგიშ(ა)ლოს, მ(ა)სმც(ა)ჲ რისხ(ა)ვ|[15]ს ღ(მერთ)ი და ყ(ოველ)ნი წ(მიდა)ნი ღმ(რთისა)ნი. არიან ამის მ(ო)წმენი: ლაშხა|[16]ური გ(იორგ)ი, პატ(ა)სშვილი ი(ოან)ე, ქურციკაშვილი სა|[17]ბა.

მე, შემ(ა)ზაშვ(ი)ლს დ(ავი)თს დამიწერია და მ(ო)წ(ა)მეცა ვარ. ქ(ორონი)კ(ონ)ს რპდ.

† †

123

1497. შენირულების წიგნი კათალიკოს აბრამ აბალაკისა მეტეხთა ღმრთისმშობლისადმი

დედანი ნომრით №479 და მისი XVII საუკუნის ნუსხა რივ (116) ინახებოდა სინოდის კანტორის მცხეთის საბუთებში. ამჟამად დედანიც და ძველი ნუსხაც დაკარგულია.

გვაქვს პირები: I. სპა, 1449-1487; გადაწერილია დედნიდან ს. კაკაბაძის მიერ. საბუთის ტექსტს ახლავს დედნის არქეოგრაფიული მონაცემები: „სიგელი მცხეთისა N 479. ბოძებული ქართლის კათალიკოზის აბრამ აბალაკის მიერ 155 ქორონიკონს, დაწერილი ტყავზე ზომით 100×2 მ"; 2. სპაი, H-6 (G-29b; 46)-55, Лл. 966-986; 3. ხეც, H-2513-20, XIX საუკუნეში შედგენილი საბუთთა პირების კრებული.

თარიღი: ს. კაკაბაძის მიერ გადაწერილ პირში მითითებულია ქორონიკონი რნე (1467), რომელიც განმეორებულია ს. კაკაბაძის პუბლიკაციაში და პეტერბუგში დაცული პირის აღწერილობაში. ი. დოლიძე იზიარებს ს. კაკაბაძის დათარიღებას. უფრო სარწმუნოა თ. ჟორდანიას დათარიღება, რომელსაც დედანში ამოუკითხავს ქორონიკონი რპე (185), რაც გვაძლევს 1497 წელს. „კორპუსში" გაზიარებულია თ. ჟორდანიას დათარიღება, რადგან კათალიკოს აბრამ აბალაკის სხვა თარიღიანი საბუთებიც XV ს. დასასრულ წლებში არის გაცემული.

საბუთის დამწერი: აბრამი.

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 311 (შემოკლებით); 2) [19], ს. კაკაბაძე, 19-20; 3) [7], ი. დოლიძე, 212-213; 4) [50], С. Какабадзе, 312 (აღწერილობა).

ქ. სახელითა ღ(მრ)თისათა სამგ[უ]ამოვნად ცნობილისა, ერთარსებისა, ერთუფლებისა და ერთღ(მრ)თე{ე}ბისა; ღ(მრ)თისა მამისა, ღმრთისა ძისა და ღ(მრ)თისა სულისა წმიდისათა.

ოხითა და შენევნითა ყ(ოვლა)დ წმიდისა, უხრწნელისა, უმეტეს კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღ(მრ)თისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა.

ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისათა, ძელისა ცხორებისათა, რომელსა ზედა განკუართულ იქმნა ჴორცითა ქ(რისტ)ე ღ(მერ)თი ჩუენი ჴსნისათუის ჩუენისა.

[1] სამგამოვნად კ. სამგ[ვ]ამოვნად დ. [2] ერთღმრთაებისად დ.

თანამოქმედება-მდგომარეობითა ურულოთა, მცველ-მმართებელთა ცხორებისა ჩუენისათა, წამისყოფით აღმასრულებელთა ღ(მრ)თისა ბ(რძანე)ბათა, დიდთა მთავართა ზეცისა უჴორცოთა და ცხრა არვეთა, ყოველთაეე ზეცისა ძალთა.

ოხითა და შეწევნითა ყოველთა დედათა ნაშობთა უზენაესისა, უდაბნოს ქადაგისა, წინამსრბოლისა, ნინასწარმეტყუელისა და ნათლისმცემელისა ი(ოან)ესითა, და თანამეტომისა მისისა, ძედ ქუხილისა წოდებულისა ი(ოან)ე ღ(მრ)თისმეტყუელისა, საყუარელისა მოწაფისა და ქალწულისათა.

ოხითა, შეწევნითა და თანამოქმედებითა პეტრე რიტორისა, სასუფეველისა კლიტეთ-მპყრობელისა, პავლე სამცადმდე აღწევნულისა და არათქმულთა სიტყუათა მსმენელისა, ათორთა მოციქულთა და სამეოცდაათეულთა ქ(რისტე)ს მოწაფეთა, რომელთა მოძღურებითა მო[ი]ბადურნეს ყოველნი კიდენი სოფლისანი.

თანამოქმედობა-მდგომარეობითა წ(მიდა)თა მოწამეთა: გი(ორ)გი, დიმიტრი თეოდორე მერკურირი, პროკოპი და პანტელეიმონისითა და წმიდათა ქალწულ-მოწამეთა: თეკლა, ეკატირინა, ირინა, მარინა, ბარბარა და ყოველთა მობაძავთა მათთა, რომელნი დაიკლნეს ქრისტესთუის და სისხლთა დათხევითა გუირგუინოსან იქმნნეს; და წ(მიდა)თა მამათა განშორებულთა მეუდაბნოეთა, მესუეტეთა, მარტოდმყოფთა [ფიჩოსანთა] ქრისტეს ნებისმყოფელთა, და რომელთა დააჯერეს ღ(მერ)თი სათნოთა ცხორებითა, რომელნი საუკუნითგან სათნოეყუნეს უფალსა ჩუენსა იესოს ქრისტესა და კუალადცა სათნო-ყოფად არიან.

ყოველთა ღ(მრ)თისა წ(მიდა)თა, ზეცისა და ქუეყანისათა, ოხითა, შეწევნითა და შუამდგომლობითა სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა, მირონისა ღ(მერ)თმყოფელისათა, ჩუენ, ქ(რისტ)ეს ღ(მრ)თისა მიერ კურთხეულმან ქართლისა კ(ათალიკო)ზმან აბრამ აბალაკმან ვიგულვე და ვიგულსმოდგინე და ძუელითგან თამარის ჟამისათ დაქცეული საწისქვილო მოვიძიე და მე ახლად რუ გამოვიღე; და ორი წისქუილი აღვაშე[ნე] საჴსენებელად სულისა ჩემისა.

ვიღუაწე და შემოგწირე შენ, ყოვლად წმიდასა მეტეხთა ღ(მრ)თისმშობელსა ასრე, რომე თქუენ წი(ინა)შე ორი კანდელი დღისით და ღამით დაუუსებელად ენთებოდეს მოსაჴსენებელად სულისა ჩუენისა.

და შემდგომად ჩუენსა დადგინებულნო წმიდანო ეპისკოპოსნო, ეეედრები მადლთა თქუენთა წმიდათა, რათა ესრეთეე აღასრულოთ მცირე ესე ჩემი ნამუშაკეეი შესაწირავი, რათა ღ(მერ)თ(მა)ნ თქუენაც აღგისრულოს კეთილი ღუანლი და შრომა თქუენი, და მოგაგოს მოსაგებელი ძლეეათა და შრომათა თქუენთა [წილ].

და უკეუთუ ვინმე ჴელჰყოს მცირესა ამას ჩუენსა ეელოგიასა, ანუ ეპისკოპოსმან და ანუ მეფეთა და ანუ მთავართაგანმან ვინმე, რისხავსმცა მამა, ძე და სული წმიდა და ამა ზემო წერილთა მადლი; შე-მცა-ედების კეთრი

[2-3] ბბათათა ნსხ. [3] უხორცოთათა ნსხ. კ. [6] ქადაკისა ნსხ. კ.დ. [12] მობადურნეს კ.დ. მოწაფთათა ნსხ.,დ. [16] კატერინა დ. [20] ფირთოსანთა ნსხ., კ. [26] აბარამ კ. [27-28] წისქვილე ნსხ. [28] რუუ ნსხ.,კ. [32] დაუუხებელად ნსხ., კ. [39] მეფეთა ნსხ. კ.

გე[ე]ზისი და შიშთვილი იუდასი, ნურასათამცა სინანულითა არის ჴსნა სულისა მისისა და ასდამერვისა ფსალმუნისა წყევასა ქუეშე იყოს ნაწილი მისი; ანას და კაიაფას თანამცა არს მკუიდრობა მისი; და ჩემთამცა ცოდვათათუის განიკითხვის მეორედ მოსლვასა მას საშინელსა, კრულმცა არის შეიდთა კრებათაგან და ხუთთა პატრიარქთა მადლითა.

დაინერა წიგნი დ სიგელი ესე ქორონიკონსა რ[პ]ე, ჴელითა ცოდვილისა აბრამისითა.

დედანს ჰქონია დართული კათალიკოსის მტკიცებულებითი ფორმულა:

ჩუენ, ქ(რისტე)ს ღ(მრ)თისა მიერ ქართლისა კ(ათალიკო)ზი აბრამ აბალაკი კანონითა ვამტკიცებთ. ჩუენთა ცოდვათათუის განიკითხუის, ვინცა ესე ყოლად წმიდასა მოუშალოს.

† †

[1] გეზისი ნსხ.

124

1497. სასისხლო სიგელი ალექსანდრე მეფისა ადამ ფონჯავიძისადმი

საბუთი დაკარგულია. პირველად იგი გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“ (1869 წ. №5-6), მდივანბეგ დავით ჩხეიძის მიერ 1820 წელს გადაწერილი პირის მიხედვით. ამავე პირის მიხედვით ფონჯავიძეთა სასისხლო სიგელი კომენტარებითურთ 1924 წელს გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ.

საბუთს უზის ორმაგი თარიღი: 1. ალექსანდრე მეფის მეფობის მეათე ინდიქტიონი, რომელიც სამი წლით ცდება ალექსანდრე მეფის ტახტზე ასვლის ვახუშტისეულ თარიღს ([40], ქართლის ცხოვრება, 897); 2. ქორონიკონი ასოთხმოცდახუთი, რაც გვაძლევს 1497 წელს. „კორპუსში“ საბუთის თარიღად გაზიარებულია ქორონიკონის ჩვენება.

საბუთის დამწერი: კარის მდივანი თავაქალაშვილი ალადად.

გამოცემა: [25], ს. კაკაბაძე, 66-67.

საბუთი ქვეყნდება ს. კაკაბაძის გამოცემის მიხედვით.

ნებითა ღუთისათა, ჩუენ, იესიან-დავითიან-ბაგრატ[ოვ]ანმა{ნ}-სოლომონიანმან, ჩუენ, ღუთივ-გეირგვინოსანმან, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა, ორისავე ტახტისა მპყრობელმან, პატრონმა მეფეთ მეფემან ალექსანდრე და პატრონმან ძემან ჩემმან ბაგრატ.

მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენი ერდგული ფონჯავიძენი – მღრდელი ადამ და მისნი ძენი: შამილაი, ნიკოლოზ, ბასსარი და მისნი ძენი, გუეაჯნეს და მოგუაჯსენეს, რათამცა სასისხლოს სიგლითა შეგუეწყალნეს.

დაგუაჯერა ღმერთმან და გიბოძეთ ჩუენ[ს] ერთგულსა ფონჯავიძეს ჩამომავალსა. ყოველთავე გაუჩინეთ სასისხლო სიგელი. ძუელთა ჩუენთა გუართაგან – დავით აღმაშენებელისაგან ბოძებული სიგელი გქონდა და ჩუენცა იმაზე გაგიჩინეთ.

თუ ვისმე თქუენი გუარის კაცი შეაკუდეს, ოთხმოცი ათასი ძველი კირმანეული თეთრი გარდაგიხადოს, თეთრი ჯორი, თეთრი ქორი, სისხლი გარდაგიხადოს; ბოლს – ექუსი გლეხი მისითა [სახლითა]; ჩხერეს უბანს სამი გლეხი ფინალაძე გვიბოძებია. ესე ძუელსა სიგელშიგან გენერა და ჩუენცა ახლადვე დაგიმტკიცეთ. და ორი პა{რ}ტახტი ღუერკს გიბოძეთ და უფროსობა მოგეცით.

---

[15] ბოლს] ბოლოს კ. [სახლითა]] სისხლითა კ. [17] ღუერსს კ.

გაგიჩინეთ სანახშირე სამი ათასი ძუელი კირმანეული თეთრი, გერში ოცი ათასი გიორგოული თეთრი.

ვინცა ექუსთა ასოთაგან ფერჴთა, ჴელთა და თუალთა დაგიშაოს, მეექუსედი სისხლი დაგიურვოს.

ვინცა დაღი დაგაჩინოს, ორი ათასი კირმანეული გადაგიხადოს.

ვინცა ზედა მოგიხდეს და სახლად ჩამოგიხდეს, ალაფი შემოგექცეს და ორი ათასი კირმანეული დაგიურვოს.

ვინცა ცოლი გაგუპატიოროს, შეგიბილწოს, ნახევარი სისხლი დაგიურვოს.

ვინცა ანუ ვენახი, ანუ წისქვილი, ანუ სათიბი დაგიშავოს, ათასი თეთრი გადაგიხადოს.

ვინცა გძნეულობა გითხრას უბრალოსა, ორი ათასი თეთრი გადაგიხადოს. ვინცა უბრალოთ დარბაზს დაგასმინოს, ათასი თეთრი გარდაგიხადოს.

ძუელად გა{რ}დანახადიცა ვნახეთ შარვაშიძისაგან. და დაგდებია ითხვისურველთა და ლაბზიშვილის ბეგლიკისაგან დაგდებია ნადიგორს სამი გლეხი ფინალაძე და თექუსმეტი ათასი თეთრი. ესე დაურვებული და გარდანახადი არის. აწ, ჩუენცა ახლადვე ესე სიგელი გარდგიწერეთ და მოგეცით.

აწ, წმიდანო მეუფენო, აფხაზეთისა და ქართლისა ქათოლიკოზო, უჯუარობით დაუმტკიცეთ ჩუენგან ბოძებული სიგელი ესე.

ამისი მოწამენი დამსწრობნი არიან: ამირეჯიბი ხაზინადარი რამინ, რაჭის ერისთავი კახაბერი და სრულად მრაჭველნი, ლეჩხუმელნი, დარბაზის ერნი.

დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეათესა, ქორონიკონსა ას ოთხმოცდახუთსა, ჴელითა კარისა ჩუენისა მდივნისა თავაქალაშვილის ალ{ა}დადისითა.

მინაწერი:

პირის გადამწერის შენიშვნა: გადმომწერელია [ა]მის მდივანბეგი დავით ჩხეიძე.

[14] ითხვის ურველთა კ.

125

1498. საალაპე სამსახურის დაწერილი ქუენიფნეველისა სამადინისძისადმი

დედანი; ხეც, Ad-10; ეტრატი, ზომა: 37×13,5. დაზიანება: ტექსტი ალაგ-ალაგ დაფარულია მოზრდილი მოშავო-მოყავისფრო ნესტის ლაქებით, მელანი ბევრგან გამკრთალებულია, გადანაკეცი ადგილები – გამკვრივებული. მელანი ყავისფერი; ხელი ნუსხური; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი და სამწერტილი.

თარიღი: ქრონიკონი როიე (186) /1498/.

საბუთის დამწერი: ლუკა.

გამოცემები: 1) [41], თ. ჟორდანია, 312-313 (შემოკლებით); 2) [34], თ. ჟორდანია, 76 (შინაარსი).

ქ. სახელითა ღ(მრთ)ის(ა)თა, მ(ა)მ{ი}სა, ძისათა და ს(უ)ლისა |[2]ნ(მიდ)ის(ა)თა; მ(ეო)ხებითა და შუამდგომელობითა ყ(ოვლა)დ |[3]ნ(მიდ)ისა დ(ე)დოფ)ლისა ჩ(უე)ნისა ღ(მრთი)სმშობლისა, მ(ა)რ(ა)დის ქ(ა)ლნ(უ)ლისა |[4]მ(ა)რ(ი-ა)მისითა, ძლ(იე)რებითა პ{ა}ტიოსნისა და ცხ(ო)ვ(ე)ლსმყ(ო)ფ|[5]ელისა ჯ(უა)რისა ძელისა ცხ(ო)რების(ა)თა, რ(ომე)ლსა ზ(ედ)ა |[6]მკლ(ა)ვნი გ(ა)ნიპყრა უ(ფალმა)ნ ჩ(უე)ნმ(ა)ნ ი(ეს)უ ქ(რისტემა)ნ; წ(მიდა)თა |[7]ზეცისა ძ(ა)ლთა: ანგ(ე)ლ(ო)ზთა და მთ(ა)ვარანგ(ე)ლ(ო)ზ|[8]თა, მ(ი)ქ(ე)ლ და გაბრიელისითა, და ცხრა და|[9]სთავე ანგ(ე) ლ(ო)ზთა.

თ(ა)ვსმდებობითა წ(მიდ)ისა |[10]დიდებულისა წინასწარმეტყ(უე)ლისა, წინამორბ(ე)დ|[11]ისა ი(ოან)ე ნათლისმცემლის(ა)თა და ი(ოან)ე ოქრო|[12]პირისათა; წ(მიდა)თა თ(ა)ვთა მ(ო)ციქ(უ)ლთა პ(ეტრ)ეს და პავ|[13]ლესითა.

ოხითა და მ(ეო)ხებითა ათორმეტთა |[14]მ(ო)ციქულთა, სამეოცდაათთა მ(ო)წ(ა)ფეთა, რ(ომელ)ნი |[15]ს(ა)უ(კუ)ნითგ(ა)ნ სათნო ეყუნეს უ(ფალ)სა ჩ(უე)ნსა ი(ეს)უს |[16]ქ(რისტეს)ა ღ(მერთს)ა და კ(უალა)დ სათნო ყოფად არიან.

ოხითა |[17]და მე(ო)ხებითა და შუამდგომელობითა მამათ |[18]მამისა შიოს და ევაგრისითა, ი(ოან)ე მახ{ა}რებლ|[19]ისათა; მეოხებითა, შუამდგომელობი|[20]თა ბასილი, გრიგოლი და ი(ოანე) ოქროპი-[რი]|[21]სათა.

ესე ნიგნი მოგეცით ჩ(უე)ნ, პატრონმ(ა)ნ ე|[22]რისთავმ(ა)ნ ქუჩენიფნევ(ე)ლმ(ა)ნ, შვილთა ჩ(უე)ნთა: ლარგუჩლმ(ა)ნ, შანშე და ძმათა

[7] მთავარანგელოზოზთა ნსხ. [21] პატრონმა ჯ. [22] ქუჩნიფნეველმა ჯ.

მათთა ყ(ოველ)თავე, ამ|[23]ა პირსა ზ(ედ)ა, რომე დავიდევით მოძღურ|[24]ისა და დედაბრის აღაპი და დაგაყენეთ შ(ე)ნ, |[25]სამადინისძე ზ(ედ) ამდგომელა|[26]დ. ასრე რომე, პური, ღვნო და ჭური ყუ|[27]ველა შ(ე)ნ [მო]გებარებოდეს. შეჭამადი, სამარხო და მა|[28]რილი შ(ე)ნ დაიხარჯოდე. [და ორი] აღ(ა)პი გარდაიჴდებ(ო)დეს უდაბნოსა შ(ა)ბ(ა)თ-კ(კრია)კ(ე)თა |[29]მოციქ(უ)ლთა მარხვაშიგ(ა)ნ.

ამისი წყ(ა)ლობ(ა)ი |[30]ჩ(უე)ნ გიყავით: გაგიშჯთ ქადაგიშვილის რ|[31]უს ქუჩაცით, კარშიგა, ვენაჯის კულუხი, |[32]რაცა არის, და ულაყი და ფეტკს ღალა და [ქა]ლაქს |[33]წას[უ]ლა და საქ[უ]ეყნო ჯურუმი.

ესე ასრე არაო|[34]დეს-რა გეთხოვებოდეს არა ჩ(უე)ნგან და |[35]არა ჩ(უე)ნისა გვარის კაცისგან. ამისად თა|[36]ვსდებად ღ(მერ)თი და მისნი წმიდანი მოგკცემიან |[37]და წ(მიდა)ნი ესე ზემოწერ{ი}ლნი.

ვინცა ესე და|[38]წერილი, სიგელი და ნიშან{ი} მოგიშალოს, ანუ შეგიც|[39]ვალოს, შე-მცა-იცვალების რჯულის(ა)გ(ა)ნ ქ(რისტ)ე(ა)ნეთასა, |[40]რისხ{ა}ვსმცა წ(მიდა)ი შიო და ევაგრი. დამამტკიცებელნი ღ(მერთმა)ნ |[41]აკურთხნეს.

დაიწერა სიგელი ესე ქრონიკო|[42]ნსა როიე, ჴელითა ფ(რია)დ ცოდვილისა ღ(უ)კ(ა)სითა.

verso-ზე მინაწერი XV ს. მხედრულით:

|[43][სამა]დინიძე მამულითა |[44]შემოწირულია წმიდ|[ი]ს შიოსათუინ.

---

[23] დავსდევით ჟ. [25] „სამადინისძე" მეორდება. [26-27] ყუველთა ჟ. [28] შენი ჟ. [32] ქალაქს] ლაქას ნსხ., უ. [41] კრონიკონსა ნსხ. ვ-ზე

1498. ნასყიდობის წიგნი საამ გაბრიელისშვილისა იესე ჭერმეულისადმი

საბუთი დაკარგულია. სინოდის კანტორის მცხეთის საბუთებში თ. ჟორდანიას უნახავს საბუთის ხუცურით ნაწერი ნუსხა სჲე (265).

თარიღი: ქორონიკონი რპვ (186) /1498/.

საბუთის დამწერი: ომფორის მოლარე გიორგი.

გამოცემა: [41], თ. ჟორდანია, 312 (შემოკლებით).

„კორპუსში“ უცვლელად მეორდება თ. ჟორდანიას პუბლიკაცია, მხოლოდ ჩანაცვლებულია ⷭ და ⷯ შესაბამისი გრაფემებით.

...ესე მონასყიდობის წიგნი... მოგეცით თქუენ, ჭერმეულს იოანე[ს], იესეს და შენსა ძმასა ავთანდილს და თქუენთა შვილთა გიორგის და გრიგოლს, ჩუენ, გაბრიელისშვილთა: საამ, იოანე, ომარმან, გაბრიელ, გიორგი, ნოსან... ასე რომე მოგყიდეთ გუბას მინა (არაგუზედ) ჩუენი სამკვიდრო მოუდევარი... (მოწამენი: ელიოზისძე მამაგული, გეშაშვილი ესტატე, გოგაშვილი გულია, ხატელაშვილი უფლისა...)

დაიწერა ქ(ორონი)კ(ონ)სა რპვ, ჴელითა ომფორის მოლარის გიორგისითა...

127

XV ს. მიწურული. სასისხლო სიგელი კონსტანტინე მეფისა ავჭანდაძეებისადმი

დედანი; ხელ. Sd-521. კარგი ხარისხის ეტრატის გრაგნილი, ზომა: 187,5×20/20,5. შედგება ოთხი, ერთმანეთზე თეთრი და წითელი აბრეშუმის ძაფით გადაკერებული კეფისაგან: I – 30,5×20; II – 53×20,5; III – 52,5×20; IV – 51,5×20. დაზიანება: I კეფის მარცხენა კიდე მე-5 სტრიქონის გასწვრივ მოხეულია ტექსტიანად, IV კეფის გადახეული ადგილი ამოკერილია წითელი ძაფით. მელანი შავი; ხელი მწივნობრული მხედრული, დიდი ზომის მომრგვალებული გრაფემები. განკვეთილობის ნიშანი: ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. verso-ზე მოთავსებული რუსული არეგისტრაციო ჩანაწერის თანახმად, საბუთი 1824 წლის 12 მაისს გლეხს, ეინმე ორებ აბჟანდაძეს, წარუდგენია იმერეთის დროებით მმართველობაში, სადაც იგი რეგისტრაციაში გაუტარებიათ ნომრით №913. ჩანაწერს ხელს აწერს „მდივანბეგი თ(ავად)ი დავით ჩხეიძე". შემდგომ საბუთი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადაუცია ალექსანდრე ჭყონიას.

საბუთს ჰქონია პირი, რომელიც ხელთ ჰქონიათ მ. ბროსესა და თ. ჟორდანიას. დღეისათვის ეს პირი დაკარგულია.

საბუთს უზის ორმაგი თარიღი: 1. კოსტანტინე და ბაგრატ მეფეების მეფობის მე-10 ინდიქტრიონი და 2. ქრონიკონი 140 /1452/. ე. თაყაიშვილი არ ეთანხმებოდა მ. ბროსესა და თ. ჟორდანიას მოსაზრებას საბუთის ნატყუარობის შესახებ. მისი შეხედულებით, ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას XV საუკუნის ხელით შესრულებული საბუთის დედანი არ იძლეოდა. საბუთში მითითებული ქრონიკონის შეუსაბამობას საბუთის გამცემ მეფეთა ზეობის წლებთან ე. თაყაიშვილი დამწერის შეცდომად მიიჩნევს და საბუთის გაცემის თარიღს ათავსებს 1465-1477 წლებს შორის, კონსტანტინესა და ბაგრატის თანამეფობის პერიოდში. უფრო კონკრეტულად კი, საბუთს ათარიღებს ბაგრატის ქართლში გამეფებიდან მე-10 ინდიქტიონით. რადგან ე. თაყაიშვილი ბაგრატის ქართლში გამეფებას 1465 წლიდან ითვლის, საბუთის თარიღად იღებს 1475 წელს. ეს თარიღია მითითებული პირთა ანოტირებულ ლექსიკონშიც ([32], 233).

საბუთის ტექსტი შედგენილია მრავალი დიპლომატიკური ცდომილებით, რომლებიც მის ნამდვილობაში დაეჭვების სერიოზულ საფუძველს იძლევა, მაგრამ სასისხლო განაჩენისა და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, საბუთი საკმაოდ ძველი ჩანს. ამაზე დროს საბუთი საინტერესოა ლეგენდარული ცნობებით, რომლებშიც მეღაჟნდება ისტორიული წარსულის გააზრება ხალხური წარმოდგენების საფუძველზე. საბუთი ნამდვილად ყოფილა მიჩნეული იმერეთის სამეფოში და, როგორც მინაწერიდან ჩანს, მას პერიოდულად ოფიციალური პირები აახლებდნენ.

„კორპუსში" არ არის გაზიარებული ე. თაყაიშვილის დათარიღება, რადგან საბუთში ბაგრატ მეფე „სულკურთხეულად", მაშასადამე, გარდაცვლილად არის მოხსენიებული.

სიგელი პირობითად დათარიღებულია XV საუკუნის მიწურულით.

საბუთის დამწერი: მთავარეპისკოპოსი დავითი.

გამოცემები: 1) [55], M. Brosset, XCI (ფრანგ. თარგმანი შემოკლებით); 2) [41], თ. ჟორდანია, 264-266 (შემოკლებით); 3) [10]. ე. თაყაიშვილი, 41-44, (თ);

ლიტერატურა: 1) [31], ჯ. ოდიშელი, 215; 2) [44], ზ. ჭუმბურიძე, 365-372.

[... მეფეთ] მეფემან, ღ(მრ)თივ-გვირგ|[2]ვინოსანმ]ან, ღმრთივ-აღმაღლებ|[3]ულმან, ღ]მრთივ-დამყარებულმან, ძლი|[4]ერმან] და უძლეველ-მან, იესიან-დავითია|[5]ნ-ბა]გრატიონ-სოლომონიონ, რანთა, |[6][კახთა, ა]ფხაზთა, სომეხთა მეფეთა, შანშე და შა|[7]რვა]ნშე. ამა ორისა ტახტის და სამეფოსა, აღ|[8]მ]ოსავლეთისა ვიდრე დასავლეთამდის თუით მტ|[9][კიც]ედ ფლობით მპყრობელისა, ქრისტეს ღმერ|[10]თისა] მიერ სულკურთხეულისა, მეფეთ-მეფისა დემე|[11]ტრესი ძე-მან, პატრონმან აღმაშენებ{ე}ლმან ||[12]კონსტანტილე და დედათა დედა-მან (sic) ჩემ{მ}ან, პ[ატრონ]||[13]მან გულაშარ, ესე მტკიცე და უქცეველი და უცილობელი, დრო-დაუდებელი და მიზეზ-შემო|[14][უღებე]ლი და სულისა წმიდისა.

ჩუენ, ღმრთ(ი)ვ-გუირ|[15][გუი]ნოსანმან, ძლიერმან და უძლეველმ(ა)ნ, მეფე|[16][თ]-მეფემან ბაგრატ, ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქა|[17]რ-თველთა, კახთა და სომეხთა მეფისა, იესიან-დავითიან, [სი]|[18]ბრძ-ნითა სოლომონიან, შანშე და შარვანშე, ყო|[19]ვლისა აღმოსავლე-თისა და დასავლეთისა და ჩრდილო|[20]ეთისა საჴელმწიფოსა მპყრობ-ელმან, კუ{ა}ლადეე |[21]მისი სულკურთხეულისა მეფეთა მეფისა ბაგრატისა |[22]და დედოფალთა-დედოფლისამან ელენე.

მოსდეგი ჩუენსა კარზედან თქ(უ)ენ, ჩუენი ერდგული |[23]და ერთგულად მოსამსახურე ჩუენი მკვიდრი. |[24]ოდეს დარუბანდით გამოვიდა ავჟანდა-ძის გუ|[25]არის კაცი, დიდად ნამსახური ნეფისა, როდეს აღმაშენებე|[26]ლი გელათს აშენებდა და გალ{ა}ვნიდალმა გარ|[27][და]ვარდა, სამას და ხუთი აქიმი მოასხეს და ვერა [უშვ]|[28]ელეს. მაშინღა სხუა ერთი აქიმი მოვიდა ყუე|[29]ლასა უკანის ბოლოსა. მან ასრე თქუა: „თუ არა |[30]ირმის რძეშიგან დავაწუენთო, არა ეშველების რ|[31]აო.“

ქნეს მ{ო}კითხული, შეღონდეს, წამოდგა კაცი, ასრე |[32]თქუა: „ავჟან-დაძეს უთქსო თორმეტი ფური ირმის|[33] მეწველიო.“ სხუა ქუეყანასა ზე-დან არ იშოებოდა. |[34]მოიღო ავჟანდაძემან. იპრიანა ღმერთმან, და||[35]რჩა აღმაშენებელი.

შეგიწყალენით ავჟანდაძე|[36]ნი არჯევან სკანდას დაღმა და გოგს დაღმა, სადა ძევრ|[37]ის წყალი შე{ე}რთვის ყვირილასა, ფისი-სანს და ჩხარ|[38]ს. მას დაღმა სატყისმცველო წყალობ{ა}დ მიგვიცე|[39]მია ავჟანდაძისათვის.

---

[24] აქაც და ყველა დანარჩენ შემთხვევაში გვარსახელს „ავჟანდაძე“ თ. კითხულობს, როგორც „აეშანდაძე“.

მას უკან დაგვეაჯენით, რათამ|[40]ცა თქუ(ე)ნი ძუელი სიგელი გაგიახლეთ. შეგი|[41]წყალეთ და გიბოძეთ ახალი სიგელი სასისხლო |[42]თქ{უ}ენ და მომავალთა ყოველთავე, ჩუენ, მეფეთ-მეფე|[43]მან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა-დედოფალმან ელენე. შეგინყალეთ და გიბოძეთ |[44]მტკიცე და უცვალებელი სასისხლო სიგელი. მოკითხუ|[45]ლი ვქენით და ძველიცა გაჩენილი იყო ლიონ მეფისა|[46]გან.

ან, ჩუენცა გაგიახლეთ. დაგიმკუიდრეთ, რომე ვისცა, |[47]შერისხდეს ღმერთ{ი} და ეშმაკისა ბ[ი]რებითა სცთეს, და თქვენისა |[48]გვარისა კაცი მოკლას და შეაკუდეს, ესე ორ ასი ათასი ძველი |[49]თეთრი, ბოტინატური თეთრი სანახშირე დაგეურვოს, სან{ა}ხში|[50]როთ და შესამყრელოდ ორმოცჯერ ათი ათას{ი} სრული სი|[51]სხლი დაგეურვოს.

ვინცა თქუენსა გვარისა კაცსა ცოლი ნა|[52]ულოს და მოუ...ნას, ამა სისხლისა ნახევარი დაე|[53]უროს.

თუ თავნი თავსა სასახლესა ზედან დაგესხ{ა}ს, იგივე დაგე|[54]უროს სისხლისა.

აგრევე, თუ ვინმე შენითა სასაძოროთა, |[55]გინდა ყანითა, გინდა ვენაჯითა, სადაცა თქ{უ}ენი სამზღუარი მია|[56]წევდეს, რასა გინდა პირობისათვის თქ{უ}ენისა სახლისა პირუ|[57]ტყვი, გინდა ცხენი, გინდა ჯარი, გინდა რაფერი რაცა პირუ|[58]ტყვი [წაასხას], სისხლისა მეოთხედი დაგეუროს;

აგრევე, ვინცა შე|[59]ნსა გვარსა გვარის კაცი შეკოდოს, რაგვარაცა ძეელთა|[60]გან წესია, დღეს განჩენია, მით წესითა დაგეუროს.

||[61]და გაქონდეს მტკიცე ესე სიგელი თქუენ, ავჟანდა|[62]ძეთა: არჯევანს, თქ{უ}ენთა შვილთა და მომ{ა}ვალთა ყოველ|[63]თავე.

მას ჟამსა, როდეს მოგვიდეგით ჩუენსა კართა ზედ|[64]ა, დაგვიაჯენით და გაგიჩინეთ სასისხლო სიგელი – ო|[65]რასი ათასი ძველი ცხუმური თეთრი, თორმეტი გლე|[66]ხი, თორმეტი თეთრი ჯორ{ი}, თორმეტი თეთრი ქორი, თო{რ}მე|[67]ტი მეძებარი, თორმეტი თეთრი მიმინო, ერთი ჩექმისა |[68]ყელი ატლასის ფერფლი.

მოკითხული ვქენით და ძვე|[69]ლთაცა ასრე იყო თქვენი სისხლი და განჩენილი. და აწ ჩვე|[70]ნცა დაგვიმკიდრეთ, აგრევე დაგიმტკიცეთ.

[უკეთუ] შერის{ხ}დეს ღ|[71]მერთ{ი} და შენ{ი}სა გვარისა კაცი შეაკვდეს და მ{ო}კლას, და სცთეს |[72]ეშმაკისა ბ[ი]რებითა, ესე ორასი ათასი ძველი ცხუმური თ|[73]ეთრი დაგეუროს უსაურაოდ და შესამყრელოდ.

აგრე|[74]ვე, ვინცა თქუენსა კაცსა ცოლი წაუღოს და გინა მოუ...|[75]ნას, ამა სისხლისა ნახევარი დაეუროს.

აგრევე, ვინც|[76]ა თქ{უ}ენსა სასახლესა ზედა დაგესხას, იგივე ნახევარი სის|[77]ხლი სანახევროი დაგეუროს.

და თუ ვინმე სასაფლაო გ|[78]აგ{ი}ტეხოს, ესევე ნახევარი სისხლი დაგეუროს შე|[79]ნსა სასაძოვრით, გინა ყანითა, გინდა ვენახით. და გინდა, |[80]სადაცა თქ{უ}ენი საზღვარი მიაწევდეს, რა გინდა-რა პირო|[81]ბისათვის წაიყვან{ო}ს, გინდა ცხენი, გინდა ჯარი, |[82]რა გინდა-რა პირუტყვი, ესევე სისხლი დაგე|[83]უროს, მეოთხედი. გაქუნდეს სიგელი ესე |[84]მტკიცე და უცვალებელი ამიერ და უკუნი|[85]სამდე ავჟანდაძეთა: ახალბედასა, გიორგის, |[86][გ]ვართა და მომავალთა თქუენთა ყოველთავე.

ამ|[87]ისნი მოწამენი არიან დიდებულნი, ერისთავნი |[88]ვაზირნი კარისა ჩუენისანი, კათალიკოზნი აფხაზე|[89]თისა და საქართველოსა, აზნაურნი, უზედაესნი და |[90]უქვედაესნი, მესტუმრენი და მოლარენი, ისაულ|[91]თა უხუცესნი და მესაწოლენი, მეაბჯრენი, გამგებე|[92]ლნი, მელვინენი, ფარეშნი, მენაღარენი, მესაკლა|[93]ვენი, მეაბჯრენი, ყოველნივე მოჴელენი კარ|[94]ისა ჩვენისანი, წარმავალნი და მომავალნი. |[95]ნუვინ უშლით ჩემსა ბრძანებასა.

ნებითა |[96]ღმრთისათა, დაიწერა სიგელი ესე ქრონიკო|[97]ნსა ას ორმოცსა და ინდიკონსა მეფობასა |[98]ჩვენისასა მეათესა. ჴელითა დაიწერა მთავარ|[99]ეფისკოპ{ო}ზისა დავითის{ა}თა.

ხელრთვები:

|[100][ვამტკიცებ... ბაგრატ]

|[101]ელენე

მინაწერი verso-ზე XVII-XVIII საუკუნის მხედრულით, მქრქალი მელნით:

ქ. [სვი]მონ ქუთათელს გამიახლებია წყალობა და ხელიც ჩამირთავს ამა წიგნში მოწამე ქაიხოსრო მოწამე არის...

[100] მტკიცებულებები და მინაწერი დღეს აღარ იკითხება. აღდგენილია თ-ს მიხედვით.

128

XV ს. მეორე ნახევარი. ნასყიდობის წიგნი მიცემული ლაშქარა და დემეტრე შარგისძეთა მიერ აბრამ და ზაქარია ქაფშასძეთათვის

დედანი; სპბაი, H-72 (H-60/5). ქაღალდი, ზომა: 33,5×16. დაზიანება: კიდეები მოცვეთილია, recto-ზე ტექსტის ბოლო ნაწილი უსწორმასწოროდ არის მოხეული. გადანახევ ადგილას, შუაში, იკითხება მხოლოდ რამდენიმე სიტყვა. ნაკლული ტექსტი გრძელდება verso-ზე. შავი მელანი; ხელი ნუსხური. საბუთი 1874 წელს ტბეთში იპოვა გიორგი ყაზბეგმა, რომელსაც იგი გადაუცია დიმიტრი ბაქრაძისათვის. მან კი საბუთი პეტერბურგში გაუგზავნა მარი ბროსეს. ბროსეს კოლექციასთან ერთად საბუთი 1884 წელს გადაეცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საზიო მუზეუმს.

საბუთი უთარიღოა. ს. კაკაბაძე დასაბუთების გარეშე საბუთს ათარიღებს 1450 წლის ახლო ხანებით. წინამდებარე გამოცემაში საბუთი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით დათარირებულია XV საუკუნის მეორე ნახევრით.

საბუთის დამწერი: იაკობ გეგისძე.

გამოცემები: 1) [49], Дм. Бакрадзе, 196 (შემოკლებით) (Б); 2) [50], С. Какабадзе, 277-278 (აღწერილობა); 3) [51], С. Какабадзе, 166-169 (სრული ტექსტის რუსული თარგმანი).

ქ. ს(ა)ხელითა ღ(მრ)თისათა, მ(ა)მისა, ძისა და ს(უ)ლისა წმ(ი)დისა|[2]ათა; ოხითა და მეოხებითა ზეცისა ძ(ა)ლთა ანგ|[3]ელოზთა და მთავარანგელოზთა მიქ(ე)ლ და გაბრ(იე)ლისათა; ოხითა და მეოხებითა* ყოვლ|[4]ა[დ] წმიდისა ღ(მრ)თისამშობ(ე)ლისათა; თ(ა)ვსმდებობითა |[5]და შუვამდგომლობითა ცხოველსმყოფ(ე)ლისა|[6] [პატიოსნისა] ჯუარისათა; ოხითა და მეოხებითა |[7]ილორისა და გორგოთისა, ეანისა მთორმოწამი|[8]სათა და შავათისა ნისლასათა მთორმ[ოწმი]სათა; თ(ა)ვსმ|[9]დებობ(ი)თა ტბისა მთორმოწ[მი]სათა, აგარას|[10]ა ღთისმშობელის[ა]თა.; და წმიდათ მოციქულთ|[11]ა მადლითა, ანყუ(უ)რისა და ვარძიისა ღმრთი|[12]სმშობლისათა და ოღოროსა ღ(მრ)თისმშობ|[13]ლისათა და წმიდისა დემეტრესითა და ზღუდრ|[14]ისა და ქაშუეთისა მთორმ(ო)წმისათა; ოხითა და |[15]მეოხებითა ცხრათა ნაწილთა სინიქოტისათა** |[16]და ძელის ჭეშმარიტისათა, და წეფთისა მთორ|[17]მოწმისათა, და ჩიხორისა მთორმოწამის(ა)თა; თ(ა)ვს|[18]მდებობითა ათორმეტთა უდაბნოთა მადლით|[19]ა და სამთა ძმათა მაღლისა

---

* ამ სიტყვის შემდეგ ფრაზა გადაშლილია, იკითხება ფრაზის პირველი სიტყვა „ჩუენისა". [19] მაღლისა Б.

** დ. ბაქრაძის დაკვირვებით, სინაქტი უნდა ყოფილიყო სინგოთი ([45], 196).

მთორმოწმისათა; |[20]და წმიდათა კურიკეს და იულიტეს მადლითა. და რო|[21]მელნი წმიდანი საუკუნითგ(ა)ნ სათნო ეყუნეს უ(ფალ)სა |[22]ჩ(უე)ნსა ი(ე)სოს ქ(რისტე)სა, ღ(მერ)თსა ჩ(უე)ნსა.

ამა ყ(ოვე)ლთა წმიდ(ა)თა მადღ|[23]ითა და შუვამდგომლობითა მოგეცით ესე წიგნი და სიგ{ე}ლი ჩ(უ)ენ˙, ყოვ(ე)ლითურ|[24][თ] მიზეზმოუღ(ე)ბელი და მტკიცე, ჩ(უე)ნ, შარბისძეთა ლ(ა)შ|[25]ქარ{ა}მან და დემეტრემან და ჩ(უე)ნთა შვ(ი)ლთა და შვ(ი)|[26]ლის შვილთა და მომავალთა სახლისა ჩ(უე)ნისათა.

|[27]მოგყიდეთ საჭალე ლოსიურისა ნასყიდისა |[28]კარს ნინა, ვაკე, ბოლოსა დარესა ქუეშეთ. |[29]მზღუარნი ჩაგჳსხმან, მას შამომართებით, ვ|[30]აკისა პირპირ, თ(ა)ვ-თ(ა)ვ მისსა ყანისა მიდგმამდის, |[31]აქეთ – ლოსიურისა მიდგმამდის. მ(ა)ს ჩამართები|[32]თ ჩ(ე)მისა განაყოფისა მზღ{ვ}რამდის; ბოლოსაცა |[33]რ(ომე)ლი მზღვარი ზის, ერთი ნაკუეთი მოღმა ნაბ|[34]ოსტნევშიგ(ა)ნ, ბოლოსა დარესა ზ[ღ]უდეთ იქით, – |[35] თქ(უე)ნ, ქაფშასძეთა აბრამს და ზაქ(ა)რიას და თქ(უე)ნ|[36]თა ძმათათა მამქასა, მომავალთა სახლისა თქ|[37]უ{ე}ნისათა.

და მ[ო]გუცემია შუიდათასი თეთრი, ჴ(ე)ლ|[38]ჩასართ(ა)ვითურ[თ]. ამაშიგ(ა)ნ ნახეუარ[ი] არაჲსა|[39]დ-რა გვქ[ო]ნ[ია], ღ(მრ)თის მადლმ(ა)ნ, ყ(ოველ)თა ღ[ი]რებული მიმიცემია. [...მა]მული სრულობით სომეხსა ჰქონ[და
||[40]...] ჩ(ე)მ{ი}სა გან{ა}ყოფისა მზიურად ზის თ(ა)ვ-თ(ა)ვ *verso*
ლ |[41]ოსიურისა მზღ(უ)რამდის, კიდესა თაეშა ცოტაი |[42]ბასილ[ის] შვილთაცა მომყიდეს. მას ჩამართებით |[43]ლოსიურისა მზი(უ)რამდის ჩ(ე)მი მამული სრულობა|[44]თ სომეხსა ნ{ი}ნდულათ ჩ[ა]ჰქ{ო}ნდა. მის{ი}ს გულისა|[45]თ(უი)ს არი. გაეყიდე და სხუ[ა] დავიხსენ. ლაშ|[46]ქარასათჳსცა სასიკდინე ავიღე და ავიღეთ|[47] სრული ფასი, რომლითაცა ჩ(უე)ნი გ(უ)ლი შესჯერ|[48]დებოდა.

გისუ{ი}ანოს და გიბედნიეროს ღმე(რ)თმ(ა)ნ |[49]ჟამთა უკუ(ნისამ)დი. არა მოგეშალოს ჩ(უე)ნგ[ან], არცა |[50]ჩ(უე)ნისა გუარისა კაცისგ(ა)ნ, არცა [გა]ნაყოფისგ(ა)ნ, |[51]არცა მეპატრონისა კა(ა)ცისგ(ა)ნ. ვინცა და რამ(ა)ნ|[52]ცა გუარმან კ(ა)ცმ(ა)ნ ჴ(ე)ლყოს ამისდა შლად, |[53]რისხვამცა ღ(მერ)თი, მ(ა)მა, ძე და ს(უ)ლი წმიდა და ზე|[54]მო ესე წერილნი წმიდანი. შე-მცა-ედების კეთრ|[55]ი გეზის[ი], შ(ი)შთვილი იუდას[ი], ძრწოლა კაენის[ი], ც(ე)ცხლი|[56]თა [თა]ნა დანთქმა {ა}ბირვონისა. ნუმცა რაჲ ეშუელ|[57]ების წირვითა, ნუცა ლოცვითა, ნუცა ელუ|[58]სარემს და მთაწმიდას და სინას მისულითა, ნუ|[59]ცა ეფისკოპოზთა წირვითა. ყ(ოვე)ლთამცა უვა|[60]რისმყოფელთა თანამცა დაისჯების ს(უ)ლი და გზა მისი. ვინცა მოშალოს ესე წ(ი)გნი, თუ ო|[61]რშ(ა)ფ(ა)თსა მო[ი]გონოს, წმიდანიმცა მთავა{რა}ნგელ|[62]ოზნი რისხუენ; თუ სამშაფ(ა)თს, ი(ოვან)ე ნათლისმცემე|[63]ლი, თუ ოთხშაფ(ა)თს ყ(ოვ)ლა{დ} წმიდამცა რისხ(ა)ვს, თუ ხ|[64]უ{თ}ჩაფათსა, წმიდანიმცა მოც(ი)ქ(უ)ლნი რისხვენ; თუ |[65]პარასკევსა, ჯუარიმცა პატიოსანიმცა რისხავს, |[66]თუ შა[ფა]თსა თუ კჳრესა, კრ[ავი]მცა ძლიერი რისხავ|[67]ს. ამისნი მოწამენი და შუვადა[მხდომნი] არიან: შა|[68]რაბისძე ფარშვანი და ჴელიცა მირთ(ა)ვს, ირე|[69]მაოძე იოვანე, ფოცხრასძე აღდგომ|[70]ელი, მე, გეგ[ი]სძესა იაკობს დამიწერია და მ|[71]ოწამეცა ვარ. ხ(ოლო) დამამტკიცებ(ე)ლნი ღმ(ერ)თმ(ა)ნ |[72]აკურთხნეს, ა(მე)ნ.

† † † †

[58] მათაწმიდას ნსხ. [67] კრავიმცა] კრამცა ნსხ. [68] შუვადახადანი ნსხ.

ამ სიტყვის შემდეგ მომდევნო სიტყვა გადაფხეკილია.

129

XV საუკუნის II ნახევარი. სასისხლო სიგელი უცნობი მეფისა ქაიმაროზ გუფავასადმი

დედანი; სეა, 1448-5151. ქაღალდი, ზომა: 66×15; სამი, ერთმანეთზე მუქი ყავისფერი ძაფით გადაკერებული კეფი; საბუთი ძლიერ არის დაზიანებული, შემორჩენილია მეორე კეფი სრულად, პირველი და მესამე კეფები ნაწილობრივ; აკლია თავი და ბოლო, რის გამოც არ იკითხება საბუთის გამცემი მეფის სახელი. მელანი შავი; ხელი კალიგრაფიული მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთი შეტანილი ყოფილა სოხუმის მიწის გამმიჯვნელი კომისიის 1890 წლის საქმეში სათაურით: „О разборе сословных прав привиллегированных сословии туземного населения бывшей Абхазии и Самурзакани". ს. კაკაბაძემ საბუთს მიაკვლია ცენტრალური სახელმწიფო არქივის (ამჟამინდელი საქართველოს ეროვნული არქივი) თანამშრომლის, გ. ჩაჩანიძის დახმარებით და შეიტანა იგი თავის გამოცემაში.

თარიღი: საბუთის დაზიანებულ ნაწილებში, გარდა გამცემი მეფის სახელისა, მოყოლილია თარიღის ადგილიც, რაც აძნელებს საბუთის დათარიღებას. სხვა სასისხლო სიგელებთან შინაარსობრივი პარალელების და პალეოგრაფიული ნიშნების საფუძველზე ს. კაკაბაძე მას XV საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს. XVII საუკუნე საბუთის თარიღად მითითებულია „ჰირთა ანტირებულ ლექსიკონში" ([32], 752), მაგრამ არც მოვლენა – სასისხლო სიგელების გაცემის პრაქტიკა – და არც საბუთის პალეოგრაფიული მონაცემები ასეთ დათარიღებას მხარს არ უჭერს. „კორპუსში" გაზიარებულია საბუთის ს. კაკაბაძისეული დათარიღება.

გამოცემა: [25], ს. კაკაბაძე, 254-256 (კ.)

თა, ტყითა, წყლითა... |[2] [სა]ნადიროთა, ქორითა, მარქაფითა, ხრმალ |[3][--]ითა.

ანე, თავად ნუმცა იკადრების უბრალ|[4]ოსა] კაცისა სისხლისა დაღურა, არა. და თუ ვის|[5]მე ეშმაკისა მანქანებითა ქაიმაროზისა გუფავას გუა|[6]რისა კაცი ანუ სახლისშვილი შეაკუდეს, ესე ჩუენგან გაჩენილი სრული სისხლი, ერთი ეკლესია [თ]|[7]ორმეტის კვამლითა კაცითა, და მას აქათ ასოცი ათასი|[8] ძველი კირმანაული თეთრი დაევროს, მას|[9] აქათ სამოცი ათასი ძველი თეთრი სანახშირედ დაე|[10]ვროს, მას აქათ ათი ათასი საზაოდ დაევროს*.

ვინცა ცოლი მოგი..ნას, ნახევარი|[11] სისხლი დაგივროს.

* ამ სიტყვის შემდეგ მეორდება: „დაგევროს".

ვინცა შენისა გუარისა ქალი|[12] დააგდოს, ნახევარი სისხლი დაგივროს.

ვინცა ცო|[13]ლი და ანუ შენისა გუარისა ქალი გაგიუპატიოს,|[14] ნახევარი სისხლი დაგივრონ.

ვინცა სასაფლაო |[15]გაგიტეხოს, სრული სისხლი დაგივროს, ამად რომე |[16]ეკლესიის კარიც გაუპატივებული იქნების და რას|[17]დენიც მკუდარი საფლაობს.

ვინცა უომარი შვილი გაგილანძღოს და შეგიშინოს, ნახევარი სისხ|[18]ლი დაგივროს ამად რომე მკუდართა ესწორების.

|[19]ვინცა უბატონომან კაცმან სასახლეზედან დაგეს|[20]ხას ნახევარი სისხლი დაგევროს, თუ ქურდობით|[21] სახლშიან მოგპაროს, მესამედი სისხლი დაგივროს.

|[22]ვინცა უბრალოდ ბატონსა შეგაბეზღოს ნახევარი სისხ|[23]ლი დაგივროს.

ვინცა ექუსთა ასოთაგან ერთი დაგ|[24]იშაოს, მეექუსედი სისხლი დაგივროს.

ვინც ცხ|[25]ენიდალმან ჩამოგაგდოს, ცხენი წაგიღოს თუ შე|[26]ნი შეგექცეს, მესამედი სისხლი დაგივროს.

ვინცა| [27] ცოლისა მუახლე გაგიუპატიოს, მეოთხედი სისხლი|[28] დაგივროს, ამად რომე ცოლისა უპატიობა იქმნების.

|[29]ვინცა ცეცხლი შემოგიდვას, ნახევარი სისხლი დაგ|[30]ივროს;

ვინ[ცა] ყანაშიან დაგესხას, მეოთხედი სისხლი დაგ|[31]ევროს.

ვინ[ცა] გერში გადინოს, მესამედი სისხლი დაგივროს.

|[32]ვინ[ცა] საჯინიბო გაგიტეხოს, მეოთხედი სისხლი დაგივროს.

|[33]ვინცა ჯოგი გაგიტეხოს, ოცი ათასი თეთრი დაგივროს.

ვინ[ცა] მეთევზე ანუ შენი გაგზავნილი კაცი გაგი|[34]ძარცოს ანუ გიცეს, სამი ათას[ი] თეთრი დაგივროს.

ვინ|[35][ცა] შენი კაცი მოკლას, გაუსინჯეთ სიგელი და, რარიგა|[36]დ{ა}ც ეწეროს, ისრე დაგივრონ.

ვინცა ბაზიარი ანუ |[37]მეჯინიბე გაგიძარცოს, რვა ათასი თეთრი დაგივროს.

|[38]სხვა რაგინდა-რა უპატიობა დაგემართოს, დაიდევ[ით] ესე ჩუენგან ბოძებული სიგელი, მტკიცე და უქცევ|[39]ელი, და ამაზედან დაგევრონ.

აწე, თქუენ, ქ(რისტე)ს ღ(მრ)თისა მიერ კურთხეულო აფხაზეთისა და ქართლისა |[40]კ(ათალიკო)ზო, ქუთათელო, მ{ა}წყუერელო, მოქველო, |[41]ბ[ედიელ]ო, [ჭყო]ნდიდელო, ცაიშელო, დრანდელო, |[42][ესე ჩუენგან] ბოძებული [სიგელი]

130

XV ს. შენირულების დაწერილი განონასი ქვათახევისადმი

დედანი; ხეც, Qd-8514; ქაღალდი, ზომა: 34,5×15; ძლიერ დაზიანებული, გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. მელანი რუხი; მომრგვალებული ფორმის მკაფიოდ გამოყვანილი მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საბუთი უთარიღოა. პალეოგრაფიული ნიშნებით დათარიღებულია XV საუკუნით.

საბუთი ქვეყნდება პირველად.

